ე. მეტრეველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი

K — F 75802/3

ე. მეტრეველი

# ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი

ლევი ჭერქეზიშვილს

[illegible]

22.V.99

თბილისი
1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

86.3
268
მ 598

K314.917/3

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ათონის ქართველთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერის „ათონის კრებულის“ ერთი ნაწილის – „საალაპე წიგნის“ პუბლიკაციას. ამ ნაწილის ცალკე გამოყოფა განაპირობა მისმა განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ და ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებულმა ახლად გამოვლენილმა მასალამ.

წიგნი გამიზნულია ფილოლოგების, ისტორიკოსებისა და კოდიკოლოგებისათვის.

ნაშრომზე მუშაობა მეტად მძიმე პირობებში მომიხდა და რომ არა ჩემი კოლეგების, ამ წიგნის რედაქტორების, ერთგული და დაუზოგავი შრომა წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

რედაქტორები: **მანანა დოლაქიძე**
**მაია მაჩაცაშვილი**

©ე.მეტრეველი,1998

**IBSN** 99928-35-00-1

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

*ვუძღვნი ბ-ნ ილია აბულაძის*
*ნათელ ხსოვნას*

## წინათქმა

ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი ანუ სინოდიკონი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროა ათონზე ქართველთა მოღვაწეობის შესასწავლად, დღიდან მონასტრის აშენებისა (983 წ.) XII–XIII საუკუნეებამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საალაპე წიგნი X–XII ს.ს–ში ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრები ქართველების მოღვაწეობის წარმოსაჩენად და ბიზანტია–საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების შესასწავლად. საალაპე წიგნი ნაწილია 1074 წელს ათონზე გადაწერილი ხელნაწერისა (A 558), რომელიც „ათონის კრებულის “ სახელით არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ხელნაწერი შეიქმნა გარკვეული მიზნით ივირონის წინამძღვრის გიორგი ოლთისარის ზეობის (1066–1080) წლებში, მისი ინიციატივით, და იმავე მონასტრის საძმოს წევრების, იაკობ მღვდელისა და ზოსიმე მწერალ–ჰიმნოგრაფის თანადგომით. კრებული თავდაპირველი სახით შეადგინა და დაწერა 1074 წელს ქართველთა მონასტრის საძმოს წევრმა მიქაელ დაღალისონელმა.

„ათონის კრებულმა“ (A 558), რომელიც მოიცავს ათონის ქართველთა მონასტრის ძირითადად რამდენიმე საუკუნის ისტორიას, თავის დროზე ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის დიდი ინტერესი გამოიწვია.

პირადად მისგან მსმენია, რომ ამ ძეგლზე მუშაობისთვის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში მას ათი წელი შეუწირავს, რითაც ოფიციალურ ხელმძღვანელთაგან საყვედურიც დაუმსახურებია.

ამ ხელნაწერისადმი მიძღვნილ წერილში („ათონის კრებულის რედაქცია“) იგი წერს: „ვფიქრობთ, ჩვენი ეს შრომა მაინც არ იქნება ზედმეტი, ჯერ-ერთი, ეს კრებული ჩვენი წარსულის ისეთი დიდი მნიშვნელობის განძია, რომ მის შესახებ აზრის გამოთქმის ცდა დიდხანს არ იქნება ზედმეტი. მეორეც, ამ კრებულს ჯერ არავინ შეხებია როგორც რედაქციას, ე.ი. განსაზღვრული მიზნით შედგენილ

ძეგლს. ამდენად, საკითხისადმი ჩვენი მიდგომა არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული"[1].

დროის მოთხოვნისა და ისტორიულ მოვლენათა მსვლელობის შედეგად „ათონის კრებულმა" განიცადა ცვლილებები შედგენილობის თვალსაზრისით. კრებულის რთული შედგენილობა მკვლევარისაგან მოითხოვდა კრებულის ყოველი კომპონენტის ცალკე შესწავლას. ამ კვლევის შედეგად ნ. ბერძენიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის ცვლილებები, რომლებიც განიცადა ათონის კრებულმა, სამ ეტაპად ანუ სამ რედაქციად უნდა წარმოვიდგინოთ. მესამე რედაქციაში ხელნაწერის ბოლოს გადანაცვლებულმა საალაპე წიგნმა, უკვე კალენდარზე გაწყობილმა რედაქტორის (იოანე თაფლაისძის) მიერ, ათონის ქართველთა მონასტრის ქრონიკის (მატიანის) სახე მიიღო. კრებულის სწორედ ამ ნაწილში აისახა ათონის ქართველთა მონასტრის საკრებულოს წევრებისა და მონასტერზე მზრუნველ-შემომწირველთა პერსონალია და მათი მოღვაწეობა.

ხელნაწერის ისტორიისა და შედგენილობის შესწავლის შედეგად ნ. ბერძენიშვილმა განიზრახა ცალკე გამოცემად მოემზადებინა კალენდარზე გაწყობილი აღაპები ზუსტად იმ სახით, როგორც ამას თავის დროზე სხვადასხვა ოპერაციების (მინაწერებისა და ჩანართების) გზით ახორციელებდა საალაპე წიგნის რედაქტორი იოანე თაფლაისძე.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნ. ბერძენიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საალაპე წიგნის ტექსტს დართვოდა პალეოგრაფიული ალბომი. ამ მიზნით მან ცნობილ პალეოგრაფს, აწ განსვენებულ თ. ხაჟომიას დაავალა კრებულის კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული შესწავლა. სწორედ აქ შეხვდა ერთმანეთს თ. ხაჟომიას და ჩვენი ინტერესები: სიამოვნებით დავთანხმდი თ. ხაჟომიას წინადადებას, რომ გვეთანამშრომლა. სამწუხაროდ, ჩვენი ერთობლივი მუშაობა ტექსტზე ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. მისი დაკვირვებები, გამოქვეყნებული ცალკე წერილის სახით, დართული აქვს წინამდებარე ნაშრომს (იხ. Add).

როგორც ჩანს, ამ მეტად შრომატევადი და ტექნიკურად რთული ნაშრომის გამოქვეყნებისაგან განსვენებულ ნ. ბერძენიშვილს გარკვე-

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის კრებულის რედაქცია. - საქ. მუზეუმის მოამბე, XI B, 1941, გვ. 25; საქართველოს ისტორიის საკითხები. IV, 1967, გვ. 196.

ული მიზეზების გამო თავი შეუკავებია. მაგრამ ამ დიდი შრომის ძირითადი დებულებები ცალკე წერილის („ათონის კრებულის რედაქცია“) სახით გამოაქვეყნა. ამ თავშეკავების ერთი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ კალენდარზე გაწყობილ ტექსტში პალეოგრაფიული ალბომის გარეშე იკარგებოდა ვიზუალური მხარე აღაპთა ტექსტზე ჩატარებული ოპერაციებისა.

ნ. ბერძენიშვილის პირად არქივში, რომელიც დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ინახება კალენდარზე გაწყობილი ათონის კრებულის სააღაპე წიგნის ტექსტი და გამოკვლევა[1], ნ. ბერძენიშვილის ავტოგრაფი (№ 2516). სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მისი მოწაფეების დიდი სურვილისა, ამ შრომის გამოქვეყნება დღემდე ვერ მოხერხდა. იმედია, ეს ნაშრომი მალე იხილავს დღის სინათლეს.

ჩვენს გამოკვლევაში ნ. ბერძენიშვილის ეს დიდი შრომა ფართოდ გვაქვს გამოყენებული. ჩვენ მიზნად ვისახავთ სააღაპე წიგნის გამოქვეყნებას უკანასკნელი 30 წლის მანძილზე გამოქვეყნებული ლიტერატურისა და მასალების პუბლიკაციების გათვალისწინებით (ივირონისა და ათონის სხვა მონასტერთა ბერძნული აქტები და სპეციალური ლიტერატურა). ამასთანავე, საჭიროდ მივიჩნიეთ ნაშრომისათვის დაგვერთო აღაპთა პალეოგრაფიული ტაბულები, რათა უფრო მტკიცე საფუძველი შეგვექმნა როგორც აღაპთა ქრონოლოგიის, ასევე ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწეთა პერსონალიისა და აღაპების განმწესებელთა ვინაობის დადგენისათვის, რაც, რა თქმა უნდა, ახალ შესაძლებლობას სახავდა ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის შესწავლისათვის.

თავიდანვე განზრახული გვქონდა „ათონის კრებულიდან“ გამოგვეყო და გამოგვექვეყნებინა სააღაპე წიგნი იმავე წესით, როგორც ეს განხორციელდა უფრო ადრე იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სააღაპე წიგნის მიმართ[2]. ეს გამოცემა შეიცავს აღაპების ტექსტს, მათ კომენტარებს და პალეოგრაფიულ ალბომს. ამ უკა-

---

[1] ათონის ქართველთა მონასტრის მამასახლისთა ზეობისა და·აღაპთა დათარიღების ცდა. გვერდებს ვუთითებთ ნ. ბერძენიშვილის ხელნაწერის მიხედვით.

[2] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის.

ნასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღაპთა დათარიღებისათვის.

აქვე, საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ცნობების მოწოდება აღაპთა წარმოშობის შესახებ სამონასტრო ცხოვრებაში.

ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში ევქარისტიის საიდუმლო სრულდებოდა არა დღის ღვთისმსახურების დროს, არამედ ცალკე და – იესო ქრისტეს საიდუმლო სერობის მსგავსად, – საღამოს, საერთო სერობასთან (ვახშამთან) ერთად. ამიტომაც ეწოდებოდათ ამ შეკრებებს სიყვარულის სერობა, ტრაპეზი – აღაპი. ყოველ მონაწილეს შეკრებაზე თან მოჰქონდა საჭმელი. მონაწილეთა რიცხვის გაზრდასთან ერთად ადგილი ჰქონდა უწესრიგობას, რის შესახებაც პავლე მოციქული შენიშნავს: „შეკრებასა მას თქუენსა ერთად არა არს ეკლესიაჲ ღმრთისაჲ პურის საჭმელად. რამეთუ კაცად-კაცადმან თქუენმან თჳსი იგი პური წინაჲსწარ მიიღის ჭამად, და რომელსამე ჰმშიინ და რომელსამე სთრავნ. ნუუკუე სახლებ არა გიდგს ჭამად და სუმად? ანუ ეკლესიასა ღმრთისასა შეურაცხ-ჰყოფთ და არცხუენთ მათ, რომელთა -იგი არაჲ აქუს?“ (I კორინთელთა 11, 20-22). ამის გამო ეკლესიამ ევქარისტიის შესრულება გამოაცალკევა სიყვარულის ტრაპეზის ანუ აღაპისაგან, შემდეგ კი (IVს-დან) საერთოდ აკრძალა აღაპები (ლაოდ. ადგილ. კრების კანონი № 28). აკრძალვის მიუხედავად, ქრისტიანებს კიდევ დიდხანს შემორჩათ სიყვარულის ტრაპეზები ანუ აღაპები მოწამეთა და წმინდანთა ხსენების აღსანიშნავად, რის დასტურიც არის წინამდებარე სააღაპე წიგნი.

## შემოკლებათა სია

1. ათონის ივერიის... — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი ალაპებით. თბ., 1901.
2. „ათონის კრებული“ – „ ——“
3. ათონური აღწერილობა – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ათონური კოლექცია. ნაკვ. I. თბ., 1986.
4. ჯ. აფციაური, გიორგი მცირის...– ჯ. აფციაური. გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხორება“. თბ., 1980.
5. ვ. ბერიძე, სამცხის... — ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. თბ., 1957.
6. ნ. ბერძენიშვილი, ათონის კრებულის... — ნ. ბერძენიშვილი, ათონის კრებულის რედაქცია.– იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. IV, თბ., 1967, გვ. 196-216.
7. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა... — ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა მონასტრის მამასახლისთა ზეობისა და ალაპთა დათარიღების ცდა (გამოუქვეყნებელი ნაშრომი).
8. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის...– ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან.– ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.
9. ნ. ბერძენიშვილი, „დაწერილი“... — „დაწერილი“, „სიგელი“, „წიგნი“. — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. III. თბ., 1966.
10. ნ. ბერძენიშვილი, შენიშვნები... — ნ. ბერძენიშვილი, შენიშვნები კახეთ-ჰერეთის შესახებ. — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII. თბ., 1975.
11. ა. ბოგვერაძე, ქართლის... — ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1961.
12. გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის... — გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბ., 1994.
13. ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა. — ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ., 1956.
14. რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის... — რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B. 1947, გვ.237-249.

15. დავით აღმაშენებლის ანდერძი.– თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა. თბ., 1896.
16. კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული... – კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან.– ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. II. თბ., 1945.
17. კ. კეკელიძე, ქართული... – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1960.
18. დ. კლდიაშვილი, ციხისჯვარელთა... – დ. კლდიაშვილი, ციხისჯვარელთა საგვარეულოს ისტორიისათვის.– ცისკარი, 1980, № 9.
19. ვ. კოპალიანი, საქართველოსა... – ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969.
20. მ. მაჩხანელი, იოანე,... – მ. მაჩხანელი, იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“. თბ., 1982.
21. ლ. მენაბდე, ძველი... – ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბ., 1980.
22. ე. მეტრეველი, ათონის ერთი... – ე. მეტრეველი, ათონის ერთი ალაპის გაგებისათვის. – ლიტერატურული ძიებანი (ეძღვნება ალ. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავს). თბ., 1983, გვ. 182-191.
23. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა... – ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X-XII სს.). – მრავალთავი, XVI, 1991, გვ.5-14(Add).
24. ე. მეტრეველი, მასალები... – ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ., 1962.
25. ე. მეტრეველი, ნარკვევები... – ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. თბ., 1996.
26. ე. მეტრეველი, საზღვარგარეთის... – ე. მეტრეველი, საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი. – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან (კრებული ეძღვნება ნ. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავს). თბ., 1976.
27. ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური... – ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის

XI საუკუნეში. – პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX. 1952.

28. ნევმირებული ძლისპირნი... – ნევმირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A 603). გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბ., 1982.

29. თ. ჟორდანია, ქრონიკები... – თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. I. ტფ., 1892.

30. რუსთველიანა. – პ. ინგოროყვა, რუსთველიანა. თბ., 1926.

31. საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ... – ნიკოლოზ I ქართლის კათალიკოზ-პატრიარქის მიერ შედგენილი „საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისა. ტფ., 1908.

32. საქართველოს ისტორიის... – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, თბ., 1979.

33. სვინაქსარული რედაქციები... – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. IV. სვინაქსარული რედაქციები (XI–XVIII სს.). ე. გაბიძაშვილის გამოცემა. თბ., 1968.

34. ზ. სხირტლაძე, ივერიის... – ზ. სხირტლაძე, ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობა. თბ., 1994.

35. ზ. სხირტლაძე, სინის... – ზ. სხირტლაძე, სინის მთის მრავალკარედი (XIV ს.). – მოხსენება ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარზე. 1997.

36. ქართლის ცხოვრება. – ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. I. 1955; II. 1959.

37. ქართულ ხელნაწერთა... – საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია). IV. შეადგინა ქრ. შარაშიძემ. თბ., 1954.

38. ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობა... – ქუთაისის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. I. თბ., 1953.

.39. ა. შანიძე, ქართველთა... – ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. თბ., 1971.

40. ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს... – ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVIსს.). თბ., 1961.

41. ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ. – გიორგი მცირე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ. – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II. თბ., 1967, გვ. 101–207.
42. ცხორებაჲ იოვანესი...– გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა. გამოსცა ა. შანიძემ. თბ., 1946.
43. ძეგლები, II... – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. II. თბ., 1967.
44. თ. ხაჴომია, ათონის კრებულის... – თ. ხაჴომია, „ათონის კრებულის“ ალაპთა ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 34, 1962.
45. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ... – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. II. თბ., 1948.
46. ც. ჯღამაია, XI საუკუნის ... – ც. ჯღამაია, XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (ხელნაწერი).
47. Алексиада. – Анна Комнина, Алексиада. М., 1965.
48. Елка Бакалова, Бачковската... – Елка Бакалова, Бачковската костница. София, 1977.
49. Г. Литаврин, Моноваты... – Г. Литаврин, Моноваты – на Кавказе или в Крыму? – ბიზანტინოლოგიური ეტიუდები. თბ., 1978, გვ. 118–124.
50. Е. Метревели, Сведения... – Е. Метревели, Сведения Афонского синодикона об игуменах Бачковского монастыря и о Бакурианах. – Византиноведческие этюды. Тб., 1991, с. 21-32.
51. А. Натроев, Иверский... – А. Натроев, Иверский монастырь на Афоне в Турции, на одном из выступов Халкидонского полуострова. Тифлис, 1909.
52. А. Попов, Латинская... – А. Попов, Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев. II, 1903.
53. П. Успенский, Первое... – П. Успенский, Первое путешествие в Афонские монастыри и скиты в 1846 году. Киев, 1877.
54. В. Шандровская, Одно... – В. Шандровская, Одно уточнение текста Хроники Скилицы по материалам сфрагистики. – Сообщения Гос. Эрмитажа, 40, 1975, с. 46-48.

55. Actes d'Iviron, I... – Actes d' Iviron.I. Éd. par J. Lefort, N. Oikonomidés, D. Papachryssanthou, avec la collaboration d' H. Métrévéli. Paris, 1985.
56. Actes d' Iviron, II... – Actes d' Iviron, II. Éd. par J. Lefort, N. Oikonomidès, D. Papachryssanthou, V. Kravari. Paris, 1990.
57. Actes d' Iviron, III... – Actes d' Iviron, III. Éd. par J. Lefort, N.Oikonomidès, D. Papachryssanthou, V. Kravari, avec la collaboration d' H. Métrévéli. Paris, 1994.
58. Actes de Lavra... – Actes de Lavra. I. Éd. par P. Lemerle, avec la collaboration de D. Papachryssanthou. Paris, 1970.
59. Actes de Prôtaton. – Actes de Prôtaton. Éd. par D. Papachryssanthou. Paris, 1975.
60. Actes de Saint-Pantéléèmôn. – Actes de Saint-Pantéléèmôn. Éd. par P. Lemerle. Paris, 1982.
61. R. Blake, Some... – R. Blake, Some Byzantine Accounting Practices illustrated from Georgian Sources. Harvard Studies in Classical Philology. 51, 1940.
62. R.Blake, Catalogue... – R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la laure d' Iviron au mont Athos. Paris, 1934.
63. W. Djobadze, Materials... – W. Djobadze, Materials for the Study of Georgian monasteries in the Western environs of Antioch on the Orontes. Louvain, 1976.
64. V. Laurent, Les sceaux... –V. Laurent, Les sceaux byzantins du médailler Vatican. Vatican, 1962.
65. P. Lemerle, Cinq... – P. Lemerle, Cinq études sur le XI$^{e}$ siècle byzantin. Paris, 1977.
66. H. Métrévéli, Un nouveau... – H. Métrévéli, Un nouveau sur l' hymne de Ioasaphe. – Le Muséon, t. 100, fasc, 1-4, 1987.
67. C. Morrisson, Catalogue...– C. Morrisson, Catalogue des monnaies byzantines de la Bibliothèque nationale. I. Paris, 1970. II. Paris, 1970.
68. N. Oikonomidés, Les listes... – N. Oikonomidés, Les listes de préséance byzantines des IX$^{e}$ et X$^{e}$ siècles. Paris, 1972.
69. P. Peeters, Un colophon... – P. Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine. – Anal. Boll., 50, fasc. 3-4, 1932, pp. 359-360.

# გამოკვლევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
**

„ათონის კრებულის“ თავდაპირველი რედაქცია, დაწერილი 1074 წელს მიქაელ დაღალისონელის ხელით, შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: 1. გიორგი მთაწმინდლის იოანეს და ეფთვიმეს „ცხოვრება“. 2. ეფთვიმე მთაწმინდლის სახელზე დაწერილი ორი საგალობელი. 3. ივირონის საალაპე წიგნი. 4. ცხოვრება და ქადაგება იოანე მახარებელისა, თარგმნილი ბერძნულიდან ეფთვიმე მთაწმინდლის მიერ.

იოანე მახარებლის „ცხორებას“ ერთვის მიქაელ დაღალისონელის ანდერძი, რომელშიაც გადამწერი ასახელებს კრებულის შექმნის ინიციატორებს (გიორგი ოლთისარი, იაკობ დეკანოზი). ანდერძიდან ირკვევა, რომ მიქაელ დაღალისონელს „ათონის კრებული“ არ აუკინძავს, საფიქრებელია, იმ განზრახვით, რომ ის მომავალში შევსებულიყო. მართლაც, „ათონის კრებულმა“ ორჯერ განიცადა გადამუშავება მისი ახალი მასალით შევსების მიზნით, რადგან შეიცვალა კრებულის დანიშნულებაც და, შესაბამისად, მისი სტრუქტურაც. უკანასკნელი, გავრცობილი რედაქცია „ათონის კრებულისა“ (A 558) გამოქვეყნებულია სრული სახით[1].

1 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპებით. თბ., 1901.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ათონის კრებული“ (A 558)

### 1074 წ. XI–XIII, XVI–XVIII სს.

### მოკლე აღწერილობა

213 ფ. აქედან: ეტრატის ფურცლები – 1-164; 170-213; ქაღალდის ფურცლები – 165-169. ტვიფრული ტყავის ყდა, ახლად აკინძული ძველი ყდის გამოყენებით. ყდის ზომა 20,5x 14, ფურცლის ზომა 18x13,5. ძირითადი (დაღალისონელის) ხელით ნაწერი ტექსტის ზომა 16x11; სტრიქონთა რაოდენობა ძირითად ტექსტში – 24. აქვს სამგვარი რვეულებრივი აღრიცხვა. კრებულის თავდაპირველმა სახემ განიცადა ცვლილებები, სხვადასხვა დროს ჩამატებულია ეტრატის რვეულები და ეტრატისა და ქაღალდის ცალკეული ფურცლები, დაწერილი სხვადასხვა ხელით. კრებულის თავდაპირველი რედაქცია დაიწერა 1074 წელს გიორგი ოლთისარის მამობისა (155 r) და იაკობის დეკანოზობის დროს. კრებულში გამოირჩევა რამდენიმე ხელი: I (დაღალისონელისა): 3r-65r, 90r-155r, 171r-182v, 183r-v, 185r-186v, 188r-v, 190r-v. II:66r-89r. III:163r-164v. IV(ნიკოლოზ გულაბერისძისა):165r-169v. V(თაფლაიძისა): 89v, 170r-v, 157r-162v, 184r-v, 187r-v, 191r-197v, ნაწილობრივ: 198v, 199r-v, 200r, 201r. 184r-დან 213 r-მდე დაღალისონელისა და თაფლაისძის დაწერილ აღაპთა ტექსტებში ჩართულია სხვადასხვა ხელით დაწერილი უფრო გვიანდელი აღაპები.

მინაწერები. 1v: ა. ტიმოთე გაბაშვილისა, 1755 წლისა (გამოცემა, ud\275)\ბ. ელისე ტფილელისა, 1640 წლისა (გამოცემა, გვ. 275). გ. 1565 წლის ბერძნული მინაწერი, გადაფხეკილი (არ იკითხება). გრძელდება ეს მინაწერი 2r-ს მარცხენა კიდეზე. ამ ნაწილმა შემოგვინახა თარიღი, 1849 წ. მაისი. დ. XVI ს. მსხვილი ნუსხურით შესრულებული რომანოზის მოსახსენებელი, ძალზე დაზიანებული (არ იკითხება). ე. XIX ს. მხედრულით შესრულებული ეგნატიოსის მოსახსენებელი.

2r: 1565 წლის ფილიპე შაქარაშვილის დაწერილი ანდერძი-მოსახსენებელი (გამოცემა, გვ. 275-276). დაწერილია წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით, დაუმთავრებლად არის დარჩენილი.

156 v: იოანე ბერძენოვის 1868 წლის მინაწერი (გამოცემა, გვ. 175-176).

„ათონის კრებულის“ ბერძნული მინაწერების შესახებ იხ. აქვე, აღწერილობის ბოლოს, ჟ. ლეფორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს მინაწერები გაკეთებულია ჩამატებულ ორ ფურცელზე (1-2). საფიქრებელია, შაქარაშვილის მინაწერის დაწერის დროისათვის (1565 წ.) მოხდა უკანასკნელად „ათონის კრებულის“ შევსება XVI ს. ჩანაწერებით (აღაპ-მოსახსენებლებით) და მისი აკინძვა. ამას ადასტურებს ჩამატებული 2 ფურცლის უძველეს თარიღიან მინაწერთა (ერთი – შაქარაშვილისა, მეორე – ბერძნული) ერთი და იგივე თარიღი – 1565 წ. ხელნაწერის დეტალური ტექნიკური აღწერილობა იხ., აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილის წერილში: „ათონის კრებულის რედაქცია“.

1. ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცესმონაზონისა. გუაკურთხენ, მამაო. – „კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ...“ (3r-65r).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. „ცხორების“ ტექსტი მოიცავს კრებულის რვა რვეულს. დაწერილია დაღალისონელის ხელით.

2. „ცხორებას“ მოსდევს გიორგი მთაწმინდლის ანდერძი (დაწერილი დაღალისონელის ხელით): „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა მე, მამამან გიორგი, მამობასა ჩემსა მოვცვალენ ნაწილნი წმიდისა ეფთჳმესნი ნათლისმცემელისა ეკლესიით დიდსა ეკლესიასა ღმრთისმშობელისასა და გაუკუეთეთ ზეთი მე და ძმათა ყოველთა წელიწადსა შინა მეტრაჲ ერთი სამსახურებელად სამარხოსა მათ წმიდათა მამათათჳს, რომელ იმსახურებოდის თუესა მაისსა იგ, დღესასწაულსა ამის წმიდისასა. მიეცემოდის კანდელაკსა შემდგომითი-შემდგომად და ნუმცა ვინ იკადრებს დაკლებასა,და რომელმან იკადროს, მან გასცეს ღმერთსა პასუხი და წმიდასა მამასა ეფთჳმეს და მათ წმიდათა მამათა, მსგავსთავე მისთა. და რომელმან შეჰმატოს მსახურებასა გულსმოდგინებით, საუკუნომცა არს საჴსენებელი მისი და კურთხევაჲ მეოხებითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესითა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ჰ წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო ეფთჳმე, შეგჳწყა-ლენ მონანი ესე შენნი მწირნი და გლახაკნი უცხოებასა ამას და გთხოვე შენდობაჲ შეცოდებათა ჩუენთა აურაცხელთა დღესა მას განკითხვისასა და ამას ცხორებასა დაგჳცვენ საბრ ჭეთაგან ეშმაკისთა და მზაკუვარებათაგან კაცთასა" (65v). ანდერძის შემდეგ წვრილი ნუსხურით, რომელიც იოანე თაფლაისძის ხელი უნდა იყოს, მიწერილია: „ტკბილო მამაო სულითა და გონებითა, საუკუნომცა არს საკსენებელი მამისა გიორგისი, ამენ!"

3. გამოცემა, გვ.1-68.

2. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ. გუაკურთხენ, უფალო. – „ბრწყინვალჱ არიან და ყოვლად შუენიერ სიტყუანი წმიდათა წერილთანი, რომელნი-იგი აღიწერნეს მადლითა სულისა წმიდისაჲთა სამოძღურებელად ყოველთა მორწმუნეთა და სამკაულად წმიდისა ეკლესიისა..." (66r-89r).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. ერთვის ანდერძი: „ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, მამისა გრიგოლისთჳს, რამეთუ ამის წმიდის ცხორებისა დასაწერელი ეტრატი მან მიბოძა... და ლოცვა ყავთ ჩემ უღირსისათჳსცა, რომელმან დავჩხრიკე" (89r).

2. ცხოვრება დაწერილია გრიგოლის მამობის წლებში (1035-1041 წწ.) უცნობი გადამწერის მიერ.

3. გამოცემა, გვ. 69-108.

3. თუესა მაისსა იგ. წმიდისა მამისა ჩუენისა ე ფ თ ჳ მ ე ს ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ჲ გ ა ნ გ ე ბ ა ჲ ესე აღესრულენ: შემდგომად „აკურთხევსისა" თქუან „ნეტარ არს კაცი", „უფალო ღაღადყავსა" თქუნენ აღდგომისანი და მერმე – წმიდისანი..." (89v).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. განგების ტექსტი დაწერილია იოანე თაფლაისძის ხელით. მიუხედავად მჭიდრო ნაწერისა, განგების ტექსტი ვერ მოთავსებულა ამ გვერდზე და ოთხი სტრიქონი გვერდის მარცხენა კიდის გასწვრივ არის მიწერილი.

2. გამოცემა, გვ. 109-110.

4. ც ხ ო რ ე ბ ა ჲ და ქადაგებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღ მ რ თ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა ჲ, ა ღ წ ე რ ი ლ ი პ რ ო ხ ო რ ე ს მ ი ე რ, მოწაფისა მისისა შჳდთაგანი-

სა, ძმისწულისა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა, თარგმნილი წმიდისა მამისა და განმანათლებელისა ჩუენისა, ახლისა ოქროპირისა ე ფ თ ჳ მ ე მ თ ა წ მ ი დ ლ ი ს ა ჲ. გუაკურთხენ, მამაო. – „ესე კაცი ღმრთშემოსილი, უზეშთაესი ანგელოზთაჲცა, შეყუარებული ყოველთა მეუფისაჲ“ (90r–155r).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. „ცხორების“ ტექსტი თავიდან ბოლომდე დაწერილია დაღალისონელის ხელით.

2. გამოცემა, გვ. 111–176.

3. „ცხორების“ ტექსტს ერთვის მიქაელ დაღალისონელის ვრცელი ა ნ დ ე რ ძ ი: „შეწევნითა ყოვლად წმიდისა სამებისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ლოცვითა და მადლითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმი მთაწმიდელისაჲთა მე, გლახაკმან სულითა და უნდომან კორცითა მიქაელ დაღალისონელმან, სახითა ხოლო მონაზონმან, დავწერე ცხორებაჲ განმანათლებელისა ჩუენისა ე ფ თ ჳ მ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა, ახლისა ოქროპირისაჲ. და მერმე, ვინაჲთგან იგი მისისა ხატისათჳს იწამა, ქ ა დ ა გ ე ბ ა ნ ი და მ ი მ ო ს ლ ვ ა ნ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი ს ა ღ მ რ თ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა და მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა ი ო ა ნ ე ს ნ ი, მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო ბ ა ს ა გ ი ო რ გ ი ო ლ თ ი ს ა რ ი ს ა ს ა, დეკანოზობასა იაკობ მღდელისასა, განზრახვითა მისითა, თჳნიერ სასყიდლისა და ყოვლისავე საფასოჲსა.

აწ, წმიდანო ღმრთისანო, რომელნიცა აღმოიკითხვიდეთ, ნუცა დავიწყებულ ვართ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა. ეტრატი იაკობ დეკანოზმან მოიღო. ფარჩხად წერისათჳს შემინდევით, რამეთუ მესამესა წელსა ბოსტანსა დასასრულსა ჰასაკთასა შინა ვიქცეოდე. აწ თუ ესეცა გარდავლო და მიწად მივიქცე და ყოვლითურთ უკმარ ვიქმნა. ხოლო თქუენ, ნამუშაკევი რაჲ იხილოთ, მუშაკი გეკსენედ, რაჲთა თქუენცა მოგიკსენნეს ქრისტემან სასუფეველსა მისსა, ამინ. ქრონიკონი იყო, ოდეს დაიწერა, ორას ოთხმეოცდაათოთხმეტი[1074 წ.].

დაიწერა ამასვე წმიდასა ლავრასა, წმიდისა ე ფ თ ჳ მ ი ს მიერ აღშენებულსა ბურღოსა შინა, სადა თჳთ მას წმიდასა დაუყოფია. და ვინცა ვინ ესე წიგნაჲ ამას წმიდასა ეკლესიასა რაჲთაცა მიზეზითა გამოაკუას, რომელსა შინა სწერია წმიდისა მამისა ჩუენისა ც ხ ო რ ე ბ ა ჲ და მერმე ა ღ ა პ ნ ი, და მერმე ქადაგებანი მოციქულისანი, იგიმცა ნუ არს

კურთხეულ. და ვინცა ვინ რაჲთაცა არგოს და შეამოსიოს, კურთხეულ იყავნ იგი, ამენ! და ვინაჲთგან ვიხილეთ საქმე საშინელი: ო ზ ა ნ ვინმე, რომელ შეხებულ არს და წმიდის ეფთიმეს სახარებისა თარგმანისაგ[ან] და და[ვით]ნისაგ[ან] და ღმრთისმეტყველისაგ[ან] აუკოცია და ჩაურთავს, იგი ამასცა ჰრიდა, აწ..... სხუაჲ ვინცა ვინ რაჲ ანუ ჩაურთოს, ანუ ამოკოცოს, ა-მცა-კოცილ არს სახელი მისი წიგნისა მისგ[ან] ცხოველთაჲსა! მამაჲ ეფთჳმე ესრეთ გურწამს, ვითა იოანე ოქროპირი, სინანულისა ქადაგი" (155r-156r).

4. გამოცემა, გვ. 175-176.

5. [ზოსიმე]. დასდებელნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი, რომლისა თავნი იტყჳან: „ესე აწ ღმერთშემოსილი ილარიონ იქებოდენ ჯერისაებრ, ამენ". უფალო ღაღადყავსა, კმაჲ დ გუერდი, აღძრვაჲ ყ. – „ელვად ნათლისა საღმრთოჲსა მოგუეფინა დღეს კსენებაჲ ყოვლად დიდებულისა მოღუაწისა ილარიონ ახლისა მნათობისა..." (157r-162v).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. დასდებელი დაწერილია წვრილი კუთხოვანი ნუსხურით, რომელიც იოანე თაფლაისძის ხელი უნდა იყოს.

2. დასდებლის ბოლოს არის ანდერძი: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ქრისტეს მოყუარეთა პატიოსანთა ძმათათჳს, რომელთა სიტყჳთა ვიიძულე გალობად მამისა ჩუენისა ილარიონისა მე, უღირსი ზოსიმე, რომელი-ესე არცა თუ სახელის-დებად მისა ღირს ვიყავ. თუ კეთილ იყვნენ, სასყიდელი მათი არს, ხოლო ნაკლულევანებაჲ ჩემისა უსწავლელობისა მიერ არს. წმიდაო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ, მღდელი ქრისტესი, და მწერალიცა შეიწყალე". 162 v.

3. გამოცემა, გვ. 177-186.

6. თუესა ივნისსა იდ. [ე ზ რ ა, დ ა ს დ ე ბ ე ლ ი] წ მ ი დ ი ს ა მ ა მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ი ო ა ნ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ჲ, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ. კმაჲ დ. მჴნეონი. –„ახალი შუენიერებაჲ ეკლესიასა ქრისტესსა, დღესასწაული შენი, მამაო იოანე, ბრწყინვალედ შეუმოსიეს დღეს და ყოველთა ახარებს..." (163r-169v).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. დასდებელი დაწერილია სხვადასხვა მასალაზე ორი სხვადასხვა ხელით: I ხელი – XI-XII სს. მსხვილი ნუსხური. დაწერილია ეტრატზე (163r-164v), II ხელი –


საქართველოს პარლამენტის

კალიგრაფიული წვრილი ნუსხური XII-XIII სს. დაწერილია ქაღალდზე (165r-169v). ნიკოლოზ გულაბერისძის ხელი უნდა იყოს.

2. დასდებელი, გარდა კანონისა, შეიცავს მცირე ფორმის გალობებსაც: სტქჰარონნი, წარდგომაჲ, იბაკოჲ.

3. 165v-ზე არის ქვესათაური – სტიქარონნი წმ. მამისა ეფთჳმესნი.

4. კანონი აკროსტიქულია: „იდიდებოდენ აწ მამაჲ იოვანე უღირსისა ეზრაჲს მიერ".

5. გამოცემა, გვ. 187-197.

7. სხუანი გალობანი წმიდისა მამისა ი ო ა ნ ე ს ნ ი, -ჴმაჲ გ გუერდი. წ ა მ ი ს ყ ო ფ ი თ ა. – „წინაჲსწარმეტყუელისა ელისეს თანა ვაქებთ კაცსა ღირსსა დღეს, იოვანეს მართალსა..." (169v-171r).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: I. იოანეს „სხუანი გალობანი" პირდაპირ აგრძელებს 169v-ზე პირველი საგალობლის ტექსტს. დაწერილია იმავე წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით. გრძელდება გალობათა ტექსტი ეტრატის ფურცელზე, რომელიც იოანე თაფლაისძის ხელით არის ნაწერი (170r-v). ჩანს, იოანე თაფლაისძეს განზრახული ჰქონდა გალობათა ტექსტის დარჩენილი ნაწილი მთლიანად მოეთავსებინა ამ ერთ ფურცელზე, მაგრამ მიუხედავად მჭიდრო ნაწერისა ტექსტი ვერ მოთავსდა ერთ ფურცელზე და უკანასკნელი 5 სტრიქონი გადატანილია 171r-ს ზემო კიდეზე.

2. გამოცემა, გვ. 197-201.

8. თუესა მაისსა იგ. [ზოსიმე]. წმიდისა მამისა ჩუენისა ე ფ თ ჳ მ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ჲ დ ა ს დ ე ბ ე ლ ნ ი. უფალო ღაღადყავსა, ჴმაჲ ა, რომელთა თავნი იტყჳან: „ესე ახალი ოქროპირი იქებოდენ დღეს ჩუენ მიერ აწ. – ეჴა დიდებული. – „ერნო მორწმუნენო, მოვედით, წმიდა ვყვნეთ ჩუენ გულნი და განვნათლდეთ სულითა.." (171r-176v).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: I. „გალობანი" თავიდან ბოლომდე დაწერილია მიქაელ დაღალისონელის ხელით.

2. „გალობათა" ტექსტს მოსდევს ანდერძი: „ლოცვა ყავთ, წმიდანო ღირსნო, იაკობ მღდელისათჳს, რომელმან აიძულა უღირსი ენაჲ ჩემი გალობად წმიდისა ეფთჳმესა,

რომელი არცა თუ სახელის-დებად ღირს ვიყავ მე, უღირსი ზოსიმე. ქრისტე, შეიწყალე იაკობ, ამენ“ (176v).

3. გამოცემა, გვ. 202–208.

9. [ბ ა ს ი ლ ი]. სხუანი გალობანი მისვე წმიდისანი, კმაჲ დ გუერდი, რომლისა თავნი იტყჳან: უფალო ღაღადყავსა მიქაელ მთ͡ა. -ღირს მყვენ ჩუენ მეოხებითა შენითა, ღმერთშემოსილო ეფთჳმი სანატრელო...“ (177r–182v).

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: I. „გალობანი“ აკროსტიქულია: თავნი იტყჳან: „ღმერთშემოსილსა ეფთიმეს გლახაკი ბასილი შეასხამს“.

2. „გალობანი“ დაწერილია მიქაელ დაღალისონელის ხელით.

3. გამოცემა, გვ. 209–215.

10. სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა ე ს ე ა რ ი ა ნ ა ღ ა პ ნ ი მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ნ ი, ვინაჲთგან აღშენებულ არს ვიდრე აქამომდჱ. თუესა დეკენბერსა იე ა ღ ა პ ი ა რ ს ი ო ა ნ ე ს ჳ ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა, მაშენებლისა ამის დიდებულისა ლავრისაჲ. უფალო ღაღადყავსა ზედა თქუნენ დასდებელნი წმიდისანი და სტიქარონად სულისანი და სერობასა ტრაპეზს შესუან ძმათა სამ-სამი კრასოვული...(183r–213r).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღაპები დაწერილია დაღალისონელის, თაფლაისძისა, პავლეს და სხვათა ხელით.

## ათონის კრებულის შედგენილობა

### ზოგადი დასკვნები

„ათონის კრებულმა“ (A 558) დროთა ვითარებაში ცვლილებები განიცადა. როგორც ზემოთ ითქვა, ნ. ბერძენიშვილმა „ათონის კრებული“ შეისწავლა კოდიკოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისით და ამის საფუძველზე გამოყო კრებულის განვითარების სამი ეტაპი[1].

როგორც ზემოთ ითქვა, მიქაელ დაღალისონელის რედაქცია შეიცავდა შემდეგ თხზულებებს: 1. იოანეს და ეფთვიმეს „ცხორება“ (ა-ჱ რვეულები). 2. ეფთვიმეს სახელზე დაწერილი ორი საგალობელი. 3. ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი (საგალობლებსა და სააღაპე წიგნს ერთად ეკავა **თ-ია** რვეულები). 4. იოანე მახარებლის „ცხორება და ქადაგება“, რომელიც მთავრდებოდა მიქაელ დაღალისონელის ანდერძით (ეკავა **იბ-ით** სრული რვეულები და სამფურცლიანი **კ** რვეული).

„ათონის კრებულის“ მეორე რედაქციის რედაქტორს იოანეს და ეფთვიმეს „ცხორების“ შემდეგ კრებულში ჩაურთავს „ცხორება“ ილარიონ ქართველისა, რომელსაც 3 (**თ-ია**) რვეული უკავია. ილარიონის „ცხორების“ შემდეგ ამავე რედაქციაში ჩაურთავთ: ერთი საგალობელი ილარიონის სახელზე და ორი საგალობელი – იოანე ქართველის სახელზე. ამ ახალი მასალის შემდეგ მოთავსდა კრებულის ბოლოს გადანაცვლებული ეფთვიმეს სახელზე დაწერილი საგალობლები და სააღაპე წიგნი. „ათონის კრებულის“ მეორე რედაქცია სრულდებოდა იოანე მახარებლის „ცხორებით“, რომელიც მიქაელ დაღალისონელის ხელით არის დაწერილი. „ცხორებას“ ერთვის მიქაელ დაღალისონელის ანდერძი, რომელიც „ათონის კრებულის“ I რედაქციისათვის იყო განკუთვნილი.

კრებულის მესამე რედაქციაში ილარიონის, იოანეს და ეფთვიმეს დასდებლები და სააღაპე წიგნი გადატანილ იქნა კრებულის ბოლოს,

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის კრებულის..., გვ. 196–216.

იოანე მახარებლის „ცხორება-ქადაგების" შემდეგ, რათა ადვილი ყოფილიყო საალაპე წიგნის შემდგომი გავრცობა. ამ გზით „ათონის კრებულმა" მიიღო ის სახე, რომელიც მას დღეს აქვს. ნ. ბერძენიშვილი ამ დასკვნებს ამყარებს კრებულის რვეულებრივ აღრიცხვაზე და ტექსტის ხელთა მონაცვლეობაზე. როგორც უკვე ითქვა, კრებულის I რედაქცია მთლიანად დაწერილი იყო მიქაელ დაღალისონელის მიერ. კრებულს ჰქონდა ერთიანი რვეულებრივი აღრიცხვა თავიდან ბოლომდე. კრებულის შედგენილობის ცვლასთან ერთად იცვლებოდა თხზულებების თანმიმდევრობა და, შესაბამისად, რვეულებრივი სათვალავიც. განსხვავებული ხელით ნაწერი დამატებითი მასალა კრებულის სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა ჩართული რედაქტორის იდეური ჩანაფიქრის შესაბამისად. იმის გამო, რომ კრებულმა, სულ ცოტა, ორჯერ მაინც განიცადა გადამუშავება, მასში გაჩნდა სხვადასხვა ხელით შესრულებული რვეულებრივი სათვალავი: დაღალისონელის რედაქციის რვეულებრივ სათვალა (ა-კ რვეულებს) სრულიად მოულოდნელად აგრძელებს **იბ** (157-164ფფ.) რვეული, რომელსაც მოჰყვება **იგ** (165-170), **იდ** (171-178), **იე** (179-188), **ივ** (189-195), **იზ** (196-201), **იÜ** (202-...) რვეულები. ისმის კითხვა: საიდან გაჩნდა ასეთი რვეულებრივი სათვალავი: **კ** რვეულის შემდეგ — **კა** რვეულის ნაცვლად **იბ** რვეული? ამის თაობაზე ნ. ბერძენიშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „რა თქმა უნდა, ის პირი, ვინც ეს რვეულები ასე დააწყო რომ ამ რვეულთა პირველი ჩამრთველი ყოფილიყო, **იბ** რიცხვის მაგივრად **კა** რიცხვს დაასვამდა მის მიერ დართულ პირველ რვეულს და აგრე მიაყოლებდა სხვა რვეულებსაც. მაშ, უნდა ვიფიქროთ: როცა ეს **იბ** და **იგ** რვეულები აქ მოათავსეს, მათ პაგინაცია უკვე ჰქონდათ. საითგან გადმოიტანეს ისინი? ცხადია, ისინი უნდა ყოფილიყვნენ **თ, ი, ია** რვეულების მიდევნებით"[1].

ეს არის ერთადერთი სწორი ახსნა ათონის კრებულში ორგვარი რვეულებრივი სათვალავის არსებობისა. აქვე დავსძენთ, რომ ეს ორგვარი რვეულებრივი სათვალავი ურთიერთშეთანხმებულია და შეფარდებულია თხზულებათა განლაგებასთან.

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ.36-38.

ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევაზე დაყრდნობით და ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე წარმოვადგენთ ათონის კრებულის რვეულებრივი აღრიცხვისა და ხელთა მონაცვლეობის სურათს, რათა ამის საფუძველზე უკეთ წარმოვაჩინოთ ათონის კრებულის რედაქციების მონაცვლეობა, თითოეული მათგანის რაობა და ჩამოყალიბების იდეური ჩანაფიქრი.ცხოვრებების შექმნაზე. მე-18 საუკ. I ნახევარში

1. იოანეს და ეფთვიმეს „ცხორება“.
ა–ჱ რვეულები (3r–65r).

დაწერილია დადალისონელის ხელით. ა–ბ რვეულებს არა აქვს რვეულებრივი აღრიცხვა. 25v-ს ქვემო კიდეზე მიწერილია მსხვილი მთავრულით რვეულებრივი სათვალავის გ. ამ ხელით გაკეთებული რვეულებრივი აღრიცხვა კრებულში აღარ მეორდება. „ცხორების“ სათაური და დ–ჱ რვეულები დაწერილია დადალისონელის ხელით. ა–გ რვეულების ტექსტი, ერთი შეხედვით, თითქოს სხვა ხელით, მსხვილი ნუსხურით არის დაწერილი,მაგრამ პალეოგრაფიულმა ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს ხელიც დადალისონელისა უნდა იყოს. III რვეულის ბოლოს მთავრული გ–ანიც ამავე ხელით უნდა იყოს გაკეთებული. დ რვეულიდან გრძელდება დადალისონელის გაკეთებული რვეულებრივი აღრიცხვა საშუალო ზომის კალიგრაფიული მთავრულით. ეს აღრიცხვა ბოლომდე გრძელდება.

2.ილარიონის „ცხორება“. თ–ია რვეულები (66r–89r).

„ცხორებას“ უკავია მომდევნო თ–ია რვეულები, რომლებიც II რედაქციის დროს არის ჩამატებული სრული რვეულების სახით. დაწერილია წვრილი სწორი ნუსხურით უცნობი გადამწერის მიერ. ამავე გადამწერის ხელით უნდა იყოს გაკეთებული მცირე ზომის მთავ-

რული თ–ია რვეულების სათვალავი. უკანასკნელი გვერდი ია რვეულისა თავდაპირველად თავისუფალი ყოფილა და „ცხორების“ კრებულში ჩართვის შემდეგ შეუვსიათ ეფთვიმეს „განგების“ ტექსტით. „ცხორება“ გადაწერილია გრიგოლის მამობის (1035–1041) წლებში.

3. ეფთვიმეს განგება. **ია** რვეულის უკანასკნელ გვერდზეა (89v) მიწერილი.

დაწერილია „განგება“ სწორი კუთხოვანი ნუსხურით, იოანე თაფლაისძის ხელით. თაფლაისძესვე ეკუთვნოდა იდეა კრებულში ეფთვიმეს განგების შეტანისა. ტექსტი დაწერილია ძალიან მჭიდროდ, მაგრამ მაინც ვერ მოთავსებულა ერთ თავისუფალ გვერდზე და 4 სტრიქონი მიწერილია ფურცლის მარცხენა აშიის გასწვრივ.

4. ცხორება და ქადაგება იოანე მახარებელისა (90r–155r). უკავია **იბ–ით** რვეულები და **კ** რვეულის 3-ვე ფურცელი.

რვეულებრივი სათვალავი გაკეთებულია იმავე მთავრულით, რომლითაც წარწერილია რვეულები იოანეს და ეფთვიმეს „ცხორებისა“ (**ა–ჱ**). დაწერილია თავიდან ბოლომდე დაღალისონელის ხელით. ტექსტს ერთვის კრებულის შემდგენელისა და დამწერის, დაღალისონელის, 1074 წლის ანდერძი (155r–156r). ამ ანდერძით მთავრდებოდა ათონის კრებულის თავდაპირველი რედაქცია.

5. ზოსიმე, დასდებელნი ილარიონისნი (157r–162v). უკავია **იბ** რვეულის 6 ფურცელი.

ილარიონის დასდებელი დაწერილია იოანე თაფლაისძის ხელით 8-ფურცლიან ეტრატის რვეულში. რვეულის პირველ ფურცელზე (157r) ზემო კიდეზე უნდა ყოფილიყო რვეულის სათვალავი – **იბ**. არე შეჭრილია და ეს სათვალავი არ ჩანს. რვეულის დასასრული წერილი

მთავრულით (**იბ**) აღნიშნულია 164v-ს ქვემო კიდეზე. ეს რვეულებრივი სათვალავი (**იბ**) აგრძელებდა ილარიონის ცხოვრების რვეულებრივ სათვალავს (**თ–ია**). გაკეთებულია იმავე მთავრულით, რაც იმას მოწმობს, რომ ილარიონის დასდებელი და მისი მომდევნო ჰიმნოგრაფიული მასალა ადრე უშუალოდ მოსდევდა ილარიონის ცხოვრებას. ორგვარი რვეულებრივი სათვალავის შესახებ იხ. ზემოთ.

6. ეზრა. დასდებელი იოანე ქართველისა (163r-169v). უკავია **იბ** რვეულის 2 ფურცელი და **იგ** რვეულის 5 ფურცელი.

დასდებელი დაწერილია ეტრატზე და ქაღალდზე ორი სხვადასხვა ხელით: 1. მსხვილი ნუსხურით XI საუკუნისა, დაწერილი ეტრატზე (163r-164v). 2. ქაღალდზე დაწერილი XI-XII სს. წვრილი დახვეწილი კალიგრაფიული ნუსხურით (165r-169v). **იბ** რვეულის დასასრული აღნიშნულია 164v-ზე, **იგ** რვეულის დასაწყისი მითითებულია 165r-ზე, იმავე წვრილი მთავრულით, დასასრული – 170v-ზე. ქაღალდის ფურცლები (165r-169v) დაწერილი უნდა იყოს ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ (იხ. ტაბ. $X_3$).

7. სხუანი გალობანი მამისა იოანესნი (169v-171r). უკავია **იგ** რვეულის ბოლო ფურცელი და **იდ** რვეულის პირველი ფურცელი.

დასდებლის დასაწყისი ქაღალდზე ნაწერია წინა დასდებლის ხელით. გრძელდება ეტრატის ფურცელზე იოანე თაფლაისძის ხელით (170r-171r). იოანე თაფლაისძეს, ჩანს, განზრახული ჰქონდა დასდებლის ტექსტი მთლიანად მოეთავსებინა ეტრატის ერთ ფურცელზე (170), ამიტომ ორივე გვერდზე ტექსტი დაწერილია ძალიან წვრილად და მჭიდროდ (გვერდზე 30 და 35 სტრიქონი), მაგრამ ტექსტი მაინც ვერ მოთავსებულა ერთ ფურცელზე და გადამწერი იძულებული

გამხდარა ხუთი სტრიქონი გადაეტანა მომდევნო ფურცლის ზემო კიდეზე – 171r-ზე (**იდ** რვეულის პირველ ფურცელზე).

8. [ზოსიმე] დასდებელნი ეფთჳმე მთაწმიდელისა (171r-176v). უკავია **იდ** რვეული.

ეფთვიმე მთაწმიდლის დასდებლით იწყება **იდ** რვეული (171r), რომელიც მთავრდება 178v-ზე. დაწერილია დაღალისონელის ხელით.

9. სხუანი გალობანი მისვე წმიდისანი [ეფთვიმესი] (177r-182v). უკავია **იდ** რვეულის ბოლო 2 ფურცელი და **იე** რვეულის 4 ფურცელი.

ეფთვიმეს დასდებელს უკავია **იდ** რვეულის ბოლო 2 ფურცელი (177-178) და გრძელდება **იე** რვეულში (179r-182v). **იდ** რვეულის დასასრული წინა რვეულების წვრილი მთავრულით არის აღნიშნული 178v-ს ქვემო კიდეზე. დაწერილია დაღალისონელის ხელით.

10. საალაპე წიგნი. უკავია **იე** რვეულის ბოლო ექვსი ფურცელი, **ივ**, **იზ**, **იჱ** რვეულები (183r-213r).

იწყება **იე** რვეულის მეხუთე ფურცლიდან (183r). მიქაელ დაღალისონელის კრებულში რვეული რვაფურცელა იყო. იოანე თაფლაისძემ რვეულში ჩართო ორი ცალფურცელა – მეექვსე (184) და მეცხრე (187) და რვეული ათფურცელა გახდა (179-188). **იე** რვეულის დასაწყისის სათვალავი მოთავსებულია 179r-ს ზემო კიდეზე მცირე ზომის მთავრულით.

**იე** რვეულის ბოლო 6 ფურცლიდან (183-188) 4 ფურცელი (183, 185, 186, 188) დაწერილია დაღალისონელის ხელით, ხოლო ჩამატებული ორი ცალფურცელა (184, 187), როგორც ზემოთ ითქვა, დაწერილია თაფლაისძის ხელით.

მომდევნო **ივ** რვეულის 6 ფურცელი (189,191-195) დაწერილია თაფლაისძის ხელით, ხოლო 190-ე ფურცელი – დაღალისონელის ხელით. თაფლაისძის ხელი საალაპე წიგნში გრძელდება 200r-მდე. თაფლაისძის მიერ დატოვებულ სუფთა

ფურცლებზე 200v-დან 213r-მდე ალაპები დაწერილია სხვადასხვა ხელით სხვადასხვა წინამძღვრების დროს.

213r-ზე კვლავ ჩნდება თაფლაისძის ხელი – მისი ანდერძი № 166, რომელშიაც ჩამოყალიბებულია საალაპე წიგნის შექმნისა და მისი შემდგომი გავრცობის პრინციპები. ამ ანდერძით მთავრდებოდა თაფლაისძის რედაქციის საალაპე წიგნი. ანდერძს ამავე გვერდზე მოსდევს მამა პავლეს განწესებათა გაგრძელება (№ 167), რომელიც № 165-ის ორგანული ნაწილია და წინამდებარე გამოცემაში შეუერთდა კიდეც მას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეფთვიმეს საგალობლები და საალაპე წიგნი დაღალისონელის კრებულში მოთავსებული იყო **თ**, **ი**, **ია** რვეულებში. შემდგომში მექანიკურად ბოლოში გადანაცვლებული ეს სამი რვეული თანდათან ივსებოდა ახალი ალაპებით ძირითადად იოანე თაფლაისძის, აგრეთვე მისი მიმბაძველისა და გამგრძელებლების მიერ და დღეისათვის მათ უკავიათ „ათონის კრებულის“ ბოლო **იე** (183r), **ივ** (189r), **იზ** (196r) და **იჱ** (202r) რვეულები. ამ რვეულებში ორ შემთხვევაში შემორჩენილია ძველი, დაღალისონელისეული რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელი მთავრული ასოები (**ი**, **ია**). **ი** რვეულის სათვალავი მოთავსებულია **იე** რვეულის ბოლოს (188v), მას ჰფარავს შემდგომში წარწერილი ბერძნული πᾶς, რის გამოც მისი შემჩნევა ძალზე ჭირს[1]. რაც შეეხება **ია** რვეულის სათვალავს, ის მოთავსებულია 190r-ზე.

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 335.

„ათონის კრებულის“ ბერძნული მინაწერები ჩვენი თხოვნით შეისწავლა და გადმოიღო ჟ. ლეფორმა:

1. სავარაუდოდ XVI–XVIII სს. ივირონის ბიბლიოთეკარმა ყოველი გვერდის ქვემო კიდეზე მოათავსა თითო მარცვალი ბერძნული წარწერისა: „Τὸ παρὸν βιβλίον ὑπάρχει τῶν κτητόρων τῆς ἱερᾶς ἡμῶν μονῆς τῶν Ἰβήρων, κειμένης ἐν τῷ ἁγιωνόμω ὄρει τοῦ Ἄθονος („წინამდებარე წიგნი ეკუთვნის ათონის წმინდად სახელდებულ მთაზე მდებარე ჩვენი წმინდა მონასტრის, ივირონის, ქტიტორებს“).

ეს ბერძნული წარწერა მთელი ხელნაწერის მანძილზე თერთმეტჯერ მეორდება. ტექსტის ბოლო მონაკვეთი 11-ით ყოფილა აღნიშნული (199v). დღეს ჩანს მხოლოდ 1-იანი, რაც ადასტურებს, რომ ხელნაწერში ეს ბერძნული მინაწერი 11-ჯერ არის გამეორებული. მთელი ხელნაწერის მანძილზე განაწილებული ეს ბერძნული მინაწერი ასახავს მინაწერის შექმნის დროისათვის ხელნაწერის მოცულობას, ფურცლების რაოდენობასა და თანმიმდევრობას. ამავე დროს, მინაწერის შესწავლის შედეგად აშკარა გახდა, რომ ყველა ცვლილება, რომელიც ხელნაწერს განუცდია, მომხდარა მინაწერის გაკეთებამდე. ჩანს, ეს მინაწერი გაკეთდა ხელნაწერის უკანასკნელი აკინძვის წინ ათონზე. საინტერესოა ამ ხელნაწერის ყდაც ათონის ქართველთა მონასტრის საამკინძაო სახელოსნოს საქმიანობის თვალსაზრისით (XVII–XVIII სს.). ამ მინაწერში სწორად არის განსაზღვრული ათონის კრებულის დანიშნულება: წიგნი ეკუთვნის ათონზე მდებარე ივირონის მონასტრის ქტიტორებს. ბერძნულმა წარწერამ დააფიქსირა კრებულის ფურცელთა ის რიგი, რომელიც არსებობდა წარწერის შექმნის მომენტში: 194-204-205-195-206-207-208-209-196-197-198-199-200-201-202-203-210-211-212-213. ე.ი. წარწერის შექმნის დროს ყველა ფურცელი სახეზე იყო, ოღონდ, როგორც ჩანს, მათი რიგი არეული ყოფილა. ეს ბერძნული საალრიცხვო მინაწერი იმას მოწმობს, რომ მისი დაწერის მომენტში ხელნაწერის ბოლო ნაწილი (194-213) დაშლილი და არეული იყო. ბერძნული წარწერის გაკეთების დროს ივირონი უკვე მთლიანად ბერძნების გამგებლობაში ყოფილა. ამ დროისათვის ივირონის ბერძნულ საძმოში უკვე გაღვიძებულა ინტერესი მონასტრის ისტორიისა და მისი ქართველი ქტიტორებისადმი. ამავე პერიოდში იწყება ზრუნვა მონასტრის ქტიტორების

ცხოვრებების შექმნაზე. მე-18 საუკ. I ნახევარში შეიქმნა იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ცხოვრება ბერძნულ ენაზე[1].

„ათონის კრებულის“ კიდეებზე ვხვდებით უფრო ადრეულ, სხვადასხვა ხელით შესრულებულ მინაწერებსაც:

ბერძნული გადასული მინაწერებია შემდეგ ფურცლებზე: 1, 2, 6, 9-17, 66, 90, 171, 213.

1v – 1849 წლის მაისი.

2r – 1565 წელს ჩასულა ვინმე Silas (?) იერომონახი.

66r – ἐδῶ εἶναι βίος τοῦ ἁγίου Ἱλαρίονος Ἰβήρων („ეს არის წმინდა ილარიონ ქართველის ცხოვრება“). ეს ფაქტი საგანგებოდ არის აღნიშნული. როგორც ვხედავთ, ბერძნები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ილარიონ ქართველის ცხოვრებისადმიც, რაც შემთხვევითი არ არის.

---

[1] იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული ცხოვრება.

## ათონის კრებულის რედაქციები

როგორც ზემოთ ითქვა, „ათონის კრებულს" სამი რედაქცია გაუვლია: ლავრის აღმშენებელთა სახსოვრად შედგენილი კრებულიდან (პირველი რედაქცია) ის იქცა საბერძნეთში მოღვაწე ქართველ მამათა სახსოვარ კრებულად (მეორე რედაქცია) და ბოლოს, სააღაპე წიგნის გავრცობა-შევსების გზით იგი იქცა სააღაპე წიგნად, სამონასტრო ქრონიკად, სულთა მატიანედ (მესამე რედაქცია)[1].

„ათონის კრებულის" შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ პირველ, დაღალისონელისეულ რედაქციაში განსაკუთრებული ადგილი მაშენებელთა შორის ეთმობა ეფთვიმე ათონელს: კრებული თავდაპირველად შედგენილი იყო არა როგორც ქართველთა ლავრის მაშენებელთა სახსოვარი კრებული, არამედ როგორც ეფთვიმეს სახსოვარი წიგნი, რომელიც მისი კულტის შექმნას ემსახურებოდა. ამ თვალსაზრისით „ათონის კრებულის" შექმნა გამოხატავდა იმ კურსს, რომელიც ათონზე ჩასვლისთანავე აიღო გიორგი მთაწმინდელმა – ეფთვიმეს კულტის დამკვიდრება ქართველთა მონასტერში და მისი გავრცელება ქართული კულტურის ყველა რეგიონში.

გიორგი მთაწმინდლის დაწერილი „ცხორების" სათაურიდან ჩანს, რომ ავტორი თხზულებაში ეხება არა მარტო ეფთვიმეს, არამედ იოანეს „ცხორებასაც" („ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ"), მაგრამ „ცხორების" პირველივე პარაგრაფიდან ირკვევა, რომ გიორგი მარტო მამა-შვილის ცხოვრებით არ კმაყოფილდება და განზრახული აქვს ქართველთა ლავრის მაშენებელთა და მათ გამოჩენილ თანამოღვაწეთა საქმიანობაც აღწეროს, რომელთა სახელები ჩაწერილია „მარადიული ცხოვრების წიგნში". ღმერთმან „ჩუენთაცა ამათ ჟამთა შინა გამოაჩინნა ნეტარნი მამანი ჩუენნი: იოანე და ეფთჳმე და იოანე[2] და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმინდელი და იოვანე გრძელისძე და შემდგომითი-შემდგომად სხუანი იგი მოწაფენი მათნი და მობაძავნი სათნოებისა მათისანი, რომელთა სახელები აღწერილ არს წიგნსა მას „ცხორებისასა" (§ I)[3].

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის კრებულის..., გვ. 215; მ ი ს ი ვ ე, ათონის ქართველთა..., გვ. 43, 46, 346, 352.

[2] იოანე სვინგელოზია (იოანე თორნიკყოფილი).

[3] იოანე და ეფთვიმის „ცხორებისათჳს" ვსარგებლობთ 1946 წ. გამოცემით.

ასევე, განსაკუთრებული მოწიწებით ახსენებს ბასილი ბაგრატის ძე ეფთვიმეზე ადრე გარდაცვლილ არსენ ნინოწმინდელსა და იოანე გრძელისძეს ეფთვიმეს სახელზე დაწერილ საგალობელში: „მოგჳჴსენენ ჩუენ ცოდვილნი ესე, გჳთხოვე შენდობაჲ პირად-პირადთა ცოდვათა ჩუენთაჲ იოვანეს ღირსისა თანა, არსენის და იოვანეს და სხუათა მათ შვილთა შენთა, განათლებულთა სწავლითა შენითა სულიერითა, რომელნი აწ შენ თანავე იშუებენ წინაშე ღმრთისა“[1].

თუ დეკანოზობის პერიოდში დაწერილ „ცხორებაში“ გიორგი მთაწმინდელი წარმოაჩენს ქართველთა ლავრის ისტორიას, მის პირველ მაშენებელთა და მათ თანამოღვაწეთა ცხოვრებასა და ერთობლივ მოღვაწეობას, წინამძღვრად არჩევის შემდეგ მან კურსი აიღო ლავრაში ეფთვიმეს კულტის დამკვიდრებაზე[2]. თუ როგორ მიაღწია მან ამას, ეს ვრცლად არის აღწერილი გიორგი მცირის გიორგი

---

[1] ბასილი ბაგრატის ძემ ეფთვიმის სახელზე საგალობელი დაწერა მისი გარდაცვალების უმალ. საგალობელთან ერთად უნდა დაწერილიყო ეფთვიმეს სვინაქსარული ცხოვრება (იხ. ე. გაბიძაშვილი, ძეგლები. IV, გვ. 96) და მისი ხსენების დღის განგება (ბასილი ბაგრატის ძის შესახებ იხ. ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური...).

[2] ვერ გავიზიარებთ ე. გაბიძაშვილის მოსაზრებას, თითქოს გიორგიმ „ცხორება“ დაწერა წინამძღვრად დადგენის პირველ წლებში. ამის დადასტურებას მკვლევარი ხედავს „ცხორების“ დანართში, სადაც გიორგი გვამცნობს, რომ მან წინამძღვრობის პერიოდში გადაასვენა ეფთვიმეს ნაწილნი ნათლისმცემლის ეკლესიიდან დიდ ეკლესიაში. ამ დანართის მიხედვით, ე. გაბიძაშვილი „ცხორებასაც“ გიორგის მამობის პერიოდში დაწერილად მიიჩნევს (ე. გაბიძაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59-60).

სინამდვილეში, გიორგი მცირე გიორგი მთაწმინდლის „ცხორებაში“ გარკვევით გამიჯნავს იოანეს და ეფთვიმეს „ცხორების“ დაწერის დროს მისი დანართის დაწერის დროისაგან. თუ პირველი დაიწერა გიორგის დეკანოზობის დროს, დანართი – ეფთვიმეს ნაწილთა გადასვენების ეპიზოდი – დაიწერა უკვე გიორგის მამობის დროს, როდესაც მან განახორციელა ეს ღონისძიება. გიორგის „ცხორებაში“ ვკითხულობთ: ცხორება „აღწერა, ვიდრეღა იყო იგი დეკანოზად, გარნა რომელი-იგი გონებასა შინა დაეუნჯა და დაეწერა, მას ჟამსა აღწერასა მისსა თანაწარჰკდა, რაჲთა რაჟამს საქმით აღასრულოს, მაშინ აღწეროს, ესე-იგი არს შენებაჲ სამარტჳლოსაჲ და შემკობაჲ მისი ყოვლითა სამკაულითა, რომელსა აწ ყოველნი ხედავთ“. ამრიგად, გიორგი მთაწმინდელმა „ცხორება“ დაწერა დეკანოზობის ჟამს, ხოლო ცნობა ეფთვიმეს ნაწილთა გადასვენების შესახებ – წინამძღვრობის დროს.

მთაწმინდლის „ცხორებაში“. გიორგიმ ნათლისმცემლის ეკლესიიდან გადაასვენა ეფთვიმეს ნაწილნი დიდ ეკლესიაში (კათოლიკონში), შემდეგ „კეთილმან მან მუშაკმან სიბრძნისამან განიზრახა განზრახვაჲ“ – იოანეს გადასვენება მთავარანგელოზთა ეკლესიიდან დიდ ეკლესიაში, რათა „არა დაუტეოს გარეშე სამარტჳლოჲსაგან ძისა თჳსისა ეფთჳმესსა“, ვინაიდან იყო „მიზეზი იგი [იოანე] ყოველთა კეთილთაჲ და დასაბამი წყალობათა ღმრთისათაჲ“, „თუალი წყაროჲსა და ძირი უკუდავებისაჲ“. შემდეგ გიორგიმ იქვე გადაასვენა მონასტრის გარეთ წმ. სვიმეონ მოხუცებულის სოხასტერში დასვენებული „წმიდანი ბერნი“ – არსენ ნინოწმინდელი და იოანე გრძელისძე, რომელნიც „დიდად თანამოღუაწე ექმნნეს წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს თარგმანებასა შინა წმიდათა წერილთასა, და მოშურნე და მობაძავ წმიდათა სათნოებათა მისთა იქმნნეს. და მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი ჟამსა სიბერისასა თჳსითა კელითა აღწერნეს“[1]. ამრიგად, როგორც იოანესი, ასევე არსენისა და იოანე გრძელისძის დამსახურება გამოიხატება იმ წვლილში, რომელიც მათ შეიტანეს ეფთვიმეს საქმიანობაში.

ასე შექმნა გიორგიმ დიდ ეკლესიაში სამარტვილო, სადაც სამუდამო განსასვენებელი მიუჩინა ათონის პირველ ქართველ მამებსა და ეფთვიმეს ყველაზე ერთგულ თანამდგომთ. ამის შემდეგ გიორგიმ „მოიღო მარჯუენე იგი [ეფთვიმესი] განმაცხოველებელი, მწერალი მაღალთა მათ ღმრთისმეტყუელებათაჲ. ესე აღიღო ნაწილად მკჳდრობისა თჳსისა მრჩობლსა მას თანა და განმაცხოველებელსა სულსა“[2], ჩაასვენა გუადრუცში სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად, რითაც იმას მიაღწია, რომ „უმდიდრესნი და ულრმესნი მდინარენი საღმრთოთა წერილთანი მადლითა წმიდისა მის მარჯუენისაჲთა განაპნა და ნოტიობისაგან უგულისკმოებისა დაულტოლველად განვიდა და წყალნი იგი მწარეთა მათ მოძღურებათანი სიტყუათა თჳსთა მარილითა დაატკბნა და ყრმებრ მბასრობელნი იგი და ძჳრისმზრახველნი უგუნურთა ენანი დაადუმნა“[3].

აქ იგულისხმება არა მარტო ეფთვიმეს მიერ მართლმადიდებლობის დაცვა ერესებისაგან, არამედ აგრეთვე იმ ქედმაღალი

---

[1] ძეგლები, II, გვ. 131–133.

[2] იქვე, გვ. 131.

[3] იქვე, გვ. 131–132.

ბერძნებისაგან, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ქართველები ბარბაროსები არიან და მათთვის უცხოა და მიუწვდომელი ბერძნული განათლება და კულტურა.

ამრიგად, ეფთვიმეს მარჯვენის წმინდა ნაწილად „მოღებას" გიორგისთვის სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ გიორგი მთაწმინდელი არა მარტო მემკვიდრე გახდა ეფთვიმეს ტრადიციებისა, არამედ პირველი პოპულარიზატორი მისი კულტისა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ათონის ქართველთა ლავრის პრესტიჟისათვის, არამედ საერთოდ ქართველთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისთვისაც. ამ ფაქტს გიორგი მცირე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ვრცლად აღწერს გიორგი მთაწმინდლის „ცხორებაში": გიორგიმ „ყოველთა წმიდათა მარტჳლთა თანა დაუსუენა კელი მარჯუენე წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისი და თჳთ თავით თჳსით ჰმსახურებნ, და ოდეს გზასა ვალნ, თჳთ უტჳრთავნ წმიდაჲ იგი გუადრუცი. ამით ესევითარითა სახითა კნინღა-და ყოვლისა სოფლისა სახილველ და თაყუანისსაცემელ ყო მთაწმიდითგან ვიდრე შავსა მთასა და ყოველსა ასურეთსა და იერუსალემსა და აღმოსავალადმდე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმი მარჯუენისა მიერ თჳსისა მეფეთაგან და მთავართა, მღდელთმოძღუართაგან და მღდელთა და ყოვლისა ერისა"[1].

ათონის ქართველ წმინდა მამათა სამარტვილოს შექმნა დიდ ეკლესიაში, მათი ხსენების დღის დაწესება, ეფთვიმეს დიდ ეროვნულ მოღვაწედ აღიარება და მისი კულტის დამკვიდრება და პოპულარიზაცია – ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი მხარე იყო იმ დიდი პროგრამისა, რომლის განსახორციელებლად გიორგი შავმთელმა გიორგი მთაწმინდელი ქართველთა ლავრის უდიდესი გაჭირვების დროს ათონზე გაგზავნა. პროგრამა კი გულისხმობდა: ქართველთა ლავრის წართმეული მიწებისა და ქონების დაბრუნებას, ქართველთა უფლებრივი სტატუსის აღდგენას ლავრაში, ლავრის ჩამქრალი სკრიპტორიუმის გამოცოცხლებას, მწიგნობართა ახალი კადრების მომზადებასა და მოზიდვას, ეფთვიმეს მთარგმნელობითი ტრადიციების გაგრძელებას და ამ ღონისძიებათა შედეგად, ქართველთა ლავრის დაკარგული პრესტიჟის აღდგენას. ამ დიდი ეროვნული მოძრაობის შთამაგონებელი იყო დიდი ეროვნული მოღვაწის, ქართველი ერის განმანათლებლისა და წმინდანის შარავანდედით დამშვენებული ეფთვიმეს პიროვ-

[1] ძეგლები, II, გვ. 132

ნება, რომლის კულტის დამკვიდრებით დაიწყო გიორგი მთაწმინდელმა თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ათონზე.

ათონის ქართველთა ლავრაში გიორგი მთაწმინდლის მოღვაწეობის ხასიათზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ უკეთ წარმოგვეჩინა ლავრაში შექმნილი ეროვნული აღორძინებისაკენ სწრაფვის ატმოსფერო, რომელმაც განსაზღვრა „ათონის კრებულის" პირველი, დალალისონელისეული რედაქციის შექმნაც ლავრის ძმობის სურვილითა და მხარდაჭერით. „ათონის კრებულის" მიქაელ დალალისონელისეული პირველი რედაქცია შეიქმნა როგორც ქართველთა ლავრაში უკვე განმტკიცებული ეფთვიმეს კულტის წერილობითი დადასტურება.

კრებულის დანიშნულება მიქაელ დალალისონელმა ჩამოაყალიბა თავის ანდერძში, რომელიც დაურთო კრებულში შემავალ ეფთვიმეს მიერ თარგმნილ თხზულებას „ცხორებაჲ და ქადაგებაჲ... იოანე ღმრთისმეტყუელისაჲ": „... მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ლოცვითა და მადლითა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმი მთაწმინდელიჲთა მე, გლახაკმან სულითა და უნდომან კორცითა მიქაელ დალალისონელმან, სახითა ხოლო მონაზონმან, დავწერე ცხორებაჲ განმანათლებელისა ჩუენისა ეფთჳმი ქართველისა, ახლისა ოქროპირისაჲ, და მერმე, ვინაჲთგან იგი მისისა ხატისათჳს იწამა, „ქადაგებანი და მიმოსლვანი დიდებულისა ღმრთისმეტყუელისა და მახარებელისა იოანესნი" (155r). ანდერძიდან აშკარაა, რომ ეს კრებული მიეძღვნა ეფთვიმეს, ქართველთა განმანათლებელს, ახალ ოქროპირს.

დალალისონელი თავის ანდერძში, სადაც ჩამოყალიბებულია კრებულის შედგენის მიზანი, დუმილით უვლის გვერდს იოანე ქართველის პიროვნებასა და მის ღვაწლს, მიუხედავად იმისა, რომ „ცხორების" სათაურშივე იოანე და ეფთვიმე თანაბარ მდგომარეობაში არიან წარმოდგენილნი.

„ცხორებასთან" ერთად რედაქტორმა კრებულში შეიტანა ეფთვიმეს მხოლოდ ერთი თარგმანი: „ცხორებაჲ და ქადაგებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყუელისაჲ". კრებულისათვის ეფთვიმეს მრავალრიცხოვანი თარგმანებიდან ამ თარგმანის გამორჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. შეირჩა ეს თხზულება იმიტომ, რომ ეფთვიმე „მისისა [იოანე მახარებლის] ხატისათჳს იწამა", ე.ი. იოანე მახარებელი მისაბაძი ხატი იყო ეფთვიმესთვის.

დაღალისონელი მაშენებელთა შორის ეფთვიმეს რომ განსაკუთრებულად გამოარჩევს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ „ცხორებას“ მან დაურთო მხოლოდ ეფთვიმეს სახელზე დაწერილი ორი დასდებელი. ერთი მათგანი მისი თანამედროვე ათონელი ჰიმნოგრაფის – ზოსიმესი, ხოლო მეორე – ძველი საგალობელი, დაწერილი ბასილის მიერ ვრცელი „ცხორების“ დაწერამდე (1042–44 წლებში) (იხ. ქვემოთ).

„ათონის კრებულის“ I რედაქციაში მესამე კომპონენტად შეტანილი იყო აღაპები. „ესე არიან აღაპნი მონასტრისა ჩუენისანი, ვინადთგან აღშენებულ არს ვიდრე აქამომდე“. იწყება აღაპები იოანე-თორნიკეს აღაპით: „აღაპი არს იოანე სკნგელოზისა, მაშენებელისა ამის დიდებულისა ლავრისაჲ“ (აღაპი № 1).

„ათონის კრებულის“ სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით, I რედაქციაში ქრონოლოგია „აღაპებისა“ არ იფარგლება მხოლოდ ეფთვიმეს მოღვაწეობის პერიოდით და მიყვანილია კრებულის გადამწერის დრომდე (1074).

მართლაც, I რედაქციის „ათონის კრებულის“ აღაპები არ იზღუდება მარტო პირველი სახელოვანი ათონელებით (იოანე და ეფთვიმე) და მათი თანამედროვე მოღვაწეებით. აღაპები მოიცავს გიორგი მთაწმინდელის მამობის პერიოდსაც, თვით გიორგის აღაპსაც (№ 87).

აღაპთა ამ პირველ რედაქციას ცალკე შევეხებით. აქ კი, როგორც უკვე ითქვა, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს რედაქცია ემყარება ქართველთა ლავრის უძველეს სააღაპე წიგნს, რომელიც იხსნებოდა იოანე (თორნიკე) სვინგელოზის აღაპით, სადაც იგი ლავრის ერთპიროვნულ მაშენებლად არის წარმოდგენილი. იოანე ქართველის სახელზე დაწერილ საგალობლებში კი, რომლებიც „ათონის კრებულის“ II რედაქციაში იქნა ჩართული, უკვე იოანე ქართველია გამოცხადებული ლავრის ერთპიროვნულ მაშენებლად: „წმიდისა მამისა იოანე ქართველისაჲ, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ“[1] – ვკითხულობთ საგალობლის სათაურშივე.

თუ როდის და როგორ მოხდა, რომ იოანე (თორნიკე) სვინგელოზის დიდი ღვაწლი ქართველთა ლავრის აშენებაში თანდათან მიიჩქმალა და წაიშალა ლავრის ქართველთა ძმობის მეხსიერებიდან, ეს ცალკე შესწავლის საკითხია.

---

[1] „ათონის კრებული“, გვ. 187. საგალობლის ავტორია ეზრა. დაწერილია საგალობელი იოანეს და ეფთვიმეს ვრცელი „ცხორების“ დაწერის შემდეგ, მეტიც, გიორგი მთაწმინდლის გარდაცვალების შემდეგ (იხ. ქვემოთ).

აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ „კრებულის“ I რედაქციის კონკრეტულმა დანიშნულებამ (ეფთვიმეს კულტის დამკვიდრება და პოპულარიზაცია), რომელიც გიორგი მთაწმინდლის აღებული კურსის გაგრძელებას და წერილობით დადასტურებას წარმოადგენდა, გამოიწვია ის, რომ ათონის ლავრის ძმობის ისეთი თვალსაჩინო ფიგურა, როგორიც იყო თვით გიორგი მთაწმინდელი, სრულიად არ ჩანს მისი გარდაცვალებიდან 9 წლის შემდეგ, 1074 წელს შედგენილ „ათონის კრებულში“. აქ არ არის შეტანილი არც მისი „ცხორება“ და არც საგალობლები, რომლებიც ერთვის „ცხორების“ შემცველ ყველაზე ადრეულ ნუსხას (S 353)[1].

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია დასმულია საკითხი იმის თაობაზე, თუ რატომ არ მოხვდა „ათონის კრებულში“გიორგი მთაწმინდლის ცხოვრება. ნ. ბერძენიშვილი ამას იმით ხსნის, რომ კრებულის შედგენის დროისათვის (1074 წ.) გიორგი მთაწმინდლის „ცხორება“ ჯერ დაწერილი არ იყო. ამაზე შეიძლებოდა გვეპასუხა, რომ ცხოვრება დაწერილი კი იყო, მაგრამ იგი არ იყო გავრცელებული ათონზე, ვინაიდან ცხოვრებიდან აშკარაა, რომ გიორგი მცირემ შეასრულა გიორგი შეყენებულის თხოვნა, დაწერა „ცხორება“ და პირველივე ნუსხა მას გაუგზავნა შავ მთაზე, რათა დიდ მოძღვარს „განემართა“ გიორგი მცირის დაწერილი თხზულება, „რომელი იპოოს ნაკლულევანებაჲ“. როგორც ჩანს, შავ მთაზე „ცხორება“ კარგა ხანს დაყოვნებულა.

მაგრამ მაშინ როგორ ავხსნათ, თუ რატომ არ შეიტანეს „ცხორება“ კრებულის II რედაქციაში, თუნდაც II რედაქციის იოანე თაფლაისძისეულ ეტაპზე, ე.ი. 1120–1140 წწ.

თუ ძმობას აუცილებლად მიაჩნდა ათონის კრებულში გიორგის „ცხორების“ ჩართვა, იგი ისევე აიძულებდა გიორგი მთაწმინდლის უერთგულეს მოწაფეს, მისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრსა და მხატვრული სიტყვის დიდოსტატს გიორგი მცირეს, აღეწერა თავისი მოძღვრის „ცხორება“ კრებულში შესატანად, როგორც აიძულა ზოსიმე ჰიმნოგრაფი შეეთხზა ილარიონ ქართველის საგალობელი (ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო მონასტრის სამწიგნობრო ცხოვრებაში).

მაგრამ ვფიქრობთ, საკითხს უნდა შევხედოთ არა იმ თვალსაზრისით, იყო თუ არა დაწერილი „ცხორება“ კრებულის შედგენის

---

[1] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები:.., გვ. 204, 256.

დროისათვის, არამედ სულ სხვა ასპექტით: უნდა ყოფილიყო თუ არა შეტანილი კრებულში გიორგი მთაწმინდლის „ცხორება“, თუნდაც იგი დაწერილი ყოფილიყო? ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ და დავუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის ამოსავალ დებულებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „ათონის კრებული“ შედგა სრულიად კონკრეტული დანიშნულებით: ეს იყო გიორგი მთაწმინდლის აღებული კურსის თანახმად ეფთვიმე მთაწმინდლის კულტის დამკვიდრება-პოპულარიზაცია, ხოლო შემდეგ (II რედაქციის დროს) საბერძნეთში მოღვაწე პირველ ქართველ მამათა სახსოვარი კრებულის შექმნა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს დანიშნულება კრებულისა თავისთავად გამორიცხავს კრებულში გიორგი მთაწმინდლის ცხოვრება-საგალობლების მოხვედრის შესაძლებლობას.

*
* *

ისმის საკითხი: როდის დაიბადა ათონის ქართველთა საკრებულოში „ათონის კრებულის“ თავდაპირველი შედგენილობის შეცვლის საჭიროება და რა იყო ამის მიზეზი?

პირველ რიგში გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მიქაელ დაღალისონელს მის მიერ დაწერილი კრებული აუკინძავი დარჩა. დაღალისონელის ანდერძში ვკითხულობთ: „ვინცა ვინ რაჲთაცა არგოს და შეამოსიოს, კურთხეულ იყავნ იგი“. შესაძლებელია, მიქაელმა, რომელიც „დასასრულსა ჴასაკთასა იქცეოდა“, ვეღარ მოასწრო ხელნაწერის შემმოსველისათვის გადაცემა და ანდერძშივე სთხოვდა ამ წიგნის მომავალ მომხმარებელს, რომ ხელნაწერი შეუმოსველი არ დაეტოვებინათ.

იმ გარემოებამ, რომ ხელნაწერი გადაწერისთანავე არ აიკინძა, გააადვილა მისი შევსება და თავდაპირველი სტრუქტურის შეცვლა. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ტექნიკური მხარე იყო.

მთავარი კი ის იყო, რომ განხორციელებულიყო გიორგი მთაწმინდლის წინამძღვრობის წლებში უკვე მომწიფებული ჩანაფიქრი, გაფართოებულიყო „ათონის კრებულის“ დანიშნულება და იგი ეფთვიმეს სახსოვარი წიგნიდან გადაქცეულიყო საბერძნეთში მოღვაწე პირველ ქართველ მამათა სახსოვარ კრებულად.

II რედაქციაში კრებულს დაემატა: 1. ილარიონ ქართველის ცხოვრება. 2. ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობელი. 3. იოანე ქართველის სახელზე დაწერილი ორი საგალობელი.

პირველი რედაქციისაგან განსხვავებით, რომელიც თავიდან ბოლომდე მიქაელ დაღალისონელის დაწერილია, ჩანამატი მასალა სულ სხვადასხვა ხელით არის დაწერილი. პირველი შევსების შემდეგ კრებულმა ასეთი სახე მიიღო:

I. იოანე და ეფთვიმეს ცხოვრება – ა–Ⴌ რვეულები, დაემატა: ილარიონ ქართველის „ცხორება"– თ–ია რვეულები. „ცხორება" ჩაენაცვლა კრებულში ეფთვიმეს ორი დასდებლისა და აღაპთა წიგნის ადგილას, რომელთაც თავდაპირველ რედაქციაში ერთად ეკავათ თ–ია რვეულები.

ილარიონის „ცხორების" ტექსტი დაწერილია XI საუკუნის ნუსხურით (გვერდზე 27 სტრიქონი). „ცხორების" ბოლოს დამწერის ანდერძია: „ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, მამისა გრიგოლისთჳს, რამეთუ ამის წმიდისა ცხორებისა დასაწერელი ეტრატი მან მიბოძა. ქრისტემან შეაწიენ წმიდაჲ ესე მამაჲ და ლოცვა ყავთ უღირსისათჳსცა, რომელმან დავჰხრიკე" (87r). „ათონის კრებულის" ახალი მასალით შევსების ინიციატორს მოუპოვებია მამა გრიგოლის დროს (ე.ი. არა უგვიანეს 1041 წლისა) დაწერილი ილარიონის „ცხორება". დამწერი ამ ტექსტისა თავის სახელს არ გვაცნობებს. „ცხორების" ტექსტი ია რვეულის უკანასკნელი ფურცლის 89r–ზე სრულდება დამწერის ანდერძით. მომდევნო გვერდი (89v) თავდაპირველად დაუწერელი იყო. ამრიგად, ეს „ცხორება" არ უნდა ყოფილიყო რომელიმე კრებულის ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში 89v დაუწერელი არ დარჩებოდა. შეიძლება სხვა ვარაუდიც დავუშვათ: შესაძლოა, „ცხორება" გადმოწერილია ამ ტექსტის შემცველი კრებულიდან დედნის ანდერძითურთ, საგანგებოდ „ათონის კრებულში" ჩასართავად. ყველა შემთხვევაში ერთი აშკარაა, რომ გრიგოლის მამობის წლებში (1035–1041) ათონის ქართველთა საკრებულოში დიდი ყოფილა ინტერესი ილარიონის პიროვნებისადმი, რამაც განაპირობა ილარიონ ქართველის „ცხორების" კიდევ ერთი ნუსხის (ვრცელი რედაქცია) შექმნა, რომელიც შემდეგ გამოიყენეს „ათონის კრებულის" შესავსებად. მამა გრიგოლის ინტერესი ილარიონისადმი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ამას განაპირობებდა ათონის ქართველთა ლავრაში შექმნილი მძიმე ვითარება გიორგი I (ვარაზვაჩეს) წინამძღვრის შერისხვისა და გადასახლების შედეგად, და ამასთან დაკავშირებით, შეუპოვარი ბრძოლა ქართველთა უფლებებისა და

ლავრის პრესტიჟის აღდგენისათვის. ასეთ ვითარებაში ილარიონ ქართველის პიროვნებას, ბიზანტიის ეკლესიისა და იმპერატორთაგან აღიარებულსა და პატივდებულს, დიდი პროპაგანდისტული ძალა ენიჭებოდა ქართველთა ლავრის პრესტიჟის დასაცავად[1].

ეს ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული ჯერ კიდევ ეფთვიმე მთაწმინდელს, რომელმაც 991 წ. შედგენილ თავის თხზულებათა და თარგმანთა კრებულში შეიტანა ილარიონ ქართველის ცხოვრების მოკლე რედაქცია. ეფთვიმეს ეს ავტოგრაფული ნუსხა შემორჩენილი არ არის, მაგრამ არსებობს უტყუარი ფაქტი იმის სასარგებლოდ, რომ სწორედ ის გამოიყენა გიორგი მთაწმინდელმა, როდესაც განიზრახა შეედგინა ეფთვიმეს ძირითად თხზულებათა და თარგმანთა პირველი კრებული Ath. 79, რომელშიც ეფთვიმეს ავტოგრაფიდან სხვა თხზულებებთან ერთად გადმოიტანა ილარიონ ქართველის ცხოვრების მოკლე რედაქცია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ Ath. 79 ხელნაწერის გადამწერს ეფთვიმეს ავტოგრაფული ნუსხიდან ტექსტებთან ერთად მისი თარიღიანი ანდერძიც გადმოაქვს (991წ.). საინტერესოა ისიც, რომ Ath. 79 ხელნაწერის გადამწერი იოანე, მოჰყავს რა ეფთვიმეს ავტოგრაფული ნუსხის ანდერძი, იქვე ადასტურებს ანდერძისეული თარიღის სისწორეს:

| | |
|---|---|
| ეფთვიმე ათონელის ანდერძიდან: | იოანე გადამწერჲს ანდერძიდან: |
| „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი... ინდიქტიონსა დ, დასაბამითგანთა წელთა ხჳქთ“ (991წ.) | „ესე რიცხჳ უცთომელად არს“[2]. |
| Ath. 79, 97r-v | Ath, 79, 97v |

---

[1] მართლაც, ბიზანტიაში კარგად ცნობილი და პატივდებული ილარიონ ქართველის „ცხორება“, შეტანილი „ათონის კრებულში“, ბერძნებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. როგორც ზემოთ ითქვა, „ათონის კრებულში“ 66r-ზე მიწერილია ბერძნულად: ἐδῶ εἶναι βίος τοῦ ἁγίου Ἱλαρίονος Ἰβήρων (აქ არის ცხოვრება წმ. ილარიონ ქართველისა).

[2] ათონურ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 118; მ. დ ო ლ ა ქ ი ძ ე, ათონური № 79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ. – მრავალთავი, XII, გვ. 3-20.

ეფთვიმეს შემოტანილი ტენდენცია, ათონის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში შემოეყვანა ილარიონ ქართველი, შემდგომშიაც გაგრძელდა და დაგვირგვინდა კიდეც ათონის კრებულის II რედაქციაში ილარიონ ქართველის ცხოვრების ვრცელი რედაქციისა და საგალობლის შეტანით (A 558, 66r–89r, 157r–162v).

ილარიონ ქართველის კულტის შექმნის აუცილებლობა რომ კარგად ჰქონდა შეგნებული ქართველთა მონასტრის მთელ საკრებულოს, ეს ჩანს ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლის ავტორის, ზოსიმე ჰიმნოგრაფის, ანდერძიდან: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ქრისტეს მოყუარეთა პატიოსანთა ძმათათჳს, რომელთა სიტყჳთა ვ ი ი ძ უ ლ ე გალობად მამისა ჩუენისა ილარიონისა" (A 558, 162v).

ილარიონ ქართველის ცხოვრების ვრცელი რედაქციისა და საგალობლის დაწერაში ჩანს ქართველთა მონასტრის წინამძღვრის გამოკვეთილი ინიციატივა: ეტრატი ილარიონ ქართველის ცხოვრების ვრცელი რედაქციის დასაწერად მამა გრიგოლს (1035–1041 წწ.) გაუცია.

აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ ამ საერთო ინიციატივაში დიდი წვლილი შეუტანია იაკობ მღვდელსაც: „წმიდაო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ, მღდელი ქრისტესი" (A558, 162v).

ეს ის იაკობ მღვდელია, რომელიც „ათონის კრებულის" შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

ილარიონ ქართველის კულტის დამკვიდრების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ „ათონის კრებულის" II რედაქციის შექმნის დროისათვის ათონის ქართველთა მონასტერში ილარიონ ქართველის გარდაცვალების დღე (19 ნოემბერი) უკვე შეტანილია ქართველ წმინდანთა კალენდარში: თუესა ნოენბერსა ით, წმიდისა ილარიონისსა, პანაშჳდი არს ოქროპირისა [ხარაზისა], ძმისა ჩუენისაჲ" (აღაპი 132/146ᵃ). ილარიონ ქართველის ხსენების დღის დადგენა კი იმას ნიშნავს, რომ იგი ოფიციალურად აღიარებულია წმინდანად და შესულია ქართველ წმინდანთა პანთეონში.

ეს არის ერთადერთი შემთხვევა ათონის სააღაპე წიგნში, როდესაც ქართველი წმინდანის ხსენების დღეს განწესებულია აღაპი სხვა პიროვნებისათვის.

ზემოთ განხილული მასალის (ილარიონ ქართველის ცხოვრების მოკლე რედაქცია, Ath. 79, ვრცელი რედაქცია და საგალობელი

„ათონის კრებულში“, № 146ა აღაპი) საფუძველზე კავშირი გაიბა პირველ ათონელებსა და ილარიონ ქართველს შორის. ეს იყო გზა XI საუკუნეში ილარიონის კულტის დამკვიდრებისა ათონზე, ხოლო შემდეგ (XI–XIII სს.) ამ ტენდენციამ თავი იჩინა საზღვარგარეთისა და საქართველოს სკრიპტორიუმებსა და სამონასტრო კედლის მხატვრობაშიც. თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ ელადის ქვეყანაში თარგმნილი პატერიკის ხელნაწერის (A–1105) ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „... ვიწყოთ პირსა და შესავალსა წიგნისასა ლოცვითა წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ეფთჳმესითა, გიორგისითა და ილარიონისითა და ლოცვითა ყოველთა ქართველთაჲთა“[1].

ქართველ წმინდანთა სამეულში (ეფთვიმე მთაწმინდელი, ილარიონ ქართველი, გიორგი მთაწმინდელი) იხსენიება ილარიონ ქართველი XII ს. ხელნაწერის „სტოდიერის“ (A 1347, 210v) სულთა მატიანეშიც როგორც მართლმადიდებლობის ქადაგი: „ეფთჳმე, წმიდისა მამისა, ახლისა ოქროპირისა, ქართველთა განმანათლებელისა საუკუნომცა არს საჴსენებელი. ილარიონ ნეტარისა მამისა ქართველისა, საუკუნომცა... ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ქართველისა, სულისა მიერ წმიდის მთარგმნელისა საუკუნომცა... ესე არიან კურთხევანი მამათანი და მათგან ჩუენ ზედა, შვილთა მათთა, მობაძავთა მართლმადიდებლობისა მათისათა“[2].

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ილარიონ ქართველი, პეტრე იბერი და შიო მღვიმელი ერთად იხსენიებიან როგორც „მნათობნი ქართველთანი“ სინის მთის მრავალკარედის (XIVს.) ერთ-ერთ ფრთაზე[3].

XII საუკ. უკანასკნელი მეოთხედიდან ქართველ წმინდანთა სამეული (ეფთვიმე, ილარიონი, გიორგი მთაწმინდელი) ჩანს პეტრიწონისა[4] და ახტალის მონასტრების კედლის მხატვრობაში.

ასევე ეფთვიმესა და გიორგი მთაწმინდელების გვერდით იხსენიება ილარიონ ქართველი გიორგი მთაწმინდლის თარგმნილ „სტოდიერის“ (XII ს.) ხელნაწერის ქართველ მამათა მოსახსენებელში: „ეფთვიმე,

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, № 1105, გვ.90.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 431.

[3] ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, სინის მთის მრავალკარედი (XIV ს.). – მოხსენება ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარზე, 1997 წ.

[4] Е. Б а к а л о в а. Бачковската..., с. 105, 107, 178, 181, 217.

წმიდისა მამისა, ახლისა ოქროპირისა, ქართველთა განმანათლებელისა, საუკუნომცა არს საკსენებელი. ილარიონ ნეტარისა მამისა ქართველისა [საუკუნომცა არს საკსენებელი], ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი ქართველისა, სულისა მიერ წმიდისა მთარგმნელისა, [საუკუნომცა არს საკსენებელი]" (A 1347, 210v)[1].

„ათონის კრებულში" ილარიონის „ცხორების" ჩართვამ გააფართოვა კრებულის შინაარსი და დანიშნულება. თუ „ათონის კრებულის" პირველი რედაქცია მოაზრებული იყო როგორც ეფთვიმეს სამახსოვრო წიგნი და ძირითადად ეფთვიმეს კულტის პოპულარიზაციას ემსახურებოდა, ილარიონ ქართველის „ცხორების" ჩართვით კრებული გადაიქცა, როგორც ამას აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი[2], საბერძნეთში მოღვაწე პირველ ქართველ მამათა სახსოვარ წიგნად. ახალი შინაარსის შესაბამისად „ცხორებასთან" ერთად აუცილებელი გახდა კრებულის გამდიდრება იოანე ქართველისა და ილარიონ ქართველის საგალობლებით.

მონასტრის ძმობის „იძულებით" ზოსიმე მგალობელმა თავის თავზე აიღო ილარიონის საგალობლის შეთხზვა. ამავე ზოსიმემ იაკობ დეკანოზის თხოვნით დაწერა ეფთვიმე მთაწმინდლის ერთ-ერთი საგალობელი კრებულის პირველი რედაქციისათვის. ვინაიდან ეფთვიმესა და ილარიონ ქართველის საგალობლები ზოსიმეს დაწერილია, ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ „ათონის კრებულის" II რედაქციის ჩამოყალიბება დიდი დროით არ უნდა შორდებოდეს[3] ამ კრებულის I რედაქციის შექმნის დროს.

„ათონის კრებულის" ძველი და ახალი რვეულებრივი აღრიცხვის შესწავლის საფუძველზე გაირკვა კრებულის II რედაქციის შედგენილობა:

1. იოანეს და ეფთვიმეს „ცხორება".
2. ილარიონ ქართველის "ცხორება".
3. ეფთვიმე ქართველის განგება.
4. ილარიონ ქართველის დასდებელი, ზოსიმეს დაწერილი.
5. იოანე ქართველის დასდებელი ეზრა მგალობლისა.
6. სხუანი გალობანი მამისა იოანესნი.

---

[1] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, გვ.431.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის კრებულის..., გვ. 215.

[3] იხ. აქვე „ათონის კრებულის" აღწერილობა, „კრებულში" ხელის მონაცვლეობისა და რვეულებრივი აღრიცხვის ცხრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დასდებელი ეფთვიმე მთაწმინდლისა, ზოსიმეს დაწერილი.
8. სხუანი გალობანი ეფთჳმესნი, ბასილის დაწერილი.
9. ალაპნი მონასტრისანი.
10. ცხორებაჲ და ქადაგებაჲ იოანე ღმრთისმეტყუელისაჲ.

საინტერესოა, როგორ ხდებოდა „ათონის კრებულის“ ახალი მასალით შევსება და ვინ იყო II რედაქციის შექმნის ინიციატორი? გავყვეთ ჩამატებული მასალის განხილვას:

როგორც ზემოთ ითქვა, ილარიონის „ცხორებისათვის“ რედაქტორმა გამოიყენა 1035–1041 წლებში (გრიგოლის მამობის დროს) დაწერილი ტექსტი. „ცხორების“ ტექსტს უკავია სამი (**თ**, **ი**, **ია**) რვეული. ტექსტი მთავრდება **ია** რვეულის უკანასკნელი ფურცლის (89)r-ზე. ამ ფურცლის ვერსოზე კი იოანე თაფლაისძის ხელით, წვრილი სწორი ნუსხურით დაწერილია ეფთვიმე მთაწმინდლის ხსენების დღის განგება. ეს განგება გიორგი მთაწმინდლის შედგენილი ჩანს მას შემდეგ, რაც მან დიდ ეკლესიაში გადაასვენა ეფთვიმე, იოანე ქართველი, არსენ ნინოწმინდელი და იოანე გრძელისძე, შექმნა ქართველ წმინდა მამათა სამარტვილო (სამარხო) და მათი ხსენების საერთო დღედ ეფთვიმეს ხსენების დღე, 13 მაისი, დააწესა[1].

ცნობას 13 მაისის განგების შესახებ „ათონის კრებულში“ პირველად ვხვდებით გიორგი მთაწმინდლის ანდერძში, რომელიც მოთავსებულია გიორგისეული იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების ბოლოს. ანდერძში ვკითხულობთ: „გაუკუეთეთ ზეთი... სამსახურებელად სამარხოსა მათ წმიდათა მამათათჳს, რომელ იმსახურებოდის თუესა მაისსა **იგ**, დღესასწაულსა ამის [ეფთჳმის] წმიდისასა“[2].

ანდერძიდან აშკარაა, რომ გიორგი მთაწმინდელს თითონ შეუდგენია სამარტვილოს შექმნისა და იქ წმინდა მამათა გადასვენების შემდეგ 13 მაისის განგება წმინდა მამათათვის, განწესებული ეფთვიმეს ხსენების დღეს.

---

[1] გ ი ო რ გ ი  მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, § 118, გვ. 54; ეს დასტურდება „განგების“ ტექსტიდანაც: „ხოლო სერობისაჲ ილოცონ სამარტჳლოსა წინაშე წმიდისასა, შეამკონ სამარტჳლოჲ წესისაებრ და აღანთნენ კერეონნი დიდნი ახუსებისანი ოთხნი წინაშე სამარტჳლოსა“ („ათონის კრებული“, გამოცემა, გვ. 109). სხვათა შორის, ეს ტექსტი იმასაც ადასტურებს, რომ 1042–1044 წლებში სამარტვილეში გიორგი I დიდი (ვარაზვაჩე) ჯერ გადასვენებული არ იყო.

[2] „ათონის კრებული“, გვ.68.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძი არ შეიცავს განგების სრულ ტექსტს. როგორც უკვე ითქვა, 13 მაისის განგების სრული ტექსტი „ათონის კრებულში" პირველად შეიტანა იოანე თაფლაისძემ, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა სამარტვილოს შექმნისა და წმინდა ქართველ მამათათვის 13 მაისს, ეფთვიმეს ხსენების დღეს, ერთობლივი ხსენების დღის დაწესების მნიშვნელობა და ამ დღის ლოცვის განგების განწესების აუცილებლობა გიორგი მთაწმინდელის მიერ. ამ გზით იოანე თაფლაისძემ შთამომავლობას შემოუნახა გიორგი მთაწმინდელის ეს ნაღვაწი[1].

„განგების" ტექსტი ერთ თავისუფალ გვერდზე ვერ მოთავსებულა, გადამწერი იძულებული გამხდარა ბოლო ოთხი სტრიქონი ამავე გვერდის კიდის გასწვრივ მიეწერა, რაც იმას მოწმობს, რომ იოანე თაფლაისძეს „განგების" ტექსტი კრებულის II რედაქციის შედგენის შემდეგ უნდა მიეწერა. იოანე თაფლაისძის ხელს ვხვდებით ამავე II რედაქციის სხვა დამატებით (ჰიმნოგრაფიულ) მასალაშიც.

საინტერესოა „ათონის კრებულის" II რედაქციაში იოანე თაფლაისძის მიერ შეტანილი „განგების" შედარება გიორგი ათონელის „დიდი სვინაქსრის" განგებასთან, რომელიც 13 მაისს არის დადებული[2]. გიორგი ათონელის „დიდი სვინაქსარი", როგორც ცნობილია, თარგმნილია მისი დეკანოზობის დროს (1042–1044 წლებში).

ამის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ სვინაქსარში შეტანილი განგება უფრო ადრეულია, ვინემ „ათონის კრებულის" განგება. ორივე განგების ავტორად გიორგი ათონელი გვესახება. სვინაქსრისეული განგება განწესებულია სქემატური სახით, ხოლო „ათონის კრებულისეული" განგება ბევრად უფრო სრულია კომპონენტების სიუხვის თვალსაზრისით.

„ათონის კრებულში" ილარიონის დასდებელს უკავია II რვეულებრივი სათვალავის იბ რვაფურცელა რვეულის პირველი ექვსი ფურცელი. დასდებლის ავტორია, როგორც ზემოთ ითქვა, ზოსიმე ჰიმნოგრაფი.

დასდებლის ანდერძში ვკითხულობთ: „ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, ქრისტეს მოყუარეთა პატიოსანთა ძმათათჳს, რომელთა სიტყჳთა ვიიძულე გალობად მამისა ჩუენისა პატიოსნისა ილარიონისა

---

[1] „ათონის კრებული", გვ. 109

[2] გიორგი მთაწმინდელის „დიდი სჳნაქსარი", H 2211, 13 v.

მე, უღირსი ზოსიმე, რომელი-ესე არცა თუ სახელის-დებად მისა ღირს ვიყავ. თუ კეთილ იყვნენ, სასყიდელი მათი არს, ხოლო ნაკლულევანებაჲ ჩემისა უსწავლელობისა არს.

წმიდაო ილარიონ, შეიწყალე მონაჲ შენი იაკობ, მღდელი ქრისტესი, და მწერალიცა შეიწყალე".

იმავე ზოსიმემ 1076 წელს გადაწერა გიორგი მთაწმინდლის „თუენი". ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მთაწმიდას, ლავრასა შინა დიდებულსა ქართველთასა, კელითა უღირსისა ზოსიმე მონაზონისაჲთა. ოდეს ესე დაიწერა, ქრონიკონი იყო **სჟვ**, ინდიქტიონი **იდ**, იყო ბერძენთა ზედა მეფჱ მიხაილ დუკიწის ძჱ, ხოლო აფხაზეთს – გიორგი, ძჱ ბაგრატისი, ხოლო წინამძღვარი ლავრისა ჩუენისა – წმიდაჲ მოხუცებული გიორგი ოლთისარი" (Ath. 54)[1].

თვენის ანდერძისაგან განსხვავებით, დასდებლის ანდერძში არ არის მოხსენიებული ლავრის წინამძღვარი გიორგი ოლთისარი. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ილარიონის დასდებელი უნდა დაწერილიყო გიორგი ოლთისარის მამობიდან გადადგომის (1077 წ.) შემდეგ[2], მაგრამ იაკობის სიცოცხლეში, მისი აქტიური ხელშეწყობით.

ანდერძიდან აშკარაა, რომ ილარიონის საგალობელი ზოსიმემ პატიოსან ძმათა იძულებით დაწერა. ალბათ, ერთი მათგანი და მთავარი იაკობ მღვდელი იყო.

ზოსიმეს ანდერძის საფუძველზე შეიძლება ისიც განისაზღვროს, თუ რა დროს უნდა გაევლო სავარაუდოდ ათონის კრებულის I რედაქციიდან მეორე რედაქციის შექმნამდე. პირველი რედაქცია ჩამოყალიბდა, დაღალისონელის ანდერძის მიხედვით, 1074 წელს, გიორგი ოლთისარის მამობის დროს, იაკობ დეკანოზის მონაწილე-

---

[1] R. B l a k e, Catalogue..., p. 245.

[2] როგორც ჩანს, გიორგი ოლთისარი 1080 წელს ცოცხალია, მაგრამ წინამძღვარი უკვე ნიკოლა პროტოსვინგელოზია. ივირ.№ 42 ბერძნულ დოკუმენტს, რომელიც 1080 წლით თარიღდება, ერთდროულად ხელს აწერს ქართველთა მონასტრის ორი წარმომადგენელი (ეს იშვიათი შემთხვევაა): მონასტრის წინამძღვარი ნიკოლა პროტოსვინგელოზი და გიორგი ბერი და მამა. საფიქრებელია, ეს არის გადამდგარი წინამძღვარი გიორგი ოლთისარი, საპატიო ეპითეტებით (ბერი, მამა) შემკული (ბერი, იგივე ბერძნული γέρων, მონასტრის საკრებულოში გამორჩეული, დიდი ავტორიტეტის მქონე მოძღვარი).

ობით თუ ინიციატივით. ილარიონის დასდებლის ანდერძში კი გიორგი ოლთისარი აღარ იხსენიება. როგორც ითქვა, საფიქრებელია, ის ამ დროისთვის ან გარდაცვლილია, ან გადამდგარი. მაშასადამე, ათონის კრებულის II რედაქციის შექმნაზე ზრუნვა უნდა დაეწყოთ 1077–1078 წლების შემდეგ.

როგორ უნდა ავხსნათ ათონის კრებულის II რედაქციაში იოანე ქართველის ორი დასდებლის ტექსტის ფარგლებში სამი სხვადასხვა ხელის მონაცვლეობა?

სანამ ამ საკითხზე პასუხის გაცემას შევეცდებოდეთ, საჭიროა „ათონის კრებულის“ ხელნაწერის ერთ თავისებურებაზე გავამახვილოთ ყურადღება. „ათონის კრებულის“ II რედაქციის რედაქტორმა, განიზრახა რა კრებულის ახალი მასალით შევსება, სცადა ეს დანამატი მასალა ისე შეეტანა კრებულში, რომ კრებულის რვეულების შიგნითა დანაწევრება არ გამხდარიყო საჭირო. ამიტომ ჩასამატებელი მასალაც იმ ვარაუდით მზადდებოდა, რომ ტექსტი სრული რვეულების ფარგლებში მოთავსებულიყო, ვინაიდან რვეულად შეკრული მასალის ჩართვა კრებულში სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამას აადვილებდა ის, რომ კრებულის I რედაქციაში შესული ნაწარმოებებიც ყოველთვის სრულ რვეულებში თავსდებიან. ასე, მაგ.: იოანეს და ეფთვიმეს „ცხორების“ ტექსტს კრებულში ეკავა ა–ჱ რვეულები მთლიანად; ეფთვიმეს ორ დასდებელსა და „სააღაპე წიგნს“ ერთად ეკავათ თ–ია რვეულები მთლიანად, ხოლო იოანე მახარებლის „ცხორებასა და ქადაგებებს“, რომლითაც კრებული სრულდებოდა, ეკავა იბ–ით რვეულები მთლიანად და სამფურცლიანი კ რვეული.

ათონის კრებულის ახალი მასალით დაკომპლექტებისას, ე.ი. კრებულის II რედაქციის შექმნის პროცესში, რედაქტორი ამავე პრინციპს იცავდა. როდესაც მან შეუცვალა ადგილი ეფთვიმეს დასდებლებისა და სააღაპე წიგნის სამ რვეულს, მათ მაგივრად კრებულში ჩასვა ილარიონის „ცხორება, რომელმაც აგრეთვე სამი რვეული დაიკავა, დაუწერელი დარჩა მხოლოდ მესამე რვეულის უკანასკნელი გვერდი. ილარიონის „ცხორებას“ II რედაქციაში მოჰყვა ახალი მასალა – ილარიონისა და იოანეს დასდებლები, რომელთაც ერთად დაიკავეს ორი რვეული. აქაც დაუწერელი დარჩა მეორე რვეულის უკანასკნელი ფურცელი და წინა გვერდის მცირე ნაწილი. ილარიონისა და იოანეს დასდებლებს II რედაქციაში

მოსდევდა (ასეთივე თანამიმდევრობაა III რედაქციაშიც) ეფთვიმეს ორი დასდებელი და საღაპე წიგნი (3 რვეული, როგორც ეს I რედაქციაში იყო). II რედაქციაში „კრებულს ამთავრებდა იოანე მახარებლის „ცხორება“.

როგორც ითქვა, კრებულის II რედაქციას ჩაემატა ილარიონ ქართველის „ცხორება“ და ილარიონისა და იოანეს დასდებლები. მთელი ეს მასალა მოთავსდა იოანეს და ეფთვიმეს „ცხორების“ შემდეგ და ეფთვიმეს დასდებლების წინ. ამდენად, დაჯგუფდა და ერთმანეთის მიმდევრობით მოთავსდა „ცხორებები“ და შემდეგ საგალობლები. მთავრდებოდა კრებული, როგორც ითქვა, იოანე მახარებლის „ცხორება-ქადაგებით“.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ამ ჩამატებებმა არ მოითხოვა პირველი რედაქციის რვეულების დაშლა და უმტკივნეულოდ მოთავსდა „ათონის კრებულის“ II რედაქციაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ათონის კრებულის“ პირველი, დიდალისონელისეული რედაქციის ინიციატორი და რედაქტორი არის იაკობ დეკანოზი[1].

იგივე იაკობ დეკანოზია აღიარებული II რედაქციის რედაქტორად[2]. ამაში შეუძლებელი არაფერია, ვინაიდან იაკობ დეკანოზი, მიქაელ დიდალისონელი, გიორგი ოლთისარი, ზოსიმე ჰიმნოგრაფი, ათონელ მოღვაწეთა ეს ჯგუფი იღვწოდა „ათონის კრებულის“ შექმნისათვის: მიქაელ დიდალისონელმა დაწერა „ათონის კრებულის“ I რედაქცია, ეს სამუშაო მას შეუსრულებია იაკობ დეკანოზის განზრახვით, ზოსიმე ჰიმნოგრაფს იმავე იაკობ მღვდლის იძულებით დაუწერია ეფთვიმე მთაწმინდლის საგალობელი.

მწიგნობართა ამ ჯგუფს სისრულეში მოუყვანია და განუხორციელებია ამ დროისათვის უკვე მომწიფებული გიორგი მთაწმინდლის ჩანაფიქრი- შექმნილიყო ეფთვიმეს კულტის წერილობითი დადასტურება „ათონის კრებულის“ დიდალისონელისეული რედაქციის სახით.

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის კრებულის..., გვ. 212, 215.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 212.

მაგრამ, სამწუხაროდ, იმ აზრს, რომ იაკობ დეკანოზი იყო II რედაქციის ინიციატორი და რედაქტორი, ერთი დიდი წინააღმდეგობა ახლავს: ეს არის ის გარემოება, რომ „ათონის კრებულის“ II რედაქციაში ჩამატებული თხზულებების (ილარიონ ქართველის „ცხორება“, იოანე ქართველის ორი საგალობელი და ილარიონის ზოსიმესეული საგალობელი) უმეტესი ნაწილი დაწერილია იოანე თაფლაისძის ხელით. ეს თხზულებებია: ილარიონის საგალობელი, იოანე ქართველის ორი საგალობელი, 13 მაისის განგება ეფთვიმეს სახელზე. რაც შეეხება ილარიონ ქართველის ცხოვრებას, იგი შექმნილია მიქაელ დაღალისონელის რედაქციაზე (1074 წ.) ბევრად ადრე, გრიგოლის მამობის წლებში (1035-1041 წწ.) და დაწერილია უცნობი გადამწერის ხელით.

როგორ შეიძლება აიხსნას იოანე თაფლაისძის მონაწილეობა II რედაქციაში?

აქ ორი ვარაუდის დაშვება შეიძლება: ან 1) იაკობ დეკანოზი არის „ათონის კრებულის“ II რედაქციის რედაქტორი, მას II რედაქციაში დამატებით შეუტანია ილარიონ ქართველის ცხოვრება, დაწერილი 1041 წლამდე, ხოლო დაახლოებით საუკუნის შემდეგ, 1120-1140 წლებში იოანე თაფლაისძეს II რედაქციისათვის დაუმატებია თავისი ხელით დაწერილი იოანეს და ილარიონის საგალობლები.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ გამოდის, რომ II რედაქცია ორ ეტაპად შექმნილა.

ან 2) „ათონის კრებულის“ II რედაქცია შეუქმნია იოანე თაფლაისძეს XII საუკ. I ნახევარში (1120-1140 წლებში). ამას ადასტურებს მისი ხელით დაწერილი თხზულებების (იოანეს და ილარიონის საგალობლების) გაჩენა II რედაქციაში. რაც შეეხება ილარიონ ქართველის ცხოვრებას, დაწერილს ბევრად ადრე, 1041 წლამდე, განა არ შეიძლება ისიც იოანე თაფლაისძეს შეეტანა თავის მიერ შექმნილ რედაქციაში, რათა, როგორც ითქვა, „ათონის კრებულში“ წარმოდგენილი ყოფილიყო ილარიონ ქართველის კულტის ამსახველ თხზულებათა (ცხოვრება, საგალობელი) სრული კომპლექტი?

ასეა თუ ისე, იოანე თაფლაისძე გვესახება დამასრულებელ-დამაგვირგვინებლად II რედაქციისა, რომლის დედააზრი იყო „ათონის კრებულის“ დაღალისონელისეული რედაქცია გადაექცია საბერძნეთში მოღვაწე პირველ ქართველ მამათა მოსახსენებელ კრებულად.

ძნელია იმის გარკვევა, თუ როდის შეავსო იოანე თაფლაისძემ ახალი მასალით „ათონის კრებულის" II რედაქცია – როდესაც აღაპთა შევსება – გავრცობას შეუდგა, რის შედეგადაც მივიღეთ III რედაქცია, თუ მანამდე. უფრო საფიქრებელია, რომ ეს მომხდარიყო სააღაპე წიგნის გავრცობა-შევსების შემდეგ.

„ათონის კრებულის" II რედაქციამ მოგვიანებით კვლავ განიცადა ცვლილებები, რის შედეგადაც მივიღეთ კრებულის III რედაქცია, რომელიც მიზანდასახულობით და ძირითადი მასალით II რედაქციისაგან არ განსხვავდება. შეივსო და გაფართოვდა მხოლოდ სააღაპე წიგნი, რისთვისაც საჭირო გახდა სააღაპე წიგნის გადატანა კრებულის ბოლოს ეფთვიმეს დასდებლებითურთ, რათა სააღაპე წიგნს გავრცობისა და გაზრდის პერსპექტივა ჰქონოდა. ეს სამუშაო თავის თავზე იაღო იოანე თაფლაისძემ ლავრის წინამძღვრის, იოანე კალაკალას ბრძანებით, როგორც გვამცნობს სააღაპე წიგნის ბოლოს მოთავსებული იოანე თაფლაისძის ანდერძი (№ 166).

ამ წინასწარი შენიშვნის შემდეგ შეგვიძლია მივუბრუნდეთ ზემოთ დასმულ საკითხს: როგორ უნდა ავხსნათ იოანე ქართველის ორი დასდებლის ფარგლებში სამი ხელის მონაცვლეობა? ამას, ალბათ, მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: იოანე ქართველის პირველი დასდებელი კრებულის II რედაქციაში ჩაერთო ილარიონის დასდებლის შემდეგ. ამ საგალობელმა დაიკავა **იბ** რვეულის უკანასკნელი ორი ფურცელი (163-164) და **იგ** ექვსფურცელა რვეულის ხუთი ფურცელი (165-169). მეხუთე ფურცლის (169) მცირე ნაწილი და მეექვსე ფურცელი (170) მთლიანად დაუწერელი დარჩა. დაწერილია დასდებლის დასაწყისი XI საუკ. მსხვილი ნუსხურით. დარჩენილი თავისუფალი ადგილი იოანე თაფლაისძეს თავისი ხელით შეუვსია და ჩაუწერია იოანე ქართველის II დასდებელი. საამისოდ შეურჩევია მცირე მოცულობის ტექსტი[1]. ვინაიდან ადგილი დასდებლისათვის ცოტა იყო, თაფლაისძეს მაქსიმალურად მჭიდროდ, წვრილი ნუსხურით დაუწერია ტექსტი, მაგრამ ვერ მოუთავსებია იგი და რამდენიმე სტრიქონი გადაუტანია **იდ** რვეულის პირველი ფურცლის ზედა თავისუფალ კიდეზე (171r). ჩანს, დროთა ვითარებაში სწორედ **იგ** რვეულის ხუთი ფურცელი დაზიანებულა. გადარჩა მხოლოდ

[1] საგალობლის თითოეული გალობა 3-4 ტროპარს შეიცავს, კანონს არ ახლავს მცირე ფორმის გალობები.

თაფლაისძის დაწერილი ეტრატის მეექვსე ფურცელი. დაზიანებული ფურცლები (5) XII საუკ. კალიგრაფიული ნუსხურით აღუდგენიათ ქაღალდის ფურცლებზე იმ ვარაუდით, რომ ტექსტი ბუნებრივად გაგრძელებულიყო თაფლაისძის დაწერილ მეექვსე ფურცელზე. ამის გამო გადამწერს დასჭირდა მეხუთე ფურცლის (169v) უფრო მეჩხერად წერა, რათა შეევსო გვერდი. ხელი, რომლითაც აღდგენილია ტექსტი, უნდა ეკუთვნოდეს ნიკოლოზ გულაბერისძეს (იხ. ტაბ. $X_3$), რომელიც ათონის ქართველთა ლავრაში მოღვაწეობდა 1078-1083 წლებში.

წარმოდგენილი ვარაუდი ნათელყოფს, თუ რატომ არის დაწერილი იოანე ქართველის ორი დასდებელი სამი სხვადასხვა ხელით სხვადასხვა მასალაზე.

„ათონის კრებულის" I და II რედაქციებზე ჩატარებული სამუშაოს სახეობათა გამოყოფა ხელნაწერის კოდიკოლოგიური შესწავლის საფუძველზეა წარმოდგენილი.

თუ რა ხასიათის ცვლილებები განიცადა სააღაპე წიგნმა „ათონის კრებულის" III რედაქციაში, ამას სპეციალურად შევეხებით, ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ კრებულის II რედაქციას, რათა იქ შეტანილი ჰიმნოგრაფიული მასალა განვიხილოთ რაობის, ავტორებისა და დაწერის დროის თვალსაზრისით.

## „ათონის კრებულის" ჰიმნოგრაფიული მასალა

„ათონის კრებულის" I რედაქციაში შეტანილი იყო მხოლოდ ორი დასდებელი, ორივე ეფთვიმეს სახელზე დაწერილი. ეს სავსებით შეეფერებოდა კრებულის I რედაქციის მიზანდასახულობას: შექმნილიყო ეფთვიმეს სამახსოვრო წიგნი.

რაკი ეფთვიმეს ორივე დასდებელი კრებულის I რედაქციის კუთვნილებაა, მათი დაწერის დრო კრებულის შექმნის თარიღს (1074) ვერ გადასცილდება. I დასდებლის ანდერძიდან ჩანს, რომ ავტორი საგალობლისა ზოსიმე მგალობელია, ათონის მოღვაწე, რომელმაც ეს საგალობელი დაწერა იაკობ მღვდლის „იძულებით"[1]. იაკობ

[1] „ათონის კრებულის" ყველა საგალობელი გამოცემულია ათონის კრებულის სხვა მასალასთან ერთად („ათონის კრებული", გვ. 177-215). ზოსიმეს საგალობელს გამოცემაში უკავია 202-208 გვ.

მღვდელი კი იგივე იაკობ დეკანოზია, რომელიც კრებულის I რედაქციის დამწერის, მიქაელ დაღალისონელის, ანდერძშია მოხსენიებული.

ზოსიმეს საგალობლის ძირითადი წყაროა იოანე და ეფთვიმეს „ცხორება“. დასდებელი შეიცავს გალობებსა და სტიქარონებს (უფალო ღაღადყავსსა და აქებდითსა). თითოეული გალობა შედგება 4 ტროპარისაგან. „გალობათა“ ძლისპირებად აღებულია იოანე დამასკელის იამბიკურ ძლისპირთა აკოლუთია (Eu 9). ყოველი გალობის მეოთხე ტროპარი ღვთისმშობელს ეხება, მაგრამ არ არის შეწყვილებული დამასკელის ძლისპირებთან. შესაძლოა, ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარებიც ზოსიმეს ორიგინალური შემოქმედება იყოს[1].

ეფთვიმეს მეორე დასდებელიც ათონის კრებულის I რედაქციის კუთვნილებაა, დასდებელი აკროსტიქულია, „რომლისა თავნი იტყჳან: „ღმერთშემოსილსა ეფთჳმეს გლახაკი ბასილი შეასხამს“[2]. დასდებელი შედგება ცხრაოდიანი კანონისა და სტიქარონებისაგან. გალობათა ძლისპირებად გამოყენებულია კოზმა იერუსალიმელის ძლისპირთა აკოლუთია (Eu-286)[3]. მთელი გალობანი ერთ აკოლუთიაზეა გაწყობილი ისევე, როგორც ზოსიმეს წინა დასდებელი. ყოველი გალობის მეოთხე ტროპარი ღმრთისმშობლის შესხმაა და მიესადაგება შესაბამის ძლისპირს კოზმას აკოლუთიიდან. როგორც ძლისპირი, ასევე ღმრთისმშობლისაჲ მითითებულია დასაწყისი სიტყვებით. სტიქარონების ძლისპირებიც იძებნება ქართულ ირმოლოგიონში (იხ. A-85).

---

[1] ეს ღმრთისმშობლისები არც ირმოლოგიონებში ჩანს.

[2] „ათონის კრებული“, გვ. 209-215. ანალოგიური აკროსტიქი ახლავს იოდასაფის სახელზე დაწერილ საგალობელს, რომელიც დაუცავს გოლგოთურ თვენს (Ier. 42): „ იოდასაფს ღმრთივგვირგვინოსანსა მეფესა გლახაკი ბასილი შეასხამს“. აკროსტიქების მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ეფთვიმესა და იოდასაფის საგალობელთა ავტორი ერთი პირია: გლახაკი ბასილი (ბაგრატის ძე). ამასთან დაკავშირებით იხ. H. Métrévéli, Un nouveau sur l' hymne de Ioasaphe. - Le Muséon, t. 100, fasc. 1-4, 1987, p. 255. თუ რატომ არის აკროსტიქში ავტორი მხოლოდ სახელით წარმოდგენილი და არა ისე, როგორც მას გიორგის „ცხორებაში“ უწოდებენ – ბასილი ბაგრატის ძე, ვფიქრობთ, ამასაც ეძებნება ახსნა: აკროსტიქის შედგენის სირთულემ მოითხოვა ავტორის სახელის შემოკლება-გამარტივება.

[3] Εἱρμολόγιον ἐκδιδόμενον ὑπὸ μητροπολίτου Λεουντοπόλεως Σωφρονίου Εὐστρατιάδου. 1932.

ამრიგად, ბასილის საგალობელი იცავს ბიზანტიური კლასიკური საგალობლის აგების ყველა ნორმას. საგალობელში იოანეს და ეფთვიმეს „ცხორების“ გამოყენებისა თუ გავლენის კვალი არ ჩანს, ამიტომ კ. კეკელიძეს სამართლიანად მიაჩნია, რომ ეფთვიმეს დასდებელი დაწერილი უნდა იყოს ეფთვიმეს გარდაცვალების († 1028 წ.) უმალ იოანეს და ეფთვიმეს „ცხორების“ შექმნამდე (1042-1044)[1].

არავითარი ცნობები არ გაგვაჩნია დასდებლის ავტორის ბასილის შესახებ. კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ ეფთვიმეს დასდებლის ავტორი ბასილი არ უნდა იყოს ცნობილი ჰიმნოგრაფი ბასილი ბაგრატის ძე[2]. ვფიქრობთ, რომ ამის კატეგორიულად უარყოფა ძნელია: ბასილი ბაგრატის ძე ხახულის მოღვაწეა, მაგრამ თავისი მოღვაწეობის უკანასკნელი წლები მან ათონის ლავრაში გაატარა. ის თავის თავს ეფთვიმეს მოწაფედ თვლიდა — ეფთვიმეს გარდაცვალების უმალვე მიუძღვნა მას საგალობელი[3], რომელიც ნარევ ძლისპირთა აკოლუთიაზეა გაწყობილი. ამავე აკოლუთიაზე დაიწერა ეფთვიმეს კიდევ ერთი საგალობელი, რომელიც გიორგი მთაწმინდელს მიეწერება (Eu 315, Eu 321, Eu 322, Eu 323, Eu 325)[4]. არ არის გამორიცხული, რომ ბასილი ბაგრატის ძეს ეფთვიმეს სახელზე მეორე საგალობელიც დაეწერა (ძლისპირთა სხვა აკოლუთიაზე Eu 286), რომელიც შესულია ათონის კრებულის I რედაქციაში[5]. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ ბასილის საგალობელი ადრეა დაწერილი (1042-1044 წლამდე), ეფთვიმეს გარდაცვალებით მიღებული უშუალო შთაბეჭდილებით[6].

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 235.

[2] ი ქ ვ ე, ბასილი ბაგრატის ძის შესახებ იხ. ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური..., გვ. 183-205.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 208-212.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 206-208.

[5] ჩვენი ეს ვარაუდი, რა თქმა უნდა, სავსებით ვერ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ იოდასაფისა და ეფთვიმეს საგალობელთა ავტორი იყო ბასილი ბაგრატის ძისა და ეფთვიმეს თანამედროვე, ეფთვიმეს მოწაფე, ვინმე გლახაკი ბასილი, მაღალი რანგის ჰიმნოგრაფი, რომელიც თავისი ხელოვნებით არ ჩამოუვარდება ბასილი ბაგრატის ძეს. ამ საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია ბასილისა და ბასილი ბაგრატის ძის საგალობელთა საფუძვლიანი შედარება და თითოეული ამ ავტორის პოეტური თავისებურებების შესწავლა.

[6] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ქართული ორიგინალური..., გვ. 208-214.

თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხორებაც“, უკანასკნელი დროის გამოკვლევების თანახმად, ბასილი ბაგრატის ძის დაწერილად არის მიჩნეული[1], მაშინ ბასილი ჰიმნოგრაფისა და ბასილი ბაგრატის ძის გაიგივებას არაფერი შეუშლის ხელს.

„ათონის კრებულში“ შეტანილი დანარჩენი სამი საგალობელი (ერთი – ილარიონ ქართველისა, ორი – იოანე ქართველის სახელზე) ამ კრებულის II რედაქციის კუთნილებაა. ილარიონის საგალობლის ავტორია ზოსიმე მგალობელი[2], რომელმაც თავს იდვა საგალობლის დაწერა „პატიოსან მამათა“ იძულებით. საგალობლის ანდერძში (იხ. ზემოთ „ათონის კრებულის“ აღწერილობა) მოხსენიებულია იაკობ მღდელი და გალობათა მწერალი (ამ ტექსტის დამწერი). იაკობი ზოსიმესთან ერთად მონაწილეობას იღებდა ათონის კრებულის I რედაქციის შექმნაში. საგალობლის მწერლის ვინაობა უცნობია. დასდებელი შედგება ცხრაოდიანი კანონისაგან („გალობანი“) და მცირე ფორმის გალობებისაგან: უფალო ღაღადყავსა, აქებდითსა და „სტკქარონნი ამისვე წმიდისა მამისანი“. თითოეული გალობა ხუთტროპარიანია, მეოთხე ტროპარი სამებას ეძღვნება, მეხუთე – ღმრთისმშობელს. გალობებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა აკოლუთიების ძლისპირები: Eu- 314α', γ', ε', ϑ'; Eu 315 ς'; Eu 316 δ'; Eu 322 η'. მეშვიდე („კურთხეულ არსა“-ს) გალობისათვის გამოყენებულია ქართული ძლისპირი, რომელიც დადასტურებულია ნევმირებულ ძლისპირთა კრებულში (A 603)[3], და რომლის ბერძნული მოდელი ვერ იძებნება. თითოეული გალობის მეხუთე ტროპარი (ღმრთისმშობლისაჲ) არ შეესაბამება ძლისპირს. საფიქრებელია, ისინიც ქართული ორიგინალური ტროპარებია.

ილარიონ ქართველის დასდებელს კრებულში მოსდევს იოანე ქართველის ორი დასდებელი: 1. თუესა ივნისსა **იდ**. მამისა ჩუენისა იოანე ქართველისა, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ[4]. გალობათა აკროსტიქში იკითხება: „ადიდენ აწ მამაჲ იოვანე ულირსისა ეზრაჲს მიერ“. საგალობელი დაწერილი უნდა იყოს გიორგი მთაწმინდლის გარდაცვალების შემდეგ. ამას მოწმობს „გა-

[1] ძეგლები, IV, გვ. 46-96.

[2] „ათონის კრებული“, გვ. 177-186.

[3] ნევმირებული ძლისპირნი, გვ. 777, № 751.

[4] „ათონის კრებული“, გვ. 187-201.

ლობათა“ ერთ-ერთი ტროპარი, სადაც გიორგი გარდაცვლილი ჩანს. „სარკედ ბრწყინვალედ აღწერით დაგჳტევა ცხორებაჲ თქუენი მუშაკმან მან სიბრძნისამან [გიორგი მთაწმინდელმა] და შთამხედველ გუყვნა ელვარებასა თქუენსა, რომლისა-იგი ზიარ იყო სულითა და მობაძავი თქუენთა სათნოებათა“[1]. დასდებელში „ცხორების“ მასალა ფართოდ არის გამოყენებული. დასდებელი წარმოადგენს შესხმას ერთდროულად იოანე ქართველისა და ეფთვიმესი. მოხსენიებულნი არიან აგრეთვე „ნეტარნი სამებისა მსახურნი, არსენი, იოანე და იოანე“[2]. დასდებლის სახელწოდებაში იოანე ქართველი ლავრის ერთპიროვნულ მაშენებლად არის მიჩნეული. გალობებში მამა-შვილი ზოგჯერ ერთად არიან ლავრის მაშენებლად გამოცხადებული: „ვადიდებდით ქრისტესა ღმერთსა, რომელმან გამოაჩინნა ნეტარნი ესე და მჴნენი მოღუაწენი – იოანე და ეფთჳმე, რომელთაცა აღაშენეს ლავრაჲ ესე დიდებული და წმიდაჲ ეკლესიაჲ, რომელსა შინა მდგომარე ვართ და სურვილით აღვასრულებთ დღესასწაულსა მათსა“[3]. „გალობათა“ ტექსტს ახლავს მცირე ფორმის საგალობლები, სადაც ხან ერთად არიან შექებულნი მამა-შვილი, ხან კი ცალ-ცალკე.

ეზრა XI საუკუნის მეორე ნახევრის ჰიმნოგრაფია. მისი „გალობანი“ აღბეჭდილია მაღალი პროფესიონალიზმით, სიღრმით და პოეტური ენის სინატიფით. გალობის ძლისპირებად გამოყენებულია იოანე არკლას იამბიკური აკოლუთია (Eu-50). მეხუთე ტროპარი ყოველი გალობისა ღმრთისმშობლის შესხმაა, მაგრამ არა ის, რომელიც ჩვეულებრივ შეწყვილებულია ძლისპირთან. დასდებელში შესულია „გალობანი“ და მცირე ფორმის გალობები, რომლებიც „გალობათა“ ტექსტს ერთვის დასაწყისში და ბოლოს. ყოველი გალობა ხუთტროპარიანია. დასდებელში შექებულნი არიან იოანე და ეფთვიმე, მათი თანამოღვაწენი და გიორგი მთაწმინდელი. ეზრას დასდებელი ერთადერთია „ათონის კრებულში“ შესულ საგალობელთა შორის, სადაც შეფასებულია გიორგი მთაწმინდლის ღვაწლი და მის მიერ დაწერილი იოანეს და ეფთვიმეს „ცხორება“.

ეზრა მთაწმინდლის ვინაობის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება[4].

---

1 „ათონის კრებული“, გვ. 195.

2 ი ქ ვ ე, გვ. 193.

3 ი ქ ვ ე, გვ. 189.

4 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის..., I, გვ. 234-235.

2. „სხუანი გალობანი წმიდისა მამისა იოანესნი.ჳჲ დ გი“. გალობანი იოანე თაფლაისძის ხელით არის ჩაწერილი კრებულში. კანონი („გალობანი“) შეიცავს რვა გალობას, რომელთაც ერთვის ერთი იბაკოჲ და ერთი სტიქარონი (ორტროპარიანი). გალობის ავტორის ვინაობა და გალობის დაწერის დრო შეიძლება დაახლოებით განისაზღვროს. ზემოთ განხილულ საგალობლებთან შედარებით, იოანეს მეორე „გალობანი“ უფრო მარტივი აღნაგობისაა, თითოეული გალობა შეიცავს სამ ტროპარს. მას არ ახლავს მეოთხე ტროპარი – ღმრთისმშობლისაჲ. არ ახლავს არც მითითება ძლისპირთან დაწყვილებულ „ღმრთისმშობლისას“ დასაწყისზე, როგორც ეს არის ეფთვიმეს II „გალობათა“ შემთხვევაში. „გალობათა“ ეს მარტივი აღნაგობა და სტილიც – სადა, მოკლებული რთულ დოგმატიკური შინაარსის სახეებსა და რიტორიკულ მრავალსიტყვაობას, მიუთითებს საგალობლის სიძველეზე და გვაგონებს თვით ეფთვიმეს თარგმნილ საგალობლებს[1].

„გალობანი“ დაწერილია იოანეს და ეფთვიმეს „ცხორების“ შექმნამდე (1042-1044), ვინაიდან საგალობელში „ცხორების“ გამოყენების კვალი არ ჩანს. „გალობანი“ ღარიბია ფაქტებით მამა-შვილის მოღვაწეობიდან, და თუ მოტანილია რაიმე ეპიზოდი, ისიც სხვაობს „ცხორებისეული“ ვარიანტისაგან. ასე, მაგ.: „გალობათა“ ტექსტში ვკითხულობთ: „სარწმუნოებით მვედრებელსა მას შენსა, ეშმაკისა მიერ ვნებულსა, მიჰმადლე კურნებაჲ შეხებითა გუამისა შენისაჲთა, და აკურთხევდა ქრისტესა ღმერთსა შენ მიერ, ღირსო“[2]. იგივე ეპიზოდი „ცხორებაში“ განსხვავებულად არის გადმოცემული: „და რომელნიცა სარწმუნოებით მოუკდებიან, მადლსა და ლხინებასა ღირს იქმნებიან, რამეთუ ეშმაკეული ვინმე მოუკდა მას ოდესმე და სუა კანდლისა მისგან, რომელ ეკიდა საფლავსა ზედა მისსა და მეყსეულად განიკურნა და ადიდებდა ღმერთსა“[3]. ეს განსხვავება გვაფიქრებინებს, რომ „გალობათა“ ავტორი ამ ეპიზოდის ან თვითმხილველია, ან სარგებლობდა ზეპირი გადმოცემით და არა „ცხორებით“, ორივე შემთხვევაში ეს ფაქტი მხარს უჭერს ჩვენს ვარაუდს, რომ გალობანი უნდა დაწერილიყო „ცხორების“ შექმნამდე. შეიძლება ამ თარიღის

---

[1] ლ. ჯ ღ ა მ ა ი ა, XI საუკუნის..., გვ. 134-142. აქ ავტორი მსჯელობს ეფთვიმე მთაწმინდლის გალობათა თავისებურებებზე.

[2] „ათონის კრებული“, გვ. 199.

[3] „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, გვ. 27, § 44.

უფრო დაკონკრეტება. „გალობათა“ მომდევნო სტიქარონი გალობათა ავტორსავე უნდა ეკუთვნოდეს. სტიქარონში კი არის ასეთი ადგილი: „საზღვრად საღმრთოჲსა ცხორებისა განგჳწესე მოგებად სამწყსოთა შენთა, ნეტარო იოანე, სიმშჳდე და სიწრფოებაჲ, ურთიერთას სიყუარული და მორჩილებაჲ სიმდაბლით უზაკუველი, ხოლო მაცთურმან, გჳხილნა რაჲ დაკსნილობითა შესრულებულნი, ულმობელობაჲ სახედ ღუარძლისა აღმოაცენა ჩუენ შორის და აღმოჰფხორნა ჩუენგან სიყუარულისა და ლმობიერებისა ძირნი. გევედრებით, წმიდაო, კუალად ღირს მყვენ გამოღებად ნაყოფსა საღმრთოსა და მოცემად შვილთა შენთა კურთხევაჲ საუკუნოჲ“[1]. საგალობლის ავტორი საგანგებოდ და დიდი გულისტკივილით წერს ამ ფაქტზე და სურს შეახსენოს მონასტრის საკრებულოს იოანე მაშენებლის ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიცია სახელმძღვანელოდ და მისაბაძად, რათა აღდგეს მონასტერში მშვიდობა და სიყვარული.

აქ უნდა იგულისხმებოდეს უმძიმესი პერიოდი ქართველთა ლავრის ისტორიაში, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ლავრის საკრებულოს ქართველი და ბერძენი ბერები. მათ შორის შუღლმა და ულმობელობამ ლავრა საბოლოოდ განადგურების პირას მიიყვანა (1029–1041 წლები). ეს ციტატა კონკრეტულად უნდა გულისხმობდეს იმ გარემოებასაც, რომ ბერძენთა მხრიდან ქართველთა მიმართ ადგილი ჰქონდა ბრალდებას მონოფიზიტური „ღვარძლის“ გავრცელებაში, რომ ქართულ მართლმადიდებლობაში თავი იჩინა სომხურმა „ღვარძლმა“.

როგორც ჩანს, იოანეს სახელზე დაწერილი ეს დასდებელი, ბასილი ბაგრატის ძის საგალობელთან ერთად, ყველაზე ადრეული ორიგინალური გალობანია, დაწერილი ათონის ქართველთა ლავრაში იქ მოღვაწე ჰიმნოგრაფ მწიგნობართა მიერ. ამის დასტურად გალობათა ტექსტში სხვა მასალაც მოიპოვება: იოანეს და ეფთვიმეს სხვა საგალობლებისაგან გამორჩევით, ამ საგალობელში ავტორი საგანგებოდ ეხება იოანე ქართველის მოღვაწეობას ულუმბოს მთაზე: 1. „წამებენ სათნოებათა შენთათჳს, იოანე, აღმოსავალი და დასავალი და მთაჲ ულუმბოჲ იქადის შენთა შრომათათჳს, მის შორის აღსრულებულთა“[2].

---

[1] „ათონის კრებული“..., გვ. 201.

[2] „ათონის კრებული“, გვ. 198.

2. „გწადოდა, მამაო, უაღრესთა სათნოებათა მოგებად და მთათა ზედა სურვილით იცვალებოდე, ვიდრემდის მიიწიე მთასა მას წმიდასა, სათნოებათა საუნჯესა, და მიერ აჰმაღლდი სიმაღლედ ცათა ზეშთა მოქალაქობითა“[1]. ამ შემთხვევაშიც უთუოდ ულუმბოს მთა იგულისხმება, საიდანაც მან ათონზე გადაინაცვლა.

ყურადღების გამახვილება იოანე ქართველის ულუმბოს მთაზე მოღვაწეობაზე, ჩვენის ფიქრით, უნდა მიუთითებდეს, რომ საგალობელის ავტორი კარგად იცნობდა იოანეს მოღვაწეობის სწორედ ამ პერიოდს, მისი მოწაფე იყო, მასთან ერთად მიატოვა ულუმბო და წავიდა ათონზე: იოანემ „კუალად უცხოებასავე მიჰმართა, რამეთუ აღიღო ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი (მიატოვა ულუმბო – ე.მ.) და მთაწმიდას მოვიდა, ლავრასა დიდისა ათანასესსა“[2] – ვკითხულობთ „ცხორებაში“.

ამრიგად, იოანე თაფლაისძეს „ათონის კრებულში“ თავისი ხელით შეუტანია (შეუვსია იოანე ქართველის პირველი დასდებლის შემდეგ რვეულში დარჩენილი თავისუფალი ფურცელი) ლავრაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე ადრე შეთხზული იოანე ქართველის საგალობელი. ავტორის სახელს ჩვენამდე არ მოუღწევია. ირკვევა მხოლოდ, რომ ეს პიროვნება ყოფილა იოანეს თანამოღვაწე ჯერ კიდევ ულუმბოს მთაზე, და მასვე წაჰყოლია ათონზე. ამრიგად, „ათონის კრებულში“ შეტანილია ქართველ მოღვაწეთა (იოანე ქართველის, ეფთვიმე ქართველისა და ილარიონ ქართველის) სახელზე დაწერილი ხუთი საგალობელი, რომელთა ავტორები არიან ათონის ქართველთა ლავრის XI საუკუნის ჰიმნოგრაფები:

1. ზოსიმე. წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმე მთაწმიდელისა დასდებელნი. I რედაქცია.
2. ბასილი. სხუანი გალობანი მისვე წმიდისანი. I რედაქცია.
3. ზოსიმე. დასდებელნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი. II რედაქცია.
4. ეზრა. დასდებელი მამისა ჩუენისა იოანე ქართველისა, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრაჲ. II რედაქცია.
5. უცნობი ავტორი. სხუანი გალობანი წმიდისა მამისა იოანესნი. II რედაქცია.

[1] „ათონის კრებული“, გვ. 198.
[2] „ცხორება“, გვ. 17, § 12.

## საალაპე წიგნის თავდაპირველი რედაქცია

საალაპე წიგნის ჩამოყალიბებას სათავე დაუდო იოანე სვინგელოზის (თორნიკყოფილის) ალაპმა, რომელიც ახლად აშენებული ქართველთა მონასტრის ძმობამ განუწესა (15 დეკემბერს) მონასტრის მომაგესა და მაშენებელს მას შემდეგ, რაც ქართული საძმო საბოლოოდ გამოეყო ათანასეს ლავრას, სადაც ქართველები შეფარებულნი იყვნენ საკუთარი მონასტრის უქონლობის გამო.

იოანე სვინგელოზმა საკუთარი სახსრებით ააგო ქართველთა მონასტერი, რომლის პირველ წინამძღვრად იოანე ქართველი (ეფთვიმეს მამა) განაწესა.

ასე ჩაუდგა სათავეში ქართველთა მონასტერს ორი დიდი ქართველი – იოანე სვინგელოზი თორნიკყოფილი და იოანე ქართველი. ისინი თავიდანვე შეუდგნენ ზრუნვას ქართველთა მონასტრის არა მარტო ქონებრივ გაძლიერებასა და უფლებრივი მდგომარეობის დაცვა-განმტკიცებაზე, არამედ იღვწოდნენ ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ მოღვაწეთა წარმოჩენისთვის, რომლებსაც უნდა შეექმნათ მონასტრის ეროვნული სახე.

ბუნებრივია, ეს გულისხმობდა მონასტერზე მზრუნველ მომაგეთა ღვაწლის წარმოჩენას.

ამისი ფიქსაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა კი იყო ღირსეულ და დამსახურებულ ადამიანთათვის ალაპების განწესება, რისი შედეგიც იყო საალაპე წიგნის შექმნა.

იოანე სვინგელოზის ალაპის განგების ბოლო სტრიქონებში იგრძნობა, რომ იმთავითვე ალაპის განგების განწესების დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ პირადი დამსახურება მონასტრის წინაშე, არამედ აგრეთვე ალაპის სუბიექტის სოციალური მდგომარეობა და შეწირულების (ევლოგიის) ოდენობა.

დროთა განმავლობაში ეს ცნებები იცვლებოდა და ახალ შინაარსს იძენდა დროისა და ვითარების შესაბამისად.

„ათონის კრებულის" პირველ (დალალისონელის) რედაქციაში საალაპე წიგნს ეკავა მესამე ადგილი – იოანეს და ეფთვიმეს „ცხორებისა" და ეფთვიმეს დასდებლების შემდეგ: როგორც აღწერილობაში უკვე ნაჩვენებია, კრებულის რვეულებში ეს ასე გამოიხატებოდა: ა-Ʊ

რვეულები ეკავა იოანე და ეფთვიმეს „ცხორებას“ (3r–65r), ეფთვიმეს ორ დასდებელს ეკავა თ რვეული და ი რვეულის პირველი 4 ფურცელი; საალაპე წიგნს – ი რვეულის მეორე ნახევარი (4 ფურცელი) და ია რვაფურცლიანი რვეული სრულად, ე.ი. რვეულნახევარი[1].

დღეისათვის დაღალისონელის რედაქციის საალაპე წიგნის თორმეტი ფურცლიდან (ერთნახევარი რვეული) შემორჩენილია და ბოლო რედაქციაში წარმოდგენილია ი რვეულის 4 ფურცელი და ია რვეულის ერთი ფურცელი, ე.ი. ხუთი ფურცელი თავდაპირველი 12 ფურცლის ნაცვლად (დღევანდელი პაგინაციით ფურცლები: 181, 183, 184, 186 ი რვეულიდან და 188 ია რვეულიდან. მაშასადამე, თავდაპირველ მოცულობასთან შედარებით ალაპთა წიგნში არ ჩანს 7 ფურცელი, ე.ი. ნახევარზე მეტი.

ალაპთა წიგნის შემორჩენილ ხუთ ფურცელზე მოთავსებულია 22 ალაპი, დაწერილი დაღალისონელის ხელით. თუ საშუალოდ თითო გვერდზე ვივარაუდებთ 2,2 ალაპს (22:10), მაშინ დანარჩენ 7 ფურცელზე (14 გვერდი) უნდა ყოფილიყო დაახლოებით კიდევ 30 ალაპი (2,2x14), დაწერილი დაღალისონელის ხელით[2]. ე.ი. დაღალისონელის რედაქციის საალაპე წიგნში თავდაპირველად ყოფილა დაახლოებით 50 ალაპი. ჩვენამდე მოღწეული „ათონის კრებულის“ საალაპე წიგნის დაღალისონელის რედაქცია წარმოდგენილია 22 ალაპის სახით. ესენია წინამდებარე გამოცემის: 1, 11–13, 15–20, 24, 26–27, 29, 34, 35, 37–38, 40, 48–50.

დაღალისონელის რედაქციის ალაპები ერთმანეთის მომდევნოდ არის დაწერილი. „ათონის კრებულის“ გამოცემაში არ არის გამოყოფილი დაღალისონელის ხელით ნაწერი ალაპები აშიებზე და ჩანამატ ფურცლებზე სხვა ხელით დაწერილი ალაპებისაგან. და ყველა ალაპი ერთი რიგით არის აღრიცხული, რითაც დაირღვა საკუთრივ დაღალისონელის ალაპთა თანმიმდევრობა და რიგი.

დაღალისონელის რედაქციის 22 ალაპი კალენდარზეა გაწყობილი – 1 დეკემბრიდან 13 თებერვლამდე. გამონაკლისია პირველი ალაპი, განწესებული 15 დეკემბერს იოანე (თორნიკე) სვინგელოზისთვის. მას მოსდევს ალაპი 1 დეკემბრისა და შემდგომი ალაპები კალენდარული

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 28, 345.

[2] შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 348–349.

რიგით. საალაპე წიგნის დაწყება იოანე (თორნიკე) სვინგელოზის ალაპით მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით აიხსნება: თორნიკე ალაპში მიჩნეულია ქართველთა ლავრის ერთპიროვნულ მაშენებლად და მეურვედ.

ჩვეულებრივ, ყველაზე საპატიო ალაპებისათვის ირჩევენ საუფლო დღესასწაულებს. 15 დეკემბერი არ არის საუფლო დღესასწაული. ის არც იოანეს სახელწოდების დღეა. ამიტომ, საფიქრებელია, 15 დეკემბერი იოანე (თორნიკე) სვინგელოზის გარდაცვალების თარიღია, რომელიც დაწესდა მის საალაპე დღედ. ქართველთა ლავრის მაშენებელ და დიდ მოამაგეთა შორის იოანე (თორნიკე) სვინგელოზი პირველი გარდაიცვალა[1] (984–985 წ.) და ჩანს, ამ ფაქტთან დაკავშირებით გადაწყდა ქართველთა მონასტრის მოღვაწეთა საალაპე წიგნის შექმნა, ხოლო მასში პირველ ალაპად თორნიკე სვინგელოზის ალაპის ჩაწერა.

ამ ალაპის შემდეგ შეუტანიათ ალაპები პირველი დეკემბრიდან შემდეგ დღეებზე: 1, 5–7, 12, 16, 17, 20, 25, 27, რათა შევსებულიყო დეკემბრის პირველი ნახევრის ხარვეზი (15 დეკემბრამდე).

დეკემბრის ბოლომდე საუფლო დღესასწაულია მხოლოდ 25 დეკემბერი (შობა). ამ საპატიო დღეს განწესებულია ალაპი სანანო ქველის ძისათვის (№ 20).

იანვრის თვეში განწესებულია 7 ალაპი შემდეგ დღეებზე: 1, 6, 15, 17, 22, 25, 29. მათ შორის საუფლო დღესასწაულია 6 იანვარი — ნათლისღება. ამ დღეს განწესებულია ალაპი კონსტანტინე მონომახის სახელზე (№ 27). ამ ალაპში აღნიშნულია, რომ მისთვის განწესდა ალაპი აგრეთვე ამაღლების დღესაც. ამაღლება მოძრავი დღესასწაულია, ამიტომ ის ვერ შევიდოდა კალენდარული რიგით გაწყობილ საალაპე წიგნში. თუ როგორ იყო ეს ალაპი შეტანილი საალაპე წიგნში (7 ფურცელში), ძნელი სათქმელია, მაგრამ ალაპთა თაფლაისძისეულ რედაქციაში 99 ნომრით შეტანილია კონსტანტინე მონომახის ალაპი არა ამაღლების, არამედ ფერისცვალების დღეს (6 აგვისტო). ჩანს, რედაქტორს, იოანე თაფლაისძეს, დაღალისონელის საალაპე წიგნში კონსტანტინე მონომახისთვის მოძრავ საუფლო დღესასწაულზე

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ათონის ლიტერატურული..., გვ. 225.

(ამაღლებაზე) განწესებული აღაპი გადაუტანია უძრავ საუფლო დღესასწაულზე – ფერისცვალებაზე (6 აგვისტო) და ამ სახით შეუტანია აღაპთა მისეულ რედაქციაში. ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს უნდა იყოს № 27 აღაპში მოხსენიებული მეორე აღაპი, განწესებული კონსტანტინე მონომახისათვის ამაღლების დღეს. ეს ფაქტი კარგი საბუთია იმისა, რომ დაღალისონელის საღაპე წიგნის აწ დაკარგული 7 ფურცლის აღაპები პირდაპირ თუ სახეცვლილი გადანაწილდა იოანე თაფლაისძის რედაქციის საღაპე წიგნში[1].

დაღალისონელის საღაპე წიგნში თებერვლის თვის სამ დღეზეა (2, 3, 13) შეტანილი აღაპები: აქედან 2 თებერვალი საუფლო დღესასწაულია (მირქმა). ამ დღეებზე (2 და 3 თებერვალი) განწესებულია აღაპი არსენ ფარსმანყოფილის მიერ გაბრიელ ევანეზის ძმისთვის (№ 48, 49).

13 თებერვალს დადებულია აღაპი № 50 გიორგი ჩორჩანელისთვის, განწესებული არსენ ფარსმანყოფილის მიერ. საგულისხმოა, რომ ამ სამივე აღაპის სუბიექტები არიან ჩორდვანელთა სახლის წევრები და, ბუნებრივია, მათთვის განწესებულია განგება „ვითარცა სჳნგელოზისა და იოანე მაშენებელისა და ეფთჳმესთჳს სწერია".

ამრიგად, საღაპე წიგნის პირველი რედაქციის მოღწეული ნაწილი (5 ფურცელი) შეიცავს დეკემბერ-თებერვლის თვეებზე კალენდარული რიგით გაწყობილ 22 აღაპს. უნდა ვიფიქროთ, რომ საღაპე წიგნის დანარჩენი 7 ფურცელი შეიცავდა დარჩენილ თვეებზე (მარტი-ნოემბერი) კალენდარული რიგით გაწყობილ კიდევ დაახლოებით 30 აღაპს, ე.ი. დაღალისონელის ხელიდან გამოსული საღაპე წიგნი უნდა ყოფილიყო მთელ საეკლესიო წელიწადზე განლაგებული აღაპთა კრებული (დაახლოებით 50 აღაპი), რომელიც მოიცავდა პერიოდს იოანე (თორნიკე) სჳნგელოზის გარდაცვალებიდან (≈ 985 წ.) ვიდრე 1074 წლამდე, როდესაც დაღალისონელმა დაასრულა ათონის კრებულის გადაწერა.

*

* *

საღაპე წიგნის შესწავლის საფუძველზე შეიძლება რამდენიმე ზოგადი ხასიათის წინასწარი მოსაზრების გამოთქმა:

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 209-210.

1. დალალისონელის რედაქციის საალაპე წიგნი ერთდროულად იწერებოდა, საფიქრებელია, უკვე არსებული ერთი ან რამდენიმე დედნიდან. ამას გვაფიქრებინებს ალაპთა ურთიერთკავშირი: ამა თუ იმ ალაპის განგებისათვის მითითება წინა ალაპზე, ზოგჯერ ასეთი მითითებები გვხვდება ერთმანეთის მომდევნო რამდენიმე ალაპში ზედიზედ.

2. დალალისონელის საალაპე წიგნის შედგენის დროისათვის, ჩანს, უკვე დადგენილი იყო სხვადასხვა სახის განგებების ფულადი თუ ქონებრივი ღირებულება. ამასთანავე, ჩამოყალიბებული იყო ალაპთა განგების სხვადასხვა სახეობა ქართველთა ლავრისათვის გაწეული დახმარებისათვის, ადრესატის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

3. საალაპე წიგნის პირველი ალაპი, იოანე (თორნიკე) მაშენებლისათვის განწესებული, ყველაზე საპატიოა თავისი შედგენილობითა და განგების ელემენტების სიუხვით. ეს ალაპი პირველ ალაპად მოთავსებულია როგორც ნიმუში და ორიენტირი სხვა ალაპთა განგებების დაწესების დროს: სვინგელოზის ალაპის განგება არაერთგზის არის გამოყენებული სხვა ალაპებისათვის. დალალისონელის 22 ალაპიდან 8 ალაპისათვის განწესებულია განგება „ვითა სჳნგელოზისა“ (№ № 13, 16, 17–19, 48, 49, 50).

4. ალაპებში ხშირად არ ჩანს, თუ ვინ განუწესა ალაპი ამა თუ იმ პირს. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში დასახელებული არიან ალაპთა განმწესებელი ქართველთა ლავრის წინამძღვრები.

5. ზოგ შემთხვევაში არ ჩანს, თუ რისთვის განუწესეს ალაპი ამა თუ იმ პირს, თუმცა ასეთ შემთხვევებსაც თითქმის ყოველთვის ეძებნება მიზეზი და ახსნა.

*
* *

ჩვენამდე მოღწეული დალალისონელის ხელით დაწერილი 22 ალაპი საალაპე წიგნის დალალისონელისეული I რედაქციის ნაწილია მხოლოდ. როგორც უკვე ითქვა, საალაპე წიგნის მეორე ნაწილი (7 ფურცლის მასალა, დაახლ. 30 ალაპი) იოანე თაფლაისძემ გადაანაწილა მის მიერ გავრცობილ რედაქციაში. ამ რედაქციაში დავძებნეთ მხოლოდ 12 ალაპი, რომლებიც დალალისონელის რედაქციიდან ჩანს გადმოსული (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

საალაპე წიგნის სახელწოდება ეკუთვნის მიქაელ დაღალისონელს: „ესე არიან ალაპნი მონასტრისა ჩუენისანი, ვინა ძთგან აღშენებულ არს ვიდრე აქამომდე“, ე.ი. 983 წლიდან 1074 წლამდე, როდესაც დაასრულა დაღალისონელმა ალაპების შემცველი „ათონის კრებულის“ გადაწერა.

როგორც ითქვა, საალაპე წიგნი იწყება „დიდებული ლავრის“ მაშენებლის იოანე (თორნიკე) სვინგელოზის ალაპით (15. XII). განგება ამ ალაპისა გამოირჩევა მრავალრიცხოვანი ლიტურგიკული ელემენტებით: გალობებითა და ლოცვებით, „ზეგარდამო ლოცვასა შინა“ სვინგელოზის მოხსენიებით, ქართველთა ლავრის ყველა ხუცესის მიერ ჟამისწირვით „შინა და სოხასტერთა“ და ძმათა უხვი სატრაპეზო ნუგეშინისცემით.

იოანე სვინგელოზის ალაპის განგება უმაღლესი ეტალონია, რომლითაც იზომება პიროვნების დამსახურება ქართველთა წინაშე და შესაბამისად დგინდება მისი ალაპის განგებაც.

იოანე სვინგელოზის ალაპის განგება, როგორც ითქვა, მცირეოდენი ცვლილებებით მეორდება რამდენიმე სხვა ალაპში მითითებით: „ვითა სჳნგელოზისაჲ“. ყველაზე ხშირად სვინგელოზის ალაპის განგება განწესებულია ლავრის პირველი წმინდა მამებისთვის, რომლებიც ამავე დროს ჩორდვანელთა დიდი სახლის წევრები თუ ნათესავები არიან, ვინაიდან როგორც ცნობილია, ათონის ქართველთა ლავრა აშენდა ჩორდვანელების სახსრებით როგორც ჩორდვანელთა საგვარეულო მონასტერი, რომლის პირველი სამი წინამძღვარი ამავე სახლის წევრები თუ ნათესავები იყვნენ, რის გამოც ამ დიდი სახლის წევრებს საალაპე წიგნში განსაკუთრებული სტატუსი და პატივი აქვთ მიგებული, განურჩევლად იმისა, სასულიერო თუ საერო პირები არიან ისინი. ესენია: იოანე მონაზონისა, აბუჰარბისა და თორნიკისა (№ 1,16), მარიამ ენკრატისის განწესებული ალაპები: კონსტანტინესი, ბაგრატის, მიქაელის და სვიმეონისა (№ 17), მამისა ევნატისთვის (№18) და თვით მარიამ ენკრატისისათვის, „ჩორდმანელის დისა“ (№ 19)[1].

იოანე სვინგელოზის ალაპის განგების გავრცობილი ვარიანტია განწესებული ქართველთა ლავრის მესამე წინამძღვრის გიორგი

---

[1] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები..., გვ. 35-57.

დიდისათვის (ვარაზვაჩე): „ვითა სჳნგელოზისასა სწერია, და იოანესსა და ეფთჳმესსა, იგივე წესი აღესრულენ ლოცვისა და წირვისა და ძმათა ნუგეშინისცემისაჲ“ (№ 13). ანალოგიური განგებაა გიორგი ჩორჩანელისათვის განწესებულ აღაპში: „ვითარცა სჳნგელოზისა და იოანე მაშენებელისა და ეფთჳმესთჳს სწერია“ (№ 50). ეს აღაპი საინტერესოა იმითაც, რომ აქ იოანე ქართველი მაშენებლის წოდებით არის მოხსენიებული. ხოლო პირები, რომლებისთვისაც განწესებულია აღაპები (გიორგი დიდი, ლავრის წინამძღვარი, და გიორგი ჩორჩანელი) – ჩორდვანელთა დიდი სახლის წევრები არიან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იოანე (თორნიკე) სვინგელოზის აღაპის განგება, სამეფო ოჯახის წევრებისა და ფეოდალური არისტოკრატიის საერო წარმომადგენლების აღაპებში არ გვხვდება. არ არის ეს განგება არც კონსტანტინე მონომახისა და ბაგრატ აფხაზთა მეფისა და დედამისის მარიამ დედოფლის აღაპებში (№ № 27, 90, 99, 100).

სამეფო პერსონების აღაპებისათვის უფრო ხშირად შერჩეულია წლის საპატიო დღეები – საუფლო დღესასწაულები საგანგებო შენიშვნით: „ყოვლითა მოსწრაფებითა გარდაიკდებოდეს მსგავსად ძალისა ჩუენისა, და ლოცვაჲ და ჟამისწირვაჲ მის დიდებულისა დღესასწაულისა სულსა მისსა მიეცინ ქრისტემან“ (№ 100, მარიამ დედოფლის აღაპი. 15 აგვისტო, მარიამობა). ასევე, საუფლო დღესასწაულებზეა განწესებული კონსტანტინე მონომახის აღაპები (ნათლისღებას – № 27, 6 აგვისტოს, ფერისცვალებას – № 99).

ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებისათვის, საპატიო ერისკაცებისათვის 1060-იანი წლებიდან, არსენ წინამძღვრის გარდაცვალებისა და თეოდორეს წინამძღვრობის დროიდან აღაპებში ვხვდებით აღაპის განგების ახალ სახეობას: „ვითარცა მაშენებელთათჳს“. ეს განგება ცვლის განგებას, „ვითა სჳნგელოზისა“. თავიდანვე იოანე სვინგელოზი აღაპებში მონასტრის ერთპიროვნულ მაშენებლად ჩანს. ამ დროიდან კი „მაშენებელთა“ რიცხვი გაზრდილია: მაშენებლებად ითვლებიან იოანე ქართველიც, ეფთვიმეც და გიორგი დიდიც იოანე სვინგელოზთან ერთად. ათონის პირველ მამათათვის განწესებული აღაპების განგება უკვე 1060-იანი წლებიდან აღაპებში მითითებულია როგორც „ვითარცა მაშენებელთაჲ“.

ამ განგებით არის დადებული თეოდორე წინამძღვრის მიერ ლიპარიტ ბაღვაშის აღაპი (№ 34) და აღაპები №№ 38, 40 (იხ. აღაპთა კომენტარები). ეს აღაპები დაწერილია არა უადრეს 1060-სა და არა უგვიანეს 1074 წლისა.

და ბოლოს, მიქაელ დაღალისონელის სააღაპე წიგნის დედნის შესახებ. მიქაელ დაღალისონელს ხელთ უნდა ჰქონოდა მთელი წლის კალენდარულ რიგზე გაწყობილი სააღაპე წიგნი. ამას ადასტურებს აღაპებში განგებაზე მითითების წესი. „ვითა ზემო წერილ არს", ან „ზემო წერილი ლოცვის წესი აღესრულოს". ეს მითითებები იმას მიანიშნებს, რომ დაღალისონელის დედანი გარკვეული რიგით ერთმანეთთან დაკავშირებულ აღაპთა კრებულს წარმოადგენდა, საიდანაც იწერდა იგი სააღაპე წიგნს „ათონის კრებულისათვის" რიგისა და მითითებების დაცვით. მაგრამ, როგორც ირკვევა, დაღალისონელი ზოგჯერ ამოკლებდა აღაპებს, ზოგჯერ კი გადაწერის დროს შეცდომებს უშვებდა. ერთი აშკარა შეცდომაა დაშვებული გადაწერის დროს ლიპარიტ ბაღვაშისთვის განწესებულ აღაპში (№ 34). აქ ვრცლად არის გადმოცემული ლიპარიტის დამსახურება ქართველთა ლავრის წინაშე: „მოვიდა წმიდასა ამას მონასტერსა და მოსცა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა ასი დრაჰკანი მამასახლისობასა მამისა თეოდორესსა. და მოგუცა ყოველსა ძმობასა სხუაჲ ორმეოცდათექუსმეტი დრაჰკანი სამთა ერთი სამასსა სულსა". სამასი სულისათვის რომ სამზე ერთი დრაჰკანი მიეცათ, საჭირო იყო 100 დრაჰკანის გაღება და არა ორმოცდათექვსმეტისა. მაშასადამე, აქ ან ძმების სულადობა არ არის სწორად გადმოცემული, ან ლიპარიტის მიერ მეორედ შემოწირული თანხის რაოდენობა. ვფიქრობთ, აქ მიქაელ დაღალისონელს მექანიკური შეცდომა დაუშვია და ოთხმოცდათექვსმეტი დრაჰკანის მაგიერ ორმოცდათექვსმეტი დაუწერია. ეს თანხა კი სამ კაცზე ერთი დრაჰკანის გაცემის შემთხვევაში განაწილდებოდა 288 სულზე (96x3), რაც ამ ციფრის დამრგვალების მიზნით 300 სულად ჩაუწერია აღაპში.

სანამ შევეხებოდეთ დაღალისონელის დედნის შექმნის დროს, საჭიროა განვიხილოთ ის აღაპები, რომლებიც დაღალისონელის რედაქციიდან გადასულია თაფლაისძის რედაქციაში.

„ათონის კრებულის" II რედაქციაში, როგორც უკვე ითქვა, სააღაპე წიგნი მოთავსებული იყო იმავე ადგილას, იმავე სახითა და მოცულობით, როგორც I რედაქციაში, ე.ი. იოანე მახარებლის ცხორება-ქადაგების წინ.

III რედაქცია „ათონის კრებულისა" მეორისაგან იმით განსხვავდება, რომ სააღაპე წიგნმა შეიცვალა ადგილმდებარეობა კრებულში. თაფლაისძემ ის კრებულის ბოლოს გადაიტანა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი გავრცობა ახალი აღაპებით კრებულის წინა ტექსტების ხელშეუხებლად და ამასთან დაკავშირებული ოპერაციების ჩატარება, რითაც მან კრებული სააღაპე წიგნად აქცია[1].

თაფლაისძემ სააღაპე წიგნის გადამუშავების გეგმა ჩამოაყალიბა თავის ანდერძში (№ 166), რომელიც დაურთო სააღაპე წიგნის მისეულ რედაქციას: „ლოცვა ყავ, ძმაო დეკანოზო, უნდოჲსა და უღირსისა იოანე თაფლაჲსძისათჳს, რამეთუ ესე აღაპნი იქი-აქა დაფანჩულად ეწერნეს და საჭირო იყვნეს საძებნელად. ხოლო მე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანესითა [კალაკალა] ჩემსა შავ დეკანოზობასა დავწერენ დაწყობით, ვითა ჯერ-იყო. არა რაჲ შეგჳმატებია და არცა რაჲ დაგჳკლია თჳნიერ ცუდთა სიტყუათა. სხუაჲ ყოველი პირველისაებრ სწერია — ანაფორაჲთა და ყოვლითა, ვითარცა მუნ ეწერა და ვითარცა ბრძანებაჲ მოგუეღო. ამისთჳს გულსავსე იყვენით, და ვინ სხუასა აღაპსა დასწერდეთ, აშლით ნუ დასწერთ: ადგილი ყველგან დაგჳტევებია".

დასკვნები, რომლებიც თაფლაისძის ანდერძიდან გამომდინარეობენ: ლავრაში არსებობდა, ერთი მხრივ, კალენდარული რიგით გაწყობილი სააღაპე წიგნი დაღალისონელის რედაქციისა, რომელიც თავისი კალენდარული აგებულების გამო ადვილად გამოსაყენებელი იყო. ამ წიგნში უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 50 აღაპისა. ეს ის აღაპებია, რომლებიც თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო გამოირჩა და შეიკრა სააღაპე წიგნის სახით.

„სააღაპე წიგნის" გვერდით ყოფილა „იქი-აქა დაფანჩულად" არსებული აღაპები, 1074 წლის შემდეგ დაწერილი ეს აღაპები, მინაწერების სახით სხვადასხვა ხელნაწერის ფურცლებზე თუ ცალკე

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის კრებულის..., გვ. 214; მ ი ს ი ვ ე, ათონის ქართველთა..., გვ. 352.

პატარ-პატარა სიების სახით არსებული, ძნელი მოსახმარი იყო დეკანოზისათვის, რომლის ვალდებულებაში შედიოდა მათი ყოველდღიური შესრულება. ამიტომ აღაპთა მოწესრიგება დეკანოზ იოანე თაფლაისძეს დაავალა მონასტრის წინამძღვარმა იოანე კალაკალამ. ამიტომ თაფლაისძის ანდერძიც დეკანოზისადმია მიმართული.

ანდერძიდან ისიც ჩანს, რომ თაფლაისძემ იმ ვარაუდით მოაწესრიგა ეს საალაპე წიგნი, რომ მისი შემდგომი შევსება შესაძლებელი გამხდარიყო ამავე წიგნის ფარგლებში. ამისათვის ყველგან დატოვა თავისუფალი ადგილი, ბოლოს კი ჩართო 11 დაუწერელი ფურცელი (200v-212v). ამრიგად, თაფლაისძეს უნდა შეედგინა ქართველთა ლავრის სრული, კალენდარული რიგით გაწყობილი საალაპე წიგნი იმგვარად, რომ მისი შემდგომი შევსება-გაგრძელებაც შესაძლებელი ყოფილიყო. ამისთვის საფუძვლად მან აიღო კალენდარული რიგით გაწყობილი დაღალისონელის რედაქციის საალაპე წიგნი. თავიდანვე თაფლაისძეს აზრად ჰქონდა, დაღალისონელის ნუსხაშივე შეეტანა დამატებითი აღაპები ისე, რომ არ დარღვეულიყო ძირითადი ტექსტის კალენდარული რიგი. მან ხელუხლებლად დატოვა დაღალისონელის ტექსტის პირველი ხუთი ფურცელი და ფურცლებს შორის ჩაუმატა ორი დამატებითი ფურცელი (184, 187) ახალი აღაპებისათვის, მაგრამ ამ გზით კალენდარული რიგის დაცვა სრულად მაინც ვერ მოხერხდა ტექნიკურად. ამიტომ იოანე თაფლაისძე იძულებული გამხდარა დაღალისონელის საალაპე წიგნის დანარჩენი შვიდი ფურცლის მასალა ისე გადაეწერა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ქრონოლოგიური რიგის დაცვით შიგადაშიგ ახალი მასალის ჩართვა და ამგვარად საალაპე წიგნის გავრცობა-შევსება ახალი, თაფლაისძისეული აღაპებით. ასე შეერია დაღალისონელისეული აღაპები იმ ახალ მასალას, რომლითაც თაფლაისძემ შეავსო და განავრცო საალაპე წიგნი. ამის შედეგად მივიღეთ ქართველთა ლავრის საალაპე წიგნის თაფლაისძისეული ახალი, გავრცობილი რედაქცია.

გავადევნოთ თვალი, რა სახის სამუშაო ჩაატარა თაფლაისძემ აღაპების გამართვისა და მათი ერთ წიგნად შეკვრის პროცესში. „იქიაქა დაფანჩულად“ დაწერილ აღაპთა შესახებ ანდერძში ის წერს, რომ მათთვის არც არაფერი შეუმატებია და არც არა დაუკლია რა „თჳნიერ ცუდთა სიტყუათა“. აქ, ალბათ, წყევა იგულისხმება[1], რომელიც

[1] შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის კრებულის..., გვ. 31.

ხშირად ახლავს ალაპს იმის მიმართ, ვინც თავს აარიდებს ალაპის განგების შესრულებას, რისი ერთი მაგალითიც დაღალისონელის საალაპე წიგნშიც აღმოჩნდა (№ 48). აქ დაღალისონელი აფრთხილებს დეკანოზს, რომ განგება სრულად იყოს შესრულებული, ვინაიდან „არსენი მამამან დაუდვა ესე მისისა საფასისა და კუმაშისათჳს სიმტკიცითა დიდითა და წყევითა“. თაფლაისძის დაწერილი ალაპებისათვის და იმ თორმეტი ალაპისთვისაც, რომლებიც თაფლაისძემ გადაიტანა დაღალისონელის საალაპე წიგნიდან თავის რედაქციაში, არც ერთ შემთხვევაში არ არის დადასტურებული წყევის ფორმულა.

ამ ალაპების სრული გამორჩევა შეუძლებელია. რამდენიმე ნიშნის მიხედვით შევძელით ამ ფენის მხოლოდ თორმეტი ალაპის გამოყოფა, გამოყოფის საფუძველია: 1. ქრონოლოგია: დაღალისონელის საალაპე წიგნის ზემო ქრონოლოგიური ზღვარია 1074 წელი. ალაპების უდიდესი ნაწილი კი იფარგლება XI საუკ. 60-იანი წლებით (არსენისა და თეოდორეს მამობის წლებით). 2. ალაპის განგებები: დაღალისონელის საალაპე წიგნის ალაპებში რამდენიმე სახის განგებაა წარმოდგენილი. ყველაზე საპატიო „ვითა სჳნგელოზისაჲ“ და „მაშენებელთაჲ“. განგება „ვითა სჳნგელოზისაჲ“ დაღალისონელის რედაქციის საალაპე წიგნში მხოლოდ წარჩინებულ და ქართველთა ლავრის წინაშე დიდად დამსახურებულ პირთათვის არის დადებული, რომელთაგან უმრავლესობა ჩორდვანელების დიდი სახლის წევრები იყვნენ.

საკუთრივ თაფლაისძის რედაქციის ალაპებში ეს განგება („ვითა სჳნგელოზისა“) არ გვხვდება. ხოლო ის რამდენიმე ალაპი, სადაც განგება „ვითა სჳნგელოზისაჲ“ არის განწესებული, დაღალისონელის საალაპე წიგნიდან თაფლაისძესთან გადასული ალაპებია.

ეს ალაპებია: № 71. მაისსა **იგ**. „მამისა ჩუენისა და მაშენებელისა ეფთჳმესი, და ყოველივე სჳნგელოზისა განგებაჲ აღესრულოს“.

№ 83. ივნისსა **იდ**. „მამისა ჩუენისა იოანე, ეფთჳმეს მამისაჲ, და ვითა სჳნგელოზისასა სწერია, ყოველივე წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ და ნუგეშინისცემისაჲ, ეგრეთ აღესრულენ“.

№ 87. ივნისსა **ლ**. „მამისა ჩუენისა გიორგი თარგმანისაჲ, და ვითა სწერია სჳნგელოზისათჳს და იოანე, ეფთჳმეს მამისაჲ, და დიდისა გიორგისთჳს ყოველი წესი... აღესრულებოდენ“.

№ 89. ივლისსა **Ⴂ**. „ალაპად განგჳწესებია ფარსმან თმოგუელისადა. ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდენ, რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“ (†1072).

№ 90 ივლისსა ე. „ალაპი განგჳწესებია ბაგრატ კურაპალატი-სათჳს. აღესრულებოდენ ლოცვითა და ჟამისწირვითა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა საჴსენებელად მათდა საუკუნოდ".

№ 91. ივლისსა იბ. „ალაპი არს ევსტათი იკონომოსისაჲ, და იგივე ზემოწერილი წესი აღესრულენ" (აქ იგულისხმება ბაგრატ მეფისთვის განწესებული № 90 ალაპი).

№ 99. აგჳსტოსა ვ. „კოსტანტინე მონომახისათჳსვე. ქველისმოქ-მედებათა მისთათჳს, რომელ ქმნნა ჩუენ ზედა" (პირველი ალაპი კონსტანტინე მონომახისა შესულია დაღალისონელის რედაქციის საალაპე წიგნში – № 27).

№ 100. აგჳსტოსა იე. ალაპი ბაგრატ IV-ის დედის, მარიამ დედოფ-ლისა... "ვითარცა მაშენებელთა და მეფეთა ჩუენთადა" (განწესე-ბულია 1054-1055 წლებში, შდრ. № 15 ალაპი).

№ 110. სეკდენბერსა ით. „ალაპი არს მამისა არსენისი, ფარსმან-ყოფილისაჲ. აღესრულებოდის ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა თორნიკისსა სწერია და მამისა იოანესსა... ვითა ზემო სწერია მისივე განწესებული" (იგულისხმება დაღალისონელის საალაპე წიგნში შეტანილი არსენისა და გიორგი ჩორჩანელის ალაპი, არსენის განწე-სებული (№ 50).

№ 113. სეკდენბერსა კდ. „ალაპი არს იოანე ხარტულარისა. ყოველი წესი ლოცვისაჲ და ჟამისწირვისაჲ აღესრულენ". იოანე ხარტულარი, სტეფანე ხარტულარისა და წინამძღვრის ძმა, მოღვა-წეობდა XI საუკუნის 50-იან წლებში. სტეფანე ხარტულარის ალაპი შესულია დაღალისონელის საალაპე წიგნში (№ 24).

№ 116. ოკდონბერსა კა. „ალაპად განგჳწესებია ილარიონ პრო-ტისადა და სტეფანე იკონომოსისადა. აღესრულებოდენ წესისაებრ".

№ 130+131. ნოენბერსა იზ. „ალაპი არს მამისა ჩუენისა გრიგო-ლისი. და ვითარცა სჳნგელოზისათჳს სწერია, ყოვლივე დაუკლე-ბელად აღესრულებოდენ" (გრიგოლის მამობის წლებია – 1034-1041).

„ამასვე დღესა მოიჴსენებოდიან ზაქარია და არსენი (ორივე გრიგოლის თანამედროვე და თანამოღვაწეა).

ზემოთ დასახელებული თორმეტი ალაპი რომ დაღალისონელის საალაპე წიგნის დაკარგული შვიდი ფურცლის კუთვნილება იყო, ეს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ანალოგიური მასალა თაფლაისძის საალაპე წიგნში სხვაც უნდა იყოს, რომლის გამოვლენა ვერ ხერხდება. ამისდა მიუხედავად, წარმოდგენილი მასალის მიხედვითაც შეიძლება

მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის უნდა შემდგარიყო ათონის პირველი სააღაპე წიგნი, რომელიც დაღალისონელმა „ათონის კრებულში" შეიტანა. რაც შეეხება თაფლაისძის სააღაპე წიგნის დათარიღების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ XII საუკ. 40-იან წლებზე გვიანდელი აღაპების დადასტურება თაფლაისძის სააღაპე წიგნში ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, სააღაპე წიგნის თაფლაისძისეული ფენის ყველაზე გვიანდელი აღაპია მეფე გიორგი II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებული აღაპი № 127, რომელიც უნდა დათარიღდეს არა უგვიანეს 1112 წლისა (იხ. აღაპის კომენტარი). ამავე დროს თაფლაისძის სააღაპე წიგნში დარჩა საკმაო რაოდენობა აღაპებისა, რომელთა დათარიღება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

იმისათვის, რათა თვალნათლივ წარმოვიდგინოთ იოანე თაფლაისძის რედაქტორული საქმიანობა როგორც სააღაპე წიგნზე, ასევე მთლიანად „ათონის კრებულზე", საჭიროდ ვცანით პუნქტობრივ ჩამოგვეყალიბებინა ამ კრებულზე მის მიერ შესრულებული სამუშაოს ძირითადი სახეები:

1. „ათონის კრებულის" პირველ, მიქაელ დაღალისონელის რედაქციაში არ ყოფილა შეტანილი ილარიონ ქართველის ცხოვრება, იოანე ქართველისა და ილარიონ ქართველის სახელზე დაწერილი საგალობლები. საფიქრებელია, იოანე თაფლაისძემ „ათონის კრებულის" II რედაქციის II ეტაპზე კრებულში ჩართო უცნობი გადამწერის მიერ გრიგოლის მამობის დროს დაწერილი ილარიონ ქართველის ცხოვრება. ამ ცხოვრებას კრებულში ერთვის იოანე თაფლაისძის ხელით დაწერილი საგალობლები, ილარიონისა და იოანე ქართველისადმი მიძღვნილი. ეს ჰიმნოგრაფიული მასალა იოანე თაფლაისძემ თავისი ხელით გადაწერა და შეიტანა „ათონის კრებულის" II რედაქციაში.

ილარიონ ქართველის შეყვანა პირველ ქართველ წმინდა მამათა გუნდში თაფლაისძეს თავიდანვე ჰქონია მოაზრებული. ამას ადასტურებს ილარიონ ქართველის ცხოვრების შემდეგ მისი ხელით კრებულში ჩაწერილი ილარიონ ქართველის ზოსიმესეული დასდებელი. ბუნებრივია, ილარიონ ქართველის ცხოვრების შეტანაც მისი ინიციატივით უნდა მომხდარიყო, რათა ერთ ციკლად შეკრულიყო ილარიონ ქართველის სახელზე შექმნილი მასალა, რომლის კულტის დამკვიდრებაზე ათონის ქართველთა მონასტერში ზრუნვა ჯერ კიდევ ეფთვიმემ და გიორგიმ წამოიწყეს. თაფლაისძის ეს ნაბიჯი წარმო-

ადგენდა დიდ ქართველ წინაპართა კურსის ფიქსაციას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ ილარიონ ქართველის ცხოვრებაც, თუმცა იოანე თაფლაისძის ხელით არ არის დაწერილი, მისი შეტანილი ჩანს „ათონის კრებულის" II რედაქციაში.

2. იოანე თაფლაისძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „ათონის კრებულის" სააღაპე წიგნს, რომელიც კრებულის პირველ, დაღალისონელის რედაქციაში მოთავსებული იყო იოანე მახარებლის „ცხორებისა და ქადაგების" წინ. ამის გამო სააღაპე წიგნს აღაპებით შემდგომი შევსებისა და გავრცობის პერსპექტივა ფიზიკურად არ გააჩნდა. იოანე თაფლაისძეს შესანიშნავად ესმოდა სააღაპე წიგნის როგორც ივირონის ისტორიის პირველწყაროს და მატიანის მნიშვნელობა და მისი შემდგომი გავრცობის საჭიროება. ამის გამო, როგორც ითქვა, იოანე თაფლაისძემ განიზრახა სააღაპე წიგნის გადატანა „ათონის კრებულის" ბოლოს, მის უკანასკნელ კომპონენტად, რათა კვლავაც გაგრძელებულიყო სააღაპე წიგნის ახალი აღაპებით შევსება და ეს წიგნი ქართველთა მონასტრის უწყვეტ მატიანედ ქცეულიყო.

ივირონის წინამძღვარ იოანე კალაკალას ბრძანებით იოანე თაფლაისძეს შეუმუშავებია მეთოდი როგორც სააღაპე წიგნის არსებული (დაღალისონელის) რედაქციის შევსებისა, ასევე მისი შემდგომი გავრცობა-გაგრძელებისა. ეს მეთოდი მას ჩამოუყალიბებია თავის ანდერძში(№166). ეს არის ფაქტობრივად წინამძღვარ იოანე კალაკალას და დეკანოზ თაფლაისძის ერთობლივ მოაზრებული სააღაპე წიგნის შევსება- გაგრძელების პროგრამა.

იოანე თაფლაისძის მუშაობის კვალი გასდევს მთელ სააღაპე წიგნს (დაწყებული № 2 აღაპით და დამთავრებული № 137 აღაპით). აღაპთა ამ მონაკვეთში იოანე თაფლაისძის ხელით 77 აღაპია ჩაწერილი (იხ. აქვე პალეოგრაფიული ტაბულების შედგენის პრინციპები).

სააღაპე წიგნის კრებულის ბოლოს გადატანამ, 11 დაუწერელი ფურცლის ჩართვამ იოანე თაფლაისძის მიერ და მისმა ანდერძმა (№ 166) ახალი პერსპექტივა დაუსახა მის შემდგომ მოღვაწეებს (დეკანოზებს) სააღაპე წიგნის შემდგომი შევსების საქმეში.

3. იოანე თაფლაისძეს საგანგებოდ უზრუნია იმაზე, რომ მისეულ სააღაპე წიგნში რამდენადმე მაინც გამოჩენილიყო გიორგი მთაწმინდელი როგორც მოღვაწე და მწიგნობარი:

ა) იოანე თაფლაისძემ გიორგი მთაწმინდლის ღვაწლის წარმოსაჩენად, რაც გიორგის ხაზგასმით დაფასების სურვილით იყო ნაკარნახევი, თავისი ხელით ჩაწერა „ათონის კრებულში" გიორგი მთაწმინდ-

ლის მოსახსენებელი: „ტკბილო მამაო სულითა და გონებითა, საუკუნომცა არს საკსენებელი მამისა გიორგისი“ (65v). ეს მოსახსენებელი იოანე თაფლაისძეს მიუწერია დაღალისონელის ხელით დაწერილი გიორგისეული იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების ბოლოს მოთავსებული გიორგი მთაწმინდლის ანდერძისათვის.

ბ) „ათონის კრებულში“ გიორგისეული იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების ბოლოს მოთავსებულ გიორგი მთაწმინდლის ანდერძში (ცხოვრებაც და ანდერძიც დაწერილია დაღალისონელის ხელით) მოხსენიებულია გიორგი მთაწმინდლის მიერ შედგენილი 13 მაისის განგება სამარტვილოს (სამარხოს) წმინდა მამათათვის, განწესებული ეფთვიმეს ხსენების დღეს. იოანე თაფლაისძეს 13 მაისის განგების სრული ტექსტი თავისი ხელით ჩაუწერია „ათონის კრებულში“ (ილარიონ ქართველის ცხოვრების შემდეგ თავისუფალ გვერდზე, 89v).

გ) გიორგი მთაწმინდლისათვის გიორგი ოლთისარის მიერ განწესებული აღაპი (№ 87) შეტანილი ყოფილა სააღაპე წიგნის დაღალისონელისეულ რედაქციაში (1065-1066 წწ.). (იხ. აღაპის კომენტარი). დაღალისონელის სააღაპე წიგნის ეს ნაწილი თავდაპირველი სახით სააღაპე წიგნში დღეს არ ჩანს. როგორც კვლევამ დაადასტურა, სწორედ ამ ნაწილში ჩაუწერია იოანე თაფლაისძეს თავისი ხელით გიორგი მთაწმინდლის აღაპი.

## სააღაპე წიგნის პირველი რედაქციის პლასტები

დაღალისონელის რედაქციის სააღაპე წიგნის შემორჩენილი 22 აღაპი მოიცავს პერიოდს 1 დეკემბრიდან 13 თებერვლამდე. დაღალისონელის რედაქციიდან თაფლაისძის რედაქციაში გადმოსული თორმეტი აღაპი კი მოიცავს მაის-ნოემბრის თვეებს. როგორც ვხედავთ, დაღალისონელის რედაქცია თავდაპირველად მთელი წლის მასალას შეიცავდა.

ზემოაღნიშნული თორმეტი აღაპის პერსონალია თავსდება დაღალისონელის რედაქციის აღაპთა ქრონოლოგიურ ჩარჩოში. მათგან ყველაზე ადრეულია იოანე ქართველის აღაპი (№ 83), ხოლო ყველაზე გვიანდელი – გიორგი მთაწმინდლისა (№ 87), განწესებული მისი ხსენების დღეს. უმრავლესობა ამ თორმეტი აღაპიდან დაწერილია 1041 წლიდან (მამა გრიგოლის გარდაცვალების წელი) 1065 წლამდე

(გიორგი მთაწმინდლის გარდაცვალების წელი). ასევე შეიძლება ქრონოლოგიურად შემოიფარგლოს დალალისონელის სააღაპე წიგნის 22 აღაპის შექმნის დროც. როგორც ითქვა, პირველი აღაპი ქართველთა ლავრაში დაიწერა იოანე (თორნიკე) სვინგელოზისათვის, რომელიც ათონელ მამათაგან ყველაზე ადრე გარდაიცვალა (984/985 წწ.). მისთვის განწესდა მისი გარდაცვალების დღეს აღაპი სრული განგებით. ანალოგიური აღაპი სხვა პირველ ათონელ მამათათვის არ დაწერილა. მათთვის სვინგელოზის აღაპის განგების განწესება უმაღლესი პატივის მიგებას ნიშნავდა ქართველთა ლავრის წინაშე გაწეული სამსახურისათვის. საფიქრებელია, რომ პირველი და მომდევნო აღაპებიც იწერებოდა კალენდარზე გაწყობილი სვინაქსრის ფურცლებზე. მაგრამ, ჩანს, აღაპების დადება ქართველთა ლავრის არსებობის პირველ წლებში შედარებით იშვიათი მოვლენა იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია, თუ რატომ არ ჩანან სააღაპე წიგნის I რედაქციაში იოანესა და ეფთვიმეს ღირსეული თანამოღვაწენი: არსენ ნინოწმინდელი, იოანე გრძელისძე, მისი სულიერი შვილი ოქროპირი, ბასილი ბაგრატის ძე და სხვანი. ამათგან არსენი და იოანე გრძელისძე წინამძღვრად განწესების პირველსავე წელს გიორგი მთაწმინდელმა კათოლიკონის ეგვტერში გადაასვენა, სადაც ქართველ მამათა სამარტვილე შექმნა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ აღაპების ინტენსიურ წერას და პირველი სააღაპე წიგნის შედგენასა და შევსებას ქართველთა ლავრის ძმობა და წინამძღვრები მას შემდეგ შეუდგნენ, რაც მამა გიორგი I-ის შერისხვითა და გადასახლებით გამოწვეულ კრიტიკულ სიტუაციას თავი დააღწიეს, აღადგინეს ქართველთა უფლებები ლავრაზე და დაიბრუნეს კონფისკაციაქმნილი სამონასტრო უძრავი და მოძრავი ქონება.

1030-1041 წლები ქართველთა ლავრის ძმობის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე იყო და, ბუნებრივია, ის პირები, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ ქართველთა ლავრის გადარჩენისთვის, დიდად უნდა დაფასებულიყვნენ. მართლაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იოანე ქართველისა და ეფთვიმე მთაწმინდლის აღაპებს, სააღაპე წიგნის პირველ, ყველაზე ადრეულ აღაპად უნდა მივიჩნიოთ მამა გრიგოლის, არსენისა და ზაქარია მირდატის ძის აღაპები (130+131). როგორც „მოსაკსენებლიდან“ ჩანს, აღაპში დასახელებული პირები ყველაზე თავდადებული მებრძოლნი ყოფილან ქართველთა ლავრის ქონებრი-

ვი და უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საქმეში[1]. ამავე წლებს (1042) განეკუთვნება მარიამ ენკრატისისა და მისი ნათესავებისთვის განწესებული აღაპები (№ № 16, 17, 18, 19). ამავე პერიოდის მოღვაწენი არიან სტეფანე ხარტულარი, ქართველთა ლავრის მამა (№ 24) და მისი ძმა იოანე ხარტულარი (№ 113).

1040 წელს ათონზე ჩავიდა გიორგი მთაწმინდელი. დღიდან ათონზე ჩასვლისა გიორგი აქტიურად ჩაება ქართველთა ლავრის აღორძინების საქმეში, შეუდგა მისი ეკონომიური მდგომარეობის სტაბილიზაციაზე ზრუნვას. ბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა გამწვავებულ სიტუაციაში ივირონის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გამოსწორება მეტად რთული საქმე იყო. მაგრამ გიორგიმ ლავრის სასიკეთოდ გამოიყენა ბაგრატ IV-ისა და მარიამ დედოფლის კონსტანტინოპოლში ყოფნის წლები (1054-1056 წწ.). გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის ეს პერიოდი ვრცლად არის აღწერილი გიორგის „ცხორებაში"[2].

„ცხორება"-ში აღნიშნული კონსტანტინე მონომახის, ბაგრატ IV-ისა და მარიამ დედოფლის წყალობით ქართველთა მონასტრისათვის „სოლიმნის შექმნა" და „დიმოსის მოწყუედა" განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ეს გარემოება აღნიშნულია პეტრიკისა და იოანესთვის განწესებულ აღაპში: „ოდეს დედოფალმან, ბაგრატის დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგჳქმნა და ბაგრატ დიმოსი მოგჳწყჳდა, ორივე ესე დიდი საქმე მათითა თანადგომითა და მოღუაწებითა სრულ იქმნა"(№ 15). ამ დროს ამ „დიდი საქმის" ორგანიზატორისთვის კონკრეტულად ამ ღვაწლის გამო სააღაპე წიგნში აღაპი არ განწესებულა და არც სხვათა აღაპებში არა არის რა ნათქვამი ამის შესახებ. მხოლოდ გიორგი მცირე გვამცნობს, რომ: „ესე სამი ლიტრაჲ განძი და სხუანი ზემოჴსენებულნი საქმენი ამის ნეტარისა მამისა ჩუენისა [გიორგის] მოღუაწებითა წმიდასა ამას ლავრასა შეეძინნეს და ვიდრე უკუნისამდე მტკიცედ და უცვალებელად შეეძინების"[3]. ამ დიდ საქმეში გიორგი მთაწმინდლის დიდი წვლილის აღუნიშვნელობა აღაპებში მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ამ საქმის მონაწილეთა აღაპები თვით გიორგის განწესებულია. ცხადია, თავის ღვაწლზე, მისთვის ჩვეული თავმდაბლობის გამო,

---

[1] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, § 118, 5,26.
[2] ძეგლები, II, გვ. 135-136.
[3] ძეგლები, II, იქვე.

გიორგი არაფერს ჩასწერდა სააღაპე წიგნში. სააღაპე წიგნში აღაპი გიორგის სახელზე გაჩნდა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ხსენების დღეს. გიორგი ოლთისარის მიერ განწესებულ ამ აღაპში მისი დამსახურება გათანაბრებულია ქართველთა ლავრის პირველი წმინდა მამებისა და მაშენებლების – იოანე-თორნიკე სვინგელოზის, იოანე ქართველისა და გიორგი დიდის დამსახურებასთან (№ 87).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა იმ პირისთვის, რომელთაც ერთობლივი მონდომებითა და ზრუნვით ხელი შეუწყეს გიორგი მთაწმინდლის „დიდი საქმის" განხორციელებას, სააღაპე წიგნში აღაპია განწესებული. ესენი არიან: კონსტანტინე მონომახი (№ № 27,99), ბაგრატ კურაპალატი (№ 90), მარიამ დედოფალი (№ 100), არსენ ფარსმანყოფილი და გიორგი ჩორჩანელი (№ № 50, 110), ძმები პეტრიკი და იოანე (№ № 24, 113), ბაგრატ IV-ის მთავრები და წარჩინებულები, რომლებიც, საფიქრებელია, ახლდნენ ბაგრატ IV-ს კონსტანტინოპოლში, გრიგოლ აბუსერის ძე (№ 40), სანანო ქველის ძე (№ 20), ფარსმან თმოგველი (89)[1].

სწორედ ამ წლებში დაემოწაფნენ გიორგი მთაწმინდელს და მისივე ხელით იკურთხეს სქემა მარიამ დედოფალმა, არსენ ფარსმანყოფილმა, პეტრიკმა და მისმა ძმამ იოანემ, შემდგომში ჭყონდიდელმა. უფრო ადრე მისი მოწაფე გამხდარა და, ალბათ, მისგანვე აღიკვეცა მონაზვნად მარიამ ენკრატისი, „დაჲ ჩორდმანელისაჲ" (№ 19). განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩაბმულნი გიორგი მთაწმინდლის საქმიანობაში კონსტანტინოპოლში მცხოვრები, საფიქრებელია, სამეფო

---

[1] ამ ბოლო სამ პირთაგან სანანო ქველისძემ ერთი ლიტრა განძი მისცა მონასტერს და ბაგრატ IV-ეს მოახსენა მონასტრის საურავი (№ 20), ფარსმან თმოგველმაც მრავალი წყალობა ქმნა ლავრისათვის ბაგრატ აფხაზთა მეფის წინაშე (№ 89). ორივესთვის დადებულია აღაპი, რომელიც გულმოდგინებით და „მოსწრაფებით" უნდა შესრულდეს. ხოლო გრიგოლ აბუსერის ძემ „წყალობათა და ქველისმოქმედებათა მათთათჳს" დაიმსახურა განგება „ვითარცა მაშენებელთაჲ" (№ 40). გრიგოლ აბუსერის ძე ბაგრატ IV თანამედროვეა, მაგრამ ამ „დიდ საქმესთან" შეიძლება არც იყო დაკავშირებული მისი წყალობა და ქველმოქმედება, ვინაიდან მისი აღაპის განგება „ვითარცა მაშენებელთაჲ", ჩვენის დაკვირვებით, მამა თეოდორეს დროიდან ჩანს მხოლოდ აღაპებში. ამ განგებამ შეცვალა განგება „ვითა სჳნგელოზისაჲ". ამდენად, შესაძლოა, ეს აღაპი გიორგი მთაწმინდელის განწესებული არც იყოს, უფრო გვიან 1060-1074 წლებში იყოს ჩაწერილი.

კარის მოხელეები: ძმები არსენ ფარსმანყოფილი და გიორგი ჩორჩანელი, ძმები პეტრიკ პატრიკი და იოანე ჭყონდიდელი.

ერთობლივი ზრუნვითა და მონდომებით ქართველთა ლავრა განთავისუფლდა დიმოსისაგან და დაენიშნა ოქრობეჭდით „როქი მტკიცე და უცვალებელი", რომლითაც გასტუმრებულ იქნა მონასტრის გადასახადი და ვალი. მონასტერს მტკიცე ეკონომიური ბაზა შეექმნა სამომავლოდაც. ბუნებრივია, დასახელებულ პირთათვის აღაპები განაწესა ამ საქმის ორგანიზატორმა, მონასტრის წინამძღვარმა გიორგი მთაწმინდელმა. ეს იყო უკანასკნელი დიდი მნიშვნელობის საქმე, რომელიც განახორციელა გიორგი მთაწმინდელმა ქართველთა ლავრის გაძლიერებისა და აღორძინებისათვის. ჩანს, ამით გიორგიმ დამთავრებულად ჩათვალა თავისი მისია ათონზე და დაუბრუნდა შავი მთის მყუდრო სავანეს მთარგმნელობითი საქმიანობისათვის, რაც გიორგის თავის მოწოდებად მიაჩნდა. ზემოთ დასახელებულ პირთა აღაპებით დასრულდა გიორგის მიერ განწესებულ აღაპთა ჯგუფი. შემდეგ საარაპე წიგნის შევსება განაგრძეს არსენ ფარსმანყოფილმა, მამა თეოდორემ და გიორგი ოლთისარმა. ამ უკანასკნელმა, როგორც ზემოთ ითქვა, განუწესა აღაპი გიორგი მთაწმინდელს.

თუ შევაჯამებთ დაღალისონელის რედაქციის საარაპე წიგნის 34 აღაპის (22+12) განხილვის შედეგებს, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ქრონოლოგიური პლასტი.

პირველი პლასტი (ყველაზე ძველი) აერთიანებს ჩორდვანელთა სახლის წევრების, ათონის ქართველთა ლავრის მაშენებლებისა და პირველი ქართველი წმინდა მამებისა და მათი უახლოესი ნათესავების აღაპებს, რომლებიც თავდაპირველად, საფიქრებელია, ძირითადად ცალ-ცალკე ჩაიწერა ხელნაწერთა კიდეებზე მინაწერების სახით, რის საფუძველზეც შეიქმნა პირველი საარაპე წიგნი, განლაგებული მთელი წლის დღესასწაულებზე. ეს აღაპებია:

№ 1. აღაპი იოანე (თორნიკე) სვინგელოზისა, „მაშენებლისა ამის დიდებულისა ლავრისაჲ, თავისი უძველესი და უმდიდრესი განგებით".

№ 16. იოანე მონაზონისა და აბუჰარბისა და თორნიკესი, „ვითა სჳნგელოზისასა სწერია".

№ 17. აღაპი კოსტანტინესი, ბაგრატის, მიქაელის და სვიმეონისა. განგება „ვითა სჳნგელოზისასა სწერია".

№ 18. აღაპი მამისა ეგნატისი. იგივე განგება.

№ 19. აღაპი მარიამ ენკრატისისათვის. იგივე განგება.

№ 29. აღაპი იოანე წიფორელისათვის. აღაპის განგების ზოგადი ხასიათი, პიროვნების დამსახურების აღუნიშვნელობა მიანიშნებს მის სიძველეს.

№ 71. „მამისა ჩუენისა და მაშენებელისა ეფთჳმესი. ყოვლითვე სჳნგელოზისა განგებაჲ აღესრულოს“.

№ 83. იოანესი, ეფთჳმეს მამისაჲ. განგება „ვითა სჳნგელოზისასა სწერია“.

მეორე პლასტი: აღაპების ჯგუფი, რომელიც თავიდანვე შევიდა „ათონის კრებულის“ სააღაპე წიგნში, განწესებული გიორგის დეკანოზობის წლებში (1042–1044).

განწესდა ეს ჯგუფი აღაპებისა მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ლავრის ქართველთა საკრებულოს ცხოვრებაში 1041–1042 წლებში. ამ წლებში შედგა ორი „ბჭობა“ ბიზანტიის იმპერატორების, მიხეილ IV-ისა და მიხეილ V-ის, მონაწილეობით, სადაც საბოლოოდ გადაწყდა ივირონზე ქართველთა უფლებების აღდგენის საკითხი. აღაპები განწესდა საკრებულოს იმ წევრებისათვის, რომლებიც ბერძნების წინააღმდეგ თავგანწირულად იბრძოდნენ ლავრაზე ქართველთა უფლებების დასაცავად. ეს აღაპებია:

№ 130+131 აღაპი მონასტრის წინამძღვრის გრიგოლისათვის (1034–1041), რომლისათვისაც დაწესდა განგება „ვითარცა სჳნგელოზისაჲ“[1], ზაქარიასა და არსენისათვის.

ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ძმების, იოანე და სტეფანე ხარტულარების აღაპებიც:

№ 24. აღაპი სტეფანე ხარტულარისაჲ (სტეფანე ლავრის წინამძღვარია 1042–1044 წლებში. ამ დროს გიორგი დეკანოზი იყო).

№ 113. აღაპი იოანე ხარტულარისა (იხ. ივირონის ბერძ. აქტი № 27).

ამ პლასტის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა აღაპი განწესებულია 1041–1042 წლებში, გიორგი მთაწმინდლის დეკანოზობისა და სვიმეონ მამისა და სტეფანე ხარტულარის წინამძღვრობის პერიოდში.

შემდეგი ჯგუფი აღაპებისა, რომელიც ამავე პლასტს უნდა მივაკუთვნოთ, არის გიორგი მთაწმინდლის წინამძღვრობის წლებში განწესებული აღაპები, კერძოდ, ის აღაპები, რომლებიც განწესდა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მონასტრისათვის „სოლიმნის შექმნისა“ და „დიმოსის მოწყუედის“ დიდ საქმესთან დაკავშირებით. ესენია:

---

[1] ვრცლად ამ აღაპის შესახებ იხ. კომენტარი.

მარიამ დედოფლის (№ 100), ბაგრატ კურაპალატის (№ 90), კონსტანტინე მონომახისა (№ № 27,99), ძმების, პეტრიკისა და იოანესი (№ 15), სანანო ქველისძისა (№ 20), ფარსმან თმოგველისა (№ 89). ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ № 91 აღაპი ევსტათი იკონომოსისა (იხ. კომენტარი).

შემდეგ ჯგუფს ქმნიან ის აღაპები, რომლებიც განწესებულია არსენის, თეოდორეს და გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის წლებში:

№ 11. აღაპი საბაჲსთჳს, ძმისა იოანე მუჰჳცაჲსა. განუწესა მამა თეოდორემ.

№ 12. აღაპი ბაბანისა. განგებისათვის განწესებულია „ზემოწერილი წესი", ე.ი. № 11 აღაპისა.

№ 13. აღაპი გიორგი დიდისა [ვარაზვაჩესი]: „ვითარცა სჳნგელოზისასა სწერია და იოანესა და ეფთჳმესა, იგივე წესი აღესრულენ".

№ 26. აღაპი განწესებულია ბასილი ეპარხოსისა და ბასილი პრონოიტრისათვის.

№ 34. აღაპი ლიპარიტისათვის. განგება: „ვითარცა მაშენებელთაჲვე", მდიდარი შეწირულებისათვის (იხ. კომენტარი).

№ 37. აღაპი ფარსმანისა და ჩორჩანელის მამის, სულასთჳს, ქონქოზისა და ცუარისთჳს. განგება: „იგივე ზემოწერილი წესი ლოცვისა". დადალისონელის რედაქციაში № 37 აღაპი მოთავსებულია № 34 აღაპის (ლიპარიტისთვის) შემდეგ გვერდზე (188v), რომლისთვისაც განწესებულია განგება „ვითარცა მაშენებელთაჲ". მაშასადამე, სულასთვისაც იგივე განგება განწესებულა, რაც ლიპარიტისთვის (იხ. კომენტარი).

№ 38. აღაპი გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეთათვის. განგება: „ვითა ზემო სწერია წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ". იგულისხმება წინა აღაპები: № 34 – ლიპარიტისათვის და № 37 – სულასთვის, რომელთათვისაც განწესებულია განგება „ვითარცა მაშენებელთაჲ". ამრიგად, ეს აღაპიც დაწერილია თევდორეს მამობის ან გიორგი ოლთისარის დროს.

№ 40. აღაპი გრიგოლ აბუსერისძისა და გრიგოლ შაშუაჲსძისათჳს. განგება: „ვითარცა მაშენებელთაჲ".

№ 48. აღაპი გაბრიელისი, ევანეზის ძმისაჲ, „რომელსა მონაზონებასა ნიკოლა ეწოდა". განგება: „ვითა თორნიკისთჳს სჳნგელოზისა სწერია". განწესებულია მამა არსენის მიერ (იხ. კომენტარი).

დადალისონელის სააღაპე წიგნის აღაპებიდან ასევე 1056 წლის შემდეგ არის დაწერილი:

№ 50. ალაპი გიორგი ჩორჩანელისათჳს. მამა არსენის შემდეგ განგება „ვითა სჳნგელოზისა“ ალაპებში აღარ ჩანს. ეს ალაპი დადებულია არსენ ფარსმანყოფილის მიერ თავისთვის და თავისი ძმის, გიორგი ჩორჩანელისათვის. განგებაში ჯერ კიდევ ნახსენებია „ვითა სჳნგელოზისა“, ხოლო იოანე, ეფთვიმეს მამა, აქ იხსენიება როგორც მაშენებელი. შემდეგდროინდელ ალაპებში იოანეს ეპითეტი „მაშენებელი“ გადაქცეულია განგების სახეობად.

№ 87. ალაპი გიორგი თარგმანისათჳს (გიორგი მთაწმინდლისათვის) მისი ხსენების დღეს. განგება: „ვითა სწერია სჳნგელოზისათჳს და იოანე, ეფთჳმეს მამისაჲ, და დიდისა გიორგისთჳს“.

№ 110. ალაპი მამისა არსენისი, ფარსმანყოფილისაჲ. განწესებულია ალაპი მისი გარდაცვალების გამო (1061 წ.), საფიქრებელია, მისი შემცვლელის, თეოდორე მამის მიერ. განგება: „ვითარცა თორნიკისსა სწერია და მამისა იოანესსა... ვითა ზემო სწერია მისივე განწესებული“. იგულისხმება არსენის მიერ განწესებული ალაპის (№ 50) განგება.

№ 116. ალაპი ილარიონ პროტისა და სტეფანე იკონომოსისათვის. ილარიონ პროტი ათონზე მოღვაწეობდა 1056–1066 წლებში (იხ. ალაპის კომენტარი). რომელი მონასტრის იკონომოსია სტეფანე, არ ვიცით. საფიქრებელია, ალაპი განწესდა არსენის ან თეოდორეს მამობის დროს.

ამრიგად, დაღალისონელის რედაქციის საალაპე წიგნის 34 ალაპიდან 22 დაწერილია დაღალისონელის ხელით, ხოლო 12– თაფლაისძის მიერ. ამ 34 ალაპიდან 11 (№ № 15, 20, 24, 27, 89, 90, 91, 99, 100, 113, 130–131) დადებული უნდა იყოს გიორგი მთაწმინდლის მიერ ქართველთა ლავრის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენებთან დაკავშირებით. გიორგის მიერ განწესებულ ალაპთა მახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს ის, რომ განმწესებელი თავის თავს არსად არ ასახელებს. გიორგი მთაწმინდლის წინამძღვრობიდან გადადგომისა და შავ მთაზე წასვლის (1056 წ.) შემდეგ მისი მომდევნო წინამძღვრების (არსენის, თეოდორეს და გიორგი ოლთისარის) მიერ განწესებულია 13 ალაპი (№ № 11, 12, 13, 26, 34, 37, 38, 40, 48, 50, 87, 110, 116).

ამგვარად, „ათონის კრებულის“ საალაპე წიგნი შეიქმნა თავდაპირველი პლასტისა (ჩორდვანელთა სახლის წევრებისა და მათი ნათესავებისათვის დადებული ალაპები 984–1041 წწ.) და გიორგი მთაწმინდლის ათონზე ჩასვლის შემდგომ პერიოდში მისი დეკანოზობისა და წინამძღვრობის წლებში (1042–1056) განწესებული ალაპების საფუძველზე.

საალაპე წიგნში გიორგი მთაწმინდლის ათონზე მოღვაწეობის პერიოდში დადგენილ ალაპთა რაოდენობა და ალაპთა წიგნის ამ ნაწილის სტრუქტურა და ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ პირველი საალაპე წიგნი შეიქმნა 1041–1042 წლებში. მისი შემდგომი შევსებაც სავსებით ეფარდებოდა გიორგის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობის პროგრამას.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ მიზეზი, თუ რატომ ანიჭებდა გიორგი მთაწმინდელი საალაპე წიგნის შექმნას დიდ მნიშვნელობას, საჭიროა გავიხსენოთ და გავითვალისწინოთ ათონის ქართველთა ლავრაში გიორგი მთაწმინდლის მოღვაწეობის მიზანი და ხასიათი.

დღიდან ათონზე ჩასვლისა გიორგი მთაწმინდელი აქტიურად ჩაება ლავრის სამეურნეო და სულიერ ცხოვრებაში. მან რამდენიმე მიმართულებით გაშალა საქმიანობა. პირველი და მთავარი იყო ლავრაზე მეფეთა მიერ აღდგენილი ქართველთა უფლებების განმტკიცება სამომავლოდ. ამისთვის გიორგიმ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ეკლესიის ერთ–ერთი ეგუტერი გადააქცია პირველ ქართველ მამათა და მაშენებელთა სამარტვილედ, გადაასვენა იქ იოანე და ეფთვიმე და მათი თანამოღვაწენი, სამარტვილე შეამკო „ყოვლითა სამკაულითა, ხატითა და ჯუარითა, ქორაკანდელითა, სასანთლითა და ეზოჲთა და სხვთა ყოვლითავე ბრწყინვალებითა, ვითარცა შუენოდა წმიდათა მათ. და განაწესა, რაჲთა მოუკლებელად სამი კანდელი ენთებოდეს და ყოველივე წესი შეუცვალებელად აღესრულებოდის“. ქართველ მოღვაწეთა სამარტვილოს შექმნით გიორგიმ განამტკიცა ქართველთა საძმოს უფლებები კათოლიკონზე (ივირონის მთავარი ეკლესია ღვთისმშობლის მიძინებისა).

მას შემდეგ, რაც გიორგიმ დაასრულა ეს „დიდი და მაღალი საქმე“, ის შეუდგა „მოღვაწეობას ეკლესიისათჳს“, „რამეთუ ზედა ტყვი არა იყო და წყალი შთადიოდა, ვითარცა წამებენ კატნი, რომელ აკოცილ არიან“ („ცხორება“, გვ. 134). ამ დროისათვის ბიზანტიის კეისარს, კონსტანტინე მონომახს, „დიდი სარწმუნოება აქუნდა მისა მიმართ და ესვიდა წმიდათა ლოცვათა მისთა“[1]. კონსტანტინე მონომახმა მისცა გიორგის საჭირო რაოდენობა ტყვიისა, რომლითაც მან „დაბურა წმიდაჲ ეკლესიაჲ“ და ამასთანავე, აღაშენა „გარეგანი შტოჲ და ესრეთ ყოვლითურთ სრულ–ყო წმიდაჲ ეკლესიაჲ“[2].

---

[1] ძეგლები, II, გვ. 134.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 134–135.

სამშენებლო სამუშაოთა დასრულების შემდეგ, თავისი წინამძღვრობის მანძილზე გიორგი ზრუნავს ლავრის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება-განმტკიცებაზე:"... იღუაწა... ოქრობეჭედნი ღმრთისმსახურთა მეფეთაგან, დამამტკიცებელნი ოქრობეჭედთა ჩუენთანი და მერმე შესძინნა ზღვარნი არამცირედნი პრასტინთა მონასტრისა ჩუენისათა"[1].

უკანასკნელი „დიდი საქმე", რომელიც ამ მიმართულებით გაკეთდა, ის იყო, რომ გიორგის მცდელობით განთავისუფლდა მონასტერი დიმოსისაგან, რომლისგანაც „დიდსა ჭირსა შინა იყვნენ პრასტინნი ჩუენნი" (გვ.135). ამით დაამთავრა გიორგიმ ლავრის მშენებლობასა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა[2]. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარე იყო მისი მოღვაწეობისა.

მთავარი, რისთვისაც გიორგი დაყუდებულმა გაგზავნა გიორგი ათონზე, იყო ეფთვიმეს საგანმანათლებლო საქმის გაგრძელება, სკრიპტორიუმის აღდგენა და მწიგნობართა კოლექტივის შექმნა, ათონის ქართული მწიგნობრული ცენტრის პრესტიჟის აღდგენა, ეფთვიმეს ღვაწლის სათანადო დაფასება და ბოლოს ქართველთა სავანის მატიანის შექმნა, რათა არასდროს წაშლილიყო ამ დიდი, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი კერის წვლილი ქართველი ერის ისტორიაში. ამ დიდ საქმეს გიორგი ახორციელებდა თანდათანობით, გეგმიანად. პირველი, რასაც მიჰყო ხელი, იყო სანდო მასალების მოპოვება (წერილობითი თუ ზეპირი) იოანე და ეფთვიმეს „ცხორების" დასაწერად. მან სულ მოკლე ხანში მოიპოვა დიდძალი დოკუმენტები, ცნობები, და მიუხედავად იმისა, რომ წერდა აგიოგრაფიული ჟანრის თხზულებას და ამდენად შეზღუდული იყო ჟანრობრივი ჩარჩოებით, შექმნა ჭეშმარიტად უტყუარი ისტორია ქართველთა ლავრისა, რომელიც იწყება ათონის ქართველთა ლავრის პრეისტორიით და მთავრდება ეფთვიმეს გარდაცვალებით. მაგრამ ამით არ მთავრდებოდა მონასტრის ისტორია. „ცხორებაში" აღწერილი პერიოდი იყო ყველაზე ბრწყინვალე ხანა ლავრის ისტორიაში, რომე-

[1] ეს ოქრობეჭედი უნდა იყოს მოხსენიებული ქართველთა ლავრის ბერძნულ აქტში № 32 იხ. Actes d' Iviron, II, p.81.

[2] მის დაწყებულ საქმეებს განაგრძობენ მისი მოწაფენი, მისი მომდევნო წინამძღვრები: არსენ ფარსმანყოფილი და თეოდორე. იხ. ბერძნული დოკუმენტები: Iv 31, 32, 33, 34.

ლიც, შეიძლება ითქვას, ეფთვიმეს გარდაცვალებასთან ერთად ჩაესვენა. 1029 წელს კი მონასტრის წინამძღვრის, გიორგი I (ვარაზვაჩე), შერისხვისა და გადასახლების შემდეგ, ლავრის ცხოვრებაში დაიწყო მეტად მღელვარე პერიოდი, ხატოვნად აღწერილი „ცხორებაში": „მონასტერი და ჩუენ ყოველნი, რომელნი დაშთომილ ვიყვენით მას ჟამსა, დიდსა ღელვასა და მიმოტაცებასა შთავცჳვენით, რამეთუ სამ გზის დაიტყუენა მონასტერი და, რაჲცა დრისტი ტურფაჲ იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ-იქმნა, და ეგრეთვე განძი და კუმაში" (§ 116,3). ლავრა და საკრებულო რამდენჯერმე მიწიდან აღხოცვის წინაშე იდგა: „არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ჩუენდა, დღეს არცამცა ერთი ქართველი არა იპოების ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი-ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართველთათჳს აღშენებულ იყო და აღმართულ" (იქვე).

1040 წლიდან გიორგი მთაწმინდელი მოწმე და მონაწილე იყო ქართველების დიდი და შეუპოვარი ბრძოლისა ბერძნების წინააღმდეგ, რათა ქართველობას შეენარჩუნებინა უფლება მათ მიერ აშენებული ლავრის მფლობელობაზე.

მეორე ბჭობის შედეგად ბიზანტიის მეფე მიხეილ V-მ ქართველებს დაუმტკიცა მათი უფლებები ლავრაზე. ლავრაში დაიწყო ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღორძინების ხანა. მაგრამ რაც მოხდა, იმის დავიწყება არ შეიძლებოდა. ამიტომ განიზრახა ლავრის ქართველთა საკრებულომ აეწერა „მომავალ ნათესავთა" გაფრთხილების მიზნით ყველაფერი, რაც თავს გადახდა ლავრას 1029-1042 წლებში. „მოსაჴსენებელი"[1] ერთობლივი ღაღადისია, რათა ქართველები გაუფრთხილდნენ და დაიცვან ქართველთა დიდი მონაპოვარი მთაწმინდაზე. დაიწერა „მოსაჴსენებელი ამის პირისათჳს, რაჲთა ესევითარი ესე ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩუენ ზედა ბერძენთა, არა დავიწყებულ იქმნას, და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევითარსავე ჭირსა შთაცჳვენ, — ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შევკრებით და ერთითა განზრახვითა ესე ჴუემო წერილი მოსაჴსენებელი დავწერეთ ამით პირითა და სახითა ჟამთა სჳმეონ მამისათა" (§ 118,1). რა თქმა უნდა, გიორგი მთაწმინდელი, ლავრის ქართველთა საკრებულოს წევრი 1040

[1] „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", გვ.2-3.

წლიდან, აქტიურად იყო ჩაბმული ლავრის გადასარჩენად ქართველთა შეუპოვარ ბრძოლაში; ამ მისიით იყო ის გამოგზავნილი ათონზე გიორგი შავმთელის მიერ. ისიც თავისთავად ცხადია, რომ გიორგი მთაწმინდელი, ქართველთა ლავრის გამორჩეული წევრი, მოაზროვნე, მოღვაწე და მწერალი თვითონ იყო ამ შესანიშნავი კოლექტიური დოკუმენტის შექმნის ინიციატორი, მეტიც – ავტორი, აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ „მოსაკსენებლის" ლიტერატურული ღირსებებიც ადასტურებენ, რომ ამის დამწერი ქართული სიტყვის დიდოსტატი უნდა ყოფილიყო.

გიორგის უეჭვო ავტორობის სასარგებლოდ შემდეგი ფაქტები მეტყველებენ:

1. „მოსაკსენებელი" ახლავს იოანე და ეფთვიმეს „ცხორებას". ის ისევე, როგორც ტექსტის აბზაცები იწყება მთავრული ასოთი და არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ „მოსაკსენებლის" ტექსტი გააზრებულია გადამწერთა მიერ როგორც ძირითადი ტექსტის ბუნებრივი გაგრძელება.

2. „მოსაკსენებელი" დამოუკიდებელი სახით ხელნაწერებში არ გვხვდება.

3. „ცხორება" მთავრდება, როგორც ამას აგიოგრაფიული ჟანრის სპეციფიკა თხოულობს, ეფთვიმის გარდაცვალებით. „მოსაკსენებელი" იწყება ეფთვიმეს მომდევნო წინამძღვრის, გიორგი I-ის, ისტორიით, რომელსაც ეფთვიმემ თავის სიცოცხლეშივე გადააბარა ქართველთა ლავრა. ამიტომ, ბუნებრივია, ზოგი რამ გიორგის მოღვაწეობიდან საერთო იქნებოდა ამ ორ თხზულებაში. გიორგი I-ის მოღვაწეობას ორივე ძეგლი დაახლოებით ერთნაირად აფასებს. „მოსაკსენებელში" ვკითხულობთ: „ვინაჲთგან წმიდამან მამამან ჩუენმან ევთჳმე წინამძღურობაჲ მონასტრისაჲ დაუტევა და, ვითარცა ზემო ვთქუთ, გიორგი მამად დაადგინა, კნინღა-და უმეტესნი ზემოკსენებულთა მათ წესთაგანნი შეცვალნა და თჳსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სხუათა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტკიცებაჲ" (§ 115,1). პირველ პირში ნახმარი ზმნა („ვითარცა ზემო ვთქუთ") მიუთითებს, რომ „მოსაკსენებლის" ავტორი თავის თავს „ცხორების" ავტორადაც თვლის და ამავე დროს „მოსაკსენებელს" „ცხორების" გაგრძელებად სახავს.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას: „ცხორების" დაწერა უსწრებდა „მოსაკსენებელისას".

ეს უკანასკნელი დაწერილია სვიმეონის მამობის ჟამს, მეორე „ბჭობის“ შემდეგ, ე.ი. 1042 წლის პირველ ნახევარში. გამოდის, რომ ამ დროისათვის „ცხორება“ უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო.

„მოსაკსენებელი“, გარდა იმისა, რომ ქართველთა ლავრის ყველაზე მძიმე თორმეტწლიანი პერიოდის უტყუარი ისტორიაა, იგი ძლიერი და ამაღლევებელი პატრიოტული მოწოდებაცაა, გამიზნული „მომავალთა ნათესავთათჳს“, დაწერილი მთელი ერის, ყველა ქართველის მიმართ, სადაც არ უნდა მკვიდრობდნენ ისინი: „ერთითა ერთობითა ამას ვიტყჳთ, ვითარცა ერთისა პირითა ყოველთა ქართველთა თანა, რომელნი სადაცა არიან: აღმოსავალისათა და შავისა მთისათა და იერუსალემისათა და სადაცა არიან ძმანი ჩუენნი“[1].

ამ მოწოდებაში, პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის, თუ რა ფართო მცნებაა „მოსახსენებლის“ ავტორისათვის ქართველთა სამკვიდრო. ის მოიცავს საკუთრივ „აღმოსავლეთს“ (საქართველოს) და საზღვარგარეთის ქართულ კოლონიებში (სირიასა და პალესტინაში) მცხოვრებ ქართველებს. ყველა ამათთვის არის გამიზნული „მსმენელთა სასმენელთა მკჳრცხლ შემავალი“[2] მოწოდება.

ამ ფაქტზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ზუსტად ასევე მასშტაბურად აქვს წარმოდგენილი ქართველობა, როგორც კრებითი ცნება, გიორგი მთაწმინდელს. ეს მხარე გიორგის მსოფლმხედველობისა კარგად აქვს ნაჩვენები გიორგი მცირეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გიორგი მთაწმინდელი ათონზე ჩასვლისთანავე შეუდგა ეფთვიმეს კულტის დამკვიდრებასა და მის პოპულარიზაციას. გიორგი მცირე გვამცნობს, რომ როდესაც გიორგი მთაწმინდელმა წმინდა ნაწილად დასახა ეფთვიმეს განმაცხოველებელი მარჯვენა, მან შექმნა მისთვის „გუადრუცი“ და „ოდეს გზასა ვალნ, თჳთ უტჳრთავნ წმიდაჲ იგი გუადრუცი. ამით ესევითარითა სახითა კნინღა ყოვლისა სოფლისა სახილველ და საცემელ ყო მთაწმიდითგან ვიდრე შავ მთასა და ყოველსა ასურეთსა და იერუსალემსა და აღმოსავალადმდე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმი მარჯუენისა მიერ თჳსისა მეფეთაგან და მთავართა, მღდელთმოძღუართა და მღდელთა და ყოვლისა ერისა“[3].

---

[1] „ცხორება“, § 118, 28.

[2] ძეგლები, II, გვ. 177.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 132.

აქ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იგულისხმება ქართველთა ყოველი ერი. როგორც ვხედავთ, გიორგიმაც ეფთვიმეს კულტის გასავრცელებლად იგივე არეალი შემოხაზა, რაც „მოსაკსენებლის“ ავტორმა თავისი მოწოდების გასავრცელებლად. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტიც, სხვა ზემოთ მოტანილ საბუთებთან ერთად იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ გიორგი მთაწმინდელი არის ავტორი „მოსაკსენებლისა“, რომლის შედგენა ლავრის ქართველთა ძმობის ერთობლივი სურვილი იყო. „მოსაკსენებლის“ დამწერის უკეთესი კანდიდატი ამ დროის ქართველთა ლავრის საკრებულოში არ არსებობდა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა გიორგის მოღვაწეობა ქართველთა ლავრის მატიანის შექმნისათვის, ლავრის მატიანე გაგრძელდა უკვე სააღაპე წიგნში, რომელიც ასევე გიორგი მთაწმინდლის ინიციატივით უნდა შექმნილიყო.

## თაფლაისძის სააღაპე წიგნის შემდგომი შევსება

თაფლაისძის მიერ სააღაპე წიგნის შემდგომი შევსების მიზნით დატოვებული დაუწერელი ადგილებისა (აღაპებს შორის), გვერდების და ფურცლების შევსება დაიწყო იოანე თაფლაისძის გარდაცვალების უმალვე თაფლაისძის მომდევნო დეკანოზის მიერ. ვინაობა ამ დეკანოზისა ცნობილი არ არის. საფიქრებელია, ის იყო იოანე თაფლაისძის თანამედროვე და თანამოღვაწე, რომელმაც თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ დაიკავა მისი ადგილი და განაგრძო თაფლაისძის საქმიანობა. იგი ხელითაც ბაძავდა სააღაპე წიგნის შემდგენელს, რის გამოც მას პირობითად თაფლაისძის „მიმბაძველი“ ვუწოდეთ. მსგავსება თაფლაისძისა და მისი მიმბაძველის ნაწერს შორის ზოგჯერ იმ ზომამდე დიდია, რომ მათი გამიჯვნაც კი ჭირს, და თუ არა სხვა სპეციფიკური ნიშნები, რომლითაც ხასიათდება „მიმბაძველის“ აღაპები, მათ ვერც გამოვარჩევდით თაფლაისძის აღაპებისგან.

ხელითა და თაფლაისძის აღაპებისაგან გამოსარჩევი სხვა ნიშნებით, რომლებზედაც ქვემოთ შევჩერდებით, სააღაპე წიგნში გამოიყო „მიმბაძველის“ 9 აღაპი (№№ 8, 44-46, 64, 97, 98, 122, 140). ეს აღაპები წარმოადგენს ყველაზე ადრეულ შევსებას თაფლაისძის რედაქციის სააღაპე წიგნისა.

მართალია, „მიმბაძველი“ თაფლაისძეს კალიგრაფიაში ბაძავს, მაგრამ მის მიერ დაწერილ აღაპებს ახასიათებს რამდენიმე თავისებუ-

რება, რაც ერთობლიობაში საფუძველს გვაძლევს ცალკე ჯგუფად გამოვყოთ „მიმბაძველის“ ალაპები:

1. თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ მის შრომას არაერთი შემავსებელი და გამგრძელებელი გამოუჩნდა, მაგრამ მხოლოდ „მიმბაძველის“ დაწერილ ალაპებში გვხვდება სიტყვა „პანაშვდის“ თავისებური დაწერილობა „პანაშკტი“ (№ № 8, 44, 64, 97, 140); „მიმბაძველის“ დანარჩენი სამი ალაპის (№ № 45, 46, 98) განგებაში პანაშვიდი საერთოდ არ არის შეტანილი, ხოლო ერთადერთ, № 122 ალაპში პანაშვიდი სწორი ფორმით არის მოტანილი.

2. თაფლაისძემ საალაპე წიგნის ახალი რედაქციის შედგენის პრინციპები, როგორც უკვე ითქვა, ჩამოაყალიბა თავის ანდერძში (№ 166). ძირითადი პრინციპი იყო საალაპე წიგნის კალენდრის რიგით გაწყობა. თაფლაისძე ცდილობს ყველგან დაიცვას ეს პრინციპი. „მიმბაძველი“, იმის გამო, რომ მან უნდა ჩაატიოს თაფლაისძის დატოვებულ დაუწერელ ადგილებში ახალი ალაპები, ქრონოლოგიური პრინციპის დაცვას ყოველთვის ვერ ახერხებს. ამიტომ „მიმბაძველის“ ალაპები ზოგჯერ ამოვარდნილია კალენდარული რიგიდან.

3. თაფლაისძის ალაპების განგებებში ხშირად არის შეტანილი „ანაფორა“ (რასაც არ ვხვდებით „საალაპე წიგნის“ დოლალისონელისეულ რედაქციაში). თაფლაისძის დაწერილი ანაფორიანი ალაპების გასწვრივ კიდეზე, ჩვეულებრივ, მინიშნებულია განგებაში „ანაფორის“ არსებობა: ფარგლით შემოხაზულ პატარა წრეში ჩაწერილია კალიგრაფიული ნუსხურით „ანაფორაჲ“. „მიმბაძველი“ ამაშიც ბაძავს თაფლაისძეს და ზოგიერთ ალაპს (№ 44) უკეთებს მინიშნებას ანაფორაზე ალაპის გასწვრივ კიდეზე. მაგრამ ეს მინიშნება წრის მოხაზულობით და კალიგრაფიითაც განსხვავდება თაფლაისძის ალაპებისათვის გაკეთებული ანალოგიური მინიშნებებისაგან.

ამ სამმა თავისებურებამ „მიმბაძველის“ 9 ალაპის ცალკე პლასტად გამოყოფისა და ამ პლასტის დათარიღების საშუალება მოგვცა.

## თაფლაისძის „მიმბაძველის“ ალაპთა დათარიღების ცდა

ალაპი № 8 განწესებულია ნიკონ ნაპილოსისა და მისი მშობლებისათვის იმის გამო, რომ ნიკონმა იოანე ბუქაისძის დროს (1085-1104) მონასტერს აუგო 400-მოდიანი ნავი. ალაპი განწესებულია ნიკონის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ რომელი წინამძღვრის დროს, ალაპში

აღნიშნული არ არის. რაკი აღაპი იწერება „მიმბაძველის" მიერ, რა თქმა უნდა, თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ, ნავის მონასტრისათვის გადაცემიდან (იოანე ბუქაძსძის ზეობის დროს) აღაპის დაწერამდე კარგა ხანი გასულა. საფიქრებელია, რომ აღაპი განწესებულია ნავის (= გემის) მიღების დროს დადებული წერილობითი პირობის საფუძველზე, რომელიც გულისხმობდა ამ აღაპის განწესებას ნიკონის გარდაცვალების შემდეგ. ზემოთქმულის საფუძველზე აღაპი დაწერილი უნდა იყოს XII საუკუნის 40-იან წლებში, იოანე თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ (ამ აღაპის დათარიღების შესახებ უფრო ვრცლად იხ. აქვე: „მონასტრის მამები – მიქაელი და იოანე).

ამ აღაპის დამწერად ჩვენ მიგვაჩნია „მიმბაძველი" შემდეგი ნიშნებით:

ა) აღაპში წერია „პანაშკტი", ნაცვლად პანაშჳდისა.

ბ) აღაპს კიდეზე ფარგლის გარეშე ხელით დახატული აქვს წრე, მაგრამ წრეში „ანაფორაჲ" არ არის ჩაწერილი. ასეთი შემთხვევა თაფლაისძის დაწერილ აღაპებში მხოლოდ ერთია (№ 125).

აღაპები № № 44, 45, 46. სამივე დაწერილია 189v-ზე. 189r-ზე დაწერილია 3 აღაპი თვით თაფლაისძის ხელით (№ № 41-43) იანვრის 23, 27 და 29 დღეებზე. 43-ე აღაპი გრძელდება 189v-ზე, რის შემდეგ თაფლაისძეს ეს გვერდი დაუწერლად დაუტოვებია. დაუწერელი ადგილი კი შევსებულია 4 აღაპით, აქედან პირველი სამი (44-46) დაწერილია თაფლაისძის „მიმბაძველის" ხელით (იხ. ტაბ. III$_1$). ეს აღაპები არღვევენ თაფლაისძის სააღაპე წიგნის წინა აღაპების კალენდარულ რიგს: განწესებულნი არიან 29 იანვრის შემდეგ და იანვრის 11 და 7 დღეებზე. „მიმბაძველის" სამივე აღაპი ერთდროულად და ერთი ხელით არის ჩაწერილი. ეს აღაპები რომ თაფლაისძის ჩაწერილი არ არის, ამას ადასტურებს აგრეთვე № 44 აღაპში სიტყვა პანაშკტის ხმარება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ 44-ე აღაპს კიდეზე აქვს მინიშნება „ანაფორაზე" (წრეში ჩაწერილი ტექსტით). ეს მინიშნება წრის ფორმითაც და ტექსტის ხელითაც სრულიად განსხვავდება თაფლაისძის ანალოგიური მინიშნებებისაგან, და მიმბაძველისთვის არის დამახასიათებელი.

უკანასკნელი აღაპი 189v-ზე–№ 47, „მიმბაძველის" აღაპების (44-46) მომდევნო, განწესებულია იოანე რუს-ყოფილისათვის, დაწერილია მსხვილი კალიგრაფიული სწორი ნუსხურით. ეს აღაპი დაწერილი უნდა იყოს XII საუკუნის 50-იან წლებში. აღაპი № 47

ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს ქმნის „მიმბაძველის" წინა სამი აღაპისათვის.

განვიხილოთ „მიმბაძველის" ეს სამი აღაპი (№ № 44-46) შინაარსობრივად: № 44 აღაპი განწესებულია ბერი[1] გიორგი ჯუბიელისათვის, რომელმაც ეკლესიას დაუტოვა „დრაჰკანი დუკატ-მიხაილატი 50". ჩანს, გიორგი ჯუბიელი ქართველთა მონასტრის მოღვაწეა, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მაინც.

ამ აღაპს შეეხო ვახტანგ ჯობაძე 1976 წელს გამოქვეყნებულ მეტად საყურადღებო ნაშრომში[2]. ნაშრომში მოტანილი ფაქტები საშუალებას იძლევა გიორგი ჯუბიელის ვინაობისა და მისი მოღვაწეობის ადგილისა და დროის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ.

ვ. ჯობაძე ვარაუდობს, რომ გიორგი ჯუბიელი ჯუბიის მონასტრის ბერი უნდა იყოს. ჯუბიის ქართველთა სამყოფელი კი იგივე ლერწმისხევის უდაბნოს ქართველთა მონასტერია შავმთაზე, სადაც გადაიწერა XI საუკ. II ნახევრის ცნობილი ქართული ხელნაწერი A-845. ამ ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა ესე სახარებაჲ შავსა მთასა, უდაბნოსა ლერწმისკევისასა, ზღჳს პირსა სელევკიისა..." ვ. ჯობაძემ პირველმა შეისწავლა შავი მთის ეს რეგიონი, ქალაქ სელევკია პიერას ჩრდილოეთით მდებარე, ქალაქიდან ერთი კილომეტრით დაშორებული. მიაკვლია მონასტრის ნანგრევებსა და მის მახლობლად სენაკს. ამ ადგილას, მკვლევარის ცნობით, ახლაც ხარობს ლერწამი და სუბტროპიკული მცენარეები. მონასტერი და სენაკი რომ ქართველების ადგილსამყოფელი იყო, ეს დაადასტურა იქვე ნაპოვნმა ორმა ქართულწარწერიანმა ქვამ XI საუკ. შუა წლებისა. ვ. ჯობაძემ დაადგინა ამ მონასტრის სახელიც. XIV საუკუნის იტალიური დოკუმენტით ამ ადგილს ეწოდება Jubine. ეს იტალიური სახელწოდება ვ. ჯობაძემ დაუკავშირა ქართულ ჯუბიას, რომელიც ორ ქართულ წყაროშია დადასტურებული: „ბარლაამის ცხოვრებაში" (Ath. 84, X-XI ს.ს. მიჯნა) და № 44 აღაპი, რომელიც გიორგი ჯუბიელისათვის არის განწესებული[3]. ამრიგად, გიორგი ჯუბიელი შავი მთის ლერწმისხევის ჯუბიის მონასტრის მოღვაწე ყოფილა. ვ. ჯობაძემ შემოგვთავაზა აგრეთვე ვარაუდი, თუ როდის უნდა წამოსულიყო გიორგი ჯუბიელი

---

[1] ბერად იწოდება მონასტრის დიდად საპატიო მოძღვარი ან მოძღვართ-მოძღვარი.

[2] W. Djobadze, Materials..., p. 92-94.

[3] Ath. 84,99v; აღაპი № 44 (იხ. აქვე, აღაპების ტექსტი).

ათონზე. მისი ცნობით, ჯუბიის მონასტერი აშენებული ყოფილა მართლმადიდებელთა მიერ და ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობების დროიდან (1098 წ.) ანტიოქიაში იქმნება სიტუაცია, რომლის გამოც შავი მთის ქართული კოლონიის წევრები თანდათან ტოვებენ ანტიოქიის სანახებს. 1140 წ. ანტიოქია და მასთან ერთად ჯუბიის მონასტერიც გადავიდა ლათინთა ხელში. მკვლევარი ფიქრობს, რომ სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით უნდა მიეტოვებინა გიორგი ჯუბიელს მონასტერი და წასულიყო ათონზე, სადაც მან ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი ქართველთა მონასტერში გაატარა და იქვე გარდაიცვალა. იქნებ მანვე ჩაიტანა ათონზე ჯუბიის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერი A 845 (XIს. II ნახ.), რომელიც ათონის კოლექციის კუთვნილება იყო და შემდეგ მოხვდა ქართულ ხელნაწერთა A კოლექციაში. ზემოაღნიშნული თარიღი ესადაგება როგორც იოანე თაფლაისძის მოღვაწეობის უკანასკნელ წლებს, ასევე მისი „მიმბაძველის" მოღვაწეობის ხანას. ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ „მიმბაძველს", ვინაიდან მისივე ხელით არის დაწერილი მომდევნო ორი აღაპი (45,46)

№ 45 აღაპი დაწერილია თევდოსი სოლონიკელისათვის, დუკყოფილისა. რაიმე დამატებითი ცნობები თეოდოსი თესალონიკის დუკყოფილის შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

№ 46 აღაპი განწესებულია ესაია ასურისათვის. მას გადაუცია მონასტრისათვის დრაჰკანი წყლის მისაყვანად. გიორგი ჯუბიელთან ერთად ესაია ასურისათვის აღაპის განწესება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. შესაძლებელია, შავი მთის მოღვაწე გიორგი ჯუბიელი და ესაია ასური ერთად წამოვიდნენ სირიიდან, საფიქრებელია, ჯუბიის მონასტრიდან, და თავი შეაფარეს ათონის ქართველთა მონასტერს 1140 წლის ახლო ხანებში.

№ 64 აღაპი განწესებულია თეოფილახტე მკერვალისათვის (სახელის მიხედვით ბერძენი უნდა იყოს), რომელმაც ეკლესიას გადასცა 42 პროტოხარაგი. ეს აღაპიც ყველა ნიშნით „მიმბაძველის" დაწერილია: ა) აღაპში დადასტურებულია „პანაშკტი" (მიმბაძველის ორთოგრაფიით). ბ) აღაპს ტექსტის გასწვრივ კიდეზე წრეში ჩაწერილი „ანაფორაჲ" არ ახლავს, მიუხედავად იმისა, რომ აღაპის განგებაში ანაფორა შეტანილია.

№ № 97 და 98 აღაპებიც „მიმბაძველის“ დაწერილია. № 97 განწესებულია გიორგი კოშკინასთვის, რომელსაც ქართველთა ლავრისათვის მიუცია წყლის მისაყვანად დრაჰკანი დუკატ-მიხაილატი 20[1]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასევე წყლის მისაყვანად გადასცა დრაჰკანი მონასტერს ესაია ასურმა, რომლის აღაპი (№ 46), ისევე, როგორც კოშკინასი (№ 97), დაწერილია „მიმბაძველის“ ხელით. ჩანს, წყლის პრობლემა მონასტერში იმ დროს მწვავედ იდგა. საფიქრებელია, რომ მიმბაძველის დაწერილი ეს ორი აღაპი (№ № 46 და 97) დაახლოებით ერთ დროს დაიწერა და საადაპე თანხებიც ამ ორი აღაპისა ერთ საქმეს მოხმარდა.

გიორგი კოშკინა, რომლისთვისაც განწესებულია აღაპი № 97, შესაძლოა, იგივე კოშკინა იყოს, რომელიც ჩანს 1162 წლის ლავრის (№ 64) ბერძნულ აქტში (Koskinas)[2]. ამავე აქტში მოხსენიებულია კონდოსტეფანოსი (Kondostephanos), რომელიც იხსენიება აგრეთვე № 7 ქართულ აღაპში. № 7 აღაპი თარიღდება, დაახლოებით ისევე, როგორც ლავრის ბერძნული (№ 64) აქტი (1162 წლით. იხ. № 7 აღაპის კომენტარი). ე.ი. №7 აღაპი საადაპე წიგნის უფრო გვიანდელ ფენას განეკუთვნება (1160 წ. ახლო ხანა), ვინემ მიმბაძველის აღაპები. ამიტომ №97 აღაპიც თავისუფლად შეიძლება მიმბაძველის ქრონოლოგიურ ფარგლებში (XII ს. 40-50-იანი წლები) მოვათავსოთ. ვინაიდან ქართული აღაპი № 97 უფრო ადრეულია, ვინემ ლავრის ბერძნული აქტი (№ 64), უნდა ვივარაუდოთ რომ ის გიორგი კოშკინას მოღვაწეობის უფრო ადრეულ ეტაპს ასახავს.

№ 97 აღაპს ახასიათებს „მიმბაძველის“ აღაპებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ა) აღაპის განგებაში დასტურდება პანაშჳდი. ბ) აღაპი არ იცავს კალენდარულ რიგს (№ 96 განწესებულია 27 ივლისის დღეს, № 97 კი – 25 ივნისს).

№ 98 აღაპი განწესებულია ლეონ ეპისტატისათვის, რომლის მთელი ქონება („რაჲცა ჰქონდა“) შემდგომად მისი სიკვდილისა დარჩა ეკლესიას. საფიქრებელია, რომ ლეონ ეპისტატი „ეკლესიის შვილი“ იყო და აღებული ჰქონდა ამ ეკლესიის მიმართ გარკვეული ვალდებულებები (შდრ. № 140 აღაპს).

---

[1] დუკატ-მიხაილატი დაუტოვა მონასტერს გიორგი ჯუბიელმა, რომლის აღაპიც „მიმბაძველის“ დაწერილია, რაც იმას მოწმობს, რომ ეს მონეტა XII ს. შუა წლებშიც არის გავრცელებული.

[2] Actes de Lavra, I, p. 326-327.

№ 98 ალაპი არ არის გამოყოფილი წინა (№ 97) ალაპისაგან არც აბზაცით და არც მთავრული დასაწყისი ასოთი. დადებულია წინა (№ 97) ალაპის დღესვე (25 ივნისი). ეს გვაფიქრებინებს, რომ ორივე ალაპი ერთდროულად ჩაიწერა საალაპე წიგნში „მიმბაძველის“ მიერ.

№ 122 ალაპიც ზოგიერთი ნიშნის მიხედვით მიმბაძველის დაწერილად მიგვაჩნია. ეს ალაპი ყველაზე ახლოს დგას კალიგრაფიით № 140 ალაპთან. მაგრამ მას ახასიათებს ორწერტილიანი განკვეთის ნიშნები, რაც არ გვხვდება „მიმბაძველის“ სხვა ალაპებში. ამიტომ ამ ალაპს პირობითად მივაკუთვნებთ „მიმბაძველს“.

№ 140 ალაპი განწესებულია მოსე ქართველისათვის, რომელიც „შვილი იყო ეკლესიისა“. მან „ჟამსა მიცვალებისა მისისასა დაუტევნა ეკლესიასა სამნი ცხენნი, კარგნი“ და „სხუაჲ მეოთხედი ყოვლისა საქონელისა მისისაჲ“.

„მიმბაძველის“ ალაპებისათვის დამახასიათებელი ნიშნები № 140 ალაპშიც არის: ა) განგებაში დაცულია „მიმბაძველის“ ორთოგრაფია: – პანაშკტი. ბ) ალაპის გასწვრივ კიდეზე არ არის მინიშნება ანაფორაზე, მიუხედავად იმისა, რომ ანაფორა შეტანილია ალაპის განგებაში. „მიმბაძველის“ სხვა ალაპებისაგან განსხვავებით, № 140 ალაპი დაწერილია უფრო მსხვილი და მარჯვნივ დახრილი ნუსხურით.

„მიმბაძველის“ ალაპებად მიჩნეული ალაპებიდან ალაპი № 44 განწესებულია გიორგი ჯუბიელისათვის, № 46 ესაია ასურისათვის. როგორც ზემოთ ითქვა, ორივე პირი ერთდროულად უნდა იყოს ჩამოსული სირიიდან 1140 წლის ახლო ხანებში. შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ № 122 ალაპის დავით ასურიც მათთან ერთად იყო ჩამოსული სირიიდან. სავარაუდოა, რომ სამივე ასურელისათვის „ მიმბაძველმა“ ერთდროულად ჩაწერა ალაპები საალაპე წიგნში 1140-იან წლებში.

ამრიგად, „მიმბაძველის“ დაწერილი უნდა იყოს 9 ალაპი (აქედან ერთი პირობითად № 122). როგორც ზემოთ აღინიშნა, ესენია: 8, 44-46, 64, 97-98, 122 და 140.

„მიმბაძველი“ წერს ამ ალაპებს იოანე თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ. მის მიერ დაწერილი ალაპების ქრონოლოგიური ფარგლებია – 1140-1150-იანი წლები.

გასარკვევია, თუ ვინ იყო „მიმბაძველის“ მოღვაწეობის წლებში ქართველთა მონასტრის წინამძღვარი. (იხ. აქვე, მონასტრის მამები მიქაელი და იოანე).

## თაფლაისძის საალაპე წიგნის გამგრძელებლები

თაფლაისძე–კალაკალას ერთობლივი ინიციატივით შედგენილი საალაპე წიგნი დასრულდა 200r–ზე № 137 ალაპით. 138 ალაპი დაიწერა იოანე კალაკალას გარდაცვალებისთანავე (მისთვის და იოანე თაფლაისძისთვის) იმ ევლოგიის საფუძველზე, რომელიც მათ გადასცეს მონასტერს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა მონასტრის საკრებულო თაფლაისძის საალაპე წიგნის ჯერ შევსებაზე, ხოლო შემდეგ მის გაგრძელებაზე ზრუნვას. გაგრძელება იწყება 200v–დან და მოიცავს თაფლაისძის მიერ საალაპე წიგნის მის მიერვე დაუწერლად დატოვებული ეტრატის ფურცლებს (200–207, 210–212), რომლებიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ივსებოდა ახალი ალაპებით XII საუკუნის II ნახევარში.

„გაგრძელების" ეტრატი არ განსხვავდება თაფლაისძის საალაპე წიგნის ბოლო ფურცლებისაგან. „ათონის კრებულის" უკანასკნელ (213) ფურცელზე, რომელიც ხელნაწერის ქვემო ყდის საცავ ფურცლად არის გამოყენებული, თაფლაისძეს თავისი ხელით დაუწერია ანდერძი (№ 166), რომელშიც ჩამოყალიბებულია საალაპე წიგნის შედგენის მისეული პრინციპები და მოწოდება ამ წიგნის მომავალი გამგრძელებლებისადმი, რათა მათ ალაპების წერის დროს მისი პრინციპით ეხელმძღვანელათ. ამრიგად, იოანე თაფლაისძემ სავსებით შეგნებულად დაწერა ანდერძი დაუწერელ უკანასკნელ (213) ფურცელზე, რათა ამ ანდერძით ერთ მთლიან წიგნად შეკრულიყო საალაპე წიგნის მისეული რედაქცია და მისი შემდგომი შევსება-გაგრძელებები.

მოგვიანებით, XVI საუკუნეში, ამ ფურცლებს შორის (207-ე ფურცლის შემდეგ) ჩაუმატებიათ კიდევ ორი განსხვავებული თხელი ეტრატის ფურცელი (208–209), რომელზედაც დაიწერა ბაადურ, ქაიხოსრო ათაბაგების და ქაიხოსროს გაზრდილის, ამბროსის ალაპები (№ № 162–164).

გვიანდელი ჩანართი ფურცლების ეს ალაპები არ წარმოადგენს თაფლაისძის რედაქციის საალაპე წიგნის კუთვნილებას და ამდენად სცილდება ჩვენი კვლევის სფეროს. ათაბაგთა ალაპები სპეციალურად აქვს შესწავლილი ზ. სხირტლაძეს[1].

---

[1] ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, ივერიის ..., გვ. 9–20.

*
* *

თაფლაისძის სააღაპე წიგნის ძირითადი ნაწილისაგან განსხვავებით, „გაგრძელების“ აღაპები კალენდარული რიგით არ არის დალაგებული, მაგრამ მათი რიგითი თანმიმდევრობა მათ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე მიუთითებს. აღაპით, რომელიც დაწერილია 200v-ზე (№ 140), გაიხსნა თაფლაისძის სააღაპე წიგნის გაგრძელების ახალი პლასტი. ჩანს, ამ აღაპით დაასრულა „მიმბაძველმა“ ამ ასპარეზზე მოღვაწეობა, ვინაიდან მისი ხელით დაწერილი სხვა აღაპი მომდევნო აღაპებში აღარ ჩანს (იხ. აქვე, თაფლაისძის მიმბაძველი).

ის გარემოება, რომ თაფლაისძის მიმბაძველი ავსებს კიდეც სააღაპე წიგნში დაუწერლად დატოვებულ ადგილებს ახალი აღაპებით და ამავე დროს იწყებს სააღაპე წიგნის გაგრძელებას, გვაფიქრებინებს, რომ თაფლაისძის სააღაპე წიგნის შევსების დამთავრებასა და მისი გაგრძელების დაწყებას შორის დიდი დრო არ უნდა გასულიყო.

მიმბაძველის შემდეგ გაგრძელებაში ორი სახეობის აღაპებია შეტანილი: I. კალენდარული რიგის დაუცველად სხვადასხვა თარიღზე განწესებული აღაპები. „გაგრძელებაში“ ასეთია სულ 13 აღაპი: 140, 142, 149, 152, 155–161, 165, 167.

II. ორწევრა აღაპები, რომელთა თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია აკისრია: პირველი წევრი ჩაწერილია თაფლაისძის სააღაპე წიგნში აღაპისათვის განწესებულ თარიღზე. აღაპის ამ ნაწილში დასახელებულია მხოლოდ პიროვნება, ვისთვისაც განწესებულია აღაპი და აღაპის განწესების დღე. პირველ წევრს ახლავს მინიშნება („ბოლოსა ჰპოო“), რომლის საშუალებითაც სააღაპე წიგნის გაგრძელებაში ადვილად იძებნება ორწევრა აღაპის მეორე წევრი, რომელიც იმეორებს აღაპის განწესების თვესა და დღეს, შემწირველის ვინაობას და დამატებით წარმოაჩენს შემწირველის დამსახურებას მონასტრის წინაშე (შეწირული თანხისა თუ სხვა სახის სამსახურის აღნიშვნით) და მისთვის განწესებული აღაპის განგებას, რომლის შესრულებას კისრულობს მონასტრის ძმობა შემწირველის მიერ გაწეული სამსახურისათვის. ამრიგად, ორწევრა აღაპის პირველი წევრის მეშვეობით, „გაგრძელებაში“ შეტანილ აღაპს (მეორე წევრს) მიეჩინება თავისი ადგილი თაფლაისძის სააღაპე წიგნის კალენდარში და შესაბამისად ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკაში. ბუნებრივია, ერთმანეთთან დაკავშირებული აღაპის ეს ორი წევრი ერთდროულად იწერებოდა და ამ გზით გრძელდებოდა სააღაპე წიგნის შემდგომი შევსება.

წინამდებარე გამოცემაში ორწევრა აღაპებს ორი ციფრით აღვნიშნავთ. ეს აღაპები თაფლაისძის სააღაპე წიგნსა და „გაგრძელებაში“ ერთად ქმნიან 11 წყვილს: 9/141, 14/147, 21/143, 24/151, 28/148, 39/145, 80/154, 95/153, 105/144, 132/146, 88/150.

რამ გამოიწვია სააღაპე წიგნში ორწევრა აღაპების გაჩენა? ეს უნდა აიხსნას აღაპთა შევსებისათვის დატოვებულ ადგილთა სიმცირით, რის გამოც ვერ ხერხდებოდა აღაპის ორივე ნაწილის ერთად მოთავსება: დაწერილ აღაპთა შორის დატოვებულ ცარიელ ადგილას შეჰქონდათ კალენდარული რიგის დაცვის მიზნით აღაპის სუბიექტის სახელი, ხოლო მისთვის განწესებული განგება შეჰქონდათ დაუწერელ ფურცლებზე ხელნაწერის თარიღის მითითებით. ყოველივე ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ თაფლაისძის მიერ ქართველთა მონასტრის მატიანედ მოაზრებული სააღაპე წიგნის შევსება მომავალშიც არ შეწყვეტილიყო.

შევსება მართლაც გაგრძელდა, თუმცა ქრონოლოგიურად იგი XII საუკ. ბოლოს არ გასცილებია (თუ არ ჩავთვლით მოგვიანებით ჩართულ ათაბაგთა აღაპებს. იხ. ზემოთ). შემდგომი შევსება მიმდინარეობდა არა მარტო ახალი აღაპებით (ათაბაგთა აღაპები №№ 162–164), არამედ ათონზე ჩასულ მოგზაურთა მრავალრიცხოვანი ჩანაწერებითა და მინაწერებით ქართულ და ბერძნულ ენებზე (ტიმოთე გაბაშვილისა, ელისე ტფილელისა, ლავრენტი ოკრიბელისა, რომანოზისა და ეგნატიოსის მოსახსენებლები, ფილიპე შაქარაშვილის ანდერძი-მოსახსენებელი და სხვ.). ამ გზით არა მარტო სააღაპე წიგნი, არამედ მთლიანად ათონის კრებული იქცა ქართველთა მონასტრის ისტორიის მატიანედ.

## მამა პავლეს და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობა

თაფლაისძის სააღაპე წიგნის შემდგომი შევსება დაკავშირებულია პავლე წინამძღვრისა და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი საქმიანობის პერიოდთან.

მამა პავლეს და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობა გამოირჩევა აქტიური თავდაუზოგავი საქმიანობით ქართველთა მონასტრის განადგურებისაგან გადარჩენისათვის. ეს განსაკუთრებით

გამოკვეთილად ჩანს იმ ვითარების ფონზე, რაც მამა პავლეს დახვდა მისი წინამძღვრად არჩევის ჟამს. ეკონომიკურად და უფლებრივად დაუძლურებული, „ვლთა უფალი“ და მრავალი ჭირის მნახველი მონასტერი ჩაიბარა მამა პავლემ. მისი გასაოცარი ენერგია, პიროვნული ძალა, საქმიანობის მასშტაბურობა, დაუოკებელი მიზანსწრაფვა აღედგინა მონასტრის წარსული დიდება — ყოველივე ეს მოგვაგონებს პირველ ათონელ ქართველ მამათა მონუმენტურ ფიგურებს.

მრავალმხრივ და რთულ საქმიანობაში პავლეს მხარში ედგა მისი თანამედროვე შესანიშნავი მოაზროვნე, მწიგნობარი, მთარგმნელი, მწერალი, ღრმად განათლებული პიროვნება ნიკოლოზ გულაბერისძე, რამაც დიდად განსაზღვრა პავლეს მამობის პერიოდში ქართველთა მონასტრის თვალში საცემი ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა.

პავლეს და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობა საწინდარი გახდა გაჩანაგებული მონასტრის აღორძინებისა და ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერა ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიაში.

იმისათვის, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ მათი პრაქტიკული საქმიანობისა და მოღვაწეობის სრული სურათი, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ჯერ ცალ-ცალკე, შემდგომ კი ერთობლიობაში განგვეხილა როგორც მამა პავლეს ხელით დაწერილი ან განწესებული, ასევე ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით დაწერილი აღაპები და, აგრეთვე, საკუთრივ მათთვის განწესებული აღაპები (მათი ხელით შესრულებული აღაპების ფოტოასლები მოთავსებულია პალეოგრაფიული ალბომის IX და X ტაბულებში).

იოანე კალაკალას და იოანე თაფლაისძის მომდევნო პერიოდში (მიქაელის, იოანე IV-ის, ვასილის, გიორგი V-ის დროს) ქართველთა მონასტერი თანდათან დაუძლურდა, დაკნინდა, ყადაღა დაედო მის მიწებსა და სოფლებს და იგი ვალებით აივსო. ქართველები თანდათან კარგავდნენ უფლებებს მონასტერზე ბერძნულ საძმოსთან დაპირისპირებისა და ჭიდილის პროცესში. მონასტრის გაღატაკება სწრაფი ტემპით მიდიოდა და ამ პროცესს ვერ აჩერებდნენ მონასტრის „მეოხნი“ და „მეგობარნი“ და თითო-ოროლა მეცენატი. ნგრევის პროცესმა უკიდურეს წერტილს მიაღწია პავლეს წინამძღვრად არჩევის დროისათვის.

1170 წელს დამცრობილი და დაკნინებული ქართველთა მონასტერი მამა პავლემ ჩაიბარა. პავლეს წინამძღვრად დადგენას და მისი დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობის სრულ აღწერა-შეფასებას მიეძღვნა აღაპი № 165 (+№ 167). მასში, პირველ რიგში ვრცლად და დაწვრილებით არის გადმოცემული, თუ რა მდგომარეობაში ჩაიბარა პავლემ მონასტერი. ამის შესახებ აღაპში ვკითხულობთ: [პავლეს] „მივათუალეთ მონასტერი ეზომ გლახაჲ და ვალთა უფალი, რომელ ხუთასი დრაჰკანი იპოა გარდუჴდელი და სოფელნი დაჭირულნი როდოილითგან და ვიდრე ნიკოლწმიდადმდე დიდისა აღმწერალისაგან სამეუფოჲთა ბრძანებითა".

წინამძღვრად დადგომისთანავე პავლე წასულა კონსტანტინოპოლს, რათა გაეთავისუფლებინა სამეფო ბრძანებით დიდი აღმწერლის მიერ „დაჭირულნი" (ყადაღადადებული) სოფელნი. ეს სივრცე საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა: „როდოილითგან და ვიდრე ნიკოლწმიდადმდე"[1]. პავლეს დიდი გაჭირვებით მოუხერხებია ამ საქმის მოგვარება და აუღია „სიმტკიცის წიგნი" („დიაღნოსი აღმწერლისაჲ") და „სიმიომა [დოკუმენტი] მეფისა ბჭეთაჲ". აღაპში ხაზგასმულია, რომ პავლეს არ უსარგებლია მონასტრის სახსრებით ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად („არარაჲ იჴმარა მონასტრისაჲ"). რვა თვის განმავლობაში პავლემ მონასტრის ვალები თხოვნითა და გაჭირვებით გაისტუმრა დიდი სიძვირის დროს, როდესაც 1 მოდი პურის ფქვილი დრაჰკანად ფასობდა.

აღაპში შემდეგ მოცემულია პავლეს აღმშენებლობითი და სამეურნეო საქმიანობის სრული აღწერა. მას შეუკეთებია და განუახლებია: დიდი კოშკი („ბურღო") „ბასილაჲთურთ", სასნეულო, „პორტისა კარნი", ღვთისმშობლის ეკლესიაც „გებით და მოხატვით". გარდა ამისა, პავლეს აუმაღლებია მონასტრის გალავანი (ზღუდენი), რომელიც საკმაოდ დაბალი ყოფილა; აუშენებია „კელინნი კარიაჲსანი"[2]; შეუძენია დიდ ფასად („დიდითა წასაგებელითა") კანისკას მონასტერი[3], რომლის გამოც ქართველთა მონასტერი იყო „ყოვლადვე შფოთსა შინა და დიდსა ღელვასა". მთელი ეს საქმიანობა პავლეს ათონის მთის შიგნით ჩაუტარებია.

---

[1] Actes d' Iviron, II, p. 58, რუკა № 5.

[2] იქვე, რუკა № 5.

[3] იქვე, გვ.137

ხოლო ათონს გარეთ მას შეუკეთებია ბოლბოლის (ბოლბოსის) მეტოქი მაკედონიაში[1], თვით სოფელში კი აუშენებია წმ. თეოდორეს ეკლესია „მოხატვით და ყოვლითურთ სრულებით“; იქვე გაუმართავს ორი თვალი წისქვილი; ბისონს[2] მოუწყვია დიდი თავლა („ახორი დიდი“); აუგია გასაქირავებელი სახლი („საენიკონი სახლნი“), აუშენებია კალამოკოპის მონასტერი[3] თესალონიკის მახლობლად, მელინძის[4] ეკლესია „სრულებით ყოვლითურთ და მოხატვით“; აგრეთვე მეტოქი როდოვილს (Radolibos)[5] სავაჟინროდან (მარანი) სამზარეულომდე; დობროიკს[6] (Dobrobikeia) აუშენებია წმ. გიორგის ეკლესია.

პავლეს შეუძენია აგრეთვე დიდი ეკლესიის კარისთვის აბრეშუმის კრეტსაბმელი (კარის ფარდაგი) და „სამკაულითა ოქროქსოილითა“ შეუმკია დიდი ეკლესიის (კათოლიკონის) საკურთხეველი, აგრეთვე კარნი პორტაიტისისა, კოშკისა („ბურღო“) და ნიკოლწმიდისა.

ალაპში თვით პავლეს მიერ დაბეჯითებით არის გამეორებული ცნობა, რომ მას ამ საქმიანობისათვის არ უსარგებლია მონასტრის სახსრებით: „და ესე ყოველი წასაგებელი, რომელ სწერია, ნუთუ ვის მონასტრისა შემოსავალთაგან გეგონოს?“ აქედან ალაპის ტექსტი დაწერილია პირველი პირით: „ღმერთმან უწყის და ყოვლად წმიდამან, რომელ თხოვითა და მუდარობითა მიშოვებია და მითა მიქნია ყოველი, ვითარცა ყოველთა ძმათა უწყიან“ (იხ. ალაპის კომენტარი).

იმისათვის, რომ უფრო სრულად წარმოვიდგინოთ პავლეს მოღვაწეობის ხასიათი და მნიშვნელობა, საჭიროდ მიგვაჩნია ზემოთ განხილული ალაპის (№ 165+№ 167) გარდა მოკლედ განვიხილოთ მისი ხელით თუ მისი განკარგულებით დაწერილი ზოგიერთი სხვა ალაპიც.

ალაპი № 5 პავლეს ხელით არის დაწერილი. იგი განწესებულია სვიმეონ ხერკელისთვის, რომელსაც თავისი ხელით გადაუწერია და ქართველთა მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის (კათოლიკონი) შეუწირავს რამდენიმე ხელნაწერი: მეტაფრასი, განყოფილნი დავითნი, მარტისა და აპრილის თვენნი.

---

[1] ი ქ ვ ე, გვ. 58, რუკა № 5.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 10.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 10.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 58, რუკა № 5
[5] ი ქ ვ ე.
[6] ი ქ ვ ე.

ეს ალაპი იმის მანიშნებელია, რომ მამა პავლე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მონასტერში სამწიგნობრო საქმიანობას და სამონასტრო ბიბლიოთეკის ახალი ხელნაწერი წიგნებით შევსება-გამდიდრების საქმეს.

ალაპი № 23/151 განწესებულია იანიკ მორფიტიანყოფილისათვის და დაწერილია პავლეს ხელით. ჟ. ლეფორის[1] აზრით, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, ეს იანიკი წინათ უნდა ყოფილიყო ათონის ერთადერთი ლათინთა მონასტრის ამალფიტიონის (მორფიტიანი უნდა იყოს ამალფიტიონის დამახინჯებული ფორმა) ძმობის წევრი და შემდეგ უნდა გადასულიყო ათონის ქართველთა მონასტერში (იხ. ალაპის კომენტარი). ათონზე ქართველ და ლათინ ბერთა მეგობრობა სხვა ქართული წყაროებითაც დასტურდება, კერძოდ, იოანეს და ეფთვიმეს „ცხორებიდან“ ვგებულობთ ლათინი ბერების მიერ ქართველთა დახმარებით ათონზე ბენედიქტელთა მონასტრის აშენების ამბავს: ჯერ კიდევ იოანე ქართველის სიცოცხლეში ათონზე სალოცავად ჩასულა რომაელი მონაზონი, „რომლისა სათნოებათა წამებდა ქუეყანაჲ ჰრომისა და საბერძნეთისაჲ“, ვენევენტოს დუკის ძმა ლეონი. მას ექვსი მოწაფე ახლდა. როდესაც ქართველმა ბერებმა იხილეს „მადლითა შემკობილი სახჱ მისი“, როგორც ახლობელი და „თჳსი“ შეიწყნარეს. ქართველი ბერები სთავაზობდნენ ლეონს, დარჩენილიყო იქვე, ქართველთა მონასტერში. როდესაც რომში ცნობილი გახდა ლეონისა და მისი მოწაფეების ათონზე ყოფნის ამბავი, მრავალნი მიდიოდნენ მასთან, რათა მონაზვნად აღკვეცილიყვნენ მისი ხელთდასხმით. ქართველმა ბერებმა ლეონს ურჩიეს საბოლოოდ ათონზე დამკვიდრებულიყო და შესთავაზეს, რომ თვითონ შეუძენდნენ ადგილს მონასტრის ასაშენებლად („ჩუენ გიყიდოთ ადგილი“). მართლაც, ლეონმა ააშენა მონასტერი, შეკრიბა იქ მრავალნი ძმანი „და თანადგომითა მამათა ჩუენთაჲთა სრულ-ყო ყოველივე საქმე შენებისაჲ“[2].

საკუთარი მონასტრის აშენების შემდეგაც ლეონი ხშირად დადიოდა ქართველთა მონასტერში ქართველი ბერების სანახავად და მათთან სასაუბროდ და ზოგჯერ რამდენიმე დღე რჩებოდა მათთან თავის საკუთარ სენაკში. შემდეგ კვლავ ბრუნდებოდა თავის მონასტერში. აქედან დაიწყო სულიერი მეგობრობა ლეონ ჰრომსა და გაბრიელ ქართველთა მონასტრის ხუცესს შორის. ისინი ხშირად

---

[1] Actes d' Iviron, II, p.10.

[2] „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, § 51, გვ. 31.

ერთად ლოცულობდნენ და „უბნობდიან სიტყუათა სღმრთოთა", მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის ენას არ ფლობდნენ („თჳსისა ენისაგან კიდე არცა მან იცოდა, არცა მან"). ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ჩვენი აღაპის (№ 23/151) იანიკი მორფიტიანყოფილი დამკვიდრებულა ათონის ქართველთა მონასტერში და მონასტრისთვის შეუწირავს 40 პერპერა, რისთვისაც მას პავლემ აღაპი განუწესა.

სიმპათიებს ლათინი ბერებისა და კათოლიკური სარწმუნოებისადმი ქართველები სხვა შემთხვევებშიც ავლენდნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი მთაწმინდლის პოზიცია.

რომისა და საბერძნეთის ეკლესიათა ოფიციალური გაყოფიდან (1053 წ.) რამდენიმე წლის შემდეგ (1065 წ.) გიორგი მთაწმინდელმა დატოვა თურქ-სელჩუკთა შემოსევის შედეგად აოხრებული სამხრეთი საქართველო და 80 ობოლი ბავშვით კონსტანტინოპოლს ჩავიდა. აქ მას შეეგებნენ ახლობლები და მოწაფეები, მათ შორის პეტრე პატრიკი პეტრიკყოფილი, რომლის მცდელობით გიორგი წარდგა საბერძნეთის მეფის კონსტანტინე X დუკას (1059-1067) წინაშე, რომელმაც იგი სასაუბროდ მიიწვია სასახლეში როგორც ბრძენი ბერი და კონფესიურ საკითხებში ღრმად განსწავლული პიროვნება. დარბაზობას ესწრებოდნენ „წარჩინებულნი და დიდებულნი, ჰრომნი და სომეხნი", მათ შორის „გაგიკ კარელი და სხუანი თავადნი სამეუფოჲსანი". დარბაზობაზე მეფემ „იწყო უბნობად და კითხვად ბერისა [გიორგი მთაწმინდლისა] სიტყუათა სულიერთა და წესთა შჯულისათა", რათა გაერკვია ბერძენთა, რომაელთა და სომეხთა დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ბიზანტიის სამეფო კარზე სავსებით ბუნებრივი იყო, ვინაიდან ეკლესიათა (რომისა და საბერძნეთის) ოფიციალური გაყოფის შემდეგ აზრთა დუღილის პროცესი გრძელდებოდა და ბევრი საკითხი გარკვევა-დაზუსტებას საჭიროებდა. ამას ემსახურებოდა კონსტანტინე დუკას დარბაზობაც. სწორედ ამ მსჯელობაში მონაწილეობის მისაღებად იყო მიწვეული სამეფო დარბაზობაზე გიორგი მთაწმინდელი. მეფის პირველ შეკითხვას, „თუ არს რაჲ განყოფილებაჲ სარწმუნოებისა თქუენისაჲ [ქართველთა] სრულსა მას და უცთომელსა სარწმუნოებასა ბერძენთასა თანა?" გიორგიმ ასე უპასუხა: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ და რაჟამს ერთგზის

გჳცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივდრკებით"[1]. ამის შემდეგ გიორგი მთაწმინდელი განმარტავს, რომ „ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს... ხოლო ჰრომთა, ვინაჲთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის".

სომეხთა სარწმუნოების შესახებ მეფის შეკითხვის პასუხად გიორგი მთაწმინდელი ლაკონურად მიუგებს: „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედების" (ე.ი. ბოროტ სარწმუნოებას სახელიც არ უნდა ეწოდოს). გიორგის პასუხმა სირცხვილით აღავსო დამსწრე სომეხი დიდებულები.

როგორც ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელი აშკარა უპირატესობას ანიჭებს რომაელთა სარწმუნოებას მართლმადიდებლობის სიწმინდის დაცვის თვალსაზრისით.

*
* *

მამა პავლეს გაწყესებული აღაპების ერთი ჯგუფი (№ № 33, 33ა, 39/145, 149, 88/150) ეხება ქართველთა მონასტრის ცხოვრების ძალიან მძიმე პერიოდს, მონასტრის კელინთა დაწვას. მონასტერმა საქართველოში მიავლინა სამი მოკალმასე ბერი (იოსებ, იოანე, ბასილი), რომელთაც ათონზე ჩაიტანეს თამარ დედოფლისა და დიდებულთა ევლოგიები.

აღაპი № 33 განუწესდა მიქაელ ხუცეს კანანახს. აღაპში ვკითხულობთ: „ამან ძმამან ჟამსა დიდად საჭიროსა მოსცა ლ პერპერაჲ,რამეთუ კელინთა დამწუართა ვაშენებდით და მას ჟამსა დიდად გუეჭმარებოდა". მიქაელს ეკლესიისათვის დაუტოვებია კიდევ 10 პერპერა სასნეულო და სასტუმრო სახლების ასაშენებლად „საძირკვლითა და ვენაკით" (იხ. აღაპის კომენტარი).

ეს აღაპი ორი ნაწილისაგან შედგება (№ 33 და 33ა). ორივე განწესებულია მამა პავლეს მიერ, ოღონდ პირველი ნაწილი (№ 33) დაწერილია ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით. ეს აღაპი ნიმუშია მამა პავლეს და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობისა.

აღაპი № 39/145 განწესებულია ძმების, გრიგოლ და იოანე ქობულისძეთათვის იმ ქველმოქმედებათა გამო, რაც მათ ათონის ქართ-

[1] ძეგლები, II, გვ. 178.

ველთა მონასტრისათვის გაუწევიათ – ჯერ დაძველებულ კელინთა აღსადგენად, ხოლო შემდეგ გადამწვარ კელინთა ასაშენებლად (იხ. აღაპის კომენტარი).

ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ აღაპი № 149, რომელიც განწესებულია პავლეს მიერ და დაწერილია მის მიერვე აბულასან ქუთათელისათვის, რომელსაც ქართველთა მონასტრისათვის გაუგზავნია 40 პერპერა ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით (იხ. აღაპის კომენტარი).

ორწევრა აღაპი № 88/150 განწესებულია პავლეს მიერ და დაწერილია მისივე ხელით. ეს აღაპი გამოირჩევა შეწირულების სიუხვით. შემწირველნი არიან ვარდან კოსტანტის ძე, მისი მეუღლე მარიამი და ვაჟიშვილი გიორგი (იხ. აღაპის კომენტარი).

*

* *

განვიხილოთ მამა პავლეს თანამოღვაწის, ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით დაწერილი და მისთვის განწესებული აღაპები.

ნიკოლოზ გულაბერისძის საქმიანობა რომ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მამა პავლეს მოღვაწეობის გეგმებთან, ეს ნათლად ჩანს ამ უკანასნელის მიერ ნიკოლოზისთვის განწესებული აღაპებიდან (№ 105/144).

ეს ორწევრა აღაპი განწესებულია სვიმეონ ჭყონდიდელის აღზრდილის, ნიკოლოზისათვის [გულაბერისძისათვის][1].

კათალიკოსობიდან გადადგომის შემდეგ (1178 წ.) ნიკოლოზ გულაბერისძეს განუზრახავს იერუსალიმის წმინდა ადგილების მოხილვა, მაგრამ ამ დროს ათონის ქართველთა მონასტერში გადამწვარა კელინნი. ქართველთა მონასტრის ამ სავალალო მდგომარეობას გამოხმაურებია საქართველოს დედოფალი თამარი და არაერთი დიდებული. მათ შორის იყო ნიკოლოზ გულაბერისძეც, რომელმაც შეიცვალა იერუსალიმში წასვლის თავდაპირველი განზრახვა, მიაშურა ათონს მისი ძნელბედობის ჟამს და თან ჩაიტანა თამარ დედოფლის მეორე ევლოგია (20 პერპერა) მონასტრის დასახმარებლად. თამარის პირველი ევლოგია (20 დუკატი, 2 დიდი

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 289, 295.

სტავრა) ათონზე ჩაიტანეს საქართველოში გაგზავნილმა მოკალმასე ბერებმა. თავის მხრივ ნიკოლოზ გულაბერისძემ მონასტერს შესწირა 24 პერპერა.

როგორც აღაპიდან ვგებულობთ, ათონზე ჩასვლისთანავე ნიკოლოზი მხარში ამოუდგა მონასტრის წინამძღვარ პავლეს და მისი სამეურნეო-სააღმშენებლო და სამწიგნობრო პროგრამის განხორციელების საქმეში აქტიურად ჩაება. ამის თაობაზე მისთვის განწესებული აღაპი მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის: ნიკოლოზმა აღადგინა მთავარანგელოზთა ეკლესია მოხატვით, გამოჭიქვით, დაჭრელებით, გალავნის ერთ-ერთი კუთხე კოშკად („ბურღოდ") „აღამაღლა". გარდა ამისა, თავისი პანაშვიდისათვის ეკლესიას გადასცა 15 პერპერად შეძენილი მუტრუკი და 7 პერპერად ნაყიდი უღელი ხარი.

როგორც ზემოთ ითქვა, იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ ნიკოლოზ გულაბერისძის ათონის ქართველთა მონასტერში მოღვაწეობისა და საქმიანობის სრული სურათი, საჭიროა განვიხილოთ ათონის სააღაპე წიგნში მისი ხელით დაწერილი ყველა აღაპი (№ № 95/153, 155, 14/147, 146ა), თუ კრებულის შევსების მიზნით შეტანილი სხვა მასალაც.

ამ აღაპთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამარ დედოფლისთვის დადებული ორწევრა აღაპი № 95/153, დაწერილი ნიკოლოზის ხელით, განწესებული მამა პავლეს მიერ. თამარის აღაპის განგება (№ 153) საკმაოდ ღარიბია სამეფო აღაპის კვალობაზე, რაც თამარის გაგზავნილი ევლოგიის სიმცირით უნდა აიხსნას.

აღაპის გასწვრივ, კიდეზე შესრულებულ მინაწერში, რომელიც აგრეთვე ნიკოლოზის ხელით არის შესრულებული, ვკითხულობთ: „მას [თამარს] სხუაჲცა უფროჲსი განეწესა ამის მონასტრისათჳს, უკუეთუმცა ჰავთა ღორთა კაცთა არა დაეკლო".

მინაწერის შინაარსიდან აშკარაა, რომ ნიკოლოზ გულაბერისძისათვის ცნობილი იყო, თუ ვინ იყო თამარის ევლოგიის ჩამტანი ათონზე, თამარის გაგზავნილი ევლოგიის ოდენობა და ისიც, რომ ევლოგია მონასტერმა დაკლებული სახით მიიღო. ნ. ბერძენიშვილის აზრით[1], სამი მოკალმასე ბერისა და ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით ჩატანილი ევლოგიები „ერთი მეორისაგან დიდი ხნით დაშორებულნი

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 304.

არ უნდა იყვნენ“. ამ აზრს ჩვენც ვიზიარებთ. მომხდარი ფაქტის გამო ნიკოლოზ გულაბერისძის აღშფოთება სავსებით ბუნებრივია. მან ზემოთ მოტანილ მინაწერებში თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი დაუფარავად გაამჟღავნა. თუ ვინ იგულისხმება ამ „ჰავ ღორ კაცებში“, პირდაპირი მითითება ამ საკითხის შესახებ ვერ მოვიპოვეთ.

ის გარემოება, რომ ნიკოლოზმა თამარის ალაპი თავისი ხელით დაწერა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის: ნიკოლოზი მთელი თავისი მოღვაწეობით გიორგი III-ისა და თამარის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, რაც პირველ რიგში გამოჩნდა მის მიერ დაწერილ სვეტიცხოვლის საკითხავში. ამ თხზულებაში იგი ასაბუთებს და ამყარებს თამარის როგორც ქალის ლეგიტიმურ უფლებას საქართველოს სამეფო ტახტზე. ამას კი სჭირდებოდა დამტკიცებაც და მხარდაჭერაც, რასაც ნიკოლოზმა მიაღწია კიდეც ამ ნაშრომში[1]. ამ პრობლემის დასმა პროგრესული მოვლენა იყო თამარის გამეფებასთან დაკავშირებით საქართველოში შექმნილ იმდროინდელ რთულ ვითარებაში.

საინტერესო მოაზროვნედ და მწერლად წარმოგვიდგება ნიკოლოზ გულაბერისძე მისი ხელით დაწერილ იოანე მწიგნობართუხუცესისათვის გაწესებულ ალაპშიც (№ 155). ამ ალაპის პრეამბულაში ნიკოლოზ გულაბერისძე ეხება რა იოანე მწიგნობართუხუცესის ქველმოქმედების მასშტაბებს, ამ მოვლენას თეოლოგიურ საფუძველს უძებნის. ავტორი აღნიშნავს, რომ უფალმა დაგვიწესა სახე ანუ ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საუკუნო ცხოვრებისაკენ მარადიული სწრაფვა კეთილმოქმედების გზით, რათა ადამიანები ნათლის შვილები გავხდეთ იესო ქრისტეს აღდგომის ჟამს.

ალაპის პრეამბულაში ნიკოლოზ გულაბერისძე ჩამოთვლის და მსჯელობს ქრისტიანული მოძღვრებისა და ზნეობის ძირითადი ცნებების შესახებ, როგორიცაა: სიმდაბლე, სიმშვიდე, სიტკბოება, სიყვარული, გლახაკთა წყალობა უსასყიდლოდ, ლოცვა და მარხვა, „ღუწად ყოველთადვე სახიერებით“, მოთმინება, ვნება და სიკვდილი.

ყოველივე ზემოთქმულის სიბრძნით და გონიერებით გამომკვლეველად მიაჩნია ნიკოლოზ გულაბერისძეს იოანე მწიგნობართუხუცესი, რომელმაც მის თანამედროვეთა შორის „საცნაურ-ყო კეთილმოქ-

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 319.

მედებაჲ თჳსი.“ და ჩვენცა „არა დავიწყებულ ვიქმნენით“ სიშორის მიუხედავად, ვინაიდან მან ღვთის შიშისა და სიყვარულის გულმოდგინებით სძლია „სიშორესა გზისასა და სივრცესა ზღჳსასა“ უფლის სიტყვის თანახმად: „მახლობელთა კელისამპყრობელ ვექმენ და შორიელთა წყალობით ვეწიეო“.

ღვთის სიყვარულით, რომელიც ზღვის, ხმელეთისა და ეთერის განმკვეთელია, იგი (იოანე) ჩვენ, მის თანამედროვეთ „უმახლობელეს გუექმნა“ ისე, რომ მახლობელთ არ განშორებია.

პრეამბულა ამაღლებული სტილით, აზროვნებისა და წერის მანერით, აგრეთვე ენობრივი თავისებურებებით (მიმღეობათა უხვი ხმარებით), სულისკვეთებითა და თეოლოგიური სიღრმის წვდომის უნარით ეხმიანება სვეტიცხოვლის საკითხავს, რაც დამატებითი საბუთი ჩანს იმისა, რომ მისი ავტორი ნიკოლოზ გულაბერისძეა.

ამ აღაპის განმწესებელთა შორის დასახელებულ „მოძღუარში“ ნიკოლოზ გულაბერისძე უნდა იგულისხმებოდეს: „განუჩინეთ [აღაპი] მე, მამამან პავლე, მოძღუარმან, დეკანოზმან და ყოველმან კრებულმან, შინა მყოფთა და გარეთ დაყუდებულთა უდაბნოჲსათა“... ათონის აღაპებში ეს არის ერთადერთი შემთხვევა აღაპის განმწესებელთა შორის წინამძღვრის შემდეგ მოძღვრის მოხსენიებისა (იხ. აღაპის კომენტარი). მოძღვარი სამონასტრო საკრებულოში არის სულიერი მამა და ყველაზე პატივცემული და განსწავლული მწიგნობარი, ძმათა სულიერი ცხოვრების წარმმართველი, რომელიც ზრუნავს ძმობის სულიერ აღზრდა-განსწავლაზე და რომელსაც ჰყავს მოწაფეები „სულიერნი შვილნი“.

შემდეგი აღაპი, დაწერილი ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით, არის ორწევრა აღაპი № 14/147. აღაპი განწესებულია მამა პავლეს მიერ იოანე ბანცუასთვის, რომელსაც მონასტრისათვის გაჭირვების ჟამს შეუწირავს 90 ძირი ზეთისხილი და 15 პერპერა. იგი ათონის ქართველთა მონასტერში მორჩილად ყოფილა ხუთი წინამძღვრის მოღვაწეობის მანძილზე. ეს იშვიათი შემთხვევა (ხუთი წინამძღვრის მსახურება და მორჩილად ყოფნა) ნიკოლოზ გულაბერისძეს საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიუჩნევია. აღაპის პირველი წევრი (№ 14) დაწერილია, როგორც აღვნიშნეთ, ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით (ტაბ. $X_2$), ხოლო მეორე წევრი (№ 147) – პავლეს ხელით (ტაბ. $IX_6$). ეს ფაქტი ნიკოლოზ გულაბერისძისა და პავლეს ერთობლივი მოღვაწეობის კიდევ ერთი დასტურია.

* *
*

ასეთსავე აქტიურ სააღმშენებლო და სამეურნეო საქმიანობას ეწევა ნიკოლოზ გულაბერისძე იერუსალიმში.

ათონიდან ნიკოლოზ გულაბერისძე იერუსალიმს გაემგზავრა არა უგვიანეს 1083 წლისა. მან წმინდა მიწაზე, სადაც ძლიერი ქართული კოლონია არსებობდა, ისევე, როგორც ათონზე, ფართო სამეურნეო და სააღმშენებლო საქმიანობა გაშალა და ყველაფერი გააკეთა, რათა ჯვარის მონასტრისათვის დაებრუნებინა ლათინთა მიერ მიტაცებული მიწები. ამის შესახებ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ჯვარის მონასტრის ნიკოლოზ გულაბერისძისათვის განწესებული აღაპი № 127, საიდანაც ვგებულობთ, რომ ნიკოლოზს გამოუსყიდია ჯვარის მონასტრის კუთვნილი ვენახი.

ერთი ლათინური დოკუმენტის მიხედვით, უკვე 1178 წელს ჯვარის მონასტრის ზვრების ნაწილი მიტაცებული ჰქონია იერუსალიმის ლათინთა მეფეს ბალდუინ IV-ს. ამასვე ადასტურებს ჯვარის მონასტრის აღაპი, განწესებული ანასულლისა და მისი შვილის, იაღისათვის (იერ. აღაპი № 287)[1], საიდანაც ვგებულობთ: „ამასვე დღესა აღაპი არს ანასულლისი საუკუნოჲ. მოგუცა ასოცდაათი დუკატი და ამისა შემდგომად შექმნა ჯუარი ოთხმოც დუკატად და დაასუჱნა საკურთხეველსა ზედა. და ამისსა შემდგომად მეფე იერუსალიმისაჲ [ბალდუინ IV] გაგვწყრა და რაჲცა მონასტრისაჲ იყო, დაგკჳრა, ოქროსა გუთხოვდა და დიდსა ჭირსა შევცვვდით უღონობისაგან. არწმუნა [ანასულლი] ღმერთმან და ასი დუკატი მისთჳს შეგუაწია. ჩუენ დაუწესეთ, [რომელ] ზედამწირველი ყოველთა ჟამისწირვათა დაჰლოცვიდეს სახელდებით მას და შვილსა მისსა იაღის".

საყურადღებოა, რომ ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნშიც არის განწესებული აღაპი ანასულლისა და მისი შვილის, იაღისათვის (ათ. აღაპი № 159) მათ მიერ შეწირული ევლოგიისთვის (100 ბოტანიატი).

ჩვენ არ ვიცით, ანასულლიმ თითონ ჩაიტანა ევლოგია ათონზე, თუ გაგზავნა ვინმეს ხელით. ერთი აშკარაა: მას შემდეგ, რაც ნიკოლოზ გულაბერისძე ათონიდან იერუსალიმს გაემგზავრა, ის აქტიურად მოღვაწეობს იერუსალიმში ანასულლისთან ერთად იერუსალი-

---

[1] А. П о п о в, Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, т. II, с.177; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები..., გვ. 57,105, 175.

მის ჯვარის მონასტრის მიწების დასაბრუნებლად. როგორც ვიცით, ამ პერიოდში ათონის ქართველთა მონასტერსა და იერუსალიმის ჯვარის მონასტერს ერთნაირად რთული და მძიმე ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა შეექმნათ. ორივე შემთხვევაში ამას გამოეხმაურნენ როგორც ნიკოლოზ გულაბერისძე, ასევე ანასუღლიც. ამის დასტურია ათონის ქართველთა მონასტერსა და იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მათ სახელზე დაწესებული აღაპები.

ნიკოლოზ გულაბერისძისათვის განწესებულ იერუსალიმურ აღაპში (№ 127) ვკითხულობთ: „წაგებული მისგან ამას მონასტერსა შინა მისისა დაწერილისაგან სცნათ“.

როგორც გარკვეული აქვს ნ. ბერძენიშვილს, „XI–XIII საუკუნეთა მანძილზე ქართულ დიპლომატიკაში ყოველ იურიდიულ დოკუმენტს „დაწერილი“ ეწოდება, თუ ის მეფისაგან არ არის გაცემული“[1]. „დაწერილისაგან“ განსხვავებით, მეფის გაცემულ იურიდიულ დოკუმენტს „სიგელი“ ეწოდება.

„დაწერილი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს იურიდიულ დოკუმენტს, რომელშიც აღნუსხულია ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ მონასტრისათვის მიცემული შესაწირავი და მისთვის გაწეული სამუშაო. ანგარიშების ეს ფორმა, როგორც ჩანს, გავრცელებული ყოფილა ათონზეც. ამას ადასტურებს ათონური აღაპი № 129, რომელშიაც ვკითხულობთ: იოანე სევასტოსმან... „სიმტკიცენი და დაწერილნი შეგჳქმნნა“.

ანასუღლის ათონური აღაპი № 159, საფიქრებელია, განწესებულია ნიკოლოზ გულაბერისძის ათონიდან იერუსალიმს წასვლის შემდეგ (1183–1184 წწ.)

ამავე ხელით არის დაწერილი ათონური აღაპები №№ 157, 160, 161, რომლებიც განწესებულია ივანე სხალთგაწევისა, ოქროპირ აბულასანის ძისა და თევდორე ჭილაკისძისათვის. ამ პირთა მოღვაწეობის შესახებ არც ათონურ, არც იერუსალიმურ მასალებს ცნობები არ შემოუნახავთ.

ხომ არ არის ეს აღაპები განწესებული იერუსალიმიდან გამოგზავნილი შეწირულების საფუძველზე მას შემდეგ, რაც ნიკოლოზ გულაბერისძე იერუსალიმს ჩავიდა? თუ ეს ვარაუდი სწორია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ერთდროულად დაწერილი ზემოჩამოთვლილი ოთხივე აღაპი (№№ 157, 159, 160, 161) პავლეს განუწესებია

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „დაწერილი“... – საკითხები, III, გვ. 209.

ნიკოლოზ გულაბერისძის ათონიდან იერუსალიმს წასვლის შემდეგ (1183–1184 წწ.), შესაძლოა, ნიკოლოზის ინიციატივით და მონაწილეობით. ზემოჩამოთვლილი ოთხივე ალაპი პავლეს გადადგომის (1184 წ.) ახლო ხანებში ჩანს განწესებული. სწორედ ამ დროს ტოვებს ნიკოლოზ გულაბერისძე იერუსალიმს და თამარის მოწვევით საქართველოში ბრუნდება.

თამარ მეფემ საეკლესიო კრების მოსაწვევად „შემოიკრიბნა ყოველნი სამეფოჲსა თჳსისა მღდელთმოძღუარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, კაცნი მეცნიერნი სჯულისა საღმრთოჲსანი", რათა თავისი სამეფო განეწმიდა „მართლმადიდებლობასა ზედა შემოთესილ" ბოროტ თესლთაგან[1]. სწორედ ამ საეკლესიო კრებაზე მოიწვია თამარმა მართლმადიდებლობის აქტიურ დამცველად ნიკოლოზ გულაბერისძე. ამ კრებაზე შეკრებილ ორივე სამთავროს ეპისკოპოსებს მესვეურობდნენ ნიკოლოზ გულაბერისძე და ანტონ ქუთათელი საღირისძე, რომელთა თაოსნობით ჩატარდა საქართველოს საეკლესიო რეფორმაც: ნიკოლოზ გულაბერისძემ და ანტონ საღირისძემ „არა ინებეს", რომ ამ კრებას დასწრებოდა კათალიკოსი მიქაელი, რომელმაც „წინაუკმო რამე იჴყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან", თუმცა კრებამ ეს ძირითადი მიზანი ვერ განახორციელა, მიქაელი კათალიკოსობიდან ვერ გადააყენა, მაგრამ ის მაინც მოხერხდა, რომ ზოგიერთი ეპისკოპოსი შეიცვალა და მათ ნაცვლად „დასხმულ იქმნენ საღმრთონი კაცნი" და, რაც მთავარია, „სხუანი საეკლესიონი წესნი განმართნეს"[2].

ათონის კრებულის მიხედვით, ნიკოლოზ გულაბერისძე წარმოგვიდგება როგორც სამეურნეო და აღმშენებლობითი საქმიანობის ბრწყინვალე ორგანიზატორი, მოაზროვნე, მთარგმნელი, მწერალი-ჰიმნოგრაფი, მწიგნობარი, ათონის ქართველთა მონასტრის წიგნთსაცავის მეურვე. განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ ჩატარებული სამუშაო ათონის კრებულის შევსებისა და რედაქტირების თვალსაზრისით (იხ. ზემოთ).

ამრიგად, ნიკოლოზ გულაბერისძის მოღვაწეობის მრავალი ასპექტი მოწმობს, რომ ათონზე მოღვაწეობის წლებში (1179–1183) ის აქტიური მონაწილეა მონასტრის დიდი სააღმშენებლო-სამეურნეო და კულტურული საქმიანობისა, რომელსაც წარმართავდა ენერგიული, ძლიერი წინამძღვარი პავლე.

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 117–118.
[2] იქვე, გვ. 119.

თაფლაისძის საალაპე წიგნის დამთავრების, უფრო ზუსტად კი, იოანე კალაკალას გარდაცვალების (XII ს. 40-იანი წლები) შემდეგ დაიწყო თაფლაისძის საალაპე წიგნის[1] შევსება სხვადასხვა პირთა მიერ სხვადასხვა დროს. უკანასკნელი ალაპი, რომელიც დაიწერა თაფლაისძის საალაპე წიგნში, იყო № 138, განწესებული მამა იოანე კალაკალას და დეკანოზ იოანე თაფლაისძისათვის, იოანე კალაკალას „სიკუდილისა ჟამსა" (მისივე სახსრებით). დაიწერა ეს ალაპი თაფლაისძის საალაპე წიგნის უკანასკნელ გვერდზე (200r). ამ გვერდის მეორე ნახევარზე კი სხვა ხელით ჩაწერილია ალაპი, რომელიც საგანგებოდ არის ამოფხეკილი. სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ეწერა ამ ალაპში, მაგრამ შემორჩენილი ასოთა კონტურების საშუალებით შესაძლებელია ამ ხელის თავისებურებაზე მსჯელობა. შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ეს ხელი იგივეა, რაც საალაპე წიგნის ერთ-ერთი ალაპის (№ 6) ხელი (მსხვილი, კუთხოვანი, უსწორმასწორო, არაკალიგრაფიული ნუსხური), რომელიც დაწერილია მამა მიქაელის განკარგულებით. ეს გვაფიქრებინებს, რომ № 138 ალაპის მომდევნო გადაფხეკილი ალაპიც (139ა) დაწერილი უნდა იყოს მამა მიქაელის მიერ. ვფიქრობთ, რომ № 6 და გადაფხეკილი ალაპიც (№ 139ა) თვით მამა მიქაელის ხელით უნდა იყოს დაწერილი, ვინაიდან ეს ხელი არ არის პროფესიონალი მწერლის კალიგრაფიული ხელი, რომლითაც ჩვეულებრივ წერენ დეკანოზები ალაპებს საალაპე წიგნში.

თაფლაისძის საალაპე წიგნი ივსებოდა ათეული წლების მანძილზე თაფლაისძისა და იოანე კალაკალას სიცოცხლეშიც და მათი გარდაცვალების შემდეგაც. ყველაზე ადრე დაიწყო ალაპებით შევსება იმ ფურცლებისა, რომლებიც თაფლაისძემ ჩაუმატა საალაპე წიგნის დასაწყისში მიქაელ დაღალისონელის საალაპე წიგნის ხუთფურცელა რვეულში. ნაწილი ამ ფურცლებისა (184, 187) თვით თაფლაისძემ თავისი ხელით შეავსო, ხოლო დარჩენილი თავისუფალი გვერდებისა

[1] თაფლაისძის „ძირითად საალაპე წიგნს" ვუწოდებთ ჩვენამდე მოღწეულ საალაპე წიგნის იმ ნაწილს, რომელიც დაწერილია მხოლოდ დაღალისონელისა და თაფლაისძის ხელით და თაფლაისძის თავდაპირველ ჩანაფიქრს წარმოადგენს.

თუ ადგილების შევსება გაგრძელდა თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო სურათს გვაწვდის თითქმის მთლიანად თავისუფლად დატოვებული 184v. ამ გვერდის შევსება უნდა დაწყებულიყო გვერდის ზემო ნაწილიდან. ამ გვერდის პირველი აღაპი (№ 6) ჩაწერილია მამა მიქაელის ბრძანებით თეოდორე დიდი იკონომოსისათვის იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია აღაპი თაფლაისძის ძირითადი სააღაპე წიგნის ბოლო გვერდზე, 200r-ზე (139ა), იოანე თაფლაისძისა და იოანე კალაკალას ერთობლივი აღაპის (№ 138) მომდევნოდ.

საფიქრებელია, რომ 139ა აღაპი, ისევე როგორც № 6, დაწერილია მიქაელისავე ხელით, მისი მამობის წლებში. წარმოდგენილი აღაპების განლაგების მიხედვით, იოანე კალაკალას გარდაცვალების შემდეგ ქართველთა მონასტრის მამად მიქაელი უნდა გამხდარიყო. მაგრამ მისი მამობა არ ყოფილა ხანგრძლივი, ვინაიდან თაფლაისძის სააღაპე წიგნის 186r-ის ქვემო კიდეზე, XII ს. კალიგრაფიული ხელით დაწერილია აღაპი მიქაელ მამაყოფილისთვის (№ 22). ეს აღაპი დაწერილი უნდა იყოს მანამ, სანამ დაიწყებოდა დაუწერელი ფურცლების (200–212) შევსება ახალი აღაპებით. ამ ახალმა შევსებამ თაფლაისძის სააღაპე წიგნის გაგრძელების სახე მიიღო. გაგრძელება კი იწყება 200v-ზე. ამ გვერდზე ორად ორი აღაპია: ერთი – № 140 აღაპი, დაწერილი იმ პირის მიერ, რომელსაც პირობითად „მიმბაძველს“ ვუწოდებთ, და რომელიც ერთი პირველთაგანი შეუდგა თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ სააღაპე წიგნის თავისუფალი არეების შევსებას. მომდევნო აღაპი კი (№ 141) განწესებულია მამა იოანეს მიერ ნიკოლა პეტრიწონელი მამისათვის. მამა იოანე, რა თქმა უნდა, არ არის არც იოანე ბუქაიძე და, მით უმეტეს, არც იოანე კალაკალა, რომლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული აღაპი (№ 138) წინა გვერდზეა (200r) მოთავსებული, უშუალოდ იოანე თაფლაისძის სააღაპე წიგნის დამთავრების შემდეგ, თაფლაისძის უკანასკნელი აღაპის (№ 137) მომდევნოდ. ამ აღაპთა თანმიმდევრობის მიხედვით, იოანე კალაკალა ქართველთა მონასტრის წინამძღვრის ადგილზე მამა მიქაელს უნდა შეეცვალა. ეს ჩვენი მსჯელობა მამათა რიგის შესახებ ემყარება მხოლოდ სააღაპე წიგნის ქრონოლოგიური პლასტების

შესწავლას. ცნობები მიქაელ და იოანე წინამძღვრების შესახებ არც სხვა ქართულ წყაროებს და არც ქართველთა მონასტრის ბერძნულ აქტებს არ შემოუნახავთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ XII საუკუნის ათიანი წლებიდან ამავე საუკუნის სამოციან წლებამდე ათონის ქართველთა მონასტრის ბერძნულ აქტებში ცნობები მონასტრის წინამძღვრებზე მცირე რაოდენობით არის დაცული.

თუ რომელ წლებში მოღვაწეობდა ეს ორი მამა (მიქაელი და იოანე), ამას შევეხებით ქვემოთ, იქამდე კი შეიძლება დარწმუნებით ითქვას შემდეგი: 1. თაფლაისძის სააღაპე წიგნში მამა მიქაელი და მამა იოანე მოხსენიებულნი არ არიან. ორივე მამა მოღვაწეობს სააღაპე წიგნის ძირითადი ნაწილის დასრულების შემდგომ პერიოდში. მათ მიერ თუ მათთვის განწესებული აღაპები დაწერილია თაფლაისძის სააღაპე წიგნის დასრულების შემდეგ იმ ადგილებზე, რომლებიც თაფლაისძემ დაუწერლად დატოვა სააღაპე წიგნის შემდგომი შევსების მიზნით. ერთ-ერთი ასეთი გვერდია 184v. როგორც ზემოთ ითქვა, ამ გვერდზე ოთხი აღაპია დაწერილი. მათი რიგი ზემოდან ქვემოთ ასეთია: I აღაპი განწესებულია მამა მიქაელის მიერ თეოდორე დიდი იკონომოსისათვის (№ 6). იმავე მეჩხერი ნუსხურით არის დაწერილი 200r-ზე თაფლაისძის სააღაპე წიგნის უკანასკნელი გვერდის თავისუფალ ადგილას აღაპი, რომელიც საგანგებოდ გადაფხეკილია და არ იკითხება (139ა).

მეორე აღაპი განწესებულია აფენელისათვის, რომელმაც მონასტერს გადასცა 20 დუკატი მას ჟამსა, როდესაც კონდოსტეფანე ქართველთა მონასტერს მიწებს „ერჩოდა“ კონსტანტინოპოლში (№ 7). იოანე კონდოსტეფანე ცნობილი პირია. ის მოხსენიებულია ათანასეს ლავრის 1162 წლის ბერძნულ აქტში (La 64)[1] როგორც თესალონიკის დუკი, იმპერატორ მანუელ I-ის (1143-1180 წწ.) დისწული, რომელსაც იმპერატორისაგან დაევალა წართმეულ მამულებზე ათანასეს ლავრის საჩივრის გარჩევა. ლავრის ამ აქტის საშუალებით შესაძლებელია აღაპი № 7 სავარაუდოდ დათარიღდეს 1160 წლის ახლო წლებით.

1 Actes de Lavra, I. 1970. p.326, 330.

მესამე აღაპი (№ 8) განწესებულა ნიკონ ნაპილოსისათვის, რომელმაც როგორც ზემოთ ითქვა, „ბუქაჲსძისობას“, ე.ი. იოანე ბუქაჲსძის მამობის დროს მონასტრისათვის ააგო გემი, რისთვისაც, მონასტერთან დადებული პირობის თანახმად, ნიკონისა და მისი მშობლებისათვის (მათი გარდაცვალების შემდეგ) მონასტერს აღაპი უნდა დაედვა. აღაპში ნახმარი ფორმა „ბუქაჲსძისობას“ მიგვანიშნებს, რომ გემი ნიკონს იოანე ბუქაჲსძის მამობის დროს აუგია, მაგრამ აღაპის განწესების დროისათვის ბუქაჲსძე ცოცხალი აღარ ყოფილა. ნიკონის აღაპი განწესდა ბუქაჲსძის მომდევნო რომელიმე მამის დროს. ბუქაჲსძე მამობდა XII საუკუნის პირველ წლებამდე. 1108 წელს ბერძნულ დოკუმენტში (№ 57) ქართველთა მონასტრის მამად უკვე იოსებია მოხსენიებული (იხ. წინამძღვრების სია)[1]. ამავე დროს, ნიკონისათვის განწესებული აღაპი თაფლაისძის ხელით არის დაწერილი. მაშასადამე, № 8 აღაპსაც იოანე თაფლაისძემ მონასტრის „დაფანჩულ“ აღაპთა შორის მიაგნო და შეიტანა თავის სააღაპე წიგნში. ჩვენთვის ამ შემთხვევაში, ერთია საინტერესო: № 8 აღაპი, დაწერილი თაფლაისძის ხელით, როგორც ზემოთ ითქვა, უფრო ადრეულია, ვინემ № 6 და № 7 აღაპები – დაწერილი თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ. ასეთივე ვითარებაა № 9 აღაპთან დაკავშირებით.

წარმოვადგენთ ამ ოთხი აღაპის ქრონოლოგიურ რიგს: პირველი აღაპი, რომელიც დაიწერა 184v-ს შუაგულში, არის თაფლაისძის ხელით დაწერილი № 8 აღაპი, თაფლაისძის მიერ დაღალისონელის ხუთფურცელაში ჩამატებულ ფურცელზე იმ ვარაუდით, რომ ჯერ თაფლაისძეს, ხოლო შემდგომ მის გამგრძელებლებს შეევსოთ დაღალისონელის სააღაპე წიგნი ახალი აღაპებით.

ამ გვერდის შემდგომი შევსება (არა თაფლაისძის ხელით) უნდა მომხდარიყო თაფლაისძის სააღაპე წიგნის დასრულების შემდეგ. პირველად, ბუნებრივია, აღაპი ჩაიწერებოდა გვერდის თავისუფალ ზემო ნახევარზე (№ 6 აღაპი). ამის შემდეგ შეივსებოდა 184v-ს ქვემო კიდე № 9 აღაპით, და ბოლოს, უკანასკნელად ჩაიწერებოდა № 6-სა

[1] Actes de Lavra, I. 1970. p. 299.

და № 8 ალაპებს შორის დარჩენილ თავისუფალ ვიწრო ზოლზე № 7 ალაპი. ადგილის სიმცირის გამო № 7 ალაპი ვერ მოთავსებულა ვიწრო ზოლში და მწერალი იძულებული გამხდარა ალაპის ორი უკანასკნელი სტრიქონი გადაეტანა 184v-ს მარცხენა კიდეზე (იხ. ტაბ. XVIII).

ამრიგად, ქრონოლოგიური რიგი 184v-ზე მოთავსებული ალაპებისა შემდეგია[1]: 1. ალაპი № 8, თაფლაისძის ხელით დაწერილი. 2. ალაპი № 6 – განწესებული მამა მიქაელის მიერ. 3. ალაპი № 9 განწესებული მამა იოანეს მიერ და 4. ალაპი № 7, განწესებული ყველაზე გვიან 1160/1162 წლებში (მამა აქ მოხსენიებული არ არის).

ამრიგად, 1160/1162 წლები ის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია, რომელსაც ვერ გადმოსცდება № 6 და № 9 ალაპების დაწერის თარიღი. ასევე იფარგლება ამ ალაპებში მოხსენიებული მამების მოღვაწეობის ხანა. ჯერ მამა მიქაელი, ხოლო შემდეგ მამა იოანე – არიან იოანე კალაკალას მომდევნო მამები. მათი მოღვაწეობის ზემო საზღვრად, როგორც ითქვა, შეიძლება ვივარაუდოთ 1160/1162 წლები.

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე კიდევ რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება:

1. მამა მიქაელის სახელთან დაკავშირებული ალაპები (№ № 6,139ა და 22) შეტანილია თაფლაისძის ძირითად საალაპე წიგნის თავისუფალ გვერდებზე და კიდეებზე.

ხოლო მამა იოანეს განწესებული ორწევრა ალაპის (9/149) მხოლოდ პირველი წევრია (№ 9) მიწერილი 184v-ს ქვემო კიდეზე, როგორც მინიშნება, თუ რომელ დღეს უნდა შესრულდეს საკრებულოში ორწევრა ალაპის ძირითადი წევრის (№ 149) განგება, რომელიც დაწერილია საალაპე წიგნის გაგრძელების პირველსავე გვერდზე (200v). ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ეს შევსება დაწყებულა მამა მიქაელის მომდევნო მამა იოანეს დროს, იოანე თაფლაისძისა და იოანე კალაკალას გარდაცვალების შემდეგ.

რაკი მამა მიქაელისა და მამა იოანეს ალაპები დაწერილია 1160/1162 წლამდე, მათი წინამძღვრობის წლებად უნდა მივიჩნიოთ XII ს. 50-60-იანი წლები. უფრო ზუსტად მათი მოღვაწეობის წლების განსაზღვრა დღესდღეობით ვერ ხერხდება.

---

[1] შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 270-273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვართა რიგი

## (979–1184 წწ.)

ათონის ქართველთა ლავრის წინამძღვართა რიგის შედგენა არა ერთმა ცნობილმა მეცნიერმა სცადა (ა. ნატროევი[1], კ. კეკელიძე[2], ნ. ბერძენიშვილი[3], ს.ყაუხჩიშვილი[4], ლ. მენაბდე[5], ჟ. ლეფორი[6], და სხვ.), მაგრამ მასალის სიმცირის გამო მათ ნაშრომებს ზოგჯერ საბუთიანობა და სიზუსტე აკლდა.

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გამოგვეყენებინა ათონის მთის მონასტრების გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ბერძნული აქტები და ამ ახალი მასალით შეგვევსო ან დაგვეზუსტებინა წინამძღვართა რიგი. ამისდა მიუხედავად, ჩვენ მიერ შედგენილი წინამდებარე მამათა რიგი კვლავაც მრავალ საკითხს სვამს მკვლევარის წინაშე და რიგ შემთხვევაში დაზუსტებას თხოულობს.

ათონის ქართველთა მონასტრის (ივირონის) წინამძღვართა თავდაპირველი სია ათონის სააღაპე წიგნის მიხედვით შედგა და გამოქვეყნდა ივირონის ბერძნული აქტების პარიზულ გამოცემაში (Actes d' Iviron, I (1985 წ.), II (1990 წ.)

ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვართა რიგის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც იოანე-თორნიკემ თავისი სახსრებით ქართველთათვის ააშენა მონასტერი (983 წ.). მან, როგორც ქტიტორმა, მონასტრის აშენებისთანავე მისი წინამძღვრობა იოანე იბერს დააკისრა.

მართალია, იოანე-თორნიკე ოფიციალურად წინამძღვარი არ ყოფილა, ჩვენ მაინც აუცილებლად ვცანით მონასტრის წინამძღვართა რიგი დაგვეწყო მისი, როგორც ქტიტორის პიროვნებით.

**იოანე-თორნიკე** სვინგელოზი. 979/980–984/985. ათონის ქართველთა მონასტრის ქტიტორი[7]. თორნიკე იხსენიება: ათონის ქართ-

---

[1] А. Натроев, Иверский монастырь..., с. 204-254.

[2] კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული..., გვ. 232-236.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 183-185, 354-355.

[4] გეორგიკა, VIII..., გვ. 130.

[5] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. II. თბ., 1980. გვ. 204-220.

[6] Actes d' Iviron, I, p. 93-94; II, p. 61-62.

[7] Actes d' Iviron, I, p.p. 15, 32, 93; ე. მეტრეველი, ნარკვევები...., გვ. 35-57.

ველთა მონასტრის ხელნაწერების (№ № 1, 3, 5, 9)[1] ანდერძ-მინაწერებში, რომლებიც თორნიკესა და მისი ძმის, იოანე ვარაზვაჩესი ბრძანებით დაიწერა ოშკის მონასტერში, ასევე კარინის ქვეყანაში გადაწერილი აწ დაკარგული „განძის“ ხელნაწერის ანდერძში[2] და ივირონის ბერძნულ აქტებში (№ № 3, 4, 5, 24, 32, 42)[3]. იოანე სვინგელოზისთვის სააღაპე წიგნში განწესებულია აღაპი № 1.

**იოანე ქართველი.** ეფთვიმეს მამა. 979/980-1005[4]. მოხსენიებულია ივირონის ბერძნულ აქტებში (№ № 3-12, 15-17, 20, 21, 24)[5].

**ეფთვიმე მთაწმინდელი.** 1005-1019[6]. მოხსენიებულია ივირონის ბერძნულ აქტებში (№ № 7-10, 14, 16-22)[7].

**გიორგი I დიდი** (ვარაზვაჩე)[8]. ძე იოანე ვარაზვაჩესი, იოანე თორნიკეს ძმისწული, იოანე ქართველის „თჳსი“. 1019-1029 წწ. 1029 წ. დასჯილ და გადასახლებულ იქნა კუნძულ მონოვატზე. იხსენიება ივირონის ბერძნულ აქტებში (№ № 9, 10, 12, 23, 24)[9].

**გიორგი II** („უკეთური“). 1029-1035 წწ.[10] გიორგი I-ის (ვარაზვაჩეს) ექსორიობის შემდეგ ქართველთა მონასტერში მძიმე ვითარება შეიქმნა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მონასტრის ქართული და ბერძნული საკრებულოები[11]. გიორგი უკეთური მონასტრის წინამძ-

---

[1] ათონურ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 29, № 3; გვ. 46, № 9; R. Blake, Catalogue..., p. 25, N5.

[2] P. Peeters, Un colophon..., p. 358-371. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები..., გვ. 24-34.

[3] Actes d' Iviron, I, pp. 114 (N3), 118, 126 (N4), 130 (N5), 228 (N24); II, pp. 81-82 (N32), 135, 137( N42); ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები..., გვ. 24-34.

[4] Actes d' Iviron, I, pp. 20-21, 36-37, 93.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 114 (№ 3), 118 (№ 4), 130 (№ 5), 135, 136 (№ 6), 141 (№ 7), 153 (№ 8), 155 (№ 9), 164 (№ 10), 173 (№ 11), 176 (№ 12), 186 (№ 15), 191 (№ 16), 194 (№ 17), 208 (№ 20), 217 (№ 21), 227 (№ 24).

[6] Actes d' Iviron, I, p. 93.

[7] იქვე, გვ. 142 (№ 7), 152 (№ 8), 155 (№ 9), 164 (№ 10), 182 (№ 14), 190 (№ 16), 193 (№ 17), 201 (№ 18), 206 (№ 19), 208 (№ 20), 216 (№ 21), 222 (№ 22).

[8] ი ქ ვ ე, გვ. 94.

[9] ი ქ ვ ე, გვ. 155 (№ 9), 164 (№ 10), 176 (№ 12), 225 (№ 23), 228 (№ 24).

[10] ი ქ ვ ე, I, გვ. 45, 55, 94;

[11] „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, § 118, 10; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები..., გვ. 45.

ღვრად ქართველთა ლავრის ბერძნულმა საკრებულომ აირჩია. ქართულ საკრებულოს ეს არჩევანი უკანონოდ მიაჩნდა, ვინაიდან ქართველთა ლავრაში მიღებული წესის მიხედვით ახალი წინამძღვარი წინა წინამძღვრის რეკომენდაციით უნდა დადგენილიყო. ეფთვიმე მთაწმინდლის ანდერძის მიხედვით კი, გიორგი I-ის შემდეგ წინამძღვრად გრიგოლი უნდა დამდგარიყო. ამიტომ მონასტრის ქართული საკრებულო იბრძოდა გრიგოლის უფლებების დასაცავად. გიორგი II იხსენიება ივირონისა და ლავრის ბერძნულ აქტებში (Ivir. N31, Lavra N29)[1]. უკანასკნელად გიორგი II („უკეთური") ხელს აწერს 1035 წლის აპრილის ლავრის ამ ბერძნულ აქტს: Γεὼργιος μοναχὸς ὁ Ἴβηρ.

**გრიგოლი.** 1035-1041[2]. გრიგოლი იყო ენერგიული დამცველი ათონის ქართველთა ლავრის უფლებებისა[3]. მონასტრისათვის გაწეული დიდი სამსახურისათვის გრიგოლისთვის განუწესებიათ აღაპი (№ 130) უმაღლესი განგებით: „ვითარცა სჯნგელოზისათჳს სწერია". ჩვენი ვარაუდით, გრიგოლი უნდა ყოფილიყო ჩორდვანელთა სახლის წევრი (იხ. აღაპის კომენტარი). გარდაიცვალა გრიგოლი 1041 წ. „მეორე ბჭობის" წინ[4]. გრიგოლის ხსოვნას მისმა თანამდგომებმა მიუძღვნეს სამახსოვრო კრებული A 1101[5].

**სვიმეონი.** 1041-1042 წწ.[6] მოხსენიებულია ივირონის 1042 წ. თებერვლის ბერძნულ აქტში (№ 26)[7]. გიორგი მთაწმინდლის მონაწილეობით სვიმეონის წინამძღვრობის დროს მონასტრის საკრებულოს შეუდგენია ე.წ. „მოსაკსენებელი"[8], რომელიც შესულია იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების ტექსტში 118-ე პარაგრაფის სახით.

**სტეფანე.** მოხსენიებულია როგორც წინამძღვარი 1042 წლის 30 ივნისის ივირონის ბერძნულ აქტში (№ 27)[9]. აქტში მოხსენიებულნი

---

[1] Actes d'Iviron, I, p. 74(N31), Actes de Lavra, I, p.186(N29), Actes de Prôtaton, p. 62 (6).

[2] Actes d' Iviron, I, pp. 46,94.

[3] „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", § 118, 19; ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები..., გვ. 44-45.

[4] ი ქ ვ ე, § 118, 26.

[5] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A), ტ. IV, გვ.75 (სქ).

[6] Actes d' Iviron, I, pp. 47,94.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 240 (№ 26).

[8] „ცხორებაჲ", § 118, გვ. 50-54.

[9] Actes d' Iviron, I, N 27, pp. 47, 50, 51, 94, 244.

არიან ქართველთა მონასტრის მისი თანამედროვე ბერები: მონასტრის იკონომოსი იოანე, ეფთვიმე, კოლობუს მონასტრის იკონომოსი არსენი (შესაძლოა, ფარსმანყოფილი), მათთან ერთად სტეფანეს ძმა, დიდი ეკლესიის იკონომოსი იოანე. სტეფანე მოხსენიებულია წინამძღვრად ანდერძში Ath. 60 ხელნაწერისა, რომელიც დაწერილია სტეფანეს ძმის, იოანე ხარტულარის ბრძანებით 1043 წელს[1]. სტეფანეც ატარებდა ხარტულარის წოდებას. მისთვის განწესებულია აღაპი (№ 24), სადაც ის წინამძღვრად არ იწოდება (იხ. აღაპის კომენტარი). საღაპე წიგნში განწესებულია აღაპი მისი ძმისთვისაც (№ 113).

**ეგნატე**. 1042 (?). მამა ეგნატე ჩანს ორ ქართულ წყაროში: 1. ათონის აღაპში (№ 18), რომელიც, ჩვენის ვარაუდით, განწესებულია მისთვის 1042 წელს მისი ნათესავის, მარიამ ენკრატისის, სახსრებით (იხ. № 18 და № 19 აღაპების კომენტარები). მამა ეგნატესათვის განწესებულია აღაპი უმაღლესი განგებით: „ვითა სჳნგელოზისათჳს", რომელიც, ჩვეულებრივ, ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის იყო განკუთვნილი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მამა ეგნატე არის ჩორჩანელთა (ჩორდვანელთა) სახლის წევრი. 2. მამა ეგნატე მოიხსენიება აგრეთვე ათონის № 17 ხელნაწერში („ქრისტე, ადიდე სულითა მამაჲ ეგნატი")[2], საფიქრებელია, როგორც ხელნაწერის მომგებელი. ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს XI ს. პირველ ნახევარში. 1042 წლამდე ქართველთა ლავრის წინამძღვართა შორის მამა ეგნატესთვის არ რჩება ადგილი[3]. შესაძლებელია, ეგნატე იყოს XI საუკუნის 30-იანი წლების ათონის საკრებულოს თვალსაჩინო წევრი, რომელმაც მოძღვრისა და მამის პატივი დაიმსახურა.

**გიორგი III მთაწმინდელი**. 1042-1044 – დეკანოზი; 1044-1056 – წინამძღვარი[4]. იხსენიება ივირონის ბერძნულ აქტში (№ 34)[5].

**არსენი (ფარსმანყოფილი)**. 1056-1061[6] (?) გიორგი მთაწმინდლის მოწაფე, ძმა გიორგი ჩორჩანელისა. საფიქრებელია, გიორგი მთაწმინდელმა 1056 წ. ათონის მიტოვებისა და შავ მთაზე წასვლის წინ თავის უახლოეს მოწაფეს, არსენ ფარსმანყოფილს, გადააბარა ქართველთა

---

[1] R. Blake, Catalogue..., Ath. 60, p. 249-250.
[2] ათონურ ხელნაწერთა აღწერილობა, I, № 17, გვ. 63.
[3] შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ათონის ლიტერატურული..., გვ. 233.
[4] Actes d' Iviron, I, pp. 19, 58, 94.
[5] ი ქ ვ ე, I, გვ. 93 (№ 34)
[6] ი ქ ვ ე, I, გვ. 7,46, 53, 57; II, გვ.18, 61.

ლავრის წინამძღვრობა. არსენი XI ს. 30-იანი წლებიდან აქტიურად არის ჩაბმული ქართველთა ლავრის ცხოვრებაში. 1042 წელს, შესაძლოა, ყოფილიყო კოლობუს მონასტრის იკონომოსი[1]. იხსენიება ივირონის ბერძნულ აქტში (№ 31, 1056 წ. სექტემბერი)[2], და აგრეთვე ივირონის 1063 წლის ბერძნულ აქტში (№ 37)[3]. გარდაიცვალა არსენი, სავარაუდებელია, 1063 წლის ახლო ხანებში, მეტად ხნიერი. არსენის აღაპისათვის (№ 110) განწესებულია უმაღლესი განგება: „აღესრულებოდეს ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა თორნიკისსა სწერია და მამა იოანესსა".

**თეოდორე**. 1061-1064 წწ. არსენის მომდევნო წინამძღვარი[4]. თავისი მოღვაწეობის წლებში ცდილობს დაიბრუნოს ქართველთა მონასტრისათვის წართმეული მიწები და მეტოქი. სასამართლო დავა ამის თაობაზე დაიწყო 1056 წ. დავა დამთავრდა თეოდორეს დროს. იხსენიება ივირონის ბერძნულ აქტებში (№ 33-1061 წლის იანვარი; № 34-1062 წლის აგვისტო, სახელის მოუხსენებლად)[5].

თეოდორესთვის აღაპი განწესებული არ ჩანს. მის მიერ კი განწესებულია აღაპები:№ № 11, 37.

**გიორგი IV ოლთისარი**. 1065-1077/78 წწ[6]. იგი კონსტანტინე დუკამ „დაამტკიცა" ივირონის წინამძღვრად გიორგი მთაწმინდლის გარდაცვალების შემდეგ (1065 წ). 1056 წელს ათონიდან ანტიოქიაში წასვლის წინ გიორგი მთაწმინდელმა მონასტრის მესვეურობა მამა არსენ ფარსმანყოფილს გადააბარა. 1060/1061 წლიდან არსენი მამა თეოდორემ შეცვალა, ხოლო 1065 წლისათვის, როდესაც გიორგი მთაწმინდელი საქართველოდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, ივირონის წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ოლთისარი იყო. გიორგი ოლთისარი კონსტანტინოპოლში გიორგი მთაწმინდელს შეხვდა და უთხრა: „კურთხეულ არს ღმერთი, კეთილად მოგიძღუა უფალი. აჰა ესერა, მონასტერი შენი წინაშე არს შენსა"[7].

---

[1] ი ქ ვ ე, I, გვ. 244 (№ 27).
[2] ი ქ ვ ე, II, გვ. 73, 75, 77-79 (№ 31)
[3] ი ქ ვ ე, II, გვ. 108 (№ 37).
[4] Actes d' Iviron, II, pp.15, 18, 61, 91.
[5] ი ქ ვ ე, II, გვ. 88 (№ 33)
[6] Actes d' Iviron, II, p. 61; „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ", გვ.200.
[7] ძეგლები, II, გვ. 180.

ამ შემთხვევაში გიორგი ოლთისარი სახელის მოუხსენებლად „მთაწმიდის მამასახლისად“ არის წოდებული. გიორგი ოლთისარისათვის განწესებულია აღაპი 61, სადაც აღნუსხულია მთელი მისი საქმიანობა (იხ. აღაპის კომენტარი). გიორგი წინამძღვარი ჩანს ივირონის ბერძნულ აქტებშიც (№ № 39, 40)[1]. გიორგი ოლთისარი, როგორც მომგებელი, იხსენიება ათონის რამდენიმე ხელნაწერში: № № 24 (1077 წ), 30(1071 წ), 54(1076 წ)[2]. ამ დროისათვის გიორგი ოლთისარი, ეტყობა, საკმაოდ ხნიერი იყო, ვინაიდან Ath. 54 ხელნაწერის ანდერძში ის „წმიდა მოხუცებულად“ იხსენიება[3]. „ათონის კრებულის“ (A558, 1074 წ) ხელნაწერის მომგებელიც გიორგი ოლთისარია. უნდა აღინიშნოს, რომ ათონური ხელნაწერები, სადაც იხსენიება გიორგი ოლთისარი როგორც მომგებელი, გიორგი მთაწმინდლის თარგმანებს წარმოადგენს (№ № 24, 54 – პარაკლიტონი, თვენი).

გიორგი ოლთისარის ბრძანებით დაიწერა აღაპები: № 87 (გიორგი მთაწმინდლისათვის განწესებული), № 107 – მიხეილ (VII) დუკასათვის. ვფიქრობთ, გიორგი ოლთისარი 1080 წელსაც ცოცხალია, თუმცა წინამძღვარი აღარ არის. ამას უნდა მოწმობდეს 1080 წელს გადაწერილი A-1105 ხელნაწერის (თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილი და მისივე ხელით დაწერილი პატერიკი) ანდერძი: „ბერსა გიორგის შეუნდევენ ღმერთმან“[4]. ასევე ბერად იწოდება წინამძღვრობიდან გადამდგარი გიორგი ოლთისარი 1080 წლის ივირონის ბერძნულ აქტში (№ 42), რომელსაც ქართულად ხელს აწერენ ივირონის მხრიდან წინამძღვარი ნიკოლა პროტოსვინგელოზი და გიორგი ბერი და მამა. („ესე ჯუარი ჩემი არს – გიორგი ბერისა მამისაჲ“)[5].

**ნიკოლა პროტოსვინგელოზი.** 1080-1081[6]. წინამძღვრად ჩანს 1080 წლით დათარიღებულ ივირონის ბერძნულ აქტში: № 42, რომელშიაც ათონის სხვა იურიდიულ პირებთან ერთად დოკუმენტს ქართულად, პირველ ადგილას ხელს აწერს დახვეწილი მდივანმწიგნობრული

---

[1] Actes d'Iviron, II, p. 114 (N39); p. 119-120, 125-127 (N40).

[2] ათონურ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 91 (№ 30); R. B l a k e, Catalogue..., pp. 139 (N24), 245 (N54).

[3] B l a k e, Catalogue..., p. 245 (N54).

[4] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ.90.

[5] Actes d' Iviron, II, p. 140 (N42);

[6] Actes d'Iviron, II, pp.19, 22, 61.

ხელით მამა ნიკოლაც: „ქ. ესე ჯუარი ჩემი არს, მამისა ნ/იკო/ლა პროტოსპენგელოზისაჲ"[1], აგრეთვე № 43 ივირონის ბერძნულ აქტში[2].

ჩვენი ვარაუდით, ნიკოლა პროტოსინგელოზი უნდა იყოს იგივე გაბრიელი, ევანეზის ძმა, რომელსაც „მონაზონობასა ნიკოლა ეწოდა", და რომლისთვისაც განწესებულია სააღაპე წიგნში ორი აღაპი №№ 48–49 (იხ. აღაპთა კომენტარი). აღაპები №№ 48–49 შესულია ივირონის სააღაპე წიგნის დაღალისონელისეულ ფენაში და განწესებულია, არა უგვიანეს 1059–1060 წლისა, ივირონის მამის არსენის (ფარსმანყოფილის) მიერ. აღაპი ძალზე საპატიოა. ჩვენი ვარაუდით, ნიკოლა გაბრიელყოფილი და მისი ძმა ევანეზი ჩორდვანელთა ნათესავები უნდა იყვნენ[3]. შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ 1060 წლისათვის ახლად ბერად შემდგარი ნიკოლა გაბრიელყოფილი 1080 წელს მონასტრის წინამძღვრად ყოფილიყო დადგენილი.

**იოანე II ბუქაისძე**. 1085–1104 წწ. ნიკოლა პროტოსინგელოზის მომდევნო მამა[4]. 1085 წელს ივირონისა (№№ 43, 49) და ლავრის (№ 47) ბერძნულ დოკუმენტებში ჩანს ხან ცალკე, ხან ნიკოლა პროტოსინგელოზთან ერთად[5]. მამა იოანეს განწესებულია სააღაპე წიგნში რამდენიმე აღაპი: № 41 (ბერი კლიმისთვის), № 120–121 (სუმბატ კურაპალატისა და მისი მეუღლის მარიამისათვის), № 129 (იოანე სებასტოსისთვის)[6]. იოანე ბუქაისძე მოხსენიებულია ბერი კლიმის განკარგულებით გადაწერილი ათონის ხელნაწერის (№ 63) ანდერძში[7] და № 8 აღაპში[8]. მამა იოანესთვის განწესებულია აღაპი № 43. აღაპში წარმოდგენილია მისი მოღვაწეობის ზოგადი სურათი. იოანეს წინამძღვრობის ზემო ქრონოლოგიური საზღვარი 1104 წელზე ადრე არ არის სავარაუდებელი, ვინაიდან იოანეს განწესებულ 120 და 129 აღაპებში აღნიშნულია ქართველთა ლავრისათვის პრასტინთა წართმევისა და

---

[1] ი ქ ვ ე, გვ. 139, 140 (№ 42).

[2] Actes d' Iviron, II, p. 145 (N43).

[3] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 399 (იხ.Add.).

[4] Actes d' Iviron, II, pp. 26, 61.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 141 (№ 43), 190 (№ 49); Actes de Lavra, I, p.252 (№ 47).

[6] Е. П. М е т р е в е л и, Сведения..., сс. 24-30.

[7] R. B l a k e, Catalogue..., p. 252.

[8] Actes d' Iviron, II, p. 211-228 (N52).

კონსტანტინე ბურწისთვის მათი გადაცემის ფაქტი. დავა ამ მიწების დაბრუნებისათვის დამთავრდა 1104 წელს, რის შედეგადაც ქართველთა ლავრას, მიხეილ VII დუკას ბრძანებით და იოანე სებასტოსის მცდელობით, დაუბრუნდა წართმეული მიწები (იხ. ბერძნული პრაქტიკონი № 52[1]. პრაქტიკონის მოკლე შინაარსი შეტანილია იოანეს მიერ იოანე სებასტოსისათვის განწესებულ აღაპში № 129).

ათანასეს ლავრის 1108 წლის ბერძნულ აქტს (№ 57) ხელს აწერს ივირონის წინამძღვარი იოსები Ἰωσὴφ μοναχὸς καὶ ἡγούμενος τῶν Ἰβήρων)[2]. ამ დოკუმენტის საფუძველზე შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა იოანე ბუქაისძის წინამძღვრობის წლები 1108 წლამდე. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ ორ წინამძღვარს შორის უნდა ყოფილიყო მამა ევგენი.

**ევგენი.** 1104-1108 წწ. არ ჩანს ბერძნულ აქტებში. მისი განწესებულია № 84 აღაპი თეოფანე პეტრიწონელი მამასახლისისათვის. აღაპი არ უნდა იყოს XI საუკუნის მიწურულზე ადრე დაწერილი. მაგრამ ზუსტად როდის დაიწერა იგი, ამის შესახებ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. მამა ევგენი[3], თუ ის მონასტრის წინამძღვრად იქნა დადგენილი, ალბათ, გამოირჩეოდა თავისი განათლებითა და პიროვნული თვისებებით ქართველთა ლავრის საკრებულოს რიგითი წევრებისაგან და სარგებლობდა ავტორიტეტით. მაგრამ ათონზე გადაწერილი ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში იგი არსად არ მოიხსენიება. მისთვის არც აღაპია განწესებული. ვფიქრობთ, ევგენი არ იყო ათონის მოღვაწე, სანამ ათონის ქართველთა ლავრის წინამძღვარი გახდებოდა, კონსტანტინოპოლში მოღვაწეობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეოფილე ხუცესმონაზონთან, ბერ კლიმთან და ათონის საძმოსთანაც. ამას გვაფიქრებინებს თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილი პატერიკის ავტოგრაფული ხელნაწერის (A-1105, 17) შენიშვნა. ხელნაწერი დაწერილი უნდა იყოს კონსტანტინოპოლში, ისევე, როგორც თეოფილეს სხვა თარგმანები (Ath.20). პატერიკის მრავალრიცხოვან ანდერძებში თეოფილე შენდობას თხოულობს თავისი მოძღვარ-მასწავლებლებისა და მზრუნველებისთვის. ესენი არიან წმიდა მამები: ეფთვიმე და ილარიონი; ბერი კლიმი, მომგებელი ამ ხელნაწერისა; თეოფილეს „მზრდელი და

[1] Actes d' Iviron, II, pp. 211-248.
[2] Actes de Lavra, I, p. 299.
[3] Actes d' Iviron, II, გვ. 26, 61.

მოძღვარი" გიორგი მთაწმინდელი (A 1105, 15) და ვინმე ევგენი: „ღმერთმან აკურთხენ ევგენი! ფრიადი შრომაჲ აჰუენა ძიებისთჳსცა და შექცევისა და მოღუაწებისათჳს ჩუენისა. მიეცინ ღმერთმან სასყიდელი მრავალწილად" (377v). ცხადია, ეს ცნობა ეხება გარკვეულ ეპიზოდს თეოფილეს ცხოვრებიდან[1]. თეოფილე ხუცესმონაზონის საქართველოდან კონსტანტინოპოლში დაბრუნებას და იქაურ ქართველ მოღვაწეთა წრეში ლიტერატურული საქმიანობის გაგრძელებას დიდად შეუწყო ხელი კონსტანტინოპოლის ქართული საკრებულოს წევრმა ევგენიმ, რაც საგანგებოდ აღნიშნა კიდეც თეოფილემ „პატერიკის" ზემოთ მოტანილ ანდერძში, რომელიც ასე უნდა გავიგოთ: ევგენიმ ფრიად ილვაწა (დიდი შრომა გასწია) თეოფილეს პოვნისათვის, მისი კონსტანტინოპოლში დაბრუნებისათვის და მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის ხელის შესაწყობად. ასეთ მისიას თავის თავზე აიღებდა ადამიანი, რომელსაც კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობისა და კულტურისათვის თეოფილეს მთარგმნელობით საქმიანობას კონსტანტინოპოლის ქართველ მოღვაწეთა წრეში. ევგენი, ჩანს, ტრიალებს XI საუკუნის მიწურულისა და XII ს. დამდეგის ათონსა და კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ქართველ მწიგნობართა და მოღვაწეთა წრეში (ნიკოლა პროტოსვინგელოზი, იოანე ბუქაჲსძე, მამა კლიმი, ბერი გიორგი). ვფიქრობთ, ევგენი იოანე ბუქაისძის შემდეგ (1104 წ.) დადგენილ იქნა ქართველთა ლავრის წინამძღვრად. თუ ჩვენი ვარაუდი მართებულია, მას წინამძღვრად უმოღვაწია სულ ორი-სამი წელი, ვინაიდან 1108 წელს ქართველთა ლავრის წინამძღვრად უკვე იოსები ჩანს. მაგრამ ჩვენი ვარაუდი მამა ევგენის წინამძღვრობის წლების შესახებ (1104-1108) მაინც ვერ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ევგენი წინამძღვრად ყოფილიყო იოსების შემდეგ.

**იოსები**[2]. ათანასეს ლავრის 1108 წლის ბერძნულ აქტს (№ 57) ხელს აწერს ივირონის წინამძღვარი იოსები (Ἰωσὴφ μοναχὸς καὶ ἡγούμενος τῶν Ἰβήρων)[3].

მამა იოსების მომდევნო ქართველთა ლავრის წინამძღვრების შესახებ მამა იოანე III კალაკალამდე მასალები ქართულ და ბერძნულ

[1] ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 236.

[2] Actes d' Iviron, II, p. 61.

[3] Actes de Lavra, I, N57, p. 299.

წერილობით წყაროებში არ ჩანს. ეს ხარვეზი დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს, არა ნაკლებ 15 წლისა.

**იოანე III კალაკალა.** XII ს. 20–40-იანი წლები[1]. იოანეს შესახებ ცნობებს გვაწვდის მისთვის განწესებული აღაპი (№ 138), რომელიც დაიწერა სიკვდილის ჟამს მის მიერ გაცემული ევლოგიის საფუძველზე. აღაპი განწესებულია იოანე კალაკალასთვის და დეკანოზ თაფლაისძისთვის. ერთობლივი აღაპის განწესების ეს ფაქტი მოწმობს, რომ იოანე კალაკალა და იოანე თაფლაისძე თანამოღვაწენი იყვნენ. მათი ერთობლივი მოღვაწეობის შედეგი იყო ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნის ახალი, გავრცობილი რედაქციის შექმნა. იოანე თაფლაისძე იოანე კალაკალას ბრძანებით შეუდგა სააღაპე წიგნზე მუშაობას. ეჭვს არ იწვევს, რომ თაფლაისძის ანდერძში (№ 166) მოხსენიებული მამა იოანე, რომლის ბრძანებითაც შეუდგა თაფლაისძე სააღაპე წიგნზე მუშაობას, არის იოანე კალაკალა[2].

სააღაპე წიგნის ქრონოლოგიური პლასტების გამოყოფამ და შესწავლამ უფრო სარწმუნო გახადა ნ. ბერძენიშვილის ვარაუდი, რომ იოანე თაფლაისძე და იოანე კალაკალა XII ს. 20–40-იანი წლების მოღვაწენი არიან[3].

რას უნდა ნიშნავდეს მამა იოანეს ზედწოდება კალაკალა? ხომ არ არის კალაკალა დისიმილირებული ფორმა კარაკალასი? ასე ეწოდება ათონის ერთ-ერთ უძველეს მონასტერს, რომელიც ქართველთა ლავრის მახლობლად მდებარეობს, რის გამოც თითო-ოროლა ქართველის იქ ცხოვრება გამორიცხული არ იყო. ქართველებს რომ კარაკალას მონასტერთან ხანგრძლივი და ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ, ამას ტ. გაბაშვილის ცნობაც გვიდასტურებს. „მიმოსლვაში" ვკითხულობთ: „ესე მონასტერი აღუშენებია მეფესა ჰრომთასა კარაკალოს და ამისა შემდგომად გაუახლებია ვლახთა ბატონსა... ამისა შემდგომად გუმბათი და პალატი დაქცეულა და გაუახლებიათ და ტყვიით გადაუჭედიათ არჩილს, იმერეთის მეფეს, გიორგის, მის ძმას და ვახტანგს, ქართველთა ბატონს, და აშოთანს. და არს დღითი-

[1] Actes d' Iviron, II, p. 36, 61.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის კრებულის ..., გვ. 343.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 356. კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ იოანე თაფლაისძეს აღაპები უნდა გადაეწერა 1112 – 1118 წლებში, მამა იოანე ბუქაისძის მამობას: კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ათონის ლიტერატურული ..., გვ. 232. შდრ. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, კერები..., II, გვ. 218.

დღე მათი მოკსენება"[1]. ვფიქრობთ, ასეთი ინტერესი და ზრუნვა ქართველთა მეფეებისა (არჩილის, გიორგის და ვახტანგისა) კარაკალას მონასტერზე შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველთა მონასტრის ძმობას ძველთაგანვე კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა აკავშირებდა ამ მონასტერთან. შესაძლოა, იოანე კალაკალა, სანამ იგი ათონის ქართველთა მონასტერში დამკვიდრდებოდა და წინამძღვრობის პატივს დაიმსახურებდა, მოღვაწეობდა კარაკალას მონასტერში.

იოანე ბუქაისძის მომდევნო ქართველთა ლავრის წინამძღვრების შესახებ ცნობები ათონის მონასტრების ბერძნულ აქტებში მცირე რაოდენობით გვხვდება. მოღვაწეობა ისეთი აქტიური და გავლენიანი წინამძღვრებისა, როგორებიც იყვნენ იოანე კალაკალა და მამა პავლე, ბერძნულ აქტებში არ ასახულა. არადა, ბერძნული აქტების უმრავლესობა თარიღიანია და ამიტომ ქრონოლოგიური ორიენტირის როლს ასრულებენ მათში მოხსენიებულ ქართველთა მონასტრის წინამძღვართა რიგის დადგენაში. იოანე ბუქაისძის მომდევნო ქართველ წინამძღვრებზე სულ ორად-ორი ცნობა შემოგვინახეს ბერძნულმა აქტებმა: 1108 წლით დათარიღებულ ათონის ლავრის ბერძნულ აქტს (№ 57) სხვა წინამძღვრებთან ერთად ბერძნულად ხელს აწერს ივირონის წინამძღვარი მამა იოსები[2], ხოლო 1169 წლით დათარიღებულ პანტელეიმონის მონასტრის ბერძნულ აქტს (№ 8) ქართულად ხელს აწერს მამა გიორგი[3]: „ამას ზემოწერილსა მე, გიორგი მამაჲ, ქართველთა ლავრისა მთისა წინამძღვარი". ცნობები ამ პერიოდის წინამძღვრების შესახებ არ გვხვდება ათონის ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. მასალების სიმცირის გამო არც იოანე კალაკალას მომდევნო მამების რიგის დადგენა არის ადვილი. დანამდვილებით ვიცით მხოლოდ ის, რომ 1170 წელს მამა პავლემ მამა გიორგისაგან ჩაიბარა განადგურების პირას მისული, გაპარტახებული, „ვალთა უფალი" ათონის ქართველთა ლავრა, რომლის აღდგენას მამა პავლემ შეალია თოთხმეტი წელი.

იოანე თაფლაისძის რედაქციის საალაპე წიგნის დასრულებისა და თაფლაისძისა და იოანე კალაკალას გარდაცვალების შემდეგ

---

[1] ტ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსლვა, გვ. 38.

[2] Actes de Lavra, I, p. 299.

[3] Actes de Saint-Pantéléèmôn, p. 84.

ალაპები იწერება თაფლაისძის სააღაპე წიგნის შემავსებლებისა და გამგრძელებლების მიერ. მათი ალაპები მოიცავენ პერიოდს 1150-იანი წლებიდან 1184 წლამდე. ამ პერიოდის ალაპებში მოხსენიებულია ხუთი წინამძღვარი, აქედან ორის (გიორგი V-ისა და პავლეს) მოღვაწეობის წლები ცნობილია. დანარჩენი სამის (მიქაელის, იოანეს, ვასილის) წინამძღვრობის წლები დასადგენია.

**მიქაელი.** იოანე კალაკალას მომდევნო წინამძღვარი[1]. XII ს. 50-იანი წლები. მიქაელის ადგილის განსაზღვრისათვის ქართველთა მონასტრის წინამძღვართა რიგში საჭირო გახდა გარკვეული კოდიკოლოგიური სამუშაოს ჩატარება ათონის სააღაპე წიგნზე. მიქაელი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც დაიწყო თაფლაისძის სააღაპე წიგნის შევსება. მის მიერ თეოდორე დიდი იკონომოსისათვის განწესებული ალაპი 6 (ტაბ. VI) დაწერილია თაფლაისძის მიერ დაღალისონელის სააღაპე წიგნში შევსების მიზნით ჩართულ თავისუფალ 184-ე ფურცლის ვერსოზე. როგორც უკვე ითქვა, მიქაელის მიერ განწესებული ამ ალაპით იწყება 184v. მას მოსდევს მიჯრით სხვადასხვა ხელით მიწერილი კიდევ სამი ალაპი. უკანასკნელი ალაპი, მიწერილი გვერდის ქვემო კიდეზე (№ 9), განწესებულია ნიკოლა პეტრიწონელისთვის და წარმოადგენს ორწევრა ალაპის (9/141) პირველ წევრს. ალაპის მეორე წევრი (№ 141) კი წარმოადგენს ალაპის განგებას, განწესებულს მამა იოანეს (IV) მიერ (XII ს. 50-იანი წლები). ვინაიდან 184v-ზე მოთავსებულ ალაპთა რიგი მათი დაწერის ქრონოლოგიაზეც მიუთითებს, ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ მამა მიქაელის წინამძღვრობის წლები უსწრებს მამა იოანეს (IV) წინამძღვრობას.

თვით მიქაელისათვის, უკვე მისი გადადგომის შემდეგ, მის სიცოცხლეშივე განწესებული ალაპიდან (№ 22) ჩანს, რომ მამა მიქაელი მწიგნობარი ყოფილა. ალაპის საფასურად, გარდა ფულისა, მას ქართველთა მონასტრისათვის გადაუცია ხელნაწერი წიგნები: მოჭედილი სახარება და პავლე. მიქაელისთვის განწესებული ეს ალაპი დაწერილია დაღალისონელის სააღაპე წიგნის 186r-ს ქვემო აშიაზე, თაფლაისძის რედაქციის სააღაპე წიგნის დასრულებისა და იოანე თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ.

---

[1] Actes d' Iviron, II, p. 61.

**იოანე IV**. XII ს. 50-60-იანი წლები[1]. მამა იოანეს განწესებულია ზემოთ ნახსენები ორწევრა აღაპი (9/141, ტაბ.VII)[2]. იმავე ხელით დაწერილია № 47 აღაპი - იოანე რუსყოფილისათვის (ტაბ. VII). ჩვენი ვარაუდით, იოანე წინამძღვარი მამა მიქაელის მომდევნო წინამძღვარია (იხ. აღაპთა კომენტარები).

**ვასილი**. XII ს. 50-60-იანი წლები[3]. თაფლაისძის სააღაპე წიგნში განწესებულია (186r) იოანე კოჯიხისძისთვის ორწევრა აღაპი 21/143 (ტაბ. VIII). აღაპის ორივე წევრი დაწერილია ერთი ხელით. ამ ორწევრა აღაპის განმწესებელი წინამძღვარი ძირითად ტექსტში არ ჩანს, მაგრამ მეორე წევრს (№ 143) მიწერილი აქვს კოჯიხისძის აღაპის შესრულების პირობა: ვინაიდან იოანე კოჯიხისძე არიშიანის „ძმა და თჳსი" იყო, ამიტომ ვინც „არიშიანსა თანა ჴსენებაჲ" იოანე კოჯიხისძეს დააკლოს, „იგიმცა დააკლდების საუკუნეთა კეთილთა."

თაფლაისძის რედაქციის სააღაპე წიგნისა და მისი „გაგრძელების" შესწავლამ აშკარა გახადა, რომ „გაგრძელების" პირველ ნაწილში (აღაპები 140-154) სხვადასხვა ხელით ჩაწერილი აღაპების რიგი მათ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზეც მიუთითებს. ამის საფუძველზე უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ აღაპებში მოხსენიებული წინამძღვრების რიგიც აღაპების ქრონოლოგიას უნდა ეფარდებოდეს. მაშასადამე, მამა ვასილი მამა იოანეს მომდევნო წინამძღვარია. მამა იოანეს კი უსწრებდა მამა მიქაელი.

**გიორგი V**. 1169-1170 წწ. დასახელებულია ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრად პანტელეიმონის მონასტრის ბერძნულ აქტში (№ 8)[4].

**პავლე**. 1170-1184 წწ[5]. ერთ-ერთი ენერგიული, გავლენიანი წინამძღვარი. მის დროს ნიკოლოზ გულაბერისძის მხარდაჭერით გაცხოველდა აღაპების წერა. პავლეს წინამძღვრობის წლები ხასიათდება მონასტრის ეკონომიკური მოძლიერებით და აქტიური სააღმშენებლო საქმიანობით. პავლე წინამძღვრად დაადგინეს თვესა მარტსა, ინდიქტიონსა სამსა (აღაპი 165), ე. ი. 1170 წ. მან მიატოვა წინამძღვრობა აპრილის 29-ს, ინდიქტიონსა ორსა, ე.ი. 1184 წელს (აღაპი 158).

[1] ი ქ ვ ე, გვ. 62.
[2] დაწვრილებით იხ. აქვე, მონასტრის მამები: მიქაელი და იოანე.
[3] Actes d' Iviron, II, pp. 36, 62.
[4] Actes de Saint-Pantéléèmôn, p. 84.
[5] Actes d' Iviron, II, pp. 36,62.

**გიორგი VI.** მონასტრის საკრებულომ მამა პავლეს თანადგომით წინამძღვრად განაწესა 1184 წელს. მანამდე გიორგი იყო მონასტრის დიდი იკონომოსი (აღაპი 158). რამდენ ხანს იყო გიორგი VI ქართველთა ლავრის წინამძღვარი, არ ჩანს. სავარაუდოა, ის შეცვალა მაკარიმ. გიორგის წინამძღვრად დადგინებით მთავრდება ათონის სააღაპე წიგნი[1].

**მაკარი.** გიორგის მომდევნო წინამძღვარი[2], ე.ი. 1184 წლის შემდეგომ. ცნობა მაკარი წინამძღვრის შესახებ შემოგვინახა Ath. 30 ხელნაწერის კიდეზე მიწერილმა აღაპმა[3]. აღაპი განწესებულია თამარ დედოფლის აღმზრდელის დოფისათვის. ის გარემოება, რომ ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი აღაპს წერს სვინაქსრის ხელნაწერის აშიაზე, იმას მოწმობს, რომ ათონის კალენდარზე გაწყობილი სააღაპე წიგნის დასრულების შემდეგ მონასტრის წინამძღვრები შეუდგნენ აღაპების წერას სვინაქსრის ხელნაწერის ფურცლებზე, ვინაიდან სვინაქსარი თვითონ კალენდარზეა გაწყობილი. ასევე სვინაქსრის აშიებზეა დაწერილი ჯვარის მონასტრის აღაპ-მოსახსენებლები (იერ. 24-25)[4].

ქართველთა ლავრის XIII საუკუნის I ნახევრის წინამძღვრებზე ცნობებს ქართულ და ბერძნულ წყაროებში ვერ მივაკვლიეთ. სააღაპე წიგნის აღაპები წყდება XII საუკუნის 80-იან წლებზე (თუ არ ჩავთვლით გვიან ჩართულ ათაბაგთა აღაპებს). ამავე საუკუნის დასასრულის მოღვაწე უნდა იყოს წინამძღვარი მაკარი. ამით ჩვენ ვამთავრებთ სააღაპე წიგნის წინამდებარე გამოცემისათვის შედგენილ წინამძღვართა რიგს.

ამ პერიოდის ქართველთა ლავრის წინამძღვრების შესახებ ცნობები ათონის სხვადასხვა მონასტრების ბერძნულმა აქტებმა საკმაო რაოდენობით შემოგვინახა. გვინდა შევჩერდეთ XIII საუკუნის II ნახევრის ერთ ბერძნულ დოკუმენტზე, რომელმაც ამ პერიოდის ქართველთა ლავრის ისტორიისათვის საყურადღებო ცნობები შემო-

---

[1] Actes d' Iviron, II, pp. 37, 62.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ათონური აღწერილობა, გვ. 90, 92, შენ. 9, მინ. 4.

[4] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები ..., გვ. 79-108; 113-179.

გვინახა. ეს არის 1264 წ. დაწერილი ქართველთა ლავრის ბერძნული აქტი № 60[1]. ამ დოკუმენტს ახლავს XIII ს. II ნახევრის ქართველთა ლავრის სამი „დაწერილი", რომლებშიც იხსენიება ოთხი ერთმანეთის მომდევნო წინამძღვარი. ბერძნული დოკუმენტი და „დაწერილები" ეხება ქართველთა ლავრის საკუთარ ეკლესიას კლიმწმიდას, რომელიც ლავრის წინამძღვარს იოანეს დანგრეული და გაპარტახებული გადაუცია ნიკოლა კომუდისათვის მფლობელობაში „ოთხთა პირთა ზედა" (ოთხი ერთმანეთის მომდევნო მფლობელის მოღვაწეობის პერიოდით), ე.ი. დროებით სარგებლობაში, გარკვეული პირობით, „აღაშენოს ეკლესიაჲ და კელიები" და მისცეს ლავრას ყოველწლიურად 4 პერპერა. იოანე წინამძღვრის „დაწერილს" ადასტურებს პაპა გიორგი და იოანე მამაყოფილი. უნდა ვიფიქროთ, რომ იოანე მამაყოფილი იოანე წინამძღვრის წინამორბედია.

შემდეგ მამა იოანეს „დაწერილი" განუახლებია მის მომდევნო წინამძღვარს ნიკოლოზს. ეს მეორე „დაწერილიც" ნიკოლა კომუდისთვის არის განწესებული, პირველი დაწერილის ყველა პირობის გამეორებით. ნიკოლოზ წინამძღვრის „დაწერილს" თარიღი არა აქვს, მაგრამ რაკი ისიც ნიკოლოზ კომუდის დროს არის განახლებული, მაშასადამე, მეორე „დაწერილიც" დიდი დროით არ უნდა იყოს დაცილებული იოანე წინამძღვრის პირველ „დაწერილს". ასევე, ნიკოლოზ წინამძღვრის მოღვაწეობის წლები დიდად არ უნდა იყოს დაშორებული იოანეს წინამძღვრობის წლებს.

და ბოლოს, იმავე ბერძნულ დოკუმენტზე ნიკოლოზის მომდევნო წინამძღვარს სერაპიონს დაუწერია მესამე „დაწერილი", რათა კლიმწმიდის დროებით მფლობელობაში ნიკოლოზ კომუდისათვის გადაცემის „პირობაში" შეეტანა ცვლილებები. „დაწერილი" იწერებოდა უკვე ნიკოლოზ კომუდის მომდევნო მფლობელის დროს (სახელი არ არის მითითებული). სერაპიონის „დაწერილიდან" ვგებულობთ, რომ პირველი „დაწერილით" გათვალისწინებული კლიმწმიდის მფლობელობის ხანგრძლივობა „ოთხთა პირთა ზედა" მას შეუცვლია და ორ კაცამდე დაუყვანია. ამავე დროს – მეორე მფლობელი ძალზე ხნიერი

---

[1] Actes d' Iviron, III, p. 103. ამ დოკუმენტს ვეხებით წერილში: „ათონის ერთი აღაპის გაგებისათვის, გვ. 188–190.

ყოფილა და მოკლე დროში მის გარდაცვალებას ელოდებოდნენ, რის შემდეგ ქართველთა ლავრას დაუბრუნდებოდა კლიმწმიდა განახლებული და მოკაზმული („მონასტერი იგი ჩუენი იქნების მოკაზმული").

კლიმწმიდის გასხვისებისა და უკან დაბრუნების ისტორიაზე იმიტომ შევჩერდით, რომ ბერძნული № 60 დოკუმენტის „დაწერილებსა" და ხელწერებში ჩანს ქართველთა ლავრის ოთხი წინამძღვარი: იოანე მამაყოფილი, იოანე, ნიკოლოზი და სერაპიონი.

დასახელებული ოთხი წინამძღვრიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ იოანე წინამძღვრის მოღვაწეობის წელი 1264. იოანე მამაყოფილი მას წინ უსწრებს, ხოლო მისი მომდევნონი არიან ნიკოლოზი და სერაპიონი. ე.ი. სავარაუდოდ ამ ოთხი წინამძღვრის მოღვაწეობის წლები შეიძლება შემოვფარგლოთ 1260–70-იანი წლებით.

ამ დოკუმენტთან (№ 60) დაკავშირებით ყურადღება მიიქცია პ. უსპენსკის მიერ ათონის ერთ-ერთ ეკლესიაზე მიკვლეულმა ქართულმა წარწერამ ქვაზე: „ქ. წელსა ხღოგ, მეფობასა მიხაელ პალეოლოღოსა, აღიშენა ქართველთაგან"[1]. წარწერის თარიღია 1265 წელი. ე.ი. წარწერა ზემოთ განხილული № 60 ბერძნული დოკუმენტისა და მამა იოანეს პირველი „დაწერილის" თანადროულია. ხომ არ იგულისხმება ქვის წარწერაში ბერძნული დოკუმენტის კლიმწმინდის აშენება (განახლება)? მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. ფაქტი კი ის არის, რომ XIII საუკ. 60–70-იან წლებში ქართველთა ლავრის საკრებულო და წინამძღვრები იღვწიან იმისათვის, რათა საკუთარი ეკლესია-მონასტრები დაძველებულ-დანგრეულები აღადგინონ, ააშენონ და „მოკაზმონ". ერთ-ერთი გზა ამ საქმიანობის გასაშლელად იყო მონასტრისა და მამულების დროებით მფლობელობაში სხვათათვის გადაცემა გარკვეული პირობით, რათა დროებით მფლობელს ისინი აღედგინა, მოეკაზმა და გარკვეული დროის შემდეგ დაებრუნებინა ქართველთა ლავრისათვის. ეს პრაქტიკა ადრეც ყოფილა გავრცელებული ქართველთა ლავრის ცხოვრებაში[2].

---

[1] П. Успенский, Первое путешествие в Афонские монастыри и скиты в 1846 г. Киев, 1877. ч. I, стр. 46. პ. უსპენსკი ამ ეკლესიას ერისოს მეტოხს უწოდებს; Actes d' Iviron, III, p. 21.

[2] დაწვრილებით ამ დოკუმენტის შესახებ იხ. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ათონის ერთი ალაპის ..., გვ. 428 (Add.).

## ბოლოსიტყვა

როგორც ითქვა, სააღაპე წიგნი განვითარების ბოლო ეტაპზე გადაიქცა ათონის ქართველთა მონასტრის მატიანედ. ამიტომ სააღაპე წიგნის მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ მონასტრის ისტორიის ძირითადი ეტაპებიც. ეტაპებს ქმნიდნენ აქტივობითა და ენერგიული მოღვაწეობით გამორჩეული პიროვნებები – წინამძღვრები, რომელთაც გააჩნდათ არა მარტო საალმშენებლო და სამეურნეო, არამედ გამოკვეთილი იდეოლოგიური პროგრამაც.

I პერიოდად უნდა მივიჩნიოთ მონასტრის ქტიტორთა, ჩორდვანელთა სახლის წევრთა (თორნიკესა და იოანეს, ეფთვიმესა და გიორგი ვარაზვაჩეს) წინამძღვრობის წლები.

II პერიოდად უნდა მივიჩნიოთ მამა გრიგოლის წინამძღვრობის წლები.

გრიგოლის მთელი საქმიანობა იქითკენ იყო მიმართული, რომ აღედგინა ქართველთა მონასტრის იმ დროისათვის გაპარტახებული მეურნეობა და ეზრუნა დაკარგული მამულებისა და ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის დაბრუნებაზე.

III მნიშვნელოვანი პერიოდი ქართველთა მონასტრის ისტორიაში გიორგი მთაწმინდლის წინამძღვრობის წლებია.

1040 წლისათვის გიორგი შავმთელმა გიორგი მთაწმინდელი ათონზე გაგზავნა, რათა მას განეგრძო ეფთვიმეს მოღვაწეობის ტრადიციები.

გიორგი მთაწმინდლის სამოქმედო პროგრამა გულისხმობდა ქართველთა მონასტრის დაკარგული მამულებისა და ქონების დაბრუნებას, ქართველთა ქტიტორული სტატუსის აღდგენას მონასტერში, ლავრის ჩამქრალი სკრიპტორიუმის გამოცოცხლებას და ბიბლიოთეკის გამდიდრებას ხელნაწერებით, მწიგნობართა ახალი კადრების მოზიდვასა და მომზადებას, ეფთვიმეს მთარგმნელობითი ტრადიციების დაცვას და გაგრძელებას, ეფთვიმე მთაწმინდლის კულტის შექმნას და პოპულარიზაციას არა მარტო ათონზე, არამედ საქართველოს და საზღვარგარეთის ყველა სამწიგნობრო კერაში, „ყოველთა ქართველთა“ შეკვრისა და გაერთიანების მიზნით, რაც ნიშნავდა ათონის ქართველთა მონასტრის პრესტიჟის ამაღლებას საერთაშორისო მასშტაბით.

IV პერიოდად შეიძლება გამოიყოს წინამძღვრობის წლები გიორგი ოლთისარისა, რომელიც გიორგი მთაწმინდლის მომდევნო წინამძღვარი და მისი კურსის გამგრძელებელი იყო.

V, ცალკე პერიოდად უნდა გამოიყოს წინამძღვარ იოანე კალაკალასა და მისი დეკანოზის, იოანე თაფლაისძის, ერთობლივი მოღვაწეობის პერიოდი, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სააღაპე წიგნის შევსებას, მის მოწესრიგებასა და მის გადაქცევას მონასტრის მატიანედ.

VI და ბოლო პერიოდად უნდა გამოიყოს პავლეს წინამძღვრობის წლები, განსაკუთრებით გამორჩეული პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობის შედეგებით.

მამა პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობის პერიოდი თანხვდა მონასტერში შექმნილ უმძიმეს ვითარებას, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ აუცილებლად უნდა შეკეთებულიყო დანგრევის პირას მისული კელინნი. ამას დაერთო ახალი უბედურება – მონასტერში გაჩენილი ხანძარი, რასაც მოჰყვა კელინთა გადაწვა. მონასტერში შეიქმნა კატასტროფული სიტუაცია. შექმნილ ვითარებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა: მონასტრიდან საქართველოში გაგზავნილმა სამმა მოკალმასე ბერმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩაიტანა ათონზე შეწირულება დამწვარი კელინების აღსადგენად. საქართველოდან მოდიოდა დიდძალი შესაწირავები, ზოგჯერ თვით შემომწირველებიც ჩადიოდნენ ათონზე, რათა ჩაბმულიყვნენ ივირონში დაწყებულ სააღმშენებლო საქმიანობაში. ერთ-ერთი მათგანი იყო ნიკოლოზ გულაბერისძე, რომელიც ათონზე წავიდა არა მარტო იმისათვის, რომ ჩაეტანა თავისი და თამარ მეფის შესაწირავები, არამედ იმისათვის, რათა აქტიურად ჩაბმულიყო ივირონის განახლებისა და აღდგენის საქმეში. ამასთანავე ნიკოლოზი შეუდგა ზრუნვას მონასტრის წიგნსაცავზე, მის გამდიდრებაზე ახალი ხელნაწერებით. იგი ჩაერთო მთარგმნელობით საქმიანობაში და ზრუნავდა მონასტრის სკრიპტორიუმზე. ამავე, სამონასტრო ცხოვრების გააქტიურების პერიოდში ქართველთა ლავრას მრავალი მეგობარი გაუჩნდა, როგორც საქართველოში, ასევე ბიზანტიაში.

ამ მეგობართა შორის იყვნენ როგორც საქართველოდან ჩასული მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენლები, ასევე ბიზანტიის სამეფო კარის სამსახურში მყოფი ქართველები.

ივირონის გადარჩენის საქმეში ქართველთა ასეთი ერთსულოვნება, ნიკოლოზისა და პავლეს ერთობლივი ენერგიული მოღვაწეობის პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ქართველთა მონასტრის ისტორიაში.

ამ პერიოდში ჩატარებული დიდი სამეურნეო, საამშენებლო და სამწიგნობრო საქმიანობის შედეგად ათონის ქართველთა მონასტერმა თავისი სულიერი და მატერიალური განვითარების მწვერვალს მიაღწია.

მაგრამ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. ნიკოლოზ გულაბერისძის ათონიდან წასვლითა და პავლეს წინამძღვრობიდან გადადგომით დასრულდა ეს ბრწყინვალე პერიოდი ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიაში.

პავლეს შემდგომ წინამძღვრებს შორის აღარ გამოჩენილა იმ მასშტაბისა და გაქანების მოღვაწე, როგორიც პავლე წინამძღვარი იყო. ქართველთა მონასტერი თანდათან კარგავდა ავტორიტეტსა და მატერიალურ ძლიერებას, რითაც მოხერხებულად სარგებლობდა ქართველთა მონასტრის ბერძნული საკრებულო. მონასტერი კვლავ იქცა ბერძენ-ქართველთა საკრებულოების ბრძოლის ასპარეზად, რაც იმით დამთავრდა, რომ XIII ს. ბოლოს ივირონი ბერძნებმა დაისაკუთრეს. 1264 წ. ბერძნულ აქტში (ათონი № 60) ქართველ წინამძღვარ იოანესთან ერთად ხელს აწერს ბერძენი პროიგუმენი ნეოფიტე (იხ. Actes d' Iviron, III, 1994, pp. 9, 108).

# ადაპების ტექსტი და კომენტარები

საალაპე წიგნის შედგენა და მისი შევსება ახალი აღაპებით ადრევე დაიწყო (XI ს.) და გაგრძელდა XVI საუკუნემდე. საალაპე წიგნში სამი აღაპია შეტანილი XVI საუკუნისა (162-164). საალაპე წიგნი ძირითადად მოიცავს აღაპებს ქართველთა მონასტრის ქტიტორის იოანე-თორნიკეს გარდაცვალებიდან (984/985, აღაპი № 1), ვიდრე XII ს. ბოლო წლებამდე (აღაპი № 165+167). მასალის კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე შევეცადეთ გამოგვეყო საალაპე წიგნის ქრონოლოგიური პლასტები, რათა ამ გზით უფრო ნათელი გამხდარიყო საალაპე წიგნის თანდათანობითი შევსების ისტორია.

ქრონოლოგიური პლასტების გამოყოფამ შესაძლებელი გახადა იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც ავსებდნენ საალაპე წიგნს და სხვადასხვა სახის ტექნიკურ ოპერაციებს ატარებდნენ აღაპებზე. ამისათვის შედგა პალეოგრაფიული ალბომი, რომელიც შეიცავს 20 ტაბულას. თითოეულ ტაბულაში (მცირე გამონაკლისის გარდა) გაერთიანებულია ერთი ხელით დაწერილი აღაპები.

აღაპების კომენტარებში და გამოკვლევაში შევეცადეთ შესაძლებლობის ფარგლებში დაგვედგინა როგორც დამწერთა, ასევე აღაპებში მოხსენიებულ პირთა (შემწირველთა) ვინაობა. ამდენად, აღაპის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად საჭიროა კომპლექსურად გამოკვლევის, კომენტარებისა და ტაბულების მონაცემების გათვალისწინება. ამ მონაცემებით მოხერხდა ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვართა რიგის შევსება-დაზუსტებაც.

წინამდებარე გამოცემაში დაცულია აღაპთა პირველი გამოცემის რიგითი აღრიცხვა. თავი შევიკავეთ ამ რიგის დარღვევისაგან, თუმცა ზოგჯერ ამის საჭიროება აშკარად იყო. საქმე ის არის, რომ პირველი გამოცემის აღაპთა რიგითი აღრიცხვა დიდი ხანია უკვე დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში და მისი შეცვლა გარკვეულ უხერხულობასა და სიძნელეებს შეუქმნიდა მკითხველს.

გამოცემაში აღაპების ნუმერაციასთან მითითებულია აღაპის დამწერის ვინაობა პირობითი შემოკლებით (დ. — დაღალისონელი, თ. — თაფლაისძე, პ. — მამა პავლე და სხვ.): იქვეა მითითებული პალეოგრაფიული ტაბულის რიგითი ნომერი.

აღაპთა ტექსტში ქარაგმებს ვხსნით არსებული წესების დაცვით,

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქარაგმის გახსნის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ამ შემთხვევაში დაქარაგმებული სიტყვისათვის ვიყენებთ მრგვალ კავებს.

თუ ალაპი ორწევრაა, მითითებულია ორივე წევრის რიგითი ნომერი (14/157, 157/14).

ალაპები დაწერილია სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე მწერლების მიერ სხვადასხვა დროს, ამიტომ ბუნებრივია, ორთოგრაფიაც ალაპებისა განსხვავებულია. გამოცემაში დაცულია დამწერთა ორთოგრაფია. გასწორებულია მხოლოდ „ლაფსუს კალამი“. აქვე უნდა შევნიშნოთ: ორთოგრაფიული სიჭრელე გვხვდება არა მარტო სხვადასხვა ხელით ნაწერ ალაპებში, არამედ ერთი მწერლის დაწერილ ალაპებშიც, მეტიც, ერთი ალაპის ფარგლებშიც.

სასვენი ნიშნების ხმარების თვალსაზრისით, ალაპები სხვაობენ ერთმანეთისაგან. ტექნიკური მიზეზების გამო გამოცემაში ვერ დავიცავით ალაპების პუნქტუაცია, მაგრამ ამით დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია პუნქტუაციას გაეცნოს ტაბულების ფოტოასლებით.

ალაპების ტექსტში მითითებულია ხელნაწერის პაგინაცია.

**ალაპების დამწერთა პირობითი აღნიშვნები:**

დ. – დალალისონელი
თ. – თაფლაისძე
დ., თ. – დალალისონელი-თაფლაისძე
პ. – მამა პავლე
ნ.გ. – ნიკოლოზ გულაბერისძე
ი.ბ. – მამა იოანე ბუქაისძე
ვ. – მამა ვასილი
მ. – მამა მიქაელი
ი. – მამა იოანე IV
გ. – მამა გიორგი III (მთაწმინდელი)
ნ. – მამა ნიკოლოზ პროტოსვინგელოზი

## 1 ტაბ. $I_{1-2}$ დ.

183 r / სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.
ესე არიან აღაპნი მონასტრისა ჩუენისანი, ვინაჲთგან აღშენებულ
არს ვიდრე აქამომდჱ[1]

თ უ ე ს ა დ ე კ ე ნ ბ ე რ ს ა იე. აღაპი არს ი ო ვ ა ნ ე
ს კ ნ გ ე ლ ო ზ ი ს ა, მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ს ა ა მ ი ს დ ი დ ე-
ბ უ ლ ი ს ა ლ ა ვ რ ი ს ა ჲ.

უფალო ღაღადყავსა ზედა თქუნენ დასდებელნი წმიდისანი და
სტიქარონად სულისანი. და სერობასა ტრაპეზს შესუან ძმათა სამ-
სამი კრასოვული. და ვითარცა ჰრეკონ სერობისაჲ, ილოცონ: „რომე-
ლი დამკჳდრებულ არს“ და „ჩუენთანაარსი“, და გაასრულონ ჟამი
სერობისაჲ. და იწყონ დაწესებულთა და თქუან ალილუაჲ და „მო-
იკსენენ, უფალო, ვითარცა“ და „ნეტარარიანნი“. და იტყოდიან
დიაკონნი კუერექსთა და ხუცესნი ლოცვათა; „ნეტარარიანთა ზედა“
თქუან წარდგომაჲ სულისაჲ, და „მიწყალჱ“ და სულისა გალობანი;
„განძლიერდასა“ ზედა – წარდგომაჲ სულისაჲვე, „ღაღადყავსა“
183 v ზედა – იბაკოჲ/ სულისაჲვე და სამნი შედეგნი: გამოავლინე სულისაჲ,
აქებდითი, „დიდებაჲ მაღალთაჲ“, სტიქარონნი სულისანი, „წმიდაო
ღმერთოჲ“, ლიტანისაჲ, სულისაჲ, კუერ[ე]ქსი „ზეგარდამოჲ“,
კირიელეისონი მ და აღასრულონ ჟამი.

ცისკრად: „ღმერთი უფალსა“ ზედა წმიდისაჲ და სამნი გალობანი
წმიდისანი, პარაკლიტონი და სულისანი. „განძლიერდასა“ ზედა-
წარდგომაჲ წმიდისაჲ, „ღაღადყავსა“ ზედა–იბაკოჲ სულისაჲ, და
„ზეგარდამოსა“ ზედა კუალად მ კჳრიელეისონი.

სამხრად რავდენნიცა ხუცესნი იყვნენ, თჳს-თჳსად ჟამი უწირონ
ყოველთა, შინა და სოხასტერთა. და ეკლესიას ზეგარდამოსა ლოცვასა
კუალად თქუან მ კირიელეისონი. და სამხრად ნუგეშინის-სცენ ძმათა,
რაჲცა ღმერთსა ებოძოს. და სუან ძმათა ხუთ-ხუთი კრასოვული.

ესე კულა საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ოდესცა საკსე-
184 r ნებელი ვისიმე ძმათაგანისაჲ / [იყოს, სერობად სამ-სამი კრასოვული
ხუდების ძმათა, რაჲთა სუან][2].

---

[1] სათაური დაწერილია სინგურით.

[2] კავებში ჩასმული ტექსტი ახალ გვერდზე (184r) დაწერილია თაფ-
ლაჲსძის ხელით.

## 2 თ.

თუესა დეკენბერსა ა. ალაპი არს ლეონ ეპის-კოპოსისა სტლანიწელისაჲ, ამისთჳს, რამეთუ განგჳტევა ნასესხები ხუარბალი დიკაჲ და ქერი, ექუსასი მოდი ჟამსა ჭირისასა, აღესრულებოდენ ძალისაებრ ყოველივე[1].

[1] ალაპები 2-4 და 8 დაწერილია თაფლაისძის ხელით მის მიერვე ჩამა-ტებულ ფურცლებზე.

## 3 თ.

თუესა დეკენბერსა კთ. ალაპი არს შავ არსენისი. მოსცნა ეკლესიასა ორნი ჯუარნი ას ოთხმოც დიმიტრატად ფასე-ბულნი. ამისთჳს აღესრულებოდენ ალაპი მისი ყოვლითა გულსმოდ-გინებითა ძალისაებრ, ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა[1].

[1] №3 ალაპი დაწერილია თაფლაისძის ჩამატებულ ფურცელზე მისივე ხელით.

## 4 თ.

მასვე დღესა. ალაპი არსენი ყივჩაყისაჲ. მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი დუკატი კ. ღმერთმან გაუსუენენ სულსა მისსა[1].

[1] დაწერილია თაფლაისძის ჩამატებულ ფურცელზე მისივე ხელით.

## 5 ტაბ. $IX_1$ პ.

თუესა დეკენბერსა კჱ, ორთა ბევრთაჲ. ალაპი[1] განუწესეთ სჳმეონს ხერკელსა ამისთჳს, რომელ ერთი დიდი მეტაფრასი, დაერთნა განყოფილნი დავითნი, ორი სათუჱოჲ: მარტი და აპრილი, დაწერნა და მოაკსენნა ყოვლად წმიდასა. და გარდაიკდებოდის მისთჳს ალაპი, ვითა სხუათა ყოველთა შემომწირ-ველთათჳს აღესრულების.

[1] პირველი სტრიქონი დაწერილია სინგურით.

## 6 ტაბ. VI მ.

/თუესა დეკენბერსა დ, დღესასწაულსა წმიდისა ბარბარასა. 184 v
განუწესეთ პანაშჳდი თეოდორეს დიდსა კონომსა. მსახურებათა

მისთა ზედა აღაშენა კარიას კელინი მისითა საკმრითა განსასუენებელად ძმათა და მოსცა ეკლესიასა ცხენი ა კარგი. ამისთჳს დავაწესეთ საკსენებელი მისი მე, მამა[მა]ნ მ ი ქ ა ე ლ და ყოველთა ძმათა, და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

### 7 ტაბ. XVIII (ნარევი)

ა მ ა ს ვ ე დ ღ ე ს ა. განუწესეთ აღაპი ა ფ ე ნ ე ლ ს ა, დედასა მახარებლისსა, რამეთუ მოსცა დუკატი კ მას ჟამსა, ოდეს კონდოსტეფანე სოფელთა გუერჩოდა კოსტანტიპოვლეს. დიდად საკმარ გუეყო ჩუენ ჟამსა [ჭირის[ა]სა. ვინ არ გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი ჟამსა ჭირის[ა]სა][1].

---

[1] კვადრატულ კავებში ჩაწერილი ტექსტი მიწერილია ფურცლის მარჯვენა კიდეზე.

### 8 ტაბ. III$_1$ თ.

თ უ ე ს ა დ ე კ ე ნ ბ ე რ ს ა დ, დღესასწაულსა წმიდისა ბარბარაჲსსა. აღაპი განუწესეთ ნ ი კ ო ნ ნ ა პ ი ლ ო ს ს ა და დედა-მამათა მისთა –კ ო ს ტ ა ნ ტ ი ს და ა ნ ნ ა ს – ნავისათჳს, რომელ შეგჳქმნა ოთხასისა მოდისაჲ ბუქაჲსძისობასა. გარდაიკდებოდის პანაშკტი[1] მისი ლოცვითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა. ეწდიოს ძმათა მწუხრსა გ და სამხრად ოთხი.

### 9/141 ტაბ. VII$_1$ ი.

თუესა დეკენბერსა ვ. პანაშკდი არს ნიკოლა პეტრიწონელისა მამისაჲ. და ჰპოო ამის წიგნისა ბოლოსა, აღმოიკითხე.

### 10 თ.

185 r / წმიდისა საბაჲსსავე. აღაპი განუწესეთ ს ა ბ ა მ ო ნ ო მ ა ხ ყ ო ფ ი ლ ი ს ა, რამეთუ მსახურებასა შინა მიიცვალა და რაჲცა საქონელი ჰქონდა, ყოველი ეკლესიამან იკმარა, ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მისი ამათვე ძმათა თანა[1].

---

[1] განწესებულია 5 დეკემბრის დღეს.

ალაპი დაწერილია თაფლაისძის ხელით გადაშლილი ტექსტის ზემოდან.

## 11 ტაბ. $I_3$ დ.

თუესა დეკენბერსა **ე**, წმიდისა მამისა საბას დღესასწაული. განგჳწესებია ალაპად საბაჲსთჳს და ძმისა მისისა იოანე მუჰვცაჲსათჳს, მამამან თევდორე და ძმათა ყოველთა, რაჲთა ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდის ყოველთა წელთა საკსენებელად მათდა მწუხრსა სამ-სამი კრასოვული და სამხრად ოთხ-ოთხი ამისთჳს, რამეთუ დარჩა ეკლესიასა **რ** დრაჰკანი აღსრულებისა ჟამსა.

## 12 ტაბ. $I_3$ დ.

თუესა დეკენბერსა **ვ**. ალაპი არს ბაბანისი. ყოველივე ზემოწერილი წესი ლოცვისაჲ აღესრულენ და ჟამისწირვაჲ. და ოთხ-ოთხი კრასოვული ეწდიენ ტრაპეზსა.

## 13 ტაბ. $I_3$ დ.

თუესა დეკენბერსა **ზ**. ალაპი არს გიორგისი დიდისაჲ. და ვითარცა სჳნგელოზისასა სწერია და იოანესა და
ეფთჳმესსა, იგივე წესი აღესრულენ ლოცვისა და ჟამისწირვისა / და 185 v
ძმათა ნუგეშინისცემისაჲ.

## 14/147 ტ. $X_2$ ნ.გ., $IX_6$ ვ.

თუესა დეკენბერსა **თ**. დაუწესეთ პანაშჳდი იოანე [185 r]
ბანცუასა, რამეთუ სიყრმითგან ნამუშაები მისი ოთხმეოცდა ათი ძირი ზეთისხილი შემოსწირა საჭიროსა ჟამსა, **იე** პერპერაჲ და უფროჲსლა მსახურეულობისათჳს მონასტრისა. ამისთჳს გაუწესეთ ალაპი[1].

---

[1] ალაპი დაწერილია ფურცლის ქვემო კიდეზე, კალიგრაფიული დახვეწილი ნუსხურით. ტექსტი ნაწილობრივ გადასულია და დაზიანებული, ბოლო სტრიქონი ჩამოჭრილია. შემორჩენილია ასოთა ზემო შტრიხები და მინაწერი მარჯვენა კიდეზე, რაც გამოცემაში ასეა აღდგენილი: „და ამას დღესა გიორგი აბაზყოფილისა და დედა-მამ“... ამ აღდგენას თ. ხაჟომია არ იზიარებს.

## 15 ტაბ. $I_4$ დ.

თუესა დეკენბერსა **ივ**, წმიდათა ევსტრატეთ დღე- [185 v]
სასწაული. პეტრიკის და ძმისა მისისა იოანეს და ალაპად

განგჳწესებიეს, ოდეს დედოფალმან, ბაგრატის დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგჳქმნა და ბაგრატ დიმოსი მოგჳწყჳდა. ორივე ესე დიდი საქმე მათითა თანადგომითა და მოღუაწებითა სრულ იქმნა. და ვინ მათი ალაპი ყოვლითა გულსმოდგინებითა არა გარდაიჴადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

**16 ტაბ. $I_4$ დ.**

თუესა დეკენბერსა **ივ**. ალაპი არს იოანე მონაზონისაჲ დააბუჰარბისი დათორნიკისი. წესი ლოცვისაჲ ყოველივე ეგრეთ აღესრულოს და ჟამისწირვაჲ, ვითა სჳნგელოზისასა სწერია. და სამხრად წდიონ ოთხ-ოთხი.

**17 ტაბ. $I_4$ დ.**

თუესა დეკენბერსა **იზ**. ალაპი არს კონსტანტი-
186 r ნესი, ბაგრატისი, მიქა/ელისი დასჳმეონი-
სი. და იგივე განგებაჲ იქმნას, ვითა სჳნგელოზისასა სწერია ყოველი.
და სამხრად სუან ძმათა ოთხ-ოთხი.

**18 ტაბ. $I_5$ დ.**

თუესა დეკენბერსა **კ**. ალაპი არს მამისა ეგნატისი. და ყოველი დაუკლებელად აღესრულებოდენ, ვითა ზემოწერილ არს, და ოთხ-ოთხი კრასოვული ტრაპეზსა.

**19 ტაბ. $I_5$ დ.**

თუესა დეკენბერსა **კა**. ალაპი არს მარიამ ეკრატისისაჲ. და ყოველივე ზემოწერილი ლოცვისა წესი აღესრულოს. და სამხრად წდიონ ოთხ-ოთხი.

**20 ტაბ. $I_5$ დ.**

თუესა დეკენბერსა **კე**, შობაჲ ქრისტესი. ალაპად განგჳწესებია სანანო ქველისძისა და: ლიტრაჲ ერთი განძი მოგუცა და ბაგრატს,აფხასთა მეფესა, მრავალჯერ მოაკსენა ჩუენი საურავი.და ვინ ყოვლითა გულსმოდგინებითა არა გარდაუჴადოს მისი ალაპი, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

## 21/143 ტაბ. $VIII_2$ ვ.

ა მ ა ს ვ ე  თ უ ე ს ა  კვ. პანაშკდი არს ი ო ა ნ ე ს ი, ბოლოსა ჰპოო, [ვითარცა] ზ(ემ)ო პ[ირველ] ვთქუ[1].

[1] 186 ფურცლის ძირითადი ტექსტი ალაპებისა დალალისონელის ხელითაა დაწერილი. № 21 მიწერილია ფურცლის მარცხენა კიდეზე მსხვილი სწორი ნუსხურით. მისი ადგილი ტექსტში მითითებულია შენიშვნით: „აქა უნდა“ (25 დეკემბრის შემდეგ) მარჯვენა კიდეზე. 21 და 143 ალაპები დაწერილია ერთი ხელით.

## 22 ტაბ. XII

თ უ ე ს ა  დ ე კ ე ნ ბ ე რ ს ა  კ. ალაპი არს მ ი ქ ა ე ლ  მ ა მ ა ყ ო ფ ი ლ ი ს ა ჲ. მოსცა ეკლესიასა სახარებაჲ მოჭედი[ლი], პავლე განთჳსული და პერპერაჲ ლბ[1].

[1] დაწერილია ფურცლის ქვემო კიდეზე № 6 ალაპის ხელით (იხ. ტაბ. VI მ.).

## 23/151 ტაბ. $IX_2$ პ.

დ ე კ ე ნ ბ ე რ ს ა  ლ. ალაპი ბოლოსა ჰპოო[1].

[1] ალაპი დაწერილია 186r-ს მარჯვენა კიდეზე წვრილი ნუსხურით. ამ ალაპის განგება მოთავსებულია „ალაპთა წიგნის“ ბოლოს, დაწერილია იმავე ხელით (№151). განგების მიხედვით, ალაპი განწესებულია იანიკ მორფიტიანყოფილისათვის. ორივე ალაპი დაწერილია მამა პავლეს ხელით.

## 24 ტაბ. $I_{5-6}$ დ.

თ უ ე ს ა  დ ე კ ე ნ ბ ე რ ს ა კზ. ალაპი არს / ს ტ ე ფ ა ნ ე 186v
ხ ა რ ტ უ ლ ა რ ი ს ა ჲ. ეგრეთვე ყოველი წესი მისთჳსცა აღესრულენ. და ოთხ-ოთხი კრასოვული ძმათა ეწდიენ.

## 25 თ.

[ამასვე თუესა][1] კთ. შავ არსენისი. [ღამე] [წმიდაჲ] ანთია სანთელი[1].

[1] ალაპი მიწერილია გვერდის მარცხენა კიდეზე, ვიწრო ზოლად, ზემოდან ქვემოთ. ტექსტი გადასულია, ძნელად იკითხება. ქვეყნდება თ. ხაჲომიას აღდგენილი ტექსტი (იხ. აქვე, Add.).

## 26 ტაბ. $I_6$ დ.

თუესა იანვარსა ა. აღაპი არს ბასილი ეპარხოზისაჲ, მოურნისა [ჩუენისაჲ და ბასილი პრონოიტრისაჲ. დიდი კეთილი უქმნია ამის ეკლესიისადა. მოსცა სამი ლიტრაჲ პრო[ტო][1] ხარატი. ყოველი წესი ლოცვისაჲ[2] აღესრ][3]ულენ. და ოთხ-ოთხი კრასოვული ეწდიენ ძმათა.

---

[1] დედანში ამოფხეკილია ორი ასო (ტო).

[2] „წესი ლოცვისაჲ" მიწერილია ტექსტის გასწვრივ კიდეზე ტექსტში ჩართვის მიზნით.

[3] კვადრატულ კავებში ჩაწერილი ტექსტი დაწერილია სხვა ხელით, გადანაშალი ტექსტის ადგილას. შდრ. №№ 156 და 154 აღაპების ხელს.

## 27 ტ. $I_6$ დ.

თუესა იანვარსა ვ, ნათლისღებაჲ. კოსტანტი მონომახისა აღაპად განგჳწესებიეს. სოლიმნი ჩუენი ყოველი მან შეგჳქმნა და დიმოსი მოგჳწყჳდა. წესი ყოველი აღესრულენ, ვითა ზემო სწერია.

და ეგრეთვე ამაღლებაჲ ამათვე ქველისმოქმედებათათჳს მისდავე აღაპად განგჳწესებიეს.

## 28/148 ტაბ. $IX_6$ პ.

ამის თჳსასა[1] ზ იანვ[ა]რსა. აღაპი არსენისი არის. განგება ბოლოსა ჰპოო.

---

[1] აღაპი მიწერილია 186v-ს მარცხენა კიდეზე. ტექსტი ადგილ-ადგილ გადასულია. ქვეყნდება თ. ხაჲომიას მიერ აღდგენილი ტექსტი.

## 29 ტაბ. $I_6$ დ.

თუესა იანვარსა იე. აღაპი არს იოანე წიფორელისაჲ. და ყოველივე წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ აღესრულებოდენ და ოთხ-ოთხი კრასოვული ტრაპეზსა.

## 30 ტაბ. IV ნ.

187 r /თუესა იანვარსა იდ, დღესასწაულსა წმიდათა მამათა სინელთასა. განვაწესეთ აღაპი იოანესთჳს და მიქელისთჳს

მე, მამამან ნიკოლა და ყოველთა ძმათა. ესე ძმანი კახელნი[1] მოვიდეს დიდითა სიყუარულითა მონასტერსა ჩუენსა და დაყვეს რაოდენიმე ჟამი და მოსცეს ეკლესიასა ლიტრაჲ ერთი დრაჰკანი ვოტანიატი. ხოლო მსწრაფლ წარემართნეს იერუსალჱმად, რაჲთა თაყუანის-სცენ საფლავსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და სხუათა წმიდათა ადგილთა. ხოლო ვითარცა მოილოცნეს და აღუსრულა ღმერთმან ნებაჲ მათი, მიიცვალნეს. ხოლო შემდგომად მიცვალებისა მათისა მივეცით ეკლესიასა და ხუცესთა და ტრაპეზსა ასი დრაჰკანი სტამენონი. ამისთჳს აღესრულებოდის აღაპი მათი საკსენებელად საუკუნოდ: პანაშჳდითა, ჟამისწირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა წესისაებრ[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე უსწორო ოთხკუთხედში ტექსტის ხელით წარწერილია „ანაფორაჲ“.

## 31 თ.

თუესა იანვარსა ი. აღაპი არს იბნიანისაჲ. შემდგომად სიკუდილისა მისისა დაუტევნა ეკლესიასა ორნი ცხენნი. ამისთჳს განუწესეთ, გარდაიკდებოდეს ჟამისწირვითა და ლოცვითა. და უწდიონ ძმათა მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი. და ვინ შეცვალოს ესე, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

## 32 ტაბ. V. ი. ბ.

/ თუესა იანვარსა იგ. აღაპი განგჳწესებია პეტრე 187 v
ხუცისათჳს მე, მამამან იოანე, და ყოველთა ძმათა. შემოწირნა ეკლესიასა ამან კურთხეულმან ძმამან ჩუენმან პეტრე ხუცესმან სათუეონი ათორმეტთა თუეთანი, თავისა მოგებულნი და თჳსითა კელითა დაწერილნი შჳდად წიგნად, ყოვლითურთ სტიქარონითა[1] და ყოვლითა საგალობელითა, ვითარცა წმიდისა მამის გიორგის ნუსხათა შინა სწერია უნაკლულოდ. და ამისა უწინა შემოეწირნეს კურთხევანი სრულნი, მისვე სანატრელისა მამისა გიორგის თარგმნილნი. და ამის ყოვლისათჳს განვაწესეთ დღესასწაულსა წმიდისა ყოვლად ქებულისა მოციქულისა პეტრეს ჯაჭუთა თაყუანისცემისასა, რაჲთა საუკუნოდ აღესრულებოდის აღაპი მისი ყოვლითა მოსწრაფებითა, პანაშჳდითა და ყოვლისა ლოცვისა წესითა, წესისაებრ, და ანაფორითა და ჟამისწირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა. და ეწდიოს მწუხრსა სამი

და სამხრად ოთხი. და ვინცა ვინ შემდგომად ჩუენსა უდებ იქმნას და უგულებელს-ყოს და არა გარდაიკადოს წლითი-წლად, ანუ დააკლოს რაჲ ვინ, ანუ ლოცვასა, ანუ ჟამისწირვასა, ანუ ძალისაებრ ნუგეშინის-ცემასა ძმათასა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[2].

[1] სიტიქარონითა.

[2] გამოცემაში ამას მოსდევს კიდევ ერთი აბზაცი („კუალად ამან მიქაელ...“), რომელიც სინამდვილეში მომდევნო (№33) აღაპის ბოლო ნაწილია (იხ. თ. ხაჟომია, Add).

### 33 ტაბ. $X_1$ ნ. გ.; 33ა ტაბ. $IX_4$ ბ.

ა მ ა ს ვ ე თ უ ე ს ა ი ა ნ ვ ა რ ს ა **იჱ**, წმიდისა ათანასის და კჳრილეს დღესასწაულსა. განუწესეთ მ ი ქ ა ე ლ ხუცეს კანანახსა, რაჲთა გარდაეკდებოდის ვითარცა სხუათა ყოველთა განწესებ(უ)ლთა სამწუხროდ გალობითა და კუჳრექსითა და კრასეულითა, და დილასა – წირვითა და[1] ეგრეთვე კრასეულითა და ლოცვითა. და ვინცა შეცვალოს და დაჰკსნას ესე ჩუენი განწესებული, ღმერთმან იგი შეცვალოს ქრისტეანობისაგან.

ამან ძმამან ჟამსა დიდად საჭიროსა მოსცა ლ პერპერაჲ, რამეთუ კელრ̃ნთა დამწუართა ვაშენებდით, და მას ჟამსა დიდად გუჳკმარებოდა.

33ა კუალად ამან მიქაელ მოგუცა პერპერაჲ **ი** სასნეულოჲ[ს] საშე-
188r ნებლად / და აღაშენა კალავროჲ, სახლი საძირკუჳლითა და ვენაკი. და რაჲღა არის, ყოველი უან[დერძა] ეკლესიასა, რომელ ყოვლად აღარაჲ იყო.

აწ ღმრთისათჳს, [ნუვინ დააკლებთ, რაჲთა][2] ...

[1] და + და.

[2] 33ა აღაპის I ნაწილი მოთავსებულია 187v-ს ქვედა აშიაზე, ხოლო II ნაწილი – 188r-ს ქვედა აშიაზე.

### 34 ტაბ. $I_7$ დ.

188r / თუესა იანვარსა **იზ**, წმიდისა ანტონის დღესასწაული. აღაპად განგჳწესებია ლ ი პ ა რ ი ტ ი ს თ ჳ ს, რამეთუ მოვიდა წმიდასა ამას მონასტერსა და მოსცა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა ასი დრაჰკანი მამასახლისობასა მამისა თეოდორესსა. და მოგუცა ყოველ-სა ძმობასა სხუაჲ ორმეოცდაათექუსმეტი დრაჰკანი, სამთა ერთი სამასსა სულსა. და რაჟამს მიიცვალა, ესე დღესასწაული წმიდისა

მამისა ანტონისი საკსენებელად და სალოცველად სულისა მათისა დავაწესეთ, რაჲთა აღესრულებოდეს ყოვლითავე მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენებელთაჲვე. ხოლო ეწოდებოდა სახელი მონაზონებისაჲ ანტონი. ქრისტემან სანატრელ ყავნ სული მათი. ამენ, იყავნ.

### 35 ტაბ. $I_7$ დ. თ.

თ უ ე ს ა ი ა ნ ვ ა რ ს ა კა, [წმიდისა მაქსიმესსა]. აღაპი არს პროხორე იკონომოსისაჲ. და [აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა წესისაებრ][1].

---

[1] თაფლაისძის ჩამატებული ტექსტი კავებშია მოთავსებული. პირველი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზემოთ, მეორე (დაღალისონელის ნაწილი) გადაფხეკილი ორი სტრიქონის ადგილას.

ალაპის დასაწყისის გასწვრივ კიდეზე მიწერილია მსხვილი ნუსხურით, მუქი ფერის მელნით (ხელი ჰგავს დაღალისონელისას): „ჴ ეფთ/ჳ/მეს“. (მითითებაა იმაზე, რომ 20 იანვარი დიდი ეფთვიმეს ხსენების დღეა), გაგრძელება გადასულია, არ იკითხება. არ ჩანს, თუ ვისთვის იყო ეს მინაწერი-მოსახსენებელი განკუთვნილი.

### 36 ტაბ. XIX (ნარევი)

ა მ ა ს ვ ე თ უ ე ს ა[1] ით, დღესასწაულსა წმიდისა მაკარისსა. ბოლოსა ჰპოვო.

---

[1] ალაპი მიწერილია 17 იანვარს განწესებული ლიპარიტის ალაპის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე. დაწერილია ადრეული მდივანმწიგნობრულით.

### 37 ტაბ. $I_8$ დ.

/ თ უ ე ს ა ი ა ნ ვ ა რ ს ა კბ. ალაპი არს ს უ ლ ა ჲ ს ი, 188v
ფარსმანის და ჩორჩანელისა მამისაჲ, ქ ო ნ ქ ო ზ ი ს ი დ ა ც უ ა რ ი ს ა ჲ. იგივე ზემოწერილი წესი ლოცვისაჲ აღესრულენ და ჟამისწირვაჲ, და ოთხ-ოთხი სასუმელი ტრაპეზსა.

### 38 ტაბ. $I_8$ დ.

თ უ ე ს ა ი ა ნ ვ ა რ ს ა კე[1]. ალაპი არს გ რ ი გ ო ლ და ა ბ ა ზ ბ ა კ უ რ ი ა ნ ი ს ძეთაჲ. და ყოვლითა გულსმოდგინებითა გარ-

დაიკდებოდენ ძალისაებრ მათისა მზეგრძელობისათჳსცა და ცოდვათა შენდობისა. მოსცა ეკლესიასა გრიგოლ ორასი დრაჰკანი და ორასი – აბაზ. ვითა ზემო სწერია, წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ, და სამხრად ტრაპეზსა – ოთხ-ოთხი კრასოვული.

---

[1] თავდაპირველად ეწერა მთავრულად ႩႥ. შემდეგ გადაუკეთებიათ ႩႤ. ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ 25 იანვარი არის გრიგოლ ღმრთისმეტყველის ხსენების დღე.

### 39/145 ტაბ. $IX_4$ პ.

ამას თუჱსა[1] ႩႤ. ალაპი დაუწესეთ ქობულის ძეთა გრიგოლს და იოანეს დიდთათჳს ქველისმოქმედებათა მათთა, რომელნი ქმნნეს ჟამსა ჭირისასა წმიდასა ამას ზედა მონასტერსა, რამეთუ მოსცეს პერპერაჲ ცხრაასი. ხოლო ვითარ წარეგო, ბოლოსა ჰპოო.

მე, მამასა პავლეს, ამილია ჩემითა კელითა ესე ყოველი და ამისგან, რომელ ძმანი აღმოსავლეთს გავ[გზა]ვნენით: იოსებ, იოანე და ბასილი. ამისგნით რომელნი სამ......ლნა....

---

[1] ალაპი მიწერილია ფურცლის მარცხენა და ქვემო კიდეზე. მეორე ნაწილი დაზიანებულია, ცუდად იკითხება. უკანასკნელი სტრიქონი წაჭრილია, იკითხება ცალკეული ასოები.

### 40 ტაბ. $I_8$ დ. თ.

თუესა იანვარსა[1] ႩႧ. ალაპად განგჳწესებია გრიგოლ ერისთავთა-ერისთვისა აბუსერის ძისათჳს და გრიგოლ შაშუაჲსძისა, წყალობათა და ქველისმოქმედებათა მათთათჳს.

189r / [და ეგრეთვე ვითარცა მაშენებელთაჲ გარდაიკდებოდენ ყოვლითა მოსწრაფებითა საკსენებელად მათდა საუკუნოდ, ამენ][1].

---

[1] კავებში ჩაწერილი ტექსტი თაფლაისძის ხელით არის დაწერილი.

### 41 თ.

თუესა იანვარსა ႩႢ. ალაპი განუწესეთ ბერსა კლიმის მე, მამამან იოანე, და ნიკოლა პროტოსინგელოზმან, თანა-

წამებითა ყოველთა ძმათაჲთა. მოსცნა ეკლესიასა ორნი ცხენნი ლაგამ-უნაგრითა და ლიტრაჲ ერთი ქინატი დრაჰკანი, [და ხატი წმიდისა კლიმისი, მოჭედილი, შინაგან ნაწილითა][1]. ამის ყოვლისათჳს დღესასწაული წმიდისა კლიმისი მისთჳს აღაპად განვაწესეთ. აღესრულებოდენ დაუკლებელად ანაფორაჲთა, პანაშჳდითა და ჟამისწირვითა, მერტიკონითა და კრასოულითა, და რაჲცა ძალ-ედვას, ძმათა ნუგეშინის-სცენ. და ვინცა ესე დაწერილი შეცვალოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[2].

---

[1] კავებში ჩასმული ტექსტი სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული თაფლაისძის ხელითვე.

[2] მარჯვენა კიდეზე წრეში ჩაწერილია „ანაფორაჲ".

## 42 თ.

თ უ ე ს ა  ი ა ნ ვ ა რ ს ა  **კზ**. აღაპი განგჳწესებია მამისა ი ო ა ნ ე ს ი ს ი კ ო ნ ე ლ ი ს ა და ძმათა მისთაჲა, გ ა ბ რ ი ე ლ ი ს  და გ ი ო რ გ ი ს ა, დიდთა მსახურებათა მათთათჳს, რამეთუ ვინაჲთ-გან მოვიდეს წმიდასა ამას უდაბნოსა, ჟამნი მათნი ერთგულად მსა-ხურებასა შინა გარდავლნეს. მერმე მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი სტა-მენონი ალექსატი ორას ოთხმოცი. ამისთჳს განუწესეთ აღაპი, რაჲთა გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ლოცვითა, პა-ნაშჳდითა, ანაფორაჲთა, მერტიკონითა და ყოვლითა ნუგეშინის-ცემითა. და ეწდიოს მწუხრი **გ** და სამხრად **ე**. და ვინ არა გარდა-იკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე წრეში ჩაწერილია „ანაფორაჲ".

## 43 თ.

თ უ ე ს ა  ი ა ნ ვ ა რ ს ა  **კთ**, წმიდისა ეგნატის ნაწილთა მოყვანებასა. აღაპი განგჳწესებია მამისა ი ო ა ნ ე ს თ ჳ ს  ბ უ ქ ა -ჲ ს ძ ი ს ა. მოსცა ეკლესიასა საკმარი დრაჰკანი დუკად-მიხაჲლატი **კდ** და კუალად სამეფოს გაყიდა თავისა ჯუარი ოქროჲსაჲ და აიღო[1] /ტარტარონი **სნ.** და კუალად სხუაჲ დრაჰკანი ალექსატი სტამენონი 189 v **რმდ.** და მონასტერსა შინა დადგა კოშკი ზღუდისაჲ კარგი და სხუანი მრავალნი კეთილნი სულიერნი და კორციელნი ქმნნა, მრავალნი ნაშენებნი შინა და გარე აღაშენნა. ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი

მათთჳს, ვითა მაშენებელთათჳს სწერია: ლოცვითა, პანაშჳდითა, ანაფორაჲთა და ძმათა ყოვლითა ნუგეშინისცემითა. და ეწდიოს მწუხრი **გ** და სამხრად **ე**. და ვინცა ვინ არა გარდაიკდიდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[2].

---

[1] 189r-ს ქვემო კიდეზე მოჩანს ორი სტრიქონი გადალეული ტექსტისა, რომელიც არ იკითხება. ეს ორი სტრიქონი არის 189v-დან გამონაყონი ტექსტი.

[2] მარჯვენა კიდეზე წრეში ჩაწერილია „ანაფორაჲ“.

## 44 ტაბ. III$_1$ თ. მ.

თ უ ე ს ა  ი ა ნ ვ ა რ ს ა[1] **ია**, დღესასწაულსა წმიდისა თევდოსისა. აღაპი განუწესეთ ბ ე რ ს ა  გ ი ო რ გ ი  ჯ უ ბ ი ე ლ ს ა. შემდგომად მიცვალებისა დაუტევა ეკლესიასა დრაჰკანი დუკატმიხაილატი **ნ**. ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მისი წესისაებრ: ლოცვითა, პანაშჳტითა, ანაფორაჲთა[2], მერტიკონითა, კრასოულითა მწუხრი და სამხრად საკსენებელად მათდა საუკუნოდ.

---

[1] აღაპის პირველი სტრიქონი დაწერილია ტექსტისაგან განსხვავებული ხელით.

[2] მარცხენა კიდეზე წრეში ჩაწერილი „ანაფორაჲ“ განსხვავებულია თაფლაისძისეული ანაფორისაგან.

## 45 ტაბ. III$_1$ თ. მ.

მ ა ს ვ ე  დ ღ ე ს ა. აღაპი თ ე ვ დ ო ს ი  ს ო ლ ო ნ ი კ ე ლ ი ს ა  დუკყოფილისაჲ. მოსცა ეკლესიასა პერპერატი **რ**. აღესრულებოდენ ყოვლითავე წესითა: ლოცვითა, ანაფორაჲთა, მერტიკონითა, კრასაულითა საკსენებელად მათდა საუკუნოდ. ღმერთმან ღირს ყავნ სული მისი ჯუბიელსა თანა[1].

---

[1] ნაწილი უკანასკნელი სტრიქონისა გრძელდება ფურცლის მარჯვენა კიდეზე.

## 46 ტაბ. III$_1$ თ.მ.

თ უ ე ს ა  ი ა ნ ვ ა რ ს ა **ზ**. აღაპი არს ესაჲა ასურისაჲ. მოგუცა წყლისა მოსაყვანებელად დრაჰკანი. აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ სწერია ძალისაებრ.

## 47 ტაბ. VII$_2$ ი.; 47ა ტაბ. VIII$_1$ ვ.

თუესა იანვარსა კზ. ალაპი იოანე რუსყოფილისაჲ. მოსცნა ეკლესიასა წიგნნი. აღესრულებოდინ ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ სწერია, ძალისაებრ.

47ა /[1] წიგნნი ხუთნი არიან იოანე რუსყოფილისა მოცემულნი: 190 r
სადღესასწაულონი ორნი, დიონოსი ერთი, ლავსაიკონი ერთი და თეოდორიტე ერთი. და ვინცა ამას ეკლესიასა გამოაკუას ერთიცა, ღმერთსა მან მისცეს პასუხი.

---

[1] აქედან ალაპი გრძელდება დალალისონელის ხელით დაწერილ ფურცელზე 190r-ს ზემო კიდეზე, გადაფხეკილი ტექსტის ადგილას.

## 48 ტაბ. I$_9$ დ.

თუესა ფებერვალსა[1] ბ. ალაპი არს გაბრიელისი, ევანეზის ძმისაჲ, რომელსა მონაზონებასა ნიკოლა ეწოდა. და, ვითა თორნიკისთჳს სჳნგელოზისა სწერია, ყოველივე წესი ლოცვისაჲ და ჟამისწირვისაჲ ეგრეთვე აღესრულებოდენ, და ტრაპეზსა ხუთ-ხუთი სასუმელი და ყოველთა შჳდეულთა – ორი დღე ჟამისწირვაჲ ხუცისა ერთისა მიერ. რომელი იყოს წინამძღუარი, ჟამითი-ჟამად გამოჩინებადი, აღასრულებდინ, რაჲთა ბრალსა არა შთავარდეს, რამეთუ არსენი მამამან დაუდვა ესე მისისა საფასისა და კუმაშისათჳს, სიმტკიცითა დიდითა და წყევითა[2].

---

[1] 190r-ს ზემო კიდეზე აღნიშნულია ახალი რვეულის დასაწყისი (ია) იმავე კალიგრაფიული მთავრულით, რომლითაც აღრიცხულია „ათონის კრებულის“ დალალისონელისეული ნაწილის რვეულები.

[2] 190 ფურცელზე (ია რვეულის პირველი ფურცელი) წყდება დალალისონელის „საალაპე წიგნი“.

## 49 ტაბ. I$_9$ დ.

თუესა ფებერვალსა გ. გაბრიელ,/ევანეზის 190 v
ძმისავე ალაპი არს, რომელსა მონაზონებასა ნიკოლა ეწოდა. და ესე ალაპი მისისა ალაპისა შემდგომად გარდაიკდებოდენ ყოვლითავე ზემოწერილითა წესითა. და ოთხ-ოთხი კრასოვული ტრაპეზსა უწდიონ.

## 50 ტაბ. $I_{10}$ დ.

თუესა ფებერვალსა იგ. ალაპი არსგიორგი ჩორჩანელისა, ფარსმანის ძმისაჲ. და ვითარცა სჳნგელოზისა დიონანე მაშენებელისა და ეფთჳმესთჳს სწერია, ყოველი ეგრეთ აღესრულებოდენ. ლოცვაჲ და ჟამისწირვაჲ და ძმათა ნუგეშინისცემაჲ ტრაპეზსა ხუთ-ხუთითა სასუმლითა, და ყოველთა შჳდეულთა ორი დღე – ჟამისწირვაჲ, რომელი-ესე მამისა არსენის თანა ჩუენ ყოველთა ძმათა დავაწესეთ დიდთა განძთა და კუმაშთა მათთათჳს, რომელნი სიცოცხლესაცა და შემდგომად აღსრულებისა ჩუენ ზედა წაეგნეს. და აწ ვინცა ვინ მა-
191r მასახლისი იყოს, ხუცესსა ერთსა გაუწესებდეს, რომელ[1] /ამას ორსა დღესა უწირვიდეს ჟამსა და ზეგარდამოთა ლოცვათა მაშენებელთავე თანა ელოცვებოდენ ორთავე ძმათა, არსენის და გიორგის.

---

[1] აქ სრულდება დაღალისონელის „საალაპე წიგნი“ და იწყება თაფლაისძის ხელით ნაწერი ალაპები. № 50 ალაპის უკანასკნელი ორი სტრიქონი დაწერილია 191r-ზე თაფლაისძის ხელით.

## 51 თ.

თუესა ფებერვალსა იზ, დღესასწაულსა წმიდისა თეოდორესსა. განვაწესეთ ალაპი თეოდორე ასურისათჳს, მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი ჰრომანატი რ. გარდაიკდებოდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა: ანაფორაჲთა, პანაშჳდითა, ჟამისწირვითა, მერტიკონითა. ეწდიოს ძმათა მწუხრსა გ და სამხრად დ. და ვინ არა გარდაიკდიდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 52 თ.

დღე შაბათი უძღებისაჲ. ალაპად განგჳწესებია სჳმონ ბერძნისა ხუცისადა. მოსცა ეკლესიასა რ დრაჰკანი. ამისთჳს გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა. ეწდიოს ძმათა მწუხრი გ და სამხრად დ. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

## 53 თ.

პ ი რ ვ ე ლ ს ა შ ა ბ ა თ ს ა წმიდათა მარხვათასა, წმიდისა მოწამისა თეოდორეს დღესასწაული. განგვწესებიან საკსენებელად სულისა თ ე ო დ ო რ ე ს ი ს ა. მოსცა ეკლესიასა ლიტრაჲ ერთი განძი და ორნი საკედარნი. აღვასრულებოდეთ პანაშჳდი მისთჳს და კრასოული მჳუხრსა გ და სამხრად დ. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

## 54 ტაბ. IX₅

მ ე ო რ ე ს ა შ ა ბ ა თ ს ა წმიდათა მარ[ხვათასა]. პანაშჳდი ა რ ი შ ი ა ნ ი ს ა ჲ. პანაშჳდი და[იბა]რეს, მოგუცეს ეკლესიისა საბურავად დრაჰკანი რმ[1].

[1] ალაპი მიწერილია 191r-ს მარჯვენა კიდეზე. იწყება № 55 ალაპის გასწვრივ, გრძელდება მარჯვენა კიდის ბოლომდე. უკანასკნელი სტრიქონი დაწერილია ქვემო კიდის მთელ სიგრძეზე. ტექსტი დაზიანებულია, ძნელად იკითხება. აღდგენილი ადგილები ჩასმულია კვადრატულ კავებში.

## 55 თ.

მ ე ო რ ე ს ა შ ა ბ ა თ ს ა წმიდათა მარხვათასა. ალაპი არს ლ ი პ ა რ ი ტ ი ს ი, ივანეს ძისაჲ, მოგუცნა ორნი ცხენნი, ტაიჭნი კარგნი. გარდაიკდებოდის ყოვლითა მოსწრაფებითა, ლოცვითა, ჟამისწირვითა და ანაფორაჲთა. ძმათა მიეცემოდის კრასოვილი სამი მჳუხრი და ოთხი სამხრად. ესე წესი დაუკლებელად აღესრულებოდენ.

## 56 თ.

სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა/ მე, 191v
მამამან ნ ი კ ო ლ ა პ რ ო ტ ო ს კ ნ გ ე ლ ო ზ მ ა ნ, და ყოველთა ძმათა ერთობით განვაწესენით ალაპნი და საკსენებელი სანატრელისა გ ი ო რ გ ი მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ს ა თ ჳ ს დიდთა მათ ქველისმოქმედებათა მათთათჳს, რომელნი აჩუენნა ჩუენ ზედა. და ავთუალეთ და დავაფასეთ საკმარი მისი, რაჲცა მოელო ამას ეკლესიასა სიცოცხლესა მისსა, და რომელ შემდგომად სიკუდილისა მისისა დაუტევა: განძი, სტავრანი და ჰურჭელი ვეცხლისაჲ და საკედარნი, ყოველივე ჯუმლად მ-სა ლიტრისა განძისა საკმარი. და განვაწესეთ ამის ყოვლისათჳს სალოცავი სულისა მისისათჳს: პირველად ხუცესი დავაყენეთ ჟამისმწირველად ლიტრითა ერთითა პურსყიდული,

რაჲთა ყოველსა მსგეფსსა შინა **ბ** დღესა ჟამსა წირვიდეს მისთჳს დაუკლებელად, ვიდრემდის ეგოს წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, და ყოველთა კათოლიკეთა კუერექსთა შინა იკსენებოდის ჟამისწირვისათა და მწუხრისათა და ცისკრისათა მაშენებელთა თანა. და ვინცა ვინ ესე ჩუენი განგებული შეცვალოს – რამანცა კაცმან, რასაცა ჟამსა, – ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

დ ღ ე   დ ი დ ი   ხ უ თ შ ა ბ ა თ ი, მისთჳს აღესრულოს ყოველი წესი ლოცვისაჲ, ვითარცა მაშენებელთათჳს სწერია: და უწდიონ ძმათა ღჳნოჲ, მწუხრი **გ** და სამხრად **ჟ**. ეგრევე დღე მიცვალებისა მისისაჲ: მაჲსსა **კ**. აღაპი გარდაიკადონ ზემოწერილითა ლოცვისა განგებითა, ვითარცა მაშენებელთაჲ, ანაფორაჲთა, და უწდიონ მწუხრსა **გ** და სამხრად **ჟ**-**ჟ**.

ე გ რ ე თ ვ ე   ი ვ ლ ი ს ს ა **კზ**, ოდეს დავჰმარხენით ძუალნი მისნი მის მიერ განწესებულსა საფლავსა, გარდაიკადონ აღაპი[1] ზემო-წერილითა განგებითა: ანაფორაჲთა და ყოვლითავე ფერითა და უწდიონ მწუხრი **გ** და სამხრად **ჟ**.

---

[1] აპაპი.

## 57 ტაბ. XII

თ უ ე ს ა   მ ა რ ტ ს ა **თ**. განვაწესეთ პანაშჳდი ძმისა ჩუენისა ა თ ა ნ ა ს ე ს თ ჳ ს, რამეთუ მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი პერპერაჲ დიდითა სასოებითა. და ამისთჳს აღესრულებოდენ საკსენებელი მისი ყოვლითა წესითა, ვითა სხუათა შემომწირველთაჲ. და ღმერთმან აღ-მასრულებელთა მადლი მისცეს, ხოლო დამვიწყებელთა ბრალი აქუს[1].

---

[1] მიწერილია 191v-ს ქვემო თავისუფალ კიდეზე კალიგრაფიული მსხვილი ნუსხურით. იმავე ხელით არის დაწერილი აღაპი № 104.

## 58 თ.

192r /ლ ა ზ ა რ ო ბ ა დ   აღაპი არს   დ ა ვ ი თ   კ ო ჭ ი კ ა ჲ ს ა ჲ   და ზ ა ქ ა რ ი ა ჲ ს ი. მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი ალექსატი **ს**. ამისთჳს აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა წესისაებრ: პა-ნაშჳდითა, ანაფორაჲთა[1], პიტითა, თესლითა და ჟამისწირვითა. და ეწდიოს მწუხრსა **ბ** და სამხრად ხუთი. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

---

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

### 59 თ.

ხარებად მარტსა კე. ალაპი განუწესეთ სულიერსა ძმასა ჩუენსა დავით ხუცესსა. მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი დიმიტრატი ორასი. აღესრულებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა წესისაებრ, ჟამისწირვითა და რაჲცა ძალ-ედვას. ეწდიოს მწუხრსა გ და სამხრად დ. და ვინცა რაჲთაცა მიზეზითა შეცვალოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

### 60 თ.

თუესა აპრილსა ლ. ალაპი განვაწესეთ კურთხეულისა მარიამ ბასილაკისა ასულისა, სუმბატ კურაპა-ლატისა მეუღლისათჳს, რამეთუ ამას კურთხეულსა დედაკაცსა პირველითგან დიდი სასოებაჲ აქუნდა წმიდისა ამის უდაბნოჲსა მომართ და მრავალი შესაწირავი შემოწირა შემდგომად სუმბატის მიცვალებისა წმიდასა ამას ეკლესიასა საკსენებელად მათდა საუკუნოდ, რომლისათჳს საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ მათი.

და კუალად კურთხეულმან ამანვე დედაკაცმან, ჟამსა მიცვალე-ბისა თჳსისა, ანდერძ ქმნა და შემოსწირა წმიდასა ამას ეკლესიასა სოფელი როდოლივი საკსენებელად და სალოცველად სულისა თჳსი-სა. ამისთჳს განუწესეთ, რაჲთა აღესრულებოდეს რაჲ წელიწად საკსენებელი მათი ყოვლითა გულსმოდგინებითა ლოცვისა წესითა, ვითარცა მაშენებელთათჳს სწერია: პანაშჳდითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა[1], მერტიკონითა და რაჲცა ოდენ ძალ-ედვას. მოუწოდ-დენ მამასახლისთა და მონაზონთა მთისათა, და ესრეთ მაღლად და ბრწყინვალედ აღესრულოს საკსენებელი მათი, და იკსენებოდიან ზეგარდამოთა კუერექსთა შინა მაშენებელთა თანა. და ესე, ვითა დაგჳწერია და დაგჳწესებია, საუკუნოდ აღესრულებოდენ, ვიდრემდის ეგოს წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, და ვინ რაჲთაცა / მიზეზითა არა გარდა- 192 v
იკდიდეს, მან გასცეს ღმერთსა პასუხი[1].

---

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ".

### 61 ტაბ. II თ.

თუესა აპრილსა კგ. ალაპი არს მამისა ჩუენისა გიორგი ოლთისარისაჲ და ძმისა მისისა მიქაელისი

მრავალთა კეთილთა მისთათჳს, რომელ ამას მონასტერსა ზედა ქმნნა, რამეთუ მრავალნი მონასტერნი და პრასტინნი დაჰყარნა, მრავლით ჟამითგან წახუმულნი; და ზღუდენი მოავლნა მონასტერსა, და ოქრობეჭედი აიღო, მრავალთა ზრუნვათა და ჭირთა გარე-წარმკდელი. გარდაიკდებოდენ, ვითარცა წმიდათა მამათა ჩუენთა მაშენებელთათჳს წერილ არს[1].

[1] მარცხენა კიდეზე წრეში „ანაფორაჲ".

## 62 ტაბ. II თ.

თ უ ე ს ა   ა პ რ ი ლ ს ა   კჱ. აღაპი განგჳწესებია ძმისა ჩუენისა ძ ნ ე ლ ი ს ა თ ჳ ს. ასი დრაჰკანი მოგუცა და ყოვლადვე მოგუცემს. და ვინ ესე მისი აღაპი ყოვლითა გულსმოდგინებითა არა გარდაიკა-დოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

[1] მარცხენა კიდეზე წრეში „ანაფორაჲ".

## 63 ტაბ. II თ.

თ უ ე ს ა   ა პ რ ი ლ ს ა   კЧ. აღაპი არს ს ჳ მ ო ნ   ნ ო ტ ა - რ ი ს ა   ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ჲ. გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, პანაშჳდითა და ჟამისწირვითა, და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, რამეთუ სიცოცხლესა მისსა დიად ჰმსახურა ეკლესიასა და შემდგომად სიკუდილისა მოგუცნა ცხენნი და კარნი და ნაშრომი, ტანის სამოსელი და ყოველივე, რაჲცა აქუნდა, ეკლესიასა დაუტევა. ღმერთმან მოიჴსენენ სული მისი, ამინ.

## 64 ტაბ. $III_2$ თ. მ.

თ უ ე ს ა   მ ა ჲ ს ს ა   ა, წმიდისა იერემიაჲსსა და წმიდისა ფილიპე შჳდთაგანისსა. აღაპი განუწესეთ თ ე ო ფ ი ლ ა ხ ტ ე ს მ კ ე რ ვ ა ლ ს ა , მოსცა ეკლესიასა პროტოხარაგი მზ. აღესრულე-ბოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა, ანაფორაჲთა, მერტიკონითა, კრასოულითა, პანაშჳტითა და ყოვლითავე წესითა, ვითარცა სხუ-ათათჳს სწერია.

## 65 ტაბ. XIX (ნარევი)

ა მ ა ს ვ ე   თ უ ე ს ა   ე-სა. აღაპი   არს   ი რ ი ს ე ფ უ რ თ უ კ ა ლ ა დ ყ ო ფ ი ლ ი ს ა ჲ, ბ ო რ ა ნ ა ჲ ს დისაჲ, რა-მეთუ ჟამსა ჭირისასა მოსცა მონასტერსა პერპერაჲ მე, სტამენნი

ახალი, ლიტრაჲ კა, და გარდაიკდებოდის ჟამისწირვითა, კრასოულითა. და ვინცა უდებ-ყოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

---

[1] დაწერილია თავისებური გაკრული ნუსხურით, ქვემო კიდეზე. ტექსტის ბოლო სტრიქონი წაჭრილია მკაზმავის მიერ.

### 66 თ.

/თუესა მაჲსსა ე. აღაპი არს იოანე კოპანა- 193 r
ჲსაჲ. მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი პროტოხარატი ასი. გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა: ლოცვითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა. მიეცემოდის ძმათა კრასოოლი მწუხრსა გ და სამხრად დ. ესე წესი დაუკლებელად აღესრულებოდენ[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე წრეში „ანაფორაჲ“.

### 67 თ.

თუესა მაჲსსა ზ, დღესასწაული ჯუარისაჲ და აღაპი ძმათაჲ დაიდვა საკსენებელად საუკუნოდ ყოველთათჳს, რომელთა მოიღეს საშენებელად ზღუდისა დრაჰკანი, ვისცა ვის რაჲცა ძალ-ედვა, ყოვლითა გულსმოდგინებითა გამოიღეს თავისა ნებითა. და რაჲთა გარდაიკდებოდის ლოცვითა და ჟამისწირვითა და სასუმლითა მწუხრსა სამ-სამი და სამხრად – ხუთ-ხუთი. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე წრეში „ანაფორაჲ“.

### 68 თ.

თუესა მაჲსსა Ⴈ, დღესასწაული იოანე მახარებელისაჲ. განგჳწესებია აღაპად კონსტანტი პროტოსპათარ მანგლავიტისა ანდრაპოლელისაჲ. შეაწიენ ღმერთმან.

### 69 ტაბ. $IX_4$ პ.

ამასვე დღესა. მელეტისი, რამეთუ მოსცა მონასტერსა კ პერპერაჲ[1].

---

[1] იწყება წინა № 68 აღაპის უკანასკნელი სტრიქონის დარჩენილ თავისუფალ ადგილას, გრძელდება მარჯვენა კიდეზე.

### 70 თ.

თუესა მაჲსსა ი. ალაპი განვაწესეთ ძმისა ჩუენისა ბასილისთჳს დიდთა მსახურებათა მისთათჳს, რომელ სიცოცხლესა მისსა ემსახურა ეკლესიისა და ძმათადა. და შემდგომად მიცვალებისა შემოწირა ეკლესიასა ორი თუალი წისქვილი და ბ ცხენნი და კდრაჭკანი. გარდაიკდებოდის ალაპი მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა. უწდიონ ძმათა გ მწუხრი და ოთხი სამხრად.

### 71 თ.

თუესა მაჲსსა იგ. ალაპი არს წმიდისა მამისა ჩუენისა და მაშენებელისა ეფთჳმესი. და ყოველივე სჳნგელოზისა განგებაჲ აღესრულოს. და სამხრად წდიონ ხუთ-ხუთი კრასაული[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე წრეში „ანაფორაჲ“.

### 72 თ.

თუესა მაჲსსა იე. ალაპი განგჳწესებიეს ქრისტეფორე ლალაკოყოფილისათჳს; შემოიტანა, ოდეს მოკუდა, ლიტრაჲ ა განძი, სკარამანგი ა და ჯორი ა. გარდაიკდებოდენ გულსმოდგინედ.

### 73 თ.

193 v /თუესა მაჲსსა კ. ალაპი არს გიორგი მაგისტროსისაჲ, განგებაჲ[1] დიდსა ე–შაბათსა სწერია. გარდაიკდებოდენ ვითარცა მაშენებელთაჲ[2].

---

[1] ალაპის განგება იხ. № 56 ალაპში, რომელიც დიდ ხუთშაბათს არის დადებული.

[2] მარცხენა კიდეზე წრეში – „ანაფორაჲ“.

### 74 თ.

თუესა მაჲსსა კა. ალაპი განგჳწესებიეს კონსტანტი პროჲდრონისა და ა. მისითა შუამდგომელობითა დიდნი წყალობანი მოგუფინნა წმიდამან მეფემან. აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა.

### 75 თ.

ამასვე დღესა. ალაპი არს არსენი თევდორაკნისაჲ[1], დიად ჰმსახურა ეკლესიასა და ფიცით დაჰყარა ზღვა-

რი მელინძათაჲ. და კუალად მოსცა დრაჰკანი ორასი დიმიტრატი. ამისთჳს აღესრულებოდენ ალაპი მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა: ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა. მწუხრსა ეწდიოს გ და სამხრად – ოთხი. და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[2].

---

[1] ამ სიტყვაში „ე“ ზემოდან წერია.
[2] მარცხენა კიდეზე წრეში „ანაფორაჲ“.

## 76 თ.

თუესა მაჲსსა კდ. ალაპი არს სჳმიონ ელადაჲსაჲ და ძისა მისისა გიორგისი და დედისა მისისა სტრატილოჲსა, რამეთუ ამან გიორგი შემოწირნა ფურნი სამნი კბოვრედნი. დავაფასენით დრაჰკნად ახლად ლიტრად გ. და აღესრულებოდენ წესისაებრ[1]: ლოცვითა, ანაფორაჲთა[2], ჟამისწირვითა. ეწდიოს ძმათა მწუხრსა გ და სამხრად დ. და ვინ არა აღასრულებდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

---

[1] წესისაებრ.
[2] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 77 თ.

თუესა მაჲსსა კჱ. დღესასწაულსა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა თავისა პოვნისასა. ალაპი განუწესეთ გიორგი დედოფლეურსა და მამასა მისსა იოანეს მე, მამამან იოანე, და ყოველთა ძმათა. მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი ლიტრაჲ დ. აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა: პანაშჳდითა, ანაფორაჲთა, ჟამისწირვითა, მერტიკონითა. ეწდიოს ძმათა მწუხრსა გ და სამხრად დ. და ვინ არა გარდაიკადოს ყოვლითა გულსმოდგინებითა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

---

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 78 თ.

/თუესა ივნისსა ა. ალაპი განვაწესეთ ჯერასიმესთჳს, ძმისა ჩუენისა, ამისთჳს, რამეთუ ხარტინნი ბოლბონისა და ნისინისანი ძმამან ვინმე ქართველმან, სახელით კოზმან, მოიპარნა და ბერძენსა ვისმე გასცნა, და მრავალნი ადგილნი და ზღვარნი 194r

წაკდებოდეს ამით მიზეზითა, ანუ უნდა მიცემად მის ბერძნისადა დრაჰკანი პროტოხარაგი რ. ამან ჯერასიმე შრომაჲ თავს-იდვა, და წავიდა და დიად იღუაწა და საკმარი ყოველი თავისაჲ წაგო და ხარტინნი დაჰყარნა და კუალად სხუაჲ მოსცა ამის აღაპისათჳს განძი: სტამენონი ლიტრაჲ ერთი. ამისთჳს აღესრულებოდენ აღაპი მისი წესისაებრ: ლოცვითა, პანაშჳდითა, ჟამისწირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა. უწდიონ ტრაპეზს მწუხრი გ და სამკრად ე. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

[1] მარჯვენა კიდეზე წრეში „ანაფორაჲ".

**79 თ.**

თ უ ე ს ა ი ვ ნ ი ს ს ა Ს. აღაპი განგჳწესებიეს თ ე ო დ ო - რ ე ს დ ა. მოგუცა ორი ლიტრაჲ პროტოხარაგი ალექსისაჲ. გარდაიკდებოდენ ანაფორაჲთა, პანაშჳდითა, ჟამისწირვითა. უწდიონ მწუხრსა გ და სამხრად დ. ვინ შეცვალოს ესე, მან მისცეს სიტყუაჲ ღმერთსა[1].

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ".

**80/154 ტაბ. XIII$_2$**

თუესა ივნისსა ია. პან[ა]ჩჳდი არის ბართლომეოსს[1] და ბარნა-ბაისსა – გ ი ო რ გ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ჲ. განგებაჲ ბოლოსა მოიძიე[2].

[1] „მე" სტრიქონის ზემოთ აწერია.
[2] აღაპი მიწერილია მარჯვენა კიდეზე მეჩხერი, ოთხკუთხა ნუსხურით, წინა აღაპის გასწვრივ. აღაპის განგება დაწერილია ცალკე, იმავე ხელით (იხ. № 154). აღაპის ხელი მსგავსია 132 და 146 აღაპების ხელისა.

**81 თ.**

თ უ ე ს ა ი ვ ნ ი ს ს ა იბ, დღესასწაულსა წმიდისა ონოფრესსა. ი ო ა ნ ე ლ უ ლ უ ყ ო ფ ი ლ ს ა განუწესეთ აღაპი სხუაჲ, მოსცა ეკლესიასა კუალადცა ცხენი უკეთესი, და სხუაჲ შესამოსელი კარგი. აღესრულებოდენ აღაპი მისი, ვითარცა პირველ დაგჳწერია: ყოვ-ლითა გულსმოდგინებითა: ლოცვითა, პანაშჳდითა, ანაფორაჲთა, ჟამისწირვითა, მერტიკონითა. ეწდიოს ძმათა მწუხრსა გ და სამხრად დ. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ[1].

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ".

82 ტაბ. $X_2$

ა მ ა ს ვ ე დღესა, წმიდისა ონოფრესსა. ი ო ა ნ ე ს თანა[1] განუწესეთ გ ა ბ რ ი ე ლ ს ც ა, რაჲთა ვითარცა [იოანე], ეგრეთვე გაბრიელ[ცა] მოიჴსენებოდის არა კიდეგნად, მის თანავე, ამისთჳს, რამეთუ დიდად საჭიროსა ჟამსა მოსცა ათი პერპერაჲ მონასტერსა[2].

---

[1] იგულისხმება იოანე ლულუყოფილი, რომლისთვისაც ამავე დღეს არის განწესებული აღაპი (№ 81).

[2] აღაპი მიწერილია № 81 აღაპის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით. ტექსტი ძალზე დაზიანებულია, ცუდად იკითხება.

83 თ.

 თ უ ე ს ა ი ვ ნ ი ს ს ა **იდ**. წმიდისა მამისა ჩუენისა ი ო ა ნ ე, ეფთჳმეს მამისაჲ. და ვითა სჳნგელოზისასა სწერია, ყოველივე წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ და ნუგეშინისცემისაჲ ეგრეთ აღესრულენ. და სამხრად ხუთ-ხუთი წდიონ[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე წრეში „ანაფორაჲ“.

84 თ.

თ უ ე ს ა ი ვ ნ ი ს ს ა **ით**. აღაპი განვაწესეთ თ ე ო ფ ა -
194 v ნ ე ს თ ჳ ს, პეტრი/წონელისა მამასახლისისა, ბრძანებითა მ ა მ ი ს ა ე ვ გ ე ნ ი ს ი თ ა. მოგუცა **ბ** ლიტრაჲ სტამენონი და კუალად ასი დრაჰკანი სხუაჲ. ამის ყოვლისათჳს გარდაიჴდებოდის საჴსენებელი მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა: პანაშჳდითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა და ძმათა ნუგეშინისცემითა. ეწდიოს მწუხრსა **გ** და სამხრად **დ**. და ვინ არა გარდაიჴადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

85 თ.

თ უ ე ს ა ი ვ ნ ი ს ს ა **კდ**. აღაპი არს ი ო ა ნ ე ე ნ ჩ ა ყ ო ფ ი ლ ი ს ა ჲ. ყოველივე ზემოწერილი წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ დაუკლებელად აღესრულენ და ოთხ-ოთხი სასუმელი ძმათა ეწდიენ.

86 თ.

თ უ ე ს ა ი ვ ნ ი ს ს ა **კთ**, დღესასწაულსა წმიდათა მოციქულთასა. აღაპი განუწესეთ რ ა ჲ ს ე ლ ს ა და ვ ა რ ა ზ ს. მოსცეს

ეკლესიასა დრაჰკანი ახალი რ, კელითა ი ა კ ო ბ ი ს ი თ ა. ამისთჳს აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა: ლოცვითა, პა-ნაშჳდითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა ეწდიოს მწუხრი სამი და სამხრად ოთხი. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ".

87 თ.

თ უ ე ს ა   ი ვ ნ ი ს ს ა   ლ. აღაპი არს წმიდისა მამისა ჩუენისა გ ი ო რ გ ი   თ ა რ გ მ ა ნ ი ს ა ჲ. და ვითა სწერია სჳნგელოზისათჳს დ ა ი ო ა ნ ე, ე ფ თ ჳ მ ე ს მამისაჲ, და დ ი დ ი ს ა   გ ი ო რ - გ ი ს თ ჳ ს, ყოველი წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ და ძმათა ნუგეშინისცემისაჲ აღესრულებოდენ: ანაფორაჲ, ვითა მოასწავებს. და სამ-სამი მწუხრსა და ხუთ-ხუთი – სამხრად. ესე მე, მამამან გ ი ო რ გ ი, განვაწესე მისთა წიგნთათჳს, რომელ ამას ეკლესიასა დარჩეს საჴსენებელად მისდა საუკუნოდ[1].

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ".

88/150 ტაბ. IX, პ.

[თ უ ე ს ა] ი ვ ლ ი ს ს ა   ბ. აღაპი ბოლოსა ჰპოო[1].

[1] აღაპი მიწერილია გიორგი მთაწმინდელის აღაპის (№ 87) გასწვრივ მარცხენა კიდეზე.

89 თ.

თ უ ე ს ა   ი ვ ლ ი ს ს ა   ყ, წმიდისა პროკოპისი. აღაპად განგჳწესებია ფ ა რ ს მ ა ნ   თ მ ო გ უ ე ლ ი ს ა დ ა. ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდენ, რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა[1].

[1] მარცხენა კიდეზე „ანაფორაჲ" გადასულია.

### 90 თ.

თუესა ივლისსა თ. ალაპი განგჳწესებია ბაგრატ კურაპალატისათჳს. აღესრულებოდენ ლოცვითა და ჟამისწირვითა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა საკსენებელად მათდა საუკუნოდ[1].

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ“ გადასულია.

### 91 თ.

თუესა ივლისსა იბ. ალაპი არს ევსტათი იკონომოსისაჲ. და/იგივე ზემოწერილი წესი აღესრულენ. და 195r
სუან ოთხ-ოთხი კრასაული ძმათა.

### 92 თ.

თუესა ივლისსა იე. ალაპი განვაწესეთ ძმისა ჩუენისა კახისა კჳრიკესთჳს. დაუტევა ეკლესიასა სტავრანი და აკაზმულობაჲ, რომელი ვაფასეთ სამ ლიტრად განძად. ამისთჳს აღესრულებოდენ წესისაებრ: პანაშჳდითა, ანაფორაჲთა და ჟამისწირვითა. და ეწდიოს ძმათა მწუხრსა სამი და სამხრად – ხუთი, და ვინ არა აღასრულებდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

### 93 თ.

თუესა ივლისსა იჱ. ალაპი განუწესეთ ლეონტი და ნიკოლა ბერძენთა. დაუტევეს ეკლესიასა ორთავე სამოცი დრაჰკანი პერპერატი ჟამსა მიცვალებისა მათისასა. ამისთჳს აღესრულებოდენ საკსენებელი მათი წესისაებრ: პანაშჳდითა, ანაფორაჲთა, ჟამისწირვითა. ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად – ოთხი. და ვინ არა გარდაიჴადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

### 94 თ.

თუესა ივლისსა კბ. ალაპი არს ანასტასიაჲსი და მარიაჲსი, დედისა მისისაჲ. და ყოველივე ზემოწერილი აღესრულენ. და ოთხ-ოთხი სასუმელი ეწდიენ ტრაპეზსა.

## 95/153 ტაბ. $X_1$ $X_4$ ნ. გ.

თუესა ივლისსა კე. ალაპი არს თამარ დედოფ-ლისაჲ. განგებაჲ ბოლოსა ძებნე[1].

---

[1] დაწერილია წინა ალაპის (№ 94) დასასრულის გასწვრივ ძველი გა-დაფხეკილი ტექსტის არეზე, XII საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით. ამავე ხელით არის დაწერილი ალაპის განგება (№ 153).

## 96 თ.

თუესა[1] ივლისსა კზ. ალაპი არს გიორგი მაგისტროსისაჲ, ოდეს დავჰმარხენით ძუალნი მისნი მის მიერ განწესებულსა საფლავსა. გარდაიკადონ, ვითარცა მაშენებელთაჲ ანაფორაჲთა. უწდიონ მწუხრსა სამი და სამხრად ე. სხუაჲ განგებაჲ დიდსა ე–შაბათსა ჰპოო[2].

---

[1] ალაპის სრული განგება მოცემულია № 56 ალაპში, რომელიც დიდი ხუთშაბათის დღეს არის განწესებული.

[2] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 97 ტაბ. $III_2$ თ.მ.

თუესა ივნისსა კე, დღესასწაულსა წმიდისა ფებრონი-აჲსსა. ალაპი განუწესეთ გიორგი კოშკინასა. მოგუცა დრაჰკანი წყლისათჳს დოკატ–მიხაჲლატი კ. აღესრულებოდენ წესი-საებრ: პანაშჳტითა, მერტიკონითა, კრასაულითა და ყოვლითავე გულსმოდგინებითა საკსენებელად მისდა საუკუნოდ.

## 98 ტაბ. $III_2$ თ.მ.

მასვე დღესა. ლეონ ეპისტატისაჲ. ამისთჳს, რომელ შემდგომად სიკუდილისა, რაჲცა ჰქონდა, ყოველი ეკლესიასა დაჰრჩა[1].

---

[1] ალაპი დაწერილია წინა ალაპის ხელით და მისგან გამოყოფილი არ არის.

## 99 თ.

195 v /თუესა აგჳსტოსსა გ. ალაპი განვაწესეთ კოსტან-ტი მონომახისათჳსვე[1] ქველის–მოქმედებათა მისთათჳს, რომელ ქმნნა ჩუენ ზედა[2].

---

[1] მონამოხისათჳსვე.

[2] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 100 თ.

თ უ ე ს ა ა გ ჳ ს ტ ო ს ს ა იე, მარიამობაჲ. მ ა რ ი ა მ დ ე - დ ო ფ ა ლ მ ა ნ, ბ ა გ რ ა ტ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგჳქმნა ბერძენთა მეფისაგან, სალოცველად და საჴსენებელად მისდა საუკუნოდ. და განგჳწესებია მათთჳს აღაპად ესე დღე, ვითარცა მაშენებელთა და მეფეთა ჩუენთადა, რაჲთა ყოვლითა მოსწრაფებითა გარდაიკდებოდის მსგავსად ძალისა ჩუენისა. და ლოცვაჲ და ჟამისწირვაჲ მის დიდებულისა დღესასწაულისაჲ სულსა მისსა მიეცინ ქრისტემან[1].

---

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ".

## 101 თ.

თ უ ე ს ა ა გ ჳ ს ტ ო ს ს ა კ. აღაპი განგჳწესებია ს ა მ ო ე ლ ქ უ თ ა თ ე ლ მთავარეპისკოპოსისაჲ ქველისმოქმედებისა და წყალობისა მათისათჳს. ვითარცა მაშენებელთაჲ, ეგრეთ გარდაიკდებოდენ ყოვლითა მოსწრაფებითა სალოცველად მათდა საუკუნოდ, ამინ.

## 102 თ.

თ უ ე ს ა ა გ ჳ ს ტ ო ს ს ა კთ. აღაპი განუწესეთ მ ი ლ ა - რ ა ს ა და ძესა მისსა ქ ო ბ უ ლ ს, მოსცნა ეკლესიასა ორნი ჯორნი და ერთი ცხენი და ნ დრაჰკანი. გარდაიკდებოდის პანაშჳდი. ეწდიოს გ მწუხრი და ოთხი სამხრად.

## 103 თ.

თ უ ე ს ა ა გ ჳ ს ტ ო ს ს ა ლა. აღაპი განვაწესეთ მ ა რ ი - ა მ ი ს თ ჳ ს. უწინაცა სასოებაჲ აქუნდა ამის უდაბნოჲსა მომართ: პურსყიდული იყო და შემომწირველი. და კუალად მოგუცა დრაჰკნისა ორასისაჲ სკუტელი ა ვეცხლისაჲ დიდი, სხუაჲ დრაჰკანი, და მივეცით კრიტისსა. და ამისთჳს დავაწესეთ: აღესრულებოდენ, ვითარცა სხუათა შემომწირველთა და კეთილისმყოფელთაჲ, მისთჳს აღაპი სალოცველად საუკუნოდ. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

### 104 ტაბ. XII

თუესა[1] აგჳსტოსსა კა. განგჳწესებია პანაშჳდი ვაჩე ყოფილისა ბასილისთჳს, რამეთუ მოსცა მონასტერსა მოძღურისა მისისა ბერისა ზაქარიაჲს კელითა სამას ოცისა დრაჰკნისა პერპერისაჲ ხატად, დრაჰკნად და სტავრად. და ამისთჳს განვაწესეთ, რაჲთა საუკუნოდ აღესრულებოდის მისთჳს პანაშჳდი აგჳსტოსსა კა. და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[2].

[1] ალაპი იწყება № 101 ალაპის გასწვრივ მარცხენა კიდეზე და გრძელდება ქვემო კიდეზე. დაწერილია XII ს. მსხვილი კალიგრაფიული ნუსხურით.

[2] კიდეზე მიწერილი ალაპი კალენდარული რიგით უნდა მისდევდეს 101-ე ალაპს, რაც მინიშნებულიც არის № 101 ალაპის ბოლოს.

### 105/144 ტაბ. XVI

196 r /სეკდენბერი[1] პირველი. ალაპი არს ჭყონდიდლისა გაზრდილისა ნიკოლოზი[საჲ]. იხილე ... ნუ თანა[წა]რჰკდ[ები], წმიდაო ღ(მრთისა)ო. ბოლოსა ჰპოო.

[1] ალაპი იწყება 196r-ს ზემო კიდეზე, გრძელდება მარჯვენა კიდეზე, რომელიც ჩამოჭრილია, რის გამოც ნაწილი ტექსტისა დაკარგულია. დაწერილია ალაპი მსხვილი, მსუქანი სწორი ნუსხურით. ალაპის განგება ჩაწერილია ბოლოში (144).

### 106 თ.

თუესა სეკდენბერსა **ვ**, დღესასწაულსა წმიდისა მიქაელ მთავარანგელოზისასა. ალაპი განვაწესეთ მიქაელისთჳს, აბრაჰამის ძისა. მოგუცა სამასი დრაჰკანი სტამენონი. და ამისთჳს განვაწესეთ, რაჲთა ესრეთ გარდაიკდიდენ: ანაფორაჲთა, პანაშჳდითა და ჟამისწირვითა, მერტიკონითა და კრასაულითა. და უწდიონ ძმათა მწუხრსა **გ** და სამხრად **დ**. და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[1].

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

### 107 თ.

თუესა სეკდენბერსა Ⴈ. ალაპი არს მიხაელ მეფისაჲ. და აღესრულებოდის ზემოწერილითა მით წესითა[1].

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 108 თ.

თუესა სეკდენბერსა იე. ალაპი არს ნიკიტა დრონგალისა სხოლისაჲ. ჩუენდა მოურნედ გამოჩნდა. ყოვლითა გულმოდგინებითა აღესრულებოდენ ალაპი მისი.

## 109 ტაბ. IX$_4$

ამასვე თუესა იე. მოიკსენებოდის ბააჲ მანოელ, რამეთუ მოსც[ა] ჟამსა სიკუდილისა მისისასა პერპერაჲ კ[1].

[1] მიწერილია წინა ალაპის (108) გასწვრივ მსხვილი, მსუყე ნუსხურით.

## 110 თ.

თუესა სეკდენბერსა ით. ალაპი არს მამისა არსენისი ფარსმანყოფილისაჲ, რამეთუ ამას დღესა მიიცვალა. აღესრულებოდის ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა თორნიკისსა სწერია და მამისა იოანესსა: მწუხრსა – სამსამი და სამხრად – ანაფორაჲ და რაჲცა ღმერთსა მოეცეს, სამხრად ნუგეშინის-საცემელი ძმათაჲ, და ხუთ-ხუთი სასუმელი, და მსგეფსსა შინა – ერთი დღე ჟამისწირვაჲ, ვითა ზემო სწერია, მისივე განწესებული[1]. და ზეგარდამოთა ლოცვათა შინა ყოვლადვე კსენებაჲ დიდთა განძთა მათთათჳს, რომელნი წაეგნეს ამას ეკლესიასა ზედა, და რამეთუ მათითა საკმრითა დაიყარა[2] [....]. და ვინ ამას დაწერილსა შეჰმატოს, საუკუნომცა არს საკსენებელი მისი, და ვინ დააკლოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[3].

[1] იგულისხმება № 50 ალაპი.

[2] აქ აკლია ერთი სიტყვა. არ ჩანს, თუ რა „დაიყარა“.

[3] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 111 თ.

თუესა სეკდენბერსა კ. ალაპი არს აბაზის, ბაკურიანის ძისაჲ, დიდთა კეთილთა და ქველისმოქმედებათა მისთათჳს, რამეთუ მოსცა სიცოცხლესა მისსა მონასტერსა დრაჰკანი სტამენონი ექუსთავი ფ და კუალად, შემდგომად მიცვალებისა მისისა, მოსცა მონასტერსა ცხენად და ჯორად საკედარი ზ და სტავრაჲ

196 v შესამოსელი. / ამისთჳს განვაწესეთ აღაპი მისი ერთად ამას დღესა მიცვალებისა მისისასა, მის მხოლოდსა აბაზისი ხოლო.

და კუალად, ი ა ნ ვ ა რ ს ა კგ. თავისა ძმისა გ რ ი გ ო ლ ი ს თანა ზოგად, რაჲთა ყოვლითა გულსმოდგინებითა აღესრულებოდის წესისაებრ: ლოცვითა და ჟამისწირვითა და ანაფორაჲთა. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. ეგრეთვე ჟამისწირვასა ყოველთა დღეთა მღდელმან, ერისა ზიარებისა შემდგომად, სასმენელად ყოველთა, სული ა ბ ა ზ ი ს ი მოიჴსენოს და ყოველთა ძმათა კმამაღლად ულოცონ და ესეცა ლოცვაჲ მისთჳს საუკუნოდ აღესრულებოდის[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

112 თ.

თ უ ე ს ა ს ე კ დ ე ნ ბ ე რ ს ა კგ. აღაპი არს ფ ა ნ ტ ი ნ ე ს ი, ბ ა ს ი ლ წ მ ი დ ე ლ ი ს ა ჲ. აღლო ბასილწმიდაჲ ორსა პირსა ზედა, და ერთი პირი გაუტევა. ვიდრე ცოცხალი იყო, ააშენა. ხუთასისა მოდისა ყანაჲ შეჰმატა სყიდით და იყიდა ვენაკი ათისა მოდისაჲ, სახლი და ეკლესიაჲ ჭურჭლითა მოაშენა და მოგუცა ორასი დრაჰკანი. ამის ყოვლისათჳს გარდაიკდებოდის აღაპი მისი ძალისაებრ ყოვლითა მოსწრაფებითა.

113 თ.

თ უ ე ს ა ს ე კ დ ე ნ ბ ე რ ს ა კდ. აღაპი არს ი ო ა ნ ე ხ ა რ ტ უ ლ ა რ ი ს ა ჲ. და ყოველი წესი ლოცვისა და ჟამისწირვის[ა]ჲ აღესრულენ. და ოთხ-ოთხი კრასოლი ეწდიენ ძმათა.

114 თ.

თ უ ე ს ა ო კ დ ო ნ ბ ე რ ს ა ვ. აღაპი არს ო ფ ი დ ო - ფ ა ჲ ს ი. მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი სმვ. გარდაიკდებოდის პანაშჳდი და ეწდიოს სამი მწუხრსა და ოთხი სამხრად.

115 თ.

თ უ ე ს ა ო კ დ ო ნ ბ ე რ ს ა იჱ, დღესასწაული წმიდისა ლუკა მახარებელისაჲ. აღაპად განუწესეთ პ რ ო დ რ ო ს ს ა ლ უ ლ უ ს მე, მ ა მ ა მ ა ნ ი ო ა ნ ე, და ყოველთა ძმათა, რამეთუ პირველითგან დიდი სიყუარული აქუნდა წმიდისა ამის უდაბნოჲსა მომართ და ყოვლადვე კეთილისმყოფელი იყო. ხოლო უკუანაჲს

მონაზონ იქმნა და ძმად ჩუენდა შეიქმნა. მოსცა ეკლესიასა ჯორი ერთი და გავყიდეთ ჩვდმეტ პერპერატად, და თასი ერთი ვეცხლისაჲ, რომელსა შინა იყო სამოცი ექსაგი, და ერთი შესამოსელი ექსამიტონი, და ტრაპეზსა მისცა ცხენი ყუერული კარგი. ამის ყოვლისათჳს / აღეს- რულებოდის აღაპი მისი ყოვლითა გულმოდგინებითა: ლოცვითა, 197 r
პანაშჳდითა, ანაფორაჲთა[1], ჟამისწირვითა და ყოვლითა ნუგეშინის-ცემითა ძმათაჲთა. ეწდიოს კრასოოლი მწუხრსა სამ-სამი და სამხრად ოთხ-ოთხი. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 116 თ.

თუესა ოკდონბერსა კა, დღესასწაული წმიდისა ილარიონისი. აღაპად განგჳწესებია ილარიონ პროტისა და სტეფანე იკონომოსისა და. აღესრულებოდენ წესისაებრ. და ოთხ-ოთხი კრასაული წდიონ.

## 117 თ.

თუესა ოკდონბერსა კვ, დღესასწაულსა წმიდისა დიმიტრისსა. აღაპი არს მირდატისი. და ვინ ყოვლითა გულსმოდგინებითა არა გარდაიკადოს მისი აღაპი, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

## 118 თ.

თუესა ოკდონბერსა კჱ. აღაპი არს დავით ვაჭრისაჲ. პირველ მოგუცა დრაჰკანი ჩ და კუალად შემოწირა ეკლესიასა ბარძიმ-ფეშხუმნი[1] ვეცხლისანი და ვედრებით ითხოვა, რაჲთა არა გამოეკუნენ წმიდასა ამას საკურთხეველსა ესე მისი სარწმუნოებით შემოწირული ბარძიმ-ფეშხუმი[2], ხოლო მე, მამამან იოანე, და ყოველთა ძმათა საეკლესიოჲთა კანონითა დავჰბეჭდავთ და დავამტკიცებთ, რაჲთა არავინ იკადროს და გამოაკუნეს ამის წმიდისა ტრაპეზისაგან, და უკუეთუ ვინმე იკადროს და გამოაკუნეს, სასჯელსამცა ღმრთისასა შევარდების, ვითარცა წარმდებებით შემხებელი შეუხებელთაჲ. ხოლო მისი ლოცვაჲ და კურთხევაჲ სამარადისოდ იყავნ, და აღაპი მისი აღესრულებოდინ გულსმოდგინედ, ძალისაებრ ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა.

[1] ფეხუშემნი. [2] ფეხუშემი.

## 119 თ.

თუესა ოკდონბერსა კგ. წმიდისა იაკობ, ძმისა უფლისასა. აღაპი არს იაკობ იაყუთყოფილისაჲ. მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი სტავროვოტანატი რ. აღესრულებოდენ აღაპი მისი წესისაებრ: ლოცვითა, პანაშკდითა, ანაფორაჲთა[1], ჟამისწირვითა და ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა. და ეწდიოს სასუმელი მწუხრსა სამი, და სამხრად ოთხ-ოთხი.

---

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ".

## 120 თ.

197 v /თუესა ნოენბერსა ა. აღაპი არს სუმბატ კულაპარატისა, [რომელსა ეწოდა საბა][1], და ცოლისა მისისა მარიამისი [როდელივისა შემომწირველთა]. ესე აღაპი მე, მამამან იოანე, და ყოველთა ძმათა განვაწესეთ, რამეთუ მოეცა მონასტრისა ჩუენისადა განძი ლიტრაჲ ერთი სტამენონი, და კუალად, სხუაჲ ხუთასი დრაჰკანი სტამენონი; და კუალად, შემდგომად მიცვალებისა მისისა, მეუღლემან მისმან მარიამ მოსცა ეკლესიასა სტავრაჲ ერთი, კარგი ოქროქსოილი, სკუტელი ვეცხლისაჲ დიდი ა, ხუცესთა სკუტელი ა, სხუაჲ დრაჰკანი სტამენონი ლიტრაჲ ა, სხუაჲ სტავრაჲ შესამოსელი ა, და კუალად, ოდეს პრასტინნი ჩუენნი ყოველნი აიხუნეს და ჭირსა შინა ვიყვენით, მოგუცა დრაჰკა[ნი] ქინატი ლიტრაჲ ზ. ამათ ქველისმოქმედებათა მათთათჳს აღესრულებოდის საუკუნოდ აღაპი მათი ყოვლითა გულსმოდგინებითა, წესისაებრ, [ვითარცა მაშენებელთა]: პანაშკდითა, ანაფორაჲთა[2], ჟამისწირვითა და ყოვლითავე ძმათა ნუგეშინისცემითა. ეწდიოს ტრაპეზსა მწუხრი გ[3] და სამხრად ხუთი[4].

---

[1] აქაც და შემდგომაც კავებში ჩასმულია სიტყვები, რომლებიც სტრიქონს ზემოთ არის დაწერილი, მათი ჩამატების მიზნით, თაფლაისძის ხელისაგან განსხვავებული.

[2] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ".

[3] თავდაპირველად ეწერა გ, შემდეგ მუქი მელნით გადაუსწორებიათ ვ-ად.

[4] თავდაპირველად ეწერა „ოთხი", შემდეგ ოსტატურად გადაუსწორებიათ „ხუთად".

## 121 თ.

და კუალად თუესა აპრილსა ლ, დღესასწაულსა წმიდისა იაკობ მოციქულისასა. აღესრულებოდენ საკსენებელი მათი ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენებელთათჳს სწერია. და კუალად განუწესეთ ხუცესი მწირველი, რაჲთა კჳრიაკესა შინა უწირვიდეს ორსა დღესა: ერთსა სუმბატს და ერთსა მარიამს. და ხუცესსა მიეცემოდის პურსყიდულისაჲ მოწფითა სრული ყოველი დაუკლებელად. და ამას ყოველსა თანა, ვითარცა თჳთ სიცოცხლესავე თჳსსა სუმბატს ეთხოა, ეკლესიასა შინა წმიდათა მთავარანგელოზთასა შევჰმზადეთ საფლავი მარმარილოჲთა, რაჲთა შემდგომად სიკუდილისა მის დედაკაცისა ორთავე ძუალნი მას შინა დაისხნენ, და ვითა თჳთ დაუწერია, რომელიცა-რაჲ საქონელისა მისისაგან დარჩეს, ყოველივე თანა შემოიტანოს. და ჩუენ ესე, რომელ დაგჳწესებია, ვიდრემდის ეგოს წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, დაუკლებელად აღესრულებოდენ. და ვინ არა აღასრულოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. და ესე საცნაურ იყავნ ყოველთადა, რომელ ორნივე მონაზონ იქმნნეს.

## 122 ტაბ. III, თ. მ.

/თუესა ივნისსა კგ, დღესასწაულსა წმიდისა დავით 198 r
თესალონიკელისასა. აღაპი განუწესეთ დავით ასურსა. მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი პერპერატი მ. აღესრულებოდენ საკსენებელი მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა: ლოცვითა, პანაშკდითა, ანაფორაჲთა[1], მერტიკონითა, კრასაულითა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, საკსენებლად მათდა საუკუნუდ(!). და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

---

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“, რომელიც განსხვავდება ფორმითა და ხელით თაფლაისძისეული ანაფორისაგან.

## 123 ტაბ. XI

თუესა ნოენბერსა გ, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა. აღაპი განუწესეთ გიორგი მჭედელასა ქართველსა. დიად ემსახურა ეკლესიისად[ა] მისა სიცოცხლესა, და შემდგომად სიკუდილისა მოსცა ეკლესიასა მ პროტოხარაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთჳს აღესრულებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა. და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან მისცეს სიტყუაჲ.

## 124 ტაბ. $XIV_2$

ამასვე დღესა. ჯერასიმესი და იოანე ხუცისაჲ. მოსცეს ეკლესიასა ოც-ოცი დრაჰკანი პერპერაჲ. მოიჴსენებდით, ძმანო.

## 125 თ.

198 v / [ამასვე თუესა სამსა][1], წმიდისა მოწამისა გიორგისსა. ალაპი არს ძმისა ჩუენისა გიორგისი. შემოწირა ეკლესიასა სტავრანი ას დრაჰკნად პროტოხარაგად ფასებულნი. აღესრულებოდენ წესისაებრ: ლოცვითა, ჟამისწირვითა და ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა. ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად – ოთხი[2].

---

[1] კვადრატულ კავებში ჩასმული სამი სიტყვა დაწერილია სხვა (არა თაფლაისძის) ხელით და მელნით, შესაძლოა, გადაფხეკილ არეზე.
[2] მარცხენა კიდეზე – წრე, ანაფორის გარეშე.

## 126 თ.

თუესა ნოენბერსა ჱ, დღესასწაულსა წმიდისა მიქაელ მთავარანგელოზისასა. ალაპი არს კჳრიკესი, დიმიტრისი და ბართლომესი. მოსცეს ეკლესიასა დრაჰკანი ლიტრაჲ დ, ამისთჳს აღესრულებოდენ წესისაებრ: ლოცვითა, ანაფორაჲთა და ჟამისწირვითა და მერტიკონითა. და ეწდიოს ძმათა მწუხრსა გ და სამხრად დ[1].

---

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 127 თ.

თუესა ნოენბერსა ი. ალაპი არს გიორგი მეფისაჲ. გარდაიკდებოდენ ყოვლითა მოსწრაფებითა. და ყოველნი ხუცესნი მას დღესა ჟამსა მისთჳს წირვიდენ. და ქრისტემან წმიდათა თანა დააწესენ სული მათი, ამინ.

## 128 ტაბ. $XIV_2$

თუესა ნოენბერსა იბ, დღესასწაულსა წმიდისა იოანე მოწყალისასა. ალაპი არს იოანე ფოფხაჲსძისაჲ, რამეთუ

მოსცა ეკლესიასა წყლისა მოსაყვანებლად დრაჰკანი პერპერატი **რკ**. და ამისთჳს განვაწესეთ პანაშჳდი მისი ნოენბერსა **იბ**, რაჲთა სამარადისოდ გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ჟამისწირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა სალოცველად მათდა საუკუნოდ. და ვინ არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. და კუალად მოსცა ასი ტრიანკეფალი და ცხენი **ბ**.

### 129 თ.

/თ უ ე ს ა  ნ ო ე ნ ბ ე რ ს ა **იგ**, დღესასწაულსა წმიდისა იოანე 199 r
ოქროპირისასა. ალაპი განუწესეთ მე, მამამან იოანე, და ყოველთა ძმათა ს ე ვ ა ს ტ ო ს ს ა  ი ო ა ნ ე ს  და მეუღლესა მისსა მ ა რ ი ა მ ს დიდთათჳს ქველისმოქმედებათა მისთა, რომელ აჩუენნა ჩუენ ზედა მას ჟამსა, ოდეს პრასტინნი ჩუენნი ყოველნი წარგჳხუნეს და ბ უ რ წ ს ა  მისცნეს. ჩუენ სამეფოს შევედით და დავესამართლენით. მეფემან ამას უბრძანა ჩუენისა საქმისა დაურვებაჲ და მიწათა გაზომაჲ, ხოლო ამან მას ჟამსა დიდი გულსმოდგინებაჲ და წყალობაჲ აჩუენა ჩუენ ზედა, რამეთუ თჳსი საურავი და საქმე ყოველი გაუშუა და სამ თუე ჩუენსა საურავსა იურვოდა, ვიდრემდის ყოველი გარდასწყჳდა, და რომელი გუხუდებოდა, გაგჳჩინა, და სიმტკიცენი და დაწერილნი შეგჳქმნნა, და ესრეთ, რომელ სხუასა არავის მიენდო, არამედ უფროჲსნი თავისა კელითა დაწერნა, და თჳსითავე კაცითა სამეფოს გაგზავნნა და დაგჳმტკიცნა. ამათ ყოველთა მისთა ქველისმოქმედებათა ნაცვლად, ამას დღესასწაულსა მათთჳს ლოცვასა დაგუენუკვა. ამისთჳს განუწესეთ ალაპი ესე, რაჲთა გარდაიკდებოდის ცოცხალთათჳსცა და შემდგომად მიცვალებისა ყოვლითა გულსმოდგინებითა: პანაშჳდითა, ჟამისწირვითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, და იკსენებოდიან სამარადისოდ ზეგარდამოთა კუერექსთა შინა მაშენებელთა თანა, რამეთუ მეორედ მაშენებელად და მოურნედ ჩუენდა გამოჩენილ არს[1].

---

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

### 130 (+131) თ.

თ უ ე ს ა  ნ ო ე ნ ბ ე რ ს ა **იზ**. ალაპი არს წმიდისა მამისა ჩუენისა გ რ ი გ ო ლ ი ს ი. და ვითარცა სჳნგელოზისათჳს სწერია, ყოველივე დაუკლებელად აღესრულებოდენ წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ, და ნუგეშინისცემაჲ ძმათაჲ ტრაპეზსა, და ხუთ-ხუთი

სასუმელი. და ამასვე[1] დღესა მოიკსენებოდიან ზ ა ქ ა რ ი ა და ა რ ს ე ნ ი[2].

---

[1] ზაქარიას და არსენის მოსახსენებელი გამოცემაში ცალკე აღაპად (131) არის გამოყოფილი.

[2] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 132/146 ტაბ. XIII$_1$

თ უ ე ს ა ნ ო ე ნ ბ ე რ ს ა ით, წმიდისა ილარიონისსა. პანაშჳდი არის ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა, ძმისა ჩუენისაჲ. განგებაჲ ბოლოსა ჰპოო[1].

---

[1] აღაპი იწყება წინა (130) აღაპის უკანასკნელი სტრიქონის თავისუფალ ადგილას და გრძელდება ფურცლის მარჯვენა კიდეზე ტექსტის ასწვრივ, ორ სტრიქონად.

## 133 თ.

თ უ ე ს ა ნ ო ე ნ ბ ე რ ს ა კა. აღაპი არს დედოფლისა ჩუენისა
მ ა რ ი ა მ მ ა რ თ ა ყ ო ფ ი ლ ი ს ა ჲ და ძისა მათისა
კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო რ ფ ი რ ო გ ე ნ ი ს ა ჲ დიდთა და
მრავალთა ქველისმოქმედებათა მათთათჳს, რომელ აჩუენნეს ჩუენ
ზედა: პირველად განგუათავისუფლნეს სიკრიტონისაგან, რომელნი
199 v მ[ი]სოლიმნისათჳს გუთხოვდეს ხუთსა ლიტრასა. მათ მისცეს/ განძი
ესე და აღმოკოცეს მისოლიმნი სიკრიტონისაგან, და კუალად სხუათა
პრასტინთათჳს და მელინძათათჳს. დიად იღუაწეს მეფეთა თანა და
მერმე მოსცეს ძმათა გასაყოფლად ლიტრაჲ ვ. ამის ყოვლისათჳს
გარდაიკდებოდის აღაპი მათი, ვითარცა მამის დედისა მათისათჳს
სწერია მით წესითა: ანაფორაჲთა[1] და ყოვლითა ნუგეშინისცემითა
ძმათაჲთა. ეწდიოს მწუხრსა გ და სამხრად ხუთ-ხუთი.

---

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

## 134 თ.

თ უ ე ს ა ნ ო ე ნ ბ ე რ ს ა კდ, დღესასწაულსა წმიდისა ეკატერინესსა. აღაპი არს მ ი ქ ა ე ლ ლ ა კ ლ ა კ ი ს ა ჲ და გ ი ო რ გ ი ფ ო ჩ ო ლ ი კ ა ჲ ს ა ჲ დიდთათჳს მსახურებათა ეკლესიისათა, რომელ სიცოცხლესა ყოველი მსახურებასა შინა დაეყო და შემდგომად მიცვა-

ლებისა მოსცეს ეკლესიასა რკ დრაჰკანი ძუელი. ამისთჳს აღესრულე-ბოდინ ალაპი მათი პანაშჳდითა, ანაფორაჲთა[1] და ყოვლითავე ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა. ეწდიოს მწუხრი გ და სამხრად ლ.

[1] მარცხენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

**135 + 139 ტაბ. $\text{XIV}_1$**

თ უ ე ს ა  ნ ო ე ნ ბ ე რ ს ა  კჱ, დღესასწაულსა წმიდისა სტე-ფანე ახლისასა. განუწესეთ პანაშჳდი ძმასა ჩუენსა გ ი ო რ გ ი ს ც ი ხ ი ს ჯ უ ა რ ე ლ ს ა ამისთჳს, რამეთუ იყიდა ალროჲ აწიანური და პური, ალროჲ[1] აოკრებული. და აშენებული მიუთუალა მო-ნასტერსა ალროჲ და პური, და ჯორი[2] ა. და ესე ყოველი შეიქმნა ნ პერპერატად. და უფროჲსღა ესე, რამეთუ დადვა სული და თავი მონასტრისა სამსახურად, ვიდრე ცოცხალ იყო. და ამისთჳს განუწე-სეთ პანაშჳდი ნოენბერსა კჱ. ვითა სხუათა ყოველთა შემომწირველ-თაჲ, ეგრეთ აღესრულებოდის ყოვლითა წესითა, და ვინ არა აღასრუ-ლებდეს, ღმერთსა მან განსცეს სიტყუაჲ.

139 ამისვე გიორგი ციხისჯუარელისა წიგნნი: პარაკლიტონი, მარხვანი [200 r] და სადღესასწაულოჲ აწიანს დავსხენით სალოცველად სულისა მისი-სათჳს. შენ, მამაო დეკანოზო, ვინცა მანდა მჴმარებელი იყოს წიგნთაჲ, ნუ დაუჭირავ, მისცემდი და რაჲსაცა მიზეზისათჳს გამოაკუნეს, იყავნ წყეულ და შეჩუენებულ.

[1] ალხუაჲ. [2] ჯური. [3] იყოს.

**136 თ.**

/ თ უ ე ს ა  ნ ო ე ნ ბ ე რ ს ა  კე. ალაპი არს ნ ი კ ო ლ ა 200 r
ხ უ ც ი ს ა ჲ, მოსცა ეკლესიასა სამასი დრაჰკანი დიმიტრატი. ამისთჳს აღესრულებოდენ ალაპი მისი წესისაებრ: ლოცვითა, ჟამის-წირვითა, ანაფორაჲთა[1], პანაშჳდითა და, რაჲცა ძალ-ედვას, ნუგეშინის-ეცეს ძმათა. ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი. ვინ -არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

[1] მარჯვენა კიდეზე – „ანაფორაჲ“.

### 137 თ.

ამასვე დღესა. ალაპი არსენი მონაზონისაჲ. დარჩა ეკლესიასა დრაჰკანი დუკატი **ლბ**. უფალმან გაუსუენენ სულსა მის[ს]ა, ამინ.

### 138 ტაბ. XI

ამასვე თუჱსა **ლ**. ალაპი განუწესეთ მამასა კალაკალას იოანეს, მაშენებელთა სწორსა. სხუათავე მისთა კეთილთა დამსახურებათა თანა. მოსცა სიკუდილისა ჟამსა ეკლესიასა ასოცი ძუჱლი დრაჰკანი, და იოანე დეკანოზისა თაბლაჲსძისაჲ. ამანცა მოსცა ეკლესიასა ოცდაათი ქიანატპროტოხარაგი. საუკუნომცა არს საკსენებელი მათი.

და ალესრულებოდენ ამათი ალაპი ჟამისწირვითა და სხვთა ყოვლითა წესითა.

და ღმერთმან სასჯელი მიჰკადენ, ვინ ესე ჩუენი განწესებული არა ალასრულოს.

### 139 ტაბ. $XIV_1$

იხ. № 135 ალაპი.

### 140 ტაბ. $III_3$ თ. მ.

200 v /თუესა სეკდენბერსა **დ**, დღესასწაულსა წმიდისა მოსე წინაჲსწარმეტყუელისასა. ალაპი განუწესეთ მოსეს ქართველსა, შვილი იყო ეკლესიისაჲ და ჟამსა მიცვალებისა მისისასა დაუტევნა ეკლესიასა სამნი ცხენნი კარგნი, და სხუაჲ – მეოთხედი ყოვლისა საქონელისა მისისაჲ. ამისთჳს ალესრულებოდენ ალაპი მისი ყოვლითა გულსმოდგინებითა ძალისაებრ: ლოცვითა, ჟამისწირვით[ა], პანაშჳტითა, ანაფორაჲთა, მერტიკონით[ა] და [ყოვლითა] ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა, საკსენებელად მისდა საუკუნოდ. ეწდიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხ-ოთხი[1].

---

[1] 140 ალაპით მთავრდება თაფლაისძის მიმბაძველის დაწერილი ალაპები.

### 141/9 ტაბ. $VII_1$ ი.

თუესა დეკემბერსა **ვ**, დღესასწაულსა წმიდისა ნიკოლაოსისა. განუწესეთ საკსენებელი ნიკოლას, პეტრიწონელსა მამასა. მოგუცა ეკლესიისა საბურავად **ნ** პერპერატი

და კუალად გამოგზავნა სხუაჲ კ და მოვიდა მონასტერს და მოგუცა პურისათჳს დუკატი მ და ბ ჯორნი ლაგამ-უნაგირითა. და კუალად მოსცა ეკლესიასავე სხუაჲ დუკატი იბ და ტრიაკეფალი ახალი ნ. ამისთჳს დავაწესეთ მე, მამამან იოანე, და ყოველთა ძმათა, რაჲთა გულს-მოდგინეთ(!) გარდაიკდებოდის საკსენებელი მისი ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა. და ვინ უგულებელს ყოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

## 142 ტაბ. XVIII (ნარევი)

/თუესა ივლისსა ია, დღესასწაულსა წმიდისა ევფიმიაჲსსა. ალაპი განუწესეთ ევფროსინეს პროტოსევასტსა, მეუღლესა მიხაელ პროტოსევასტოსისა, მოურნისა ჩუენისასა. აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა: ლოცვითა, პანაშჳდითა, ჟამისწირვითა. შეიქმოდიან ორთა სეფისკუერთა დიდთა, მიეცემოდის ერთი ბერძენთა ნათლისმცემელისასა და ერთი დიდსა ეკლესიასა. და მისთჳს ამოეკუეთებოდიან ყოველთა დღეთა. მოსცა ეკლესიასა [......][1]. ამისთჳს აღესრულებოდენ ესე ყოველი საკსენებელად მათდა საუკუნოდ. 201 r

[1] აქ დაუწერლად დატოვებულია დაახლოებით 9-10 ასოს ადგილი.

## 143+ 143ა/21 ტაბ. $VIII_2$ ვ.

თუესა დეკენბერსა კვ, კრებაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ. განუწესეთ ალაპი იოანეს კოჯიხის[1] ძესა. აღესრულებოდის წესი ლოცვისაჲ და ძმათა ნუგეშინისცემისაჲ, ვითარცა მაშენებელთაჲ სწერია. მოსცა ეკლესიასა ევლოგიაჲ კელითა დიდისა ბერისა და მოძღურისა ონოფრი გარეშჯელისაჲთა დრაჰკანი ასოცი და ჯორი ერთი. ამისთჳს აღესრულებოდის ყოვლითა გულს-მოდგინებითა. და ვინცა უგულებელ-ყოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. და მერმე სამარადისოდ „შეგჳწყალენსა“ შინა იკსენებოდის მით, რომელ ჩუენ შეურვებულთა დიდად ნუგეშინის-გუცა.

143ა /მე, მამასა ვასილის, და ყოველთა ძმათა დაგჳწერია, 201 v
ეკლესიასა შინა: არიშიანისა ძმაჲ და თჳსი იყო. აწ ვინცა არიშიანსა თანა კსენებაჲ ივანე კოჯიხისძისაჲ დააკლოს, იგიცამცა დააკლდების საუკუნეთა კეთილთა, ოქროჲ იგი ეკლესიასა და ზღუდეთა ზედა წაგებულა, არა კორცთა საკმარად.

[1] „ხი“ – დაწერილია სტრიქონს ზემოთ.

## 144/105 ტაბ. XVI. 144ᵃ ტაბ. XIX ნარევი

ს ე ქ დ ე ნ ბ ე რ ს ა ა, დაწყებაჲ ინდიკტიონისაჲ. განუწესეთ პანაშჳდი ნ ი კ ო ლ ო ზ ს, ს ჳ მ ე ო ნ ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი ს ა გაზრდილსა, მ ა მ ა მ ა ნ პ ა ვ ლ ე და ყოველთა ძმათა, ვინაჲთგან მოიწია წმიდასა ამას უდაბნოსა, დიდი ერთგულობაჲ და გულსმოდგინებაჲ აჩუჱნა ამას ადგილსა ზედა, რამეთუ ეკლესიაჲ მთავარანგელოზთაჲ აღაშენა ყოვლითურთ მოხატვით, გამოჭიქვით, დაჭრელებით. და მერმე გარეთსა ლაკუასა დამართებით იგი კუთხი ბურღოდ აღამაღლა, რამეთუ დია მდაბალი იყო. და სხუაჲ შემოსწირა ეკლესიასა პერპერაჲ **კდ**. ამის ყოვლისათჳს განგჳწე[სე]ბია სეკდენბერი პირველი, რაჲთა ყოვლითა გულსმოდგინებითა გარდაიკდებოდის მწუხრსა ლოცვითა, ხილითა და კრასოვულითა და სამხრად – ჟამისწირვითა და ძმათა ტრაპეზს დია ნუგეშინისცემითა. და ვინცა უდებ-ყოს ესე განწესებული ჩუენი, თანამდებ არს სასჯელსა და გეჰენიასა. და აღმასრულებელთა ზედა კურთხევაჲ იყოს საუკუნოდ.

144ა ქ.[1] ამანვე ძმამან ჩუენმან ნიკოლოზ, ამისვე სეკდენბერსა ერთსა დაწესებულისა პანაშჳდისათჳს მოსცნა ეკლესიასა ჩუენსა მუტრუკი, ნასყიდი პერპერად **იე**, და უღელნი კარნი, ნასყიდნი პერპერად **ზ**, და ამასვე თანა საუკუნოდ აღე[სრულ]ებოდის საკსენებელად კურთხევაჲ მისი მი[უკუნისამდე] ჟამთა, რამეთუ დიდითა გულსმოდგინებითა და სასოებითა შემოწირა ესე ყოველი...[2].

---

[1] აქედან იწყება გაკრული თავისებური ნუსხურით ფურცლის მარცხენა კიდეზე მიწერილი აღაპი, რომელიც წინა აღაპის გაგრძელებას წარმოადგენს.

[2] ტექსტი აქ წყდება, უკანასკნელი სტრიქონი შეჭრილია და არ იკითხება.

## 145/39 ტაბ. IX$_{3-4}$ პ.

202 r /თ უ ე ს ა ი ა ნ ვ ა რ ს ა **კე**, დღესასწაულსა წმიდისა გრიგოლი ღ(მრთ)ისმეტყუელისასა. აღაპი არს ქ ო ბ უ ლ ი ს ძ ე თ ა გ რ ი გ ო ლ და ი ო ა ნ ე ს ი. გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ფსალმუნებითა და დიდებისმეტყუელებითა, და რაოდენნიცა მღდელნი იყვნენ, ყოველნივე მას დღესა მათთჳს შეიმოსნენ, რაჲთა დიდი ნუგეშინისცემაჲ იქმნას ძმათაჲ მას დღესა შინა, და რაჲთა ეწდიოს ძმათა სამწუხროდ კრასაული ოთხ-ოთხი, და დილასა – ხუთ-ხუთი. რამეთუ, დაღაცათუ ყოველთა დღეთა წელიწდისათა სალოცავი მათი განგჳწესებია, არამედ ესე უბრწყინვალეს გარდაიკდებოდის.

ხოლო მათ მიერ შემოწირული ოქროჲ ესრე წარეგო: პირველად მიეცა ძმათა მისგან ევლოგიაჲ და გაიროქნეს მუშანი მონასტრისანი სამსა ჯერსა, რომელთა დავასხმევიეთ ვენაკი კე-სა მოდისაჲ. და მის ვენაკისაგან დავაწესეთ, რაჲთა ძმათა ეწდეოდის ყოველთა დღეთა, რომელთაცა პანაშვდი არა იყოს, [თჳთო კრასეული – სალოცველად მათდა. ხოლო რაჲთა[2] უწყოდით რიცხჳ დრაჰკნისა, მათგან მოსრულისაჲ პირველ და შემდგომად რომელ მოსრულ არს, – არს ყოველი ჩყ და უფროჲცა][1].

ხოლო დავაწესეთ მათთჳსვე ეკლესიასა შინა, რაჲთა აღმოიკუშთებოდის ყოველთა დღეთა თჳთოჲ სეფე და ჟამისწირვათა ყოველთა, ვითარცა მაშენებელთა, მოიჴსენებდეს მღდელი ყოველთა სასმენლად, და ეგრეთვე, ცისკრისა და სამწუხროჲსა ლოცვათა. და ყოველნი ძმანი იტყოდიან კირიელეისონსა სამ-სამსა.

ხოლო ვინაჲთგან რავდენსამე კერძსა მონასტრისასა სიგრძითა ჟამთაჲთა დაძუშლებული კელინები დაცემად მიახლებული, მათითავე საჴმრითა აღეშენა, რიცხვით კდ.

და კუალად ნიკოლწმიდაჲ – მეტოქი და სოფელი, ყურსალთა მიერ სრულიად აოჴრებული, მათითავე საჴმრითა აღეშენა ბურღოჲსა დადგმითა, რაჲთა უშიშ იყვნენ მბრძოლთაგან.

ამათ ყოველთა ქველის-მოქმედებათათჳს ესე ყოველი განუწესეთ. ვინცა რაჲცა დააკლოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი დღესა მას სასჯელისასა. და[2] დაუწესეთ კანდელი წმიდისა იოანე მახარებელისა ხატსა წინაშე, რაჲთა დაუვსებელად ენთებოდის დღე და ღამე, და ზეთი სამი ლიტრაჲ სათუშოჲსთჳს. [და რაოდენიცა] მოსაჴსენებელი ამათთჳს იყოს, სამარადისოდ კჳრიელეისონი მ.

---

[1] კვადრატულ კავებში მოთავსებული ტექსტი დაწერილია ძირითადი ხელისაგან განსხვავებული, მამა პავლეს წვრილი ნუსხურით საგანგებოდ გადაფხეკილი სტრიქონის ადგილას.

[2] აქედან ალაპი გრძელდება მარჯვენა კიდეზე ტექსტის გასწვრივ 3 სტრიქონად. ნაწერი დაზიანებულია, ძნელად იკითხება.

## 146/132 ტაბ. $XIII_1$, $146^{ა}$ ტაბ. $X_1$

/თუესა[1] ნოენბერსა კ[2], წმიდისა ილარიონისსა. ალაპი გაოწეს[ეთ] 202 v
ძმასა ჩუენსა ო ქ რ ო პ ი რ ს ა   ხ ა რ ა ზ ს ა. მოსცა ეკლესიასა

სტამენონი ექუსასი და პერპერაჲ ჩ. გარდიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითა სხუათა შემომწირველთა: თესლითა, კრასეულითა, ჟამისწირვითა. და ვინცა უდებ-ყოს, ვითა ესე ჩუენ დაგჳწერია, და არა გარდაიკდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი და თანამდებ იყოს სასჯელსა საუკუნესა[3].

146ა ამისვე[4] ოქროპირისა ნაშენებნი ზეთისხილნი განუწესენით სასნეულოს წმიდისა ირინეს ხატსა, რაჲთა შემდგომად მისსა ვინცა მესნეულე იყოს, იგი ეურვოდის და სნეულ[თავე] აკმარებდის, [და ვინცა შეცვალოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი].

---

[1] ალაპი დაწერილია მეჩხერი, ოთხკუთხა ნუსხურით, მუქი ფერის მელნით. ამავე ხელით არის დაწერილი ალაპები 154/80. მსგავსია აგრეთვე №156 ალაპისა.

[2] აშკარად ჩანს, რომ თავდაპირველად აქ უნდა ყოფილიყო „ით" ისევე, როგორც № 132 ალაპში, რომლის განგებასაც შეიცავს № 146 წინამდებარე ალაპი. შემდგომ „ით" გადაუკეთებიათ და დაუწერიათ „კ".

[3] საუკუЇნესა.

[4] აქედან ალაპი მიწერილია ფურცლის მარცხენა კიდეზე ოთხ სტრიქონად, XII საუკუნის დახვეწილი კალიგრაფიული ნუსხურით, რომელიც მსგავსია თამარ მეფის ალაპის ხელისა (№ 153). ამ ტექსტის უკანასკნელი სტრიქონი (კავებში ჩასმული ტექსტი) დაზიანებულია, მოჩანს მხოლოდ ასოების ზემო შტრიხები.

## 147/14 ტაბ. $IX_6$ პ.

დეკენბერსა[1] თ. ვითა ზემო დაგჳწესებია იოანე ბანცუაჲსათჳს. ორი ლიტრაჲ ზეთი მიეცემოდის უფროჲსითა, ვინცა მას დღესა ჟამსა წირვიდეს მისთჳს. ვინცაღა დეკანოზი იყოს, ტრაპეზარსა უთხრობდეს: ხუთთა მამასახლისთა ქუეშე მორჩილი ყოფილა და დიად მსახურეული. ხუ[თ]თავემცა მათ მამათა მადლითა კანონსამცა ქუეშე არს, ვინცა ესე ჩუენი გაგებული შეცვალოს და აწყინოს რაჲსათჳსცა მიზეზისათჳს. ვინცა კარგად მისცემდეს, ღმერთმან აკურთხოს.

---

[1] დაწერილია XII საუკუნის კალიგრაფიული ნუსხურით. ამავე ხელით არის დაწერილი მომდევნო № 148 ალაპი.

## 148/28 ტაბ. $IX_6$ პ.

თუესა იანვარსა ზ. ალაპი განუწესეთ არსენი მარდეზის ძესა, თფილელსა ხანბაშურსა,

ამისთჳს აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა: ლოცვითა, პანაშჳდითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა. 203 r ეწდეოდის მწუხრი სამი და სამხრად – ოთხი, და ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი. მოგუცა პერპერაჲ **კ** და **იႳ**, მემსგეფსე მისთჳს მას დღესა ჟამსა უწირვიდეს[1].

[1] დაწერილია წინა (№ 147) აღაპის ხელით.

## 149 ტაბ. $IX_2$ ბ.

თუესა დეკენბერსა **კთ**, დღესასწაულსა წმიდათა ჩჩჳლთა ყრმათასა, აღაპი აბულასან ქუთათელისაჲ. ამისთჳს, რამეთუ შემოსწირა პერპერაჲ **მ**. და აღესრულებოდის აღაპი მისთჳს, ვითა სხუათა შემომწირველთაჲ, რამეთუ მოგუცა კელითა ნიკოლოზ გულაბერისძისაჲთა და განუწესე მე, მამამან პავლე, და ყოველთა ძმათა.

## 150/88 ტაბ. $IX_2$ ბ.

თუესა ივლისსა **ბ**, დადებაჲ სამოსლისაჲ ყოვლად წმიდისაჲ ვრაქერნას. ამას დღესა განუწესეთ აღაპი ვარდანს, კოსტანტის ძესა, და მეუღლესა მისსა მარიამს და შვილსა მათსა გიორგის, მოსცეს ეკლესიასა პერპერაჲ **თა**, სტავრად **ა** და სამი ზოლო ორხაოჲ, და ამათთჳს გარდაიკადებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა შემომწირველთაჲ, რომელთა შემოუწირავს **Ⴓ** დრაჰკანი.

## 151/23 ტაბ. $IX_2$ ბ.

თუესა დეკენბერსა **ლ**, დღესასწაულსა წმიდისა ანოსიაჲსსა. განუწესეთ აღაპი ძმასა ჩუენსა იანიკსა, მორფიტიანყოფილისასა მისისა მრავალთა ჟამთა მსახურებისათჳს და შემდგომად სიკუდილისა მისისა პერპერაჲ **მ**. აღესრულებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ. ვინ არა გარდაიკადოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

### 152 ტაბ. $IX_2$ პ.

თუესა იანვარსა იჱ, წმიდისა ათანასეს და კჳრილეს დღესასწაულსა. მიქაელ ხუცეს კანანახისა, რათა გარდაეკდებოდის, ვითარცა სხუათა ყოველთა განწესებულთა. სამწუხროდ...

.......................................

ამან ძმამან ქამსა დიდად...

.................................

კუალად...............[1]

...............................

– – – – – – – – – – – – – – – – – –

[1] გამოცემის წაკითხვა: „თუესა იანვარსა: იჱ: წმიდისა ათანასეს დღესასწაულსა დავაწესეთ აღაპი იოსებ (?) კანანახისაჲ, რათა გარდაიკდებოდის, ვითა სხუათა შემომწირველთაჲ... ამან ძმამან იოსებ ... და დაგუიწერნა მისსა სიცოცხლესა... კურთხევაჲ“.

### 153/95 ტაბ. $X_1$ $X_4$ ნ. გ.

203 v /თუესა ივლისსა კე, მიცვალებასა წმიდისა ანნაჲსსა. განგჳწესებია თამარ დედოფლისა და აღაპი, რამეთუ ოდეს კელინნი დაგუჱწუნეს და მონაზონნი აღმოსავლეთს გავგზავნენით, თამარს მოეცა ევლოგიად კ დუკატი და ორნი დიდნი სტავრანი, რომელნი ოც-ოცსა დრაჰკანსა სჯობდეს; და კუალად ნიკოლოზ გულაბერისძემან მოგუცა მისივე კ პერპერაჲ რუჲსა წაკდომილისა შესაკაზმავად და წისქვილისა და ბოსტნისა შესაქმნელად. და ამისთჳს ამას დღესა განუწესეთ, რაჲთა გარდაეკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა: ლოცვითა და მწუხრისამ-სამითა კრასეულითა, და დილასა წირვითა, და ძალისაებრითა ტრაპეზითა. და ვინ ესე განწესებული არა აღასრულოს და შეცვალოს, შე-მცა-ცვალებულ არს შჯულისაგან ქრისტიანეთაჲსა.

მას[1]. სხუაჲცა უფროისი განეწესა ამის მონასტრისათჳს, უკუეთუმცა ჰავთა ღორთა კაცთა არ დაეკლო.

[1] აქედან ტექსტი მიწერილია მარცხენა კიდეზე იმავე ხელით.

### 154/80 ტაბ. $XIII_2$.

თუესა[1] ივნისსა ია, წმიდისა ბართლომესსა და ბარნაბაჲსა. პანაშუდი არის გიორგი ქართველისაჲ, მოსცა ეკ-

ლესიასა პერპერაჲ კვ. ამისთჳს გარდაიკდებოდის ყოვლითა გულს-მოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ: „უფალო ღა-ღადყავსა“ ზედა მოჴსენებაჲ, კირილეისონი მ, სერობისა ლოცვასა – „სულისა გალობანი“ და მოჴსენებაჲ, ცისკრისა ლოცვასა ზედა – მოჴსენებაჲ, ჟამისწირვასა – სეფისკუჱრის აღმოკუჱთაჲ და მოჴსენე-ბაჲ, და თესლი ტრაპეზს და ლოცვაჲ და კრასეული.

---

[1] აღაპი დაწერილია მეჩხერი ოთხკუთხა ნუსხურით, რომელიც მსგავსია 132/146 აღაპის ხელისა.

## 155 ტაბ. $X_2$ ნ. გ.

/თ უ ე ს ა [1] ს ე კ დ ე ნ ბ ე რ ს ა კვ, მიცვალებაჲ წმიდისა იოანე 204 r
მახარებელისა. სახელითა ღმრთისაჲთა, მამისაჲთა, ძისაჲთა და სუ-ლისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა-ჲთა, მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა ზეცისა ძალთაჲთა, წმიდისა იოანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდისა იოანე ღმრთისმეტყველისა და მახარებელისაჲთა, და მეოხებითა და მადლითა წმიდათა მამათა ჩუენთა ე ფ თ ჳ მ ე და გ ი ო რ გ ი ს ი თ ა და ყოველთა წმიდა-თაჲთა. ვინაჲთგან უკუჱ თჳთ ყოვლისა სიბრძნით განმგებელმან, სახიერმან და ყოველთათჳს კაცთმოყუარებით წყალობის-მეძიებელმან, არაარსობისაგან არსად მომყვანებელმან ყოველთამან, უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რომელნი-უკუჱ-ესე სახელის მოდგამობასა მისსა ღირს ვექმნენით, რომელნიცა აღვიბეჭდენით წმიდითა ბეჭდითა მისითა და აღნიშნულ ვიქმნენით წმიდითა სისხლითა მისითა, არათუ ოდენ ხოლო სიტყჳთ და არცა წინაწარ-მეტყუელთა და მოციქულთა მიერ გუაუწყა და განგჳწესა სახე და კეთილმოქმედებისა მიმართ მარადის მოძრავობაჲ ცხორებისა მისთჳს საუკუნოჲსა, რაჲთა შვილ ნათლის ვიპოვნეთ დღესა მას აღდგომისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა.

არამედ უკუჱ ტკბილმან მან და სახიერმან, მოქმედმან წყალობი-სამან ათასამდე, თჳთ უკუჱ თავადმან მან ჯერ-იჩინა ყოვლისავე კეთილმოქმედებისა სახის ჩუჱნებით მაწუჱველობაჲ გზასა ჭეშმარი-ტებისასა, ესე იგი არს: სიმდაბლე, სიმშჳდე, სიტკბოებაჲ და სიყუარუ-ლი, გლახაკთა წყალობაჲ უსასყიდლოდ, ლოცვაჲ და მარხვაჲ, და ღუწაჲ ყოველთაჲვე სახიერებით, მოთმინებაჲ, ვნებაჲ და სიკუდილი, და ყოველივე, ვითარცა წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა.

ამის უკუჱ ყოვლისა სიბრძნით და გონიერებით გამომკულე-
ველმან და მარადის მეძიებელმან სასუფეველსა და სიმართლესა მისსა ნათესავსა შორის ჩუენსა, თავისა თჳსისა ბრწყინვალედ საცნაურ
204 v მყოფელმან / ი ო ა ნ ე   მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ ა   უ ხ უ ც ე ს მ ა ნ, ყოველთა უკუჱ კეთილმოქმედებათა მისთა თანა აღმოსავლურთა და დასავლურთა და პალესტინისა ქვეყანისათა, უმეტესადღა უკუჱ ჩუენ შორის საცნაურ ყო კეთილმოქმედებაჲ თჳსი, და არა დავიწყებულ ვიქმნენით სიშორისათჳს, არამედ სიშორესა გზისასა და სივრცესა ზღჳსასა აღჴრ-ასხნა გულსმოდგინებამან შიშისა და სიყუარულისა ღმრთისამან, სიტყჳსა მისებრ, ვითარმედ: „მახლობელთა კელისა ამპყრობელ ვექმენ და შორიელთა წყალობით ვეწიეო“.

არამედ უკუჱ სიყუარულითა საღმრთოჲთა, რომელი-იგი დაუყენებელი არს და განმკუჱთელი ზღჳსა და კმელისაჲ და ეთერისაჲ – ჩუენ შორიელთა უმახლობელეს გუჱქმნა მახლობელთაჲსა ვერარაჲს დამახრწეველობით. რამეთუ მას ჟამსა, ოდეს მანქანებითა ბოროტთდასაბამისა ეშმაკისაჲთა, კელინნი მონასტრისა ჩუენისანი გარდამწუარ იქმნნეს, მაშინ უკუჱ, ვითარცა უღონობისა ფრიადისაგან მოცვულთა, სამნი ძმანი აღმოსავლეთს გავგზავნენით, რომლისათჳსცა უკუჱ არა სირცხჳლეულ იქმნა სასოებაჲ ჩუენი, და გამოგჳჩნდა შემწე კეთილი მიჭირვებულობისა ჩუენისაჲ, და ქველისმოქმედი, სახიერი, უჭეშმარიტესი ითქუმოდენ, ვითარმედ ერთგული საკუთარი და საყუარელი მონაჲ ქრისტესი და ყოვლად წმიდისა დედისა მისისაჲ ი ო ა ნ ე   მ წ [ი გ ნ ო ბ ა რ თ] უ ხ უ ც [ე ს ი], და მოუძღუანა ყოვლად წმიდა ევლოგიაჲ: პერპერაჲ ლიტრაჲ დ და შემდგომად კუალად მისსა ფარჩი ა ოქროჲსაჲ, და მისგან განსრულდა ხუთად ნუგეშინის-საცემელად უღონობისა ჩუენისა და საუნჯედ სულისა მათისა საუკუნოდ, რაჲთა მერმესა მას ასეულად და ბევრეულად კუალად უკუ-მოეგოს მისდავე, რომელი-ესე შეწევნითა ღმრთისაჲთა და ყოვლად წმიდისაჲთა / კეთილად მოიწია მსგავსად 205 r
გულსმოდგინებისა მისისა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „მხიარულად მისაცემელი უყუარს ღმერთსაო“.

ამისთჳს უკუჱ და ჯერ-იყო ჩუენდაცა, რაჲთამცა ძალისაებრი ნაცვლისგებაჲ ჩუენგანცა მიეღო აქა განჩინებითა საუკუნოდ გებისა მომატყუჱბელი, რაჲთა კსენებაჲ მართლისაჲ ქებით აღესრულებოდის მარადის, რომელსა უკუჱ და იგიცა წადიერ იყო.

ამისთჳს უკუჱ განუჩინეთ მე, მამამან პავლე, მოძღუარმან, დეკანოზმან და ყოველმან კრებულმან, შინა მყოფთა და გარეთ დაყუდე-

ბულთა უდაბნოჲსათა, ყოველთა ერთითა სიტყჳთა და ერთითა განზრახვითა, უმჯობესად გამორჩევითა ესრე სახედ, რაჲთა ყოველთა წელიწდისა მოჴ[ც]ევთა შჳდეულთა ამათ შინა, ვითარცა არს წესი მონასტერთა მსგეფსისა ქმნისაჲ ხუცესთა მიერ, ვითარცა ხუცესმან მსგეფსი გაასრულოს დიდისა ეკლესიისაჲ, პარასკევამდის აღასრულებდეს მემსგეფსე, და იგივე ხუცესი შაბათსა წარვიდოდის ცოტასა ეკლესიასა, რომელი განგჳწესებია იოანე მწიგნობართუხუცესისა და, და მას შინა იოანესთჳს წირვიდეს მემსგეფსე.

და მასვე შაბათსა დიდსა ეკლესიასა სხუაჲ მემსგეფსე და-ცაიწყებდეს და წირვიდესცა, და ესრეთ აღესრულებოდის ყოველთა შჳდეულთა. და უკუეთუ შაბათსა პარაკლისი ვისიმე ესეთი მიხუდებოდის, რომელ ხუცესთა ერთობით ვერ ელეოდიან, პირველად გამოიკითხოს და ცნას მემსგეფსემან, რაჲთა პირველადვე სხუასა დღესა წიროს, ხუთშაბათსა, ანუ თუ პარასკევსა იოანესთჳს; და რომელმანცა ხუცესმან თანა წარიკადოს უწირავად დატეობითა, ღმერთმან მას დიდსა დღესა მოჰკადოს სულსა მისსა. და ამის სიმტკიცისათჳს განვაწესეთ, რაჲთა თითო ლიტრაჲ ზეთი მიეცემოდის ხუცესსა, ოდეს შაბათსა წიროს იოანესთჳს.

/და კუალად მეორედ განგჳწესებია, რაჲთა წელი- 205 v
წადსა შინა ერთგზის გარდაიკდებოდის პარაკლისი იოანესთჳს ყოვლითა გულსმოდგინებითა თუესა სეკდენბერსა კგ, დღესა წმიდისა იოანე მახარებელისა და ღმრთისმეტყუელისასა: მწუხრი გალობითა, ფსალმუნებითა და დიდების მეტყუელებითა. და შემდგომად გამოლოცვისა, მოერთუმოდის ძმათა ხილი, რაჲცა რაჲ დახუდეს მის ჟამისაჲ, და ეწდეოდის ღჳნოჲ ოთხ-ოთხი. და ეგრეთვე თავადსა მეორესა დღესა, რაოდენნიცა ხუცესნი იპოვნენ, ყოველნივე დაუკლებელად მისთჳს შეიმოსნენ. და ტრაპეზი განემზადოს ყოვლითა გულსმოდგინებითა. და ეწდეოდის ღჳნოჲ ხუთ-ხუთი.

ეგრეთვე კუალადცა განვაწესეთ, რაჲთა ყოველთა დღეთა ცისკრისა ლოცვასა და ჟამისწირვასა და მწუხრისა ლოცვასა მისთჳს კუჃრექსი ითქუმოდის „შეგჳწყალენისაჲ", ვითარცა სხუათა დიდთა შემომწირველთა და მაშენებელთათჳს ითქუმის.

ესრეთ უკუჱ განვაწესეთ ყოველთა ერთობით სიმტკიცისა და უძლეველობისათჳს, რაჲთა მისმან ჩუენდა მომართმან საღმრთომან გულსმოდგინებამან მიიღოს ჩუენმიერიცა ნაცვლისგებაჲ.

და ვინ ესე ჩუენ მიერ განწესებული შეცვალოს, მამამან ანუ თუ ძმათაგანმან ვინმე, დეკანოზმან, გინათუ კონომოსმან, დიდმან ანუ თუ

მცირემან, შე-მცა-ცვალებულ (ა)რს წესისაგან ქრისტესმიერისა, და ღმერთმან საშჯელი მიჰკადენ დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამენ.

[1] ალაპის პირველი სტრიქონი დაწერილია სინგურით. ამის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე ალაპის ხელით, უფრო წვრილი ნუსხურით მიწერილია: „ი(ოა)ნე მწიგნობართა უხუცესისა სალოცავი არს ამას დღესა". ალაპი დაწერილია გაბმით. მთავრული ასოებით აღნიშნულია აბზაცის დასაწყისები.

## 156 ტაბ. XIII$_1$

206 r / თუესა[1] იანვარსა **ია**, წმიდისა პავლე თებელისასა. განუწესეთ პანაშჳდი პ ა ვ ლ ე ს  ქ უ თ ა თ ე ლ ს ა, ვითა სხუათა შემომწირველთა ამის ესოდენისა ევლოგიისათა, რამეთუ მოსცა დრაჰკანი პერპერაჲ **მ** მამისა პავლეს კელითა ინდიკტიონსა **ა**. ამისთჳს გაუწესეთ სალოცავი: მწუხრისა ლოცვასა მოჴსენებაჲ, კირიელეისონი **მ**, სე[რო]ბისა ლოცვასა ზედა გალობანი და კირიელეისონი **მ**, ცისკრისაჲ ლოცვასა კირიელეისონი **მ**, წირვასა — ამოკუეთაჲ სეფისკუჱრისაჲ, კირიელეისონი **მ**, და თესლი, და ტრაპეზ[ი], და ლოცვაჲ. ვინცა უდებჴოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

[1] დაწერილია მსხვილი, მეჩხერი, სწორი და კუთხოვანი ნუსხურით.

## 157 ტაბ. XV$_1$

წინადღე[1] განცხადებისაჲ. განუწესეთ ალაპი ივანეს სხალთაგაწევს. და აღესრულებოდეს ესრე სახედ: მიმწუხრ პანაშუიდითა, საგალობლითა „ღმრთისმშობელისაჲთა" და „სულისათა". ეკლესი[ი]ს კარს ძმათა ნუგეშინისცემითა, ხილითა და ღჳნისა[2] წდევითა სამ-სამითა, ხოლო დილასა — ჟამისწირვითა და წელიწდისა დღეთა სამარადისოდ სეფისკუერისა ამოკუეთითა და ტრაპეზისა გარდაკდითა, და ძმა[თა] ყოვლითურთ ნუგეშინისცემითა, და წდევითა ხუთ-ხუთითა კრასაულითა ყოველთა დღეთა ტრაპეზსა შიგა და ლოცვითა.

[1] დაწერილია მსხვილი თავისებური ნუსხურით.
[2] თავდაპირველად ეწერა: „ღჳნითა" დამწერს „თა" გადაუშლია, დაუწერია „სა".

## 158 ტაბ. XVII

206 v /თ უ ე ს ა[1] ა პ რ ი ლ ს ა  **კთ**-სა, ინდიკტიონსა **ბ**. დაუტევა

მამამან პავლე მამობაჲ, შეჰვედრა პირველად ღმერთსა და მერმე ყოვლად წმიდასა, და კრებულსა ყოველთა ძმათასა, და მათ ყოველთა ერთობით, ერთჳმობით, თანადგომითა მამისა პავლესითა გამოარჩიეს დიდ კონომოსი გიორგი და და[ა]დგინეს მამად. და მი[ი]თუ[ა]ლნა ეკლესიანი უნაკლულოდ ყოვლითურთ: სანთლითა და ყოვლითა სამკაულითა, და სახუარბლე ხუარბლითა, ვითარ ათას ხუთასითა მოდითა დიდითა, და საფქვილე[2] სავსე ფქვილითა, სავაჟინე – ღჳნითა, საყოფინელითა ქამამდენ, და საზეთე – ზეთითა, ვითარ ხუთასითა მეტრითა, საკონომოსოჲ ჭურჭლითა სამესითოჲთა და კანაფითა, ფისითა, ოღროფ და რკინითა ჭედილითა და უჭედელითა, და ამლახტითა, სამამოჲ საგებელითა ახლითა, ლაფანჩითა მელისაჲთა ახლითა, სადოშიაროს რომელ მივ[ა] თუ [ა]ლეთ პერპერაჲ **მ**, ტრიკეფალი **ჩ**, და სხ[უაჲ] – შჳდას სამოცი; და ნავითა მოიღო იოანე ლობერდმან პოროსით პერპერაჲ **ი**, და კანაფი პე[რ]პერისაჲ **ვ** – სისა, ნავი უფროჲსი მოდისა ათასისაჲ, სრული ყოვლითა ჭურჭლითა, შედეგი მისი სანავტიკონი[3] მოდისა ხუთასისა, ყოვლითა ჭურჭლითა, და სხუაჲ – მოდისა ორასისა, აკაზმულობითა მისითა ახალი.

---

[1] დაწერილია სწორი, კუთხოვანი ნუსხურით.
[2] საფქველე.
[3] სანასტიკონი.

**159 ტაბ. XV₃**

/თ უ ე ს ა ი ა ნ ვ ა რ ს ა [ბ][1], დღესასწაულსა წმიდისა სილიბისტროჲსა. განუწესეთ აღაპი ა ნ ა ს უ ღ ლ ი ს და შვილსა მისსა ი ა ღ ი ს ესრე სახედ: გარდაეკადებოდის მწუხრი გალობითა და კჳრიალესონითა და ძმათა ეკლესიის კარსა ნუგეშინისცემითა: ხილითა, სამ-სამითა წდევითა ღჳნითა, ხოლო დილასა ამოკუწთითა და ქამისწირვ[ი]თა, კჳრალესონითა მ-ცითა და ჯერისაებრითა აღაპისა გარდაკდითა, ხუთ-ხუთისა კრასაულისა წდევითა და ლოცვითა ტრაპეზსა ზედა ამისთჳს, რამეთუ მოსცა მონასტერსა დრაჰკანი ბოტანოტი ასი. 207 r

---

[1] ტექსტში ბ არ არის აღნიშნული.

**160 ტაბ. XV₁**

დ ღ ე ს ა ლ ა ზ ა რ ო ბ ა ს ა. განუწესეთ აღაპი ა ბ უ - ს ა ლ ა ს ა ნ ი ს ძ ე ს ა ო ქ რ ო პ ი რ ს ა და ცოლსა მისსა ესე-

207 v სახედ: მიმწუხრი პანაშუიდითა, დილასა ამოკუწთილითა და ჟამისწირვითა და ტრაპეზსა გარდაკდითა ჯერისაებრითა; ხუ/ თ-ხუთისა კრასეულისა წდევითა და ლოცვითა ტრაპეზსა ზედა ამისთჳს, რამეთუ მოსცა მონასტერსა პერპერაჲ სამოცი.

## 161 ტაბ. XV$_3$

თუესა ივნისსა იჱ, დღესასწაულსა წმიდისა თეოდორესსა. განუწესეთ ალაპი თ ე ვ დ ო რ ე ჰ ი ლ ა კ ი ს ძ ე ს ა და დედასა მისსა ხ არ ე ბ ა ს. გარდაეკადებოდის ესრე სახედ: მწუხრი პანა-შუიდითა და ძმათა ეკლესი[ი]ს კარსა ნუგეშინისცემითა, ხილითა და სამ-სამითა წდევითა ღუნითა, ხოლო დილასა ამოკუწთილითა, ჟამისწირვითა, და ტრაპეზსა ძალისაებრ გარდაკდითა და ხუთ-ხუთისა კრასეულისა წდევითა, ლოცვითა ტრაპეზსა ზედა. და ამისთჳს, რამეთუ მოსცა მონასტერსა ოთხმოცი პერპერაჲ, რომლითა ვიყიდეთ ტყუჲვი სართულთათჳს ეკლესიისათა.

208 r

## 162 ტაბ. XX

/ პ ა ტ რ ო ნ ს ა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ყოველნი ცოდვანი მისნი შეუნდვნეს ღმერთმან.

მეორედცა პ ა ტ რ ო ნ ს ა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს შეუნდვნეს ღმერთმან.

მესამედცა პ ა ტ რ ო ნ ს ა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს შუენ(დვნე)ს ღმერთმან.

მეოთხედცა პ ა ტ რ ო ნ ს ა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს შეუნ(დვნე)ს ღმერთმან.

ესე საცნაურ იყავნ, წმიდანო მამანო და ძმანო, რომელ-ესე ქუემოთცა სწერია: დიდი და სახელგანთქმული საქართველოსა ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ჯ ა ყ ე ლ-ც ი ხ ი ს ჯ უ ა რ ე ლ და დიდად წა[რ]ჩინებული პ ა ტ რ ო ნ ი ყ უ ა რ ყ უ ა რ ე, ნებიერად და ღმრთისმსახურებით ცხორებდა და დღეკეთილობით აღასრულნა ყოველნი დღენი მისნი და სიბერითა კეთილითა უფლისა მიერ მი[ი]ცვალა[1] [ქრონი] კონსა **რპვ**.

პატრონსა ყუარყუარეს ცოდვანი მისნი შეუნდვნეს ღმერთმან.

და შემდგომად მისა პირმშო ძე მისი ქ ა ი ხ ო ს რ ო ეპატრონა ყოველსა საკელმწიფოსა მამისა მისისასა, ღმრთისმსახური და ყოვლითურთ სრული საღმრთოჲთა საკაცოჲთა[2] ზნე-უკლები, გლა-

ხაკთა, ობოლთა და დაღონებულთა კელისა ამპყრობელი, და ამა სოფლისა პ[ა]ტრონობა[სა]ზედა არღარასა ხანისა დამყოფელი, სიტყ[უ]ითა ღმრთისათა ამა საწუთოჲთ, ჵ მე, საუკუნოდ მიიზიდა, და დიდი მწუხ[ა]რებაჲ და გლოვა მოატყუა მამულსა სახლსა მისსა, და, უფროჲსღა, ძმასა და მისსა პატრონსა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ს, რამეთუ ფრიად სიყუარული აქუნდა ურთიერთას[3], და დიდად იზრუნვა სულისა მისისათჳს, რამეთუ უხუად მიჰფინა საკსენებელად სულისა მისისათჳს თჳსთა ქუეყანათაცა და უცხოთაცა. და შემდგომად ამისა მე, სავაგლახო, აღზრდილი კურთხეულისა და სულდიდებულისა პ ა ტ რ ო ნ ი ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ი ა მ ბ რ ო ს ი წარმომავლინა პატრონმან, ძმამან მათმან მ ზ ე ჭ ა ბ უ კ სრულიად საბერძნეთად, იჵრუსალემს და სინასცა მრავლითა ს[ა]ქონლითა, დაუწყეთ გაცემა 208 v
ტრაპიზ[ო]ნტით კოსტ[ა]ნტიპოლემდის და კოსტ[ა]ნტიპო/ლითგან ვიდრე ამა წმიდასა მთამდე და მოვლეთ ყოველნი მთისა ამის მონასტ[ე]რნი, სადაყუდებულონი და მესენაკენი და წესისაებრ მოვაკსენეთ მოსაკსენებელი და სალოცავი, და სრულიად ელადისა და მაკიდონის თემსა მონასტერთა, მიტროპოლიტთა, ებისკოპოზთა, ხუცესთა, გლეხთა და ტყჳს-უფალთა – ყოველთავე ზედა დიადი გავეცით. ეგრეთვე ჩუენსა ამას მონასტერსა მოვაკსენით ოცდახუთიათას ხუთასის ოთმანურისა, ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად; და მამამან და სრულიად კრებულმან მონასტრ[ისა]მან გააჩინეს და შეგჳკუ[ე]თეს სულდიდებულისა პატრონის ქ ა ი ხ ო ს რ ო ს თ ჳ ს ყოველთა პარ[ა]სკ[ე]ვთა მწუხრი კოლიო. და შაბათსა წირვა რა სდომიცა მღდელი იყოს, და ტრაპეზს შესულა და მისთჳს ლოცვაჲ ესე სამარადისო ყოველთა შაბათთა, და ერთი აღაპი დღესა მიცვალებისა მისისასა მაის ექუსა წირვითა, რაჲსღომიცა მღდელი იყოს, ბერძენი თუ ქართველი, – მწუხრი პანაშჳდითა, ტრაპეზს შესულითა, შეგჳწყალენთა ზედა მოხსენებითა და სამარადისოდ ლოცვითა, ვითარცა აღმაშენებელთა მოიკსენებდენ. და ვინ ესე უდებ-ყოს და ესე გაჩენილი მოშალოს და გულსმოდგინებით არა აღასრულოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

---

[1] მიცვალდ.
[2] საკცობითა.

[3] ურთიურთიერთას.

## 163 ტაბ. XX

ეგრეთვე აღზრდილი პ ა ტ რ ო ნ ი ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ი ა მ ბ რ ო ს ი დიდად შეეწია ამა მონ[ა]სტერსა, პორტიატისა ღმრთისმშობლისა ხატი მოჭედა მძიმედ, მისსავე ეკკლესიასა ზედა პირლო აღაშენა და გა[ა]მაგრა თოფითა, და საუძლურე აღაშენა მისით აკაზმულობითა, და ღომატო მეტოქი მისით[ა] წყალობითა აშენდა. და ამისთჳს გაუჩინეთ ჩუენ, მონასტერმან, მამამან და სრულიად კრებულმან ძმათამა[ნ] ყოველთა სამშ[ა]ფათთა პორტიატისა ხატს წინაშე წირვა მისის სულისათჳს, ტრაპეზს შესულა და მისის სულისა მოხს[ე]ნებ[ა] ყოველთა ძმათაგან, ვითარცა აღმაშენებელთათჳს წერილ არს.

ვინ ესე დააკლოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი, ამენ.

209 r

## 164 ტაბ. XX

/პ ა ტ რ ო ნ ს ა ბ ა ჰ ა დ უ რ ს ყოველნი ცოდვანი მისნი შეუნდვნეს ღმერთმან.

მეორედცა პ ა ტ რ ო ნ ს ა ბ ა ჰ ა დ უ რ ს შეუნდვნეს ღმერთმან.

მესამედცა პ ა ტ რ ო ნ ს ა ბ ა ჰ ა დ უ რ ს შეუნდვნეს ღმერთმან, ამენ.

დიდსა და მაღალსა ქართველთა ათაბაგსა და სამცხისა სპასალარსა ჯაყელ ციხისჯუარელსა[1], პ ა ტ რ ო ნ ს ა ყ უ ა რ ყ უ ა რ ე ს ცოდვანი მისნი შეუნდვნეს ღმერთმან.

და მათსა მეუღლესა პატრონსა დ ე დ ი ს ი მ ე დ ს ა შეუნდვნეს ღმერთმან, ამენ.

და მათსა ძესა პირმშოსა პატრონსა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს შეუნდვნეს ღმერთმან. [პ ა] ტ რ ო ნ ს ა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ს შეუნდვნეს ღმერთმან.

და კუალად მეოთხედ პ ა ტ რ ო ნ ს ა ბ ა ა დ უ რ ს შეუნდვნეს ღმერთმან.

და პ ა ტ რ ო ნ ს ა ი ა ნ ქ ო ს შეუნდვნეს ღმერთმან.

და ეგრეთვე პ ა ტ რ ო ნ ს ა ო რ ა ვ ჟ ა ნ დ ა ს, მ ა ნ უ ჩ ა რ ს და მ ა რ თ ლ ი ხ ო ნ ს შეუნდვნეს ღმერთმან.

და ამათთა დათა[2], პატრონსა დედოფალსა, პ ა ტ რ ო ნ ს ა რ ა ო დ ე ნ ს და პ ა ტ რ ო ნ ს ა გ უ ლ ბ უ დ ა ხ ს შეუნდვნეს ღმერთმან.

[ს]აცნაურ იყავნ, ჩუენთა ამათ პატრონთა აქა აღწერისა მიზეზი

ესრეთ იქმნა: პატრონი ბ ა ჰ ა დ უ რ, რომელი პირველ სწერია და
მერმე ძმათა თანა რიგსა ზედა, თუ რომელთა იყო უმრწემეს ანუ
უდიდეს, ესე პატრონი ჩუენი ბ ა ჰ ა დ უ რ განეყო მშობელთა და
ძმათაგან და, უფროჲსღა ვთქუა, სოფლისაგან, და წარვიდა გზასა მას
საუკუნესა ჭაბუკი, ყოვლითურთ სრული საღმრთოთა შინა, ხოლო
ჰასაკითა ოცისა, გინათუ კა-ისა წლისა, და აღავსო სახლი მამული 209 v
მწუხარებითა / გამოუთქმელითა. მაშინ დიდებულთა მშობელთა და
ძმათა ამისთა, ღმრთისმსახურებისა ძლით, თჳსსავე თემსა და ქუეყა-
ნასა თანა უცხოთა ქუეყანათა უხუად მიჰფინე[ს] საჴსენებელი და
სალოცავი, ვითარ-იგი იერუსალჱმს და სინაჲსცა, და ეგრეთვე ჩუენ
მოგუცეს საქონელი და წარმოგუა[ვ]ლინნეს[3] საბერძნეთისა ქუეყა-
ნასა. და წარმოვედით და, ვითარცა ჴერ-იყო, განვჰყოფდით ებისკო-
პოზთა, მონაზონთა, მღდელთა და გლახაკთა ზედა ტრაპეზონთასა
კოსტანტინეპოლედმდე და ვიდრე ამა წმიდად მთამდე. და მოვლეთ
ყოველი მთისა ამის მონასტერნი და, წესისაებრ, მოვაჴსენეთ მოსაჴსე-
ნებელი და სალოცავი: და ეგრეთვე განვიცადეთ ჩუენი ესე მონასტერი,
რამეთუ ყოველთაგან უმეტეს დაგლახაკებულიყო, და ეკლესია ფრიად
დაძუჱლებულიყო, და სენაკები და ზღუდენი და პირღოსნი უმეტესნი
დაქცეულ იყვნეს, და ფრიად უნუგეშინისცემოდ გასრულიყო. და ამას
ესევითარსა უპოვარებასა შინა მოვაჴსენეთ ამა ჩუენსა მონასტერსა
ოცი ათასისა ოთმანურისა, რომელიმე ფლურად და რომელი[მე]
თეთრად, და ეგრეთვე, ორნი ცხენნი, და გავაჩინეთ ერთი აღაპი
პატრონისა ბ ა ა დ უ რ ი ს თ ჳ ს დღესა მიცვალებისა მისისასა
ოკდონბერსა ათსა, რაჲთა რაოდენიცა მღდელი იყოს, ბერძენი თუ
ქართველი, ჟამსა წირვიდენ და ტრაპეზად შევიდოდენ და ყოველთა
სეფის ამოკუჱთათა მოიჴსენებდენ, და სახარებისა, და სამოციქუ-
ლოსა, და სჳნაქსარსა ზედა მოიჴსენებდენ, და ყოველთა ლოცვათა,
ვითარცა აღმაშენებელნი მოიჴსენებოდენ. და ვინ ესე უდებ-ყოს და
ესე განჩენილი მოშალოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

ხოლო ამის საქმისა მსახურნი, რომელნი სამცხით მოიწივნეს,
ერთი ბერძენი იყო, მღდელმონაზონი, სახელით სჳმონ, რომელი დი-
დით ხანით ყმა მათდა ქმნილ[4] იყო, და ერთი ქართველი მონაზონი,
სახელით აკაკი, სიყრმითგან მათ თანა აღზრდილი და მონა[5].

---

[1] ციხისჯურელსა. [2] დაჲთა. [3] წარმოგჳუალინნეს. [4] ქმნილი.

[5] აღაპი დაწერილია მსხვილი კალიგრაფიული ნუსხურით. გადამწე-
რისათვის დამახასიათებელია: „ა“-ს გადმოცემა „ჲ“-ით და სიტყვებში

ასოების დაკლება.

210 r **165 + 167 ტაბ. $IX_1$**

/სახელითა* ღმრთისაჲთა და ბრძანებითა ყოველთა ძმათაჲთა დავაყენეთ მ ა მ ა ჲ  პ ა ვ ლ ე თუესა მარტსა, ინდიკტიონსა გ და მივათუალეთ მონასტერი ეზომ გლახაჲ და ვალთა უფალი, რომელ ხუთასი დრაჰკანი იპოა გარდუკდელი და სოფელნი დაჭირულნი როდოილითგან და ვიდრე ნიკოლწმიდადმდე დიდისა აღმწერალი-საგან სამეუფოჲთა ბრძანებითა. ამისთჳს წარვიდა კოსტანტინეპოლის თუესა ფებერვალსა. დიდითა ჭირითა და მრავლითა ხარკებითა განათავისუფლა და აიღო წიგნი სიმტკიცისაჲ, რომელსა ჰქჳან დიალ-ნოსი აღმწერალისაჲ, და სიმიომაჲ მეფისა ბჭეთაჲ, რომელსა ზედა არის ბეჭედი ტყჳვისაჲ პროტონატარისაჲ ა და დიდისა აღმწერალისაჲ ა, ერთგან შეკიდულნი. და არარაჲ იკმარა მონასტრისაჲ. Ⴈ თუესა შინა ყოველი თხოვით და ჭირით გარდაიკადა. და მას ჟამსა შინა იყო იფქლი მოდი დრაჰკნად. ყოვლად წმიდისა შეწევნითა მიერითგან იწყო შენებაჲ მონასტრისა და აღაშენა: დიდისა ბურღოჲსა ბასილაჲთურთ ვიდრეცა სასნეულოდმდე, და პორტისა კარნი, და ეკლესიაჲ ყოვლად
210 v წმიდისაჲ გებით და მოხატვით, ყოვლად სრულებით. ამანვე აღამაღლა ზღუდენი / მონასტრისანი, რომელნი იყვნეს ფრიად მდაბალნი; და აღაშენნა კელინნი კარიაჲსანი, და მოიგო მონასტერი კანისკაჲსაჲ დიდითა წასაგებელითა, რომლისაგან იყო მონასტერი ჩუენი ყოვლად-ვე შფოთსა შინა და დიდსა ღელვასა.

ესე ყოველი მთასა შიგნით, ხოლო გარეგნით აღაშენა ბოლბო-ლისა მეტოქი სრულებით, და სოფელს – ეკლესიაჲ წმიდისა თეოდო-რესი, მოხატვით და ყოვლითურთ სრულებით; წისქვლი ორი თუალი მუნვე; და ახორი დიდი – ბისონას, და თესალონიკს, მეტოქს ნათლის-მცემელს – საენიკონი სახლნი, ერთ-კერძო და –კალამოკოპისა მონასტერი; ვინცა იკმარებდეს, იგიცა ყოვლად წმიდისაჲ. და აღაშენა ეკლესიაჲ მელინძათა ყოვლად წმიდისაჲ სრულებით ყოვლითურთ და მოხატვით; და მეტოქი როდოვილს სავაჟინროჲთ ვიდრე სამზარევ-ლოდმდე[1] მრგულივ ყოველი; და დობროიკს – ეკლესიაჲ წმიდისა მთა-ვარმოწამისა გიორგისი, ეგრეთვე სრულებით, მოხატვით და ყოვლი-თურთ. ამანვე მოიგნა მეგობრად კომნიანოსი კირ ალექსი და ცოლი
211 r მისი მარიამ; ეგრეთვე – ქ უ ა ბ უ ლ ი ს ძ ე ნ ი  ი ო ა ნ ე  და  გ რ ი გ ო ლ, რომელთაგან არა მცირედი შემოსავალი / მოვიდოდა მათ ჟამთა საღუაწად და ნუგეშინის-საცემელად ამის მონასტრისა,

ქამსა ჭირისა და სიგლახაკისასა.

ამანვე მამამან მოიგო ეზოჲ დიდთა კართა ეკლესიისათაჲ აბრე-
შუმისაჲ და დიდი საკურთხეველი შემოსა და შეამკო ყოვლითა
სამკაულითა ოქროქსოვილითა, და პორტის კართა, ეგრეთვე ბურ-
ღოს და ნიკოლწმიდის ყოველი სრულებით ახლად.

და ესე ყოველი წასაგებელი, რომელ სწერია, ნუთუ ვის მო-
ნასტრისა შემოსავალთაგან გეგონოს? ღმერთმან უწყის და ყოვლად
წმიდამან, რომელ თხოვითა, და რუდუნებითა, და ყოველთა ქენებითა
და მუდარობითა მიშოებია, და მითა მიქნია ყოველი, ვითარცა
ყოველთა ძმათა უწყიან. ამის ყოვლისათჳს განუწესეთ ერთითა
ერთობითა და ყოველთა ძმათა განზრახვითა: დიდი დღესასწაული
ამაღლებაჲ პანაშჳდად გარდაიკდებოდის, მწუხრი – კერასითა სამ-
სამითა და ხილითა, რაჲცა მას ჟამსა დაჰხუდეს, და სამხრად ტრაპეზს,
წესისაებრ სხუათა მაშენებელთაჲსა, ეწდიოს ხუთ-ხუთი.

** დაგვწესებია პორტის კართა ყოველთა დღესასწულთა და 211 v
კჳრისა ძალთა გასლვაჲ[2] ყოვლად წმიდასა წინაშე და / დასდებელსა
თქუმაჲ და „შეგჳწყ(ა)ლნესა“, და ოდესცა ხატი დაესუჩნებოდის, და
მამისა პავლეს მოკსენებაჲ სამარადისოდ, ვიდრე ამას წმიდასა
ადგილსა ქართველთა მკჳდრობაჲ იყოს.

აწ, მამაო დეკ[ა]ნოზო, ნეფსი[თ] ნუ ოდეს უდებ-ჰყოფ, და
ოდესცა ჟამსა ვინ წირვიდეს, ყოვლად მოკსენებაჲ სამითა კჳრიელე-
სონითა[3]. და ვინცა უდებ-ყოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[4].

და ესეცა დავაწესეთ, რომელ ყოველთა ძმათა ახალმიცვალე-
ბულთა ვიდრე ორმოცამდე მოიკსენებდენ დილა-მწუხრ მ კჳრა-
ლესონითა ცისკრისასა, წირვასა, მწუხრის[ა]სა და სერობისასა და
ყოველთა შაბათთა – თესლი. ესე დაწესებულ[ი] ყოველი ერთბამად
მამასა-ძმათა დაგჳმტკიცებია და არარაჲ არს ამას შინა უსამართლოჲ
და უწესოჲ. და ვინცა რაჲცა აქა წერილი რაჲ ვინ შეცვალოს, ღმერთსა
მან გასცეს პასუხი[***].

და არს, რომელ ყოველთა დღესასწაულთა რაჲზომიცა მწირველი 212 r
იყოს, / რომელ ყოველნი მაშენებელთათჳს შეიმოსებოდიან და ახალ
მიცვალებულთა ყოველთა ძმათა, ყოველთა მღდელთა ერთი დღე
უწირონ, და ერთი პანაშჳდი „ნეტარარიანითა“ და წდევითა, და
ყოვლითავე მონასტერმან გადაიკადოს. და ვინცა ნეფსით თანა-
წარჰკდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[5][****]. რომელთა-ესე დაიმარ-
ხონ და აღასრულონ, კურთხევაჲ და მადლი იყავნ ღმრთისაჲ და

წმიდათა მამათაჲ, ამენ.
და ესეცა მე, მამამან პავლე, გავაწე[სე], რომელ ყოველსა ჟამსა
იყუნენ ორნი მესულენი, სარწმუნონი კაცნი, რომელ იურ[ვ]ოდიან
ყოველსა, რაჲცა რაჲ იყოს სასულე, გარეთ შემოსრული ანუ შინა
ძმათაჲ, და არა იყოს მაცილობელი მათდა. და ვინცა გამოჩნ[დეს]
ამისი მაცილობელი, ღმერთსა მან გასცეს პასუხი[6].
და ვინ განამტკიცოს ესე, იგი იყავნ კურთხეულ.
ეკლესიისა შტოსა დაუვსებელი კანდელი დ და მთავარანგელოზ-
212 v თა ეკლესიასა კა[ნ]დელი ხუთი, [დაუვსებელი ა][7] პორტისა ყოვლად
წმიდისა ეკლესიასა – კანდელი ზ. / ტრაპეზს[8] დილა-მიმწუხრ პანაგისა
აყვანაჲ ზედგომით და ღუნისა შესუმაჲ ზედგომითვე, გინა წყლისაჲ;
პორტისა ყოვლად წმიდასა წინაშე მისულაჲ ყოველთაჲ ერთობით,
რავდენთაცა ძალ-ედვას: ხუცეს-მემკრეთაჲ და ყოველთაჲ. და
ყოველთა ოთხშაბათ[თ]ა გალობათა გარდაკდაჲ.
და ცისკრისა ლოცვასა ოდესცა სახარებაჲ წაიკითხვოდის, გინა
კჳრაჲ იყოს[9], გინა დღესასწაული იყოს, დაგჳწესებია თუსაგან რეკაჲ
დიდსა სარეკელსა, რაჲთა ყოველნი მოვიდოდია[ნ] სახარებისა[10] სმე-
ნად, ვისცა ოდენ ზეადგომაჲ შეეძლოს.
და სამარადისოდ იპიტრიტი ერთი და მარხვათა – ორნი. ესე
გავაწესეთ, ვითარცა სამართალი არის. წირვისათჳს არას ვჰპატი-
ჟობთ, – აჰა, იგინი და ღმერთი! და სხუაჲ რაჲცა ვინ შეცვალოს,
იგიცამცა შეიცვალების ქრისტეანობისაგან. და სხუაჲ უწესოჲ არაჲ
დაგჳწესებია.
***** ქ. ესე ყოველი ჩემითა კელითა დამიმტკიცებია ზემოჲთ
დაწერილი. ვინ შეცვალოს, წყ[ეულიმც] იყ[ოს] და შე[ჩუენე]ბული.
[+167] მე, პავლეს, დამიწერია ქრონიკონს [ტჟ].
[213 r] მე, მამამან პავლე, ყოველთა ძმათა კითხვითა განვაწე[სე]ნით ამათ
წმიდათა კ[ა]ნდელნი დაუვსებელად სამარადისოდ: ყოვლად წმიდისა-
სა სადიაკონოჲსა კართა ზედა წმიდათა მამათა ქართველთაჲ, წმიდისა
იოანე მახარებელისაჲ [ერთი – სადიაკონოსა მთავარანგელოზისა
წინაშე]. წმიდისა გიორგისი და წმიდისა დიმიტრისი. ამისთჳს დაგჳწე-
სებია, რომელ ყოვლად მეოხნი არიან ჩუენისა ნათესავისანი. ვინცა
რაჲსაცა მიზეზისათჳს შეცვალოს დაუვსებელობაჲ, შე-მცა-ცვალე-
ბულ არს შჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა, და ჰრისხავსმცა მამაჲ, ძე

და სული წმიდაჲ. და ესე ყოველნი წმიდანი, რომელ ზემო დაგჳწერიან. და ვინაცა ესე წერილი ამოკოცოს, ა-მცა-კოცილ არს საკსენებელი მისი წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა, და შეჩუეწნებულ იყოს ნისტორს და ორიგინეს თანა და ყოველთა მწვალებელთა თანა.

---

[1] სამზარივლოდმდე. [2] გასლა. [3] კურიეელესონითა. [4] პასუხკ. [5] პასუხკ. [6] პასუხკ. [7] კავებში ჩაწერილი ტექსტი მიწერილია მარჯვენა კიდეზე. [8] ტარპეს. [9] იოს. [10] სახერებისა.

* ალაპი დაწერილია XII ს. კალიგრაფიული ნუსხურით. მსგავსია 147–148 ალაპთა ხელისა. სამივე ხელნაწერისათვის (147, 148, 165) დამახასიათებელია სასვენ ნიშნად ძირითადად ორ-ორი წერტილის ხმარება, საკუთარი სახელების ორ-ორი წერტილით გამოყოფა.

** აქედან პავლეს ალაპის განგება გრძელდება სხვა ხელით.

*** „ღმერთსა მან გასცეს პასუხკ“ დაწერილია გადაფხეკილი ტექსტის ადგილას, სხვა ხელით.

**** „ღმერთსა მან გასცეს პასუხკ“ დაწერილია გადაფხეკილი ტექსტის ადგილას, სხვა ხელით.

***** აქედან ალაპის დასასრულამდე ტექსტი მიწერილია მარცხენა და ქვემო კიდეებზე XII ს. მდივანმწიგნობრულით, საფიქრებელია, პავლეს ხელით.

**166 ტაბ. II თ.**

/ ლოცვა ყავ, ძმაო დეკანოზო, უნდოჲსა და უღირსისა ი ო ა ნ ე თ ა ფ ლ ა ჲ ს ძ ი ს ა თ ჳ ს, რამეთუ ესე ალაპნი იქი-აქა დაფანჩულად ეწერნეს და საჭირო იყვნეს საძებნელად. ხოლო მე ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩუენისა ი ო ა ნ ე ს ი თ ა ჩემსა შავ დეკანოზობასა გარდავწერენ დაწყობით, ვითა ჯერ იყო. არარაჲ შეგჳმატებია და არცა რაჲ დაგჳკლია[1], თჳნიერ ცუდთა სიტყუათა. სხუაჲ ყოველი პირველისაებრ სწერია – ანაფორაჲთა და ყოვლითა, ვითარცა მუნ ეწერა, და ვითარცა ბრძანებაჲ მოგუეღო. ამისთჳს გულსავსე იყვენით, და ვინ სხუასა ალაპსა დასწერდეთ, აშლით ნუ დასწერთ, ადგილი ყოველგან დაგჳტეობია. და ჩუენთჳს ლოცვა ყავთ. 213 r

---

[1] ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

**167 ახ. 165+167**

## კომენტარები

### 1 ტაბ. $I_{1-2}$ დ.

დაღალისონელის რედაქციის საალაპე წიგნის პირველ ალაპად 15 დეკემბერს განწესებულია ალაპი მონასტრის ერთპიროვნული მაშენებლის იოანე სვინგელოზის, თორნიკყოფილისათვს. ეს ალაპი ყველაზე საპატიოა თავისი განგებით, ის შეიცავს „ყოველივე წესს" ლოცვისა, ჟამისწირვისა და ნუგეშინისცემისა მწუხრის, სერობის, ცისკრისა და სამხრის ღვთისმსახურებაში. ამიტომ სვინგელოზის ალაპის განგებას ნიმუშისა და ორიენტირის მნიშვნელობა ჰქონდა გამორჩეული პირების ალაპებისათვის.

ვფიქრობთ, 1042 წლამდე დაწერილი ალაპები განგებით „ვითა სჳნგელოზისათჳს" წარმოადგენენ დაღალისონელის საალაპე წიგნის თავდაპირველ, უძველეს ფენას, სადაც ალაპები შეჰქონდათ მხოლოდ ჩორდვანელთა გვარის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ათონის ჩორდვანელთა სახლის ქტიტორულ მონასტერთან (ვრცლად ამის შესახებ იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 47).

### 2 თ.

184r-ზე თაფლაისძის ხელით ჩაწერილია დეკემბრის თვის სამი ალაპი (2, 3, 4). ამის შემდეგ მას შეუწყვეტია ამ გვერდის შევსება ახალი ალაპებით. დარჩენილი თავისუფალი ადგილი შემდგომში შეუვსიათ იმავე დეკემბრის თვის ალაპებით უკვე სხვა პირებს. მათგან ზოგიერთის ვინაობის დადგენა შესაძლებელია ხელის მიხედვით: ალაპი № 5 ჩაწერილი ჩანს პავლეს მიერ (იხ. ტაბ. $IX_1$), ალაპი № 6 დაწერილია მიქაელის მიერ (ტაბ. VI), ალაპი № 7-ის ხელი საალაპე წიგნში სხვაგანაც ჩანს, მაგრამ დამწერის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება [იხ. ტაბ. XVIII ნარევი]. ალაპი № 8, ერთი შეხედვით, ძალიან ჩამოჰგავს თაფლაისძის ხელს, მაგრამ ამ ალაპს ახასიათებს ისეთი თავისებურება, რომელიც გამორიცხავს მის თაფლაისძისეულობას, კერძოდ, სიტყვა „პანაშკტი"-ს ხმარება ნაცვლად პანაშჳდისა. სიტყვის ეს ფორმა გვხვდება მხოლოდ ალაპთა ერთ მცირე ჯგუფში. ალაპთა ამ ჯგუფს ვაკუთვნებთ თაფლაისძის მიმბაძველ-გამგრძელებელს და ცალკე გვაქვს გამოყოფილი პალეოგრაფიულ ალბომში (იხ. ტაბ. III-1, 3. ალაპები № № 8, 44, 45, 46, 64, 97, 98, 122, 140). (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 274–275).

184 ფ. ჩამატებულია თაფლაისძის მიერ დაღალისონელის სააღაპე წიგნის პირველი ფურცლის (183) შემდეგ იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დაღალისონელის სააღაპე წიგნის დეკემბრის თვის ახალი აღაპებით შევსება (1 დეკ. – 15 დეკ.). განწესებულია აღაპი 1 დეკემბერს ლეონ ეპისკოპოსის, სტლანიწელისათვის, რომელმაც განუტევა (ე. ი. დაფარა) მონასტრის მიერ ნასესხები ხორბალი დიკა და ქერი ექვსასი მოდი „ჟამსა ჭირისასა“.

3 თ.

აღაპი განწესებულია 29 დეკემბრის დღეს შავ არსენისთვის, რომელმაც მონასტერს გადასცა ორი ჯვარი 180 დიმიტრატად ფასეული. ამ სახელწოდების ბიზანტიური მონეტა დოკუმენტებში არ დასტურდება. ს. მორისონის აზრით (C. M o r r i s s o n, Catalogue..., T. II, pp. 680-682,702), ეს უნდა იყოს ათონის ლავრის 1097 წლის ბერძნულ აქტში დასახელებული მონეტა σταυροαγιοδημητράτον წმ. დემეტრეს გამოსახულებით (Actes de Lavra. I, p. 277), რომელსაც უნდა შეეცვალა ალექსი I კომნენოსის დროინდელი გაუფასურებული მონეტა ფულის რეფორმამდე (დაახლ. 1092 წ.). ს. მორისონის ეს ვარაუდი სარწმუნო ჩანს. ამის მიხედვით, შავ არსენისთვის განწესებული აღაპი უნდა დადებულიყო არა უადრეს 1092 წლისა.

შავ არსენისთვის განწესებულია აგრეთვე № 25 აღაპი.

4 თ.

განწესებულია აღაპი 29 დეკემბერს არსენ ყიჩაყისათვის, რომელმაც მონასტერს გადასცა 20 დრაჰკანი დუკატი. დრაჰკანი აქ და სხვა აღაპებშიც იხმარება ზოგადად ოქროს მონეტის მნიშვნელობით. დუკატი (ოქროს მონეტა) მოიჭრა კონსტანტინე X დუკას (1059–1067) მიერ. დუკატის ოქროს მონეტის ხმარება არ იფარგლება კონსტანტინე დუკას ზეობის წლებით. იგი იხმარება უფრო გვიანდელ აღაპებშიც. (137, 141, 153).

5 ტაბ. IX, 3.

აღაპი განწესებულია 28 დეკემბერს სვიმეონ ხერკელისათვის (XII საუკ. ნუსხურით). დაწერილია იგი მამა პავლეს ხელით და, საფიქრებელია, მის მიერვეა განწესებული (1170–1184). ჩანს, სვიმეონ

ხერკელი მწიგნობარი ყოფილა. მას გადაუწერია და შეუწირავს „ყოვლად წმიდისათჳს" (იგულისხმება ივირონის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია კათოლიკონი): ერთი მეტაფრასი, ერთი განყოფილნი დავითნი, მარტისა და აპრილის თვენები.

6 ტაბ. VI მ.

ალაპი განწესებულია 4 დეკემბერს მამა მიქაელის მიერ თეოდორე იკონომოსისათვის, რომელმაც მონასტერში ყოფნის დროს თავისი სახსრებით ააშენა კარიას კელინნი. ამავე ხელით არის დაწერილი 139-ე გადაფხეკილი ალაპი. მიქაელის წინამძღვრობა ივარაუდება XI ს. 50-იან წლებში (იხ. აქვე, „წინამძღვართა რიგი" და „მონასტრის მამები: მიქაელი და იოვანე"). დაწერილია ალაპი მსხვილი, კუთხოვანი, უსწორმასწორო ნუსხურით (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 270).

7 ტაბ. XVIII (ნარევი).

ალაპი განწესებულია 4 დეკემბერს მახარებლის დედის აფენელისთვის, რომელმაც მონასტრის საკრებულოს გადასცა 20 დუკატი „მას ჟამსა, ოდეს კონდოსტეფანე სოფელთა გუერჩოდა კოსტანტინეპოლეს", – ვკითხულობთ ალაპში. აფენელის შეწირული 20 დუკატი დიდად შეეწია მონასტერს „ჟამსა ჭირისასა". ვფიქრობთ, ალაპის კონდოსტეფანე იგივე იოანე კონდოსტეფანეა, რომელიც მოხსენიებულია ათონის ლავრის 1162 წლის ბერძნულ აქტში (Actes de Lavra, I, N 64, p. 326). იოანე კონდოსტეფანე, თესალონიკის დუკი, მანუელ I-ის (1143–1180) დისწული, ამ დოკუმენტის მიხედვით, მანუელ I-ის დავალებით განიხილავს ლავრის მონასტრის წართმეულ მამულებზე წარდგენილ სარჩელს და უბრუნებს ლავრელებს კოშკინას მიერ მათთვის უკანონოდ წართმეულ მიწებს. ვფიქრობთ, ამავე როლში გამოდის № 7 ალაპის კონდოსტეფანე, რომელიც „ჟამსა ჭირისასა" ისმენს და იხილავს ივირონისთვის წართმეულ სოფლებზე წარდგენილ საჩივარს. ალაპის ამგვარი ინტერპრეტაცია გვაფიქრებინებს, რომ ფრაზაში „კონდოსტეფანე სოფელთა გუერჩოდა კოსტანტინეპოვლეს" – სიტყვა „გუერჩოდა" უნდა ნიშნავდეს: განიხილავდა სარჩელს (შდრ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, რჩ – რჩევა; რჩ – სარჩელა (საბა); ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 270–273).

ალაპში კონდოსტეფანეს მოხსენიება უფლებას გვაძლევს № 7 ალაპი 1160-იანი წლებით დავათარიღოთ. იხ. აქვე: „მონასტრის მამები: მიქაელი და იოანე".

№ 7 ალაპის ხელით დაწერილი სხვა ალაპი საალაპე წიგნში არ ჩანს.

**8 ტაბ. III, თ.**

ალაპი განწესებულია 4 დეკემბერს ნიკონ ნაპილოსისა და მისი მშობლების – კოსტანტი და ანასათვის, რომლებიც ბერძნები იყვნენ. ნიკონი ყოფილა გემების მშენებელი – ნაპილოსი. მას „ბუქაისძისობას" (ბუქაისძის სიცოცხლეში) მონასტრისათვის აუგია გემი (400 მოდისა), რისთვისაც მონასტერს ვალდებულებად აუღია, მისთვის და მისი მშობლებისათვის მათი გარდაცვალების შემდეგ გაეჩინა ალაპი. ალაპი ბუქაისძის გარდაცვალების შემდეგ არის განწესებული გარკვეული პირობის საფუძველზე, მაგრამ როდის, ამის თქმა ძნელია. ხელი ალაპისა, ერთი შეხედვით, თაფლაისძისაა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საალაპე წიგნის 184 ფ. დაღალისონელის წიგნში ჩართულია თაფლაისძის მიერ ახალი ალაპების ჩასაწერად (2-4), შემდგომი შევსებისათვის კი დიდი ადგილია დატოვებული დაუწერლად, ხოლო 184v-ს 4 ალაპიდან (6-9) სამი დაწერილია XI ს. 50-60-იან წლებში, უნდა დავუშვათ, რომ № 8 ალაპი, მიუხედავად იმისა, რომ ხელით ძალიან ჰგავს თაფლაისძისას, მისი დაწერილი არ უნდა იყოს და ჩაწერილია თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ. ამის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ № 8 ალაპს აქვს ზოგი ისეთი თავისებურება, რომელიც არ არის დამახასიათებელი თაფლაისძის ალაპებისათვის (იხ. № 2 ალაპის კომენტარი და აქვე, „თაფლაისძის მიმბაძველი"). თუ ჩვენი ვარაუდი თაფლაისძის მიმბაძველის არსებობის შესახებ დამაჯერებელია, მაშინ № 8 ალაპი ისევე, როგორც წინა ორი ალაპი (6-7) დაწერილი უნდა იყოს XI ს. 50-60-იან წლებში. სხვა შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ, რომ თაფლაისძეს მის მიერ ჩამატებული ფურცელი (184) მთლიანად არ შეუვსია. დეკემბრის იმ დღეებზე, რომლებიც არ იყო საალაპედ გამოყენებული დაღალისონელის საალაპე წიგნში (1, 4, 6, 29), 184r-ზე მას დაუწერია სამი ალაპი (2-4), ამ გვერდის ქვემო ნახევარი კი თავისუფლად დაუტოვებია შემდგომი შევსებისათვის. ხოლო 184v-ზე დაუწერია მხოლოდ ერთი ალაპი (8) გვერდის შუაში, და დანარჩენი ადგილი (ალაპის ზემოთ და

ქვემოთ) თავისუფლად დაუტოვებია. ეს ადგილი მოგვიანებით, 1150-60-იან წლებში, შეივსო № № 6,7 და 9 ალაპებით, რომლებიც დაწერილია სხვადასხვა ხელით თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ. იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 270.

### 9/141 ტაბ. VII$_1$ ი.

ალაპი განწესებულია 6 დეკემბერს ნიკოლა პეტრიწონელი მამისათვის. ალაპი ორწევრაა. ორივე წევრი დაწერილია ერთი ხელით. ამავე ხელით არის დაწერილი ალაპი 47. № 141 ალაპიდან ვგებულობთ, რომ ის დაწერილი ყოფილა მამა იოანე IV-ის განკარგულებით. მამა იოანე არის მამა მიქაელის მომდევნო წინამძღვარი და დიდი დროით არ უნდა იყოს მისგან დაცილებული (XII ს. 50-60-იანი წლები). იხ. აქვე, „წინამძღვართა რიგი“; „მონასტრის მამები: მიქაელი და იოანე“; Add. Е.П. Метревели, Сведения..., с.411.; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 276.

### 10 ტაბ.II თ.

ალაპი განწესებულია 5 დეკემბერს, წმ. საბას დღესასწაულის დღეს, საბა მონომახყოფილისათვის. ალაპის ტექსტი დაწერილია დალალისონელის საალაპე წიგნის 185r-ს ზემო კიდეზე, გადაფხეკილი ტექსტის ადგილას. თავდაპირველი ტექსტი დალალისონელის ხელით უნდა ყოფილიყო დაწერილი. ამ ალაპს უშუალოდ მოსდევს ალაპი № 11, რომელიც აგრეთვე 5 დეკემბრის, საბას დღესასწაულის დღეს საბასთვის და მისი ძმის იოანე მუჰვცაჲსათჳს არის განწესებული.

ვინაიდან № 10 ალაპი დაწერილია „საბაჲსსავე“ დღეს, მაშასადამე, ეს ალაპი რიგით № 11-ის შემდეგ უნდა იყოს მოთავსებული. საბა მონომახყოფილი, სახელის მიხედვით, ბერძენი ბერი უნდა ყოფილიყო. რომელიც მონასტრის „მსახურებასა შინა მიიცვალა და რაჲცა საქონელი ჰქონდა, ეკლესიამან იკმარა“, რისთვისაც მას ალაპი განუწესეს, „ამათვე ძმათა თანა“. აქ მითითებული არიან ძმები საბა და იოანე მუჰვცაჲ (მომდევნო № 11 ალაპიდან), რომელთათვის ალაპი მამა თეოდორეს მიერ 1061-65 წწ. არის განწესებული. თუ როდის არის დაწერილი ალაპი № 10, ძნელი სათქმელია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ალაპი დალალისონელის საალაპე წიგნის კუთვნილება არ არის, ე. ი. დაწერილია 1074 წლის შემდეგ და

თაფლაისძის მიერ მოძიებულ ალაპებს განეკუთვნება (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 276).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11 ტაბ. $I_3$ დ.

ალაპი განწესებულია 5 დეკემბერს, წმ. საბას დღესასწაულის დღეს, საბასა და მისი ძმის იოანე მუჰვცაჲსათვის მამა თეოდორეს (1061–1065 წწ.) და ძმათა მიერ იმის გამო, რომ ეკლესიას დარჩა 100 დრაჰკანი მათი „აღსრულების ჟამსა". ალაპი განწესებულია თეოდორე წინამძღვრის მიერ.

საკუთარი სახელის მუჰვცას ეტიმოლოგია და წარმომავლობა გაუგებარია. ამ სახელის ფუძეში შეიძლება დავინახოთ არაბული (muhibb) – „მოსიყვარულე". არაბული წარმომავლობის საკუთარი სახელები გვხვდება ტაოს არისტოკრატიული ოჯახის წევრებთან (აბულჰერით, აბუჰარბ) ( P. P e e t e r s, Un Colophon..., p. 364). შესაძლოა, მუჰვცა ბერად შემდგარი იოანეს საერო სახელი ან ზედწოდება ყოფილიყო.

თარიღდება ალაპი თეოდორეს წინამძღვრობის წლებით (1061–1065). თეოდორეს განწესებული ალაპები საალაპე წიგნის I რედაქციის გვიანდელ ფენას ეკუთვნის.

12 ტაბ. $I_3$ დ.

ალაპი განწესებულია 6 დეკემბერს ვინმე ბაბანისათვის, რომლის ვინაობა ვერ დავადგინეთ; ბაბანი, ისევე როგორც საბა, მონასტრის ძმა უნდა ყოფილიყო (იხ. № 11-ის კომენტარი). არა ჩანს, ვისგან განწესდა ალაპი და რა დამსახურებისათვის. დაწერილია ალაპი, ისევე როგორც № 11, დაღალისონელის ხელით. № 12 ალაპისათვისაც წინა ალაპია მითითებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ორივე ალაპი იწერებოდა ერთი და იმავე პირის მიერ ერთდროულად.

მაშასადამე, № 12 ალაპიც 1061–1065 წლებით უნდა დათარიღდეს.

13 ტაბ. $I_3$ დ.

ალაპი განწესებულია 7 დეკემბერს გიორგი დიდისათვის უმაღლესი განგებით – „ვითა სჳნგელოზისასა და იოანესსა და ეფთჳმესსა". ამ განგებით გიორგი დიდი გათანაბრებულია ათონის ივირონის მონასტრის მაშენებლებთან.

ჩვენი აზრით, № 13 აღაპის „გიორგი დიდი“ უნდა იყოს გიორგი ვარაზვაჩე (ჩორდვანელთა სახლის წარმომადგენელი), „თჳსი“ იოანე ქართველისა და თორნიკესი, ივირონის მესამე წინამძღვარი (1019–1029 წწ.), რომელიც წყაროებში იხსენიება ეპითეტით: „დიდი“.

იოანე და ეფთვიმეს „ცხორების“ მიხედვით, მას „ორგულებაჲ დასწამეს დიოგენისა ვისკთსმე... და ამის მიზეზისათჳს ექსორია იქმნა გიორგი მონოვატს და მუნ აღესრულა“.

ეს მოხდა 1029 წელს. მონოვატის ადგილმდებარეობის შესახებ მეცნიერთა შორის ერთსულოვნება არ არსებობს (Epistoliers byzantins du X^e siècle, éd. par I. Darrouzès. Paris, 1960, p. 74, n. 14; Г. Литаврин, Моноваты..., გვ. 118-124).

საფიქრებელია, გიორგი დიდისთვის აღაპი განწესდა მისი ნეშტის მონოვატის კუნძულიდან ათონზე გადასვენების შემდეგ. ეს უნდა მომხდარიყო გიორგი მთაწმინდლის ათონიდან შავ მთაზე წასვლის შემდგომ (1056 შ.), მის ათონზე დაბრუნებამდე (1065წ.). გიორგი მთაწმინდლის საქართველოდან კონსტანტინოპოლში ჩასვლის დროისათვის გიორგი დიდი უკვე გადასვენებული და დაკრძალულია ივირონის საძვალეში, სადაც 1066 წ. ჩაუსვენებიათ გიორგი მთაწმინდელიც „ვითარცა მეორედ მაშენებელი“.

გიორგი ვარაზვაჩეს შესახებ იხ. ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 18.; მ. მაჩხანელი, იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, გვ. 54; ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 87–106.

განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამს გიორგი დიდის ვინაობის შესახებ ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ფიქრობს, რომ გიორგი დიდი უნდა იყოს ჩორჩანელთა გვარის გიორგი-თორნიკე. მისი აზრით, ეს უკანასკნელი ივირონში მამობდა 1042 წელს (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 141-147).

### 14/147 ტაბ. $X_2$ ნ. გ., $IX_8$ პ.

აღაპი განწესებულია 9 დეკემბერს იოანე ბანცუასთვის, რომელმაც მონასტრისათვის „საჴიროსა ჟამსა“ გაიღო თავისი ნამუშაკევი 90 ძირი ზეთისხილი და შესწირა მას 15 პერპერა. ამ აღაპის გაგრძელებაა მისი განგება – მეორე წევრი, აღაპი 147, საიდანაც ვგებულობთ, რომ იოანე ბანცუა „ხუთთა მამასახლისთა ქუეშე მორჩილი“ და „მსახურეული“ ყოფილა. ორწევრა აღაპები ჩვეულებრივ იწერე-

ბოდა ერთი ხელით. ამ შემთხვევაშიც ასე იყო მოსალოდნელი, მაგრამ მათი ხელის იდენტურობის დადგენა ვერ ხერხდება. ჩვენი აზრით, აღაპი 14 დაწერილი უნდა იყოს ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით, ხოლო აღაპი 147–მამა პავლეს ხელით (იხ. აქვე ტაბულა $X_{25}$ განმარტებები).

ნ. ბერძენიშვილი იოანე ბანცუას მონასტერში მოღვაწეობის წლებს საგანგებოდ ეხება თავის ზემოხსენებულ ნაშრომში (ათონის ქართველთა..., გვ. 100–102, 277) და აღაპს ათარიღებს პავლეს წინამძღვრობის წლებით, რასაც მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ აღაპის I წევრი (14) დაწერილია პავლეს თანამოღვაწე ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით.

**15 ტაბ. $I_4$ დ.**

აღაპი განწესებულია 13 დეკემბერს პეტრიკისა და მისი ძმის იოანესთვის 1054–1056 წლებში. ეს ის წლებია, როდესაც კონსტანტინოპოლში ჩასული ბაგრატ IV, მისი დედა მარიამ დედოფალი და გიორგი მთაწმინდელი ზრუნავდნენ ეკონომიკურად დაუძლურებელი მონასტრის მოღონიერებაზე. ამ საქმეში მათ მხარში ედგნენ ძმები პეტრიკი და იოანე.

ამავე „დიდი საქმის" წარმატებით დასრულებასთან დაკავშირებით აღაპი განუწესეს ბაგრატს, მარიამს და კონსტანტინე მონომახს (90, 100, 27, 99). მართალია, აღაპში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ პეტრიკ-იოანეს აღაპი გიორგი მთაწმინდლის განწესებულია, მაგრამ ის კია საგანგებოდ აღნიშნული, რომ აღაპი მათთვის „დიდი საქმის" დასრულების უმალ განწესდა. როგორც „ცხორებიდან" ვიცით, ამ საქმეს წარმართავდა გიორგი მთაწმინდელი წინამძღვრობის უკანასკნელ წლებში (1054–1056 წწ.). მიუხედავად დიდი დამსახურებისა, პეტრიკ-იოანესათვის, ბაგრატ IV-ისა, დედოფალ მარიამისა და კონსტანტინე მონომახისათვის (№ 27) აღაპი განგებით „ვითა სენგელოზისათჳს" არ განწესებულა (შდრ. აღაპი 13). პეტრიკისა და იოანეს აღაპის განგებაში იკითხება: „ვინ მათი აღაპი ყოვლითა გულსმოდგინებითა არა გარდაიჴდოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი". ანალოგიური განგებები გვხვდება ბაგრატ IV-ის, მარიამ დედოფლისა (№ 100) და კონსტანტინე მონომახის (27, 99) აღაპებში.

პეტრიკისათვის აღაპი განწესებულია აგრეთვე 1085 წლის ახლო ხანებში მამა იოანე ბუქაისძის მიერ (აღაპი № 32).

ვრცლად პეტრიკისა და იოანეს შესახებ იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 196. აღაპის შესახებ იხ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 206-205.

### 16–19 ტაბ. $I_{4-5}$ დ.

აღაპები 16–19 განწესებულია ერთდროულად 1042 წელს იმ პირობის თანახმად, რომელიც დაიდო ივირონის ბერძნული აქტის მიხედვით (№ 26 – „ნასყიდობის წიგნი“), მარიამ ენკრატისსა და ქართველთა მონასტრის წინამძღვარს, სვიმეონს, შორის. ამ პირობის თანახმად, მონასტრის მიერ შესყიდული მიწის საფასურის ნახევარი მთლიანად უნდა მოხმარებოდა მარიამისა და მისი ნათესავებისათვის მონასტრის სააღაპე წიგნში აღაპთა განწესებას.

ოთხივე აღაპი განწესებულია განგებით: „ვითა სჳნგელოზისასა სწერია“, და ეკუთვნის დაღალისონელის სააღაპე წიგნის უძველეს ფენას, რომელიც ძირითადად ჩორდვანელთა სახლის წევრებისა და მათი ნათესავებისათვის გაჩენილ აღაპებს შეიცავს:

აღაპი 16. აღაპის სამივე პირი (იოანე მონაზონი, აბუჰარბი და თორნიკე) ჩორდვანელების დიდი სახლის წევრია. შეიძლება დავუშვათ, რომ ისინი ათონზე თავის საოჯახო მონასტერში მივიდნენ.

ვფიქრობთ, № 16 აღაპის იოანე მონაზონი თორნიკეს ძმა იოანე ვარაზვაჩეა. ეს იოანე არ შეიძლება იყოს იოანე-თორნიკე (სვინგელოზი), ვინაიდან მისთვის აღაპი სააღაპე წიგნში პირველ ნომრად არის შეტანილი. გარდა ამისა, მარტო ბერობის სახელით (იოანე) იოანე სვინგელოზი არსად არ მოიხსენიება. ჩორდვანელთა სახლის გენეალოგიაში ორი იოანე იხსენიება: იოანე თორნიკე სვინგელოზი და იოანე ვარაზვაჩე. თუ გამოვრიცხავთ იოანე სჳნგელოზს, დაგვრჩება მხოლოდ მისი ძმა იოანე ვარაზვაჩე (დაწვრილებით იოანე ვარაზვაჩეს შესახებ იხ. ე: მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 24).

№ 16 აღაპში მოხსენიებული მეორე პირია აბუჰარბი. ჩორდვანელთა სახლის გენეალოგიაში აბუჰარბიც ორია. ერთია–აბუჰარბ I, ჩორდვანელ I-ის ძმა, იოანე ქართველის სიმამრი, ეფთვიმეს ბაბუა. მეორე აბუჰარბი არის ძე ჩორდვანელ I-ისა, ძმა იოანე-თორნიკესი და იოანე ვარაზვაჩესი. ვფიქრობთ, ამ აღაპში სწორედ ეს მეორე აბუჰარბი უნდა იგულისხმებოდეს (იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 24).

ალაპში მოხსენიებული მესამე პირია თორნიკე. ჩორდვანელთა სახლის გენეალოგიაში თორნიკეც ორია: ერთი – იოანე-თორნიკე (სვინგელოზი), ხოლო მეორე – იოანე ვარაზვაჩეს უმცროსი შვილი, რომელიც „თორნიკე მცირე“ იწოდება „განძის“ ანდერძში. სწორედ იგი უნდა იხსენიებოდეს ალაპში მესამე პირად. ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, ალაპი 16 განწესებულია ჩორდვანელთა დიდი სახლის სამი წევრისათვის: იოანე ვარაზვაჩესთვის, მისი ძმის, აბუჰარბისათვის და იოანე ვარაზვაჩეს უმცროსი შვილის – თორნიკესათვის. ჟ. ლეფორი შესაძლებლად მიიჩნევს იოანე ვარაზვაჩეს ძის, თორნიკეს, იდენტიფიკაციას ერმიტაჟის საბეჭდავის წარწერაში მოხსენიებულ Τορνίκιος πρωτοσπαθάριος καὶ στρατηγὸς ὁ Βαρασβατζέ (Actes d' Iviron, I, p. 16, n. 5). თორნიკე იქ მოხსენიებულია როგორც ძე ვარაზვაჩესი. ჩვენის მხრივ, დავუმატებთ, რომ თორნიკე პროტოსპათარი და სტრატეგოსი უნდა იყოს თორნიკიოს კონდოლეონი.

№ 16 ალაპში არაფერია ნათქვამი ამ სამეულის ათონზე ჩასვლის მიზეზის შესახებ და არც იმ დამსახურებაზე, რომლისთვისაც განეწესათ მათ ეს ალაპი. ასევე, არავითარ ინფორმაციას არ შეიცავს ანალოგიური განგების („ვითა სჳნგელოზისსა სწერია“) მქონე სხვა ალაპები.

ჩორდვანელთა სახლის სამი წევრის ათონზე ყოფნის კვალი უნდა დარჩენილიყო ქართულ და ბერძნულ წერილობით წყაროებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს 1056 წლის ბერძნული აქტი (Ivir. 31), განხილული ჟ. ლეფორის მიერ (Actes d'Iviron, I, p. 44; II, N31, p. 71-80).

ამ დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ქართველთა მონასტერს ათონის მონასტერ ლომატუსთან მამულების გაცვლის მეშვეობით მიუღია ათონის ტერიტორიაზე მდებარე მელისურგიონის დომენი თავისი პატარა სამონასტრო ნაგებობებით. შემდეგ ქართველთა მონასტრის საკრებულომ ეს დომენი გადასცა ელადის სტრატეგოსის, თორნიკიოს კონდოლეონის, მამას საკუთრებაში (სიცოცხლის ბოლომდე). მეორე მხრივ, ათანასეს ლავრის ერთ-ერთი ბერძნული დოკუმენტიდან (N25 – Actes de Lavra, I, p. 173-176) ვიგებთ, რომ თორნიკიოს კონდოლეონს შეუძენია კარიაში პითარის დომენი მონასტრითურთ, რომელიც ადრე იოანე იბერისა და დემეტრიოს ლამარეს საკუთრება იყო. შემდეგ დემეტრიოს ლამარეს, იოანე -ქართველთან შეთანხმებით, ეს დომენი თავისი სულიერი შვილის, კირილესათვის გადაუცია. დაავადებულმა კირილემ დომენი თავის მოწაფეს გიორგი ხარზანას დაუთმო, თვითონ კი საცხოვრებლად

ათანასეს ლავრაში გადავიდა. გიორგი ხარზანამ 1024 წელს ეს დომენი 210 ნომიზმატად დაუთმო თორნიკიოს კონდოლეონს. ამ უკანასკნელმა, იმპერატორთან შეთანხმებით, განიზრახა ცხოვრების უკანასკნელი წლები გაეტარებინა ათონზე, რისთვისაც შეიძინა პითარის დომენი და კოზმას სახელით აღიკვეცა ბერად. ვფიქრობთ, ივირონისა და ლავრის ბერძნულ დოკუმენტებში მოხსენიებული მამა-შვილი (თორნიკიოს კონდოლეონი და მისი მამა) ქართველები არიან, მეტიც, ჩორდვანელთა დიდი სახლის წევრები, რაზედაც მიუთითებს საკუთარი სახელი თორნიკე, რომელიც ამ სახლის წევრთა შორის იყო გავრცელებული. ამას ისიც ადასტურებს, რომ თორნიკემ (კონდოლეონმა — Actes de Lavra, I, N25, p. 173) შეიძინა ადრე იოანე ქართველისა და დემეტრიოს ლამარეს საკუთარი მონასტერი პითარა (იოანეს გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ), ხოლო მამამისმა, როგორც ზემოთ ითქვა, ქართველთა ლავრისაგან უსასყიდლოდ მიიღო მელისურგიონის დომენი მეტოქით.

ჩვენ მიერ ფრთხილად გამოთქმულ ვარაუდს, რომ თორნიკიოს კონდოლეონი, ელადის სტრატეგი 1024 წელს, იოანე ვარაზვაჩეს უმცროსი შვილია, მხარს უჭერს ჟ. ლეფორის ზემოთ მოტანილი ვარაუდიც. ჟ. ლეფორი მიიჩნევს, რომ ერმიტაჟის საბეჭდავის წარწერაში მოხსენიებული თორნიკე პროტოსპათარი და სტრატეგი არის იოანე ვარაზვაჩეს შვილი თორნიკე (იხ. В. Шандровская. Одно уточнение текста Хроники Скилицы по материалам сфрагистики, с. 46-48). უფრო ადრე ის იყო კატალონიის სტრატეგი, ხოლო შემდეგ იტალიის კატეპანი (იხ.Actes de Lavra, I, p. 174-175); ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 198-199).

№ 17. აღაპი გაჩენილია კონსტანტინეს, ბაგრატის, მიქაელისა და სვიმეონისთვის. განგება წინა აღაპისაა: „ვითა სჳნგელოზისასა სწერია“.

ცნობები აქ მოხსენებულ პირთა ვინაობის შესახებ არ გაგვაჩნია. აღაპში ამ პირთა დამსახურებაზე არაფერია ნათქვამი. განგების მიხედვით, ისინი ჩორდვანელთა ოჯახის წევრები ან მათი ნათესავები ჩანან.

№ 18. აღაპი განწესებულია ეგნატე წინამძღვრისათვის. განგება წინა აღაპისაა. მამა ეგნატე იხსენიება აგრეთვე ათონის ხელნაწერის მინაწერში: „ქრისტე, ადიდე სულითა მამა ეგნატე“ (Ath. 17, 348v).

სიტყვა „მამა“ ყოველთვის არ ნიშნავს მონასტრის წინამძღვარს,

ვფიქრობთ, არც ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ იგი წინამძღვრად (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 201), რადგან ივირონის ბერძნული აქტის (№ 26) მიხედვით, ალაპი განწესებულია მისთვის იმ დროს, როდესაც ქართველთა მონასტრის წინამძღვარი იყო სვიმეონი (1042 წ.).

№ 19. ალაპი განწესებულია მარიამ ენკრატისისთვის. ცნობები მის შესახებ შემოგვინახა ივირონის ბერძნულმა აქტმა (№ 26), რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, შედგენილია 1042 წლის თებერვალს. დოკუმენტის მიხედვით, მარიამ მონაზონმა, სტეფანოს სთლაბოტას ასულმა, თავისი კუთვნილი მემკვიდრეობის ნაწილი მიჰყიდა 40 ოქროს ნომიზმატად ქართველთა მონასტრის წინამძღვარს – სვიმეონს. ყანა, რომელიც მარიამმა საკუთრებაში გადასცა მონასტერს, მდებარეობდა ბოლბოსის რეგიონში ისუნასთან. შეთანხმების საფუძველზე მიწის საფასურის ნახევარი (20 ნომიზმატა) მოხმარდა მარიამისა და მისი ნათესავებისათვის ალაპების განწესებას. ეს ალაპი განუწესდა საკუთრივ მარიამს.

თუ ვინ იყო მარიამი და რა ნათესაური კავშირი ჰქონდა ჩორდვანელთა ოჯახთან, ამის შესახებ ვრცლად იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 47–52.

**20 ტაბ. I₅ დ.**

ალაპი განწესებულია 25 დეკემბერს (შობა დღეს) სანანო ქველისძისათვის იმავე განგებით, რომლითაც პეტრიკისა და იოანესათვის (ალაპი 15), კერძოდ: „ყოველი გულსმოდგინებით გარდაეკადოს". ამ ორი ალაპის მიხედვით, მათი ღვაწლი იმაშიც გამოიხატა, რომ ისინი შუამდგომლობდნენ ბაგრატის წინაშე, რათა მას აღმოეჩინა დახმარება ქართველთა ლავრისათვის. 15 და 20 ალაპები ერთ დროს უნდა იყოს დაწერილი (1054–1056 წლებში), როდესაც ბაგრატი და მარიამი ხანგრძლივად იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლში. სანანო ქველისძე, ალბათ, მეფე ბაგრატის ამალის წევრი იყო. ნიშანდობლივია, რომ სანანოსათვის ალაპი დაიდო შობა დღეს, რაც ძალზე საპატიო დღედ ითვლებოდა ალაპის განწესებისას. აქედანაც ჩანს, რომ სანანო ქველისძის დამსახურება ლავრის წინაშე დიდი უნდა ყოფილიყო. იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 201–202.

**21/143 ტაბ. VIII$_2$ ვ.**

ორჯერა აღაპი განწესებულია 26 დეკემბერს იოანე კოჯიხისძისთვის. აღაპის მეორე წევრში (143) წარმოდგენილია განგება: „ვითარცა მაშენებელთაჲ სწერია“.

იოანე კოჯიხისძეს სააღაპე ევლოგია ათონის ქართველთა მონასტერში დიდ ბერს, ონოფრი გარეშჯელს ჩაუტანია: დრაჰკანი 120 და 1 ჯორი (ჩვენი დაკვირვებით, მონასტერს ცხენებსა და ჯორებს ძირითადად ის ქართველი მოღვაწენი სწირავდნენ, რომლებიც თვითონ ჩადიოდნენ ცხენებით ათონზე – შდრ. ლიპარიტ ივანეს ძისათვის გაჩენილი № 55 აღაპი, ბერი კლიმის აღაპი 41 და სხვა).

ამ ევლოგიით იოანემ ქართველთა „ჭირსა შინა მყოფსა“ და მონასტრის „შეურვებულთა“ საკრებულოს „დიდად ნუგეშინი-სცა“.

აღაპი განწესებულია და დაწერილია მამა ვასილის მიერ. აღაპის ძირითადი ტექსტისათვის მამა ვასილს მიუწერია შემდეგი: „მე, მამასა ვასილის, და ყოველთა დაგჳწერია ეკლესიასა შინა: არიშიანისა ძმაჲ და თჳსი იყო. აწ ვინცა არიშიანისა თანა კსენებაჲ ივანე კოჯიხისძისაჲ დააკლოს, იგიცამცა დააკლდების საუკუნეთა კეთილთა. ოქროჲ იგი ეკლესიასა და ზღუდეთა ზედა წაგებულა, არა კორცთა საკმარად“ (143ᵃ).

ცნობა მონასტრის ზღუდის აშენების შესახებ უფრო ადრე გიორგი ოლთისარის აღაპში გვხვდება (61): „ზღუდენი მოავლნა მონასტერსა“. ეს უნდა მომხდარიყო 1066–1078 წლებში. ამ ზღუდის განახლება მომხდარა იოანე კოჯიხისძის სააღაპე ევლოგიის ხარჯზე მამა ვასილის დროს (1150–1060-იანი წლები), ხოლო შემდგომ მამა პავლემ „აამაღლნა ზღუდენი, რომელნი იყვნეს ფრიად მდაბალნი“ – 1170–1184 წლებში (№ 165).

როგორც ჩანს, მამა ვასილის მიერ ამ აღაპის დაწერის დროს არიშიანისათვის უკვე უნდა ყოფილიყო გაჩენილი საპატიო აღაპი, რომელზეც მიუთითებს მამა ვასილი. („ვითარცა ზემო პირველ ვთქუ“). ეს აღაპი დაკარგულა და მამა ვასილის აღუდგენია თავისი წინამძღვრობის დროს. რაც შეეხება აღაპის ფრაზას, „არიშიანისა ძმაჲ და თჳსი იყო“, იგი დაზუსტებას თხოულობს. თარიღდება აღაპი მამა ვასილის წინამძღვრობის წლებით, XII საუკუნის მესამე მეოთხედით (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 97, 282-284; პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 172–178).

22 ტაბ. XII

ალაპი განწესებულია 27 დეკემბერს მიქაელ მამაყოფილისათვის მისსავე სიცოცხლეში. ამ ალაპის ხელით არის შესრულებული 57-და 104 ალაპები. განგება არ ახლავს. მამა მიქაელის წინამძღვრობა უნდა შემოიფარგლოს XII ს. 50-იანი წლებით. ცნობები მამა მიქაელისა და ალაპის შესახებ იხ. აქვე, „წინამძღვართა რიგი" და „მონასტრის მამები: მიქაელი და იოანე". იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 277.

23/151 ტაბ. $IX_2$ ბ.

ეს ორწევრა ალაპი განწესებულია ივირონის ძმის იანიკ მორფიტიანყოფილისათვის „მრავალთა ჟამთა მსახურებისა" და სიკვდილის შემდეგ მონასტრისათვის დატოვებული 40 პერპერისათვის. ალაპის ორივე წევრი ერთი ხელით არის დაწერილი. ალაპის განგებაა: „აღესრულებოდეს ყოვლითა გულსმოდგინებითა, ვითარცა სხუათა შემომწირველთაჲ".

იანიკ მორფიტიანყოფილთან დაკავშირებით ჟ. ლეფორი ვარაუდობს, რომ (მორფიტიანყოფილი უნდა იყოს ამალფიტიონყოფილის დამახინჯებული ფორმა) იანიკის ზედწოდება უნდა გულისხმობდეს ათონის ლათინთა მონასტრის სახელწოდებას: ამალფიტიონი (Actes d' Iviron, II, p. 10), რომელიც ლათინ-ბენედიქტელთა ერთადერთი მონასტერი იყო ათონზე. ვარაუდი მისაღები ჩანს, რადგან ცნობილია, რომ ივირონის ძმობას დიდი მეგობრობა ჰქონდა ლათინ ბერებთან და აქტიური მონაწილეობაც მიუღია ათონზე ლათინთა პირველი მონასტრის ამალფიტიონის აშენების საქმეში.

როგორც ჩანს, იანიკ მორფიტიანყოფილი თავდაპირველად ლათინთა (ბენედიქტელთა) ამ მონასტრის (Amalfition) ბერი ყოფილა, ხოლო შემდეგ გადასულა ივირონში, რის გამოც ალაპში მორფიტიანყოფილად არის მოხსენიებული.

24 ტაბ. $I_{5-6}$ დ.

ალაპი განწესებულია 27 დეკემბერს ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწის, სტეფანე ხარტულარისათვის. სტეფანე ალაპში არ არის მოხსენიებული როგორც წინამძღვარი და მხოლოდ ხარტულარად არის წოდებული. დაწერილია ალაპი დაღალისონელის ხე-

ლით. განგებაში იკითხება: „ეგრეთვე ყოველი წესი [ვითარცა შემომ-წირველთაჲ] აღესრულენ“.

სტეფანე ხარტულარი წინამძღვრად მოიხსენიება 1042 წლის 30 ივნისს ბერძნულ აქტში (Actes d' Ivirov, I, N27, p. 244) და 1043 წლის ათონის № 60 ხელნაწერში: „ხოლო დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ მთასა წმიდასა ათონსა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, მონასტერსა ქართველთასა, მამობასა ძმისა ჩემისა სტეფანე ხარ-ტულარისასა, მეფობასა კოსტანტინესსა, რომელსა ეწოდა მეორედ მონომახოჲ. ხოლო დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი და შეიმოსა კელითა ძმათა სულიერთა მიქაელ და გიორგისითა. ქრისტემან სასყიდელი მი-აგენ შრომისა მათისაჲ, ამენ. ქრონიკონი იყო სჲგ“ (1043 წ. Ath. 60, 169r). ანდერძის თანახმად, ხელნაწერის მომგებელი უნდა იყოს ვინმე ჩანჩხი. სტეფანეს ძმის იოანესთვის ამავე სააღაპე წიგნში განწე-სებულია აღაპი 113. ეს აღაპიც სააღაპე წიგნის დაღალისონელის ფენას უნდა ეკუთვნოდეს. დაწერილია იგი თაფლაისძის ხელით, მაგრამ თაფლაისძის სააღაპე წიგნში იგი გადმოსული ჩანს დაღალისონელის სააღაპე წიგნიდან, ხოლო გადამწერნი და შემმოსველნი კი არიან მიქაელი და გიორგი, ცნობილი მწიგნობრები, ეფთვიმესა და იოანეს თანამოღვაწენი. მათ შესახებ დაწვრილებით იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 107. აღაპის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 203.

## 25 თ.

ამ აღაპში შეტანილია შავ-არსენის სააღაპე განგების დამატე-ბითი ელემენტი: „[ღამე წმიდაჲ] ათთია... სანთელი“. განგების ეს ტექსტი აღადგინა თ. ხაჲომიამ (იხ. Add. ათონის კრებულის... გვ. 380-381). ძირითადი განგება შავ-არსენისთვის № 3 აღაპშია შეტანილი (იხ. ამ აღაპის კომენტარი).

## 26 ტაბ. $I_6$ დ.

1 იანვარს განწესებულია აღაპი „ბასილი ეპარხოსისაჲ, მოურნისა ჩუენისაჲ“. თავდაპირველად აღაპი დაღალისონელის ხელით დაიწე-რა. შემდეგ ორი სტრიქონი გადაუფხეკიათ, სწორი, არაკალიგრაფი-ული ნუსხურით თავდაპირველი ტექსტის ნაცვლად ჩაუწერიათ: „და ბასილი პრონოიტრისაჲ. დიდი კეთილი უქმნია ამისა ეკლესიისაცა, მისცა სამი ლიტრაჲ პრო[ტო]ხარატი. ყოველი წესი ლოცვისაჲ აღეს-

რულენ“. უკანასკნელი სტრიქონი კვლავ დადალისონელის ხელითაა ნაწერი (იხ. ტექსტი და ტაბ. $I_6$). ძნელი ასახსნელია ამ სწორების მიზანი და შინაარსიც. ალაპში მოხსენიებული ორი ბასილი—ეპარხოზი და პრონოიტრი—ერთი და იგივე პიროვნებაა ორი სხვადასხვა სამოხელეო წოდებით, თუ ორი სხვადასხვა პირი? ალაპის ნასწორებ ნაწილში ერთ პირზეა საუბარი:“ დიდი კეთილი უქმნია ამის ეკლესიისადა“. ბასილი ეპარხოზის ევლოგია ალაპში საერთოდ არ ჩანს.

შესაძლოა, ეს ორი ბასილი ერთი პირი იყოს სხვადასხვა დროს მიღებული სამოხელეო ტიტულატურით. თუ როდის იქნა შეტანილი დადალისონელის ხელით დაწერილ ალაპში ცვლილებები, ამის თქმა ძნელია. საკითხის გარკვევაში ვერც სამოხელეო ტერმინები გვეხმარება.

ბიზანტიის ეპარხოზთა რიგი საკმაოდ კარგად არის ცნობილი, მაგრამ სრული არ არის (Traveaux et mémoires, X). ალექსი I კომნენოსის ზეობაში (1081–1118) ორი ეპარხოზი ატარებს ბასილის სახელს: ბასილი პროტოპროედრი (დაახლ. 1085 წ. , V. Laurent, Les sceaux...) და ბასილი ეპარხოზი 1106 წ. (Анна Комнина, Алексиада, с. 327). ვერც ერთ მათგანს ვერ გავაიგივებთ დადალისონელის ხელით დაწერილი ალაპის ბასილ ეპარხოზთან, ვინაიდან დადალისონელის სააღაპე წიგნი დაწერილია არა უგვიანეს 1074 წლისა. მაშასადამე, ამ ალაპის საშუალებით შეიძლება მხოლოდ ეპარხოზთა რიგის შევსება.

რაც შეეხება პრონოიტრს, ამის თაობაზე უნდა ითქვას, რომ pronoètrés უეჭველად თანამდებობაა (სამოხელეო ტერმინია) და არა პატრონიმი, რომელიც XI საუკუნეში არა ჩანს. გამორიცხული არ არის, რომ ეს სამოხელეო ტერმინი დამახინჯებულად იყოს გადმოცემული ჩამწერის მიერ (იხ. ლექსიკონი). ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ჩანაწერ ტექსტში პრონოიტრის ნაცვლად უნდა ეწეროს პროტონოტარი (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 214).

### 27 ტაბ. $I_6$ დ.

ალაპი განწესებულია 6 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე კონსტანტინე მონომახისათვის „სოლიმნის შექმნისა“ და მონასტრისათვის „დიმოსის მოწყუედისათვის“. აქვეა აღნიშნული, რომ კონსტანტინესთვის სააღაპე წიგნში კიდევ ერთი ალაპია განწესებული (99) და ისიც საუფლო დღესასწაულზე (ამაღლება).

მიუხედავად კონსტანტინე მონომახის დიდი ქველმოქმედებისა, რისთვისაც მას ორი ალაპი განუწესეს, ორივე საუფლო დღესასწა-

ულზე, განგება აღაპისა ისეთივეა, როგორც წინა, 24 და 26 აღაპებისა. ხოლო მეორე აღაპისათვის (99) განგება არ არის განსაზღვრული. ეს მეორე აღაპი შეტანილი უნდა ყოფილიყო სააღაპე წიგნის დაკარგულ ნაწილში, რომელიც იოანე თაფლაისძეს გადაუნაწილებია და ისე გადაუტანია მის მიერ შედგენილ აღაპთა კრებულის გავრცობილ ვარიანტში. მართლაც, 99-ე აღაპში, რომელიც თაფლაისძის ხელით არის დაწერილი, ვკითხულობთ: „თუესა აგვისტოსა ვ. აღაპი განვაწესეთ კოსტანტი მონომახისათჳსვე, ქველისმოქმედებათა მისთათჳს, რომელ ქმნნა ჩუენ ზედა". აშკარაა, რომ აქ იგულისხმება მონომახისათვის ადრე განწესებული პირველი აღაპიც (27). უკვე მასში მითითებული იყო ამ მეორე აღაპისათვის განწესებული „ამაღლების" დღე. მაგრამ, რადგან ამაღლება მოძრავი საუფლო დღესასწაულია და მისთვის ადგილის განსაზღვრა კალენდარზე გაწყობილ თაფლაისძის სააღაპე წიგნში შეუძლებელი იყო, ამიტომ მეორე აღაპი თაფლაისძეს გადაუტანია 6 აგვისტოს, ფერისცვალებას, უძრავ საუფლო დღესასწაულის დღეს.

კონსტანტინე მონომახის, მარიამ დედოფლის, ბაგრატ IV-ისა და იმ პირთა აღაპები, რომლებიც ბაგრატის ამალაში იყვნენ კონსტანტინოპოლში(1054–1056 წწ.) და გიორგი მთაწმინდლის შუამდგომლობით დიდად ეხმარებოდნენ ქართველთა მონასტერს მატერიალურად, თვით გიორგის განწესებული უნდა იყოს მისი მამობის წლებში. გიორგის დროინდელი აღაპები დაღალისონელის სააღაპე წიგნის მეორე პლასტს წარმოადგენს. პირველი ფენა მოიცავდა პერიოდს 984–1042 წლამდე (ამის შესახებ იხ. აქვე, სააღაპე წიგნის პირველი რედაქციის პლასტები; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 208–214).

**28/148 ტაბ. IX$_6$ ვ.**

აღაპი განწესებულია 7 იანვარს არსენისთვის. აღაპის მეორე წევრის (148) მიხედვით არსენი ყოფილა მარდეზის ძე, თბილელი ხანბაშური. ორწევრა აღაპი განწესებულია პავლეს მიერ, შესაძლოა, დაწერილია მისივე ხელით, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ იგი დავათარიღოთ 1170–1184 წლებით.

აღაპი განწესებული უნდა იყოს ხანბაშურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რაკი მასში განგების სხვა ელემენტებთან ერთად პანაშვიდის გადახდაც არის შეტანილი.

ალაპის განგება საკმაოდ მდიდრული და საპატიოა, რაც მიუთითებს, რომ არსენ მარდეზის ძე, თბილელი ხანბაშური, დიდად პატივცემული და დაფასებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. ალაპში თბილელი ხანბაშური წარმოდგენილია საკუთარი სახელით (არსენ), გვარსახელით – მარდეზის ძე (მარდეზი – ზოჰაქის მამის სახელია „შაჰ-ნამეს“ მიხედვით) და ზედწოდებით „ხანბაშური“, რაც უნდა ნიშნავდეს „მცველს“ (ვრცლად ამ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ იხ. Add. ე. მეტრეველი, ტერმინ ხანბაშურის გაგებისათვის; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 319).

### 29 ტაბ.$I_6$ დ.

ალაპი განწესებულია 15 იანვარს იოანე წიფორელისათვის. განგების ფორმულა: „ყოველივე წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ ალესრულებოდინ“ მიგვანიშნებს, რომ ეს არის ზოგადი განგება შემწირველისათვის, ვინაიდან ალაპში არ არის მითითებული, თუ რა დამსახურებისათვის განუწესა საკრებულომ იოანე წიფორელს ალაპი. სავარაუდოა, რომ ალაპი განეკუთვნება საალაპე წიგნის პირველ (უძველეს) ფენას, რომელიც ისაზღვრება 984–1042 წლებით. იხ. აქვე, საალაპე წიგნის პირველი რედაქციის პლასტები; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 215.

### 30 ტაბ.IV ნ.

ალაპი განწესებულია 14 იანვარს ძმების, იოანესა და მიქელისთვის, რომლებიც კახეთიდან ათონს მისულან და ქართველთა მონასტრისათვის ერთი ლიტრა დრაჰკანი ბოტანიატი შეუწირავთ. იქიდან ძმები იერუსალიმს წასულან წმინდა ადგილების მოსახილველად და იქვე გარდაცვლილან. ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარმა ნიკოლამ „ეკლესიას, ხუცესთა და ტრაპეზს“ გადასცა ასი დრაჰკანი სტამენონი მათი ალაპისათვის და თვით განუწესა მათ ალაპი. ჩვენი აზრით, მამა ნიკოლა იგივე მონაზონი ნიკოლა (გაბრიელყოფილი) უნდა იყოს, ევანეზის ძმა, რომლისთვისაც დალალისონელის საალაპე წიგნში ორი ალაპია განწესებული (48, 49) განგებით: „ვითა თორნიკისთჳს სჳნგელოზისა სწერია“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გაბრიელ, ევანეზის ძმა თორნიკეს ნათესავი, ე. ი. ჩორდვანელთა სახლის წევრია (იხ. აქვე, ათონის ქართველთა ლავრის

წინამძღვართა რიგი). აღაპი დაღალისონელის სააღაპე წიგნში ჩამატებულ ფურცელზეა დაწერილი, რომელზეც თავდაპირველად ორი აღაპი ეწერა (30 და 32) თითო გვერდზე თითო აღაპი. დაწერილია ისინი სხვადასხვა ხელით, რომლებიც „სააღაპე წიგნში" აღარ მეორდება. ეს საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ აღაპები დაწერილი უნდა იყოს მათ განმწესებელთა ხელით, ე. ი. მამა ნიკოლასა და მამა იოანე ბუქაისძის მიერ. (№ 30 – ნიკოლას მიერ, ხოლო № 32 – იოანე ბუქაისძის ხელით). იოანე ბუქაისძე ნიკოლა პროტოსვინ-გელოზის მომდევნო წინამძღვარია. უნდა ვივარაუდოთ, რომ იოანე თაფლაისძეს ეს ფურცელი (ამ ორი აღაპის შემცველი) უპოვნია „დაფანჩულ" აღაპთა შორის და უცვლელად ჩაურთავს დაღალისონელის სააღაპე წიგნის სათანადო ადგილას (იანვრის თვის მასალაში). ეს ოპერაცია თაფლაისძეს რომ ჩაუტარებია, იმით დასტურდება, რომ 187r-ს ქვემო კიდეზე მისი ხელით არის მიწერილი 31-ე აღაპი (იბნიანისა).

მამა ნიკოლა პროტოსვინგელოზის წინამძღვრობის წლებია 1080–1081. იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 278.

31 თ.

აღაპი განწესებულია 10 იანვარს იბნიანისათვის, რომელმაც „შემდგომად სიკუდილისა მისისა დაუტევნა ეკლესიასა ორნი ცხენნი", რისთვისაც მონასტრის საკრებულომ განუწესა მას აღაპი. ცნობები იბნიანის ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ არ მოგვეპოვება. შესაძლოა, ის ათონს შავი მთიდან ჩასულიყო. მონასტრის საკრებულოს წევრი იგი არ ყოფილა. სახელის მიხედვით არაბი ჩანს.

აღაპი თარიღდება თაფლაისძის მოღვაწეობის წლებით (1120– 1140).

32 ტაბ. V ი. ბ.

აღაპი განწესებულია 16 იანვარს მამა იოანესა და ყოველთა ძმათა მიერ პეტრე ხუცისათვის (პეტრე პეტრიკყოფილისათვის), რომელმაც მონასტერს შესწირა გიორგი მთაწმინდლის ავტოგრაფებიდან მის მიერ „მოგებული" და გადაწერილი „სათუელნი ათორმეტთა თუეთა-ნი" (7 წიგნად), მისივე თარგმნილი „კურთხევანი". დაწვრილებით ამის შესახებ იხ. მე-15 აღაპის კომენტარი.

აღაპი დაწერილი უნდა იყოს თვით მამა იოანე ბუქაისძის ხელით. (1085–1104 წწ.). იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 278.

### 33 ტაბ. $X_1$ ნ. გ.; $33^{ა}$ ტაბ. $IX_4$ პ.

აღაპი განწესებულია 18 იანვარს მიქაელ ხუცეს კანანახისათვის, რომელმაც „ჟამსა დიდად საჭიროსა“ ეკლესიას შესწირა 30 პერპერა, რითაც დიდად დაეხმარა ქართველთა მონასტრის ძმობას გადამწვარ კელინთა აღდგენაში.

აღაპის მეორე ნაწილიდან ($33^{ა}$) კი ვგებულობთ, რომ მიქაელმა „კუალად“ მისცა მონასტერს 10 პერპერა სასნეულოს ასაშენებლად და ამასთანავე ააშენა კალავროს (მონასტერში) „სახლი საძირკვლითა და ვენაკით“. და „რაჲდა არის, ყოველი უანდერძა ეკლესიასა, რომელ ყოვლად არარაჲ იყო“ (ე. ი. განადგურებული იყო). თ. ხაჲომიას გამოკვლევის თანახმად, 33-ე აღაპი გადაფხეკილი 152-ე აღაპის პირს წარმოადგენს (იხ. Add. თ. ხაჲომია, დასახ. ნაშრომი, გვ. 389). 152-ე აღაპი დაწერილია მამა პავლეს ხელით 203r-ს ქვედა კიდეზე, ძალზე შემჭიდროებულად. აღაპის ბოლო სტრიქონი წაჭრილია. ალბათ, ამან გამოიწვია საჭიროება ამ აღაპის გადაფხეკისა და სხვაგან გადატანისა (33). № 33 გადაწერილია ნ. გულაბერისძის ხელით (იხ. ტაბ. $X_1$). შემდეგ ამ აღაპს მამა პავლემ მიაწერა გაგრძელება ($33^{ა}$), რომელიც იწყება 187v-ს ქვემო კიდეზე № 33-ის შემდეგ და გრძელდება 188r-ს ქვემო კიდეზე (იხ. ტაბ $IX_4$). გაგრძელებაში, როგორც ზემოთ ითქვა, წერია, რომ მიქაელ კანანახმა მონასტერს დამატებით შესწირა 10 პერპერა (იხ. აღაპის გაგრძელება № $33^{ა}$).

№ 33 აღაპის ორივე ნაწილი დაწერილი უნდა იყოს მამა პავლეს ზეობის წლებში (1170–1184).

ამდენად, ეს აღაპი თაფლაისძის რედაქციის სააღაპე წიგნის „გაგრძელების“ კუთვნილებაა (Actes d'Iviron, II, N33, p. 5; შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 279).

### 34 ტაბ. $I_7$ დ.

აღაპი განწესებულია 17 იანვარს, წმინდა ანტონის ხსენების დღეს ანტონ ლიპარიტყოფილისათვის (ლიპარიტ ლიპარიტის ძისათვის) მისი გარდაცვალების შემდეგ. აღაპიდან ვგებულობთ, რომ ანტონი ათონის ქართველთა მონასტერში მისულა მამა თეოდორეს დროს (1060–1064/5) და მდიდრული ევლოგია გადაუცია მონასტრის

საკრებულოსათვის: 100 დრაჰკანი – ეკლესიას და 56 – საკრებულოს, „სამთა ერთი სამასსა სულსა". ხოლო როდესაც ანტონ ლიპარიტყოფილი გარდაცვლილა, ივირონის საკრებულოს მისთვის განუწესებია აღაპი „ვითარცა მაშენებელთაჲვე". აღაპი ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს, თუმცა ზოგი რამ დასაზუსტებელია. კერძოდ, არ შეიძლება მონასტრის საკრებულოს 300 წევრზე „სამზე ერთი დრაჰკანი" შეადგენდეს 56 დრაჰკანს. ალბათ, აქ გადამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე და 56-ის ნაცვლად უნდა იყოს 96. თუ ეს ასეა, მაშინ XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის ივირონის საკრებულოში 288 ბერი ყოფილა (აღაპის დამწერს ეს ციფრი, ჩანს, დაუმრგვალებია).

აღაპის განგება „ვითარცა მაშენებელთაჲვე" თეოდორეს მამობის დროიდან წესდება და ყველაზე საპატიოდ არის მიჩნეული. ანტონისაგან მიღებული დიდი შეწირულებისათვის აღაპი მისთვის განუწესებია თეოდორეს მომდევნო წინამძღვარს გიორგი ოლთისარს: აღაპის ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ აღაპი განწესებულა თეოდორეს გარდაცვალების შემდეგ.

ლიპარიტ ბაღვაშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია ყოველთვის არ ემთხვევა ავთენტურ წყაროებს, მაგრამ ცნობა, რომ ლიპარიტი გარდაიცვალა 1064 წელს კონსტანტინოპოლში და იქიდან გადმოასვენეს „აღზრდილთა მისთა და დაფლეს საფლავსა მათსა კაცხს" (იხ. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 149), სწორი უნდა იყოს. მას მხარს უჭერს ანტონისათვის 1064 წელს განწესებული ზემოდასახელებული აღაპი. ლიპარიტ ბაღვაშის შესახებ იხ. „ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდლისაჲ", გვ. 155; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 180–181; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 185–190; ჯ. ოდიშელი, გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხორება", გვ. 48–49; „მატიანე ქართლისაჲ", ქართლის ცხოვრება I, გვ. 305.

## 35 ტაბ.I, დ.

აღაპი განწესებულია 21 იანვარს პროხორე იკონომოსისათვის. დაღალისონელის ხელით დაწერილი ეს აღაპი თავიდანვე 5 სტრიქონიანი ყოფილა. შემდეგ ტექსტის სამი სტრიქონი თაფლაისძეს ჩაუსწორებია.

ცნობებს პროხორეს შესახებ ვერ მივაკვლიეთ. საფიქრებელია, რომ აღაპი ნაწვალებია და ზოგი რამ შეცვლილი; ძნელია იმის

დადგენა, თუ რა სახის განგება უნდა ჰქონოდა თავდაპირველად ამ აღაპს და, შესაბამისად, დაღალისონელის სააღაპე წიგნის რომელ ქრონოლოგიურ ფენას განეკუთვნებოდა იგი.

რაც შეეხება აღაპის თარიღს, მისი ზემო ქრონოლოგიური ზღვარია 1074 წელი („ათონის კრებულის" შექმნის დრო). იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 215;

### 36 ტაბ. XIX (ნარევი)

აღაპი განწესებულია 19 იანვარს, დაუმთავრებელია; არ ჩანს სუბიექტი, ვისთვისაც არის განწესებული. აღაპი დაწერილია ადრეული მდივანმწიგნობრული ხელით (XII ს.) 188r-ს მარჯვენა კიდეზე. აღაპის ფრაზა „ბოლოსა ჰპოო" ჩვეულებრივ გულისხმობს ორწევრა აღაპის მეორე წევრს, რომელიც შეიცავდა აღაპის განგებას.

აღაპის მითითების მიუხედავად, 19 იანვარზე განწესებული ორწევრა აღაპის განგება არ შემოუნახავთ არც „გამგრძელებლებს" და არც „სააღაპე წიგნის" რომელიმე სხვა ნაწილს.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამ აღაპის ხელი სააღაპე წიგნში აღარ მეორდება.

### 37 ტაბ. $I_8$ დ.

აღაპი განწესებულია 22 იანვარს სულასთვის (ფარსმანისა და ჩორჩანელის მამისათვის), ქონქოზის და ცუარისათვის. ფარსმანი და [გიორგი] ჩორჩანელი ჩორჩანელთა სახლის წარმომადგენლები არიან და ჩორდვანელებს ენათესავებიან (იხ. №№ 16-19 აღაპების კომენტარები). ორივე ძმა ათონსა და ბიზანტიაში მოღვაწეობდა. საფიქრებელია, რომ ამავე ოჯახის წევრები იყვნენ ქონქოზი და ცუარიც. არსენ ფარსმანყოფილისა და გიორგი ჩორჩანელისთვის აღაპი განწესებულია დაღალისონელის სააღაპე წიგნში თვით არსენ ფარსმანყოფილის მიერ (იხ. აღაპი 50-ის კომენტარი). იმ აღაპის განგება უნდა ყოფილიყო №34 აღაპის განგება: „ვითა მაშენებელთაჲვე". არსენი უკანასკნელი წინამძღვარი იყო, ვინაც ჩორდვანელთა და ჩორჩანელთა სახლის წევრებისათვის აწესებდა განგებას „ვითა სჳნგელოზისასა". არსენის მომდევნო მამის, თევდორეს, მიერ განწესებულ აღაპებში უმაღლეს განგებად ითვლება უკვე „ვითარცა მაშენებელთათჳს" (იხ. აღაპი №34). რაც შეეხება აღაპში დასახელებულ სულას, მისი გაიგივება ზარზმის ეკლესიის ეგვტერის წარწერაში მოხსენებულ სულასთან,

ვფიქრობთ, არ შეიძლება, რადგან 37-ე ალაპის სულას ძეთა შორის არ ჩანს ივანე სულას ძე, მოხსენიებული ზარზმის წარწერაში: „მე, ივანე, ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდაჲ ეგუტერი მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი. დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა, სკლიაროსი გავაქციეთო“ (იხ. ვ. ბერიძე, სამცხის..., გვ. 57). გარდა ამისა, ჩორჩანელის მამა, სულა, უფრო გვიანდელი მოღვაწეა (მომდევნო თაობისა), ვიდრე ზარზმის წარწერის სულა. ორივე ზარზმის მფლობელი უნდა ყოფილიყო, ოღონდ სხვადასხვა დროს (ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 216).

**38 ტაბ.$I_8$ დ.**

განწესებულია ალაპი 25 იანვარს გრიგოლ და აბაზ ბაკურიანების „მზეგრძელობისათვის“. განგება: „ვითა ზემო სწერია წესი ლოცვისა“... (უნდა იგულისხმებოდეს № 34 ალაპის განგება: „ვითარცა მაშენებელთა“). თითოეულმა მათგანმა მონასტერს 200-200 დრაჰკანი შესწირა. დაწვრილებითი ცნობები ძმები ბაკურიანების ალაპთა შესახებ იხ. № 111 ალაპის კომენტარში. იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 217.

**39/145 ტაბ.$IX_{3,4}$ ვ.**

ალაპი განწესებულია 25 იანვარს გრიგოლ და იოანე ქობულის ძეთათვის განგებით: „გარდაიკდებოდის ყოვლითა გულსმოდგინებითა, ფსალმუნებითა და დიდებისმეტყუელებითა“. ორწევრა ალაპის პირველი წევრი დაწერილია დალალისონელის საალაპე წიგნის 188v-ზე მამა პავლეს ხელით. ალაპის პირველი ნაწილი მოთავსებულია მარცხენა კიდეზე და განწესებულია პავლეს მიერ ძმების ქველმოქმედებისათვის: „რომელნი მათ ქმნნეს ჟამსა ჭირისასა წმიდასა ამასზედა მონასტერსა“. ძმებს მამა პავლესათვის პირველად გადაუციათ 900 პერპერა. თუ რაზე დახარჯა ეს თანხა მონასტრის საკრებულომ, ამაზე საუბარია 145-ე ალაპში. პირველი შესაწირავი ძმებმა გაიღეს „სიგრძითა ჟამთაჲთა დაძუწლებული“ და „დაცემად მიახლებული“ კელინების ასაშენებლად და მეურნეობის აღსადგენად: „გაიროქნეს მუშანი მონასტრისანი სამსა ჯერსა, რომელთა დავასხმევიეთ ვენაკი კე-სა მოდისაჲ“. გარდა ამისა, მონასტრის თავდაცვისათვის ჩატარდა რიგი სამუშაოებისა: „აღეშენა... ნიკოლწმიდაჲ, მეტოქი და სოფელი, ყურსალთა მიერ სრულიად აოკრებული; მათივე საკმარითა აღეშენა ბურღოჲსა დადგმითა, რაჲთა უშიშ იყვნენ მბრძოლთაგან“.

ჩატარებული სამუშაოებიდან კარგად ჩანს, თუ რას გულისხმობდა მამა პავლე „ქამსა ჭირისასა“-ში, რომელშიც იმყოფებოდა ქართველთა ლავრა XII საუკუნის 70-80-იან წლებში.

ამ აღაპის ცნობებს სავსებით ეთანხმება № 165 აღაპში დაცული ცნობები იმის შესახებ, თუ რა პირობებში ჩაიბარა მამა პავლემ ქართველთა ლავრა 1170 წელს. ეს ამბები დაწვრილებით არის გადმოცემული მამა პავლეს აღაპში (165+ 167), საიდანაც ჩანს, რომ ქობულისძეთა შემოწირულება ერთ-ერთი უმდიდრესი ევლოგია იყო პავლეს მიერ მიღებულ სხვა შემოწირულებათა შორის. ჩანს აგრეთვე ისიც, რომ ძმები ქობულისძენი მამა პავლეს ახლო მეგობრები ყოფილან. № 165 აღაპში ვკითხულობთ: „ამანვე მოიგნა მეგობრად კომნიანოსი კირ ალექსი და ცოლი მისი მარიამ; ეგრეთვე ქუაბულისძენი იოანე და გრიგოლ“.

აღაპი 39-ის დადებიდან ცოტა ხნის შემდეგ ქართველთა მონასტერში გაჩნდა ხანძარი, გადაიწვა სამონასტრო კელინები. ამ ფაქტთან დაკავშირებით პავლემ „აღმოსავლეთში“ (საქართველოში) საკალმასოდ გაგზავნა სამი ბერი. ათონზე დაბრუნებულმა ბერებმა პავლეს გადასცეს ევლოგიები. მათ შორის იყო ძმები ქობულისძეების მიერ განძეორებით გამოგზავნილი 900 დრაჰკანი. ეს ფაქტი აღნიშნულია № 39 აღაპის ბოლოს პავლეს მიერ გაკეთებულ მინაწერში; რამაც სათანადო ცვლილებების შეტანა მოითხოვა № 145 აღაპში: მამა პავლემ ამ აღაპის შუაგულში საგანგებოდ ამოფხეკილ სტრიქონში თავისი ხელით ჩაწერა წვრილი ნუსხურით შემდეგი ცნობა: „უწყოდით რიცხჳ დრაჰკნისა, მათგან მოსრულისაჲ პირველ და შემდგომად რომელ მოსრულ არს: არს ყოველი ჩყ და უფრო (ფ)ცა“.

ამრიგად, ორწევრა აღაპი 39/145, პავლეს აღაპი 165 და აღაპი 33 ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან სრულ სურათს ქართველთა მონასტრის ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ პავლეს მამობის დროს.

აღაპი დაწერილია მამა პავლეს ხელით ორჯერადად. იხ. ნ.ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 279–281.

**40 ტაბ.$I_8$ დ, თ.**

აღაპი განწესებულია 29 იანვარს გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის აბუსერის ძისათვის და გრიგოლ შაშუასძისათვის.

დაღალისონელის ხელით დაწერილი ამ აღაპის ბოლოს რამდენიმე სტრიქონი მომდევნო 189r-ზე გრძელდებოდა (დღევანდელი აღ-

რიცხვით 190-ე ფ.). შემდეგ 188 ფურცლის მომდევნოდ თაფლაისძეს ჩაუმატებია ახალი ფურცელი, რომელზეც № 40 აღაპის დასასრული გადაუტანია, დღევანდელ 190r-ზე აღაპის ბოლო ორი სტრიქონი გაუუქმებია (გადაუფხეკია). მოგვიანებით გადაშლილი ტექსტის ადგილი სხვა აღაპის ჩასაწერად გამოუყენებიათ (47).

გრიგოლ აბუსერისძე, არტანუჯის ერისთავი, ბაგრატ IV-ის თანამოღვაწე იყო (დაწვრილებით იხ. დ. კლდიაშვილი, ციხისჯვარელთა..., გვ. 134).

გრიგოლ შაშუაისძისა და სინურ სულთა მატიანეში მოხსენიებული შაშვიაშვილების შესახებ იხ.: ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 246; აქვე, Add. თ. ხაჟომია, ათონის კრებულის..., გვ.387; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 217, 220.

აღაპი უნდა დათარიღდეს XI საუკ. II ნახევრით.

**41 თ.**

აღაპი განწესებულია 23 იანვარს ბერი კლიმისთვის, მამა იოანე ბუქაისძისა და ნიკოლა პროტოსვინგელოზის მიერ. აღაპი დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1085 წლისა. როგორც ჩანს, იგი თაფლაისძეს მოუპოვებია „დაფანჩულ" აღაპთა შორის, თავისი ხელით გადაუწერია და შეუტანია მისი რედაქციის სააღაპე წიგნში (იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 240).

**42 თ.**

აღაპი განწესებულია 27 იანვარს მამა იოანე სისიკონელისა და მისი ძმების, გაბრიელისა და გიორგისათვის. ძმები ათონზე მისულან, დამკვიდრებულან სისიკონში (ქართველთა მონასტრის მამულში — იხ. Actes d'Iviron, I, გვ. 71, რუკა № 4), ერთგულად უმსახურიათ და მონასტრისათვის შეუწირავთ დრაჰკანი სტამენონი ალექსატი 280. შეწირულ მონეტათა მიხედვით უნდა მივიჩნიოთ, რომ აღაპი განწესებულა ალექსი კომნენოსის რეფორმის შემდეგ (1092 წ.).

**43 თ.**

აღაპი განწესებულია 29 იანვარს ათონის წინამძღვრის მამა იოანე ბუქაისძისათვის განგებით: „ვითა მაშენებელთათჳს სწერია", მონასტრის საკრებულოს მიერ მის გარდაცვალებასთან დაკავ-

შირებით. აღაპში შეჯამებულია მამა იოანეს მოღვაწეობა ივირონში; თარიღდება აღაპი 1104 წლით (ცნობები მამა იოანე ბუქაისძის შესახებ იხ. აქვე, ათონის წინამძღვართა რიგი. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 225).

44 ტაბ.III₁ თ. მ.

აღაპი განწესებულია 11 იანვარს გიორგი ჯუბიელისათვის. აღაპი დაწერილია თაფლაისძის მიმბაძველის მიერ, რასაც ადასტურებს მისთვის დამახასიათებელი ფორმის ხმარება (პანაშკტი).

აღაპი თარიღდება XII საუკუნის 50-იანი წლებით. რაც შეეხება გიორგი ჯუბიელის ვინაობას, იგი უნდა იყოს შავი მთის ლერწმისხევის ჯუბის მონასტრის მოღვაწე. გიორგი ჯუბიელი შავი მთიდან ათონზე, ვ. ჯობაძის თვალსაზრისით, უნდა წასულიყო 1140 წლისათვის. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. აქვე, თაფლაისძის მიმბაძველი; W.Djobadze, Materials..., p. 94; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 285.

45 ტაბ.III₁ თ. მ.

აღაპი განწესებულია 11 იანვარს თევდოსი სოლონიკელისათვის (დუკყოფილისა); ეს აღაპიც თაფლაისძის მიმბაძველს ეკუთვნის, ამდენად, ისიც XII საუკუნის შუა წლებით უნდა დათარიღდეს. თევდოსის ვინაობა დაუდგენელია. დაწვრილებით აღაპის შესახებ იხ. აქვე, თაფლაისძის მიმბაძველის აღაპთა დათარიღების ცდა.

46 ტაბ.III₁ თ. მ.

აღაპი განწესებულია 7 იანვარს ესაია ასურისათვის. ესაიას ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება. ეს არის უკანასკნელი აღაპი, რომელიც დაიწერა თაფლაისძის მიმბაძველის ხელით. თარიღდება იგი ისევე, როგორც 44-45-ე აღაპები. სამივე აღაპში (44, 45, 46), მოხსენიებული არიან ის პირები, რომლებიც, ჩვენი აზრით, 1140 წლის შემდეგ უნდა ჩასულიყვნენ შავი მთიდან ათონზე (შდრ. W. Djobadze, Materials..., p. 93).

47 ტაბ.VII₂; 47ᵃ ტაბ.VIII₁ ვ.

აღაპი განწესებულია 27 იანვარს იოანე რუსყოფილისათვის საპატიო განგებით: „აღესრულებოდინ ყოვლითა გულსმოდგინე-

ბითა". რუსყოფილი ამ შემთხვევაში არ არის ეთნიკური სახელი. ვფიქრობთ, რუსი იყო იოანეს საერო სახელი. „რუს" როგორც საკუთარი სახელი ქართულ წყაროებში ვერ დავადასტურეთ.

აღაპი 47 დაწერილია მამა იოანე IV-ის ხელით (იხ. აქვე, თაყლაისძის მიმბაძველის აღაპთა დათარიღების ცდა) იმავე ჩანამატ ფურცელზე (190r), რომელიც თაფლაისძის ხელით არის ნაწერი. ძირითადი (47) აღაპის ხელით არის ნაწერი 9/141 ორწევრა აღაპიც – დაწერილია აღაპი 47 არა უგვიანეს 1170 წლისა (იხ. აქვე, მონასტრის მამები: მიქელ და იოანე). ამ აღაპის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს აღაპი 47ა, განწესებული იმავე იოანე რუსყოფილისათვის. აქ დაკონკრეტებულია შეწირული წიგნების რაოდენობა და მათი სახელწოდებები, კერძოდ: გიორგი მთაწმინდლის მიერ თარგმნილი „სადღესასწაულო" (ორი ცალი), ეფრემ მცირის თარგმნილი, „ლავსაიკონი", „დიონისე" და „თეოდორიტე".

47ა აღაპის ხელით არის დაწერილი აღაპი 143ა.

## 48 ტაბ.I, დ.

აღაპი განწესებულია 2 თებერვალს ევანეზის ძმის, გაბრიელისთვის, რომელსაც მონაზვნობაში ეწოდა ნიკოლა. გაბრიელის ძმა ევანეზი, ჩანს, ქართველთა ლავრის საკრებულოსთვის კარგად ცნობილი პიროვნება ყოფილა, რაკი გაბრიელს მისი საშუალებით წარმოადგენენ აღაპში. აღაპის განგება ძალზე საპატიოა (განწესებულია იგი არსენ ფარსმანყოფილის მიერ): „ვითა თორნიკისთჳს სჳნგელოზისა სწერია". აღაპი განწესებულია მდიდარი შეწირულებისათვის „სიმტკიცითა დიდითა და წყევითა". წინამდებარე სააღაპე წიგნში კი აღაპს არ ახლავს არც სიმტკიცისა და არც წყევის ფორმულა. ჩანს, დედნისეული ეს ფორმულები დაღალისონელს სააღაპე წიგნში არ გადმოუტანია, მაგრამ დედანში მათ არსებობაზე მაინც მიუთითა. არსენს აღაპი უნდა განეწესებინა არა უგვიანეს 1059–1060 წლებისა. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ არსენი ყველაზე საპატიო განგებას აწესებს გაბრიელისათვის: „ვითა სჳნგელოზისაჲ", თანაც „ტრაპეზსა ხუთ-ხუთი სასუმელი". განგების ეს ფორმულა არსენის აღაპებში ხშირად გვხვდება, მაგრამ „ტრაპეზსა ხუთ-ხუთი სასუმლით" – იშვიათად.

გაბრიელი და ევანეზი, ეტყობა, არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდნენ, რაზეც მათი სააღაპე შეწირულება (საფასი და კუმაში) და

ერთმანეთის მომდევნოდ ორი აღაპის (48 და 49) განწესება მიანიშნებს. ჩანს, გაბრიელი ჩორდვანელთა სახლთან ნათესაურად იყო დაკავშირებული (იხ. აქვე, Add. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 135, 221).

### 49 ტაბ.$I_9$ დ.

იხ. № 48 აღაპის კომენტარი.

### 50 ტაბ.$I_{10}$ დ.

აღაპი განწესებულია 13 თებერვალს გიორგი ჩორჩანელისათვის (ფარსმანის ძმისათვის), საფიქრებელია, გიორგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. გიორგი ჩორჩანელს როგორც ქტიტორთა ნათესავს განუწესდა უმაღლესი განგება: „ვითარცა სჳნგელოზისა და იოანე მაშენებელისა და ეფთჳმესთჳს“. არსენის განწესებულ აღაპებში ჩვეულებრივ წარმოდგენილია განგების ფორმულა „ვითა სჳნგელოზისა“. გიორგი ჩორჩანელის აღაპში კი სჳნგელოზის განგებას ემატება „იოანე მაშენებელისა და ეფთჳმესთჳს“ – ე. ი. გაერთიანდა ქართველთა ლავრის სამი მაშენებლის აღაპთა განგებები (ასეთი განგება განუწესდა გიორგი დიდსაც, იხ. № 13 აღაპის კომენტარი). ამავე დროს დაღალისონელის სააღაპე წიგნის ამ აღაპში პირველად გამოჩნდა იოანე ქართველი „მაშენებლის“ წოდებით, რითაც ის ჯერ გაუთანაბრდა, ხოლო შემდეგ დაუპირისპირდა კიდეც თორნიკეს. ეს კურსი XI საუკუნის 60-იანი წლებიდან აშკარად არის აღებული ქართველთა ლავრის საკრებულოში. ამის შედეგია ის, რომ XI საუკუნის II ნახევრის ათონის მასალებში თორნიკე სვინგელოზი ქართველთა ლავრის ერთპიროვნულ მაშენებლად აღარ იხსენიება. იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 223.

### 51 თ.

აღაპი განწესებულია 17 თებერვალს თეოდორე ასურისათვის, რომელიც, საფიქრებელია, ჩამოვიდა შავი მთიდან გიორგი ჯუბიელთან (აღაპი 44), თევდოსი სოლონიკელსა (აღაპ. № 45) და ესაია ასურთან (№ 46) ერთად 1140 წლის შემდეგ (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 225).

52 თ.

ალაპი განწესებულია სვიმონ ბერძენი ხუცისთვის მარხვის კვირაში, „დღესა შაბათსა უძღებისასა". ასეთ დღეებზე ალაპის განწესება განსაკუთრებით საპატიოდ ითვლებოდა. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ სვმონ ბერძენი ხუცი დიდი პატივით სარგებლობდა ივირონის ქართველთა საკრებულოში.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალებში ცნობები მის შესახებ ვერ მოვიძიეთ.

53 თ.

ალაპი განწესებულია მარხვის კვირის „პირველსა შაბათსა" თეოდორეს სულის მოსახსენებლად, რომელსაც მონასტრისათვის მდიდრული შესაწირავი შეუწირავს: „ლიტრაჲ ერთი განძი და ორნი საკედარნი". თეოდორეს ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება.

54 ტაბ. $IX_5$

ალაპი განწესებულია, მარხვის მეორე შაბათს არიშიანისათვის. არიშიანი ანუ არიშის მფლობელი დავით აღმაშენებლის მიერ 1104 წელს დაწესებული თანამდებობაა ჰერეთის დიდებული ერისთავისათვის (იხ. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის..., გვ. 255. მისივე, შენიშვნები... გვ.627-630. მისივე, ათონის ქართველთა..., გვ.283-284). პირველი არიშიანი XII საუკუნის I მეოთხედის მოღვაწედ ჰრის მიჩნეული.

ალაპი თარიღდება XII საუკუნის 50-60-იანი წლებით (პავლეს მამობამდე). არიშიანის ეს ალაპი მოხსენიებულია 143ა ალაპში (ორწევრა ალაპის II წევრში), რომელიც მამა ვასილის მიერ არის განწესებული იოანე კოჯიხისძისათვის. ამის მიხედვით № 54 ალაპი, № 143 ალაპის მსგავსად, XII საუკუნის 50-60-იან წლებში უნდა იყოს განწესებული. № 143 ალაპი № 54-ის შემდეგ არის გაჩენილი, ვინაიდან იგი ახსენებს არიშიანის № 54 ალაპს და იოანე კოჯიხისძეს აკავშირებს არიშიანთან: „ძმაჲ და თჳსი იყო" მისიო. დროის თვალსაზრისით ეს ორი ალაპი დიდად არ უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთს.

რაც შეეხება № 143 ალაპის ცნობას იმის შესახებ, რომ იოანე კოჯიხისძის ევლოგია ჩაიტანა ათონზე და მონასტერს გადასცა დიდმა მოძღვარმა ონოფრე გარეშჯელმა, იგი იმას მოწმობს, რომ ალაპში მოხსენიებული ონოფრე გარეშჯელი არიშიანის და იოანე კოჯიხისძის თანამედროვე ყოფილა.

## 55 თ.

ალაპი განწესებულია მარხვის მეორე შაბათს ლიპარიტ ივანეს ძისათვის: „მოგუცნა ორნი ცხენნი, ტაიჭნი კარგნი". ეს ლიპარიტი არის იმ ლიპარიტის შვილიშვილი, რომელიც განუდგა ბაგრატ IV-ს, და შვილი ივანესი — გიორგი II-ის ურჩი ფეოდალისა (ვრცლად ამის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 226–227).

ორგულობისათვის იგი დავით აღმაშენებელს გაუძევებია საქართველოდან საბერძნეთში, სადაც გარდაცვლილა კიდეც. როგორც ჩანს, ამ დროსაა მისთვის გაჩენილი ალაპი ათონის სააღაპე წიგნში. ნ. ბერძენიშვილი ალაპს ათარიღებს 1097–1123 წლებით. ალაპის ამ დათარიღებას სავსებით ვიზიარებთ.

## 56 თ.

ალაპი განწესებულია დიდ ხუთშაბათს მამა ნიკოლა პროტოსვინგელოზისა და მონასტრის საძმოს მიერ გიორგი მაგისტროსისათვის „დიდთა მათ ქველის-მოქმედებათა მათთჳს", რომელსაც შეუწირავს ეკლესიისათვის დიდძალი ქონება სიცოცხლეში და სიკვდილის შემდგომაც დაუტოვებია: „განძი, სტავრანი და ჭურჭელი ვეცხლისაჲ და საკედარნი, ყოველივე ჴუმლად შ-სა ლიტრისა განძისა საკმარი".

ამ ალაპის გარდა სააღაპე წიგნში გიორგისათვის გაჩენილია კიდევ ორი ალაპი (73-ე და 96). სამივე ალაპის განგება მოტანილია 56-ე ალაპში.

ალაპი № 96 განწესებულია გიორგი მაგისტროსისათვის 27 ივლისს, როდესაც მონასტრის საკრებულომ დაკრძალა „ძუალნი მისნი მის მიერ განწესებულსა საფლავსა". ე. ი. გიორგის თავისთვის სიცოცხლეშივე დაუკვეთავს ძმობისათვის საფლავი ივირონის მონასტერში.

56-ე ალაპის განგება (რომელიც ვრცელდება აგრეთვე დანარჩენ ორ ალაპზეც) ძალზე საპატიოა: „ვითარცა მაშენებელთაჲ". განგების მიხედვით, გიორგის სულის მოსახსენებლად საძმოს დაუყენებია ერთი ხუცესი „ჟამისმწირველად ლიტრითა ერთითა პურსყიდული, რაჲთა ყოველსა მსგეფსსა შინა ბ დღესა ჟამსა წირვიდეს მისთჳს დაუკლებელად, ვიდრემდის ეგოს წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ და ყოველთა კათოლიკეთა კურექსთა შინა იხსენებოდის ჟამისწირვისათა და მწუხრისათა და ცისკრისათა, მაშენებელთა თანა".

პურსყიდული მწირველი გულისხმობს ხუცესს, რომელსაც წირვისათვის ეძლევა გიორგი მაგისტროსის შეწირულებიდან ერთი ლიტრა პურის სყიდვის საფასური.

ალაპი თარიღდება 1145 წლის ახლო ხანებით (იხ. აქვე, წინამძღვართა რიგი). ნ. ბერძენიშვილის აზრით, გიორგი მაგისტროსი „ჩორჩანელთა გვარის კაცი უნდა ყოფილიყოს“ (ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 227-229).

დამატებითი ცნობები გიორგი მაგისტროსის ვინაობის შესახებ წყაროებში არ იძებნება. ჟ. ლეფორის ვარაუდით, იგი ქართველი უნდა ყოფილიყო, რაკი თავი დააკრძალვინა ივირონში და ასეთი დიდი შესაწირავი გაიღო მონასტრისათვის (იხ. Actes d' Iviron, II, pp. 6, 7, 21, 25).

**57 ტაბ. XII**

ალაპი განწესებულია „ძმისა ათანასესთჳს“ 9 მარტს. ამავე ხელით არის დაწერილი ალაპები 22 და 104, რომლებიც შეტანილია XII ტაბულაში. ეს ალაპი საინტერესოა განგების დასკვნითი ნაწილის ახალი ფორმულით: „ღმერთმან აღმასრულებელთა მადლი მისცეს, ხოლო დამვიწყებელთა ბრალი აქუს“. თვითონ განგება კი ტრადიციულია, რომელიც წესდებოდა, ჩვეულებრივ, შემწირველთათვის. ალაპი დაწერილი უნდა იყოს მამა მიქაელის სიცოცხლეში (1140-50-იან წლებში).

**58 თ.**

ალაპი განწესებულია „ლაზარობად“ დავით კოჭიკაძესა და ზაქარიასთვის: „მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი ალექსატი ს“. ცნობები მათ შესახებ ვერ მოვიძიეთ. ალაპის დათარიღება ხერხდება მასში დამოწმებული მონეტის ზედწოდების „ალექსატის“ საშუალებით, რომლის გავრცელების დრო იფარგლება ალექსი კომნენოსის მეფობისა და თაფლაისძის მოღვაწეობის წლებით (1081-1140 წწ.) (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 229-230).

**59 თ.**

ალაპი განწესებულია ხარება დღეს (25 მარტს) ათონის საკრებულოს „სულიერი ძმის“ დავით ხუცესისათვის, რომელმაც მონასტერს 200 დრაჰკანი დიმიტრატი შესწირა. დასახელებული მონეტა ალაპის

დაახლოებითი დათარიღების საშუალებას გვაძლევს – კერძოდ, დაახლოებით 1081–1092 წლების შემდგომი ხანებით (იხ. C. Morrisson, Catalogue..., II, გვ. 680–682, 702).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**60 თ.**

ალაპი განწესებულია 6 აპრილს მარიამ ბასილაკის ასულის, სუმბატ კურაპალატის მეუღლისათვს. მარიამისა და მისი მეუღლისათვის კიდევ სამი ალაპია განწესებული საალაპე წიგნში (103, 120, 121). ვრცლად ამ ალაპთა შესახებ იხ. აქვე, Add. Е. Метревели, ”Сведения..., გვ. 411–415; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 230–231.

**61 ტაბ.II თ.**

ალაპი განწესებულია 23 აპრილს ივირონის საკრებულოს მიერ გიორგი ოლთისარის (ივირონის წინამძღვარი 1065–1077წწ.) და მისი ძმის, მიქაელისათვის. ალაპის განგება არაორდინალურია. მასში გიორგი ოლთისარი გათანაბრებულია ქართველ მაშენებელ წმინდა მამებთან: „გარდაიკდებოდენ, ვითარცა წმიდათა მამათა ჩუენთა მაშენებელთათჳს წერილ არს“.

ალაპი დაწერილი უნდა იყოს 1080 წლის შემდეგ (გიორგის წინამძღვრობიდან გადადგომის ან გარდაცვალების მერე).

გიორგი ოლთისარი ბერის სახელით როგორც წინამძღვარი ხელს აწერს 1071 წლის ერთ–ერთ ბერძნულ აქტს (იხ. Actes d' Iviron, II, № 39; და აქვე, წინამძღვართა რიგი; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 231–233).

გიორგი ოლთისარი და მისი ძმა მიქაელი ერთად იხსენიებიან Ath. 30 ხელნაწერის ვრცელ ანდერძში (იხ. ათონურ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 89, 91, 130). გიორგი მოხსენიებულია აგრეთვე Ath. 24, Ath 54 ხელნაწერებში (იხ. R. Blake, Catalogue..., pp. 139, 245).

**62 ტაბ.II თ.**

ალაპი განწესებულია 25 აპრილს ათონის ქართველთა საკრებულოს წევრის ძნელისათვის: „ასი დრაჰკანი მოგუცა და ყოვლადვე მოგუცემს“(ე. ი. მომავალშიც მოგვცემსო). აქედან ჩანს, რომ ძნელისათვის ალაპი მის სიცოცხლეშივე გაუჩენია ივირონის საძმოს. ალაპი დაწერილია თაფლაისძის ხელით და მისივე დეკანოზობის წლე-

ბით იფარგლება (1120–1140 წწ.) (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 234).

### 63 ტაბ.II თ.

ალაპი განწესებულია 28 აპრილს „სჳმონ ნოტარისა ქართველისათჳს", რომელმაც მთელი თავისი ქონება შესწირა მონასტერს.

ალაპი დაწერილი ჩანს XII საუკუნის შუაწლებამდე (1120–1140 წწ.).

### 64 ტაბ.$III_2$ თ. მ.

ალაპი განწესებულია 1 მაისს თეოფილახტე მკერვალისათვის, რომელმაც მონასტერს 42 პროტოხარაგი შესწირა. თუ ამ მონეტის ზედწოდების მიხედვით ვიმსჯელებთ, ალაპი XI საუკუნის ბოლო წლებით უნდა დავათარიღოთ, რადგან იგი მოჭრილია ალექსი I კომნენოსის რეფორმის შემდეგ (1092. იხ. R. Blake, Some..., გვ. 28); პროტოხარაგზე ვრცლად მსჯელობს ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომში ათონის ქართველთა..., გვ. 234 (სქოლიო).

ვინაიდან ალაპი დაწერილია თაფლაისძის მემბაძველის ხელით, იგი უნდა დათარიღდეს XIს. 40–50-იანი წლებით.

### 65 ტაბ.XIX (ნარევი)

ალაპი განწესებულია 5 მაისს ირისე ფურთუხლადყოფილის, ბორანაძს დისთვის, რომელმაც შესწირა მონასტერს „ჟამსა ჭირისასა" 45 პერპერა, ახალი სტამენონი, ლიტრა 21. „ახალი სტამენონი" უნდა იყოს ალექსი I კომნენოსის სამონეტო რეფორმის შემდგომდროინდელი მონეტა (იხ. C. Morrisson, Catalogue..., II, p. 670). ამის საფუძველზე ალაპი უნდა დათარიღდეს არა უადრეს 1092 წლისა.

### 66 თ.

ალაპი განწესებულია 5 მაისს იოანე კოპანაძსთვის, რომელსაც ეკლესიისათვის შეუწირავს „დრაჰკანი პროტოხარატი ასი" (ამ მონეტის ზედწოდებასთან დაკავშირებით იხ. № 64-ის კომენტარი; ასევე შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 234, სქოლიო). იოანე კოპანაის ვინაობა უცნობია.

თარიღდება ალაპი თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120–1140).

## 67 თ

ალაპი განწესებულია 7 მაისს ყოველთა ძმათა საუკუნოდ სახსენებლად, „რომელთა მოიღეს საშენებლად ზღუდისა დრაჰკანი“ (ამ შემთხვევაში დრაჰკანი ზოგადად ოქროს მონეტას აღნიშნავს). ჩანს, ზღუდე აშენებულა საკრებულოს მიერ შეგროვებული სახსრებით. საფიქრებელია, რომ ამ საქმის ინიციატორი იყო გიორგი ოლთისარი, რადგან მონასტრის ზღუდის აშენების შესახებ პირველი ცნობა გვხვდება სწორედ გიორგი ოლთისარისათვის განწესებულ ალაპში (61). რაკი ალაპი საალაპე წიგნში შეტანილია თაფლაისძის ხელით, ზედა ქრონოლოგიური საზღვარი უნდა იყოს 1120-1140 წლები.

## 68 თ.

ალაპი განწესებულია 8 მაისს კოსტანტი პროტოსპათარ ანდრონოპოლელი მანგლავიტისათვის.

ცნობები ამ პიროვნების ვინაობის შესახებ წყაროებში არ იძებნება. რაც შეეხება პროტოსპათარს, იგი საიმპერატორო სამხედრო პატივია, ხოლო მანგლავიტი კი თანამდებობა – საიმპერატორო დაცვის მსახური. ეს პატივი XI საუკუნის ბოლოს უკვე ქრება (N. Oikonomidès, Les listes..., p. 328).

ამგვარად, ალაპის განწესების ზემო ქრონოლოგიური ზღვარია XI საუკუნის დასასრული. საალაპე წიგნში შეტანილია თაფლაისძის მიერ.

## 69 ტაბ. $IX_4$ პ.

ალაპი განწესებულია 8 მაისს მელეტისათვის, რომელსაც მონასტრისათვის 20 პერპერა შეუწირავს. ალაპი დაწერილია პავლეს ხელით, ამდენად იგი თარიღდება 1170-1184 წლებით.

ცნობები მელეტის ვინაობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ვერ მოვიძიეთ.

## 70 თ.

ალაპი განწესებულია 10 მაისს მონასტრის ძმის, ბასილისთვის. მისი ვინაობა უცნობია. შესაძლებელია, იგი ბერძენი იყო, ათონის მახლობლად მცხოვრები, რომელიც ბერად შედგა ქართველთა მონასტერში, ემსახურა ეკლესიას და გარდაცვალების შემდეგ მონასტერს დაუტოვა თავისი ქონება.

ალაპი თარიღდება თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120-1140).

**71 თ.**

ალაპი განწესებულია ეფთვიმე მთაწმინდლისათვის მისი გარდაცვალების დღეს, 13 მაისს. ალაპში ეფთვიმე იწოდება მაშენებლად, ხოლო ალაპის განგება არის: „ყოველივე სენგელოზისა განგებაჲ აღესრულოს“. დაწერილია ალაპი, რა თქმა უნდა, ეფთვიმეს გარდაცვალებასთან (1028 წ.) დაკავშირებით. ალაპი შეტანილი იქნებოდა დაღალისონელისეული საალაპე წიგნის პირველ ფენაში. დაღალისონელის საალაპე წიგნის დაზიანების შემდეგ თაფლაისძეს მისთვის მიუკვლევია „დაფანჩულ“ ალაპთა შორის და თავის საალაპე წიგნში ჩაურთავს იგი (1120-1140 წწ.).

**72 თ.**

ალაპი განწესებულია 15 მაისს ქრისტეფორე ლალაკოყოფილისათვის, რომელმაც მონასტერს შესწირა „ლიტრაჲ ა განძი, სკარამანგი ა, ჯორი ა“.

ლალაკონი (Λαλλακόν) კარგად ცნობილი ბერძნული გვარია, მაგრამ ამ შემთხვევაში ლალაკო ქრისტეფორეს საერო სახელი ჩანს. თარიღდება ალაპი თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120-1140).

**73 თ.**

ალაპი განწესებულია 20 მაისს გიორგი მაგისტროსისათვის. იხ. № 56 ალაპის კომენტარი.

**74 თ.**

ალაპი განწესებულია 21 მაისს (კონსტანტინესა და ელენეს ხსენების დღეს) კონსტანტი პროიდროსისათვის: „მისითა შუამდგომელობითა დიდნი წყალობანი მოგუფინნა წმიდამან მეფემან“. ალაპის განგებაა: „აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა“. ანალოგიური განგება სხვა ალაპებშიც გვხვდება დაღალისონელის საალაპე წიგნში (15, 20). სამივე ალაპში (15, 20, 74) კონსტანტინოპოლში მყოფი ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები შუამდგომლობენ ბაგრატ IV-ის დედის, მარიამისა და თვით ბაგრატის წინაშე (1054-1056 წწ.). ამ შემთხვევაში (№ 74 ალაპი) სამეფო მოხელე

პროიდროსი შუამდგომლობს მეფის (ალბათ, ბიზანტიის იმპერატორის) წინაშე. აღაპის განგების მარტივი ფორმულირება გვაფიქრებინებს, რომ მისი განწესება არ უნდა სცილდებოდეს XI საუკუნის დამლევს (1081 წლამდე).

პროიდროსის წოდების შესახებ ვიცით, რომ იგი შემოიღო ნიკიფორე ფოკამ (963-969). თავდაპირველად სამეფო ადმინისტრაციაში პროიდროსი მხოლოდ ერთი იყო; 1025-1028 წლიდან უკვე რამდენიმე ჩანს, მხოლოდ საჭურისები. ჩვეულებრივ მამაკაცებზე ეს ტიტულატურა გავრცელდა XI საუკუნის შუა წლებიდან. უკანასკნელად იხსენიება XII საუკ. შუაწლებში. XI-ს-დან ჩნდება აგრეთვე პროიდროსის საეკლესიო წოდება (N. Oikonomidès, Les listes..., p. 299). კონსტანტი პროიდროსი უნდა იყოს თეოდორაკანის გვარის წარმომადგენელი, ისევე როგორც მომდევნო აღაპის (75) არსენი (Actes d' Iviron, II, p. 6).

ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, კონსტანტი პროიდროსი იყო ბაგრატ IV-ის ქალიშვილის, მართას, სიმამრი, რომელსაც ტახტზე ასვლამდე პროიდროსის პატივი ჰქონდა მინიჭებული. სწორედ მისი პროიდროსობის დროს უნდა შემოეყვანათ მართა კონსტანტინოპოლში (1056 წ.) „კონსტანტინე დუკას სასძლოდ" (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 237-238).

**75 თ.**

აღაპი განწესებულია 21 მაისს არსენი თევდორაკანისათვის. „დიად ჰმსახურა ეკლესიასა და ფიცით დაჰყარა ზღვარი მელინძათაჲ და კუალად მოსცა დრაჰკანი ორასი დიმიტრატი". „ზღვარის დაყრა", ნ. ბერძენიშვილის აზრით, არის სამოქალაქო სარჩელი, რომელიც ათონის ქართველთა მონასტერსა და ბერძნებს შორის არაერთგზის ყოფილა — გიორგი ოლთისარის, მიხაელ მეფის, იოანე ბუქაისძის, იოანე კალაკალას თუ მამა პავლეს დროს. ვფიქრობთ, რომ ამ აღაპში მოხსენიებული „ზღვარის დაყრა" გიორგი ოლთისარის მამობაში აღძრული სარჩელის შედეგად ადრე მიტაცებული მიწების საზღვრის აღდგენას უნდა გულისხმობდეს, როცა გიორგი ოლთისარმა „მრავალნი მონასტერნი და პრასტინნი დაჰყარნა მრავალ ჟამთაგან წახუმულნი". არსენი თევდორაკნის მიერ „ფიცით ზღვარის დაყრა" სწორედ „მრავალჟამთაგან წახუმულს მონასტრის მამულებს ესაჭიროებოდა" (ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 238-239).

მელინძასთან დაკავშირებით, იხ. მონასტრის კუთვნილი მიწების რუკა № 5: Actes d' Iviron, II, p. 58. რაც შეეხება არსენის ვინაობას, იგი ბერძენი უნდა იყოს .

ალაპში მოხსენიებული მონეტის (დრაჰკანი დიმიტრატი) მიხედვით, იგი დადებული უნდა იყოს ალექსი I კომნენოსის რეფორმამდე (1092. იხ. C. Morrisson, II, p. 680-682, 702).

**76 თ.**

ალაპი განწესებულია 24 მაისს სვიმეონ ელადისა, მისი შვილის, გიორგისა და დედის, სტრატილოსთვის. ამ პირთა ვინაობა ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ვერ დავადგინეთ. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ბერძენთა ეს ოჯახი (ალბათ, მდიდარი და გავლენიანი) ცხოვრობდა ელადის თემში, სადაც არსებობდა ქართული სამწიგნობრო კერა (იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 226).

ალაპში მოხსენიებული მონეტა „ახალი დრაჰკანი" საშუალებას გვაძლევს დავათარიღოთ იგი: მონეტა მოჭრილი უნდა იყოს ალექსი I კომნენოსის სამონეტო რეფორმის შემდეგ (1092).

**77 თ.**

ალაპი განწესებულია 25 მაისს გიორგი დედოფლეურისა და მისი მამის, იოვანესთვის, მამა იოანეს და „ყოველთა ძმათა" მიერ. ცნობები ალაპში დასახელებულ პირთა შესახებ წყაროებში არ ჩანს.

ალაპი დაწერილია თაფლაისძის ხელით, მაშასადამე, ზედა ქრონოლოგიური ზღვარი მისი დაწერისა არის 1140 წელი. განწესებულია ალაპი იოანე კალაკალას მიერ.

**78 თ.**

ალაპი განწესებულია 1 ივნისს ქართველთა მონასტრის ძმის, ჯერასიმესათვის. ალაპიდან ირკვევა, რომ ვინმე კოზმანმა (ივირონის მონასტრის ქართველმა ძმამ) მოიპარა ხარტინნი (დოკუმენტები) ბოლბოსისა და ნისინის მფლობელობის შესახებ და გადასცა ვიღაც ბერძენს. ამის გამო მონასტერი ჰკარგავდა მრავალ მამულს იმ შემთხვევაში, თუ არ გადაუხდიდა ამ ბერძენს 100 დრაჰკან პროტოხარაგს. ჯერასიმემ თავისი ქონება მთლიანად დაახარჯა ამ საქმეს და დაიბრუნა დოკუმენტები. ამასთანავე მან გაიღო მისთვის ალაპის დასადებლად „კიდევ განძი სტამენონი ლიტრაჲ ერთი".

ღაპის დათარიღება ხერხდება „პროტოხარაგის“ (პირველ-მოჭრილი) მეშვეობით, რომელიც ალექსი I კომნენოსის მეფობაში უნდა იყოს მოჭრილი რეფორმის დასაწყისშივე.

ამას ადასტურებს მომდევნო № 79 აღაპი, სადაც მოხსენიებულია „ორი ლიტრაჲ პროტოხარაგი ალექსისაჲ“ (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 240–241).

**79 თ.**

აღაპი განწესებულია 8 ივნისს ვინმე თეოდორესთვის, რომელმაც მონასტერს შესწირა „ორი ლიტრაჲ პროტოხარაგი ალექსისაჲ“. წინა აღაპის მსგავსად, ეს აღაპიც თარიღდება ალექსი I კომნენოსის სამონეტო რეფორმით (1092 წ.) (იხ. 78-ე აღაპის კომენტარი და ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 241).

**80/154 ტაბ. XIII$_2$**

აღაპი ორწევრაა და განწესებულია 11 ივნისს გიორგი ქართველისათვის, რომელმაც ეკლესიას შესწირა 26 პერპერა. არ ჩანს, ვისი დაწერილია აღაპი და ვინ არის მისი განმწესებელი. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ აღაპი მამა პავლეს წინამძღვრობის დროს მის მიერ არის დადებული (1170–1184 წწ.). ამ ვარაუდისთვის საფუძველი არსებობს, ვინაიდან მისი ხელი წააგავს პავლეს ხელს. დაბეჯითებით ამის მტკიცება ჭირს. ამიტომაც ეს აღაპი პავლეს ტაბულაში (ტაბ. IX) არ შევიტანეთ.

გიორგი ქართველის შესახებ კი შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ იგი უნდა იყოს გიორგი მთაწმინდელი. ამ უკანასკნელისათვის საალაპე წიგნში განწესებულია აღაპი 87, სადაც იგი იწოდება თარგმანად. ამგვარად იხსენიება გიორგი მთაწმინდელი სხვა ქართულ წყაროებშიც. ქრონოლოგიურადაც აღაპი ძალზე დაშორებულია გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის წლებს: აღაპის გაჩენის ქვედა ზღვარია 1092 წელი, როდესაც ალექსი I კომნენოსმა მოჭრა მონეტა პერპერა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 288).

**81 თ.**

აღაპი განწესებულია 12 ივნისს იოანე ლულუყოფილისათვის. თაფლაისძეს ადრეც დაუწერია მისთვის აღაპი (115), როგორც ჩანს, ლულუს ერისკაცობაში, რადგან არ ასახელებს მის სასულიერო

სახელს – იოანეს. ადრე დაწერილ აღაპში (115) ის პროიდროსად იხსენიება (იხ. კომენტარი).

ამგვარად, აღაპი 81 დაწერილია 115-ე აღაპის შემდეგ თაფლაისძის დეკანოზობის წლებში (1120-1140). იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 241.

82 ტაბ. $X_2$

აღაპი განწესებულია იმავე იოანე ლულუყოფილთან ერთად (№ 81) ვინმე გაბრიელისათვის, რომელმაც მონასტერს შესწირა 10 პერპერა. არ ჩანს, ვის მიერ არის განწესებული აღაპი.

გადამწერის ვინაობაც ვერ დავადგინეთ, რადგან ტექსტი ძალზე დაზიანებულია და ძნელად ამოსაკითხი.

თარიღდება აღაპი, ისევე როგორც წინა № 81, თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120-1140), რაკი ერთმანეთის მომდევნო ეს აღაპები ერთსა და იმავე დღეს არის განწესებული.

83 თ.

აღაპი განწესებულია 14 ივნისს ეფთვიმეს მამის, იოანე იბერისათვის. აღაპში იოანე წმინდა მამად არის მოხსენიებული. განგება: „ვითა სჯნგელოზისასა სწერია“ გადმოტანილია დოლალისონელის სააღაპე წიგნის შვიდფურცელადან იოანე თაფლაისძის მიერ. ამრიგად, იოანეს აღაპი შემოგვინახა სააღაპე წიგნის თაფლაისძისეულმა რედაქციამ.

84 თ.

აღაპი განწესებულია 19 ივნისს თეოფანე პეტრიწონის მონასტრის წინამძღვრისათვის. აღაპი დადებულია მამა ევგენის ბრძანებით, რომელიც 1104-1108 წლებში უნდა ყოფილიყო ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი (იხ. აქვე, წინამძღვართა რიგი). დაწვრილებით ამ აღაპის შესახებ იხ. აქვე, Add. Е. Метревели, Сведения..., გვ. 411.

85 თ.

აღაპი განწესებულია 24 ივნისს იოანე ენჩაყოფილისათვის განგებით: „ყოველივე ზემოწერილი წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ“. განგების ეს ფორმულა დამახასიათებელი სხვა აღაპებისათვის.

ალაპის თარიღი იფარგლება თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120–1140).

იოანე ენჩაყოფილის ვინაობა უცნობია (იხ.ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 242).

**86 თ.**

ალაპი განწესებულია 29 ივნისს რაისელისა და ვარაზისათვის, რომელთაც ეკლესიას შესწირეს 100 ახალი დრაჰკანი. ეს მონეტა მოიჭრა 1081–1092 წლებში ალექსი I კომნენოსის (1081–1118 წწ.) მიერ სამონეტო რეფორმის ჩატარებასთან დაკავშირებით.

თარიღდება ალაპი XII საუკ. 40-იანი წლებით (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 244–245).

**87 თ.**

ალაპი განწესებულია 30 ივნისს გიორგი მთაწმინდლისათვის მისი გარდაცვალების დღეს განგებით: „ვითა სწერია სჳნგელოზისათჳს და იოანე, ეფთჳმეს მამისაჲ და დიდისა გიორგისთჳს“, გიორგი ოლთისარის მიერ 1065–1066 წლებში „მისთა წიგნთათჳს“, რომლებიც გიორგიმ მონასტერს დაუტოვა.

ალაპი თავდაპირველად დაღალისონელის სააღაპე წიგნის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ეს ალაპი შედის იმ თორმეტი ალაპის რიცხვში, რომლებიც თაფლაისძეს გადმოუტანია დაღალისონელის სააღაპე წიგნის დღეს არ არსებული ნაწილიდან. იქიდან გადმოიტანა და კალენდარულ რიგზე ჩართო გიორგის ალაპი იოანე თაფლაისძემ სააღაპე წიგნის მისეულ რედაქციაში და თავის მხრივ დაურთო „ანაფორაჲ“, რომელიც გვხვდება მხოლოდ თაფლაისძისა და მისი გამგრძელებლების მიერ შედგენილი ალაპების განგებებში. გიორგის ალაპი ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც განგება „ვითარცა სჳნგელოზისათჳს“ განუწესდა პირს, რომელიც არ იყო ჩორდვანელთა სახლის წევრი.

საინტერესოა ისიც, რომ გიორგი, რომელიც არ ეკუთვნოდა ჩორდვანელთა სახლს და არც ნათესავი იყო მათი, თავისი დამსახურებით გათანაბრებულია ივირონის ქტიტორებთან და მაშენებლებთან.

ალაპი შეტანილი უნდა იყოს სააღაპე წიგნში თაფლაისძის დეკანოზობის დროს (1120–1140 წწ.). შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 197.

## 88/150 ტაბ. IX$_2$ ვ.

ორწევრა აღაპი განწესებულია 2 ივლისს წმინდა „ვლაქერნას“ დღესასწაულზე ვარდან კოსტანტის ძისა, მისი მეუღლის მარიამისა და მათი ვაჟის, გიორგისთვის, რომელთაც მონასტერს შესწირეს 401 პერპერა, 1 სტავრა და „ზოლო ორხაოჲ“. განგება მოტანილია წესისამებრ აღაპის მეორე წევრში – ორივე დაწერილია პავლეს ხელით.

ყურადღებას იქცევს აღაპის განგების გაჩენის არსებული წესი: შეწირულებათა რაოდენობა განსაზღვრავს განგების სახეობას. აქ შეწირულება გადაყვანილია და გადმოცემულია დრაჰკანებში: აღაპიდან ვგებულობთ, რომ ვარდანის შეწირული ფული და განძი ერთად 8 დრაჰკანს შეადგენდა. აღაპის შეწირულება ძალზე დიდია, რაც გვაფიქრებინებს, რომ შემწირველნი მაღალი წოდების წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ. მათ შესახებ ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ვარდანი ცნობილ მსახურთუხუცესს გვაგონებს. გიორგიც ვარდანის ძე დადიანთა გვარში ჩვეულებრივ სახელად იქცა (თუმცა ეს უფრო გვიან XIII საუკუნითგან). ამიტომ შეიძლებოდა კითხვა დაგვესვა: ხომ არ არიან ჩვენი აღაპის ვარდან-გიორგი შემდეგდროინდელ ვარდანის ძე დადიანთა წინაპარნი?“ (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 321).

აღაპი თარიღდება პავლეს მამობის წლებით (1170-1184).

## 89 თ.

განწესებულია აღაპი 8 ივლისს ფარსმან თმოგველისათვის, „რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“.

ჩანს, ფარსმან თმოგველი ბაგრატ IV-სთან დაახლოებული პირი იყო და შუამდგომლობდა მასთან ათონის მონასტრის ძმობის დასახმარებლად. მეორე მხრივ, ისიც ცნობილია, რომ ფარსმანი ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ იბრძოდა ბეშქენ ჯაყელთან ერთად 1044-1045 წლებში (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 298; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 141). ამის მიხედვით აღაპი 1044-1048 წლებით უნდა დათარიღდეს, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ამ ამბების შემდეგ ფარსმანი შეურიგდა ბაგრატ IV-ს და მისი ერთგული გახდა, განსაკუთრებით ლიპარიტის დამარცხების შემდეგ (ე.ი. 1051 წ.). ურთიერთდამოკიდებულებების ცვლა პოლიტიკური მოსაზრებებით მეფესა და მის ქვეშევრდომ ფეოდალთა შორის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ფარსმან თმოგველი იხსენიება აგრეთვე ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერაში (იხ. რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის..., გვ. 240–242): „ქრისტე შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისაჲ ივანჱს ძისაჲ ჭიმჭიმელისაჲ“; ამავე ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „ქრისტე ჲესო, მეუფეო დიდებისაო, ადიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი“.

ფარსმანის გარდა ზედა თმოგვის წარწერაში მოხსენიებულია აგრეთვე გიორგი აფხაზიც. ეს უნდა იყოს XI საუკუნის შუა წლების მოღვაწე, რომელსაც ჯვარის მონასტრისათვის შეუწირავს შავ მთაზე გადაწერილი ხელნაწერი.

გიორგი აფხაზი მიწივწივაჲსძე, ისევე როგორც ფარსმან თმოგველი ბაგრატ IV-ის თანამედროვეა.

როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ის დროინდელი თვალსაჩინო მოღვაწენი დიდ ინტერესს იჩენენ საზღვარგარეთის ქართული კულტურის კერებისადმი. ფარსმანისათვის დიდი ზრუნვისა და შუამდგომლობისათვის ათონის ქართველთა მონასტრის ძმობას ალაპი განუწესებია. გიორგი აფხაზის ზრუნვა კი იმაში გამოიხატა, რომ რომანაში გადაწერილი „მართას ცხოვრება“ მან გიორგი-პროხორეს გარდაცვალების შემდეგ ჯვარის მონასტრის წიგნთსაცავს შესწირა (იხ. ე. მეტრეველი, საზღვარგარეთის..., გვ. 135–139).

რაც შეეხება ალაპის თარიღს, ვფიქრობთ, იგი უნდა განწესებულიყო ბაგრატის კონსტანტინოპოლში ყოფნის წლებში (1054–1056). მაშინ ათონის საქმეების მოგვარებაში ჩართული იყვნენ ფარსმან და გიორგი ჩორჩანელები, პეტრე პატრიკი და, როგორც ჩანს, ფარსმან თმოგველიც.

**90 თ.**

ალაპი განწესებულია 9 ივლისს ბაგრატ კურაპალატისათვის. ალაპში მეფე ბაგრატ IV მოიხსენიება კურაპალატად, სევასტოსის პატივი მას მიენიჭა 1060 წლიდან. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ეს ალაპი „განწესებულია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ბაგრატი კურაპალატი იყო მხოლოდ, და იმ დახმარებისათვის, რომელიც ბაგრატმა აღმოუჩინა მონასტერს XI საუკუნის 40-იან წლებში უკანასკნელის დევნილობის დროს“ (ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 166).

კონსტანტინოპოლში სამწლიანი ყოფნის დროს (1054–1056) ბაგრატ კურაპალატი, თავისი ამალის წევრებთან და იქ მცხოვრებ

ქართველ მოღვაწეებთან ერთად აქტიურად ეხმარებოდა ათონის ქართველთა მონასტერს. ეს ზრუნვა და დახმარება აისახა მონასტრის სააღაპე წიგნშიც. ამ აღაპთან უშუალოდ არის დაკავშირებული წინა (89) აღაპი. საფიქრებელია, რომ ორივე აღაპი ერთდროულად არის დადებული (იხ. 89 აღაპის კომენტარი).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 90-ე აღაპის განგება გულისხმობს ბაგრატ IV-ის საუკუნო ხსენებას ჟამისწირვის დროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაგრატ IV-ის ხსენება ჩაწერილი იყო მონასტრის სულთა მატიანეში, სადაც შეტანილია დამსახურებულ პირთა და მოღვაწეთა სახელები, რომელთა ხსენება ხდებოდა ყოველდღიურად ჟამისწირვის დროს. ზემოთქმულის საფუძველზე აღაპი უნდა დათარიღდეს ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ყოფნის პერიოდით (1054-1056 წწ.).

91 თ.

აღაპი განწესებულია 12 ივლისს ევსტათი იკონომოსისათვის (იგულისხმება ქართველთა მონასტრის იკონომოსი). ევსტათი უნდა იყოს გიორგი მთაწმინდლის წინამძღვრობის დროინდელი იკონომოსი. ამის სასარგებლოდ მეტყველებს აღაპში მითითებული განგება: „იგივე ზემოწერილი წესი აღესრულენ და სუან ოთხ-ოთხი კრასაული ძმათა". წინა აღაპი (90) განწესებულია ბაგრატ IV-თვის, ხოლო 89-ე ფარსმან თმოგველისათვის, ბაგრატის თანამედროვე პირისათვის. საფიქრებელია, რომ სამივე აღაპი დაწერილია გიორგი მთაწმინდლის მამობის დროს ბაგრატის კონსტანტინოპოლში ყოფნის წლებში (1054-1056 წწ.).

90-ე აღაპის განგების ფორმულა დამახასიათებელია დალალისონელის სააღაპე წიგნის I და II პლასტებისთვის (იხ. აქვე, სააღაპე წიგნის პირველი რედაქციის პლასტები).

92 თ.

განწესებულია აღაპი 15 ივლისს მონასტრის ძმის, „კახისა კვირიკესთჳს", რომელმაც შესწირა ეკლესიას „სტავრანი და აკაზმულობაჲ", შეფასებული „სამ ლიტრა განძად". ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეწირულება შეფასებულია ოქროს მონეტებით.

ცნობები კახი (კახელი) კვირიკეს შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ იძებნება. ამიტომ უფრო ზუსტად დათარიღებაც არ ხერხდება. აღაპი დაწერილი უნდა იყოს თაფლაისძის დეკანოზობის წლებში (1120-1140).

### 93 თ.

ალაპი განწესებულია 18 ივლისს ლეონტი და ნიკოლა ბერძენთათვის, რომელთაც მონასტრისათვის გარდაცვალების შემდეგ დაუტოვებიათ, ორივეს ერთად, 60 დრაჰკანი პერპერატი. ჩანს, ისინი იყვნენ ქართველთა მონასტრის ბერძნული საკრებულოს წევრები.

მათი ვინაობის შესახებ სხვა ცნობები ვერ მოვიძიეთ. თარიღდება ალაპი თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120–1140).

### 94 თ.

ალაპი განწესებულია 22 ივლისს ანასტასიასა და მისი დედის, მარიასთვის. ცნობები მათ შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ის გარემოება, რომ სახელი „მარია“ მოხსენიებულია ბერძნული ფორმით (და არა ქართული „მარიამით“) გვაფიქრებინებს, რომ ისინი ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ.

განგების მიხედვით („ყოველივე ზემოწერილი აღესრულენ“), ალაპი დალალისონელის საალაპე წიგნიდან უნდა იყოს გადმოწერილი თაფლაისძის მიერ მისეულ საალაპე წიგნში.

თარიღდება ალაპი თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120–1140).

### 95/153 ტაბ. $X_4$, $X_1$ ნ. გ.

ალაპი ორწევრაა, განწესებულია თამარ დედოფლისათვის პავლე წინამძღვრის მიერ. განგება მოცემულია ალაპის მეორე წევრთან (153). დაწერილია ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით.

ალაპის განგება საკმაოდ ღარიბია სამეფო შეწირულებისთვის. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რაც კარგად ჩანს ტექსტისეული ხელით შესრულებული მინაწერიდან: „მას [თამარს] სხუაჲცა უფროჲსი განეწესა ამის მონასტრისათჳს, უკუეთუმცა ჰავთა ღორთა კაცთა არა დაეკლო“. თუ ვინ იგულისხმება ამ „ღორთა კაცთა“-ში, ეს ცალკე საკითხია.

თამარს ორგზის გაუგზავნია ევლოგია მონასტრისათვის ათონიდან საქართველოში საკალმასოდ წასული სამი ბერის ხელით: პირველად ოცი დუკატი, ორი დიდი სტავრა, „რომელნი ოც-ოცსა ̃დრაჰკანსა სჯობდეს“, ხოლო მეორედ ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით კვლავ გაუგზავნა მონასტერს ოცი პერპერა. ე. ი. ნიკოლოზი ათონს ჩასულა კელინთა დაწვისა და სამი ბერის საქართველოდან

დაბრუნების შემდეგ (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 289, 303-305). ორივე შეწირულებისათვის განწესდა ერთი ორწევრა აღაპი, რომელიც დაწერილია ნიკოლოზის ხელით.

საგულისხმოა, რომ ერთი აღაპის ფარგლებში ნიკოლოზი ორ სხვადასხვა ხელს იყენებს.

აღაპი 95 დაწერილია წვრილი კალიგრაფიული კლასიკური ნუსხურით, ხოლო აღაპი 153 (განგების ტექსტი) კი – შედარებით მსხვილი კუთხოვანი ნუსხურით. საქმე ის არის, რომ შუასაუკუნეების კოდიკოლოგიურ ტრადიციაში გადამწერთა მიერ ორი ხელის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამის საილუსტრაციოდ მრავალი ნიმუშის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ საკმარისია მოვიხმოთ ბერძნულ ხელნაწერთა ცნობილი გამოცემა პალეოგრაფიული ტაბულებით: Codices graeci Bibliothecae Vaticanae selecti temporum locorumque ordine digesti commentariis et transcriptionibus instructi. Edidit Henrica Folieri. Apud bibliothecam Vaticanam, 1969. Tab. 5 და 6.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 95-ე აღაპი, დაწერილი წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით, 153-ე აღაპის მინაწერი მარცხენა კიდეზე, შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და ანტონ ალავერდელის იერუსალიმური № 54 და № 317 აღაპები ერთი ხელით (ნიკოლოზ გულაბერისძისა) არის დაწერილი (იხ. ე. მეტრეველი, მასალები..., გვ. 84, 91, 133, 178-179; აქვე, ტაბ. $X_4$).

სავარაუდოა, რომ აღაპი განწესებულია 1181-1183 წლებში (1183-1184 წლებში ნიკოლოზ გულაბერისძე უკვე იერუსალიმშია).

**96 თ.**

ამ აღაპთან დაკავშირებით იხ. № 56 და № 73 აღაპების კომენტარები.

**97 ტაბ. $III_2$ თ. მ.**

აღაპი განწესებულია 25 ივნისს გიორგი კოშკინასთვის. დაწერილია იგი თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ მისი მიმბაძველის ხელით, რომელიც მოღვაწეობდა XII საუკუნის 50-იან წლებში. მიმბაძველის მიერ თაფლაისძის სინოდიკონში ჩაწერილია 9 აღაპი (იხ. აქვე, თაფლაისძის მიმბაძველი). არ არის გამორიცხული, რომ ამ აღაპში მოხსენიებული გიორგი კოშკინა იგივე პირია, რომელიც დასახელებულია ათანასეს ლავრის 1162 წლის ბერძნულ დოკუმენტში

(იხ. Actes de Lavra, I, N64. გვ. 327-330). ამავე დოკუმენტში კოშკინის გარდა მოხსენიებულია თესალონიკის დუკი კონდოსტეფანე, რომელსაც დავალებული ჰქონდა კოშკინასა და ლავრას შორის ატეხილი დავის გარჩევა (იხ. № 7 აღაპის კომენტარი).

თარიღდება აღაპი XII საუკუნის 50-იანი წლებით.

**98 ტაბ. $III_2$ თ. მ.**

განწესებულია აღაპი იმავე დღეს, 25 ივნისს, ლეონ ეპისტატისათვის, რომლის გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი ქონება დარჩა ეკლესიას.

აღაპი არ არის მთავრულით გამოყოფილი წინა (97) აღაპისაგან, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ისიც თაფლაისძის მიმბაძველის მიერ უნდა იყოს დაწერილი XII საუკუნის შუა წლებში.

**99 თ.**

აღაპი განწესებულია 6 აგვისტოს „კოსტანტი მონომახისთჳს", რაც მიუთითებს, რომ აღაპი მისთვის ადრეც ყოფილა განწესებული. მართლაც, აღაპი 27 დადებულია მისთვის ნათლისღების დღესასწაულზე (იხ. კომენტარი). ამ აღაპში არის პირდაპირი მითითება ამაღლების დღეს განწესებული მეორე აღაპის შესახებ. ვინაიდან ამაღლება მოძრავი დღესასწაულია, ხოლო სააღაპე წიგნის თაფლაისძისეული რედაქციის აღაპები კალენდარულ რიგზეა გაწყობილი, საჭირო გამხდარა ამაღლების დღესასწაულის უძრავი დღესასწაულით – ფერისცვალებით (6 აგვისტო) შეცვლა.

თარიღდება აღაპი თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120-1140). იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 200.

**100 თ.**

აღაპი განწესებულია 15 აგვისტოს მარიამ დედოფლის, ბაგრატ IV კურაპალატის დედისათვის, ქართველთა მონასტრისათვის ერთი ლიტრა სოლიმნის შექმნის გამო „ბერძენთა მეფისაგან (კონსტანტინე მონომახისაგან) სალოცველად და საკსენებელად მისდა (მარიამისდა) საუკუნოდ".

ქართველთა მონასტრისათვის ერთი ლიტრა „სოლიმნის შექმნისა" და „დიმოსის მოწყუედის" მეტად მნიშვნელოვან საქმეში ჩართული

იყვნენ, მარიამ დედოფლის გარდა, მისი ძე ბაგრატ IV, კონსტანტინე მონომახი, პეტრიკი და მისი ძმა იოვანე. ამ უკანასკნელთა „თანადგომითა და მოღუაწებითა“ სრულ იქმნა ეს ორი დიდი საქმე (იხ. აღაპი 15).

ამ აღაპებიდან (15, 100) ჩანს, რომ დიდ საქმეში მარიამ დედოფალი უფრო აქტიურად იყო ჩაბმული. ეს ბუნებრივია, რადგან ღმრთისმოსავი მარიამი გიორგი მთაწმინდლის მოწაფე და თაყვანისმცემელი იყო, ამ საქმის წამომწყები და სულის ჩამდგმელი კი—თვით გიორგი მთაწმინდელი, რომლის განწესებულია ზემოთ ჩამოთვლილ პირთა აღაპებიც, რომელთა ერთობლივი „მოღუაწებით“ განხორციელდა ქართველთა მონასტრის ეკონომიკური აღორძინების გიორგი მთაწმინდლისეული გეგმა. ეს პროცესი ვრცლად არის აღწერილი გიორგი მთაწმინდლის „ცხორებაში“ (ძეგლები, II, გვ. 135).

მიუხედავად იმისა, რომ ეს აღაპები გიორგი მთაწმინდლის განწესებულია 1054–1056 წლებში, მისი სახელი არსად ფიგურირებს. ვფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ გიორგის იშვიათ თავმდაბლობაში. მის ამ თვისებას საგანგებოდ აღნიშნავს გიორგი მცირე გიორგი მთაწმინდლის „ცხორებაში“ (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 207–213).

**101 თ.**

განწესებულია აღაპი 20 აგვისტოს სამოელ ქუთათელ მთავარეპისკოპოსისათვის მაშენებლის განგებით. რაიმე ხელშესახები ცნობა მისი პიროვნების შესახებ წყაროებში ვერ მოვიძიეთ (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 246). დაწერილია თაფლაისძის ხელით, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ აღაპი თაფლაისძის მიერ გადაწერილია დაღალისონელის სააღაპე წიგნის შვიდფურცლეულადან, მით უმეტეს, რომ წინა ორი აღაპი (99, 100) დაღალისონელის სააღაპე წიგნის II პლასტის კუთვნილებაა. იხ. აქვე, სააღაპე წიგნის პირველი რედაქციის პლასტები.

განგება: „ვითარცა მაშენებელთაჲ“ დაღალისონელის რედაქციაში ჩანს მამა არსენის დროიდან (1056–1060); 101–ე აღაპის მოკლე განგება შემწირველის დამსახურების კონკრეტიზაციის გარეშე უფრო ტიპურია დაღალისონელის სააღაპე წიგნისათვის, 1057–1074 წლებში განწესებული აღაპებისათვის. ამრიგად, აღაპის განწესების ზემო ქრონოლოგიური ზღვარია ათონის კრებულის გადაწერის დასრულების თარიღი — 1074 წელი.

## 102 თ.

განწესებულია აღაპი 29 აგვისტოს მილარასა და მისი ძის, ქობუ-ლისთვის, რომელთაც ეკლესიას შესწირეს ორი ჯორი, ერთი ცხენი და 50 დრაჰკანი.

ცნობები მათ შესახებ ათონის მასალებში ვერ მოვიძიეთ. აღაპი უნდა დათარიღდეს იოანე თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120-1140).

## 103 თ.

განწესებულია აღაპი 31 აგვისტოს სუმბატ ბაკურიანის მეუღლის, მარიამისათვის. ამ აღაპის გარდა, მარიამისა და სუმბატისათვის დადებულია კიდევ სამი აღაპი (60, 120 და 121), რომლებიც დაიწერა მამა იოანე ბუქაისძის წინამძღვრობის დროს (1085-1104 წწ.). № 60 აღაპი დაიწერა მარიამის გარდაცვალებისა და მარიამის ანდერძის თანახმად, მონასტრისთვის სოფ. როდოლივოს გადაცემის შემდეგ, ე.ი. 1113-1114 წლებში. ოთხივე აღაპი თაფლაისძის ხელით არის ნაწერი. დაწვრილებითი ცნობები მარიამისა და სუმბატის შესახებ იხ. აქვე, Add. Е. Метревели, Сведения..., გვ. 411-415.

## 104 ტაბ. XII

აღაპი განწესებულია ბასილი ვაჩეყოფილისათვის, რომელსაც თავისი მოძღვრის, ზაქარიას, ხელით მონასტრისათვის შეუწირავს 320 დრაჰკანი პერპერა „ხატად, დრაჰკნად და სტავრად", რისთვისაც მას საუკუნო პანაშვიდი განუწესეს.

ამავე ხელით უნდა იყოს დაწერილი კიდევ ორი აღაპი (22 და 57). 22-ე აღაპი დადებულია მიქაელ მამაყოფილისათვის (იხ. კომენტარი და წინამძღვართა რიგი).

ამრიგად, 104-ე აღაპიც უნდა დათარიღდეს 1140-1150-იანი წლებით.

## 105/144 ტაბ. XVI

აღაპი განწესებულია 1 სექტემბერს სვიმეონ ჭყონდიდლის გაზრ-დილის, ნიკოლოზისთვის. ნიკოლოზ, სვიმეონ ჭყონდიდლის გაზრ-დილისა, და ნიკოლოზ გულაბერისძის იდენტიფიკაციის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 289-303. ნ. ბერძე-ნიშვილს გარკვეული აქვს, რომ ნიკოლოზი და სვიმეონ ჭყონდიდელი გულაბერისძეთა გვარის წარმომადგენლები არიან.

იმ ფაქტს, რომ ნიკოლოზი სვიმეონ ჭყონდიდლის ძმისწული და მისი აღზრდილი იყო, ადასტურებს ნიკოლოზ გულაბერისძის დაწერილი „სვეტიცხოვლის საკითხავი", რომელშიც ვკითხულობთ: „რაჟამს-იგი ნეტარი მამის ძმაჲ ჩემი სჳმონ პირუშლად პატრიაქობისა მისისა მონასტერსა შინა იყო წმიდისა საბაჲსსა არმაზს, მაშინ უკუჱ მე კახეთით მოვიდოდი" (საკითხავი სუჱტის ცხოველისაჲ, გვ. 110).

სვიმეონ ჭყონდიდელი ადრე ბედიელ-ალავერდელი და მწიგნობართუხუცესი ყოფილა. ამას ადასტურებს „ქართლის ცხოვრება", სადაც ვკითხულობთ: როდესაც დავით აღმაშენებელმა დალაშქრა შარვანი, „განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თჳსი სჳმონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი [ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესისა], დედის ძმისა თჳსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი". (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345). როგორც ბედიელ-ალავერდელი სვიმეონი იხსენიება დავით აღმაშენებლის ანდერძში (გვ. 18).

ნ. ბერძენიშვილისა და კ. კეკელიძის გამოკვლევებში დადგენილია ნიკოლოზ გულაბერისძის ბიოგრაფიის ძირითადი თარიღები (კ. კეკელიძე, ქართული..., გვ. 318; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 293).

ნიკოლოზ გულაბერისძის კათალიკოსად დადგენის წლად კ. კეკელიძე მიიჩნევს 1150 წ., ხოლო ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ეს ფაქტი მომხდარა 1155 წ. შემდგომ, ხოლო მისი კათალიკოსობიდან გადადგომის თარიღად კ. კეკელიძეც და ნ. ბერძენიშვილიც თვლიან 1178 წ., როდესაც „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ნიკოლოზი „სიმდაბლისა ძლით იჴსნა კათოლიკოზობისაგან".

აღაპი განწესებულია მამა პავლეს და მთელი საძმოს მიერ. აღაპის ორივე წევრი ერთი ხელით არის შესრულებული. დამწერის ვინაობა უცნობია. ეს ხელი სააღაპე წიგნში აღარ მეორდება.

ორწევრა აღაპის განგებაში (144) მოცემულია ნიკოლოზ გულაბერისძის ათონზე მოღვაწეობის სრული სურათი. აღაპში აღწერილია ნიკოლოზის მიერ მონასტერში გაწეული სამეურნეო და აღდგენითი სამუშაო მისი ათონზე ყოფნის განმავლობაში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აღაპი ნიკოლოზისათვის განწესდა მისი ათონიდან წასვლასთან დაკავშირებით.

№ 144 აღაპის გაგრძელებაა № 144ᵃ, შესრულებული იმავე ხელით, სადაც ნათქვამია, რომ ნიკოლოზისათვის „დაწესებულისა პანაშჳდი-

სათვს“ „ამანვე [ნიკოლოზ]... მოსცნა ეკლესიასა ჩუენსა მუტრუკი, ნასყიდი პერპერად **ივ** და უღელნი კარნი, ნასყიდნი პერპერად **ზ**“.

თარიღდება ალაპი 1183 წლით (ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ.289-314), ვინაიდან 1183-1184 წლებში ნიკოლოზი უკვე იერუსალიმში მოღვაწეობს, საიდანაც იგი 1184 წელს თამარ მეფემ გაიწვია საქართველოში.

**106 თ.**

ალაპი განწესებულია 6 სექტემბერს აბრაჰამის ძის, მიქაელისათვის, რომელმაც მონასტერს შესწირა 300 დრაჰკანი სტამენონი. ასეთი დიდი რაოდენობის სტამენონის შეწირვა უჩვეულოა საალაპე წიგნისთვის, რაც გვაფიქრებინებს, რომ ალაპის შედგენის დროს სტამენონი უკვე გაუფასურებული უნდა ყოფილიყო. სტამენონის გაუფასურებას ადგილი ჰქონდა ალექსი I კომნენოსის სამონეტო რეფორმის წინა პერიოდში (1081-1092 წწ. იხ. Morrisson, II, 674).

ალაპი 106 ერთი იმ ალაპთაგანია, რომელიც „აქა-იქ დაფანჩულ“ ალაპთა შორის მოიძია თაფლაისძემ და ჩართო თავის საალაპე წიგნში კალენდარული რიგით (1120-1140 წწ.).

**107 თ.**

განწესებულია ალაპი 8 სექტემბერს მიხაელ მეფისათვის განგებით: „აღესრულებოდის ზემოწერილითა მით წესითა“. სამეფო განგებისათვის მითითებულია „ზემოწერილი წესი“. ვფიქრობთ, უნდა იგულისხმებოდეს მარიამ დედოფლის ალაპი 100 (იხ. კომენტარი). ჩვენ ვარაუდს მხარს უჭერს ისიც, რომ მარიამის ალაპიდან მიხაელის ალაპამდე ყველა ალაპი თაფლაისძის წიგნიდან არის და მათში სამეფო პერსონა მარიამს გარდა არავინ იხსენიება. განგებისათვის წინა ალაპზე მითითება დამახასიათებელია საალაპე წიგნის დაღალისონელის ფენისათვის. ე. ი. ალაპი შვიდფურცელადან უნდა იყოს. ალაპის „მიხაელ მეფე“ უნდა იყოს მიხეილ VII დუკა (1071-1078), მარიამ მართაყოფილის პირველი მეუღლე. სავარაუდოა, რომ ალაპი დაიწერა მიხეილის გამეფებასთან დაკავშირებით (1071 წ.) მამა გიორგი ოლთისარის დროს.

მიხეილ VII დუკა მოხსენიებულია ათონის ხელნაწერების ანდერძებში: Ath. 54 (1076წ.) და Ath. 24 (1077 წ.). იხ. R. Blake, Catalogue..., p. 139,245.

108 თ.

ალაპი განწესებულია 15 სექტემბერს ნიკიტა სხოლის დრონგალისათვის: „ჩუენდა მოურნედ გამოჩნდა“ – ვკითხულობთ ალაპში. ნიკიტა ბიზანტიის მოხელე ყოფილა, საერო პირი, რომელიც მეურვეობდა ქართველთა მონასტერს, რისთვისაც განუწესეს კიდეც ალაპი. თანამდებობის მიხედვით, სხოლის „დრონგალი“ საიმპერატორო დაცვის ნაწილის ოფიცერს ნიშნავს. ის გარემოება, რომ ნიკიტას ალაპი უშუალოდ მოსდევს მიხეილ VII დუკას ალაპს, შეიძლება მიუთითებდეს, რომ ნიკიტა დრონგალი მიხეილ დუკას სამეფო კარის დაცვის მაღალი რანგის ოფიცერი იყო (იხ. N. Oikonomidès, Les listes..., p.322). ეს მხოლოდ ვარაუდია. რაიმე დამატებით ცნობებს ალაპის დათარიღებისა და ნიკიტას ვინაობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ვერ მივაკვლიეთ.

როგორც წინა ალაპები, ასევე № 108 ალაპიც დაღალისონელის საალაპე წიგნის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც თაფლაისძემ ჩართო თავის საალაპე წიგნში (1120–1140 წწ.).

109 ტაბ. $IX_4$

განწესებულია ალაპი 15 სექტემბერს ბაად მანოელისათვის, რომელმაც სიკვდილის წინ ქართველთა მონასტერს 20 პერპერა შესწირა.

ბაად უნდა იყოს ტიტული. ამ ტიტულის მატარებელი პიროვნება Μανουὴλ ὁ τοῦ βαΐου ჩანს ლავრის 1085 წლის დოკუმენტში (Actes de Lavra, I, N47, p. 254), რომელიც ივირონთან დავის დოკუმენტს წარმოადგენს. ივირონის წინამძღვრად დოკუმენტში (Actes de Lavra, I, p. 252) დასახელებულია იოანე. ეს უნდა იყოს იოანე ბუქაისძე. დავა წარმოებდა ივერიელებსა და ლავრელებს შორის კელიონად წოდებული ადგილის გამო (Actes de Lavra, I, pp. 251, 406). ლავრელები ამტკიცებდნენ, რომ კელიონი მათ ეკუთვნოდათ. ივერიელებმა საწინააღმდეგო დოკუმენტი ვერ წარმოადგინეს.

ალაპი დაწერილია თაფლაისძის საალაპე წიგნის დამთავრების შემდეგ, ამ წიგნის ერთ-ერთი გამგრძელებლის მიერ, ხელნაწერის მარჯვენა აშიაზე (196r).

110 თ.

ალაპი განწესებულია 19 სექტემბერს მამა არსენ ფარსმანყოფილისათვის, მისი გარდაცვალების დღეს. ალაპის განგება ძალზე

მდიდრულია: „ვითარცა თორნიკისსა სწერია და მამისა იოანესსა“. შეწირულება უხვია: დიდი განძი, რომელიც „წააგნეს ამას ეკლესიასა ზედა და რამეთუ მათითა საკმრითა დაიყარა“... აქ ტექსტს უნდა აკლდეს სიტყვა „პრასტინნი“ ან „ხარტინნი“ (მიწები ან დოკუმენტები). შდრ. აღაპები 61, 78.

აღაპი ეკუთვნის სააღაპე წიგნის დაღალისონელისეულ რედაქციას.

აღაპი თაფლაისძის სააღაპე წიგნში გადასულია დაღალისონელის შვიდფურცელადან. აქ პირველად არის მოხსენიებული დაღალისონელის აღაპთა ტექსტში სიტყვა „ანაფორა“. სავარაუდოა, რომ იგი თაფლაისძის მიერ არის შეტანილი, ვინაიდან ანაფორა დამახასიათებელია სწორედ თაფლაისძისეული სააღაპე წიგნისათვის. განგებაში არის მითითება არსენის მიერ ადრე განწესებულ აღაპზე (50): „ვითა ზემო სწერია მისივე განწესებული“ (იგულისხმება მამა არსენის მიერ გიორგი ჩორჩანელისათვის გაჩენილი აღაპი 50. იხ. აღაპის კომენტარი). შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 223–224.

არსენ ფარსმანყოფილის აღაპი განწესებული ჩანს ან მონასტრის საძმოს, ანდა არსენის მომდევნო წინამძღვრის მამა თევდორეს მიერ. არსენი უნდა გარდაცვლილიყო 1060/61 წელს. თევდორეს მამობის წლებია 1060–1064/65.

მაშასადამე, აღაპის განწესების თარიღია 1060/61წ.

111 ო.

აღაპი განწესებულია 20 სექტემბერს აბაზ ბაკურიანის ძისათვის, მისი გარდაცვალების დღეს. ამ დღეს აღაპი მხოლოდ მისთვის არის გაჩენილი. აქვეა მითითებული მეორე აღაპი, განწესებული აბაზისა და მისი ძმის გრიგოლისთვის (38). ძმები ამ დროისათვის ცოცხლები არიან. აღაპი 111 დაწერილია აბაზის გარდაცვალების შემდეგ, გრიგოლის სიცოცხლეში (გარდაიცვალა იგი 1086 წელს), საფიქრებელია, გიორგი ოლთისარის წინამძღვრობის წლებში „ათონის კრებულის“ გადაწერის შემდეგ (1074 წ.). აღაპი დაწერილია თაფლაისძის ხელით და არ არის გადაწერილი დაღალისონელის სააღაპე წიგნიდან.

თავის სიცოცხლეში აბაზს მონასტრისათვის გადაუხდია 500 დრაჰკანი სტამენონი ექვსთავი. ექვსგამოსახულებიანი მონეტა მოჭრილია მხოლოდ რომანოზ დიოგენის (1068–1071 წწ.) დროს (იხ. „ექუსთავი“ ლექსიკონში). თავის სიცოცხლეში აბაზმა მონასტერს

მისცა „ცხენად და ჯორად საკედარი Ⴆ (7) და სტავრად შესამოსელი“. განწესდა მდიდრული აღაპი ორივე ძმისთვის; აბაზისთვის ცალკე განწესებულია აღაპი 20 სექტემბერს (111), ხოლო გრიგოლთან ერთად – 25 იანვარს (38).

აბაზი გარდაიცვალა 1084 წელს, გრიგოლი კი – პაჭანიკებთან ბრძოლაში დაიღუპა 1086 წელს ჩრდილო თრაკიაში (ამ აღაპთა შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული..., გვ. 110–111; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 217; ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი..., გვ.71; Add. Е. Метревели, Сведения..., с. 410).

112 თ.

აღაპი განწესებულია 23 სექტემბერს ფანტინე ბასილწმინდელისათვის, რომელსაც „აელო ბასილწმიდაჲ ორსა პირსა ზედა და ერთი პირი გაუტევა“. აქ იგულისხმება ათონზე გავრცელებული პრაქტიკა – სამონასტრო ადგილ-მამულებისა თუ ნაგებობათა დროებით იჯარით გაცემა გარკვეული პირობით და ვადით. მიზანი იჯარით გაცემისა მონასტრის ეკონომიკური გაძლიერება იყო.

ამ აღაპის შესახებ იხ. აქვე, Add. ე. მეტრეველი, ათონის ერთი..., გვ. 421–430.

აღაპი დაწერილია თაფლაისძის ხელით, ე. ი. თარიღდება 1120–1140 წლებით.

113 თ.

განწესებულია აღაპი 24 სექტემბერს სტეფანე ხარტულარის ძმის, იოანე ხარტულარისათვის.

აღაპი ეკუთვნის სააღაპე წიგნის დაღალისონელის ფენას. მართალია, დაწერილია იგი თაფლაისძის ხელით, მაგრამ თაფლაისძის სააღაპე წიგნში გადმოსულია დაღალისონელის შვიდფურცელადან. ამ აღაპის განგება შედგენილია ისევე, როგორც სტეფანე ხარტულარის აღაპის (24) განგება. საფიქრებელია, ორივე აღაპი (24 და 113) ერთდროულად არის დაწერილი ერთი პირის მიერ მათი დამსახურების აღნიშვნის გარეშე. იოანე ხარტულარი მონაწილეობდა ივირონსა და ათანასეს ლავრას შორის წარმოებულ სამამულო დავაში, რაც ასახულია 1042 წლის ბერძნულ აქტში (Actes d' Iviron, I, N27, p. 244). იოანე ხარტულარის ანდერძი ახლავს 1043 წლის ათონურ № 60 ხელნაწერს (R. Blake, Catalogue..., p. 250), საიდანაც ირკვევა, რომ სტეფანე ხარტულარის ძმამ, იოანემ, გადაწერა ეს ხელნაწერი.

## 114 თ.

ალაპი განწესებულია 6 ოქტომბერს ოფიდოფასთვის, რომელსაც მონასტრისთვის 246 დრაჰკანი შეუწირავს.

ოფიდოფაძს შესახებ მკვლევართა მიერ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული – ზოგს მიაჩნია, რომ ეს არის საკუთარი სახელი, ზოგიც მას სამოხელეო ტერმინად მიიჩნევს.

ოფიდოფა გვხვდება პეტრიწონის მონასტრის იმ ოქრობეჭედთა ნუსხაში, რომელიც აია სოფიაში ინახება. „მოსაკსენებელ წიგნში“ ვკითხულობთ: „პრაქტიკონი და პერიერეზმონი პეტრიწონისაჲ ყოველთა ადგილთაჲ, შექმნილი ოფიდოფასაგან ბრძანებითა წმიდისა და თჳთმპყრობელისა მეფისა ჩუენისაჲთა“ (იგულისხმება ალექსი I კომნენოსი. იხ. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი..., გვ. 125). ა. შანიძე წერს: „შეიძლება ეს იგივე ოფიდოფაჲ იყოს, რომელიც იხსენიება ათონის № 114 ალაპში (გვ. 233). პ. ლემერლს მიაჩნია, რომ ოფიდოფაჲ უნდა იყოს სამოხელეო ტერმინი: მოხელე, რომელიც კრებს გადასახადს და აწარმოებს აღრიცხვას (P. Lemerle, Cinq études, p. 163). კ. კეკელიძის ვარაუდით, ოფიდოფაჲ იგივე დოფია, რომელიც თამარ დედოფლის აღმზრდელი ყოფილა და რომლისთვისაც ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარ მაკარს ალაპი განუწესებია. იხ. Ath. 30-ის აღწერილობა (ათონური კოლექცია, I, გვ. 90, 92) და აქვე, წინამძღვართა რიგი.

ალაპი № 114 დაწერილია თაფლაისძის ხელით, ამდენად, ალაპში მოხსენიებული ოფიდოფაჲ თამარ დედოფლის აღმზრდელი ვერ იქნებოდა. ამას გარდა, ოფიდოფაჲ, როგორც პ. ლემერლმა გაარკვია, საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ სამოხელეო ტერმინია.

ალაპი № 114-ის თარიღი შეიძლება შემოვფარგლოთ თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120-1140).

## 115 თ.

ალაპი განწესებულია 18 ოქტომბერს პროიდროს ლულუსათვის მამა იოანეს (იოანე კალაკალას) მიერ. ალაპიდან ჩანს, რომ ლულუს იმთავითვე დიდი სიყვარული აკავშირებდა ათონის ქართველთა მონასტერთან და მისი დიდი კეთილისმყოფელიც ყოფილა. ბოლოს ბერად შემდგარა და მონასტრის საკრებულოს წევრიც გამხდარა (იხ. ალაპი № 81-ის კომენტარი; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 241).

ალაპი დაწერილია ლულუ პროიდროსის ერისკაცობაში იოანე თაფლაისძის დეკანოზობის წლებში (1120–1140).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროიდროსის თანამდებობის შესახებ იხ. ალაპი № 74.

### 116 თ.

ალაპი განწესებულია 21 ოქტომბერს ილარიონ პროტისა და ათონის იკონომოსის სტეფანესთვის. ათონის პროტატონის პროტების რიგი შედგენილია დ. პაპახრისანთუს მიერ (იხ. Actes de Prôtaton, p.131). ამ სიაში ილარიონი პროტად დასახელებულია 1056–1066 წლებში, თუმცაღა ავტორს ეჭვი ეპარება ამ თარიღის სიზუსტეში. ალაპის განგება მისი ლაკონურობისა და სიმარტივის გამო გვაფიქრებინებს, რომ იგი სააღაპე წიგნის დაღალისონელისეული ფენის კუთვნილებაა და გადატანილია თაფლაისძის მიერ მისეულ რედაქციაში. განსხვავებულია ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი ამ ალაპის შესახებ: „პორფირი უსპენსკის მოჰყავს ცნობა, რომ მეფე ალექსი კომნიანოსმა ათონის მთის პროტად 1098 წ. დანიშნა ილარიონი, 1102 წელს კი დასახელებულია პროტი კოზმანი. ამიტომ ილარიონის პროტობა 1098–1102 წლებში უნდა ვივარაუდოთ. ალაპიც ამ დროისაა" (ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 249).

უნდა აღინიშნოს, რომ დ. პაპახრისანთუს პროტების სიაშიც 1102წ. დასახელებულია კოზმა (ისევე, როგორც პორფირი უსპენსკისთან), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პაპახრისანთუს სიაში ილარიონ პროტსა და კოზმა პროტს შორის იხსენიება კიდევ ოთხი პროტი: პავლე, საბა, გაბრიელი, იოანიკი. ამის გამო 1102 წ. არ შეიძლება მივიჩნიოთ ილარიონ პროტის მოღვაწეობის ზედა საზღვრად. ამდენად, ეს თარიღი არ გამოდგება ალაპის დათარიღების ზემო საზღვრად.

თარიღდება ალაპი თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (იხ. Actes d' Iviron, II, p. 7).

### 117 თ.

ალაპი განწესებულია 26 ოქტომბერს მირდატისათვის. ათონის ქართულ ხელნაწერთა ანდერძებში, აქტებსა და ნარატიულ წყაროებში მხოლოდ ერთი მირდატი გვხვდება: ზაქარიას მამა. იოანეს და ეფთვიმეს „ცხორების" მიხედვით, გიორგი I ვარაზვაჩეს მამობის დროს ივირონში ჩასულა რამდენიმე ქართველი „ღირსნი წმიდანი კაცნი", რომელთა შორის ყოფილა ზაქარია მირდატის ძეც. ისინი დიდი პატივით მიუღია ივირონის საკრებულოს („ცხორება იოანესი

და ეფთჳმესი“, § 115, 8; 118, 5). არ არის გამორიცხული, რომ თვით ზაქარიამ განუწესა ალაპი მამამისს, მირდატს, ათონზე ყოფნის დროს. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ალაპის განწესების თარიღად გიორგი ვარაზვაჩეს მამობის წლები უნდა მივიჩნიოთ (1019–1029). ამ ვარაუდისთვის არსებობს მხოლოდ ერთი საფუძველი: ალაპის ლაკონურობა და სიმარტივე (მსგავსად წინა, № 116 ალაპისა), დამახასიათებელი დაღალისონელის საალაპე წიგნისათვის.

ალაპი შეტანილია თაფლაისძის საალაპე წიგნის რედაქციაში მისივე ხელით.

## 118 თ.

განწესებულია ალაპი 27 ოქტომბერს დავით ვაჭრისათვის, რომელმაც ქართველთა მონასტერს 100 დრაჰკანი და ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი შესწირა ვედრებით, რომ „არა გამოეკუნენ წმიდასა ამას საკურთხეველსა ესე მისი სარწმუნოებით შემოწირული ბარძიმ-ფეშხუმი“. ეს თხოვნა მამა იოანეს (ან იოანე ბუქაისძეს, ან იოანე კალაკალას) კანონით დაუზეჭდავს და დაუმტკიცებია.

დაწერილია ალაპი იოანე თაფლაისძის დეკანოზობის წლებში (1120–1140).

## 119 თ.

ალაპი განწესებულია 23 ოქტომბერს იაკობ იაყუთყოფილისათვის, რომელმაც „მოსცა ეკლესიასა დრაჰკანი სტავროვოტანატის (100)“. იაკობ იაყუთყოფილი გაქრისტიანებული არაბი უნდა იყოს. დრაჰკანი სტავროვოტანატი მოჭრილია იმპერატორ ნიკიფორე III ბოტანიატის დროს (1078–1081) წარწერით: ნიკიფორე და მარია, მათი გამოსახულებებით, ცენტრში – ჯვრით (Morrisson, Catalogue..., II, p. 661). ამ ბიზანტიური მონეტის მიხედვით, ალაპი განწესებული ჩანს არა უადრეს 1078 წლისა.

კიდეზე მიწერილი „ანაფორის“ ფორმითა და ხელით ალაპი თაფლაისძის მიერ „დაფანჩულ“ ალაპთა შორის მოძიებული და ჩაწერილი ჩანს.

## 120 თ.

ალაპი განწესებულია 1 ნოემბერს სუმბატ კურაპალატისა (ბეროზაში საბას) და მისი მეუღლის მარიამისთვის (როდოლივოს შემწირველთათვის) მამა იოანე ბუქაისძის მიერ სუმბატის გარდაცვალების

შემდეგ. ალაპში თავმოყრილია: სუმბატის შეწირულებანი, რომელიც მან სიცოცხლეში შესწირა ქართველთა მონასტერს („განძი ლიტრაჲ ერთი სტამენონი და კუალად სხუაჲ 500 დრაჰკანი სტამენონი"). მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ მარიამმა „მოსცა ეკლესიასა სტავრაჲ ერთი კარგი ოქროქსოილი, სკუტელი ვეცხლისაჲ დიდი ა, ხუცესთა სკუტელი ა, სხუაჲ დრაჰკანი სტამენონი ლიტრაჲ ა, სხუაჲ სტავრაჲ შესამოსელი ა და კუალად, ოდეს პრასტინნი ჩუენნი ყოველნი აიხუნეს და ჭირსა შინა ვიყვენით, მოგუცა დრაჰკანი ქინატი ლიტრაჲ ზ".

ალაპის განგება უმაღლესია: „ვითარცა მაშენებელთაჲ". სუმბატის ანდერძი, დაწერილი სიკვდილის წინ, საფუძვლად დაედო ამ ალაპის გაჩენას. სუმბატი გარდაიცვალა 1093 წ. დაახლოებით ამ დროს უნდა ვივარაუდოთ № 120 ალაპის განწესება იოანე ბუქაისძის მიერ. სუმბატი სიკვდილის წინ „მონაზონ იქმნა" საბას სახელით. ამ ალაპის გარდა, სუმბატისა და მარიამისთვის განწესებულია ალაპები 60, 103 და 121, რომელიც № 120 ალაპის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს (იხ. ამ ალაპების კომენტარები; ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 76–78, 82). ალაპი დაწერილია თაფლაისძის ხელით (იხ. Actes d' Iviron,II, გვ.8; აქვე, Add. Е. Метревели, Сведения..., с.411-418).

**121 თ.**

ალაპი განწესებულია 30 აპრილს, როგორც ჩანს, № 120 ალაპის დადებიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ (ისევე, როგორც გიორგი მაგისტროსის შემთხვევაში ალაპები № № 56, 73, 96). ამაზე მიუთითებს ალაპის დასაწყისი: „და კუალად აპრილსა ლ აღესრულებოდენ საკსენებელი მათი ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენებელთათჳს სწერია" (ეს იგივეა, რაც № 120 ალაპის განგება). ხოლო შემდეგ დამატებულია: „და კუალად განუწესეთ ხუცესი მწირველი, რაჲთა კჳრიაკესა შინა უწირვიდეს ორსა დღესა: ერთსა სუმბატს და ერთსა მარიამს, და ხუცესსა მიეცემოდის პურსყიდულისაჲ მოწფითა სრული, ყოველი დაუკლებელად"

ეს ალაპი დაემატა № 120 ალაპს მას შემდეგ, რაც ივირონის საკრებულოს ხელში აღმოჩნდა სუმბატის ანდერძი, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ მარიამმა მიიღო მონაზვნობა, რის გამოც მათი ქონება მონასტერს უნდა გადასცემოდა. მეორე ახალი ცნობა, რომელიც სხვა სამ ალაპში (60, 103, 120) არ არის და თავს იჩენს № 121 ალაპში, ის არის, რომ სუმბატის ანდერძის თანახმად, „ვითარცა თჳთ

სიცოცხლესავე თჳსსა სუმბატს ეთხოა, ეკლესიასა შინა წმიდათა მთავარანგელოზთასა შეჰვმზადეთ საფლავი მარმარილოჲთა, რაჲთა შემდგომად სიკუდილისა მის დედაკაცისა ორთავე ძუალნი მას შინა დაისხნენ, და ვითა თჳთ დაუწერია (იგულისხმება ანდერძი), რომელიცა-რაჲ საქონელისა მისისაგან დარჩეს, ყოველივე თანა შემოიტანოს [მარიამმა]".

ალაპში გადმოცემული ისტორია ხდება იოანე ბუქაისძის მამობის დროს (იხ. 120). განწესებულია ალაპი იოანე ბუქაისძის დროს (1085-1104), ხოლო დაწერილია თაფლაისძის მიერ (1120-1140 წწ. იხ. Actes d' Iviron, II, გვ.8).

ალაპების (60, 103, 120, 121) შესახებ იხ. აქვე, Add. Е. Метревели, Сведения..., с. 411-418.

## 122 ტაბ.III$_3$ თ. მ.

ალაპი განწესებულია 26 ივნისს დავით ასურისათვის განგებით: „აღესრულებოდენ... ყოვლითა გულსმოდგინებითა". ხელის მიხედვით ალაპი უნდა მივაკუთვნოთ თაფლაისძის მიმბაძველს, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა პანაშვიდი სწორი ფორმით არის წარმოდგენილი, განსხვავებით მიმბაძველის მიერ დაწერილ სხვა ალაპთაგან. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ თაფლაისძის საალაპე წიგნის კალენდარული რიგი მიმბაძველის მიერ შესრულებულ სხვა ალაპთა მსგავსად, აქაც დარღვეულია; აგრეთვე, 198r-ს მარჯვენა კიდეზე წრეში ჩაწერილი „ანაფორაჲ" ფორმითა და ხელით განსხვავდება თაფლაისძისეული „ანაფორისგან".

დავითის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა.

თარიღდება ალაპი თაფლაისძის მიმბაძველის მოღვაწეობის წლებით (1140-1150).

## 123 ტაბ.XI

ალაპი განწესებულია 3 ნოემბერს წინა ალაპის განგებით გიორგი მჭედელა ქართველისათვის, რომელიც სიცოცხლეში „დიად ემსახურა" ეკლესიას და გარდაცვალების შემდეგ დაუტოვა მას 40 პროტოხარაგი.

ცნობები მჭედელა ქართველის შესახებ არ მოგვეპოვება, არც ის ჩანს, თუ ვისი განწესებული და დაწერილია ალაპი.

ეს ალაპი ერთიანდება XI ტაბულაში, სადაც შეტანილია ამავე

ხელით დაწერილი № 138 აღაპი, გაჩენილი მამა კალაკალასა და იოანე თაფლაისძისათვის. № 138 აღაპი დაწერილი უნდა იყოს XII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. ასევე უნდა დათარიღდეს აღაპი № 123-ც.

124 ტაბ. $XIV_2$

აღაპი განწესებულია იმავე 3 ნოემბერს ჯერასიმესა და იოანე ხუცისათვის, რომელთაც ეკლესიას ორ-ორი დრაჰკანი პერპერატი შესწირეს. ცნობები მათ შესახებ არ გაგვაჩნია. ტაბულაში ($XIV_2$) ამ აღაპის გარდა შეტანილია ამავე ხელით ნაწერი შემდეგი აღაპები. №№ 135+139 ($XIV_1$) და 124, 128 ($XIV_2$).

აღაპის თარიღისათვის იხ. აღაპი 135+139-ის კომენტარი.

125 თ.

განწესებულია აღაპი 3 ნოემბერს საკრებულოს ძმის, გიორგისათვის განგებით: „აღესრულებოდენ წესისაებრ...“, რომელმაც ეკლესიას შესწირა „სტავრანი ას დრაჰკნად პროტოხარაგად ფასებულნი“. სხვა ცნობა მისი ვინაობის შესახებ არ მოგვეპოვება. აღაპს კიდეზე გამოხატული აქვს წრე, მაგრამ მასში არ არის ჩაწერილი „ანაფორაჲ“. აღაპი შეიძლება დათარიღდეს ზოგადად თაფლაისძის დეკანოზობის წლებით.

126 თ.

აღაპი განწესებულია 8 ნოემბერს კვირიკეს, დიმიტრის და ბართლომესთვის განგებით: „აღესრულებოდენ წესისაებრ...“. შესწირეს ეკლესიას „დრაჰკანი ლიტრაჲ დ“(4).

ამ პირთა ვინაობის დადგენა არ ხერხდება.

აღაპი ისევე, როგორც წინა № 125 აღაპი, უნდა დათარიღდეს თაფლაისძის დეკანოზობის წლებით (1120–1140).

127 თ.

აღაპი განწესებულია 10 ნოემბერს გიორგი მეფისთვის (დავით აღმაშენებლის მამის გიორგი II-თვის) მეტად საპატიო განგებით: „გარდაიკდებოდენ ყოვლითა მოსწრაფებითა. და ყოველნი ხუცესნი მას დღესა ჟამსა მისთჳს წირვიდენ“. აღაპის მიხედვით, გიორგი გარდაცვლილია. გიორგი II-ის გარდაცვალების თარიღის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა: ისტორიკოსთა ერთ ნაწილს (ვახუშტი, ბროსე) მიაჩნია, რომ გიორგი II გარდაიცვალა 1089 წ.

(დავით აღმაშენებლის გამეფების წელს), ხოლო მეორე ნაწილს (ც. კეკელიძე, ნ. ურბნელი, თ. ჟორდანია, დ. კარიჭაშვილი) – 1112 წ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, აღაპი 1103 წ. არის დადებული (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 250; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 209).

აღაპი უნდა დათარიღდეს არა უგვიანეს 1112 წლისა.

## 128 ტაბ. $XIV_2$

აღაპი განწესებულია 12 ნოემბერს იოანე ფოფხაის ძისათვის, რომელმაც ეკლესიას შესწირა 140 დრაჰკანი პერპერატი.

იოანეს ვინაობის დადგენა არ ხერხდება. აღაპის თარიღის შესახებ იხ. 135+139 აღაპის კომენტარი.

## 129 თ.

განწესებულია აღაპი 13 ნოემბერს მამა იოანე ბუქაისძისა და ყოველთა ძმათა მიერ იოანე სევასტოსისა (კომნენოსის) და მისი მეუღლის მარიამისთვის მათ მიერ გაწეული ქველმოქმედებისათვის იმ დროს, როდესაც „პრასტინნი ჩუენნი ყოველნი წარგჳხუნეს და ბურწსა მისცნეს". აღაპში გადმოცემულია ამ დავის მთელი ისტორია. დავის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა მიუღია ალექსი I კომნენოსს, რომელმაც თავის ბიძაშვილს, იოანე სევასტოსს დაავალა ამ საქმის მოგვარება. იოანეს ამისთვის არ დაუზოგავს დრო და საკუთარი სახსრები. გამოძიების საფუძველზე დავა ქართველთა მონასტრის სასარგებლოდ გადაწყდა და მონასტერს დაუბრუნდა კონსტანტინე ბურწის მიერ მიტაცებული მიწები („პრასტინნი"), რის შემდეგაც შედგა 1104 წელს პრაქტიკონი ანუ ივირონის მონასტრის მამულების (პრასტინთა) სრული ახალი ნუსხა (იხ. Actes d'Iviron, II, p. 8, N52, p.24.), ხოლო იოანე სევასტოსისა და მისი მეუღლისათვის განწესდა დიდი და საპატიო აღაპი. განგებაში იოანე სევასტოსი იწოდება მონასტრის „მეორედ მაშენებლად და მოურნედ".

დაწერილია აღაპი თაფლაისძის დეკანოზობის წლებში (1120-1140).

## 130 + 131 თ.

აღაპი განწესებულია 17 ნოემბერს მამა გრიგოლისათვის განგებით „ვითარცა სჯნგელოზისათჳს სწერია". ამავე აღაპში მოიხსენიებიან ზაქარია და არსენი. ამ ორი აღაპის გაერთიანება საჭიროდ მიიჩნია თ. ხაჲომიამ (იხ. აქვე, Add. თ. ხაჲომია, „ათონის კრებულის"...).

მამა გრიგოლი, ზაქარია (მირდატის ძე) და არსენი ერთი დროის მოღვაწენი არიან, ათონის ქართველთა მონასტერში სხვადასხვა დროს ჩასულნი. ისინი იქ მიიზიდა ეფთვიმეს დიდმა ავტორიტეტმა და პოპულარობამ. ათონზე ჩასული სამივე მწიგნობარი შეუდგა ეფთვიმეს მიერ თარგმნილი ხელნაწერების გამრავლებას. მათი ერთობლივი შრომით გადაიწერა ეფთვიმეს თარგმნილი რამდენიმე ხელნაწერი (A 92 – გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვები და, სავარაუდოა, Ath 43-იც. ცნობა მოგვაწოდა ლილი ხევსურიანმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით).

მამა გრიგოლი ქართველთა მონასტრის ქტიტორთა ოჯახის, ჩორდვანელთა დიდი სახლის წევრი იყო (იხ. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა..., გვ. 9) და ამიტომ გამორჩეული უფლებებით სარგებლობდა მონასტერში. წინამძღვრობიდან გადადგომის წინ ეფთვიმემ ქართველთა მონასტერზე ზრუნვა თავის ნათესავებს, გიორგი ვარაზვაჩეს და მამა გრიგოლს, დააკისრა. გიორგი ვარაზვაჩე ეფთვიმეს 1019 წლიდან ცვლიდა წინამძღვრის თანამდებობაზე. 1028/9 წლებში იმპერატორ რომანოზის წინააღმდეგ შეთქმულებაში ეჭვმიტანილი გიორგი ვარაზვაჩე ათონიდან გადაასახლეს. ეფთვიმეს ნების თანახმად, მისი ადგილი უნდა დაეკავებინა მამა გრიგოლს, მაგრამ მონასტრის ბერძნულმა საკრებულომ წინამძღვრად მისთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანა (ქართველი გიორგი), რომელსაც ქართველებმა „გიორგი უკეთური" შეარქვეს იმის გამო, რომ ის ბერძენთა ინტერესების დამცველი იყო და მონასტრის ქართულ საკრებულოს უპირისპირდებოდა. მონასტერში შეიქმნა მეტად მძიმე ვითარება: გიორგი ვარაზვაჩეს გადასახლების შემდეგ დაიწყო მონასტრის დარბევა, სამონასტრო მიწების დატაცება-კონფისკაცია, ქართველების ყოველმხრივი შევიწროება. ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ ათონზე ქართველთა სახელი აღმოფხვრილიყო (იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები..., გვ. 87-106). გიორგი ვარაზვაჩეს შემდეგ ქართველთა მონასტრის წინამძღვრობის კანონიერმა კანდიდატმა მამა გრიგოლმა ასეთ რთულ პირობებში დაიწყო ბრძოლა თავისი უფლების აღსადგენად და ბერძენთა თავგასულობის ასალაგმავად. ამ ბრძოლაში მას მხარში ედგნენ ზაქარია მირდატის ძე და არსენი. ამდენად, სავსებით ბუნებრივია მათი აღაპში ერთობლივი მოხსენიება. გრიგოლი უნდა გარდაცვლილიყო 1041 წელს, არსენი –1042 წელს („ცხორება იოანესი და ეფთჳმესი..., §118, 26), ზაქარია კი – 1042-

1047 წლებში, რადგან 1047 წელს მამა გრიგოლის მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა შეადგინეს გრიგოლისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნი“ (A-1101). ამ წიგნის შემდგენელთა შორის ზაქარია არ იხსენიება, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ამის საფუძველზე აღაპი 130+131 უნდა დათარიღდეს 1047 წლის ახლო ხანებით.

### 132/146 ტაბ. $XIII_1$, $146^{ა}$ $X_1$

აღაპი განწესებულია 19 ნოემბერს ოქროპირ ხარაზისათვის. განგება მოთავსებულია აღაპის მეორე წევრის (146) ტექსტში. ოქროპირმა ეკლესიას შესწირა 600 სტამენონი, 1000 პერპერა და ზეთისხილის ხეები.

თავის მხრივ აღაპის მეორე წევრი (146) ორი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი (146) შესრულებულია ძირითადი ხელით (132), მეორე ნაწილი ($146^{ა}$), მიწერილი I ნაწილის (146) გასწვრივ მარცხენა კიდეზე წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით, უნდა ეკუთვნოდეს ნიკოლოზ გულაბერისძეს. აღაპი დაწერილი ჩანს ნიკოლოზ გულაბერისძის ათონზე მოღვაწეობის წლებში (1178-1183; იხ. ტაბ.$X_1$, $146^{ა}$). ამ ტაბულაში ($XIII_1$) შემავალი ყველა აღაპი შესრულებულია ერთი ხელით მამა პავლეს წინამძღვრობის დროს (1170-1184 წწ.), საფიქრებელია, მონასტრის დეკანოზის მიერ (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 316).

აღაპის ძირითად ნაწილში (146) აღნიშნულია მხოლოდ ოქროპირ ხარაზის დიდი ფულადი შეწირულება (600 სტამენონი, 1000 პერპერა). არაფერია ნათქვამი ოქროპირ ხარაზის მიერ ზეთისხილის ხეების მონასტრისათვის შეწირვის შესახებ და არც იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა ამ შეწირულებას. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ნიკოლოზ გულაბერისძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ ოქროპირ ხარაზის შეწირული ზეთისხილის ხეები უნდა მოხმარდეს ქართველთა მონასტრის სასნეულო სახლს ($146^{ა}$). აქვე, ნიკოლოზ გულაბერისძე მიმართავს სასნეულოს მომავალ მეურვეს და ავალებს მას, რათა მან იკისროს ამ ხეებზე მეურვეობა და ეს შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ სნეულებს.

### 133 თ.

განწესებულია აღაპი 21 ნოემბერს მართაყოფილი მარიამისა და

მისი ძის, კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის „დიდთა და მრავალთა ქველისმოქმედებათა მათთათჳს, რომელ აჰუენნეს ჩუენ ზედა“: 1) პირველად დაფარეს მისოლიმნის (ივირონის მამული, იხ. Actes d'Iviron, II, გვ. 58, რუკა № 5) ვალი სიკრიტონში. 2) დიდად იღუაწეს მეფეთა (მიხეილ VII დუკას და ნიკიფორე III ბოტანიატის (მარიამის მეუღლეების) წინაშე ივირონის შემწეობისთვის.

ალაპი განწესდა ნიკიფორე III ბოტანიატის გარდაცვალების შემდეგ (1081წ.), კონსტანტინე პორფიროგენეტის სიცოცხლეში († 1094წ.), ე. ი. მამა იოანე ბუქაისძის წინამძღვრობის დროს, თუმცაღა ალაპში იგი არ არის მოხსენიებული.

ალაპისათვის განწესებულია განგება „ვითარცა მამის დედისა მათისათჳს (ე. ი. მარიამ დედოფლისათვის – ე. მ.) სწორია“. იგულისხმება ბაგრატ IV-ის დედის (მარიამ მართაყოფილის ბებიის) № 100 ალაპი განგებით: „ვითარცა მაშენებელთა და მეფეთა ჩუენთაჲ“.

დაწერილია ალაპი თაფლაისძის დეკანოზობის წლებში (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 251-252).

**134 თ.**

ალაპი განწესებულია 24 ნოემბერს მიქაელ ლაკლაკისა და გიორგი ფოჩოლიკასათვის იმ დიდი სამსახურის გამო, რომელიც მათ გაუწიეს ეკლესიას სიცოცხლეში, ხოლო გარდაცვალების შემდეგ დაუტოვეს მას 120 ძველი დრაჰკანი.

ლაკლაკთა გვარის სახლი ჩორდვანელთა დიდი ოჯახის განშტოებას წარმოადგენდა, ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ მათთვის განწესებული იქნებოდა უფრო საპატო განგება.

ეს ალაპიც დაწერილია თაფლაისძის დეკანოზობის დროს (1120-1140 წწ.).

(შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 252).

**135(+139) ტაბ. XIV$_1$**

ალაპი განწესებულია 28 ნოემბერს მონასტრის საძმოს წევრის, გიორგი ციხისჯვარელისათვის. ალაპის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს 139-ე ალაპი. ამდენად, ალაპი 135+139 ორჯერადად არის დაწერილი, მაგრამ ერთი ალაპის სახეს ატარებს. 139-ე ალაპი დაწერილია 200r-ზე გადაფხეკილი ალაპის (139$^{ა}$) ადგილას. ამავე ხელით არის შესრულებული ალაპები 124 და 128. დაწერილია ალაპი თაფლაისძის გამგრძელებლის ხელით. ამდენად, ის დაწერილი ჩანს XII

საუკ. 50-იანი წლების შემდეგ.

ალაპში ლაპარაკია სათესი მიწის, ყანის შესახებ, რომელიც შეუძენია გიორგი ციხისჯვარელს. აოხრებული ადგილი მას გაუშენებია და მონასტრისათვის გადაუცია.

როგორც ჩანს, აწიანში სამლოცველო ან ეკლესია ყოფილა, რადგან გიორგი ციხისჯვარელს წიგნები (პარაკლიტონი, მარხვანი, სადღესასწაულო) გადაუცია აწიანის ეკლესიის დეკანოზისთვის. გიორგის სულის სალოცავად ალაპი სრულდება დამოძღვრით: „შენ, მამაო დეკანოზო, ვინცა მანდა მჯმარებელი იყოს წიგნთაჲ, ნუ დაუჭირავ, მისცემდი და რაჲსაცა მიზეზისათჳს გამოაკუნეს, იყავნ წყეულ და შეჩუენებულ" (Actes d' Iviron, II, p. 39). რაც შეეხება აწიანის მდებარეობას, იგი საძებარია ივირონის სამხრეთით მდებარე მილოპოტამოსის ტერიტორიაზე (Actes d' Iviron, I, p. 71, რუკა № 4).

ალაპი ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იმ თვალსაზრისით, რომ მიწის ნაკვეთები („აგროები") დამოუკიდებელი სამონასტრო ერთეულების სახეს ატარებდნენ. აქ იყო სამლოცველოები, რომელთაც სამღვდელმსახურო წიგნებით უზრუნველყოფდა ივირონი (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 317).

136 თ.

ალაპი განწესებულია 25 ნოემბერს ნიკოლა ხუცისათვის, რომელმაც ეკლესიას 300 დრაჰკანი დიმიტრატი შესწირა.

დაწერილია ალაპი იოანე თაფლაისძის დეკანოზობის წლებში (1120-1140).

ჩვენი ვარაუდით, ნიკოლა ხუცესი იგივე ნიკოლა პროტოსვინგელოზია, ქართველთა მონასტრის წინამძღვარი, ჩორდვანელთა სახლის წევრი.ნიკოლა ხუცესის ვინაობისათვის იხ. აქვე, Add. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა..., გვ. 405-406.

137 თ.

განწესებულია ალაპი 25 ნოემბერს არსენი მონაზონისათვის, რომელმაც ეკლესიას დაუტოვა 32 დუკატი. განგება ალაპს არა აქვს (ამ ალაპით მთავრდება თაფლაისძის რედაქციის საალაპე წიგნი).

არსენ მონაზონის ვინაობის დადგენა არ ხერხდება.

დაწერილია ალაპი თაფლაისძის დეკანოზობის დროს (1120-1140 წწ.).

### 138 ტაბ. XI

აღაპი წარმოადგენს იოანე კალაკალას და იოანე თაფლაისძის ერთობლივ აღაპს, განწესებულს მონასტრის ძმათა მიერ. სხვათა შორის, აღაპში წინამძღვარი არ იხსენიება, რაც შეიძლება იმას მოწმობდეს, რომ აღაპი განწესებულია იოანე კალაკალას გარდაცვალების უმალვე, ახალი წინამძღვრის არჩევამდე. რადგან სამომ ერთობლივი აღაპი განუწესა ამ ორ თანამოღვაწეს, ეს იმას უნდა მიუთითებდეს, რომ იოანე თაფლაისძისა და იოანე კალაკალას გარდაცვალება დიდი ხნით არ უნდა იყოს დაცილებული ერთმანეთს. აღაპის ფრაზა „საუკუნომცა არს საკსენებელი მათი" ნიშნავს, რომ ორივე გარდაცვლილია. როგორც აღაპიდან ჩანს, იოანე კალაკალას „სიკვდილის ჟამს" გადაუხდია საალაპე საფასური – 120 ძველი დრაჰკანი, ხოლო იოანე თაფლაისძეს საალაპედ ასევე გადაუხდია 30 ქიანატი.

ეს წყვილი (იოანე კალაკალა და იოანე თაფლაისძე) მოხსენიებულია ასევე ერთად იოანე თაფლაისძის ანდერძში (166), რომელიც იოანე თაფლაისძეს თავისი რედაქციის საალაპე წიგნის ბოლოს მოუთავსებია, საფიქრებელია, სიცოცხლის მიწურულს. ზუსტი თარიღი № 138 აღაპისა და № 166 ანდერძისა ვერ დგინდება, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ № 166 ანდერძი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს № 138 ერთობლივ აღაპს, რომელიც დადებულია ამ წყვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ხოლო № 166 ანდერძი კი დაწერილია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იოანე თაფლაისძემ დაასრულა მის მიერ ჩაფიქრებული საალაპე წიგნის რედაქცია.

ამ აღაპში მოცემულია ფორმულა – „საუკუნომცა არს საკსენებელი მათი". ასეთი საპატიო განგება იშვიათად გვხვდება და გულისხმობს ამ პირთა ყოველდღიურ მოხსენიებას მონასტერში ჟამისწირვის დროს.

### 139 ტაბ. XIV$_1$

შეუერთდა № 135 აღაპს, ვინაიდან ეს ორი აღაპი ტექნიკური მიზეზების გამო დაწერილია ხელნაწერის 199v-ს და 200r-ს ქვემო კიდეებზე და № 135-ს აგრძელებს № 139. ეს დაკვირვება ეკუთვნის თ. ჟორდანიას (იხ. აქვე, Add. თ. ჟორდანია, „ათონის კრებულის"..., გვ. 406).

### 140 ტაბ. III$_3$ თ. მ.

აღაპი განწესებულია 4 სექტემბერს მოსე ქართველისათვის, რომელიც „შვილი იყო ეკლესიისაჲ და ჟამსა მიცვალებისა მისისასა"

დაუტოვა ეკლესიას კარგი ცხენები და მთელი თავისი ქონების მეოთხედი.

ალაპი დაწერილია თაფლაისძის მიმბაძველის მიერ. იგი არ იცავს თაფლაისძის საალაპე წიგნის კალენდარულ რიგს: თაფლაისძის ხელით ნაწერი წინა № 137 ალაპი განწესებულია 25 ნოემბერს. ალაპში დასტურდება სიტყვა „პანაშჳტი", მიმბაძველისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფიით.

რაც შეეხება მოსე ქართველს, ალაპის მიხედვით, იგი იყო ეკლესიის შვილი. როგორც ნიკო ბერძენიშვილი წერს: „ნართაული სახელი „ქართველი" და ეკლესიის შვილობა გვაფიქრებინებს, რომ მოსე „ქართველი" საბერძნეთში ცხოვრობს და ათონის მონასტრის ყმად ითვლება" (შდრ. „მცხეთის შვილი", „საყდრის შვილი". იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 317; ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 164–165; ა. ბოგვერაძე, ქართლის..., გვ. 56).

ალაპი დაწერილი უნდა იყოს XII საუკუნის 50-იან წლებში.

### 141/9 ტაბ. VII, ი.

იხ. 9/141 ალაპთან.

### 142 ტაბ. XVIII (ნარევი)

ალაპი განწესებულია 11 ივლისს ევფროსინე პროტოსევასტისათვის (მიხაილ პროტოსევასტოსის მეუღლისათვის). რა შესაწირავი გაიღო მან მონასტრისათვის, ალაპში არაფერია თქმული. რაოდენობის აღსანიშნავად დატოვებულია თავისუფალი ადგილი: „მისცა ეკლესიასა [.....]". საყურადღებოა ალაპის განგება: „შეიქმოდიან ორთა სეფისკუერთა დიდთა, მიეცემოდის ერთი ბერძენთა ნათლისმცემელისასა და ერთი დიდსა ეკლესიასა. და მისთჳს ამოეკუეთებოდიან ყოველთა დღეთა". საინტერესოა, რომ სეფისკვერთა „შექმნა და ამოკვეთა" პირველად გვხვდება ამ ალაპში. აქედან აშკარაა, რომ ალაპის განწესების დროისათვის ივირონში ბერძნები და ქართველები ცალცალკე ასრულებდნენ მღვდელმსახურებას: საკრებულოს ბერძნული ნაწილი მღვდელმსახურებას ეწეოდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში (ბერძნულად), ხოლო ქართული – დიდ ეკლესიაში (კათოლიკონში). თუ როდის მოხდა ეს გამიჯვნა და რამდენ ხანს გაგრძელდა ასეთი ვითარება, წყაროებიდან არ ჩანს.

რაც შეეხება ალაპში დასახელებულ მეუღლეებს, ევფროსინესა და მიხაილს, ისინი ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ. ნ. ბერძენიშვილი

შემწირველთა საკუთარ სახელთა მიხედვით ვარაუდობს, რომ ისინი უნდა იყვნენ ანგელოსთა დინასტიის წარმომადგენლები (კერძოდ, ისააკ II ანგელოსის (1185-1195) მშობლები).

იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 318.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაპი თარიღდება მამა იოანე IV-ის წინამძღვრობის წლებით (XII საუკუნის 60-70-იანი წლებით).

**143/21 ტაბ.VIII$_2$ ვ.**

იხ. 21 ალაპთან.

**144/105 ტაბ.XVI; 144ა ტაბ.XIX ნარევი**

იხ. 105/144 ალაპთან.

**145/39 ტაბ.IX$_{3-4}$ პ.**

იხ. 39/145 ალაპის კომენტარი.

**146/132 ტაბ.XIII$_1$, 146ა ტაბ.X$_1$**

იხ. 132/146 ალაპის კომენტარი.

**147/14 ტაბ.IX$_6$ პ.**

იხ. 14/147 ალაპის კომენტარი.

**148/28 ტაბ.IX$_6$ პ.**

იხ. 28/148 ალაპის კომენტარი.

**149 ტაბ.IX$_2$ პ.**

ალაპი განწესებულია 29 დეკემბერს აბულასან ქუთათელისათვის, რომელმაც ათონის ქართველთა მონასტერს შესწირა 40 პერპერა. ევლოგია მონასტრისათვის ნიკოლოზ გულაბერისძეს გადაუცია.

განწესდა ალაპი მამა პავლეს და „ყოველთა ძმათა“ მიერ.

აბულასან ქუთათელის ვინაობის შესახებ ცნობებს წყაროებში ვერ მივაკვლიეთ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, აბულასან ქუთათელი არ არის სამღვდელო პირი. ის წერს: „ამას ეწინააღმდეგება ამ „ქუთათელის“ წმინდა არაბულ-მუსლიმანური სახელი აბულჲსან. ქუთათელი კი შეიძლება ერისკაციც ყოფილიყო, ისე როგორც თორელი,

თმოგველი, ხორნაბუჯელი, გაგელი, ანელი, დვინელი და სხვ. ეს აბულასან ქუთათელი ვინლაც დიდი კაცია. ეს იქითგან ჩანს, თუ ვისი ხელით ჰგზავნის იგი შესაწირავს მონასტერში. ნიკოლოზ გულაბერისძეს, პატრიარქობითგან გადამდგარს თამარ დედოფლისა და აბულასან ქუთათელის შესაწირავი მიაქვს ათონს. ერისკაცი აბულასანი, თამარის თანამედროვე და დიდებული ცნობილია, მაგრამ ის ტფილისის მკვდრთა რიცხვშია და ჩვენი აღაპის „ქუთათელობას" ვერ შეიშვენებს" (ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 320–321).

ამრიგად, ნიკოლოზ გულაბერისძეს, რომელიც ათონზე უნდა ჩასულიყო 1181–1183 წლებში, ჩაუტანია თამარ დედოფლისა და აბულასან ქუთათელის შეწირულებანი. სწორედ ამ წლებით უნდა დათარიღდეს ეს აღაპიც.

**150/88 ტაბ. $IX_2$ ბ.**

იხ. 88/150 აღაპის კომენტარი.

**151/23 ტაბ. $IX_2$ ბ.**

იხ. 23/151 აღაპის კომენტარი.

**152=33 ტაბ. $IX_2$ ბ.**

იხ. აღაპი 33 და მისი კომენტარი.

**153/95 ტაბ. $X_1$, $X_4$ ნ. გ.**

იხ. 95-ე აღაპის კომენტარი.

**154/80 ტაბ. $XIII_2$**

იხ. 80-ე აღაპის კომენტარი.

**155 ტაბ. $X_2$ ნ. გ.**

აღაპი განწესებულია 26 სექტემბერს იოანე მწიგნობართუხუცესისათვის მამა პავლეს, მოძღვრის, დეკანოზისა და მთელი საკრებულოს მიერ უმდიდრესი და საპატიო განგებით იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის ქართველთა მონასტრისა და ქვეყნის წინაშე: კელინთა დაწვის შემდეგ იოანემ მონასტერს შესწირა ევლოგია, რომელიც ათონზე ჩაიტანეს საქართველოში საკალმასოდ გაგზავნილმა ბერებმა — „პერპერაჲ ლიტრაჲ" 4 და 1 ოქროს ფარჩა.

ჩვეულებრივი ალაპებისაგან განსხვავებით, იოანე მწიგნობართუხუცესისათვის განწესებული ალაპი იწყება საღვთისმეტყველო პრეამბულით, რომელიც დამოუკიდებელი საღვთისმეტყველო მაღალფარდოვანი ტრაქტატის სახით აღიქმება და დაწერილია ღვთისმეტყველების საკითხებში კარგად ჩახედული და განათლებული მწიგნობრის მიერ (ვრცლად ამის შესახებ იხ. აქვე, მამა პავლეს და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობა).

ალაპის განგება დროთა განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს: მას ემატებოდა ახალ-ახალი ელემენტები, კერძოდ, პარაკლისის გადახდა წელიწადში ერთხელ და სხვ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალაპის ტექსტი დაწერილია ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით (შდრ. ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით დაწერილ სხვა ალაპებს, და ქუთ. 14 ხელნაწერს, მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა კრებულს, ნიკოლოზის თარგმნილს, რომელიც ჩვენ მის ავტოგრაფად მიგვაჩნია – ტაბ. $X_4$).

საინტერესოა ალაპი თავისი ფორმისა და სტილის თვალსაზრისით, რითაც იგი გამოირჩევა საალაპე წიგნის სხვა ალაპებისაგან; განმწესებლთა შესახებ ალაპში ვკითხულობთ: „ამისთჳს უკუე განუჩინეთ მე, მამამან პავლე, მოძღუარმან, დეკანოზმან და ყოველმან კრებულმან, შინა მყოფთა და გარეთ დაყუდებულთა უდაბნოჲსათა, ყოველთა ერთითა სიტყჳთა და ერთითა განზრახვითა...“ საალაპე წიგნში ეს ერთადერთი შემთხვევაა, სადაც წინამძღვრის შემდეგ (დეკანოზის წინ) მოხსენიებულია მოძღვარი. აქ მოხსენიებულ მოძღვარში უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლოზ გულაბერისძე. მოძღვარი, როგორც ჩანს, მისი ოფიციალური სტატუსი იყო ქართველთა მონასტერში. ეს სტატუსი გულისხმობდა მონასტრის დიდად დამსახურებულ, განსწავლულ და განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, რომელსაც ხელ-ეწიფებოდა ძმობის წევრთა დამოძღვრა და განსწავლა. ამ რანგის მწიგნობარი და სულიერი მამა XII ს. უკანასკნელ მეოთხედში, მამა პავლეს თანამოღუაწეთა შორის, ათონის ქართველთა მონასტრის საკრებულოში არავინ გვეგულება, ნიკოლოზ გულაბერისძის გარდა. ამიტომაც მიგვაჩნია იგი ამ ალაპის დამწერად.

იოანე მწიგნობართუხუცესის ალაპი რომ მართლაც ნიკოლოზის დაწერილია, ამას მხარს ისიც უჭერს, რომ იოანე მწიგნობართუხუცესი ისევე, როგორც ნიკოლოზ გულაბერისძე, მეფე გიორგი III-ის უახლოესი თანამოღვაწე და მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო. ამიტომ

სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ იოანე მწიგნობართუხუცესისათვის საგანგებო და ძალზე საპატიო ალაპის დაწერა იკისრა ნიკოლოზ გულაბერისძემ.

თარიღდება ალაპი დაახლოებით 1179–1183 წლებით, ნიკოლოზის ათონზე ყოფნის პერიოდით (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 282, 323).

ნიკოლოზის ხელით დაწერილი ათონის ალაპებისა (ტაბ. X), ქუთ. 14 ხელნაწერისა და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სააღაპე წიგნში შეტანილი შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა (№ 317) და ანტონ ალავერდელის (№ 54) ალაპების პალეოგრაფიულმა შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე ტექსტის დანიშნულებისა და მნიშვნელობის მიხედვით ორ სხვადასხვა ხელს იყენებს: ერთია შედარებით მსხვილი, კუთხოვანი, დახრილი ნუსხური და მეორე – წვრილი, კალიგრაფიული ნუსხური (ტაბ. $X_4$).

ალაპში წარმოდგენილია იოანე მწიგნობართუხუცესის მოღვაწეობის დახასიათება და მისი დამსახურება როგორც ქვეყნის, ასევე მონასტრის წინაშე. საგანგებოდ არის ხაზგასმული ის დახმარება, რომელსაც უწევდა იოანე საზღვარგარეთის ქართულ სამწიგნობრო ცენტრებს.

ყურადღებას იქცევს ალაპი მართლწერისა და პუნქტუაციის თვალსაზრისითაც. გარდა ერთი, ორი და სამი წერტილისა, ალაპში გამოყენებულია მძიმე და წერტილ-მძიმე (მძიმე ალაპში სხვადასხვა დანიშნულებით არის ნახმარი).

ალაპში იხმარება აგრეთვე რთული ზმნების შემადგენელ სიტყვათა შემაერთებელი კავი (ცეთილმოქმედი). სასვენი ნიშნების ხმარებისას აშკარად იგრძნობა ეფრემის მიერ შემოღებული პუნქტუაციის გავლენა, თუმცა ამ სისტემის გატარებისას ალაპის დამწერი არ არის თანმიმდევრული. საერთოდ, ეს ალაპი სტილისა და სასვენი ნიშნების თვალსაზრისით კვლავაც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ალაპი განგების მრავალსახეობით და კომპოზიციის სისრულით. ამ თვალსაზრისით მის ანალოგს ვერ ვპოულობთ ვერც ათონისა და ვერც იერუსალიმის სააღაპე წიგნებში. ამ შედგენილობის ალაპს ნ. ბერძენიშვილი „სრული ალაპის" სახეობად მიიჩნევს (ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 323).

ალაპის განგება მოიცავს რამდენიმე „განწესებას“:

1) როდესაც მთელი წლის ყოველ შვიდეულში ხუცესი დიდ ეკლესიაში მსგეფსის მსახურებას დაასრულებს, მემსგეფსე განაგრძობს მსახურებას პარასკევამდე. იგივე ხუცესი შაბათს უნდა წავიდეს დიდი ეკლესიიდან მცირე („ცოტასა“) ეკლესიაში, რომელიც შერჩეულია იოანე მწიგნობართუხუცესისთვის და რომელშიც მემსგეფსემ იოანესთვის უნდა აღასრულოს წირვა. იმავე შაბათ დღეს დიდ ეკლესიაში მეორე მემსგეფსემ უნდა დაიწყოს წირვა. ეს წესი დაცულ უნდა იქნეს ყოველ შვიდეულში. თუ შაბათს დაემთხვევა ვისიმე, ცნობილი პირის, პარაკლისი, რასაც ხუცესნი ვერ შეელევიან, მემსგეფსემ წინასწარ გამოიკითხოს და შეიტყოს, რათა თავიდანვე სხვა დღეს, ხუთშაბათს ან პარასკევს აღასრულოს წირვა იოანე მწიგნობართუხუცესისთვის, რისთვისაც ხუცესს უნდა მიეცეს თითო ლიტრი ზეთი.

2) ამის პარალელურად საკრებულომ დააწესა აგრეთვე შემდეგი: წელიწადში ერთხელ, 26 სექტემბერს (იოანე მახარებლის ხსენების დღეს), უნდა გადაიხადონ პარაკლისი იოანე მწიგნობართუხუცესისათვის „ყოვლითა გულსმოდგინებითა“: მწუხრზე გალობა, ფსალმუნება, დიდებისმეტყველება. გამოლოცვის შემდეგ ძმებს უნდა მიერთვას ხილი, რომელიც იმ დროს შემოსულია, და ღვინო (ოთხ-ოთხი კრასოული), ხოლო მეორე დღეს უნდა მომზადდეს ტრაპეზი, რომელსაც დაესწრება უკლებლივ ყველა ხუცესი, საგანგებოდ მისთვის შემოსილი. ტრაპეზი უნდა მომზადდეს „ყოვლითა გულსმოდგინებითა“, „ეწდეოდის ღჳნოჲ ხუთ-ხუთი [კრასოული].

3) გარდა ამისა, იოანე მწიგნობართუხუცესის მოსახსენებლად დაწესდა ცისკრის ლოცვასა, ჟამისწირვასა და მწუხრის ლოცვაზე კვერექსი „შეგჳწყალენისაჲ“, როგორც ეს ითქმის სხვა დიდ შემომწირველთა და მაშენებელთათვის.

ამ მრავალნაწილიან განგებას მოსდევს მთელი საკრებულოს ულრმესი პატივისცემისა და მოწიწების გამომხატველი „სიმტკიცისა და უქცეველობის“ დამადასტურებელი ფორმულა: „ესრეთ უკუჱ განვაწესეთ ყოველთა ერთობით სიმტკიცისა და უქცეველობისათჳს, რაჲთა მისმან ჩუენდა მომართმან სალმრთომან გულსმოდგინებამან მიიღოს ჩუენმიერიცა ნაცვლის-გებაჲ“.

### 156 ტაბ. XIII₁

განწესებულია აღაპი 15 იანვარს პავლე ქუთათელისათვის, რომელმაც მამა პავლეს ხელით გადასცა მონასტერს ევლოგია: დრაჰკანი პერპერა 40. ეს მოხდა „ინდიქტიონსა ა“, ე. ი. 1183 წელს. როგორც ვხედავთ, აღაპის თარიღი თვით აღაპშია მოცემული. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ქუთაისის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე 1184 წლიდან ჩანს ქუთათელი ანტონ საღირისძე (იხ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 323–324).

ამავე ხელით ჩანს დაწერილი აღაპები: 54 და 165ა (იხ. ტაბულა XIII₂).

### 157 ტაბ. XV₁

აღაპი განწესებულია განცხადების წინადღეს – ივანე სხალთგაწევისათვის. განგება საპატიო და მდიდრულია.

ვინაობა ივანე სხალთგაწევისა ვერ დავადგინეთ (ტოპონიმი საძებარია). ნ. ბერძენიშვილის აზრით, აღაპი მამა პავლეს მიერ უნდა იყოს განწესებული, რასაც მხარს უჭერს ის გარემოება, რომ აღაპი 157 მოთავსებულია მამა პავლეს წინამძღვრობიდან გადადგომის აქტთან ერთად (ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 325).

ამდენად, აღაპი უნდა დათარიღდეს მამა პავლეს წინამძღვრობის უკანასკნელი წლებით.

ამავე ხელით არის დაწერილი აღაპები: 159, 160, 161.

### 158 ტაბ. XVII

აღაპი განწესებულია 29 აპრილს, ინდიქტიონსა ზ მამა პავლესათვის მისი წინამძღვრობიდან გადადგომასთან დაკავშირებით. მონასტრის საკრებულომ ახალ წინამძღვრად აირჩია მამა გიორგი „დიდი იკონომოსი“.

აღაპში იხსენიება სიტყვა სადოშიარო (დოშიარის ადგილსამყოფელი). პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ტექსტში დოშიარი განმარტებულია როგორც მეგანძური („მეგანძური, რომელ არს დოშიარი“, ტიპ. 26,4. იხ. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი..., გვ. 110).

დოშიარი ეხმიანება 148-ე აღაპში მოხსენიებულ ხანბაშურს (იხ. Add.), რომელიც ბერძნული წარმომავლობის დოშიარისაგან (δοχειάριος) განსხვავებით, სირიულ ნიადაგზე ჩანს შექმნილი.

ორივე ტერმინი (ხანბაშური და დოშიარი) ერთ ქრონოლოგიურ პერიოდში (XI–XII სს.) გვხვდება (პეტრიწონის ტიპიკონი XI ს., აღაპი 148–1170–1184 წწ., აღაპი 158–1184წ.).

ამრიგად, დოშიარი და ხანბაშური მონათესავე ცნებები ჩანს, შესაძლებელია, სინონიმურიც, სხვადასხვა ენობრივ ნიადაგზე აღმოცენებული, ორივე დაკავშირებული საგანძურთსაცავთან (შდრ. აგრეთვე მსგავსი მნიშვნელობის ტერმინი მეჭურჭლე, σκευοφύλαξ), იმ განსხვავებით, რომ ხანბაშური; გარდა მეგანძურისა, იყო აგრეთვე „განძის" ხარისხში აყვანილი მართლმადიდებლობის დამცველი.

თარიღი მოცემულია თვით აღაპში: ინდიქტიონსა ბ, რაც უდრის 1184 წელს (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 325).

**159 ტაბ. XV$_3$**

აღაპი განწესებულია 2 იანვარს ვრცელი და მდიდრული განგებით, ანასულისა და მისი შვილის, იაღისათვის, რომელთაც მონასტერს შეწირეს 100 ბოტანიატი.

აღაპი ანასულისა და მისი შვილისათვის განწესებულა აგრეთვე ჯვარის მონასტრის საღაპე წიგნში (იხ. აღაპი 287 და მისი კომენტარი. – ე. მეტრეველი, მასალები..., გვ. 105 და 175).

აღაპი დაწერილია 157, 160 და 161 აღაპების ხელით 1184 წლამდე და გაერთიანებულია ერთ ტაბულაში (ტაბ. XV).

აღაპიდან არ ჩანს, ანასული თავისი შვილით ათონზე იყო ჩასული შესაწირავის გადასაცემად, თუ სხვისი ხელით გადასცა იგი მონასტრის საძმოს. ანასული მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯვარის მონასტერთან და აქტიურად საქმიანობდა მონასტრის ქონების გადასარჩენად. მონასტრისთვის საკმაოდ დიდი დახმარებაც აღმოუჩენია. ამავე დროს, ზრუნავდა ათონის ქართველთა მონასტერზეც (იხ. აქვე, მამა პავლეს და ნიკ. გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობა).

სახელები ანასული და იაღი ქართულ ონომასტიკონში არ გვხვდება. ეს ორი სახელი თურქული წარმოშობისა უნდა იყოს.

**160 ტაბ. XV$_4$**

აღაპი განწესებულია ლაზარობის დღეს, აბულასანის ძის, ოქროპირისა და მისი ცოლისათვის, მდიდრული და საპატიო განგებით. ცოლ-ქმარს მონასტრისათვის შეუწირავს 60 პერპერა.

ამავე ალაპის ხელით არის შესრულებული 157, 159 და 161 ალაპები, რის მიხედვითაც ალაპი უნდა დათარიღდეს მამა პავლეს წინამძღვრობის უკანასკნელი წლებით (1183-1184).

### 161 ტაბ. $XV_3$

ალაპი განწესებულია 18 ივნისს თევდორე ქილაკისძისა და დედამისის, ხარებასთვის საკმაოდ მდიდრული და ვრცელი განგებით. დედა-შვილს მონასტრისათვის შეუწირავს 80 პერპერა. ამ ალაპის ხელით არის შესრულებული წინა ალაპებიც (157, 159, 160), რის გამო იგი უნდა დათარიღდეს 1183-1184 წლებით.

### 162, 163, 164 ტაბ. XX

ეს ალაპები განწესებულია სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II ჯაყელისა (1451-1498 წწ.), მისი ვაჟების, ქაიხოსრო (1498-1500 წწ.) და მზექაბუკ (1500-1516 წწ.) ათაბაგებისათვის, ამბროსი ქაიხოსროს გაზრდილისა და ბადურისთვის (ყვარყვარე II-ისა და დედისიმედის მესამე ვაჟი) (1453-1474).

ალაპები გვიან არის ჩამატებული საალაპე წიგნში ორ შეწყვილებულ ეტრატის ფურცელზე, სცილდება საალაპე წიგნის ქრონოლოგიურ ფარგლებს და ამდენად ჩვენი კვლევის ობიექტს არ შეადგენს, (იხ. ზ. სხირტლაძე, ივერიის...; ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს..., გვ. 136).

### 165+167 ტაბ. $IX_1$

ეს ალაპი არ არის ჩვეულებრივი ალაპის ტიპისა. ის შედგენილია მამა პავლეს მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში ქართველთა მონასტრის მთელი საკრებულოს მიერ მამა პავლეს უშუალო მონაწილეობით და წარმოადგენს ერთგვარ ანგარიშგებას პავლეს მოღვაწეობის შესახებ, დაწყებული მისი წინამძღვრად დადგინებიდან. ვინაიდან ალაპში დაწვრილებით და ზუსტად არის წარმოდგენილი მთელი მისი ნამუშაკევი, ბუნებრივია, ამის აღწერა-გადმოცემაში აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა თვით პავლეს, რაც იმითაც მტკიცდება, რომ ალაპი დაწერილია ხან მესამე, ხან კი პირველი პირით.

პავლეს საქმიანობის მიმოხილვის შემდეგ ალაპში ვკითხულობთ, რომ მისთვის ყოველ დღესასწაულზე და კვირაძალზე განწესებულია პორტაიტისის (კარის ღვთისმშობლის) ხატის წინაშე „გასლვა“, და

დასდებლისა და „შეგჳწყალენის“ თქმა; ღვთისმშობლის ხატის დასვენების ჟამს დაწესდა პავლეს სამარადისო მოხსენიებაც, „ვიდრე ამას წმიდასა ადგილსა ქართველთა მკჳდრობაჲ იყოს“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მესულეთა ინსტიტუტის შემოღების განწესება. მესულე ეპიტროპის ქართული შესატყვისი უნდა იყოს. მესულეს, ისევე როგორც ეპიტროპს, ევალებოდა მონასტრის საკრებულოს სულიერი ცხოვრების ზედამხედველობა, მოწესრიგება და წარმართვა, პირველ რიგში, მონასტრისათვის ღირსეული წინამძღვრის შერჩევა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება (იხ. აქვე, Add. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა...).

ეპიტროპთა ინსტიტუტი ათონზე პირველად შემოიღო ათანასე ლავრელმა თავისი დაარსებული მონასტრისათვის. სასულიერო ეპიტროპის ანუ „მესულეს“ დანიშვნის პრაქტიკა ივირონში ამ განწესებამდე, ე. ი. პავლემდე, არ ჩანს.

აღნიშნულ განწესებას აღაპში მოსდევს, საფიქრებელია, ისევ პავლეს განწესება იმის შესახებ, თუ ქართველთა მონასტერში სად, როდის და რამდენი კანდელი უნდა ენთოს დაუვსებლად (ჩაუქრობლად).

შემდეგ კი მოცემულია განწესებანი პორტაიტისას (კარის ღვთისმშობლის) ეკლესიასთან დაკავშირებით: ტრაპეზზე ცისკრად და მწუხრზე „პანაგისა აყვანაჲ ზედგომით“ და ღვინის ან წყლის შესმა ზედგომითვე. მთელი ძმობა „ერთობით“ მიდის პორტის ღვთისმშობლის ეკლესიაში, ვისაც კი ძალუძს, და ყოველ ოთხშაბათს გალობებს აღასრულებენ.

ცისკრის ლოცვაზე სახარების წაკითხვის ჟამს, კვირადღე იქნება, თუ დღესასწაული, დაწესებულია „რეკაჲ დიდსა სარეკელსა“, რათა ძმობის ყველა წევრი მოვიდეს სახარების მოსასმენად, ვისაც კი ზეზე ადგომა შეუძლია. ამ რიტუალს მუდმივად უნდა ესწრებოდეს ერთი ეპიტრიტი, ხოლო მარხვის პერიოდში — ორი ეპიტრიტი.

ეს განწესებანი მთავრდება მამა პავლეს დამტკიცებით: „ესე ყოველი ჩემითა კელითა დამიმტკიცებია ზემოჲთა დაწერილი. მე, პავლეს, დამიწერია ქრონიკონს [ტჲ]“.

დაუწესებიათ განგება „ყოველთა ძმათა განზრახვითა“: ამაღლების დიდ დღესასწაულზე პანაშვიდის გადახდა, მწუხრზე სამსამი კერასით და ხილით, ხოლო სამხრად — ტრაპეზი „წესისაებრ სხუათა მაშენებელთაჲსა“, ხუთ-ხუთი კრასოვულით.

განგებას მოსდევს პავლეს მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვანი ასპექტის ამსახველი მასალა – პავლეს განწესებანი, რომლებიც დამტკიცებულია პავლესა და მთელი ძმობის მიერ („ესე დაწესებული ყოველი ერთბამად მამასა–ძმათა დაგვმტკიცებია“).

165–ე აღაპის „განწესებანი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ პირველად უნდა იყოს ჩამოყალიბებული პორტის ღვთისმშობლის ეკლესიასა და ხატთან (პორტაიტისასთან) დაკავშირებული მღვდელმსახურების შესრულების წესი. როგორც ჩანს, ეს მღვდელმსახურება პავლეს წინამძღვრობამდე განწესების სახით ჩამოყალიბებული არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ათონის აღაპებში პორტის ღვთისმშობლის ხსენების სხვა ფაქტები არ დასტურდება.

165–ე აღაპში შეტანილი განწესების ბუნებრივ გაგრძელება–დასასრულს წარმოადგენს 167–ე აღაპი, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის უკანასკნელ ფურცელზე. ამ ფურცლის (213r) ზედა ნახევარი უკავია იოანე თაფლაისძის ანდერძს (166), ხოლო დარჩენილი თავისუფალი ქვედა ნახევარი პავლეს გამოუყენებია თავის განწესებათა დასასრულებლად, რის გამოც აუცილებლად მივიჩნიეთ ამ ორი აღაპის (165, 167) გაერთიანება.

(აღაპის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ათონის ქართველთა..., გვ. 94–95; 322–323).

**166 ტაბ. II თ.**

იოანე თაფლაისძის ამ ანდერძში ჩამოყალიბებულია სააღაპე წიგნში აღაპების შეტანის ძირითადი პრინციპი. იოანე თაფლაისძის მთავარი მიზანი სააღაპე წიგნის მისეულ რედაქციაზე მუშაობის პროცესში ის იყო, რომ „იქი–აქა დაფანჩულად“ ჩაწერილი აღაპები, იოანე კალაკალას ბრძანებით ქრონოლოგიურ რიგზე გაეწყო და ისე ჩაერთო სააღაპე წიგნში.

იოანე თაფლაისძე მოუწოდებს მომავალ მოღვაწეებს (მაგ.: დეკანოზს), რომ აღაპთა შეტანის დროს დაიცვან ქრონოლოგიური რიგი და მოერიდონ აღაპთა „აშლით დაწერას“. ამისთვის მას აღაპთა ჩასაწერად ადგილი ყველგან დაუტოვებია. აქ იგულისხმება ცარიელი ადგილები აღაპებს შორის და აგრეთვე ათი დაუწერელი ფურცელი (201–207, 210–212), დართული მის მიერ წიგნის ბოლოს.

**167**

იხ. 165+167

# ლექსიკონი

**აკაზმულობა**- შემკულობა, მოკაზმულობა, შეკაზმულობა, აქ: საეკლესიო ინვენტარი. 159

**ალილუა** (ἀλληλούϊα) გალობა, რომელიც სრულდება სახარების საკითხავის წინ. 134

**ალექსატ-ი** ალექსი I კომნენოსის დროინდელ მონეტათა ზოგადი ზედწოდება. 145

**ამლახტ-ი** (სპარს.) 1. მუშა ცხენი 2. ფეხსაცმლის ძირი. „გამოარჩიეს დიდ კონომოსი გიორგი და დაადგინეს მამად. და მიითუალნა ეკლესიანი უნაკლულოდ ყოვლითურთ: სანთლითა და ყოვლითა სამკაულითა, ... რკინითა ჭედილითა და უჭედელითა, და ამლახტითა" ... 183

**ამოკოცვა** ამოშლა, წაშლა. 191

**ანაფორა** (ἀναφορά) ეტიმ. ზევით აწევა, აღმართვა – მოსახსენებელი წირვა აღაპის შესრულების დროს. 136

**აქებდით-ი** სტიქარონის ერთ-ერთი სახეობა. იხ. სტიქარონი. 134

**აღაპ-ი** (ἀγάπη) მიცვალებულის სულის მოსახსენებელი სიყვარულის სერობა, ტრაპეზი. აღაპი სრულდებოდა განგების საფუძველზე. ქართულ ეკლესიაში არსებობდა აღაპის რამდენიმე სახეობა. სამონასტრო ცხოვრებაში აღაპი დიდ როლს ასრულებდა ფინანსური მხრივ, ვინაიდან იწვევდა შეწირულებათა მოზღვავებას. აღაპის განგების შემადგენელი ელემენტები იყო: პანაშვიდი, ანაფორა, ჟამისწირვა, პიტი, თესლი და სხვ. 134

**აღმოკუეთა** იხ. სეფისკუერის აღმოკუეთაჲ.

**აღმოსავლეთ-ი** აქ: საქართველო. 144

**აღმწერალ-ი დიდ-ი** ბიზანტიის სამეფო მოხელე, რომელსაც ევალებოდა სამონასტრო ქონების აღწერა და ზედამხედველობა. 188

**აგრო** (ἀγρός) ყანა, მიწის ნაკვეთი. 171

**აჯერ-ასხმა** დაძლევა, მოთოკვა. 180

**ახორ-ი** ბაგა, საკვების ჩასაყრელი დაბმული საქონლისათვის. 188

**ბარძიმ-ი** ვერცხლის მაღალფეხიანი სასმისი, წმინდა ზიარების მოსამზადებლად. 165

**ბასილკა** (βασιλική ?) ნაგებობა, რომელიც უნდა ყოფილიყო მონასტერში თავშეყრის ადგილი (ბიზანტიის დედაქალაქში ბასილიკე ასრულებდა ქალაქის იურიდიული და კულტურული ცენტრის

ფუნქციას. აქ იკრიბებოდნენ იურისტები, ორატორები, ვაჭრები). 188

**ბევრ-ი** ათი ათასი. 135

**ბოტანოტ-ი (ბოტანიატი)** ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) მოჭრილი ოქროს მონეტის ზედწოდება. 183. იხ. დრაჰკანი

**ბურღო** კოშკი. 174

**გალობა-ნ-ი** ცხრაოდიანი საგალობელი ანუ კანონი. 134

**გამოავლინე** (ἐξαποστειλάριον) ტროპარი, რომელსაც გალობენ ცხრაოდიანი საგალობლის მეცხრე გალობის (ოდის) შემდეგ და „დიდებაჲ მაღალთაჲ“-ს წინ. სახელწოდება აღებულია 42,3 ფსალმუნიდან. 134

**გამომკულეველ-ი** შემსწავლელი, შემმოწმებელი, კვლევა-ძიების მაწარმოებელი, 180 მკვლევარი-მაძიებელი.

**გამოჭიქვა** ჭიქურით ჭურჭლის დაფარვა, მოჭიქვა. 174

**გამოკუმა** გამოღება, გამოტანა. 165

**განყოფილ-ნ-ი დავით-ნ-ი** იხ. დავითნი განყოფილნი.

**განძ-ი** ფული, ოქროულობა, ვერცხლეულობა, ძვირფასეულობა, რისი აწონაც შეიძლება. განძის მნიშვნელობას ინარჩუნებს მხოლოდ ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული მონეტები. 138

**განძლიერდა** ცხრაოდიანი საგალობლის მესამე გალობა (ოდა). 134

**გარეწარმკდელ-ი** გვერდის ამვლელი, გვერდის ამქცევი. 152

**გაროქვა** დაქირავება (როქი ῥόγα : ქირა, ჯამაგირი). 175

**გატევება** გაშვება. 164

**დავით-ნ-ი განყოფილ-ნ-ი** დავით მეფის 150 ფსალმუნი, ხუთ წიგნად (I–1-41; II– 42-72; III–73-89; IV–90-106; V–107-150) დაყოფილი. 135

**დამართებით** გასწვრივ, „გასწორ“ (საბა). 174

**დამახრწეველობა** დამაბრკოლებლობა, ხელის შემშლელობა. 180

**დანუკვა** ხვეწნა, თხოვნა. 169

**დასამართლება** ჩივილი, საქმის აღძვრა. 169

**დატეობა** დატოვება, მიტოვება, ხელის აღება. 181

**დაურვება** საზრუნავი საქმის მოგვარება, მორიგება. 169

**დაუყენებელ-ი** შეუჩერებელი, შეუფერხებელი. 180

**დაფანჩულ-ი** დაფანტული, გაბნეული. 191

**დაღონებულ-ი** მოხრილი, მოღუნული, დაღრეკილი. 184

**დაყრა ზღვარისა** „ფიცით დაჰყარა ზღვარი მელინძათაჲ“. საზღვრის დადგენა სარჩელის შედეგად. 154

**დაწერილ-ი** საბუთების ზოგადი სახელი საქართველოში X ს-მდე. X ს-დან XIV-XV სს-მდე მეფის ნაბოძებ საბუთს სიგელი ეწოდებოდა,

ყველა დანარჩენ საბუთს კი — „დაწერილი“. XVI ს-თვის სიგელმა მთლიანად შეცვალა „დაწერილი“. 169

**დაწესებულ-ნ-ი** განწესებულნი ფსალმუნნი, ექვსფსალმუნი, (ἑξάψαλμοζ)რომელიც სრულდება ცისკრად დიდი კვერექსის წინ. 134

**დაჭირულ-ი** ყადაღადადებული. 188

**დაჭრელება** მოზაიკით მოპირკეთება, შემკობა. 174

**დაჯსნა** დარღვევა, მოშლა. 142

**დეკანოზ-ი** მთავარი მღვდელი ეკლესიასა და მონასტერში. მონასტერში მეორე ადგილი ეჭირა წინამძღვრის შემდეგ. 176

**დიაღნოს-ი** (διάγνωσις) წიგნი სიმტკიცისაჲ. 188 შდრ. სიმტკიცე.

**დიდება მაღალთა [შინა ღმერთსა]** (Δόξα ἐν ὑφίστοις Θεῷ) დიდი დიდებისმეტყველება (ლუკა 2,14), საგალობელი, რომელიც სრულდება კვირაძღეს, დიდ დღესასწაულებზე, ლაზარეს შაბათს, ვნების შაბათს და სხვ. 134

**დიკა** „გაზაფხულნათესი ხვარბალი“ (საბა). 135

**დიმიტრატ-ი** ბიზანტიური მონეტის ზედწოდება. მონეტა მოჭრილი იყო ალექსი I კომნენოსის დროს. მასზე გამოსახული იყვნენ ალექსი I და წმ. დიმიტრი. ეს უნდა იყოს გაუფასურებული სტამენონი (სამონეტო რეფორმამდე — 1092 წ.). 135

**დიმოს-ი**(δημόσιος ) გადასახადი, ბეგარა, „ვეცხლი არს სახარკო“ (საბა). 138

**დიონოს-ი** უნდა იყოს ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულება „საღმრთოთა სახელთათჳს“. 147

**დრაჰკან-ი** 1) ოქროს ფულის ერთეული. 2) ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი XI-XVI სს. ქართულ წყაროებში იწონიდა 4,55 გრამს. იმის მიხედვით, თუ რომელი მმართველის მოჭრილი იყო დრაჰკანი, იხმარებოდა ტერმინები: დრაჰკანი კონსტანტინატი (კონსტანტინე IX მონომახის მონეტა), დრაჰკანი დუკატი (კონსტანტინე X დუკას მონეტა), დრაჰკანი დუკატ-მიხაილატი (მიხეილ VII დუკას მონეტა), დრაჰკანი ჰრომანატი (რომანოზ III არგვიროსის მონეტა), დრაჰკანი ალექსატი (ალექსი I კომნენოსის მონეტები), დრაჰკანი ბოტანიატი (ნიკიფორე III ბოტანიატის მონეტა). დრაჰკანს ბერძნულში შეესაბამებოდა დინარი (τὸ δηνάριον). ქართულ წყაროებში უცხოური ფულის აღსანიშნავადაც ეს სიტყვა ემატებოდა: დრაჰკანი პერპერა, დრაჰკანი სტამენონი და სხვ. XV-XVI სს. ოქროს ფულის აღსანიშნავად ფლური (იხ.) შემოდის. 137

**დრაჰკან-ი ახალ-ი** ალექსი I კომნენოსის რეფორმის შემდეგ-

დროინდელი მონეტა (№ 76). 155

**დრაჰკან-ი ძუელ-ი** ოქროს მონეტა, მოჭრილი ალექსი I კომნენოსის რეფორმამდე (1092წ.). 171

**დრონგალ-ი** (დრუნგარი) ბიზანტიის უმაღლესი რანგის სამხედრო მოხელე, სასახლის მცველთა (biglae) კორპუსის მეთაური, დიდი დომესტიკოსის ხელქვეითი. 163

**დუკ-ი** (დუქსი, δούξ) დიდი თავადი, მთავარი, ქალაქის თავი (=კატეპანს), დუკატონის (განსაზღვრული ტერიტორიის, პროვინციის) გამგებელი. X ს-მდე დუკი იყო დიდი სამხედრო თანამდებობა. დუკი მეთაურობდა დაქირავებული მხედრებისაგან შემდგარი არმიის მნიშვნელოვან კორპუსს. XII ს-დან დუკები ეწოდებოდათ პატარა თემების მმართველებს.146

**დუკატ-ი** ოქროს მონეტა, მოჭრილი კონსტანტინე X დუკას დროს. 135. იხ. დრაჰკანი.

**დუკატ-მიხაილატ-ი** ბიზანტიური ფულის ზედწოდება მიხეილ VII დუკას მოჭრილი ოქროს მონეტის აღსანიშნავად. 146 იხ. დრაჰკანი.

**ევლოგია** (εὐλογία) შესაწირავი, შეწირულება, ძღვენი. საღვთისმსახურო წიგნებში ევლოგია ეწოდებოდა ყველაფერს, რაც ნაკურთხი იყო ეკლესიაში და ეძლეოდათ მორწმუნეებს (წყალი, ზეთი და სხვ.); ნაკურთხი სეფისკვერი, რომელიც ლიტურგიის შემდეგ უნაწილდებოდათ მორწმუნეებს. 173

**ეზო** ფარდა, ფარდაგი. „მამამან მოიგო ეზოჲ კართა ეკლესიისათჳს აბრეშუმისაჲ". 189

**ეკლესიის შვილ-ი** ეკლესია გასცემდა მიწებს თავის აზნაურ (თავისუფალ) მსახურებზე, რომელთაც „ეკლესიის შვილები" ეწოდებოდათ (მოგვიანებით „საყდრის შვილები"). ეს არის პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია კულტთან და ეკლესია-მონასტერთან, კერძოდ, მონასტრის მეურნეობასთან. 172

**ეპარხოზ-ი** (ἔπαρχος) დიდი მთავარი, მმართველი, პრეფექტი. ეპარხოზი ქალაქისა იყო უზენაესი მოსამართლე, რომელსაც ჰქონდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქცია. მისი გადაწყვეტილებების გაუქმება მხოლოდ იმპერატორს შეეძლო. ის განაგებდა საქალაქო ადმინისტრაციას, პოლიციას, კომერციის კონტროლს, უცხოელებს და სხვ. ეპარხოზი თემისა იყო პროვინციულ-ადმინისტრაციული ძირითადი ერთეულის პრეფექტი, მმართველი და სხვ. 140

**ეპისტატ-ი** (ἐπιστάτης) „მუშაკთ თავსმდეგი (უხუცესი)" (საბა),

მონასტერში მუშათა ზედამხედველი. 160

**ესრე სახედ** ამგვარად, ამნაირად. 181

**ექსაგ-ი** (ἑξάγιον) წონის ერთეული, რომელიც უდრის უნციის (=28,3 გრ.) მეექვსედს და ბიზანტიური ლიტრის 1/72-ედს. 165

**ექსამიტონ-ი** (ἑξάμιτος) ქსოვილი, ნაქსოვი ექვსწვერა ძაფისაგან. 165

**ექუსთავ-ი** ზედწოდება ექვსგამოსახულებიანი მონეტისა, რომელიც მოჭრილია მხოლოდ რომანოზ IV დიოგენის დროს (1068-1071). მონეტაზე გამოსახულნი არიან: შუბლზე – იესო ქრისტე, რომანოზ IV, ევდოკია, ხოლო ზურგზე – ევდოკიას ვაჟები: მიხეილ, ანდრონიკე, კონსტანტინე. შდრ. ტრიკეფალი ანუ სამთავი. 163

**ვოტანიატ-ი** 141 იხ. ბოტანოტი (ბოტანიატი).

**ზეგარდამო-ლოცვა** იხ. კურექსი ზეგარდამოჲ.

**ზნეუკლებ-ი** ზნესრული. 184

**ზოლო** (ძოლო) ხალიჩა, ფარდაგი, ნოხი. 177

**ზღუდე** გარს შემოვლებული სიმაგრე. „ესე არს ყოვლი სიმრგვლითი შემოვლებული, რაჲც რაჲვე იყო გარმონავლები ქალაქთა, დაბათა, სახლთა, წალკოტთა, სათვალეთა, გინა თვალთა პატიოსანთა" (საბა). 145

**თანაწამება** დამოწმება, დადასტურება. 144

**თეთრ-ი** ვერცხლის ფულის სახელწოდება, განსხვავებით ოქროს ფულისა (წითელი) და სპილენძის ფულისაგან (შავი). 187

**თემ-ი** (θέμα) ბიზანტიის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული. X ს-ში არსებობდა 26 თემი, რომელთა სათავეშიც სტრატეგები იდგნენ (მაკედონიის, ხარსიანის, თესალონიკის, არმენიაკის და სხვ.). 185

**თეოდორიტე** თეოდორიტე კვირელის ერთ-ერთი თხზულება: „აღსარებაჲ მართლისა და უბიწოჲსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ", „ღმრთისმოყუარებითი თხრობაჲ, გინათუ მოღუაწეთა მოქალაქობაჲ", ან „თარგმანებაჲ მოქეადს, ზაქარიას, ამბაკუმის და სოფონიას წინასწარმეტყულებათა". 147

**თესლ-ი** მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მარცვლეულისაგან დამზადებული საჭმელი. „აღაპი... აღესრულებოდნენ ყოვლითა გულსმოდგინებითა წესისაებრ: პანაშჳდითა, ანაფორაჲთა, პიტითა, თესლითა და ჟამისწირვითა". 150

**იპაკო** (ὑπακοή) გალობა, ბიბლიური ან პოეტური სტროფი,

რომელიც სრულდება ანტიფონების წინ და ცხრაოდიანი საგალობლის მესამე გალობის შემდეგ. 134

**იკონომოს-ი** (οἰκονόμος) ეკონომი, სასულიერო პირი, რომელიც წარმართავს მონასტრის მთავარ სამეურნეო საქმეებს (ქონების, შემოსავლის ხარჯებს). იკონომოსი კელართან და მამასახლისთან ერთად განაგებდა წისქვილის, აფთიაქის, ბოსტნის და სხვ. საქმეებს. ცალკე იგი განაგებდა სახარაზოს, ვენახს, მენავეებს, სამჭედლოს, ხუროებს და სხვ. 159

**ინდიკტიონ-ი** (Ἰνδικτιών) 532-წლიანი ან 15-წლიანი მოქცევა. 174

**იპიტრიტ-ი** (ἐπιτηρήτης) ბერების მეთვალყურე მონასტერში, დამხედვარი, დისციპლინის დამცველი. 190

**კანანახ-ი** (კანანარხი, κανονάρχης) გალობის (კანონის) დამწყები, ე. ი. პირი, რომელიც იწყებდა საგალობლის პირველ მუხლს და მიუთითებდა აგრეთვე, რომელ ხმაზე უნდა შესრულებულიყო გალობა. აქედან არის „კანანახება“ და „კარნახი“. 142

**კანაფ-ი** მაღალი, ბოჭკოვანი მცენარე, ექუსუნჯი. 183

**კანდელ-ი** (κανδῆλα) ზეთის სანათური. 190

**კელინ-ი** (κελλίον) სენაკი, ბერის საცხოვრებელი ოთახი. 136

**კერას-ი** „წყრილი სანთელი“ (საბა). 189

**კიდეგნად** განაპირას, ცალკე. 157

**კირიელეისონ** (Κύριε, ἐλέησον) უფალო, შეგვიწყალე. ეს არის ძველი აღთქმის წიგნებიდან (ესაია 33,2; ბარუქი 3,1) ნასესხები მოკლე ლოცვითი შეძახილი. 134

**კოლიო** მოხარშული ხორბალი, თაფლით, ნუშით და ქიშმიშით შეზავებული, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. 185

**კონომ-ი** იხ. იკონომოსი .

**კონომოს-ი** იხ. იკონომოსი.

**კრასოვულ-ი** (კრასოოლი, კრასაული, კრასეული, κρασοβόλιον) სითხის მომცრო საწყაო, კათხა, ღვინის სასმისი. მონასტრებში ბერებს ღვინო სადილისა და სერობის დროს კრასოვულებით მიეცემოდათ. 134

**კრიტის-ი** (κριτής) მოსამართლე. 161

**კუერექს-ი** (ბერძნული სიტყვა κῆρυξ ნიშნავს ქადაგს, მაცნეს). ქადაგის ანუ დიაკვნის წარმოთქმული ქადაგება-ვედრებების შემცველ ლოცვათა ერთობლიობა. კვერექსი ყველა ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილია. მისი სახეებია: დიდი და მცირე ანუ მშვიდობიანი, მოგუადლენთაჲ, ზეგარდამო ანუ მრჩობლი, შეგვიწყალენისაჲ, კათოლიკე, წმიდაო ღმერთოჲსა, შესუენებულთა, წყლის კურთხევისა, კათაკმეველთა. 134

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**კუერექს-ი** ზეგარდამო იხ. კუერექსი

**კუერექს-ი** კათოლიკე იხ. კუერექსი

**კუერექს-ი** შეგუიწყალენისა იხ. კუერექსი

**კუმაშ-ი** ძვირფასი ქსოვილი, ნაქსოვი. 147

**კურალესონ** იხ. კირიელეისონ

**კურაპალატ-ი** (κουροπαλάτης) ბიზანტიური ერთ-ერთი უმაღლესი წოდება და თანამდებობა – სასახლის დაცვის უფროსობა. მოხსენებულია 18 უმაღლეს წოდებათა ნუსხაში მესამე ადგილას კეისრისა და ნოველისიმოსის შემდეგ. კურაპალატობას თავდაპირველად ანიჭებდნენ იმპერატორის ოჯახის წევრებს, ხშირად ტახტის მემკვიდრეებს. IX ს-დან უცხოელი ხელისუფლებიც და ბიზანტიელებიც კურაპალატობას გარკვეული დამსახურებისათვის იღებდნენ. XI-XII ს.ს. იგი თანდათან ჰკარგავს მნიშვნელობას, XIII-XIV ს.ს.-ში მეორეხარისხოვან ტიტულად იქცევა, ხოლო XVს-ში აღარ იხსენიება.. კურაპალატის ტიტული IX ს-დან ენიჭებოდათ ტაო-კლარჯეთის, შემდეგ ერთიანი საქართველოს მეფე-მთავრებს (აშოტ I, ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II). დავით აღმაშენებელმა უარი თქვა ბიზანტიურ ტიტულზე და მას შემდეგ იგი ქართველ მეფეებს აღარ უტარებიათ. 151

**კურთხევან-ი** კურთხევათა შემცველი საეკლესიო წიგნი, რომლის მიხედვითაც სრულდება: ნათლობა, ჯვრისწერა, მიცვალებულის წესის აგება, ანდერძი და სხვ. 141

**კჳრიაჰ ძალ-ი** კვირაძალი, კვირა დღის წინა საღამო, შაბათი საღამო. 189

**ლავსაიკონ-ი** პალადი ჰელენოპოლელის თხზულება. 147

**ლაკუა** წყლისსაცავი, აუზი, ჭა, „ჯურღმული ნაგები" ( საბა). 174

**ლაფანნ-ი** ბეწვეულის საფენი. 183

**ლიტანიისა** სტიქარონი, რომელიც სრულდება ლიტანიის დროს (ლიტანია (λιτανεία),- სავედრებელი ლოცვა, რომელსაც კითხულობს მღვდელმსახური ან რომელსაც გალობენ მორწმუნენი საეკლესიო პროცესიების დროს, როდესაც გარს უვლიან ტაძარს). 134

**ლიტრა** (λίτρα, libra) ბიზანტიური წონის (სითხისა და ფულის) საწყაო. იგი უდრიდა დაახლ. გირვანქას. ლიტრა იქცა სამონეტო სისტემის საფუძვლად: 1 ლიტრა ოქროსი = 72 დრაჰკანს ან ექსაგიონს = 12 უნციას. ძველი (რომაული) ლიტრა = 327,45 გრ; არაბული ლიტრა=449,28 გრ. 138

**ლოცვა** ზეგარდამო იხ. კუერექსი.

**მაგისტროს-ი** (μαγιστρος) – ბიზანტიური მაღალი რანგის წოდება. მას ეკავა ადგილი ანთვიპატის შემდეგ. XI ს. დასაწყისისათვის არსებობდა 12 მაგისტროსი, შემდეგ მათმა რიცხვმა მიაღწია 24-ს. XII ს. შუახანებში ეს ტერმინი ქრება. 154

**მამა** აქ: მონასტრის წინამძღვარი. 188

**მამასახლის-ი** მონასტრის წინამძღვარი, მამა. „ერთისა მონასტრისა კრებულის უფროსსა ეწოდების წინამძღვარი, ხოლო შვიდთა და რვათა მონასტრის წინამძღუართა ზედამდეგსა, რათა იგი განაგებდეს – მამასახლისი“ (საბა). 148

**მამობა** მონასტრის წინამძღვრობა. 182

**მანგლავიტ-ი** (μαγγλαβίτης) მანგლაბიონის (საიმპერატორო პირადი დაცვა ჰეტაირეასთან ერთად) წევრი. მანგლავიტები შეიარაღებულნი იყვნენ ხმლებით, ხელკეტებით და ცულებით. წყაროებში ჩანან VIII ს. ბოლოდან და ქრებიან XI ს. ბოლოს. 153

**მაცილობელ-ი** მოცილე, მოწინააღმდეგე, ცილობის მოსურნე. 190

**მაწუევლობა** იძულება, გამოწვევა. 179

**მემსგეფსე** ხუცესი, რომელიც მსგეფსზე ასრულებს ჟამისწირვას. 177

**მემკრე-ნ-ი** ერთ-ერთ (მარჯვენა ან მარცხენა) მკარეს (კლიროსზე) მდგარი ხუცესთა ჯგუფი. 190

**მერტიკონ-ი** „აღაპად... აღესრულებოდენ დაუკლებელად ანაფორაჲთა, პანაშჳდითა და ჟამისწირვითა, მერტიკონითა“. 145

**მესენაკე** სენაკში მცხოვრები ბერი. ბერების უმრავლესობა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ზოგ ბერს კი ცალკე სენაკი ჰქონდა და მოწაფეებიც ჰყავდა. 185

**მესნეულე** სასნეულოს უფროსი, გამგე. 176

**მესულე** (ἐπίτροπος) „სარწმუნო კაცი“, რომელიც ზრუნავს „ყოველსა, რაჲცა რაჲ იყოს სასულე გარეთ შემოსრული ანუ შინა ძმათაჲ, და არა იყოს მაცილობელ მათდა“, ე. ი. მონასტრის ძმათა ყოველგვარ სულიერ საჭიროებაზე მზრუნველი. 190

**მეტაფრას-ი** (μετάφρασις) აგიოგრაფიული მწერლობის ჟანრი, რომელიც გულისხმობს ადრინდელ ვერსიებთან შედარებით შეცვლილ – მოკაზმულ, გავრცობილ, პერიფრაზირებულ თხზულებებს. ასე ეწოდება წიგნს, რომელიც შეიცავს კალენდარზე გაწყობილ წმინდანთა გავრცობილ-მოკაზმულ წამება-ცხოვრებებს. 135

**მეტოქ-ი** (μετόχιον) მონასტრის დაქვემდებარებული, სხვაგან მდებარე ეკლესია ადგილ-მამულით. 188

**მეტრა** საწყაო სითხისა და მარცვლეულისა. შეიცავს 15 ლიტრას. 183

**მიწყალე** ფსალმუნი 50,3. 134

**მიჭირვებულობა** შეწუხება, გაჭირვება. 180

**მიხაილატ-ი** (μιχάηλατον) მიხეილ VII დუკას მოჭრილი ფულის ზედწოდება. 160 იხ. დუკატ-მიხაილატი, დრაჰკანი.

**მიკდა** მიგება, მიზღვა. 182

**მოგება** შეძენა, შოვნა.

**მოგებულ-ი** შეძენილი, ნაშოვნი. 141

**მოდ-ი** (μόδιος) სითხისა და მარცვლეულის საწყაო, რომელიც უდრის $8\ ^{3}/_{4}$ ლიტრას. 135

**მოიკსენენ, უფალო, [დავით]** ფსალმუნი 131, 1-2. 134

**მომატყუებელ-ი** მომწევნელი, შემამთხვეველი, მომზიდველი. 180

**მორჩილ-ი** მონასტრის ან ეკლესიის მსახური. 176

**მოურნე** მომვლელი, მზრუნველი, მნე. 173

**მრგულივ** გარშემო, ირგვლივ. 188

**მსახურეულ-ი** ნამსახური. 176

**მუტრუკ-ი** ვირის ჩოჩორი. 174

**მწუხრ-ი** საღამოს ღვთისმსახურება, რომლითაც იწყება საეკლესიო მსახურების სადღეღამისო ციკლი (შემდეგი დღისთვის). 136

**ნავ-ი** 1) წყლის ტრანსპორტის საერთო სახელწოდება. 2) ხომალდი, გემი, ნავი. 183

**ნაპიღოს-ი** (ναυπήγος) ნავების მკეთებელი, გემთმშენებელი. 136

**ნაცვლის-გება** სამაგიეროს მიზღვა. 180

**ნეტარარიან-ნ-ი** (μακάριοι) ფსალმუნის მე-17 კანონი (ფსალ. 118), რომელიც ამ სიტყვებით იწყება. მათ წინ უძღვის ცხრა მუხლი სახარების (მათე 5,3-12) ნეტარებათა შესახებ. 134

**ნოტარ-ი** (νοτάριος) სეკრეტონებში (იხ.) მომსახურე მდივნები, მწერლები, რომლებიც ადგენდნენ დოკუმენტებს და ინახავდნენ საანგარიშო-საალრიცხვო დავთრებს. 152

**ოთმანურ-ი** ქართულ წყაროებში (XV-XVI სს.) მოხსენიებული ოსმალური (თურქ.) მონეტების აღმნიშვნელი ტერმინი. წყაროებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ოთმანურ თეთრს (ახჩა) და ოთმანურ ფლურს ( ალთუნი). 187

**ორხაო** (ორხოვა) ხაოიანი საფენი, საგებელი. 177

**ოქრობეჭდ-ი** (χρυσόβουλλον) იმპერატორის ოქროსბეჭდიანი სიგელი. 152

**ოღროფ** სახელწოდება ხისა, რომელსაც ხმარობენ თრიმვლის, ცხოველის ტყავის დამუშავების პროცესში. „მიითუალნა... საკონმოსოჲ ჭურჭლითა სამესითოჲთა და კანაფითა, ფისითა, ოღროფ და რკინითა ჭედილითა და უჭედელითა“. 183

**პავლე განთჳსული** პავლე მოციქულის ეპისტოლენი (ახალი აღთქმის სხვა წიგნების გარეშე). 139

**პანაგია** (παναγία) 1) აქ: ყოვლად წმინდა კარის ღვთისმშობლის ხატი. 2) მღვდელმთავრის გულზე სატარებელი ღვთისმშობლის პატარა ხატი.190

**პანაშჳდ-ი** (πάννυχις) საეკლესიო მღვდელმსახურება მიცვალებულისათვის, სრულდება მიცვალებულის დაკრძალვამდე და დაკრძალვის შემდეგ. 135

**პარაკლის-ი** (παράκλησις) საეკლესიო მღვდელმსახურება, სავედრებელი ან სამადლობელო ლოცვა მრევლისათვის. პარაკლისის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ტროპარი, ძლისპირები ტროპარებით, სახარება, კვერექსები და განტევება.181

**პარაკლიტონ-ი** (παρακλητικόν) რვა ხმაზე გაწყობილი კვირის სადაგი დღეების(ორშაბათი-შაბათი) საგალობელთა კრებული. 171

**პატიჟ-ი** შეწუხება, გაწვალება. 190

**პერპერა** (ὑπέρπυρον, perperum) ბიზანტიური ოქროს მონეტა. მისი ემისია უკავშირდება ალექსი I კომნენოსის სამონეტო რეფორმას (1092). 137

**პერპერატ-ი** იხ. პერპერა.165

**პირ-ი** პირობა. „პირად ითქმის პირობის მიცემა“. (საბა). 164

**პირღო, პირღოს-ი** (πύργωσις) გოდოლი, სვეტი, მაღალი კოშკი (ზოგჯერ ზღუდე-გალავნით). 186

**პიტ-ი** აღაპის განგების ერთ-ერთი ელემენტი. გარდაცვლილ, გაღმერთებულ წინაპართა ნეშტი (ძვლები, თმაა, ფერფლი); პიტარების (ძვ. ინდ. Pitarah, „მამები“) კულტი დიდ როლს ასრულებდა დაკრძალვის რიტუალში, რაც დაკავშირებული იყო სიკვდილის ღმერთ იამასთან. „აღაპი... აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა წესისაებრ: პანაშჳდითა, ანაფორაჲთა, პიტითა, თესლითა და ქამისწირვითა“. 150

**პორტაიტისა** (პორტაიტისა) ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონის

ქართველთა მონასტრის კარის ეკლესიაში. 186

**პრასტინ-ი** (προάστειον) გარე ადგილსამყოფელი, მამული, მიწის ნაკვეთი დაუსახლებელ ადგილას. 152

**პროიდროს-ი** პროედროსი (πρόεδρος) ბიზანტიური საერო წოდება, დაწესებული ნიკიფორე II ფოკას მიერ. XI ს-დან ჩნდება აგრეთვე პროედროსის საეკლესიო წოდება. 164

**პრონოიტრ-ი** მამულის, ქონების ზედამხედველი, მმართველი. 140

**პროტ-ი** (πρῶτος) ათონის მთის მონასტერთა სათავეში მდგომი არქიმანდრიტი, პროტატონის მეთაური. 165

**პროტონოტარ-ი** (πρωτονοτάριος) სეკრეტონებში მომსახურე მდივანთუხუცესი. 188

**პროტოსევასტოს-ი** (πρωτοσέβαστος) უპირველესი სევასტოსთა შორის. 173

**პროტოსინგელოზ-ი** (πρωτοσύγγελος) უპირველესი სვინგელოზთა შორის. 144

**პროტოსპათარ-ი** (πρωτοσπαθάριος) სპათარების მეთაური. სპათარები შეადგენდნენ საიმპერატორო დაცვის ნაწილს. პროტოსპათარი მოხსენიებულია 18 მაღალი წოდების ნუსხაში მეთერთმეტე ადგილას. X ს.-ში პროტოსპათარები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: 1) წვეროსნებად და 2) საჭურისებად. 153

**პროტოხარაგ-ი, პროტოხარატი** (πρωτοχάραγος) ალექსი I კომნენოსის რეფორმის შემდეგ პირველმოჭრილი მონეტა. 152

**პურსყიდულ-ი** ხუცესი, რომელსაც მსგეფსზე წირვისათვის ეძლევა შეწირულებიდან პურის სყიდვის საფასური. „პირველად ხუცესი დავაყენეთ ჟამისმწირველად ლიტრითა ერთითა პურსყიდული, რაჲთა ყოველსა მსგეფსსა შინა ბ დღესა ჟამსა წირვიდეს მისთჳს". 149

**ჟამისწირვა** ლიტურგია, უსისხლო მსხვერპლშეწირვა. 136

**რაჲ** ყოველი. „რაჲ წელიწად". 151

**რომელი დამკჳდრებულ არს** ფსალმუნი 90,1. 134

**რუდუნება** „გარჯილი შრომა" (საბა). 189

**რჩ** რჩევა; „სარჩელი, სარჩევლა" (საბა), „მას ჟამსა, ოდეს კონდოსტეფანე სოფელთა გუერჩოდა კოსტანტიპოვლეს". 136

**საბურავ-ი** სახურავი. 149

**საგებელ-ი** ქვეშაგები, ლოგინი, საწოლი. 183

**სადაყუდებულო** (ἡσυχαστήριον) მარტომყოფი ბერ-მონაზვნის სამყოფელი, სოხასტერი. 185

**სადიაკონო** (διακόνικον) საკურთხევლის მარჯვენა მხარეს (სამხრეთ ნაწილში) მდებარე სათავსო, სადაც ინახება წმინდა ჭურჭელი, წიგნები, სამოსელი და ღვთისმსახურებისათვის საჭირო სხვა ნივთები. აქ იკრიბებიან სასულიერო პირები ღვთისმსახურების დაწყების წინ და იმოსებიან. ამ ნივთების შენახვა-დაცვა დიაკვნებს ევალებათ. 190

**სადოშიარო** საგანძურთსაცავი, დოშიარის ადგილსამყოფელი მონასტერში. 183 შდრ. ხანბაშური.

**სადღესასწაულო** საეკლესიო წიგნი დღესასწაულებზე გაწყობილი საკითხავებით, საგალობლებითა და ლოცვებით. 147

**საენიკო სახლ-ი** (ἐνοίκιον) 1) სახლის იჯარა. 2) იჯარით გასაცემი ოთახი, გასაქირავებელი ბინა. 188

**სავაჟინე, სავაჟინრო** (βαγένι) ვაჟინის დასამზადებელი ადგილი, მარანი (ვაჟინა – შაქრითა და თაფლით შეზავებული წყალი და ხილის წვენი). 183

**სათუეო** თუენი, საგალობელთა კრებული (კალენდარზე გაწყობილი). 135

**სათუეო-ნ-ი ათორმეტთა თუეთანი** მთელი წლის (თორმეტი თვის) კალენდარზე გაწყობილი საგალობლების კრებული. 141

**საკონომოსო (საიკონომოსო)** იკონომოსის სამეურნეო სათავსო. 183

**სამარადისო ლოცვა** სადაგი დღეებისათვის განკუთვნილი ყოველდღიური ლოცვა. 185

**სამესითო** ჭურჭელი სამესითო. უნდა იყოს გასაქირავებელი ჭურჭელი. 183

**სამხრად** 1) ჟამისწირვის შესრულების დრო. 2) პურის ჭამა ნაშუადღევს, სადილსა და ვახშამს შორის. 134

**სანავტიკო** მისაბმელი, საბარგო მოწყობილობა ნავტიკისა (ნავტიკო-ტიკებზე გამართული მცირე ტივი). 183

**სარეკელ-ი** ხის ფიცარი, რომელზედაც სცემდნენ ხისავე ძელს ხმის გამოსაცემად. იყენებდნენ ლოცვაზე მისაწვევად. 190

**სართულ-ი** სახურავი. 184

**სასნეულო** (ξενών) სნეულთა სამყოფელი (საავადმყოფო). 142

**სასოება** იმედი, მინდობა, იმედიანობა. „იმედნეულობა“ (საბა). 150

**სასულე** ყველაფერი, რაც ეხება ადამიანის სულიერ სამყაროს, სულიერ საჭიროებას. 190 იხ. მესულე.

**საურავ-ი** საზრუნავი, საწუხარი, ზრუნვის საგანი.138

**საუძლურე** ინვალიდების, დაუძლურებულთა და სნეულთა სახლი.186

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფასე** ქონება, ფული. 147

**საფქველე (საფქვილე)** ფქვილის შესანახი ადგილი. 183

**საქონელ-ი** ქონება. 136

**საყოფინელ-ი** სამყოფი, საკმარისი, საკმაო. 183

**საჭირო** ძნელი, რთული. „საჭირო იყვნეს საძებნელად". 191

**სახელის მოდგამობა** სახელის მოზიარეობა, თანამოსახელეობა. 179

**სახიერ-ი** კეთილი, კეთილმოქმედი, სიკეთის მქმნელი. 179

**სახიერება** სიკეთე, სიკეთის ქმნა. 179

**სახუარბლე** ხორბლის შესანახი ადგილი, ბეღელი. 183

**საკმარ-ი** ქონება, სახსარი. 136

**სევასტოს-ი** (σεβαστός) ბიზანტიური სამოხელეო ტიტული. მნიშვნელობით იგი უდრიდა ლათინურ ავგუსტუსს. ალექსი I კომნენოსის დროს ბიზანტიაში შეიქმნა ახალი სისტემა წოდებებისა, დაფუძნებული სევასტოსის წოდებაზე (სევასტოკრატორი, პანიპერსევასტოსი, პროტოსევასტოსი და სხვ.). 169

**სერობა** 1) ვახშმობა, „მიმწუხრის საზრდელი" (საბა). 2) ლოცვათა ყოველდღიური უკანასკნელი მსახურება, რომელიც სრულდება ვახშმის შემდეგ. 134

**სეფე** იხ. სეფისკუერი.

**სეფისკუერ-ი** (προσφορά) „ეწოდების ეკლესიასა შინა შესაწირავსა პურსა, რომელსა ზედაცა აღესრულების საღვთო ლიტურღია" (ნ. ჩუბ.). 173

**სეფისკუერის აღმოკუეთა** ჟამისწირვის დაწყების წინ სეფისკვერის დაჭრა ანუ შესაწირავის შემზადება დადგენილი წესის მიხედვით.179

**სეკრეტონ-ი** (სეკრეტონი) (σήκρετον, σέκρετον) 1) ბიზანტიის ცენტრალური მმართველობის დეპარტამენტები, რომლებიც შეესაბამებოდა თანამედროვე სამინისტროებს. სეკრეტონებში მსახურობდნენ ხელფასზე მომუშავე მდივნები ანუ ნოტარები (ασηκρῆτις, νοτάριος, υπογραμματεύς). ყოველი სეკრეტონი განაგებდა მმართველობის ცალკეული დარგის საქმეებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სეკრეტონი იყო პროტოასიკრიტისა., იმპერატორის საკუთარი კანცელარია, რომელიც მას ახლდა ლაშქრობის დროსაც. დრომის ლოღოთეტისა ს. განაგებდა სახელმწიფო ფოსტას, იმპერატორის დადგენილებათა დაგზავნას, უცხოელ ელჩთა წარდგენას და ა. შ. ფინანსური სეკრეტონებიდან დიდი საკელარის სეკრეტონი უზენაეს მეთვალყურეობას ახორციელებდა ყველა ფინანსურ სეკრეტონზე. შემდეგი იყო საერთო

საქმეთა ლოღოთეტის სეკრეტონი ანუ ფინანსთა მინისტრის სეკრეტონი. სამხედრო ლოღოთეტის სეკრეტონი განაგებდა არმიისა და ფლოტის შენახვის ხარჯებს. სამეფო საკელარის სეკრეტონი განაგებდა საიმპერატორო ხაზინის საქმეებს. სამონასტრო ეკონომიკის სეკრეტონი ეკონომოსის ხელმძღვანელობით განაგებდა სამეფო მონასტრებს და ღვთის სათნო დაწესებულებებს. კერძო ანუ პრივატულ საქმეთა სეკრეტონი განაგებდა იმპერატორის ქონებას.

2) სეკრეტონი ნიშნავდა აგრეთვე პატრიარქის სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებები აპელაციას არ ექვემდებარებოდა. „აღმოკოცეს მისოლიმნი სიკრიტონისაგან". 170

**სიმიომა** (σεμείωμα) სასამართლოს განაჩენი, წერილობითი მოხსენება იურიდიული გადაწყვეტილების შესახებ, ვერდიქტი ანუ ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება. 188

**სიმტკიცე** სიგელი, რომელსაც მბოძებელის ხელით აწერია: „მტკიცე არს", „დაგვმტკიცებიეს" ან „ვამტკიცებ". 169

**სკარამანგ-ი** (σκαραμάγκιον) მოსასხამი, გრძელი და ფართო სახელოებიანი, ქამარშემორტყმული, წინ ჩახსნილი სამოსელი. 154

**სკუტელ-ი** (σκουτέλλιον) ლანგარი, სინი, თეფში. 161

**სოლიმნ-ი** (σολέμνιον) ბიზანტიის იმპერატორის მიერ ეკლესიის ან მონასტრისთვის მიცემული ყოველწლიური საზოძვარი. 138

**სოხასტერ-ი** (ἡσυχαστήριον) სადაყუდებულო, განდეგილი ბერის ადგილსამყოფელი. 134

**სტავრა** სირმის ნაქსოვი, ფარჩა. 149

**სტავროვოტანატ-ი** ზედწოდება ბიზანტიური მონეტისა, რომელიც მოჭრილია ნიკიფორე III ბოტანიატის დროს: მონეტაზე გამოსახული იმპერატორის სკიპტრას ჯვარის (σταυρός) ფორმა ჰქონდა. 166 იხ. ბოტანოტი.

**სტამენონ-ი** (ἱστάμενον, stamenon) XI ს. ბიზანტიური სრული წონის (სტანდარტის) ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ტეტარტერონისაგან (სუბსტანდარტისაგან) განსხვავებით. შექმნილია ნიკიფორე II ფოკას (963-979) დროს. მიხეილ IV-ის (1034-1041) დროიდან სტამენონი თანდათან უფასურდება და ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) დროს მისი ღირებულება თავდაპირველი 24-კარატიდან 8 კარატამდე ეცემა. მიხეილ IV-ის დროიდან სტამენონს მიეცა ჩაღრმავებული ფორმა ბრტყელი ფორმის ტეტარტერონისაგან განსხვავებით. 141

**სტიქარონ-ი** (στιχηρόν) მცირე ფორმის პოეტური საგალობელი მწუხრისა და ცისკრის ღვთისმსახურებაში. იგი სრულდება ფსალმუნების ან ბიბლიური საკითხავების შემდეგ. სტიქარონებს განასხვავებენ გამოყენების მიხედვით: 1) სტიქარონი, რომელიც 140-ე ფსალმუნის შემდეგ სრულდება მწუხრზე– „უფალო, ღაღადყავსა“. 2) სტიქარონი, რომელიც სრულდება „აქებდით“ ფსალმუნთა შემდეგ–„აქებდითსა“. 3) სტიქარონი, რომელიც სრულდება დღესასწაულზე ფსალმუნის ან ბიბლიური საკითხავის შემდეგ ცისკრად–„აღვივსენითსა“. 4) სტიქარონი, რომელიც სრულდება მწუხრზე – „სტიქარონი“. 134.

**სჳნაქსარ-ი** (συναξάριον) კალენდარზე გაწყობილი წმინდანთა მოკლე წამება–ცხოვრებების შემცველი წიგნი. 187

**სჳნგელოზ-ი**(σύγκελλον) 1) პატრიარქის მრჩეველი და თანაშემწე სასულიერო პირი, რომელიც ცხოვრობდა პატრიარქთან ერთად, ინაწილებდა მის რეზიდენციას. 2) ბიზანტიური ტიტული. 134

**სხოლე** (σχολή) ბიზანტიის იმპერატორის სასახლის დაცვა. 163

**ტარტარონ-ი**(τετάρτερον, tartaros) სახელწოდება ორი სრულიად განსხვავებული მონეტისა: 1) მსუბუქი წონის ოქროს მონეტა, რომელიც მოჭრილია ნიკიფორე II ფოკას (963-979) დროს და მიმოქცევაში იყო 1092 წლამდე. 2) სპილენძის მონეტა, რომელიც მიმოქცევაში იყო 1092 წლიდან XIII ს. II ნახევრამდე. იგი დაკავშირებულია კომნენების პერიოდთან. ოქროს ტარტარონი სტამენონისაგან განსხვავდებოდა ზომით, ფორმით და წონით. 143

**ტრაპეზ-ი** (τράπεζα) 1) სუფრა, ტაბლა. მონასტერში ადგილი, სადაც იკრიბებიან საძმოს წევრები და „სადაცა დაეგების ძმათათჳს ტაბლა და მიიღებენ საზრდელსა“ (ნ. ჩუბ.) 2) საკურთხევლის მაგიდა, რომელზეც სრულდება ჟამისწირვა. 134

**ტრაპეზარ-ი** მეტრაპეზე, სასადილოს გამგე მონასტერში. 176

**ტრიკეფალ-ი** (ტრიაკეფალი, ტრიანკეფალი, τρικέφαλον) ბიზანტიური მონეტის ზედწოდება. მოჭრილია იოანე II კომნენოსის (1118-1143) დროს. აღნიშნავს როგორც მონეტა ელექტრუმს, ასევე პერპერას. ალექსი I კომნენოსის პერპერისაგან განსხვავებით, რომელზედაც გამოსახული იყვნენ მხოლოდ იესო ქრისტე და იმპერატორი, ტრიკეფალზე გამოსახული იყვნენ იესო ქრისტე, ღვთისმშობელი და იმპერატორი. აქედან არის სახელწოდება ტრიკეფალი ანუ სამთავი. ტრიკეფალ ელექტრუმზე კი გამოსახული იყვნენ იესო ქრისტე, იმპერატორი და წმ. გიორგი. 169 შდრ. ექუსთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტყუვ-ი** ტყვია. 188

**უდებ-ი** ზარმაცი, მცონარი. 142

**უდებ-ყოფა** დაზარება, ზარმაცობა, მცონარება. 189

**უკუმოგება** დაბრუნება, უკან მიცემა. 180

**უნდო** გამოუსადეგარი, უვარგისი, უხეირო, „არად საკმარი“ (საბა). 191

**ურგა** წუხილი, ზრუნვა, მოვლა. 167

**უფალო ღაღადყავი** იხ. სტიქარონი.

**უქცეველობა** შეურყევლობა, უცვლელობა. 181

**ფარჩ-ი** 1) ქსოვილი. 2) ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი. 180

**ფეშხუმ-ი**(ფეხუშემი!)(δίσκος) თეფში სიწმინდის დასასვენებლად, რომელიც უსისხლო მსხვერპლშეწირვის დროს იხმარება. 165

**ფლურ-ი** ოქროს (მოგვიანებით ვერცხლისაც) მონეტა, უდრიდა 6 ან 7 აბაზნახევარს, წონით 4 გრამს. 187. შდრ. დრაჰკანი.

**ქენება** ხვეწნა, მუდარა, ვედრება. 189

**ქიანატ-ი, ქინატ-ი** (χιάτον, χιάτα) უნდა იყოს ბიზანტიური მონეტის, პერპერას, ზედწოდება. ჩნდება ალექსი I კომნენოსის სამონეტო რეფორმის (1092 წ.) შემდეგ. 145

**ღაღადყავსა** ცხრაოდიანი საგალობლის მეექვსე გალობა. 134

**ღმერთ-ი უფალ-ი** (Θεὸς Κύριος) ფსალმუნის მუხლი (117, 27): „ღმერთი უფალი და გამოგჳჩნდა ჩუენ“, რომელსაც გალობენ ცისკრად. 134

**ღუწა** მოღვაწეობა, ღვაწლის დადება, სწრაფვა. 179

**ყურსალ-ი** კორსარი, ზღვის ყაჩაღი. 175

**შეგჳწყალენ** [ჩუენ, ღმერთო] ამ სიტყვებით იწყება კვერექსი ზეგარდამო. 185

**შედეგ-ი** მომდევნო, მომყოლი, ის, რაც მოსდევს რასმე. 183

**ჩუენთანაარს-ი** (μεθ᾽ ἡμῶν) გალობა „ჩუენ თანა არს ღმერთი“ (ესაია 8,9). 134

**ცისკარ-ი**(ὄρθρος) დილის ღვთისმსახურება, სრულდება გამთენიის ხანს. 134

**ძმა** მონასტრის საკრებულოს წევრი. 139

**წაგება** (წარგება) დახარჯვა, გაცემა, ბოძება. 148

**წარდგომა** (προκείμενον) ფსალმუნის მუხლი, რომელიც წინ უძღვის საკითხავს სამოციქულოდან, სახარებიდან და ძველი აღთქმიდან. 134

**წარმდებება** თავხედობა, კადნიერება. 165

**წასაგებელ-ი** ხარჯი, საფასური. 188

**წახუმულ-ი** წაღებული, აღმოფხვრილი, წართმეული, მიტაცებული. 152

**წდევა** დასხმა. 136

**წირვა ჟამისა** იხ. ჟამისწირვა.

**წმიდაო ღმერთო** საგალობელი, რომელიც სრულდება ცისკრად და მწუხრზე: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგვწყალენ ჩუენ“. 134

**ჭედილ-ი** ნაჭედი, გამოჭედილი, გამოკვერილი. 183

**ხანბაშურ-ი** საგანძურთსაცავის მცველი, მეგანძური. 176 შდრ. დოშიარი (იხ. სადოშიარო).

**ხარტინ-ი** (χαρτίον, χάρτης) დოკუმენტი. 155

**ხარტულარ-ი** (χαρτουλλάριος) სიკრიტონის (სამდივნოს) მუშაკი, რომელიც ადგენს წერილებით დოკუმენტებს, ინახავს და იცავს საანგარიშო წიგნებს, ჩანაწერთა დავთრებს, ხელნაწერებს, ხარტიებს. 139

**ხუცეს-მემკრე** იხ. მემკრე

**ჰბოვრედ-ი** ხბოიანი. 155

**ჰელისა ამპყრობელ-ი** შემწე, მშველელი, დამხმარე, ხელის გამმართველი. 180

**ჯუმლად** შეჯამებულად, საერთო ჯამში, ერთობლიობაში. 149

**ჰრომანატ-ი** ბიზანტიური მონეტა, მოჭრილი რომანოზ III არგვიროსის (1028-1034) დროს. 148 იხ. დრაჰკანი.

# დღესასწაულთა, პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი


აბაზ ბაკურიანისძე იხ. ბაკურიანისძე აბაზ

აბრაჰამ (მიქაელის მამა) 162

აბულასან ქუთათელი 100, 177, 258

აბუსერისძე გრიგოლ ერისთავთ-ერისთავი 74, 77,144 ,215,216

აბუჰარბ I (ჩორდვანელ I-ის ძმა, იოანე ქართველის სიმამრი) 200

აბუჰარბ II ჩორდვანელის ძე (იოანე თორნიკეს და იოანე ვარაზვაჩეს ძმა), 62,75,138,200

ათანასე (მონასტრის ძმათაგანი) 150,222

ათანასეს და კჳრილეს დღესასწაული 18.I 142,178

ათანასეს ლავრა 202, 244

ათონი 83, 88, 93, 96, 100, 101, 104, 105, 106, 116, 201, 202, 210, 213, 217, 235

აკაკი (ქართველი მონაზონი, ბაადურ ათაბაგის თანააღზრდილი) 187

ალექსი I კომნიანოსი (1081-1118) 188 ,193 ,222 ,228,229,241,251

ამალფიტიონ 97

ამაღლება 60 ,140 ,189 ,237

ამბროსი (ქაიხოსრო ათაბაგის აღზრდილი) 185 ,186 ,265

ანასტასია 159,235

ანასულლი 104, 105, 183, 264

ანნა იხ. მიცვალებაჲ ანნაჲსი

ანნა (ნიკონ ნაპილოსის დედა) 136, 195

ანოსია წმ. დღესასწაული 30. XII 177

ანტიოქია 88, 116

ანტონ ლიპარიტყოფილი 64 , 77,142, 211, 212

ანტონ ქუთათელი საღირისძე 106, 263

ანტონ წმ. დღესასწაული 17. I 142

არაბი 210

არიშიანი 149, 173, 204, 220

არკლა იოანე 53
არსენ იკონომოსი 115
არსენ თევდორაკანი 154, 227
არსენ მარდეზის ძე, თბილელი ხანბაშური 140, 176, 208, 209
არსენ მონაზონი 172, 255
არსენ მწიგნობარი 68, 72, 170, 252
არსენ ნინოწმინდელი 30, 31, 53, 72
არსენ ფარსმანყოფილი (წინამძღვარი), 60, 68, 74, 75, 77, 78, 115, 116
118, 148, 163, 213, 218, 238, 242, 243
არსენ ყივჩაყი 135, 193
არსენ შავი 135, 139, 193
არჩილ იმერეთის მეფე 121
ასურეთი 83
აფენელი (მახარებლის დედა) 136, 194
აფხასი 138
აღმოსავლეთი (აქ: საქართველო) 83
აწიანი 171,255
ბაადურ ( ბაჰადურ) ათაბაგი (ყვარყვარე ათაბაგის ძე) 186, 187, 265
ბაად მანოელ იხ. მანოელ
ბაბან 77, 137, 197
ბაგრატ IV (საქართველოს მეფე 1027-1072) 63, 67, 68 , 73, 74, 77,
138 , 158 , 159 , 199 , 203 , 208 , 216 , 226 , 227 , 232 , 233 , 234, 238
ბაგრატ 62, 75, 138, 202
ბაკურიანისძე აბაზ 77,143, 144, 163, 164, 214, 243, 244
ბაკურიანისძე გრიგოლ 77, 143, 144, 164, 214, 243, 244
ბალდუინ IV 104
ბანცუა იოანე იხ. იოანე ბანცუა
ბარბარა წმ. დღესასწაული 4.XII 135, 136
ბართლომე (მონასტრის ძმათაგანი) 168, 250
ბართლომეოს წმ. და ბარნაბა წმ. დღესასწაული 4. XII; 11.VI 156, 178

ბასილაკი (ბერძენთა მეფე, სუმბატ კურაპალატის მეუღლის, მარიამის, მამა) 151
ბასილ ბაგრატის ძე 30, 51, 55, 72
ბასილ ეპარხოზი 77, 140, 206, 207
ბასილ ვაჩეყოფილი 162, 239
ბასილი პრონოიტრი შდრ. ბასილ ეპარხოზი
ბასილ (მონასტრის ძმათაგანი) 154, 225
ბასილ ( მოკალმასე ბერი) 99, 144
ბასილწმინდა 244
ბაჰადურ იხ. ბაადურ
ბერძენი 98, 99, 227, 228, 235
ბერძენიშვილი ნიკოლოზ 3, 4, 5, 14, 20, 21, 22, 35, 105, 227, 246, 263
ბერძენოვი იოანე 13
ბეშქენ ჯაყელი 232
ბიზანტია 213
ბისონა 96, 188
ბოლბოლი( ბოლბონი, ბოლბოსი) 96, 155, 188, 203, 228
ბორანა 152, 224
ბურწი კონსტანტინე 119, 169, 251
ბუქაძე იოანე (წინამძღვარი) 85, 86, 108, 110, 118, 119, 120, 122, 144, 145, 166,169, 195, 199, 210, 211, 216, 217, 227, 239, 242, 247, 248, 249, 251, 254
გაბაშვილი ტიმოთე 13, 93, 121
გაბრიელ (ევანეზის ძმა, ნიკოლა) 60, 77, 118, 147, 218, იხ. ნიკოლა პროტოსვინგელოზი
გაბრიელ პროტი 246
გაბრიელ ხუცესი 97
გაბრიელ (იოანე სისიკონელის ძმა) 145, 216
გაბრიელ 157, 230
გაგიკ კარელი 98

გიორგი აფხაზი 233
გიორგი დაყუდებული 80, 82
გიორგი დედოფლეული 155, 228
გიორგი I დიდი (ვარაზვაჩე, წინამძღვარი) 37, 62, 63, 67, 72, 74, 77, 81, 82, 113, 114, 137, 197, 198, 246, 247, 252
გიორგი უკეთური 113, 114, 252
გიორგი II მეფე 69, 168, 221, 250
გიორგი III მეფე 102
გიორგი V წინამძღვარი 94, 124
გიორგი VI წინამძღვარი 125
გიორგი მცირე 35, 83
გიორგი დიდი იკონომოსი 183, 263
გიორგი (ვარდან კოსტანტის ძის ვაჟი) 100, 177, 232
გიორგი (იოანე სისიკონელის ძმა) 145, 216
გიორგი კოშკინა 89, 160, 194, 236
გიორგი მაგისტროსი 149, 154, 160, 221, 222, 226
გიორგი მთაწმინდელი 14, 29, 30, 31, 32, 33, 34,35, 36, 38, 40, 42, 43, 46, 53, 70, 71, 72, 73,74, 75, 76, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 98, 99, 114, 115, 116, 120, 158, 179, 198, 199, 231,234, 238
გიორგი მჭედელი 167, 249
გიორგი ოლთისარი (წინამძღვარი) 3, 12, 44, 45, 46, 71, 74, 75, 77, 116, 117, 151, 158, 204, 212, 225, 227, 231, 241, 243
გიორგი (მონასტრის ძმათაგანი) 168 , 250
გიორგი (სვიმეონ ელადას ძე) 155 , 228
გიორგი პროხორე 233
გიორგი ფოჩოლიკა 170 , 254
გიორგი ქართველი 156 , 178 , 229
გიორგი შავმთელი იხ. გიორგი დაყუდებული
გიორგი ჩორჩანელი (ფარსმანის ძმა) 60 , 63 , 68 , 74 , 75 , 78 , 115, 148, 213, 219

გიორგი ციხისჯვარელი 171 , 254 , 255
გიორგი წმ. დღესასწაული 3. XI 167 , 168
გიორგი წმ. ეკლესია 96
გიორგი ხარზანა 202
გიორგი ჭუბიელი 87 , 88 , 90 , 146 , 217 , 219
გრიგოლ აბუსერისძე იხ. აბუსერისძე გრიგოლ
გრიგოლ წინამძღვარი 15 , 23 , 37 , 39 , 42 , 47 , 68 , 71 , 72 , 76 , 114, 169 , 252, 253
გრიგოლ ბაკურიანისძე იხ. ბაკურიანისძე გრიგოლ
გრიგოლ ღმრთისმეტყველის (ნაზიანზელის) წმ. დღესასწაული 25.I 174
გრიგოლ ქობულისძე იხ. ქობულისძე გრიგოლ
გრიგოლ შაშუაძე 77 , 144 , 215 , 216
გულბუდახ (ყვარყვარე ათაბაგის ასული) 186
დადებაჲ სამოსლისაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ ვლაქერნას, დღესასწაული 3. VII 177
დავით ასური 90 , 167 , 249
დავით ვაჭარი 165 , 247
დავით თესალონიკელის წმ. დღესასწაული 26. VI 167
დავით კოჭიკა 150 , 222
დავით IV აღმაშენებელი 240
დავით ხუცესი 151 , 222
დედის იმედი (ყვარყვარე II ათაბაგის მეუღლე) 186 , 265
დემეტრე წმ. 193
დემეტრიოს ლამარე 201 , 202
დიდი ეკლესია იხ. კათოლიკონი
დიმიტრი წმ. დღესასწაული 26. X 165
დიმიტრი (მონასტრის ძმათაგანი) 168 , 250
დობროიკ 96 , 188
დოფი 245 , 125

ეგნატი წინამძღვარი 62 , 75 , 115 , 138 , 202
ეგნატი წმ. ნაწილთა მიყვანება, დღესასწაული 29. I 145
ეგნატიოს 13 , 93
ევანეზი (ნიკოლა გაბრიელყოფილის ძმა) 118 , 218
ევგენი წინამძღვარი 119 , 120 , 157 , 230
ევსტათი იკონომოსი 68 , 77 , 159 , 234
ევსტრატეთ დღესასწაული 13. XII 137
ევფიმია წმ. დღესასწაული 11. VII 173
ევფროსინე პროტოსევასტი 173 , 257
ეზრა 53
ეკატერინე წმ. დღესასწაული 24. XI 170
ეკლესია წმინდისა ღმრთისმშობლისა 142 იხ. პორტისა ყოვლად
წმინდისა ღვთისმშობლის ეკლესია
ელადა 40 , 185 , 201 , 202 , 228
ელისე ტფილელი 13 , 93
ესაია ასური 88 , 89 , 90 , 146 , 217
ეფთვიმე მთაწმინდელი 29 , 30 , 31 , 32 , 33 , 34 , 35 , 36 , 38 , 40 , 41 ,
42 , 46 , 51 , 53 , 63 , 67 , 72 , 76 , 79 , 80 , 81 , 82 , 83 , 113 ,
114 , 154 , 179 , 226
ეფთვიმე ბერი 115
ვარაზ 157 , 231
ვარდან კოსტანტის ძე 177 , 232
ვასილი წინამძღვარი 94 , 124 , 173 , 204 , 220
ვლახი 121
ზარზმა 213 , 214
ზაქარია ბერი 162 , 239
ზაქარია მირდატის ძე 68 , 72 , 170 , 246 , 247 , 251 , 252 , 253
ზაქარია 222
ზოსიმე ჰიმნოგრაფი 3 , 35 , 41 , 44 , 46 , 49 , 52
თამარ მეფე 100 , 101 , 102 , 106 , 125 , 160 , 178 , 235 , 245

თევდორე (თეოდორე) წინამძღვარი 116 , 137 , 243
თევდორე ჭილაკის ძე 105 , 184 , 265
თევდოსი წმ. დღესასწაული 11. I 146
თევდოსი სოლონიკელი დეკანოზი 88 , 146 , 217 , 219
თეოდორე 156 , 229
თეოდორე 149 , 220
თეოდორე ასური 148 , 219
თეოდორე წინამძღვარი 64 , 75 , 77 , 78 , 116 , 142 , 196 , 211 , 212
თეოდორე წმ. ეკლესია ბოლბოლას 96 , 188
თეოდორე (ტირონის) წმ. დღესასწაული 17. II 148 , 149
თეოდორე (თეოდულე) წმ. დღესასწაული 18. VI 184
თეოდორე დიდი იკონომოსი 108 , 123 , 135 , 194
თეოფანე პეტრიწონელი მამასახლისი 119 , 157 , 230
თეოფილაქტე მკერვალი 88 , 152 , 224
თესალონიკი 96 , 188
თმოგვი 233
თმოგუელი ფარსმან იხ. ფარსმან თმოგუელი
თორნიკ მცირე (იოანე ვარაზვაჩეს ძე, იოანე-თორნიკეს ძმისწული) 138 , 200
თორნიკიოს კონდოლეონე (კოზმა) 201 , 202
თრაკია 244
თურქ-სელჩუკნი 98
იაკობ მღვდელი (დეკანოზი) 3 , 12 , 39 , 44
იაკობ 158
იაკობ ძმისა უფლისა დღესასწაული 23. X 166 იხ. იაკობ მოციქული
იაკობ იაყუთყოფილი 166 , 247
იაკობ მოციქულისა დღესასწაული 30. IV 167
იანიკ მორფიტიანყოფილი 97 , 98 , 177 , 205
იანქო (ყვარყვარე ათაბაგის ძე) 186
იაღი ანასულის ძე 104 , 183 , 264

იბნიანი 141 , 210
იერემია წმ. და ფილიპე წმ. შვიდთაგანისა დღესასწაული 1. V 152
იერუსალემ 83 , 100 , 104 , 105 , 106 , 141 , 185 , 187 , 209 , 241
ივანე კოჯიხისძე იხ. კოჯიხისძე ივანე (იოანე)
ივანე სულას ძე ჩორჩანელი 214
ივანე სხალთგაწევი 105 , 182 , 263
ილარიონ დიდის (პალესტინელის) დღესასწაული 21. X 165
ილარიონ პროტი 68 78 165 , 246
ილარიონ ქართველი 38 , 39 40 , 47 , 69
ილარიონ ქართველის დღესასწაული 19. XI 170 , 175
ინდიკტიონის დაწყება 1.IX 174
იოანე (მოკალმასე ბერი) 99 144
იოანე ბანცუა 103 , 137 , 176 , 198
იოანე ბუქაისძე იხ.. ბუქაისძე იოანე
იოანე (გიორგი დედოფლეურის მამა) 155 , 228
იოანე-გრძელისძე 30 , 31 , 72
იოანე ენჩაყოფილი 157 , 230
იოანე ვარაზვაჩე 113 , 138 , 200 , 201 , 202
იოანე თაფლაისძე (თაფლაისძე) ღვკანოზი 4 , 15 , 17 , 18 , 19 23 , 24 , 25 , 26 , 42 , 43 , 47 , 48 , 49 , 54 , 56 , 59 , 61 , 65 , 66 , 67 , 71 , 84 , 85 , 86 , 88 , 90 , 94 , 107 , 108 , 110 , 172 , 191 , 256
იოანე (თორნიკე) სვინგელოზი 34 , 57 , 58 , 59 , 60 , 61 , 62 , 63 , 72 , 75 , 112 , 113 , 134 , 192 , 198 , 200 , 201
იოანე იკონომოსი 115
იოანე კალაკალა (წინამძღვარი) 48 , 65 , 66, 91 , 94 , 107 , 108, 120 , 121 , 122 , 228 , 245 , 256
იოანე კახელი 140 , 209
იოანე კოპანა 153 , 224
იოანე ლობერდი 183
იოანე ლულუყოფილი 156 , 157, 229 , 230

იოანე მამაყოფილი 127
იოანე მახარებელისა ხსენება 8.V 153
იოანე მახარებელისა მიცვალებაჲ, დღესასწაული 26. IX 179
იოანე მახარებელი 190
იოანე მოწყალე წმ. დღესასწაული 12. XI 168
იოანე მუჭვცა 137 , 196 , 197
იოანე მწიგნობართუხუცესი 102 , 180 , 181 , 259 , 260 , 261 , 262
იოანე ნათლისმცემელისა თავისა პოვნაჲ, დღესასწაული 25.V 155
იოანე ნათლისმცემელისა მეტოქი 188 , 257
იოანე ოქროპირისა დღესასწაული 13.XI 169
იოანე რუსყოფილი 86 ,124 , 147 , 217 , 218
იოანე სევასტოსი 105 ,118 , 119 , 169 , 251
იოანე სისიკონელი 145 , 216
იოანე ფოფხაძისძე იხ. ფოფხაძისძე იოანე
იოანე ქართველი (ეფთვიმე ათონელის მამა) 31 , 33, 48 , 53 , 56 , 57, 63, 67 , 72 , 74 , 76 , 78 , 79 , 97 , 113 , 157 , 198 , 201 , 202 , 219 , 230
იოანე ქობულისძე იხ. ქობულისძე იოანე
იოანე IV წინამძღვარი 90 , 94 , 107 , 109 , 111 , 123 , 124 , 173 , 196 , 218, 258
იოანე წიფორელი 76 , 140 , 209
იოანე ჭყონდიდელი ( პეტრიკის ძმა) 74 , 75 , 77 , 137 , 199 , 200 , 203 , 238
იოანე ხარტულარი 68 , 73 , 76 , 164 , 244
იოანე ხუცი 168 , 250
იოანე მამა (იოანე ბუქაჲსძე ან იოანე კალაკალა) 165 , 247
იოსებ წინამძღვარი 119 , 120 , 122
იოსებ (მოკალმასე ბერი) 99 , 144
ირისა ფურთუკალადყოფილი 152 , 224
ისააკ II ანგელოსი 258

ისუნა 203
კათოლიკონი 31 , 72 , 79 , 96 , 194 , 257
კალავროდ (მონ.) 142
კალაკალა იხ. იოანე კალაკალა
კალამოკოპი (მონ.) 96 , 188
კანისკა (მონ.) 95 , 188
კარაკალა (მონ.) 121 , 122
კარაკალოს პრომთა მეჯე 121
კარია 95 , 188 , 194 , 201
კახეთი 209
კლიმ (ზერი) 118 , 119 , 120 , 144 , 216
კლიმწმინდა 126
კოზმა იერუსალიმელი 50
კოზმა (კოზმან) პროტი 246
კოზმან (მონასტრის ძმათაგანი) 155 , 228
კოლობუ (მონ.) 115 , 116
კონდოსტეფანე იოანე (თესალონიკის დუკი) 89 , 109 , 194 , 195 , 237
კონსტანტი (კოსტანტი), ნიკონ ნაპიოლის მამა 136 , 195
კონსტანტი პროდროსი 154 , 226 , 227
კონსტანტი (ვარდანის მამა) 177 , 232
კონსტანტი პროტოსპათარი მანგლავიტი 153 , 225
კონსტანტინე X დუკა 98 , 116 , 193
კონსტანტინე (კოსტანტი) IX მონომახი 59 , 60 , 63 , 68 , 73 , 74 , 77 , 79 , 140 , 160 , 199 , 207 , 208 , 237 , 238
კონსტანტინე პორფიროგენეტი (პორფიროგენი) 170 , 253 , 254
კონსტანტინე 62 , 75 , 138 , 202
კოსტანტინოპოლი 95 , 98 , 116 , 119 , 120 , 185 , 187 , 188 , 194 , 199 , 212 , 233
კოპანა იხ. იოანე კოპანა
კოშკინა იხ. გიორგი კოშკინა

კოჯიხისძე იოანე (ივანე) 124 , 139 , 173 , 204 , 220
კრებაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, დღესასწაული 26. XII 173
კვრიკე კახი 159 , 234
კვრიკე (მონასტრის ძმათაგანი) 168 , 250
კვრილე წმ. იხ. ათანასეს და კვრილეს დღესასწაული
ლავრენტი ოკრიბელი 93
ლათინი 104
ლაზარობა 150 , 183 , 264
ლაკლაკი იხ. მიქაელ ლაკლაკი
ლემერლი პოლ 245
ლეონ (ვენვენტოს დუკის ძმა) 97
ლეონ ეპისტატი 89 ,160 , 237
ლეონ ეპ. სტლანიწელი 135 , 193
ლეონტი ბერძენი 159 , 235
ლერწმისხევი 87 , 217
ლეფორი ჟ. 14 , 27 , 97 , 201 , 202 , 205 , 222
ლიპარიტ ივანეს ძე 149 , 204 , 221
ლიპარიტ ლიპარიტის ძე იხ. ანტონ ლიპარიტყოფილი
ლიპარიტ ბაღვაში იხ. ანტონ ლიპარიტყოფილი
ლუკა მახარებელისა დღესასწაული 18. X 164
ლულუ პროიდროსი 164 , 245 , 246
მაკარი წმ. დღესასწაული 19.I 143
მაკარი წინამძღვარი 125 , 245
მაკიდონი (მაკედონია) 96 , 185
მანოელ 163 , 242
მანუელ I 109 , 194
მანუჩარ (ყვარყვარე ათაბაგის ძე) 186
მართა (ბაგრატ IV-ის ასული) 227
მართლიხონ 186
მარია (ანასტასიას დედა) 159 , 235

მარიამ (ალექსი I კომნენოსის მეუღლე) 188
მარიამ ბასილაკის ასული (სუმბატ კუროპალატის მეუღლე) 151 , 223
მარიამ დედოფალი (ბაგრამ IV-ის დედა) 63 , 68 , 73 , 74 , 77 161, 199,
203 , 208 , 226 , 237 , 238 , 241
მარიამ ენკრატისი 62 , 73 74 , 75 , 115 , 138 , 200 , 203
მარიამ (ვარდან კოსტანტის ძის მეუღლე) 100 , 177 , 232
მარიამ (იოანე სევასტოსის მეუღლე) 169 , 251
მარიამ მართაყოფილი (ბაგრატ IV-ის ასული, კონსტანტინე პორფიროგენეტის დედა) 170 , 241 , 253
მარიამ (სუმბატ კურაპალატის მეუღლე) 118 , 161 , 166 , 167 , 239 , 247,
248
მარიამობა 15. VIII 161
მაქსიმე წმ. ღღესასწაული 21.I 143
მახარებელი 136 , 194
მელეტი 153 , 225
მელისურგიონ 201 , 202
მელინძა 96 ,170 , 188 , 227
მზეჭაბუკ ყვარყვარეს ძე 185 186 , 265
მთაწმიდა (ათონი) 83 , 187 იხ. ათონი
მთავარანგელოზთა ეკლესია 167
მილარა 161 , 239
მილოპოტამოსი 255
მირდატ (ზაქარიას მამა) 246 , 247
მისოლიმნი 170
მიქაელ 62 , 75 , 138 , 202
მიქაელ აბრაჰამის ძე 162 , 241
მიქაელ (გიორგი ოლთისარის ძმა) 151 , 223
მიქაელ დაღალისონელი 3 , 12 , 14 , 16 , 18 , 19 , 20 , 21 , 22 , 23 , 25,
33 , 37 , 46 , 47 , 50 , 58 , 60 , 61 , 62 , 64 , 67 , 68 , 71 ,72 , 75 77,
78 , 107 , 110

მიქაელ კათალიკოსი 106
მიქაელ ლაკლაკი 170 , 254
მიქაელ მთავარანგელოზის დღესასწაული 6.IX 8. XI 162 , 168
მიქაელ წინამძღვარი 86 , 90 , 94 , 107 , 109 , 111 , 123 , 136 , 139 , 192, 194 , 205 , 222 , 239
მიქაელ ხუცეს-კანანახი 99 , 142 , 178 , 211
მიქელ (კახელი ძმა) 140 , 209
მიცვალებაჲ წმ. ანნაჲსი, დღესასწაული 25. VII 178
მიხაელ მეფე (VII დუკა 1071-1078) 117 , 119 , 162 , 241 , 242 , 254
მიხაელ IV 76
მიხაელ პროტოსევასტოსი 173 , 257
მიხეილ V 76 , 81
მონოვატი 113 , 198
მოსე ქართველი 90 , 172 , 256 , 257
მოსე წინასწარმეტყველის დღესასწაული 4.IX 172
მოციქულთა წმ. დღესასწაული 29.VI 157
მუჭვცა იოანე იხ. იოანე მუჭვცა
ნათლისღება 6.I 140 , 237
ნიკიტა დრონგალი სხოლისაჲ 163 , 242
ნიკიფორე ფოკა 227
ნიკიფორე III ბოტანიატი (1078-1081) 247 , 254
ნიკოლა (გაბრიელყოფილი, ევანეზის ძმა) იხ. ნიკოლა პროტოსვინგელოზი
ნიკოლა ბერძენი 159 , 234
ნიკოლა კომუდი 126
ნიკოლა პეტრიწონელი მამა 108 , 123 , 136 , 172 , 196
ნიკოლა პროტოსვინგელოზი ( წინამძღვარი) 117 , 118 , 120 , 140 , 144 , 149 , 209 , 210 , 216 , 218 , 221
ნიკოლა ხუცი 171 , 225 იხ. ნიკოლა პროტოსვინგელოზი
ნიკოლაოს წმ. დღესასწაული 6.XII 172
ნიკოლოზ გულაბერისძე 18 , 24 , 49 , 93 , 94 , 99 , 100 , 101 , 102 , 103,

104 , 105 , 106 , 124 , 162 , 174 , 177 , 178 , 199 , 235 , 236 , 239 , 240 , 258 , 259 , 260 , 261
ნიკოლოზ (სვიმეონ ჭყონდიდლისა გაზრდილი) იხ.ნიკოლოზ გულაბერისძე
ნიკოლოზ წინამძღვარი 127
ნიკოლწმინდა (მეტოქი) 95 , 96 , 188 , 189
ნიკონ ნაპიღოსი 85 , 86 , 110 , 136 , 195
ნისინი 155 , 228
ნისტორ (მწგ.) 191
ონოფრე წმ. დღესასწაული 12.VI 156 , 157
ონოფრი გარეშჯელი 173 , 204 , 220
ორავქანდა (ყვარყვარე ათაბაგის ძე) 186
ორთა ბევრთა დღესასწაული 28.XII 135
ორიგინე 191
ოფიდოფა 164 , 245
ოქროპირ 72
ოქროპირ აბულასანის ძე 105 , 183 , 264
ოქროპირ ხარაზი 170 , 175 , 253
ოშკი 113
პავლე თებელი წმ. დღესასწაული 15.I 182
პავლე პროტი 246
პავლე ქუთათელი 182 , 263
პავლე წინამძღვარი 19 , 26 , 93 , 94 , 95 , 96 , 97 , 99 , 100 , 101 , 103 , 105 , 106 , 122 , 124 , 125 , 144 , 174 , 177 , 180 , 182 , 188 , 189 , 190 , 193 , 199 , 204 , 208 , 214 , 215 , 227 , 229 , 235 , 240 , 258 , 259 , 260 , 263 , 265 , 266 , 267
პალესტინა 83 , 180
პანტელეიმონ მონ. 124
პაპახრისანთუ დ. 246
პეტრე იბერი 40

პეტრე ხუცესი 141 , 210 იხ.პეტრიკ
პეტრიკ (პეტრე პატრიკი პეტრიკყოფილი)74 , 75 , 77 , 98 , 137 , 199 ,
200 , 203 , 238
პეტრიწონი 40
პითარა 201 , 202
პოროსი 183
პორტიატისა (პორტაიტისა) 96 , 186 იხ. პორტისა და ყოვლად წმინდისა
ეკლესია
პორტისა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლის ეკლესია 188 ,189 ,266
პროკოპი წმ. დღესასწაული 8.VII 158
პროხორე იკონომოსი 143 , 212
რაისელი 157 , 231
რაოდენ 186
როდელივი (როდოილი, როდოლივი) 95 , 96 , 151 ,166 , 188 , 239 , 247
რომაელი 97 , 98
რომანა 233
რომანოზ 13 , 93
რომანოზ დიოგენი 243
რომი 97 , 98
საბა წმ. დღესასწაული 5.XII 137
საბა (იოანე მუჰვცას ძმა) 77 , 197
საბა მონომახყოფილი 136 , 196
საბა იხ. სუმბატ კურაპალატი
საბა პროტი 246
საბერძნეთი 29, 47 , 97 , 98 , 185 , 187 , 221
სამოელ ქუთათელი მთ.-ეპ. 161 , 238
სამცხე 184 , 186
სანანო ქველისძე 59 , 74 , 77 , 138 , 203
საქართველო 106 , 221 , 241
სელევკია 87

სერაპიონ წინამძღვარი 127
სოლიბისტრო წმ. დღესასწაული 2.I 183
სინა 185 , 187
სინელ მამათა დღესასწაული 14.I 140
სირია 83 , 88 , 90
სომეხი 98 , 99
სტეფანე ახლისა წმ. დღესასწაული 28.XI 171
სტეფანე იკონომოსი 68 , 78 , 165 , 246
სტეფანე ხარტულარი 68 , 73 , 76 , 114 , 115 , 139 , 205 , 206 , 244
სტეფანოს სთლაზოტა 203
სტრატიოო (სვიმეონ ელადას დედა) 155 , 228
სულა (ფარსმანისა და ჩორჩანელის მამა) 77 , 143 , 213 , 214
სუმბატ (საბა) კურაპალატი 118 , 151 , 166 , 167 , 223 , 239 , 247 , 248
სვიმეონ 62 , 75 , 138 , 202
სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი 240 იხ. სვიმეონ ჭყონდიდელი
სვიმეონ ბერძენი მღვდელმონაზონი 187
სვიმეონ მოხუცებულის სოხასტერი 31
სვიმეონ წინამძღვარი 76 , 81 , 83 , 114 , 200 , 203
სვიმეონ ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი 162 , 239 , 240
სვიმეონ ხერკელი 96 , 135 , 193
სვიმიონ ელადა 155 , 228
სვიმონ ბერძენი ხუცი 148 , 220
სვიმონ ნოტარი ქართველი 152 , 224
ტრაპიზონტი (ტრაპეზონი) 185 , 187
ულუმბო 55 , 56
უსპენსკი პ. 246
ფანტინე ბასილწმინდელი 164 , 244
ფარსმან თმოგველი 67 , 77 , 158 , 232 , 233 , 234
ფარსმან ჩორჩანელი 143 , 148 , 213 იხ. არსენ ფარსმანყოფილი
ფებრონია წმ. დღესასწაული 25.VI 160

ფერისცვალება 208 , 237
ფილიპე დიაკონის (შვიდთაგანი) დღესასწაული 1.V 152
ფოფხაძე იოანე 168 , 251
ფოჩოლიკა იხ. გიორგი ფოჩოლიკა
ქაიხოსრო ჯაყელი ათაბაგი (ყვარყვარეს ძე) 184 , 186 , 265
ქობულ მილარას ძე 161 , 239
ქობულისძე გრიგოლ 99 , 144 , 174 , 188 , 214
ქობულისძე იოანე 99 , 144 , 174 , 188 , 214
ქონქოზ 77, 143, 213
ქრისტეფორე ლალაკოყოფილი 154 , 226
ქუაბულისძე იხ. ქობულისძე
ღომატო (მეტოქი) 186 , 201
ყვარყვარე II სამცხის ათაბაგი, სპასალარი ჯაყელ-ციხისჯვარელი 184 , 186 , 265
ყურსალნი 175
შაბათი უძღებისა 148
შავი მთა 83 , 87 , 88 , 198 , 210 , 217
შარვანი 240
შაქარაშვილი ფილიპე 13 , 14 , 93
შიო მღვიმელი 40
შობა ქრისტესი 25.XII 138
ჩვილთა ყრმათა წმ. დღესასწაული 29.XII 177
ცვარი 77 , 143 , 213
ძილი (მონასტრის ძმათაგანი) 152 , 223
წინადღე განცხადებისაჲ 5.I 182
წიფორელი იოანე იხ. იოანე წიფორელი
ჭილაკისძე თევდორე იხ. თევდორე ჭილაკისძე
ხაჟომია თამარ 251
ხარება (თევდორე ჭილაკისძის დედა) 184 , 265
ხევსურიანი ლ. 252

ჯერასიმე (მონასტრის ძმათაგანი) 155 , 156 , 168 , 228 , 250
ჯვარის დღესასწაული 153
ჯვარის მონასტერი (იერუს.) 104 , 105 , 233
ჯობაძე ვახტანგ 87
ჯუბიელი იხ. გიორგი ჯუბიელი
ჯუბიის მონასტერი 87 , 88 , 217
ჰერეთი 220
ჰრომი 97 , 98 , 99

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალაპთა ნუსხა ტაბულებზე მითითებით[1]

1 ტაბ. $I_{1-2}$. დ. იოანე სვინგელოზისათვის (183 r–184 r).
[2] თ. ლეონ ეპისკოპოსისა (184 r).
[3] თ. შავ არსენისა (184 r).
[4] თ. არსენ ყივჩაყისა (184 r).
5 ტაბ. $IX_1$. პ. სვიმეონ ხერკელისათვის (184 r).
6 ტაბ. VI. მ. პანაშვიდი თეოდორე დიდი იკონომოსისათვის (184 v).
7 ტაბ.XVIII (ნარევი). აფენელისა, დედის მახარებლისა (184 v).
8 ტაბ. $III_1$. თ. მ. ნიკონ ნაპიოსისა და მისი მშობლებისათვის (184 v).
9 ტაბ. $VII_1$. ალაპი ნიკოლოზ პეტრიწონელისათვის (184 v).
[10] თ. ალაპი საბა მონომახყოფილისა (185 r).
11. ტაბ. $I_3$. დ. საბასი და ძმისა მისისა იოვანე მუჭვცაისათვის (185 r).
12 ტაბ. $I_3$.დ. ალაპი ბაბანისა (185 r).
13 ტაბ. $I_3$. დ. ალაპი გიორგი დიდისა (185 r).
14 ტაბ. $X_2$. ნ. გ. პანაშვიდი იოანე ბანცუასი (185 r).
15 ტაბ. $I_4$. დ. პეტრიკისა და ძმისა მისისა იოანესი (185 v).
16 ტაბ. $I_4$. დ. ალაპი იოანე მონაზონისა, აბუჰარბისა და თორნიკისი (185 v).
17 ტაბ. $I_{4-5}$. დ. ალაპი კონსტანტინესი, ბაგრატისა, მიქაელისა და სვიმეონისა (185 v- 186 r).
18 ტაბ. $I_5$. დ. ალაპი მამისა ეგნატისი (186 r).
19 ტაბ. I დ. ალაპი მარიამ ენკრატისისა (186 r).
20 ტაბ. $I_5^5$. დ. ალაპი სანანო ქველისძისათვის (186 r).
21 ტაბ. VIII $_2$. პანაშვიდი ივანე (კოჯიხისძისათვის) (186 r).
22 ტაბ. XII. ალაპი მიქაელ მამაყოფილისათვის (186 r).
23 ტაბ. $IX_2$. პ. განწესებული იანიკ მორფიტიანყოფილისათვის (186 r).
24 ტაბ. $I_{5-6}$. დ. ალაპი სტეფანე ხარტულარისა (186 r- v).
[25] თ. ალაპი შავ არსენისა (186 v).
26 ტაბ. $I_6$. დ. ალაპი ბასილი ეპარხოზისა, მოურნისა, და ბასილი პრონოიტრისა (186 v).
27 ტაბ. $I_6$. დ. ალაპი კონსტანტი მონომახისა (186 v).
28 ტაბ. $IX_6$. პ. ალაპი არსენ მარდეზის ძისა (186 r, 202 r).
29 ტაბ. $I_6$. დ. ალაპი იოანე წიფორელისათვის (186 v).

---

[1] თაფლაისძის ხელით დაწერილი ალაპები ტაბულებში შეტანილია შერჩევით. ოთხკუთხა კავებში ჩასმული ალაპები ტაბულებში არ აისახა.

30 ტაბ. IV ნ. ალაპი იოანესთვის და მიქაელისთვის (187 r).
[31] თ. ალაპი იბნიანისა (187 r).
32 ტაბ. V. ი. ბ. ალაპი პეტრე ხუცისათვის (187 v).
33 ტაბ. $X_1$. ნ. გ. ალაპი მიქაელ ხუცეს კანანახისათვის (187 v).
33ა ტაბ. $IX_4$. პ. მოსახსენებელი მიქაელ კანანახისა (187 v., 188 r).
34 ტაბ. $I_7$. დ. ალაპი ლიპარიტისათვის (188 r).
35 ტაბ. $I_7$ დ. ალაპი პროხორე იკონომოსისა (188 r).
36 ტაბ. XIX. ალაპი მაკარისა (188 r).
37 ტაბ. $I_8$. დ. ალაპი სულასი, ფარსმანისა და ჩორჩანელის მამისა (188 v).
38 ტაბ. $I_8$. დ. ალაპი გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეთათვის (188 v).
39 ტაბ. $IX_4$. პ. ალაპი იოანე და გრიგოლ ქობულის ძეთათვის (188 v).
40 ტაბ. I დ. თ. ალაპი გრიგოლ ერისთავთ-ერისთავისა აბუსერის ძისათვის და გრიგოლ შაშუას ძისათვის (188 v-189 r).
[41] თ. ალაპი ბერი კლიმისთვის (189 r).
[42] თ. ალაპი მამისა იოანე სისიკონელისა (189 r).
[43] თ. ალაპი იოანე ბუქაისძისათვის (189 r- v).
44 ტაბ. III. თ. მ. ალაპი გიორგი ჯუბიელისათვის (189 v).
45 ტაბ. III. თ. მ. ალაპი თევდოსი სოლონიკელისა, დუკყოფილისა (189 v).
46 ტაბ. III. თ. მ. ალაპი ესაია ასურისა (189 v).
47 ტაბ. $VII_2$. იოანე რუსყოფილისათვის (189 v).
47ა ტაბ.$VIII_1$. ვ. იოანე რუსყოფილისათვის (190 r).
48 ტაბ. $I_9$. დ. ალაპი გაბრიელ, ევანეზის ძმისა, რომელსაც მონაზონობაში ეწოდა ნიკოლა (190 r).
49 ტაბ. $I_9$. დ. გაბრიელ, ევანეზის ძმისავე (190 r- v).
50 ტაბ. $I_{10}$. დ. გიორგი ჩორჩანელისათვის (190 v-191 r).
[51] თ. თევდორე ასურისათვის (191 r).
[52] თ. სვიმონ ბერძნისა, ხუცისა (191 r).
[53] თ. სახსენებელი თეოდორესი (191 r).
54 ტაბ. $IX_5$. პ. პანაშვიდი არიშიანისა (191 r).
[55] თ. ალაპი ლიპარიტისა, ივანეს ძისა (191 r).
[56] თ. ალაპი გიორგი მაგისტროსისათვის (191 r).
57 ტაბ. XII. ძმისა ათანასესთვის (191 v).
[58] თ. დავით კოჭიკაჲსა და ზაქარიასთვის (192 r).
[59] თ. დავით ხუცესისა (192 r).
[60] თ. ალაპი მარიამ ბასილაკის ასულისა, სუმბატის მეუღლისა (192 r- v).

61 ტაბ. II. თ. ალაპი გიორგი ოლთისარისა (192 v).
62 ტაბ. II თ. ძნელისათვის (192 v).
63 ტაბ. II. თ. სვიმონ ნოტარისა ქართველისათვის (192 v).
64 ტაბ. $III_2$. თ. მ. თეოფილაქტე მკერვალისა (192 v).
65 ტაბ. XIX. ირისე ფურთუხალადყოფილისა (192 v).
[66] თ. იოანე კოპანაძესა (193 r).
[67] თ. ალაპი „ძმათა, რომელთა მოიღეს საშენებელად ზღუდისა დრაჭკანი"(193 r).
[68] თ. ალაპი კონსტანტი პროტოსპათარ მანგლავიტისა (193 r).
69 ტაბ. $IX_4$. პ. მელეტისი (193 r).
[70] თ. ალაპი ძმისა ბასილისთვის (193 r).
[71] თ. ალაპი წმიდისა მამისა და მაშენებელისა ეფთვიმესი (193 r).
[72] თ. ალაპი ქრისტეფორე ლალაკოყოფილისათვის (193 r).
[73] თ. ალაპი გიორგი მაგისტროსისთვის (193 v).
[74] თ. ალაპი კონსტანტი პროიდროსისთვის (193 v).
[75] თ. ალაპი არსენი თევდორაკნისთვის (193 v).
[76] თ. ალაპი სვიმიონ ელადისა, მისი ძის გიორგისა და დედისა მისისა სტრატიოლესა (193 v).
[77] თ. ალაპი გიორგი დედოფლეურისა (193 v).
[78] თ. ჯერასიმესი, (194 r).
[79] თ. ალაპი თეოდორესთვის (194 r).
80 ტაბ. $XIII_2$. გიორგი ქართველის პანაშვიდი (194 r).
[81] თ. იოანე ლულუყოფილისა (194 r).
82 ტაბ. $X_2$. ალაპი ძმისა გაბრიელისა (194 r).
[83] თ. ალაპი იოანესთვის, ეფთვიმეს მამისა (194 r).
[84] თ. ალაპი თეოფანე პეტრიწონელი მამასახლისისათვის (194 r- v).
[85] თ. ალაპი იოანე ენჩაყოფილისათვის (194 v).
[86] თ. ალაპი რაისელისა და ვარაზისათვის (194 v).
[87] თ. ალაპი გიორგი თარგმანისათვის (194 v).
88 ტაბ. $IX_2$. პ., ვარდან კონსტანტის ძისა და მისი მეუღლის მარიამისთვის (194 v, 203 r).
[89] თ. ალაპი ფარსმან თმოგველისა (194 v).
[90] თ. ალაპი ბაგრატ კურაპალატისთვის (194 v).
[91] თ. ალაპი ევსტათი იკონომოსისა (194 v-195 r).
[92] თ. ალაპი ძმისა კახისა კვირიკესთვის (195 r).
[93] თ. ალაპი ლეონტი და ნიკოლა ბერძენთათვის (195 r).
[94] თ. ალაპი ანასტასიას და მარიასთვის, დედისა მისისა (195 r).
95 ტაბ. $X_1$. ნ. გ. ალაპი თამარ დედოფლისა (195 r, 203 v).

[96] თ. აღაპი გიორგი მაგისტროსისა (195 r).
97 ტაბ. III$_2$. თ. მ. აღაპი გიორგი კოშკინასი (195 r).
98 ტაბ. III$_2$. თ. მ. აღაპი ლეონ ეპისტატისა (195 r).
[99] თ. აღაპი კონსტანტი მონომახისთვის (195 v).
[100] თ. მარიამ დედოფლის, ბაგრატის დედის, აღაპი (195 v).
[101] თ. აღაპი სამოელ ქუთათელ მთავარეპისკოპოსისთვის (195 v).
[102] თ. აღაპი მიღარას და მისი ძის ქობულისა (195 v).
[103] თ. მარიამის აღაპი, სუმბატის მეუღლისა (195 v).
104 ტაბ. XII. აღაპი ვაჩეყოფილისა ბასილისთვის (195 v).
105 ტაბ. XVI. აღაპი ნიკოლოზ გულაბერისძისათვის (196 r, 201 r).
[106] თ. აღაპი მიქაელისთვის, აბრაჰამის ძისა (196 r).
[107] თ. აღაპი მიხაელ მეფისათვის (196 r).
[108] თ. აღაპი ნიკიტა დრონგალისა სხოლისა (196 r).
109 ტაბ. IX$_4$. პ (?). მოსახსენებელი ბაად მანოელისთვის (196 r).
[110] თ. აღაპი მამისა არსენისა, ფარსმანყოფილისა (196 r).
[111] თ. აღაპი აბაზის, ბაკურიანის ძისა (196 r).
[112] თ. აღაპი ფანტინე ბასილწმინდელისა (196 v).
[113] თ. აღაპი იოანე ხარტულარისა (196 v).
[114] თ. აღაპი ოფიდოფასი (196 v).
[115] თ. აღაპი ლულუ პროიდროსისა (196 v-197 r).
[116] თ. აღაპი ილარიონ პროტისა და სტეფანე იკონომოსისათვის (197 r).
[117] თ. აღაპი მირდატისა (197 r).
[118] თ. აღაპი დავით ვაჭრისა (197 r).
[119] თ. აღაპი იაკობ იაყუთყოფილისა (197 r).
[120] თ. აღაპი სუმბატ კურაპალატისა და მისი ცოლის მარიამისა (197 v).
[121] თ. იმავე სუმბატისა და მარიამის აღაპი (197 v).
122 ტაბ. III$_3$ თ. მ. აღაპი დავით ასურისთვის (198 r).
123 ტაბ. XI. აღაპი გიორგი მჭედელა ქართველისთვის (198 r).
124 ტაბ. XIV$_2$. აღაპი ჯერასიმესი და იოანე ხუცისა (198 r).
[125] თ. აღაპი ძმისა გიორგისთვის (198 v).
[126] თ. აღაპი კვირიკესი, დიმიტრისა და ბართლომესი (198 v).
[127] თ. აღაპი გიორგი მეფისა (198 v).
128 ტაბ. XIV$_2$. აღაპი იოანე ფოფხაძისძისა (198 v).
[129] თ. აღაპი იოანე სევასტოსისა და მეუღლისა მისისა მარიამისა (199 r).
[130] თ. აღაპი წმინდისა მამისა გრიგოლისა (199 r).

[131] თ. მოსახსენებელი ზაქარიასი და არსენისა (199 r).

132 ტაბ. $XIII_1$. პანაშვიდი ოქროპირისა (199 r).

[133] თ. ალაპი დედოფლისა მარიამ მართაყოფილისა და ძისა მისისა კონსტანტინე პორფიროგენეტისა (199 r).

[134] თ. ალაპი მიქაელ ლაკლაკისა და გიორგი ფოჩოლიკასი (199 v).

135 ტაბ. $XIV_1$. ალაპი გიორგი ციხისჯვარელისა (199 v).

[136] თ. ალაპი ნიკოლა ხუცისა (200 r).

[137] თ. ალაპი არსენ მონაზონისა (200 r).

138 ტაბ. XI. ალაპი იოანე კალაკალასი და იოანე თაფლაისძისათვის (200 r).

139 ტაბ. $XIV_1$. გიორგი ციხისჯვარელის მიერ აწიანისთვის შეწირული წიგნების სია (200 r).

140 ტაბ. $III_3$. თ. მ. ალაპი მოსე ქართველისა, ეკლესიის შვილისა (200 v).

141 ტაბ. $VII_1$. ი. ალაპი მამა ნიკოლა პეტრიწონელისა (200 v).

142 ტაბ. XVIII. ალაპი ევფროსინე პროტოსევასტისა და მეუღლისა მისისა მიხაელ პროტოსევასტოსისა (201 r).

143+143ა ტაბ.$VIII_2$. ვ. ალაპი ივანე კოჯიხისძისა (201 r).

144 ტაბ. XVI. ალაპი ნიკოლოზ გულაბერისძისა (201 v).

144ა. ტაბ.XIX (ნარევი), 144 ალაპის გაგრძელება, მიწერილი მდივანმწიგნობრულით.

145 ტაბ. $IX_3$. პ. ალაპი გრიგოლ და იოანე ქობულისძეთათვის (202 r).

146 ტაბ. $XIII_1$. ალაპი ოქროპირ ხარაზისათვის. ალაპს 202 v მარცხენა კიდეზე მიწერილი აქვს ალაპის გაგრძელება სხვა ხელით – 146ა იხ. ტ. $X_1$. (202 v).

147 ტაბ. $IX_6$. პ. ალაპი იოანე ბანცუასთვის (202 v).

148 ტაბ. $IX_6$. ალაპი არსენი მარდეზის ძისათვის (202 v-203 r).

149 ტაბ. $IX_2$. პ. ალაპი აბულასან ქუთათელისა (203 r).

150 ტაბ. $IX_2$. პ. ალაპი ვარდან კონსტანტის ძისა, მისი მეუღლის მარიამისა, მათი შვილის გიორგისა (203 r).

151 ტაბ. $IX_2$. პ. ალაპი იანიკ მორფიტიანყოფილისა (203 r).

152 ტაბ. $IX_2$. პ. გადაფხეკილი ტექსტი (203 r).

153 ტაბ. $X_1$. ნ. გ. ალაპი თამარ დედოფლისა (203 v).

154 ტაბ. $XIII_2$. ალაპი გიორგი ქართველისთვის (203 v).

155 ტაბ. $X_2$. ნ. გ. ალაპი იოანე მწიგნობართუხუცესისათვის (204 r-205 v).

156 ტაბ. $XIII_1$. პანაშვიდი პავლე ქუთათელისა (206 r).

157 ტაბ. $XV_1$. ალაპი ივანე სხალთგაწევისა (206 r).

158 ტაბ. XVII. მამა პავლეს წინამძღვრობიდან გადადგომისა და დიდი იკონომოსის გიორგის წინამძღვრად დადგენის შესახებ (206 v).
159 ტაბ. $XV_3$. აღაპი ანასუღლისა და მისი ძის იაღისთვის (207 r).
160 ტაბ. $XV_{1-2}$. აღაპი ოქროპირ აბულასანის ძისათვის (207 r).
161 ტაბ. $XV_3$. აღაპი თევდორე ჭილაკის ძისათვის (207 v).
162 ტაბ. XX. ქაიხოსრო ათაბაგის აღაპ-მოსახსენებელი (208 r-v).
163 ტაბ. XX. ქაიხოსრო ათაბაგის აღზრდილის ამბროსის აღაპი (208 v).
164 ტაბ. XX. ბაადურის აღაპ-მოსახსენებელი (209 r-v).
165 ტაბ. $IX_1$. პავლეს წინამძღვრად დადგენა და პავლეს განწესებანი (210 r-213 r).
166 ტაბ. II თ. იოანე თაფლაისძის ანდერძი (213 r).
167 ტაბ. $IX_5$ შეუერთდა 165-ს.

## პალეოგრაფიული ტაბულების შედგენილობა

**ტაბ. I (დაღალისძნელისა)**

შეიცავს 22 აღაპს, გაწყობილს კალენდარზე. იწყება 5 დეკემბრით, მთავრდება 13 თებერვლით.

ტაბულებში ($I_1$–$I_{10}$) შეტანილია აღაპები:

1. იოანე სვინგელოზისა (183 r-184 r)
11. იოანე მუჭვცაძისთვის (185 r)
12. ზაზანისა (185 r)
13. გიორგი დიდისა (185 r)
15. პეტრიკისა და მისი ძმის იოანესი (185 v)
16. იოანე მონაზონისა, აბუჰარბის და თორნიკესი (185 v)
17. კოსტანტინესი, ბაგრატის, მიქაელის და სვიმეონისა (185 v-186 r)
18. მამა ეგნატისა (186 r)
19. მარიამ ენკრატისისა (186 r)
20. სანანო ქველისძისა (186 r)
24. სტეფანე ხარტულარისა (186 r- v)
26. ბასილი ეპარხოზისა (186 v)
27. კოსტანტი მონომახისა (186 v)
29. იოანე წიფორელისა (186 v)
34. ლიპარიტისა (188 r)
35. პროხორე იკონომოსისა (188 r)
37. სულასი, ფარსმან და ჩორჩანელის მამისა, ქონქოზისა და ცუარისა (188 v)
38. გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეთა (188 v)
40. გრიგოლ ერისთავთ-ერისთავისა, აბუსერის ძისა (188 v-189 r)
48. გაბრიელისა, ევანეზის ძმისა (190 r)
49. ისევ გაბრიელისა, ევანეზის ძმისა (190 r- v)
50. გიორგი ჩორჩანელისა, ფარსმანის ძმისა (190 v-191 r)

**ტაბ. II (თაფლაისძისა)**

სააღაპე წიგნის თაფლაისძისეულ რედაქციაში მისი ხელით დაწერილია 77 აღაპი. ტაბულაში წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე აღაპი (61, 62, 63) და თაფლაისძის ანდერძი (№ 166), რომლითაც მთავრდება თაფლაისძის რედაქციის სააღაპე წიგნი.

61. გიორგი ოლთისარის ალაპი (192 v)
62. ალაპი ძმისა ძნელისა (192 v)
63. ალაპი სვიმონ ნოტარისა, ქართველისა (192 v)

თაფლაისძის ხელით დაწერილი 77 ალაპის ნუსხა:
2-4, 10, 25, 31, 41-43, 51-53, 55-56, 58-63, 66-68, 70-79, 81, 83-94,96, 99-103, 106-108, 110, 111-121, 125-127, 129-131, 133-134, 136-137, 166.

### ტაბ. III (თაფლაისძის მიმბაძველისა)

ტაბულაში ($III_1$–$III_3$) გაერთიანებულია ალაპები, დაწერილი ხელით, რომელიც ძალიან ჰგავს თაფლაისძისას. პირობითად ამ მწერალს ვუწოდებთ თაფლაისძის მიმბაძველს. სხვადასხვა ნიშნის მიხედვით გამოიყო თაფლაისძის მიმბაძველის ხელით დაწერილი 9 ალაპი. ესენია: 8, 44-46, 64, 97-98, 122, 140
(იხ. აქვე, თაფლაისძის მიმბაძველი).
8. ნიკონ ნაპილოსისა და დედა-მამათა მისთა (184 v)
44. გიორგი ჯუბიელისთვის (189 v)
45. თევდოსი სოლონიკელისა (189 r)
46. ესაია ასურისა (189 v)
64. თეოფილახტე მკერვალისთვის (192 v)
97. გიორგი კოშკინასთვის (195 r)
98. ლეონ ეპისტატისა (195 r)
122. დავით თესალონიკელისათვის (198 r)
140. მოსე ქართველისა (200 v)

### ტაბ. IV (მამა ნიკოლა პროტოსინგელოზისა)

ალაპი იოანესთვის და მიქაელისთვის (№ 30) განწესებულია მამა ნიკოლას მიერ, დაწერილია დალალისონელის საალაპე წიგნში თაფლაისძის მიერ ჩამატებულ ფურცელზე (187 r). ამ ფურცელზე დაწერილი იყო თავდაპირველად მხოლოდ 2 ალაპი: № 30 და № 32 (პირველი № 30 დაწერილია მამა ნიკოლას ხელით, ხოლო მეორე (№ 32) ნიკოლას თანამედროვე მამა იოანე ბუქაისძის ხელით).

### ტაბ. V (მამა იოანე ბუქაისძისა)

№ 32 ალაპი, განწესებული პეტრე (პეტრიკყოფილი) ხუცისათვის, დაწერილია დალალისონელის საალაპე წიგნში თაფლაისძის მიერ ჩამატებულ 187 v-ზე (იხ. IV ტაბულის განმარტება).

ალაპები განწესებულია 15 და 17 იანვრის დღეებზე. ეს ალაპებიანი ფურცელი, ჩანს, იოანე თაფლაისძეს „იქი-აქა დაფანჩულ“ ალაპთა შორის უპოვნია და ჩაურთავს დაღალისონელის საალაპე წიგნში, იანვრის თვის მასალაში. სხვა შემთხვევაში თაფლაისძეს თავისი ხელით გადაჰქონდა მოპოვებული ალაპები საალაპე წიგნში. შემდეგ ამ ფურცლის კიდეებზე დაიწერა ახალი ალაპები – № 31 (თაფლაისძის ხელით) და № 33 (ნ. გულაბერისძისა და მამა ჰავლეს მიერ. იხ. ტაბ. $IX_4$ და $X_1$).

### ტაბ. VI (მიქაელისა)

ტაბულაში ერთი ალაპია – 6, დაწერილი დაღალისონელის საალაპე წიგნში თაფლაისძის მიერ ჩამატებულ ფურცელზე (184), რომელიც თანდათან შევსებულა შემდგომ განწესებული ალაპებით. ალაპი № 6 განწესებულია მამა მიქაელის მიერ თეოდორე დიდი იკონომოსისათვის. ეს ალაპი მისივე ხელით უნდა იყოს დაწერილი. ამავე ხელით არის დაწერილი 139[ა] ალაპი (200 r), რომელიც გადაფხეკილია და ძნელად იკითხება (იხ. კომენტარი). 139[ა] ტაბულაში ვერ შევიტანეთ მისი დაზიანების გამო. 139[ა] ალაპი განწესებულია მიქაელ ხუცეს კანანახისათვის. მისგან არის გადაწერილი ალაპი № 33. № 6 ალაპი განწესებული უნდა იყოს XII ს. 50-იან წლებში. მამა მიქაელი იოანე კალაკალას მომდევნო მამა უნდა იყოს (იხ. აქვე, მამების რიგი).

### ტაბ. $VII_{1-2}$ (მამა იოანე IV-ისა)

იოანეს ხელით დაწერილი ორწევრა ალაპი, განწესებული ნიკოლა პეტრიწონელი მამისათვის 9/141 (184 v, 200 v) და ალაპი იოანე რუსყოფილისათვის № 47 (189 v). ამ უკანასკნელ ალაპს აგრძელებს მამა ვასილის ხელით მიწერილი სია იმ წიგნებისა, იოანე რუსყოფილმა რომ შესწირა ეკლესიას (ალაპი № 47[ა], ტაბ. VIII).

№ 47 ალაპი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი, ძირითადი ნაწილი დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია ნიკოლა პეტრიწონელისათვის განწესებული ორწევრა ალაპი (9/141). მეორე ნაწილი, სადაც წარმოდგენილია სია წიგნებისა, დაწერილია განსხვავებული ხელით, რომელიც მამა ვასილს უნდა ეკუთვნოდეს და გაერთიანებულია VIII ტაბულაში.

### ტაბ. $VIII_{1-2}$ (მამა ვასილისა)

ორწევრა ალაპი 21/143, განწესებული ივანე კოჯიხისძისათვის. № 21 ალაპში (186 r) მინიშნებულია ალაპისათვის განწესებული დღე

(დეკემბრის 26), ხოლო № 143 აღაპში წარმოდგენილია აღაპის შესრულების განგება (201 r). 143-ე აღაპს აგრძელებს მამა ვასილის გაკრული ხელით დაწერილი განმარტება 143ა.

ვასილის ხელით უნდა იყოს დაწერილი ამ ტაბულაში წარმოდგენილი № 47 აღაპის დამატებაც 47ა, იმ წიგნების ნუსხა, რომელიც იოანე რუსყოფილმა შესწირა მონასტერს (იხ. ტაბ. VII). ამ მინაწერის მიხედვით, რომელიც ვასილის ხელით არის შესრულებული, იოანე რუსყოფილის აღაპიც თარიღდება მამა ვასილის ზეობის წლებით (იხ.წინამძღვართა რიგი, № 47 აღაპის კომენტარი, ტაბ. VII და ტაბულის განმარტება).

## ტაბ. IX (მამა პავლესი)

## $IX_1$

შეიცავს აღაპებს: 5 და 165 (იხ. 167 – ტაბ. $IX_5$). № 5 აღაპი (184 r) განწესებულია სვიმეონ ხერკელისათვის, „ყოვლად წმიდის" ეკლესიას (კათოლიკონს) შესწირა მის მიერ გადაწერილი ხელნაწერები. აღაპი დაწერილია დაღალისონელის სააღაპე წიგნში თაფლაისძის მიერ ჩართულ თავისუფალ ფურცელზე (184), რომელიც თანდათან შეივსო როგორც თაფლაისძის, ასევე მის მომდევნო მოღვაწეთა ჩაწერილი აღაპებით (იხ. კომენტარი).

№ 165 აღაპი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან:

I ნაწილი შეიცავს პავლეს მამად დადგენას და მისთვის მონასტრის ქონების ჩაბარებას (210 r-211 r).

II ნაწილი დაწერილია პირველისაგან განსხვავებული ხელით. აღაპის ეს ნაწილი შეიცავს პავლეს მიერ მონასტერში შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალს და, მამად დადგენის უმალვე, პავლეს მიერ შედგენილ განწესებებს (211 r- 212 v).

III ნაწილი ერთვის განწესებებს და წარმოადგენს პავლეს დამტკიცებასა და ხელრთვას (212 v).

IV ნაწილი (№ 167) წარმოადგენს განწესებათა გაგრძელებას კანდელთა „დაუვსებელად ნთების" შესახებ (213 r, იხ. ტაბ. $IX_5$).

დაწვრილებით აღაპის სტრუქტურის შესახებ იხ. კომენტარი.

## $IX_2$

შეიცავს:

№ 149. აღაპი აბულასან ქუთათელისა (203 r).

№ 88/150. აღაპი ვარდან კონსტანტის ძის, მისი მეუღლის, მარიამისა და მათი შვილის გიორგისათვის (194 v, 203 r).

№ 23/151. ორწევრა აღაპი ძმის, იანიკ მორფიტიანყოფილისათვის (186 r, 203 r).

№ 152. საგანგებოდ გადაფხეკილი აღაპია (203 r). მისი გადანაწერია № 33 აღაპი (იხ. კომენტარები).

## $IX_3$

შეიცავს გრიგოლ და იოანე ქობულისძეთა ორწევრა აღაპის მეორე წევრს (39/145) (202 r).

## $IX_4$

№ $33^{ა}$ აღაპი (187 v- 188 r) დაწერილია როგორც გაგრძელება 33 ძირითადი აღაპისა, რომელიც ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით არის დაწერილი (იხ. ნიკოლოზ გულაბერისძის ტაბულა $X_1$).

№ 33 აღაპი (187 v-ს მარცხენა და ქვემო კიდეებზე), განწესებული მიქაელ ხუცეს კანანახისათვის, წარმოადგენს ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით გადაწერილი № 152 გადაფხეკილი აღაპის პირს (ტაბ. $X_1$ ). 33 აღაპის გადაწერის შემდეგ 152-ე აღაპის ტექსტი გადაუფხეკიათ, მაგრამ მიქაელ კანანახის ახალ ევლოგიისთან დაკავშირებით საჭირო გამხდარა ამ ფაქტის კვლავ აღნიშვნა. ამისათვის მამა პავლემ № 33 აღაპს 187 v-188 r-ს ქვემო კიდეებზე თავისი ხელით მიაწერა მიქაელ კანანახის მეორე მოსახსენებელი ($33^{ა}$). ამიტომ აღაპები 33 და $33^{ა}$ განაწილებულია ხელის მიხედვით ორ ტაბულაზე (IX–X).

აღაპი 39-ე, ქობულისძეთათვის განწესებული ორწევრა აღაპის (39/145) პირველი წევრი.

აღაპი № 69 განწესებულია მელეტისათვის. მიწერილია 193 r-ზე.

აღაპი № 109 განწესებულია ბააჲ მანოელისათვის. აღაპი შევიტანეთ მამა პავლეს ტაბულაში, მაგრამ აღაპის ხელი ეჭვს იწვევს.

## $IX_5$

შეიცავს აღაპებს: № 54 (191r), განწესებულია არიშიანისთვის.

№ 167 (213 r), პავლეს განწესებანი კანდელთა შესახებ. ეს აღაპი შეუერთდა № 165 აღაპს (იხ. $IX_1$ ტაბ.).

## $IX_6$

აღაპი № 148 (202 v-203 r), განწესებული თბილელი ხანბაშურის, არსენ მარდეზის ძისათვის.

№ 28 აღაპი (186 r), პირველი წევრი ორწევრა აღაპისა 28/148.

№ 147 აღაპი (202 v), მეორე წევრი ორწევრა აღაპისა 14/147, განწესებული იოანე ზანცუასთვის.

ტაბ. X (ნიკოლოზ გულაბერისძისა)

## $X_1$

შეიცავს შემდეგ აღაპებს:

№ 33 (187 v), განწესებული მამა პავლეს მიერ, დაწერილი ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით. იგი წარმოადგენს მამა პავლეს ხელით დაწერილი აწ გადაფხეკილი № 152 აღაპის პირს (იხ. № 152 აღაპის კომენტარი და $IX_2$ ტაბულის განმარტება). ნიკოლოზ გულაბერისძეს ეს აღაპი გადაუტანია თაფლაისძის საალაპე წიგნის ძირითად ნაწილში და 187v-ს მარცხენა და ქვემო კიდეებზე მიუწერია კალენდარული რიგის დაცვით. აღაპი განწესებულია მიქაელ ხუცეს კანანახისთვის. ამ აღაპის განწესების შემდეგ მიქაელ ხუცეს კანანახს კვლავ შეუწირავს მონასტრისათვის ფულადი შესაწირავი. მამა პავლეს საჭიროდ მიუჩნევია კვლავ მოსახსენებლის განწესება მისთვის. ეს მოსახსენებელი ($33^a$) მას მიუწერია № 33 აღაპისათვის 187 v-სა და 188 r-ს ქვემო კიდეებზე. ეს გაგრძელება ხელის მიხედვით (პავლეს ხელი) შეტანილია $IX_4$ ტაბულაში ($33^a$).

№ 153 (203 v) ორწევრა აღაპის (95/153) მეორე წევრი. აღაპი განწესებულია თამარ დედოფლისათვის. აღაპის ხელითვეა დაწერილი მინაწერი № 153 აღაპის ტექსტის გასწვრივ მარცხენა კიდეზე (იხ. აგრეთვე ტაბ. $X_4$).

№ $146^a$, მეორე ნაწილი ორნაწილიანი აღაპისა (146, $146^a$). ოქროპირ ხარაზისათვის თაფლაისძის საალაპე წიგნის გაგრძელებაში (202 v) შეტანილია ორწევრა აღაპი 132/146. რაც შეეხება № 146 აღაპის ტექსტს, იგი დაწერილია მსხვილი კუთხოვანი თავისებური ნუსხურით. № 146 აღაპის გასწვრივ მარცხენა კიდეზე ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით მიწერილია ცნობა, თუ როგორ იქნა გამოყენებული და განაწილებული ოქროპირ ხარაზის „ნაშენებნი ზეთისხილნი" ($146^a$).

## $X_2$

შეიცავს სამ აღაპს: № 14 აღაპი, პირველი წევრი ორწევრა (14/147) აღაპისა, რომელიც განწესებულია იოანე ბანცაასთვის. მეორე წევრისთვის (№ 147) იხ. ტაბ. $IX_6$.

№ 155 აღაპი, განწესებული იოანე მწიგნობართუხუცესისათვის (204 r- 205 v).

№ 82 აღაპი, განწესებული გაბრიელისთვის (194 r).

## $X_3$

A558 (ფფ. 165-169). ეს ხუთი ქაღალდის ფურცელი აღდგენილია ნიკოლოზ გულაბერისძის ხელით.

## X$_4$

იერ. ალაპი (№ 317), განწესებული შოთა მეჭურჭლეთუხუცე-სისათვის.

იერ. ალაპი (№ 54), განწესებული ანტონ ალავერდელისათვის.

ალაპი № 95 (195 r), პირველი წევრი ორწევრა ალაპისა 95/153, განწესებული თამარ დედოფლისათვის.

№ 153 ალაპის მინაწერი.

ქუთ. 14 ხელნაწერის მინაწერი (29 v).

## ტაბ. XI

შეიცავს ორ ალაპს: 123 და 138.

ორივე ალაპი, ეჭვგარეშეა, ერთი პირის დაწერილი უნდა იყოს.

№ 138 ალაპი (200 r) განწესებულია მონასტრის მამის, იოანე კალაკალასა და მისი დეკანოზის, იოანე თაფლაისძისათვის.

№ 123 ალაპი განწესებულია გიორგი მჭედელა ქართველისათვის.

## ტაბ. XII

შეიცავს 3 ალაპს: № № 22, 57, 104.

№ 22 ალაპი განწესებულია მიქაელ მამაყოფილისათვის, ე. ი. იმ ალაპების შემდეგ, რომლებიც განწესებულია მიქაელის მამობის წლებში (იხ. კომენტარი და წინამძღვართა რიგი). დაწერილია 186 r-ს ქვემო კიდეზე.

№ 57 ალაპი განწესებულია პანაშვიდი მონასტრის ძმის ათანასე-სათვის, რომელმაც მისცა ქართველთა ეკლესიას „დრაჰკანი-პერპერაჲ [რაოდენობა მითითებული არ არის] დიდითა სასოებითა“. დაწერილია ალაპი 191 v-ს ქვემო თავისუფალ კიდეზე.

№ 104 ალაპი განწესებულია ვაჩეყოფილი ბასილისთვის, რომელმაც მისცა ეკლესიას „320-ისა დრაჰკნისა პერპერისაჲ ხატად, დრაჰკნად და სტავრად“. დაწერილია ალაპი 195 v-ს მარცხენა და ქვემო კიდეებზე.

სამივე ალაპი განწესებული უნდა იყოს იოანე თაფლაისძის გარდაცვალების შემდეგ (იხ. თაფლაისძის საალაპე წიგნის გაგრძელებები).

## ტაბ. XIII$_{1-5}$

შეიცავს შემდეგ ალაპებს: 132, 146, 154, 80, 156. ალაპები დაწერილია მეჩხერი, კუთხოვანი ნუსხურით. დამწერის ვინაობა უცნობია, მამა პავლეს თანამედროვე მოღვაწე უნდა იყოს (XII საუკუნის 70-80-იანი წლები). მისი ხელით არის დაწერილი № 165 ალაპის II ნაწილი (ტაბ. IX$_1$),

რომელშიც თავმოყრილია ქართველთა მონასტერში პავლეს მიერ ჩატარებული ყველა სახის სამუშაო.

132/146 ორწევრა აღაპი განწესებულია ოქროპირ ხარაზისათვის (202 v).

№ 132, ორწევრა აღაპის პირველი წევრი, ჩაწერილია თაფლაისძის ძირითადი სააღაპე წიგნის 199 r-ს მარჯვენა კიდეზე. აქ მითითებულია მხოლოდ დღე ოქროპირის პანაშვიდის გადახდისა. პანაშვიდის განგებაზე კი წერია „ბოლოსა ჰპოო" (იგულისხმება № 146 აღაპი).

80/154 ორწევრა აღაპი № 80 (194 r) აღაპი ჩაწერილია თაფლაისძის ძირითადი სააღაპე წიგნის 194 r-ს მარჯვენა კიდეზე, აღაპისათვის განწესებული თვისა და დღის გასწვრივ. ამ აღაპის განგება № 154 ჩაწერილია თაფლაისძის სააღაპე წიგნის გაგრძელებაში (203 v). განწესებულია ეს ორწევრა აღაპი გიორგი ქართველისათვის (ტაბ. $XIII_2$).

№ 156 აღაპი პავლე ქუთათელისათვის (206 r), განწესებული მამა პავლეს მიერ 1183 წ. პავლე ქუთათელი ანტონ საღირისძის წინამორბედი უნდა იყოს (იხ. ტაბ. $XIII_1$ და კომენტარი).

### ტაბ. $XIV_{1-2}$

წარმოდგენილია შემდეგი აღაპები:

ორნაწილიანი აღაპი, განწესებული გიორგი ციხისჯვარელისათვის: № № 135 (199 v) და 139 (200 r).

აღაპი № 128 (198 v) განწესებული იოანე ფოფხაისძისათვის (ტაბ. $XIV_2$).

№ 124 აღაპი ჯერასიმესი (198 r).

### ტაბ. $XV_{1-3}$

შეიცავს შემდეგ აღაპებს:

№ 157 აღაპი განწესებულია ივანე სხალთგაწევისათვის (206 r). იგი განეკუთვნება თაფლაისძის სააღაპე წიგნის „გაგრძელებას" ($XV_1$).

№ 160 აღაპი განწესებულია ოქროპირ აბულასანის ძისა და მისი მეუღლისათვის (207 r). იგი განეკუთვნება თაფლაისძის სააღაპე წიგნის „გაგრძელებას" ($XV_1$).

№ 159 აღაპი განწესებულია ანასუღლისა და მისი შვილის, იაღისათვის (207 r). განეკუთვნება „გაგრძელებას" ($XV_3$).

№ 161 აღაპი თევდორე ჭილაკისძისათვის და დედამისის, ხარე-ბასთვის ($XV_2$, 207 v).

## ტაბ. XVI

შეიცავს ორწევრა ალაპს 105/144. განწესებულია იგი მამა პავლესა და მთელი საკრებულოს მიერ ნიკოლოზ გულაბერისძისათვის (196r, 201v). ათონის ქართველთა მონასტრის აღდგენა-აშენებისათვის დღიდან მისი ათონის მთაზე ჩასვლისა.

## ტაბ. XVII

შეიცავს ერთ ალაპს – № 158. ალაპი განწესებულია 1184 წელს მამა პავლესთვის მისი წინამძღვრობიდან გადადგომასთან დაკავშირებით, როდესაც მან თავისი ფუნქციები დიდ იკონომოს გიორგის გადააბარა (206 v).

## ტაბ. XVIII (ნარევი)

შეიცავს ორ ალაპს: № 142 და № 7. ეს ალაპები არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული არც ხელით და არც სხვა რაიმე ნიშნით.

№ 7 ალაპი დაწერილია დაღალისონელის სააღაპე წიგნში თაფლაისძის მიერ ჩართულ ფურცელზე (184, იხ. № 8 ალაპის კომენტარი).

№ 142 ალაპი შეტანილია თაფლაისძის სააღაპე წიგნის „გაგრძელებაში", განწესებულია იგი ევფროსინე პროტოსევასტისა და მიხეილ პროტოსევასტოსისათვის. ეს, ერთ-ერთი პირველი ალაპი „გაგრძელებისა", XII საუკ. 60-იანი წლებით უნდა დათარიღდეს (201 r).

ხელით № 142 ალაპს გარკვეული მსგავსება აქვს თაფლაისძის „მიმბაძველის" ხელთან (შდრ. № 140 ალაპს, ტაბ. III), მაგრამ მათი იდენტურობის მტკიცება ძნელია.

## ტაბ. XIX (ნარევი)

ტაბულაში გაერთიანებულია სხვადასხვა მდივანმწიგნობრული ხელით ნაწერი სამი ალაპი (№ № 36, 65 და 144ᵃ).

№ 36 ალაპი (XII ს. მდივანმწიგნობრულით) განწესებულია ვინმე მაკარისათვის (188 r). ალაპი წარმოადგენს ორწევრა ალაპის პირველ წევრს, სადაც აღნიშნულია, რომ ალაპის ძირითადი წევრი, ე. ი. განგება, ბოლოშია შეტანილი („ბოლოსა ჰპოვო"). სინამდვილეში თაფლაისძის სააღაპე წიგნის არც „გაგრძელებაში" და არც სადმე სხვაგან ეს ალაპი არ ჩანს.

№ 65. დაწერილია აღაპი თაფლაისძის ძირითადი საალაპე წიგნის 192 v-ს ქვემო კიდეზე. განწესებულია ირისე ფურთუკალადყოფილისა, ბორენას დისათვის.

№144 . ნიკოლოზ გულაბერისძის შემაჯამებელი აღაპის (№ 144) მეორე ნაწილი, მიწერილი ძირითადი აღაპისაგან განსხვავებული მდივანმწიგნობრული (201 v) ხელით, დაწერილი ნ. გულაბერისძის ათონზე მოღვაწეობის წლებში (1178-1183).

## ტაბ. XX

ტაბულაში გაერთიანებულია ერთი ხელით დაწერილი სამი აღაპი. ერთი – № 162 – პატრონ ქაიხოსროს აღაპ-მოსახსენებელი, განწესებული მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1498 წელს), მეორე– (№ 163) – მოსახსენებელი პატრონ ქაიხოსროს გაზრდილის ამბროსისთვის. მესამე – № 164– აღაპი- მოსახსენებელი პატრონ ბაადურისა (209 r- v). ორი აღაპი (№ № 162, 163) ამბროსის ხელით არის დაწერილი. ეს სამივე აღაპი ქრონოლოგიური ამოვარდნაა ათონის საალაპე წიგნიდან, ვინაიდან ათონის საალაპე წიგნი (თავისი სამი ნაწილით – დაღალისონელის, თაფლაისძის საალაპე წიგნით და თაფლაისძის საალაპე წიგნის „გაგრძელებით“) იფარგლება 985-1184 წლებით. ათაბაგების აღაპები კი XV საუკუნის დამდეგისა და XVI საუკუნის დამდეგისაა. სამივე აღაპი დაწერილია ათონის საალაპე წიგნში გვიან ჩამატებულ 2 ფურცელზე (208-209).



1

ტაბ. $I_2$ (დ)

1



ეროვნული ბიბლიოთეკა



11



12

13



15

16

17



18

19

20

24

ეროვნული ბიბლიოთეკა



26

27

29

ეროვნული ბიბლიოთეკა

34



35

37

38

40



ეროვნული
ბიბლიოთეკა

48



49



50



61

62

63



166

8



44

45



46





64



97

98

122



140



30



ეროვნული ბიბლიოთეკა

32



6





9



141

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბ. VII$_2$ (ი.)

47



ტაბ. VIII$_1$ (ვ.)

21





143



47ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

143



5



165





165

165





165

ეროვნული ბიბლიოთეკა

165



ტაბ. $IX_1$



165

ტაბ. $IX_2$ (ბ)



149



88



150



151



23



152

ეროვნული ბიბლიოთეკა



145

ეროვნული ბიბლიოთეკა

33ა

39

69

109



ტაბ. $IX_5$ (ვ)



54



167

ეროვნული ბიბლიოთეკა



148



28



147

ტაბ. $X_1$ (ნ. გ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

153

33



146F

ტაბ. $X_2$ (ნ. ვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



155



14



82

A 558 165 r

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტაბ. $X_3$

A 558 165 v

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. $X_3$
A 558 166 r

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. $X_3$
A 558 166 v

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტაბ. $X_3$

A 558 167r



ტაბ. $X_3$

A 558 167 v

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. $X_3$

A 558 168 r



ტაბ. $X_3$

A 558 168 v

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. $X_3$

A 558 169 r

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. $X_3$

A 558 169 v

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



იერ. 54



იერ. 317



ქუთ. 14 (29 v)
მინაწერი



95



153-ე ადაპის მინაწერი
(ადაპი № 153 იხ. ტაბ. $X_1$)

ეროვნული ბიბლიოთეკა

123



138



ეროვნული
ბიბლიოთეკა

22



57

104

ეროვნული ბიბლიოთეკა

128



124



ელექტრონული ბიბლიოთეკა



146



132



156

ეროვნული ბიბლიოთეკა

154



80



ეროვნული ბიბლიოთეკა



135



139

157



160



ეროვნული
ბიბლიოთეკა



161

159



ეროვნული
ბიბლიოთეკა



105

144

158



ეროვნული ბიბლიოთეკა



142



7

ეროვნული ბიბლიოთეკა



65

144ა

36

ეროვნული ბიბლიოთეკა



162



163

164nf,



# A D D E N D A

თ. ხაჟომია

ვნული ბიბლიოთეკა

## „ათონის კრებულის" აღაპთა ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის

ათონის მონასტრის აღაპები შემონახულია ცნობილ „ათონის კრებულის" XI საუკუნის ხელნაწერში[1].

აღაპები, ექვთიმე ათონელისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებასთან ერთად, გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1901 წელს[2].

ხელნაწერის რედაქციები დაადგინა და მეცნიერულად აღწერა ნ. ბერძენიშვილმა[3]. ამ ნაშრომში დადგენილია ხელნაწერის პირვანდელი სახე და შემდგომი რედაქციული ხასიათის ცვლილებანი; შენიშვნები ეხება აგრეთვე აღაპების ტექსტებსაც, ამიტომ ჩვენ ამ საკითხებს არ შევეხებით, მხოლოდ გავიმეორებთ, რომ აღაპთა ტექსტები დაწერილია სხვადასხვა ხელით, სხვადასხვა დროს და მათი ქრონოლოგიური ჩარჩო, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, XI–XIII საუკუნეებს არ სცილდება.

ათონის კოდექსში აღაპები მოთავსებულია 183 r–213 r-ზე. ტექსტები ერთმანეთისაგან გამოყოფილია მცირე ინტერვალით ან აბზაცით. ყოველი აღაპის დასაწყისში აღნიშნულია თარიღი და ვინაობა იმ პირის, ვისთვისაც არის იგი განკუთვნილი. საწყისი ასოები დაწერილია მთავრულით, ხშირად სინგურით.

აღაპთა ტექსტების დანაწერობაში ძირითადად გამოირჩევა ორი ხელი. ერთი ეკუთვნის მიქელ დაღალისონელს, რომლის ხელით დაწერილია 22 აღაპი[4]. ეს ხელი წარმოადგენს XI საუკუნის დახრილ კუთხოვან ნუსხურს. აღაპები განეკუთვნება 1074 წელს[5]. მეორე ხელი

---

[1] დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. შიფრი: A 558.

[2] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა. თბილისი, 1901 წ.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ათონის კრებულის" რედაქცია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI–B, 1941 წ., გვ. 25–40.

[4] №№ 1, 11, 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 24 (ნაწილი), 26, 27, 29, 34, 35, 37, 38, 40 (ნაწილი), 48, 49, 50.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „ათონის კრებულის რედაქცია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI–B, 1941 წ., გვ. 31.

ეკუთვნის იოანე თაფლაჲსძეს და მკვეთრად განსხვავდება დალალისონელის დანაწერობიდან. იგი მცირე ზომის, სტრიქონში მჭიდროდ ჩამჯდარი, ასწვრივი ნუსხურია, ხოლო ასოთა შტრიხები სწორხაზოვანია, რის მიხედვითაც ხელი XI საუკუნის მიწურულს, ან XII-ის დასაწყისს უნდა განეკუთვნებოდეს. თაფლაჲსძის ხელით დაწერილია 75 ალაპზე მეტი[6].

არის აგრეთვე სხვადასხვა ხელით ჩამატებული, კიდეებზე მიწერილი ალაპებიც, რაც იმ რედაქტირების შედეგი უნდა იყოს, რომელიც ამ ტექსტებს ოდესღაც განუცდიათ.

ხსენებულ ალაპებში მოცემულია მდიდარი ისტორიული ხასიათის მასალა, რომელიც აშუქებს XI–XIII სს. ქართველთა სოციალურ-პოლიტიკური ყოფისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. ამ ტექსტების შესწავლითა და მეცნიერული გამოცემით მ. ჯანაშვილმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ საისტორიო მეცნიერებას[7].

გამოცემულ ალაპთა ტექსტებში ყურადღებას იპყრობს ზოგი ადგილის წაკითხვა; დედანთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ

---

[6] №№ 8, 40, 41, 42, 43, 50 (ნაწილი), 51, 52, 53, 55, 56, 58, 59, 60,61, 62, 63, 66, 67, 68, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 81, 83, 84, 85, 86, 87, 89, 90, 91, 92, 93, 94, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 106, 107, 108, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 125, ნაწ. 126, 127, 129, 130, 133, 134, 136, 137 და 166.

„ათონის კრებულის რედაქციის" მიხედვით თაფლაჲსძის ხელით დაწერილია 74 ალაპი. ვფიქრობთ, ალაპი № 89 მექანიკურად უნდა იყოს გამოტოვებული (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 30), რადგან ამ ალაპის ხელი სავსებით იდენტურია ზემოაღნიშნულ ალაპთა ხელისა, რაც შეეხება №№ 2, 3, 4, 10, 31, 44, 45, 46 და 140 ალაპთა ხელს, როგორც პალეოგრაფიულმა და ენობრივმა ანალიზმა დაგვარწმუნა, ისიც ი. თაფლაჲსძეს უნდა ეკუთვნოდეს; ამ საკითხს სპეციალურად ვიხილავთ ნაშრომში, „ათონის მონასტრის ალაპები", რომელიც მზადდება გამოსაცემად.

[7] ათონის კრებულის ალაპები მთლიანად ამის მეტად გამოცემული არ ყოფილა. თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ალაპის ტექსტი შემოკლებულად. ქრონიკები 1, გვ. 270–275. ალაპთა ტექსტების ხელს ეხება კ. კეკელიძე ნაშრომში „ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან". თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, 1937 წ., გვ. 139–160. ხოლო ა. ნატროევი იძლევა აგრეთვე ალაპებში მოხსენებულ პირთა და მათ შემოწირულებათა მოკლე ნუსხას რუსულ ენაზე. იხ. მისი ნაშრომი: „Иверский монастырь на Афоне..." 1909 წ., გვ. 313–330.

ზოგიერთი წაკითხვა დაზუსტებას მოითხოვს. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი აღაპი გამოცემაში თავის ადგილას არაა მოთავსებული.

1. იოანე ბანცუასათვის 9 დეკემბერს დაწესებული პანაშვიდის (გამოცემის მიხედვით № 14) ტექსტი ასეთია:

„თუესა დეკემბერსა: თ დაუწესეთ პანაშჳდი იოანე
ბანცუასა: რამეთუ სიყრმითგან ნამუშაები მისი
ოთხმეოცდა ათი ძირი ზეთისხილი შემოსწირა საჴიროსა
ჟამსა, იე პერპერაჲ, და უფროჲსღა მსახურეულობი-
სთვის მონასტრისა. ამისთჳს გაუწესეთ აღაპი და
ამას დღესასწაულსა... დიდითა... ამასვე დღესა
გიორგი აბაზ ყოფილისა და დედა მამ...“[8]

დედანში ეს აღაპი ამ სახით არის წარმოდგენილი:
„თუესა[9] დეკემბერსა: თ: დაუწესეთ პანაშჳდი იოანე
ბანცუასა, რამეთუ სიყრმითგან
ნამუშაები მისი ოთხმეოცდაათი ძირი ზეთის
ხილი შემოსწირა საჴიროსა ჟამსა
:იე: პერპერაჲ და უფროჲსღა მსახურეულო-
[ბისათჳს]
მონასტრისა. ამისთჳს გაუწესეთ აღაპი და ამას დღეს [ა..]
[ ს͠შნ – მ͠მ დიდითა ͠ ზ ]“

მეხუთე სტრიქონი, პატივის ჩამოჭრის გამო განადგურებულია[10]. შემორჩენილია მხოლოდ ასოთა ზემო შტრიხები და ერთი სიტყვა „დიდითა“, რომელიც (სავარაუდებელია, ჩამატების მიზნით) ოდნავ სტრიქონს ზემოთ ყოფილა დაწერილი და ამიტომაც გადარჩენილია მთლიანად.

ამდენად მ. ჯანაშვილისეული წაკითხვა ამ სტრიქონისა: „დღესასწაულსა... დიდითა... ამასვე დღესა გიორგი აბაზ ყოფილისა და დედა მამ...“ ნებისმიერი ჩანს.

2. შავ არსენის სახელზე დადებული მოსახსენებელის ტექსტი (გამოცემის მიხედვით № 25) ასე იკითხება:

---

[8] იხ. გამოც., გვ. 219, № 14.

[9] ტექსტი მოგვყავს ქარაგმების გახსნით, იხ. ხელნაწ. 185r.

[10] ეს სტრიქონი ჩამოჭრილი ყოფილა მ. ჯანაშვილის დროსაც. იხ. გამოც. გვ. 219, შენიშვნა № 1.

„(ამასვე თუესა):[11] **ⴈⴇ**: შავ არსენისი: ღამე (?) მოუკლებელად (?) ნთია სანთელი[12]“.

დედანში ეს ტექსტი მოთავსებულია დალალისონელის ხელით დაწერილი ალაპის მარცხენა კიდეზე, ვიწრო ზოლად, თერთმეტ სტრიქონად. პირველ სტრიქონზე მხოლოდ ორი ასოს ადგილია; ამათგან ჩანს მეორე ასო ქარაგმით, პირველისგან კი მხოლოდ ორი წერტილია შემორჩენილი. მეორე, მეოთხე, მეექვსე და მერვე სტრიქონებზე ორ-ორი ასოა, მეხუთე, მეცხრეზე კი ოთხ-ოთხი. მეშვიდე სტრიქონზე ერთი ასო, ხოლო მეათე, მეთერთმეტე სტრიქონების წაბლალულ არეზე თითო-თითო საეჭვო ასო-ღა ჩანს.

ტექსტი ამჟამად შემორჩენილია შემდეგი სახით:

| | |
|---|---|
| 1. | „ : თ |
| 2 | შა |
| 3 | ვ |
| 4 | არ |
| 5 | სენი |
| 6 | სი |
| 7 | [ ... ]ე |
| 8 | [.] და |
| 9 | ნთია |
| 10 | თ |
| 11 | ლი“[13] |

მოყვანილ დედნისეულ ტექსტში, პირველ სტრიქონზე უნდა იყოს, „ⴉⴇ“ (29) და არა **ⴈⴇ** (19), როგორც ეს გამოცემაშია. რადგან პირველი ასოდან მკრთალად შემორჩენილი ორი წერტილი, რომელიც შეცდომით ⴈ-დ არის წაკითხული, არის ნუსხური ⴉ-ს მარჯვენა და მარცხენა შტრიხების ნაწილები. რომ პირველ სტრიქონზე **„ⴉⴇ“** უნდა ყოფილიყო და არა **„ⴈⴇ“**, ამას მოწმობს ისიც, რომ ტექსტი მიწერილია **ⴉⴆ** (27) დეკემბრის ალაპის გასწვრივ და არა **ⴈⴆ** (17) დეკემბრის ტექსტზე[14]. მეორეც, შავ „არსენის“-თვის ალაპი დადებულია ხელნაწერის სხვა გვერდზე, სწორედ **„ⴉⴇ“** (29) დეკემბერს[15]. რაც შეეხება მინაწერის

[11] ეს ორი სიტყვა ჩამატებულია გამომცემლის მიერ.

[12] იხ. გამოც. გვ. 221 № 25.

[13] იხ. ხელნაწ. 186v.

[14] იხ. გამოც. გვ. 220, № 17 და № 24, გვ. 221.

[15] იხ. გამოც. გვ. 217, № 3.

მერვე და მეცხრე სტრიქონებს, მათი იმგვარად ამოკითხვა, როგორც ეს გამოცემაშია, მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან ამ სტრიქონებზე გარკვევით იკითხება „ჲა“ (მერვეზე) და „ნთია“ (მეცხრეზე), ხოლო მეშვიდე სტრიქონზე, სადაც ამჟამად მხოლოდ ასო ჟ ჩანს, კიდევ ორი ასოს ადგილია; ამიტომ სიტყვა **„მოუკლებლად“** მერვე, მეცხრე სტრიქონებზე და ვერც მეშვიდეზე ვერ იქნებოდა დაწერილი.

ზემოთქმულის საფუძველზე დაზიანებულ ტექსტს ასე აღვადგენთ:

„ამასვე თუესა კთ, შავ არსენისი [ღამე] [წმიდა]ჲ ანთია
[სან] თ [ე]ლი“.

3. მ. ჯანაშვილის გამოცემის მიხედვით № 28 აღაპში ვკითხულობთ:

„ამის თჳსსა ზ. იანვარსა აღაპი არს ქუნსიარის (?) (განგება ბოლოსა ჰპოო)“.

დედანში ეს აღაპი მიწერილია ძირითადი ტექსტის მარცხენა კიდეზე შვიდ სტრიქონად [XI ს.] ნუსხურით. ტექსტი შემორჩენილია შემდეგი სახით:

„ამის თჳსსა
ზ: იანვრსა
აღაპი არ
ს [ . ] ნისი არის
გნგებჲ ბო
[ლო]სა.
ჰ[პო]ო“[16]

მესამე და მეოთხე სტრიქონები, რომლებიც ნაკლებ დაზიანებულია, შედარებით ძნელი წასაკითხია. ამ სტრიქონებზე მოცემულია საკუთარი სახელი, რომელიც გამოცემაში წაკითხულია, „ქუნსიარის“-ად, მაგრამ მ. ჯანაშვილს ასეთი სახელის არსებობა საეჭვოდ მიუჩნევია და გამოცემაზე დართულ შეცდომათა გასწორებაში „ქ უ ნ ს ი ა რ ი“ „ჯ უ ა ნ შ ე რ ა დ“ შეუცვლია[17].

ვფიქრობთ, არცერთი წაკითხვა სწორი არ უნდა იყოს. შეცდომა წარმოდგება მეოთხე სტრიქონზე დაზიანებული მეორე ასოს არასწორი წაკითხვით; დაზიანებული ასოს მარცხნიდან მარჯვნივ ოდნავ დაქანებული მუქი შტრიხი და მასზე დართული მეზობელი ასოს კიდური ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ იგი ერთ შემთხვევაში

---

[16] იხ. ხელნაწ. 186 v.

[17] იხ. გამოც. გვ. XXV 222.

წაკითხულია **ქ**-დ, ხოლო მეორე შემთხვევაში **ჯ**-დ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასო არის **ე**. დაზიანებულ ასოს შემორჩენილ შტრიხზე, მარცხნივ, მეტად მკრთალად დართული მოკლე კუთხოვანი კიდური, უეჭველს ხდის ასო **ე**-ს მოხაზულობას[18]. მაშასადამე, მესამე სტრიქონის ბოლოში და მეოთხეს დასაწყისში გვაქვს საკუთარი სახელის არსენის ნანათესაობითარი სახელობითის ფორმა „ა რ ს ე ნ ი ს ი"[19].

ქარაგმების გახსნისა და დაზიანებული ადგილების აღდგენის შემდეგ, მინაწერის ტექსტი ასე იკითხება: „ამის თჳსასა შ ვ ი დ ს ა იანვ[ა] რსა ალაპი არსენისი არის. განგებაჲ ბოლოსა ჰპოო"[20].

რომ ზემოთ მოყვანილ მინაწერში ნამდვილად „არსენი" იხსენიება, ამას ადასტურებს შვიდი იანვრის თარიღით არსენის სახელზე დადებული ალაპი, რომელიც მინაწერში მოცემული მითითების მიხედვით— „განგებაჲ ბოლოსა ჰპოო", მართლაც, ხელნაწერის თითქმის ბოლო ფურცლებზე გვხვდება[21]. ეს ალაპი შეიცავს შემდეგს:

„თუესა იანვარსა: **ზ**: | ალაპი განუწესეთ არსენი მარდე | ზისძესა თბილელსა ხანბაშურსა. ამისთჳს ალე |სრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა, ლოცვითა, პანაშჳდითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგეშინისცე |მითა ძმათაჲთა. ეწდეოდის მწუხრი სამი და |სამხრად ოთხი. და ვინ არა გარდაიკადოს | ღმერთსა მან გასცეს პასუხი. მოგუცა პერპერაჲ **კ** და **იჱ**; მემსგეფსე მისთჳს მას დღესა ჟამსა უწირვიდეს"[22].

ამრიგად, ირკვევა, რომ № 28 ალაპის დაზიანებულ ტექსტში ნამდვილად მოხსენებულია **არსენი** და არა **„ქუნსიარი—ჯუანშერ"** და, რომ ეს არსენი ყოფილა—**არსენი მარდეზისძე თბილელი ხანბაშური.**

4. ირისე ფურთუკალასთვის დადებულ ალაპში, გამოცემის მიხედვით (№ 65), იკითხება „ლიტრა" კ; უნდა იყოს „ლიტრა: კ̃ა:"[23]

5. № 150 ალაპში მოხსენებულთ **ვარდანს**, მეუღლეს მისსა **მარიამს** და მათ შვილს **გიორგის**, შეუწირავთ ეკლესიისათვის პერპერაჲ „ო̃ა" და არა „უა", როგორც ეს გამოცემაშია[24].

---

[18] იხ. ხელნაწ. 186 v.

[19] იქვე სტრიქონები 3 და 4.

[20] შდრ. გამოც. გვ. 222 № 28.

[21] იხ. ხელნაწ. გვ. 202 v–203 r. გამოც. გვ. 257 № 148.

[22] ტექსტი წაკითხულია ქარაგმების გახსნით.

[23] გამოც. გვ. 233 ალაპი № 65, შდრ. ხელნაწ. 192 v.

[24] იხ. გამოც. გვ. 258. № 150, შდრ. ხელნაწ. 203r.

6. ხელნაწერის 187 v-ზე მოთავსებულია ორი აღაპი (გამოცემით № 32, 33). აღაპთა ტექსტების თავისებური განლაგების გამო ისინი ერთმანეთში ჩართვით არის გამოცემული.

№ 32 აღაპი დადებულია პ̃ე ხუცისათვის. მას ათონის მონასტრისათვის შეუწირავს საკუთარი ხელით გადაწერილი „სათუეონი ათორმეტთა თუეთანი“ შვიდ წიგნად და კურთხევანი; ამდენად ბუნებრივია, რომ აღაპში ქვემოთაც საუბარი უნდა ყოფილიყო მხოლოდ პ̃ე ხუცესზე, მაგრამ აღაპის დასასრულს, სადაც ტექსტის შინაარსი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, სრულიად მოულოდნელად გამოცემაში ვკითხულობთ: „... კუალად ამან მიქელ მოგუცა პერპერა: ჲ: სასნეულოჲ[ს] საშენებლად და აღაშენა კალავროჲ, სახლი საძირკველითა, და ვენაჲი და რაჲდა არის ყოველი უანდერძა ეკლესიასა, რომელი ყოვლად აღარაჲ იყო. აწ ღუთისათჳს ნუვინ დააკლებთ, რათა...“[25].

აქ წყდება № 32 აღაპის ტექსტი. იგი დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს და თანაც გაუგებარია, საიდან გაჩნდა აქ „მიქელ“, რომლის შესახებ ზემოთ არაფერი იყო თქმული. ცხადია, ტექსტის ეს ნაწილი № 32 აღაპის ტექსტს არ უნდა ეკუთვნოდეს.

ასევე ბუნდოვანი და ბოლომოკვეცილი ჩანს № 33 აღაპიც. ეს გარემოება, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვეულია ტექსტების ერთმანეთში აღრევით.

№ 32 აღაპის ტექსტს ხელნაწერის მთლიან გვერდზე (187 v-ზე) უჭირავს 24 სტრიქონი; დაწერილია საშუალო ზომის მეთერთმეტე საუკუნის ნუსხურით; აღაპის ტექსტის ირგვლივ დატოვებულია საკმაოდ ვრცელი არეები, რომლებზედაც მოთავსებულია № 33 აღაპის ტექსტის სტრიქონები შემდეგი განლაგებით: მარცხენა კიდეზე, ძირითადი ტექსტის (აღაპი № 32-ის) დასწვრივ, მოთავსებულია ოთხი სტრიქონი; ამათგან პირველი სამი იკითხება თანმიმდევრობით, გადადის ქვემო პატივზე ორ სტრიქონად და აღწევს მის შუა ნაწილამდე. შემდეგ ისევ იკითხება მარცხენა კიდის მეოთხე სტრიქონი, ვიდრე ქვემო პატივის შუამდე, სადაც მთავრდება ამ აღაპის ტექსტის ერთი ნაწილი; აღაპის ეს ნაწილი დაწერილია წვრილი, კალიგრაფიული (XII ს) ნუსხურით და გამოყოფილია მეორე ნაწილისაგან სინგურით და ტექსტისავე მიხაკისფერი მელნით დაწერილი ტიხრე-

[25] იხ. ათონის კრებული, გვ. 223, № 32.

ბით[26]; ტექსტის მეორე ნაწილი მოთავსებულია ამავე გვერდის ქვემო პატივის მარჯვენა ნაწილში სამ სტრიქონად და 188 r-ს ქვემო პატივზე ოთხ სტრიქონად[27]; ალაპის ეს ნაწილი დაწერილია პირველი ნაწილის ხელით, ოღონდ უფრო დიდი ზომის ასოებით[28], რომელიც პირველი შთაბეჭდილებით მსგავსია № 32 ალაპის ხელისა (ნიშანდობლივი თავისებურებებით კი არსებითად განსხვავებული) და უშუალოდ მისდევს მის ბოლო სტრიქონებს. ვფიქრობთ, ამ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო შინაარსით განსხვავებული ტექსტების ერთის მეორეში ჩართვა. დადგენილი ტექსტი № 32 ალაპისა ასე წაიკითხება[29]:

> „თუესა იანვარსა: ი͞ვ: ალაპი განგჳწესებია პ͞ჲ ხუ-
> ცისათვის მე, მამამან ი͞ჲ და ყოველთა ძმათა, შემო-
> წირნა ეკლესიასა ამან კურთხეულმან ძმამან
> ჩუენმან პ͞ჲ ხუცესმან სათუეონი ათორმეტთა
> თუეთანი, თავისა მოგებულნი და თჳსითა
> კელითა დაწერილნი შჳდად წიგნად, ყოვლით-
> ურთ სრულნი სიტიქარონითა (!) და ყოვლითა
> საგალობელითა, ვითარცა წმიდისა მამის გიორგის ნუსხა-
> თა შინა სწერია უნაკლულოდ. და ამისა
> უწინა შემოეწირნეს კურთხევანი სრულნი, მისვე
> სანატრელისა მამისა გიორგის თარგმნილნი და ამის
> ყოვლისათჳს განვაწესეთ, დღესასწაულსა წმიდისა
> და ყოვლად ქებულისა მოციქულისა პ͞ჲს ჯა-
> ჭუთა თაყუანისცემისასა, რათა საუკუნოდ აღე-
> სრულებოდის ალაპი მისი ყოვლითა მოსწრა-
> ფებითა, პანაშჳდითა და ყოვლისა ლოცვისა წე-
> სითა, წესისაებრ და ანაფორითა და ჟამისწ-
> ირვითა და ძმათა ნუგეშინისცემითა. და ეწ-
> დიოს მწუხრსა სამი და სამხრად ოთხი. და ვი-
> ნცა ვინ შემდგომად ჩუენსა უდებ იქმნას და უგულებ-

[26] იხ. ხელნაწ. 187 v.

[27] იხ. ხელნაწ. 188 r.

[28] რომ ეს იგივე ხელია, ამას ადასტურებს ცალკეულ (დ, მ, ქ) ასოთა სრულიად იდენტური მოხაზულობა.

[29] ტექსტი, გარდა რიცხვისა და საკუთარი სახელებისა, წაკითხულია ქარაგმების გახსნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელს ყოს და არა გარდაიკადოს წლითი-წლ-
ად, ანუ დააკლოს რაჲ ვინ, ანუ ლოცვასა,
ანუ ჟამისწირვასა, ანუ ძალისამებრ ნუ-
გეშინისცემასა ძმათასა, ღმერთსა მან გასცეს პასუხი“[30].

აქ მთავრდება ალაპის ტექსტი, რის შემდეგაც მოდის ამავე გვერდის აშიებზე მოთავსებული ალაპი № 33, რომლის ტექსტი ასე იკითხება:

„ამასვე თუესა იანვარსა: ი̄ჱ: წმიდისა ათანასის და კჳრილეს
დღესასწაულსა: განუწესეთ მიქელ ხუცეს კანანახსა,
რათა გარდაეკდებოდის, ვითარცა სხუათა ყოველთა განწესებულთა
სამწუხროდ[31] გალობითა და კუწრექსითა და კრა-
სეულითა, და დილასა წირვითა და ეგრეთვე კრასეულითა და
ლოცვითა. და ვინცა შეცვალოს და
და (!) დაჰკსნას ესე ჩუენი განწესებული,
ღმერთმან იგი შეცვალოს ქრისტეანობისაგან.
ამან ძმამან ჟამსა დიდად საჭიროსა მოსცა: ლ̄: პერპერაჲ,
რამეთუ კელინთა დამწუართა ვაშენებდით და
მას ჟამსა დიდად გუწჳმარებოდა.
კუალად ამან მქ̄ლ მოგუ-
სცა (!) პერპერაჲ : ი:
სასნეულოჲ საშენებლად.
188 r. და აღაშენა კალავროჲ. სახლი
საძირკუწ-
ლითა და ვენაკი და რაჲღა არის ყ[ვე] ლა (!) უ[ა]ნ[დ]ე [რძა][32]
ეკლესიასა, რომელ ყოვლად აღარაჲ იყო. აწ ღმერთისათჳს
ნუვინ დააკლებთ, რათა...... რ.... მ

აქ მთავრდება № 33 ალაპის ტექსტი, რომლის ბოლო სტრიქონები წაჭრილია მკაზმავის მიერ.

ამრიგად, № 32 ალაპის ტექსტს ჩამოსცილდა ორგანიული ნაწილი № 33 ალაპისა, რასაც გაუგებრობა შეჰქონდა ორივე ტექსტების წაკითხვაში[33].

---

[30] შდრ. გამოცემა, გვ. 223 № 32.
[31] გამოცემაშია „სამწუხაროდ“.
[32] გადასულია ნაწერი.
[33] შდრ. გამოც. გვ. 223–224.

7. გამოცემის მიხედვით № 40 ალაპში ვკითხულობთ: „თუესა იანვარსა კთ ალაპად განგჳწესებია გრიგოლ ერისთავთა ერისთავისა* აბუსერისძისათჳს და გრიგოლ შაბუაჲს ძისა...“[34].

ამ ტექსტში საეჭვოდ მიგვაჩნია წაკითხვა „შაბუაჲსძისა“. მოყვანილ სიტყვაში („შაბუაჲსძე“) იდენტური მოხაზულობისაა პირველი და მესამე ასო (**შ** და **ბ**). ამიტომ თუ პირველ ასოს წავიკითხავთ **შ**-დ, მაშინ ანალოგიური მოხაზულობის მეორე ასოც უნდა წაკითხულ იქნას **შ**-დ და პირუკუ; მაშასადამე, უნდა იკითხებოდეს ან „შაშუაჲსძე“ ან „ბაბუაჲსძე“.

ალაპის ტექსტში გვაქვს რამდენიმე სიტყვა ასო **ბ**-თი წარმოდგენილი („აბუსერის“, „განგჳწესებია“ და სხვა), რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ **ბ**-ს და **შ**-ს შორის სხვაობა; **ბ**-ს **შ**-სგან განსხვავებით მარცხნიდან მარჯვნივ ქვემოთ მკვეთრად დაქანებული ბუნი აქვს, მარცხნივ მობრუნებული მისი კაუჭიც უფრო მაღალი და კუთხოვანია; **შ** კი უფრო განიერი და მრგვლოვანი მოხაზულობისაა. წერტილით დამთავრებული მისი მარცხენა შტრიხი, ბადის მეოთხე ხაზს თითქმის არ სცილდება.

ჩვენთვის საინტერესო სიტყვაში მესამე ასოს მოხაზულობა სავსებით ემთხვევა პირველი ასოს მოხაზულობას და განსხვავდება **ბ**-ს მოხაზულობისაგან ზემოაღნიშნული ნიშნებით; ამდენად ალაპის ტექსტში უნდა წავიკითხოთ– „**შაშუაჲსძისა**“ და არა „შაბუაჲსძისა“. როგორც გამოცემაშია. რომ ასეთი გვარი უცხო არ არის, სხვა წყაროებითაც დასტურდება, მაგალითად, სინას მთის ხელნაწერში მოთავსებულ სულთა მატიანის ვრცელ ნუსხაში ვკითხულობთ:

„სულსა **შაშვაჲშვილისა** გერმანოს შეუნდოს ღმერთმან...“[35]

„სულსა **შაშვაშვილსა** სჳმონს შეუნდოს ღმერთმან“[36].

8. ხელნაწერის 203 r-ზე, მეოთხე ალაპის ქვემოთ, ამავე ალაპთა ხელით (XII ს. ნუსხურით) მოთავსებულია რვა სტრიქონი აწ გადაფხეკილი ტექსტისა (გამოცემით ალაპი № 152). ეს ალაპი გამოცემის მიხედვით ასეა წაკითხული:

---

* დედანში –ერისთვისა.

[34] გამოც. გვ. 225. № 40 შდრ. ხელნაწ. 188 v.

[35] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწ., გვ. 246, ხელნაწერის როტო.: ს24/11 199 v.; ტექსტი მოგვყავს ქარაგმების გახსნით.

[36] ი ქ ვ ე, გვ. 247, ხელნაწ., გვ. 201 r.

„თუესა იანვარსა: ი Ⴇ, წმიდისა ათანასეს დღესასწაულსა;
დავაწესეთ აღაპი იოსებ (?) კანანახისაჲ, რათა გარდაიკდე-
ბოდის ვითა სხუათა შემომწირველთაჲ... ამან
ძმამან იოსებ... და დაგუიწერნა
მისსა სიცოცხლესა... კურთხევაჲ“[37].

დაზიანებული ტექსტის ეს წაკითხვა, ვფიქრობთ, არ არის ზუსტი. პირველ სტრიქონს აკლია რამდენიმე სიტყვა, მეორე სტრიქონში შეცდომითაა ამოკითხული საკუთარი სახელი „იოსებ“; სიზუსტეს მოკლებული ჩანს აგრეთვე სხვა სტრიქონების წაკითხვაც.

ხელნაწერში აღნიშნული ტექსტი ამ სახითაა შემორჩენილი:

1 თ̄ჲ ინვრსა ი̄Ⴇ წ̄ისა ათანას... დ [კ] კ[რ...დღ] სსწ

2 ლსა [მქლ] ხ [..] ცს კანან.ხსა რ̄ა გრ̄დაე [......]

3 სხ [თ] ა ყთა [გ] ნ......ა სმწხროდ [......]

4 და..................

5 ამნ ძმმნ [ქ] .. დ.დ. .... .. სა მო....

6 .. და.........

7 .. კდ......

8 ..............

დაზიანებული ადგილების აღდგენის შემდეგ ტექსტი ასე იკითხება:

1 თუესა იანვარსა იႧ წმიდისა ათანასეს დ [ა კვ[რილეს] დღესასწა

2 ულსა მიქელ ხ[უცე] ს კანანახსა რათა გარდაე [კდებოდეს] ვითარცა

3 სხუათა ყოველთა განწესებულთ] ა სამწუხროდ..

4 და...

5 ამან ძმამან ქ[ამსა] დ[იდა]დ [საჭირო] სა მო [სცა].

6 ..............

7 .. კუალად..“[38]

გადაფხეკილ არეზე მეტის ამოკითხვა არ ხერხდება, მაგრამ ამოშიფრული ტექსტიც საკმარისია დავადგინოთ ფაქტი, რომ კრებულში მოგვეპოვება ანალოგიური შინაარსის აღაპი № 33, რომელსაც ქვემოთ ვუდარებთ ამოშიფრულ ტექსტს.

---

[37] იხ. გამოც. გვ. 258.

[38] იხ. გამოც. გვ. 258 № 152.

| № 33, ხელნაწ. 187 v | № 152, ხელნაწ. 203 r |
|---|---|
| **ამასვე** თუესა იანვარსა იჱ, | თუესა იანვარსა იჱ, წმიდისა |
| წმიდისა ათანასის და კჳრილეს | ათანასეს და კჳრილეს დღესას- |
| დღესასწაულსა, **განუწესეთ** მიქელ | წაულსა მიქელ ხუცეს კანანახსა, |
| ხუცეს კანანახსა, რათა გარდაე- | რათა გარდაეკდებოდის ვითარცა |
| კდებოდის, ვითარცა სხუათა ყო- | სხუათა ყოველთა განწესებულთა |
| ველთა განწესებულთა. სამწუხროდ | სამწუხროდ......... |
| გალობითა კუმრეჴსითა, და კრასე- | .......................... |
| ულითა, და დილასა წირვითა, და ეგ- | .......................... |
| რეთვე კრასეულითა და ლოცვითა. და | .......................... |
| ვინცა შეუცვალოს და დაჰკსნას ესე | .......................... |
| ჩუენი განწესებული, ღმერთმან იგი | .......................... |
| შეცვალოს ქრისტეანობისაგან. ამან | .......................... |
| ძმამან ჟამსა დიდად საჭიროსა, | .......................... |
| მოსცა ლ̃ პერპერაჲ, რამეთუ კელინ- | ამან ძმამან, ჟამსა დიდად....... |
| თა დამწუართა ვაშენებდით და მას | .......................... |
| ჟამსა დიდად გუმკმარებოდა. კუალად | ... კუალად....................... |
| ამან მიქაელ... | .............................. |
| | .............................. |

ალაპთა ტექსტების შედარებიდან ირკვევა, რომ აღდგენილი ალაპის სტრიქონები სავსებით ემთხვევა № 33 ალაპის ტექსტს, გარდა პირველი სიტყვისა–„ამასვე". იგი არ გააჩნია აღდგენილ ტექსტს გარკვეული მიზეზის გამო. ეს ალაპი 203 r–ზე მოთავსებულია დეკემბრის თვის ალაპის ქვემოთ, სადაც აღნიშნული სიტყვა საჭირო არ არის, ხოლო ხელნაწერის 187 v–ზე ალაპი მიწერილია იანვრის თვის ალაპის კიდეზე, სადაც აუცილებელი გახდა სიტყვის „ამასვე"-ს დართვა.

187 v–ზე მოთავსებულ იმავე შინაარსის ალაპთან შედარებით მას მეორე სტრიქონში აკლია სიტყვა „განუწესეთ", რაც გადამწერის მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, 187 v–დან ტექსტის გადმოტანის დროს დაშვებული.

ხოლო რაც შეეხება მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სტრიქონებზე ამოკითხულ ცალკეულ სიტყვებს და ასოებს, ისინი აგრეთვე ემთხვევა მოყვანილი ალაპის სათანადო ადგილებს.

ტექსტების ასეთი დამთხვევა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ № 152 ალაპი იგივეა, რაც ოცდამეცამეტე ალაპი, ხოლო ერთი მათგანის სხვა ადგილას გადატანა რედაქციული ხასიათის ოპერაცია უნდა

იყოს. ამიტომ აღაპი № 152, როგორც ანალოგიური ტექსტის შემცვე-ლი, ამოღებული უნდა იქნეს საერთო სათვალავიდან.

9. გამოცემით № 158 აღაპის ტექსტში (ხელნაწ. 206 v) წინადადება „ტრიკეფალი: ჩ:", გამოცემაზე დართულ შეცდომათა გასწორებაში უმართებულოდ არის გასწორებული „ტრიკეფალი" ც:"–დ[39], დედნის მიხედვით აქ უნდა დარჩეს „ტრიკეფალი: ჩ:", რადგან ასო ჩ იმავე სახითაა დაწერილი სხვა სიტყვებშიაც (შდრ. იქვე: „გამოარჩიეს" და „ლაფანჩითა")[40].

10. გამოცემის მიხედვით № 159 აღაპში ვკითხულობთ: „ა იანვარსა, დღესასწაულსა წმიდისა სილიბისტროჲსა: განუწესეთ აღაპი ანასუილის და შვილსა მისსა იაღის...". აღაპის ტექსტში სწო-რად არ უნდა იყოს ამოკითხული საკუთარი სახელი–„ანასუილი". ამ სიტყვაში უ-ს შემდეგ ნუსხური ღ შეცდომით წაკითხულია ი-დ. დედნის მიხედვით ტექსტის ეს ადგილი ასე უნდა წავიკითხოთ:

„განუწესეთ აღაპი **ანასუღლის** და შვილსა მისსა **იაღის**" (ხელნწ. 207 r).

რომ აქ ნამდვილად **ანასუღლი** იხსენიება და არა **ანასუილი**, ეს დასტურდება ჯვარის მონასტრის ერთ-ერთი (№ 287) აღაპის ტექსტითაც, რომელიც სვინაქსარში ექვსი აგვისტოს საკითხავის გასწვრივ არის მიწერილი. აქ ვკითხულობთ:

„ამასვე
დღესა აღაპი
**არს ანასუღლისი**
საუკუნოჲ. მოგუცა
ას ოცდაათი დუ-
კატი: და ამისა
შემდგომად შექმნა ჯუარი
ოთხმოც დუკ-
ატად და დაა-
სუჱ ნა საკუ-
რთხევლსა ზ [ედა]
და ამისსა შემდგომად
მეფე იჱრუსალიმისაჲ

---

39 იხ. გამოც. გვ. XXVI–264.

40 იხ. ხელნაწერი 206v, სტრ. 20 და წდრ. სტრ. 5.

გაგჳწ[ყ]რა და
რაჲცა მონას-
ტრისაჲ იყო დაგჳ|ჭირა. ოქროსა (!)
გუთხოვდა და
დიდსა ჭირსა შე-
ვცჳვდით ულო-
ნობისგან არწ-
მუნა ღმერთმან და ასი
დუკატი მისთჳს
შეგუაწია ჩუენ
დაუწესეთ რომელ
ზედა მწირველი
ყოველთა ჟამის წირვა[თ]
ა და ჰლოც-
ვიდეს სა[ხე]ლ
დები[თ] მას და
შვილსა მის[სა] ია [.:] ს[41]

ეს აღაპი, ისე როგორც ამავე სახელის შემცველი ათონის აღაპი, დაწერილია მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების ნუსხურით.

აღნიშნულ აღაპთა შედარება სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ორივე აღაპში მოხსენებული უნდა იყოს ანასულლის შვილი **იაღი**. კერძოდ, ათონის მონასტრის № 159 აღაპში გარკვევით იკითხება ანასულლის შვილად **იაღი**.
რაც შეეხება ჯვარის მონასტრის № 287 აღაპს, იქ. ნ. მარი იძლევა ბოლო სტრიქონების ასეთს წაკითხვას:

ყ˜თა ჟ˜ის წირვა [თ]
ა დაჰლ[ოც]
ვიდეს ს[ახელ]
დების მა[ს და]
შვილსა მ[ის მ]
იერ[სა].

ნ. მარი ამავე დროს, აღაპის ბოლო სტრიქონის შესახებ შენიშნავს: ”Я бы ожидал имя этого сына, но мне не удалось

---

[41] იერუსალიმის ხელნაწერის როტოპირი $^{27}/_{24}$ 287 r;

вычитать какое либо имя. За მ этот я не стою: вставлена эта буква по догадке"[42].

ათონის მონასტრის № 159 ალაპის სათანადო ადგილის გაშიფვრის შემდეგ ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ აქაც, ჯვარის მონასტრის № 287 ალაპშიაც, იგივე პირებია მოხსენებული. ჯვარის მონასტრის ალაპთა ფოტოპირისა და მიკროფილმის შემოწმებამ ეს ვარაუდი კიდევ უფრო სარწმუნო გახადა და ნ. მარის მიერ გამოთქმული ეჭვი მ-ს შესახებ გამართლდა.

ჩვენი წაკითხვით აქ გამოდის:

„ყოველთა ჟამის წირვა[თ]
ა დაჰლ [ოც]
ვიდეს სახელ
დები [თ] მს და
შვილსა მის[სა]
ია[ლი]ს

ბოლო სტრიქონში „ი ა ს“ უეჭველად იკითხება, ლ და ი, მართალია, არ ჩანს, მაგრამ მათი ადგილი ივარაუდება.

ჩვენი აზრით, აქაც იგივე ანასულლის შვილი იალი უნდა იკითხებოდეს[43].

11. გამოცემის მიხედვით ალაპი № 165 შეიცავს განწესების წესს. გამოცემულ ტექსტში ვკითხულობთ:

„ეკლესიისა შტოსა დაუვსებელი კანდელი ი და მთავარანგელოზთა ეკლესიასა კანდელი ხუთი, პორტისა ყ͠დ წმიდისა ეკლესიასა კანდელი ზ, დაუვსებელი ა“[44].

დედანში ეს ტექსტი დაწერილია 212 r-ს დასასრულს სამნახევარ სტრიქონზე, მაგრამ „დაუვსებელი: ა:“ მიწერილია მეორე სტრიქონის ბოლოში, მარჯვნივ ტექსტის ასწვრივ, ტექსტისავე ხელით.

---

[42] ნ.მარი, ალაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს.-პეტერბურგი, 1914, გვ. 70, № 287. შენ. № 2.

[43] იხ. ხელნაწერის როტოპირი: ი $\frac{27}{24}$ 287r. შდრ. ნ. მარი, ალაპნი ჯვარის მონასტრისანი. გვ. 70 № 287 (ბოლო სტრიქონები).

[44] იხ. გამოც. გვ. 272, ქვემოდან მეორე აბზაცი.

გამოცემაში ეს მინაწერი, როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, მოთავსებულია აბზაცის ბოლოს და, ვფიქრობთ, სრულიად უმართებულოდ; რადგან ავტორს რომ ასეთი განზრახვა ჰქონოდა, მას ხომ იმთავითვე შეეძლო ეს წინადადება მეოთხე სტრიქონზე მოეთავსებინა, სადაც საამისოდ თავისუფალი ადგილი იყო[45]. მაგრამ როგორც ავტოგრაფიდან ჩანს, იგი ამ მინაწერს ათავსებს დაუმთავრებელ სიტყვის ასწვრივ, კიდეზე (რადგანაც სტრიქონზე მის ჩასამატებლად ადგილი არ არის).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ამ ტექსტს ასე ვკითხულობთ:

ეკლესიისა შტოსა დაუვსებელი კანდე-
ლი: დ: და მთავარანგელოზთა ეკლესი-
ასა კა[ნ]დელი ხუთი. დაუვსებელი ა პორტაიტისა
ყოვლად წმიდასა
ეკლესიასა კანდელი: ზ:...

12. გამოცემის მიხედვით ამავე განგების ტექსტში ბოლო სტრიქონი წაკითხულია ასე:

..."მ... უწესოჲ არაჲ დაგვწესებია"[46]

დედანში კი ეს ადგილი ასე იკითხება:

... და [სხუაჲ უწ]ესოჲ არაჲ დაგვწესებია[47].

13. გამოცემაში განგების წესის ქვემოთ მოცემულია ასეთი შინაარსის ტექსტი:

ქ. ესე ყველაი ჩემითა ჴელითა დამიმტკიცებია ზემოითა დაწერილი ვინ შეცვალოს ღმერთმან სჯულისაგან შეცვალენ. მე პავლეს დამიწერია ქრისტეს აქეთ ჳნს ტე[48].

დედანში ეს მინაწერი მოთავსებულია განგების ტექსტის მარცხენა კიდეზე დასწვრივ ორ სტრიქონად, ხოლო ამ მინაწერის გაგრძელება გადადის ამავე გვერდის ქვემო პატივზე აგრეთვე ორ სტრიქონად.

---

[45] შდრ. ხელნაწ. A 558, 212r.
[46] იხ. გამოც. გვ. 273 და გასწორება გვ. XXVI, 273.
[47] იხ. ხელნაწ. 212v.
[48] იხ. გამოც. გვ. 237.

დაწერილია XII საუკუნის მდივანმწიგნობრულით აწ გადასული მიხაკისფერი მელნით და იკითხება ასე:

ქ. ესე ყლ̄ი ჩმითა კელითა დამიმტკიცებია
ზემოითა დაწერილი. ვინ შეცვალოს წყ[ე..][49]
იყს დ. შე[...]ნებ[.]ლ]ე
პ[...]ს და [ ] [ქნს] ტ.][50]

გადასულ ტექსტს ასე აღვადგენთ:

ქ. ესე ყოველი ჩემითა კელითა დამიმტკიცებია
ზემოითა დაწერილი. ვინ შეცვალოს წყ[ეულიმც]
იყოს დ [ა] შე [ჩუც]ნებ [უ] ლ [მ]ე
პ[ავლე]ს დამიწერია [ქრონიკონს ტ]

ამჟამად აქ უკეთ ამოკითხვა არ ხერხდება, რადგან ტექსტი სავსებით გადასულია.

14. გამოცემაში 274 გვერდზე მოცემულია განაწესი კანდელთა დადებისა № 167. განგების წესის ტექსტს სქოლიოში დართული აქვს შენიშვნა.

„ერთი სადიაკნოსა მთავარანგელოზისა წინაშე“[51]

დედანში ეს შენიშვნა მოთავსებულია თექვსმეტ სტრიქონად დაწერილი განაწესის ტექსტის მარჯვენა კიდეზე (მეხუთე და მეცხრე სტრიქონების გასწვრივ), ხუთ სტრიქონად. ვფიქრობთ, ტექსტისავე ხელით[52].

მინაწერის ტექსტის გარკვეულ სტრიქონების გასწვრივ მოთავსება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი სწორედ იმ ადგილს უნდა განეკუთვნებოდეს, სადაც მოთავსებულია. ამის საფუძველზე განგების ტექსტს ასე ვკითხულობთ.

„მე, მამამან[53] პავლე ყოველთა ძმათა კითხვითა განვაწესენით ამათ წმიდათა კანდელნი დაუვსებელად, სამარადისოდ: ყოვლად წმიდისსა სადიაკნოჲსა კართა ზედა, წმიდათა მამათა ქართველთაჲ, წმიდისა იოანე მახარებელისაჲ,

---

[49] ხელნაწ. გვ.2/2 v მარცხენა კიდეზე ორ სტრიქონად.
[50] იქვე სტრიქონები 21, 22; ქვემო პატივზე.
[51] იხ. გამოცემა, გვ. 274, შენიშვნა № 2.
[52] ხელნაწ. 213 r.
[53] ტექსტი მოგვყავს ქარაგმების გახსნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმიდისა გიორგისი და წმიდისა დიმიტრისი **[ერთი სადიაკონოჲსა მთავარანგელოზისა წინაშე]** ამისთჳს
დაგჳწესებია რომელ ყოვლად მეოხნი არიან ჩუენი-
სა ნათესავისანი. ვინცა, რაჲსაცა მიზე-
ზისათჳს შეცვალოს დაუჳსებლობაჲ,
შემცაცვალებელ არს შჯულისაგან ქრისტე-
ანეთაჲსა და ჰრისხავსმცა მამაჲ
ძე და სული წმიდაჲ და ესე ყოველნი წმიდანი, რომელ
ზემო დაგჳწერიან, და ვინაცა ესე
წერილი ამოკოცოს, ამცაკოცილ
არს საკსენებელი მისი წიგნისა
მისგან ცხოველთაჲსა და შეჩუე-
ნებულ იყოს ნისტორს და ორი-
გინეს თანა და ყოველთა მწვალ-
ებელთა თანა“.

როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ზოგი აღაპი გამოცემაში თავის ადგილას არ არის მოთავსებული და მოითხოვს გადაჯგუფებას.

15. გამოცემის მიხედვით აღაპი № 36 შეიცავს ასეთ ტექსტს: „ამასვე თუესა: ი͠თ დღესასწაულსა წმიდისა მაკარისსა ბოლოსა ჰპოვო“[54]. ხელნაწერში იგი მიწერილია 188 r-ზე, 17 იანვრის აღაპის (გამოც. № 34) გასწვრივ, მარჯვენა კიდეზე, ცხრა სტრიქონად. მისი მოთავსება 17 იანვრის აღაპის გასწვრივ და აგრეთვე მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა (17 და 19 იანვარი) გვავალებს, რომ ტექსტი № 36 აღაპისა მოვათავსოთ 17 იანვრის აღაპის (№ 34) შემდეგ. გამოცემაში კი ეს მოთავსებულია კ͠ა იანვრის აღაპის (№ 35) შემდეგ.

ამრიგად, აღნიშნული აღაპები დედნის მიხედვით უნდა დალაგდეს ასეთი თანამიმდევრობით: № № 34, 36, 35.

16. გამოცემით აღაპი № 104, დადებული 21 აგვისტოს, ვაჩეყოფილ ბასილისათვის, მოთავსებულია 31 აგვისტოს აღაპის ქვემოთ (გამოცემით № 103).

ხელნაწერში კი ეს აღაპი (№ 104), მოთავსებული 195 v-ზე, მიწერილია სამი აღაპის (20,29 და 31 აგვისტოს, № № 101, 102, 103) მარცხენა კიდეზე დასწვრივ, ერთ სტრიქონად, და ექვს სტრიქონად ქვემო ბატივზე, თანაც იმავე აღაპის მელნით ორ აღაპს შუა (№ № 101 და

[54] ხელნაწ. 188 r. მინაწერი მარჯვენა კიდეზე: გამოცემით გვ.224 № 36.

102). ჩამატების ნიშნად გავლებულია ჰორიზონტალური ბოლო-კაუჭიანი ხაზი. ეს კი განსაზღვრავს ადგილს № 104 ალაპისათვის[55].

ამდენად, დედანში 195 v-ზე მოთავსებული აგვისტოს ოთხი ალაპი გამოცემაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით; 20/VIII-ს (№ 101), 21/VIII-ს (№ 104), 29/VIII-ს (№ 102), 31/VIII-ს (№ 103).

17. ალაპების გამოცემის მიხედვით №№ 130 და 131 ხელნაწერში შეიცავს ასეთ ტექსტს:

„თუესა ნოემბერსა: ი̃ზ ალაპი არს წმიდისა მამისა ჩუენისა
გრიგოლისი და
ვითარცა სჳნგელოზისათჳს სწერია ყოველივე დაუკლებელად
აღესრულებოდენ
წესი ლოცვისა და ჟამისწირვისაჲ და ნუგეშინისცემაჲ ძმათაჲ
ტრაპეზსა და ხუთ-ხუთი სასუმელი. და მასვე დღესა
მოიჴსენებოდიან ზაქარია და არსენი“[56]

გამოცემაში ზაქარიას და არსენის მოსახსენებელი გამოყოფილია ცალკე ალაპად[57], რაც დედნისეულ მართლწერას არ ეთანხმება.

18. გიორგი ციხისჯვარელის სახელზე, 28 ნოემბერს, დადებულია ორი ალაპი (გამოცემის მიხედვით № № 135 და 139). ეს ალაპები, შინაარსით ერთი მეორისაგან გამომდინარე, მოთავსებულია ხელნაწერის სხვადასხვა ფურცელზე.

ალაპი № 135 მიწერილია 199 v-ს ქვემო ნახევარზე, № 139 ალაპი კი დაწერილია ხელნაწერის 200 r-ს აგრეთვე ქვემო ნახევარზე ისე, რომ ორივე ალაპი გაშლილ ფურცელზე ერთი მეორის გასწვრივ არის მოთავსებული.

შინაარსით დაკავშირებული და ერთი ხელით დაწერილ ალაპთა გათიშვა სხვადასხვა რედაქციების შედეგი ჩანს. ამასვე ადასტურებს № 139 ალაპის მოთავსება გადანაფხეკ არეზე[58]. ამდენად საჭიროა ორივე ეს ალაპი № № 135 და 139 მოთავსდეს ერთად. ამას მოითხოვს, როგორც მათი განლაგება, ისე მათი შინაარსი.

ასეთია მოკლე შენიშვნები ათონის მონასტრის ალაპთა ტექსტებზე, რომელთა გათვალისწინება საჭიროდ მიგვაჩნია არსებული გამოცემით სარგებლობის დროს.

---

[55] იხ. გამოც. გვ. 241 და 242.
[56] ხელნაწ. 199 r.
[57] გამოც. გვ. 249–250 № 130 და 131.
[58] იხ. ხელნაწ. 199 v და 260 r.

## ე. მეტრეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X–XII სს.)

ივირონი აშენდა 981-983 წლებში იოანე-თორნიკეს ინიციატივით როგორც ქტიტორული მონასტერი – საკუთრება ჩორდვანელთა სახლის წევრებისა. თორნიკეს ჩანაფიქრით, მონასტერში მხოლოდ ქართველებს უნდა ეცხოვრათ. ამისთვის მონასტრის მშენებლობის პროცესში მან ტაოდან ათონს წაიყვანა „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი“ (ცხორება, §25,1)[1]. მაგრამ მალევე ნათელი გახდა, რომ მარტო ქართველების ხელით მონასტერი ვერ აშენდებოდა, ვინაიდან ქართულ საკრებულოში მენავენი და ხელოსნები ან სულ არ იყვნენ, ან არასაკმარისი რაოდენობით. მენავეები და ხელოსნები ქართველმა მამებმა ბერძენთა შორის მოიპოვეს და „ესრეთ, ღმრთისა შეწევნით, სრულ იქმნა შენებაჲ მონასტრისაჲ“ (§25, 1–3). ამრიგად, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, უკვე მონასტრის მშენებლობის დროს ქართველი მამები იძულებულნი იყვნენ ბერძნების „შეყვანებად“ მონასტერში, ვინაიდან თავიდანვე ნათელი იყო, რომ „ესევითარისა ვრცელისა ლავრისა დამჭირვაჲ“ მარტო ქართველებისათვის „უღონო“ იყო (§ 25,3). ამიტომ გარდაუვალი იყო ივირონში ბერძენთა დამკვიდრება, მათი რაოდენობრივი ზრდა, და ივირონის ქართულ-ბერძნულ საკრებულოთა ინტერესების დაპირისპირება. ეს მოსალოდნელი საფრთხე მალე მწარე სინამდვილედ იქცა.

ივირონში ბერძენთა მომრავლებასა და მომძლავრებას რამდენადმე ხელს უშლიდა წინამძღვრის დადგენის ქტიტორული წესი, რომელიც თავიდანვე მოქმედებდა მონასტერში. მონასტრის მშენებლობის დამთავრების უმალვე იოანე-თორნიკემ ერთპიროვნულად თავის „თჳსს“, იოანე იბერს, დააკისრა მონასტრის წინამძღვრობა. ამასთანავე დააწესა, რომ მომავალშიც მონასტრის წინამძღვრად ჩორდვანელთა სახლის წევრი ყოფილიყო, რომელიც უნდა დაესახელებინა წინა წინამძღვარს. ერთდროულად დასახელებული ორი კანდიდატი ერთიმეორის მომდევნოდ დაიკავებდნენ წინამძღვრის პოსტს[2].

---

[1] იოანე და ეფთვიმეს „ცხორებისათვის“ აქაც და ქვემოთაც მივუთითებთ აკ. შანიძის 1946 წლის გამოცემას.

[2] თანამდებობაზე ორი კანდიდატის ერთდროულად დასახელება, ეტყობა, ბერძნულ მონასტრებშიც გავრცელებული პრაქტიკა იყო. ასე დაასახელა ათანასე ლავრელმა თავის ანდერძში ლავრის ეპიტროპებად იოანე და ეფთვიმე: Actes de Lavra, I, p. 19.

ბუნებრივია, ივირონის ბერძნული საკრებულო ცდილობდა წინამძღვრის დადგენის ეს წესი მოეშალა, ქართველები კი ამ წესის დაცვით ვარაუდობდნენ მონასტერი ქართველებისათვის შეენარჩუნებინათ. ამრიგად, ივირონის წინამძღვრის დადგენის წესს ერთნაირად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონასტრის როგორც ქართული, ასევე ბერძნული საკრებულოებისთვის.

ივირონის ქტიტორები, ჩორდვანელთა სახლის წევრები მონასტერში თავიდანვე განსაკუთრებული პრივილეგიებით რომ სარგებლობდნენ, ეს სხვა ფაქტებითაც მტკიცდება[3]. მონასტრის ქტიტორის იოანე სვინგელოზის (თორნიკეს) გარდაცვალებასთან დაკავშირებით მონასტერში შეიქმნა სააღაპე წიგნი, რომელშიც პირველ აღაპად ჩაიწერა იოანე სვინგელოზის აღაპი მდიდრული განგებით. ეს სააღაპე წიგნი 200 წლის მანძილზე ივსებოდა ახალი აღაპებით, მათ შორის ჩორდვანელთა სახლის წევრების აღაპებითაც.

ქართული და ბერძნული წყაროების შესწავლამ საშუალება მოგვცა ათონის სააღაპე წიგნში გამოგვეყო რამდენიმე ქრონოლოგიური პლასტი, მათ შორის უძველესი, რომელიც იოანე სვინგელოზის აღაპით იწყებოდა და შეიცავდა მხოლოდ ჩორდვანელთა სახლის წევრთა და ნათესავთა აღაპებს. ე. ი. თავდაპირველად სააღაპე წიგნი შეიქმნა როგორც ჩორდვანელთა სახლის წევრების აღაპების წიგნი. ეს ფენა სააღაპე წიგნისა იფარგლებოდა 984–1042 წწ. ეს აღაპები გამოირჩევიან სხვებისაგან იმით, რომ მათთვის განწესებულია იგივე განგება, რაც იოანე სვინგელოზისათვის, შემდეგი ფორმულირებით: „ვითარცა სჳნგელოზისასა სწერია". ჩორდვანელთა სახლის წევრთა შორის რამდენიმე წინამძღვრის ტიტულით არის მოხსენებული აღაპებში.

ივირონი ქტიტორულ მონასტრად 1042 წლამდე რჩებოდა. ამ ხნის მანძილზე მონასტრის წინამძღვრად ყოველთვის ჩორდვანელთა სახლის წევრები ინიშნებოდნენ. როგორც ზემოთ ითქვა, მონასტრის პირველ წინამძღვრად იოანე-თორნიკემ იოანე ქართველი [თავისი თჳსი] დაადგინა. თავის მხრივ იოანე ქართველმა გარდაცვალების წინ წინამძღვრად დაასახელა თავისი შვილი ეფთვიმე, ხოლო მის დამხმარედ და მემკვიდრედ გიორგი I ვარაზვაჩე.

წინამძღვრობის მიტოვების შემდეგ ეფთვიმემ თავის მემკვიდრედ დაასახელა თავისი ნათესავი გიორგი I ვარაზვაჩე[4], როგორც ამას იოანე

[3] ვრცლად ამის შესახებ იხ. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები..., გვ. 35-37.

ქართველი მოითხოვდა, ხოლო მის დამხმარედ და მემკვიდრედ – მამა გრიგოლი: „ძმანი ქართველნი მამასა გიორგის და მამასა გრიგოლს შეჰვედრნა" – ვკითხულობთ „ცხორებაში". ორივე კანდიდატი ჩორდვანელთა სახლის წევრი იყო (ცხორება, § 118,6).

მაგრამ ჩორდვანელთა სახლის წევრების მონასტრის წინამძღვრად განწესება მაინც არ იყო რადიკალური საშუალება ივირონის ბერძნული საკრებულოს ზრდის შესაჩერებლად და მათი გაზრდილი პრეტენზიების ასალაგმავად. პირველ რიგში საჭირო იყო თვით ქართულ საკრებულოში წესრიგის დამყარება და მონასტრის სამეურნეო საქმიანობაში ქართველების აქტიური ჩაბმა. ეს ძალიან კარგად ესმოდა იოანე იბერს, რომელმაც სიკვდილის წინ დამოძღვრა ეფთვიმე და ჩააბარა მას მონასტერი: „ეგულებოდა რაჲ აღსრულებაჲ, – ვკითხულობთ „ცხორებაში" – ყოველი კელმწიფებაჲ და უფლებაჲ ეფთჳმეს მისცა, რაჲთა რომელიცა განგებაჲ და წესი ენებოს, იგიცა დაუდვას მონასტერსა და მას ზედაცა განკანონოს და შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს" (§ 39,1).

ეფთვიმემ შეასრულა მამის ბრძანება და მონასტერს განუწესა „წესი და განგება, დამამტკიცებელნი სარწმუნოებისა ჩუენისანი", რომელიც მოიცავდა როგორც დისციპლინარულ, ასევე ზნეობრივი წვრთნის წესებს[5].

გიორგი მცირე, აფასებს რა ეფთვიმეს დამსახურებას ქართველი ერის წინაშე, საგანგებოდ ჩერდება მის მიერ შედგენილ სამონასტრო წესსა და განგებაზე: ეფთვიმემ, „ვითარცა მეათცამეტემან მოციქულმან, ქუეყანაჲ ჩუენი ღვარძლთაგან სრულიად განწმიდა მრავლად თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა... და წესნი და კანონი ეკლესიისანი, დამამტკიცებელნი სარწმუნოებისა ჩუენისანი, ესე ყოველნი აღწერილად დაგჳტევნა, რომელნი-იგი წმიდისა ამის მთისაგან და ღმრთივაღშენებულისა ლავრისა, ვითარცა მდინარისაგან ედემისა ნაკადულნი ცხორებისანი პირსა ზედა ქუეყანისა და ნათესავისა ჩუენისასა მიეფინ-

---

[4] გიორგი რომ „თჳსი" იყო ეფთვიმესი და, მაშასადამე, ჩორდვანელთა სახლის წევრი, ამას „ცხორებიდან" ვგებულობთ: „შემდგომად თჳსა უბრძანა, რაჲთა გიორგის დაუტეოს მამობაჲ, რომელი-იგი თჳსივე იყო მათი, კაცი სახელოანი და ფრთხილი კორციელთა საქმეთა ზედა" (§ 39,2).

[5] საეკლესიო და სამონასტრო წესისა და განგების შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II (თხზულებები, ტ. VII, 1984, გვ. 13–85).

ნეს“[6], ე. ი. ივირონისთვის განწესებული ეფთვიმეს წესნი და განგებანი ათონიდან გავრცელებულა საქართველოშიც და ყველგან, სადაც ქართული სამონასტრო ცხოვრება ღვიოდა.

გიორგი მთაწმინდელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეფთვიმეს განწესებულ სამონასტრო წესსა და განგებას: „ოდეს [გიორგიმ] მიიღო კურთხი მწყემსობისაჲ, მაშინღა საცნაურ იქმნა სრულიად დაფარული იგი სიბრძნე სულსა შინა მისსა, და ყოვლისა პირველად ესე ყო, რომელ ყოვლითა გულს-მოდგინებითა და ფრიადითა სარწმუნოებითა და სასოებითა ესრეთ მკურვალედ შეუდგა კუალსა წმიდისა მამისა ჩუენისასა ეფთჳმისსა და ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი მისნი ესრეთ შეიტკბნა, ვითარცა პირისაგან ღმრთისა გამოსულნი და წმიდათა მოციქულთა მიერ დამტკიცებულნი“ (ძეგლები, II, გვ. 130).

ეფთვიმეს წესნი, განგებანი და განწესებანი იყო პირველი წერილობითი ქტიტორული ტიპიკონი, რომელიც გავრცელდა ყველა ქართულ მონასტერში. ამდენად ის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. სამწუხაროდ, ამ ტიპიკონის ხელნაწერისათვის ჯერჯერობით ვერ მიგვიკვლევია[7]. წესით, ქართულად უნდა ყოფილიყო თარგმნილი სტუდიელთა ტიპიკონიც და მასზე დამყარებული ათანასე ლავრელის დიატიპოსიც და იპოტიპოსიც — მაგრამ არც ესენი ჩანან.

საბედნიეროდ, გიორგი მთაწმინდელმა იოანე და ეფთვიმეს „ცხოვრებაში“ დიდი ადგილი დაუთმო ეფთვიმეს შედგენილ წესსა და განგებას. იგი დაწვრილებით გადმოგვცემს ტიპიკონის შინაარსს (ცხორება, § 58 და შემდ.), რაც მისი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

მონასტრის შიგნით წესისა და განგების განუხრელად დაცვა ევალებოდათ მონასტრის მოხელეებს, რომელთა შორის ფუნქციები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ორ ეპიტირიტისსა და მეკარეს ევალებოდათ ბერების ზედამხედველობა (§ 60,1); ეპისტატს — მუშების ზედამხედველობა; კელარი და იკონომოსი მონასტრის სამეურნეო საქმიანობას წარმართავდნენ. ბერების მიერ დისციპლინარული წესების დარღვევას განკანონება და სასჯელის დადება მოსდევდა, ხშირად ძალიან მძიმე (ღვედით ცემა).

---

[6] ძეგლები, II, გვ. 123–124.

[7] ასევე დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა საბა განწმენდილის „ანდერძი-განწესება“. მას მიაკვლია ა. დმიტრიევსკიმ XIXს. დამლევს.

ეფთვიმეს სამონასტრო განგება სპეციალურად შესასწავლია, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქართული სამონასტრო განგება. აქ კი აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბერების წვრთნა ეფთვიმეს განგების მიხედვით ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდა, რომ ივირონის საკრებულოს ყოველი წევრი ჩაბმული ყოფილიყო მონასტრის სამეურნეო საქმიანობაში, რათა ქართველები თვითონვე ყოფილიყვნენ თავისი ლავრის პატრონები. ამაში ხედავდა ეფთვიმე მონასტრის ხსნას ბერძენთა მოძალებისაგან და გარანტიას მონასტრისათვის ეროვნული სახის შენარჩუნებისა.

1019 წელს ეფთვიმე გადადგა წინამძღვრობიდან და, იოანე იბერის ანდერძის თანახმად, მმართველობის სადავეები მთლიანად ჩორდვანელთა სახლის ერთ-ერთ სახელოვან წევრს, გიორგი ვარაზვაჩეს გადასცა.

გიორგი ვარაზვაჩე ენერგიული, გამოცდილი და ათონის მთასა და სამეფო კარზე დიდად გავლენიანი პირი იყო. მან თავისი წინამძღვრობის 10 წლის მანძილზე (1019–1029) ფართოდ გაშალა მონასტერში სააღმშენებლო მუშაობა. მაგრამ მუშაობის მისეული მასშტაბები, ეტყობა, ვერ თავსდებოდა ეფთვიმეს შემოღებულ წესსა და განგებასთან. გიორგი მთაწმინდელი შემდეგნაირად ახასიათებს გიორგი ვარაზვაჩეს მოღვაწეობას ივირონში: „ვინაჲთგან წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთჳმე წინამძღურობაჲ მონასტრისაჲ დაუტევა და... გიორგი მამად დაადგინა, [გიორგიმ] კნინღა-და უმეტესნი ზემოჴსენებულთა მათ წესთაგანნი (იგულისხმება ეფთვიმეს წესნი) შეცვალნა და თჳსსა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სხუათა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტკიცებაჲ" (§ 115,1).

იმის ახსნას, თუ რა იყო მიზეზი, რომ გიორგი ვარაზვაჩემ შეცვალა ეფთვიმეს დადგენილი წესი და განგება, გვაწვდის ისევ გიორგი მთაწმინდელი: გიორგი ვარაზვაჩე „კორციელთა საქმეთა ზედა ფრთხილ იყო და მის ჟამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან. და მთაჲ ყოველი დიდად პატივს-სცემდა და ეკრძალვოდა. და კუალად ბერძენნი ფრიად რაჲმე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რაჲმე და უნდონი, უგულებელს-ყვნა და შეამცირნა, რამეთუ, ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუდგებით, და ამით მიზეზითა ფრიად ვავნებთ თჳსთაცა სულთა და ადგილსაცა. ხოლო იგი [გიორგი ვარაზვაჩე] ვითარცა იყო ფრთხილი და მძიმე კაცი, მეტნი რაჲმე შეპოვნებანი და ლიქნანი [ქართველებთან] ვერ შეეძლნეს, და კუალად, ვინაჲთგან იხილა, რომელ ფრიადი ერი საკმარ იყო, სივრცისათჳს მო-

ნასტრისა და სიმრავლისათჳს სამსახურებელთაჲსა და ჩუენ არა დავდგებოდეთ, ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნა" (§ 115,3–6).

გიორგი მთაწმინდლის ეს ცნობა შესანიშნავად ახასიათებს გიორგი ვარაზვაჩეს, როგორც წინამძღვარს და საქმის ორგანიზატორს: მკაცრი, მომთხოვნი, ფრთხილი, რომელსაც არ შეეძლო ზომას გადასული („მეტნი რაჲმე") ლოლიავი და ფერება ქართველებისა, რომელთაც მუშაობა არ უნდოდათ: ლავრის დიდი მეურნეობის პატრონობისათვის კი „ფრიადი ერი" იყო საჭირო, ამიტომ „მიექცა" გიორგი ვარაზვაჩე ბერძნებს და „იგინი განამრავლნა". აქ, ისევე, როგორც პირველი ათონელი მამების – თორნიკესა და იოანე ქართველის შემთხვევაში, გიორგი მთაწმინდელი გამართლებას უძებნის ბერძენთა მომრავლებას ქართველთა ლავრაში, და, ამდენად, ეფთვიმეს მიერ მონასტრისათვის განწესებული წესისა და განგების გიორგის მიერ უგულვებელყოფას და ახალი წესების შემოღებას. თუ რაში მდგომარეობდა გიორგი ვარაზვაჩეს მიერ შემოღებული წესი და განგება, ამის შესახებ გიორგი მთაწმინდელი არაფერს გვამცნობს, როგორც ჩანს, პირველ რიგში, ბერძენთა რაოდენობისა და უფლებების შეუზღუდველ გაზრდაში ივირონში, რასაც გიორგის სიცოცხლეშივე სავალალო შედეგი მოჰყვა.

და ბოლოს, გიორგი მთაწმინდლის ცნობამ შემოგვინახა კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვება ქართველი კაცის ბუნებასა და ხასიათზე, რომელიც განსაზღვრავს მის საქციელსაც: გიორგის აზრით, ქართველს აკლია სიმტკიცე და სიდინჯე [„ადრე შევირყევით"], ცვალებადი ბუნებისაა, ერთ ადგილას ვერ ჩერდება („მიმოსლვასა მოსწრაფედ შეუდგებით") და შრომას გაურბის, რითაც ავნებს სულსაც და ადგილსამყოფელსაც.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს საკვლევ საკითხს, წინამძღვრის დადგენის წესს.

1029 წელს გიორგი ვარაზვაჩეს დააბრალეს ბიზანტიის მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობა, რისთვისაც გააძევეს ათონიდან და კუნძულ მონოვატზე გადაასახლეს[8]. დადგა ივირონის ახალი წინამძღვრის არჩევის საკითხი.

არსებული წესის მიხედვით, როგორც ზემოთ ითქვა, წინამძღვრად უნდა დადგენილიყო ეფთვიმეს დასახელებული კანდიდატი, ჩორდვა-

---

[8] მონოვატზე გადასახლების შემდეგ გიორგი ვარაზვაჩეს დიდხანს არ უცოცხლია. გიორგი უკეთური უკვე 1030 წლის ბერძნულ აქტში წინამძღვრად არის დასახელებული. იხ. Actes d'Iviron, I, 94; II, N31, p.74,76, Actes de Lavra, I, N29, p. 186.

ნელთა სახლის წევრი გრიგოლი. მაგრამ ამ კანდიდატს, ჩანს, მხარი არ დაუჭირეს ბერძნებმა და აირჩიეს მათთვის სასურველი წინამძღვარი გიორგი, ეროვნებით ქართველი, მაგრამ ბერძენთა ორიენტაციისა, რის გამო მას ქართველებმა „გიორგი უკეთური" შეარქვეს.

1029 წელს ივირონში შექმნილ სიტუაციას „ცხორებაზე" დართული „მოსაკსენებელი" შემდეგნაირად აღწერს: „ხოლო ვითარცა მამაჲ გიორგი ექსორიობასა შინა მიიცვალა, და ჩუენ ფრიად შემცირებულ ვიყვენით, ჟამი პოვეს ბერძენთა და ვითარცა ცეცხლნი აღეგზნნეს ჩუენ ზედა და სრულიად აღმოფხურაჲ ჩუენი ენებაა და დაპყრობაჲ სამ-კჳდრებელისა ჩუენისაჲ. და უმძიმესი ესე იყო, რამეთუ, რომელსა-იგი მაშინ წინამძღურობაჲ ეპყრა, იგი იყო შემწე მათდა, გიორგი უკეთური" [§ 118,9–10].

1029–1042 წლები უმძიმესი წლებია ივირონის ისტორიაში. მამა გრიგოლის მესვეურობით ქართველები შეუპოვრად იბრძოდნენ მონასტერში ქართველთა უფლებების აღსადგენად და არასასურველი წინამძღვრის გადასაყენებლად. 1035 წელს გიორგი უკეთური გადააყენეს და მამა გრიგოლმა დაიკავა წინამძღვრობა. ამით აღდგა ჩორდვანელთა მიერ დადგენილი წინამძღვრის დადგენის წესი[9].

ჩვენ არაფერი ვიცით იმის თაობაზე, თუ რა წესით იყვნენ შერჩეულნი გრიგოლის მომდევნო წინამძღვრები: მამა სვიმეონი და მამა სტეფანე (1042–1045 წლები). ვიცით მხოლოდ, რომ არც ერთი და არც მეორე ჩორდვანელთა სახლის წევრი არ იყო. ამდენად, ივირონის წინამძღვრად მანამდე არსებული წესი, რომლის მიხედვითაც წინამძღვარი აუცილებლად ჩორდვანელთა სახლის წევრი უნდა ყოფილიყო, ამ დროიდან დაირღვა.

1045 წლიდან ივირონის წინამძღვარია გიორგი მთაწმინდელი. ამ შემთხვევაში ჩვენ ნამდვილ დემოკრატიულ არჩევნებთან გვაქვს საქმე. გიორგი მთაწმინდლის წინამძღვრად არჩევის საკითხი დადგა მას შემდეგ, რაც იგი „გამოიცადა მრავალთა საქმეთა შინა". უნდა ვიფიქროთ, რომ საწინამძღვრო კაცის საქმეში გამოცდა გარკვეული დროის მანძილზე აუცილებელი პირობა იყო ყველა შემთხვევაში.

გიორგის წინამძღვრად არჩევის პროცესუალური მხარე ვრცლად არის აღწერილი მის „ცხორებაში". გიორგისთან ერთად კჳნჳს იყრიდა

---

[9] მამა გრიგოლი რომ ჩორდვანელთა სახლის წევრი იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ მამა გრიგოლისათვის განწესებულია ალაპი განგებით: „ვითარცა სჳნგელოზისასა სწერია", ეს განგება კი, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ჩორდვანელთა სახლის წევრებისათვის წესდებოდა.

წინამძღვრობის კიდევ ორი კანდიდატი (ყველა კანდიდატი ქართველი იყო, თუ მათ შორის ბერძენიც ერია , არ ჩანს). გიორგის „სამგზის წილ-უგდეს ორთა ძმათა სხუათა თანა, ვითარცა იყო წესი მონასტრისაჲ, შეწირვითა უსისხლოჲსა მსხუერპლისაჲთა, ქუეშე წმიდასა ტრაპეზსა დასხმითა წილთაჲთა“ (ძეგლები, II, გვ. 129)[10].

ჩატარებულ არჩევნებს გიორგი მცირე ასე აფასებდა: გიორგი „ყოველთა ძმათა ერთითა ნებითა და განზრახვითა მაღალსა მას კიბესა წინამძღუროობისასა აღიყვანეს და საყდარსა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმისსა დასუეს“ (ძეგლები, II, გვ. 129).

აქ ერთი რამ არ ჩანს – ვინ ირჩევდა გიორგის? მარტო ქართული საკრებულო, თუ ბერძნებიც. ვფიქრობთ, ორივე საკრებულო ერთად.

მოტანილი ცნობების მიხედვით, წინამძღვრის თანამდებობაზე კანდიდატების წამოყენება ხდებოდა მათი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით. არჩევა კი – დემოკრატიული, ფარული კენჭისყრით. ეს ის დემოკრატიული პრინციპია, რომლის დანერგვასაც უშედეგოდ ცდილობდა გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ბაგრატ IV-ის კარზე მრჩევლად ყოფნის დროს, 1060–1065 წლებში.

---

[10] ქტიტორულ მონასტერში წინამძღვრის არჩევის ეს წესი–„ყოველთა ძმათა ერთითა ნებითა და განზრახვითა“სამგზის წილ-ყრისა სამი კანდიდატისათვის „შეწირვითა უსისხლოჲსა მსხუერპლისაჲსათა ქუეშე წმიდასა ტრაპეზსა“–ჩანს, ბიზანტიაში საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა. ამას ადასტურებს იმპერატორ იოანე I კომნენოსის [1118–1143] დამტკიცებული პანტოკრატორის მონასტრის ტიპიკონი.

წინამძღვრის არჩევის ეს წესი და ცერემონიალი ვრცლად აქვს გადმოცემული [ტიპიკონის მიხედვით], ა. დმიტრიევსკის (А. Дмитриевский, Типики, т. I, ч. I, с. LXXIII-LXXIV).

რას უნდა ნიშნავდეს გიორგი მცირის ცნობა, რომ გიორგი მთაწმინდელს „სამგზის წილ-უგდეს, ძმათა სხუათა თანა, ვითარცა იყო წესი მონასტრისაჲ, შეწირვითა უსისხლოჲსა მსხუერპლისაჲთა, ქუეშე წმიდასა ტრაპეზსა“–აქ ივირონის წესი იგულისხმება, თუ საერთოდ ათონის ქტიტორული მონასტრების წესი? ცნობილია, რომ თორნიკესა და იოანე ქართველის დაწესებული წესის მიხედვით, წინამძღვრად უნდა ყოფილიყო ქტიტორთა (ჩორდვანელთა) ოჯახის წევრი, და ყოველი წინამძღვარი ასახელებდა მომდევნო წინამძღვრის კანდიდატს იმავე სახლიდან. ასეთ შემთხვევაში გამორიცხული იყო რამდენიმე კანდიდატის დასახელება და ამასთან დაკავშირებით არჩევნების ჩატარება. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი მცირის ეს ცნობა ეხება ივირონის წინამძღვრის არჩევის იმ წესს, რომელიც შემოღებულ იქნა ივირონში მამა გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ. ამ ახალი დემოკრატიული წესით უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი გრიგოლის მომდევნო წინამძღვრები: სვიმეონი და სტეფანე, ასევე გიორგი მთაწმინდელიც 1044 წელს.

მონასტერში წინამძღვრის არჩევის დემოკრატიული პრინციპის დამკვიდრებისათვის იმ დროისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო, ვინაიდან მონასტრის თავდაპირველი ქტიტორული [საოჯახო] სტატუსი კარგა ხნის შეცვლილი იყო „ქართული მონასტრის სტატუსით". ეს ევოლუცია აისახა მონასტრის სახელწოდების ცვლაშიც. მონასტერს ბერძნულ აქტებში თავდაპირველად [982 წ.] იოანე სვინგელოზის მონასტერი ეწოდებოდა, შემდეგ – იოანე სვინგელოზისა და იოანე იბერის მონასტერი, ან იოანე იბერისა და იოანე სვინგელოზისა, საბოლოოდ კი მონასტერს დაუმკვიდრდა ქართველთა მონასტრის სახელწოდება[11]. ამან კი გამოიწვია მონასტრის ქტიტორის, თორნიკეს, მიერ დადგენილი წინამძღვრის არჩევის წესის შეცვლის აუცილებლობა. მაგრამ ამისდა მიუხედავად, გიორგი მთაწმინდლის შემდეგაც, დროდადრო, წინამძღვრებად მაინც ჩორდვანელთა სახლის წევრები ან ნათესავები ჩანან. ესენი არიან წინამძღვრები არსენ ფარსმანყოფილი, გიორგი ჩორჩანელის ძმა, და ნიკოლა პროტოსვინგელოზი, საფიქრებელია, კენჭისყრით არჩეულნი.

მამა არსენ ფარსმანყოფილი გიორგი მთაწმინდლის მომდევნო წინამძღვარია 1056–1061 წლებში. ის, შესაძლოა, თვით გიორგი მთაწმინდელმა, როგორც უახლოესი მოწაფე, თავის მაგიერ დატოვა ანტიოქიაში წასვლის წინ.

მამა არსენს თავისი მამობის წლებში ორი ალაპი აქვს გაწესებული. ორივეს განგებაა „ვითარცა სჳნგელოზისასა სწერია". ეს განგება კი, როგორც ითქვა, მხოლოდ ჩორდვანელთა სახლის წევრთათვის გაწესებულ ალაპებში გვხვდება.

პირველი ალაპი მამა არსენმა განუწესა თავის ძმას, გიორგი ჩორჩანელს [№ 50], მეორე კი – გაბრიელ, ევანეზის ძმას, „რომელსა მონაზონებასა ნიკოლა ეწოდა" [№ № 48–49]. ორივე ალაპისათვის მონასტერმა მიიღო უმდიდრესი შეწირულებანი, რაც იმას მოწმობს, რომ შემწირველნი მდიდარი და გავლენიანი არისტოკრატიული ოჯახებიდან იყვნენ.

ნიკოლა გაბრიელყოფილი, ჩვენი ვარაუდით, იგივე ივირონის წინამძღვარი ნიკოლა პროტოსვინგელოზია, რომელიც 1080–1081 წელს ხელს აწერს ივირონის ბერძნულ აქტს (Ivir. 42)[12].

---

[11] ამ საკითხს ვრცლად ეხება ჟ. ლეფორი, Actes d'Iviron, I, p. 34.

[12] Actes d'Iviron, II, N 42, p. 140.

ნიკოლა გაბრიელყოფილი და ნიკოლა პროტოსვინგელოზი რომ ერთი და იგივე პირია, ჩორდვანელთა სახლის წევრი ან ნათესავი, ამას ადასტურებს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. ზემოთ ხსენებულ ივირონის № 42 ბერძნულ აქტს, რომლის თარიღია 1080 წელი, ხელს აწერენ ნიკოლა პროტოსინგელოზი და ივირონის მონასტრის რამდენიმე ქართველი საპატიო პირი. ამავე დროს ამ აქტს, სხვა ბერძნული აქტებისაგან განსხვავებით, მობმული აქვს ტყვიის ბეჭედი ბერძნული წარწერით: Κ (ύρι)ε βοήϑ(ει) Ιω(άννην) Τορνίκι κτίτορη τῆς... შემდეგ აღარ იკითხება. სპეციალისტების მიერ აღდგენილი დაკარგული სიტყვებია: μονῆς τῶν Ἰβήρων. მთლიანობაში წარწერა ასე იკითხება: Κύριε βοήϑει Ἰωάννη Τορνίκι κτίτορη της σεβασμίας μονῆς τῶν Ἰβήρων[13].

სპეციალისტების აზრით, ტყვიის ბეჭედი XI საუკუნისაა. ამდენად, ის არ არის თორნიკეს დროს შექმნილი. როგორც ჩანს, ეს ბეჭედი ბერძნული წარწერით გააკეთებინა და ჩამოკიდა ბერძნულ აქტზე მამა ნიკოლა პროტოსვინგელოზმა იმის გასახსენებლად და იმ აზრის გასამტკიცებლად, რომ ივირონის მაშენებელი იყო იოანე-თორნიკე, ამდენად მონასტერი ქტიტორულია და ქართულია. ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტიც მხარს უჭერს ვარაუდს, რომ ნიკოლა პროტოსვინგელოზი ჩორდვანელთა სახლის წევრი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ქტიტორული ბეჭდის შექმნა მარტო ჩორდვანელთა ქტიტორული უფლებების დაცვას არ ემსახურებოდა. ერთ-ერთი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ მონასტრის ქტიტორული სტატუსი ზღუდავდა ივირონის ბერძნულ საკრებულოს უფლებებს და მეტ შესაძლებლობას უქმნიდა ივირონის ქართულ საკრებულოს მონასტრის ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის. ამას ხელს უწყობდა ახალი პოლიტიკური სიტუაციაც, რომელიც შეიქმნა ბაგრატ IV-ის ასულის, მარიამ-მართას, ბიზანტიაში დედოფლობის წლებში [1071–1081 წწ.]. ამ პერიოდში ივირონს არ მოკლებია წყალობა არც მარიამ დედოფლისა [ალაპი № 133] და არც მისი მეუღლეებისაგან – მიხეილ VII დუკასა (ალაპი № 107) და ნიკიფორე ბოტანიატისაგან (ივირონის ბერძნული აქტი № 41)[14]. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ნიკოლა პროტოსვინგელოზის

---

[13] F. Dölger, Aus den Schatzkammern des Heiligen Berges. Munich, 1948; V. Laurent, Le Corpus des sceaux de l'Empire byzantin, V, 3, N 1929; Actes d'Iviron, II, N 42, p. 135.

[14] ხრიზობული № 41 დაიბეჭდა Actes d'Iviron, II, N 41, p. 129.

მიერ შექმნილი ტყვიის ბეჭდიანი ბერძნული აქტის დაწერას (1080 წელი) წინ უსწრებდა 1078–79 წლებში მარიამ-მართას მეორე მეუღლის ნიკიფორე ოტანიატის გაცემული ხრიზობული, რომელიც ფაქტობრივად დაცვის სიგელს წარმოადგენდა და ივირონს მრავალ შეღავათს უმტკიცებდა, ანიჭებდა სრულ ავტონომიას და უფლებას წინამძღვრად საკრებულოს ყველაზე ღირსეული პირის არჩევისა[15]. თუ როგორ გამოიყენა მონასტრის კრებულმა ეს უფლებები, ბერძნულ და ქართულ მასალებში არ ჩანს. ვფიქრობთ, რომ „დაცვის სიგელით“ მინიჭებული უფლებების ერთ-ერთი გამოხატულება იყო ივირონის მონასტრისათვის ტყვიის ქტიტორული ბეჭდის შექმნაც, როგორც მონასტრის ქართულობის სიმბოლური დადასტურება და ნიკოლა პროტოსვინგელოზის წინამძღვრად დადგენის უფლება. მარიამ-მართას დედოფლობისა და გავლენის წლები (1071-იდან საუკუნის ბოლომდე) ივირონისათვის ეკონომიკური და უფლებრივი გაძლიერების წლებია. ამ პერიოდში მოღვაწეობდა ერთმანეთის მომდევნოდ სამი გონიერი და ენერგიული წინამძღვარი: გიორგი ოლთისარი, ნიკოლა პროტოსვინგელოზი და იოანე ბუქაისძე.

XII საუკუნის II ნახევარში ივირონის მონასტერში უკვე ორი დამოუკიდებელი საკრებულო თანაარსებობს. ბერძნებს ეკავათ იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, სადაც წირვა ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა; ქართველებს კი — დიდი ეკლესია ანუ კათოლიკონი, სადაც წირვა ქართულად მიმდინარეობდა (იხ. ალაპი № 142). წინამძღვრის არჩევნებში ორივე საკრებულო იღებდა მონაწილეობას. ამას ადასტურებს ალაპი № 158, რომელიც მამა პავლეს წინამძღვრობიდან გადადგომასა და ახალი წინამძღვრის არჩევნებს ეძღვნება. ალაპში ვკითხულობთ: „ინდიქტიონსა ბ დაუტევა მამამან პავლე მამობაჲ, შეჰვედრა პირველად ღმერთსა და მერმე ყოვლად წმიდასა და კრებულსა ყოველთა ძმათასა, და მათ ყოველთა ერთობით, ერთკმობით, თანადგომითა მამისა პავლესითა გამოარჩიეს დიდ კონომოსი გიორგი და დაადგინეს მამად“ (№ 158). ამრიგად, საკრებულომ საწინამძღვრო კანდიდატურა გამოარჩია მამა

---

[15] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნიკიფორე ბოტანიატის 1079 წელს გაცემული ხრიზობული ერთადერთი ბერძნული დოკუმენტია, სადაც ივირონი „სამეფო მონასტრად“ იწოდება, რაც ალბათ, ბერძენ იმპერატორთა ქართველებისადმი საგანგებო ყურადღების აღსანიშნავად და გამართლებისათვის იყო გამოყენებული.

პავლეს თანადგომით; ხოლო არჩევა მომხდარა „ყოველთა ძმათა" ერთობით და ერთხმობით.

მაგრამ მომავალი არჩევნებისათვის, რომელიც მამა პავლეს გარეშე ჩატარდებოდა, პავლეს საჭიროდ მიუჩნევია მონასტერში „სარწმუნო კაცთა – მესულეთა" ზედამხედველობა, რისთვისაც დაუწესებია „მესულეთა" ინსტიტუტი (ადაპი 165).

ტერმინი „მესულე" ბერძნული ეპიტროპის ქართული შესატყვისი უნდა იყოს. მესულეს, ისევე როგორც ეპიტროპს, ევალებოდა მონასტრის საკრებულოს სულიერი ცხოვრების ზედამხედველობა და წარმართვა, პირველ რიგში, მონასტრისათვის ღირსეული წინამძღვრის შერჩევა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ეპიტროპთა ინსტიტუტი ათონზე პირველად შემოიღო ათანასე ლავრელმა თავისი დაარსებული მონასტრისათვის. ანდერძში საერო ეპიტროპად მან პატრიკი ნიკიფორე ურანოსი დაასახელა[16], ხოლო სასულიერო პირთაგან – „სარწმუნონი კაცნი" – იოანე ქართველი და ეფთვიმე (ერთმანეთის მომდევნოდ).

სასულიერო ეპიტროპის ანუ „მესულის" დანიშვნის პრაქტიკა ივირონში პავლემდე არ ჩანს, საერო კი უნდა ყოფილიყო[17].

ზემოთ განხილული ადაპიდან (№ 165) არ ჩანს, პავლემ მხოლოდ შემოიღო ივირონში მესულეთა თანამდებობა, თუ დაადგინა კიდეც ვინმე „სარწმუნო კაცთაგანი" მესულედ? პავლეს შემდეგდროინდელ მცირერიცხოვან ქართულ წყაროებსაც ამის შესახებ ცნობები არ შემოუნახავთ. ამდენად, ვერაფერს ვიტყვით იმაზე, მოიკიდა თუ არა ფეხი „მესულეთა" ინსტიტუტმა ივირონში პავლეს მამობის შემდეგ. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ეს ინსტიტუტი მოქმედებდა კიდეც ივირონში პავლეს გადადგომის შემდეგ, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „მესულეებს" ვერ შეუჩერებიათ მონასტერში ვერც ბერძენთა გამრავლებისა და ვერც მათი უფლებების ზრდის პროცესი, ვინაიდან XIII საუკ. შუა წლებში ივირონის წინამძღვარი უკვე ბერძენია, რომელიც მონასტრის მთელი საკრებულოს სახელით აწერს ხელს ივირონის ბერძნულ აქტს[18].

---

[16] Actes de Lavra, I, p. 20.

[17] საკითხი ეპიტროპთა ინსტიტუტის ფუნქციონირებისა ათანასეს ლავრასა და ივირონში ცალკე გვაქვს განხილული წიგნში: ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ნარკვევები..., გვ. 89.

[18] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ათონის ერთი..., გვ. 188 (იხ. აქვე, Add.).

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

# СВЕДЕНИЯ АФОНСКОГО СИНОДИКОНА ОБ ИГУМЕНАХ БАЧКОВСКОГО МОНАСТЫРЯ И О БАКУРИАНАХ

Трудно переоценить значение сведений афонского Синодикона как исторического источника первостепенной важности для изучения истории Афоно-Ивирского монастыря, для Афона в целом и, в определенном смысле, Византии.

Синодикон является частью т. н. "Афонского сборника", рукописи, составленной в 1074 году* (в настоящее время хранится в Институте рукописей АН Грузии). В первой редакции Синодикона насчитывалось около 50-ти поминальных записей (агапов). Первая поминальная запись составлена для ктитора монастыря синкела Иоанна-Торнике в день его смерти в 984 году. Впоследствие Синодикон пополнялся новыми записями и к концу XII столетия насчитывал 167 агапов.

Афонский Синодикон своим богатым историческим материалом давно привлекает внимание ученых-гуманитариев, но изучение и использование агапов для научных целей затруднялось тем, что их было трудно датировать.

В процессе подготовки нового издания Синодикона очень остро встал вопрос датировки каждого агапа. В результате кодикологического и историко-филологического изучения "Афонского сборника" акад. Н. А. Бердзенишвили выделил в Синодиконе три основных хронологических пласта. Первый пласт является органической частью "Афонского сборника", составленного и написанного на Афоне в 1074 году; второй и третий пласты являются продолжением и пополнением первого пласта. Второй пласт содержит агапы с 1074 года до середины XII столетия, третий – включает агапы, составленные в период середины XII столетия по 1184 год.

Продолжив работу Н. А. Бердзенишвили, мы постарались: уточнить хронологические пределы и состав каждого пласта, выделить в них хронологические подгруппы и дать более или менее точную датировку каждого агапа. В нашем сообщении мы намерены показать – как можно использовать поминальные

---

* Рукопись опубликована, см. Рукопись Ивирона 1074 г. с синодиконом. Тифлис, 1902 (на груз. яз.).

записи Синодикона для изучения некоторых конкретных вопросов из истории Ивирона, в частности –взаимоотношения Ивирона с Бачковским монастырем, а также с Аббасом и Григорием Бакуриани, и Сумбатом и Марией Бакуриани.

Первый агап братьям Бакуриани (№ 38) был учрежден задолго до построения Бачковского монастыря, не позже 1074 года, так как агап принадлежит первому пласту Синодикона. Учрежден агап за щедрые денежные пожертвования монастырю: каждый из братьев передал монастырю по 200 золотых монет. Второй агап (№ 111) является поминальной записью Аббасу Бакуриани, учрежденный в день его кончины за его благотворительность и доброжелательное отношение к монастырю, которому он при жизни пожертвовал 500 золотых монет, а после смерти оставил 7 коней и мулов и златотканную одежду. Одновременно в агапе сказано, что в первом агапе, учрежденном для обоих братьев, после литургии священник дополнительно должен произнести молитвенное поминание Аббаса и вся братия должна громко молиться за него во веки веков.

Агап № 111, как уже было сказано, учрежден в день кончины Аббаса, следовательно, не ранее 1077 года (время создания афонской грузинской рукописи № 24, переписанной по заказу и на средства Аббаса), и не позже 1082 года (время построения Бачковского монастыря, до которого он не дожил).

Агапы Аббаса и Григория Бакуриани свидетельствуют о том, что до постройки Бачковского монастыря Ивирон для братьев был весьма почитаемым грузинским монатырем, морально-экономическую поддержку которому они считали своим долгом. Аббаса и Григория, видимо, особо привлекала богатая монастырская библиотека и хорошо организованный скрипторий, где создавалась и множилась литературная продукция, в основном основоположников замечательной афонской литературной школы, Евфимия и Георгия Афонитов. В этом скриптории, по желанию и на средства Аббаса, была переписана рукопись Параклитика (№24) в переводе Георгия Афонита. В скриптории Ивирона, видимо, интенсивно переписывались для Бачкова богослужебные книги практического назначения. Об этом свидетельствует перечень грузинских рукописей, включенный в Типик Бачковского монастыря.

1 А. Шанидзе, Грузинский монастырь в Болгарии. Гл. 34, сс. 119-120; 321-322.

* * *

Два агапа в Синодиконе учреждены двум игуменам Бачковского монастыря: агап № 84 для игумена Феофана учрежден игуменом Ивирона Евгением* в 1104–1108 годах. Следовательно, игумен Феофан был современником Иоанна Петрицонели. Агап для Феофана учрежден за денежные пожертвования: два литра истамена и сто драхкани. Николаю, игумену Бачковского монастыря, учрежден агап № 141, учредил его игумен Ивирона Иоанн IV (середина XII столетия). По сведениям агапа, Николай поддерживал многолетнюю активную связь с Ивироном, неоднократно жертвовал монастырю деньги: первый раз – 50 иперпер, потом послал еще 20, после сам прибыл в Ивирон и передал Ивирону 40 дукатов на хлеб, а также двух лошаков в упряже и еще дополнительно 12 дукатов. Постоянная поддержка и забота об Ивироне в тяжелое для монастыря время свидетельствует о большом желании братии Бачковского монастыря восстановить развалившуюся к тому времени экономику Ивирона и вернуть монастырю былую славу. Следовательно, после смерти Григория Бакуриани игумены монастыря продолжают курс на активное сотрудничество с Ивироном.

* * *

Интересными оказались результаты изучения четырех агапов Синодикона, учрежденных для куропалата Сумбата Бакуриани и его супруги Марии (№ 120, 121, 103, 60). Благотворительная деятельность четы Бакуриани в пользу Ивирона протекала в весьма тяжелое для монастыря время. Чудовищные набеги сельджуков с 60-х годов XI века окончательно обескровили и ослабили Грузию. Были перекрыты все пути общения Грузии с Византией. В связи с этим уменьшился приток экономической помощи Ивирону. Появление сельджуков в Византии вызвало изменения в расстановке сил внутри империи. В новой политической ситуации ослаб интерес Византии к Грузии как союзнику в

* Надо думать, что Феофан был вторым (после Григория Ванели, которого Григорий Бакуриани назначил первым игуменом Бачковского монастыря) или третьим игуменом Бачковского монастыря.

борьбе с общим врагом–с арабами. В эти годы Ивирон оказался в недружелюбной среде афонских греческих монахов, оторванный от Грузии и лишенный покровителей.

В последней четверти XI столетия тяжелое экономическое положение Ивирона усугубилось еще одним обстоятельством: под видом проверки фискальной системы по приказу Алексея Комнина началась конфискация монастырских земель, от которой сильно пострадали монастыри Македонии и Афона, а также и Ивирон*. В самые тяжелые годы для монастыря существенная помощь поступала от императорского двора: от Марии-Марфы и ее супругов–Михаила VII и Никифора Ботаниата. Источником для поддержания жизнеспособности Ивирона являлась экономическая помощь со стороны проживающих в Византии высокопоставленных лиц грузинской феодальной аристократии, а также от местных сановников и должностных лиц. К числу покровителей относятся куропалат Сумбат Бакуриани, грузин по происхождению, и его супруга Кале-Мария.

Взаимоотношения Сумбата и Марии с Ивироном нашли свое отрожение в завещаниях супругов**, а также в Синодиконе Ивирского монастыря. С 1085 года, по сведениям греческого акта Ивирона, Сумбат выступает в роли защитника интересов Ивирона. Такое отношение Сумбата к братии Ивирона, естественно, служило им основанием надеяться на то, что в его завещании не будут забыты нужды Ивирона и монастырь получит свою долю из имущества Сумбата. Но надежды братии не оправдались. Сумбат куропалат завещал свое имущество супруге, ее же назначил исполнительницей своей воли. Скончался Сумбат в декабре 1092 года, постригшись перед смертью под именем Саввы. Сразу же после смерти супруга постриглась и Кале под именем Марии. Письменно засвидетельствовав свое согласие

* Конфискация афонских монастырских земель, по мнению Ж. Лефора, прошла два раза: первый раз до 1079 года, второй раз– до 1101 года (Actes d'Iviron, II, p. 23, 27-28).

** Для истории изучения деятельности супругов Бакуриани см.: J. Lefort, Une grande fortune foncière aux X-XIII s. Les biens du monastère d'Iviron, Extrait, p. 734-735; Его же, Actes d'Iviron, 11, p. 31-33. его же, Le cadastre de Radolibos 1103), Les géomètres et leurs mathématiques, TM. 8, p 269-313; Р. Сирадзе. Из истории болгаро-византийских взаимоотношений.– "Цискари", 1974, № 1, с. 107-120 (на груз. яз.). Последнюю публикацию завещаний супругов Бакуриани см. Actes d'Iviron, 11, n. 44, 47.

на выполнение всех наказов супруга, Мария приступила к их осуществлению. Деятельность Марии в отношении к Ивирону зафиксирована в поминальных записях Ивирского Синодикона.

После смерти Сумбата на пожертвования Марии в разное время было составлено четыре поминальных агапа. Изучение этих агапов позволило установить их хронологический ряд: №120, 121, 103, 60.

Все четыре агапа свидетельствуют о том, что Мария была в курсе всех событий и в случае затруднений в жизни Ивирона старалась своевременно оказать монастырю необходимую поддержку. Все благотворительные акты Марии нашли свое отражение в поминальных записях.

Агап № 120, учрежденный сразу же после смерти Сумбата, является первой поминальной записью для супругов. Учрежден он игуменом Ивирона Иоанном Букаисдзе (1085–1104 гг.). Агап является сборным, в нем перечислены пожертвования Ивирону, сделанные при жизни Сумбата, а также пожертвования Марии, сделанные после смерти Сумбата.

Сумбат куропалат при жизни пожертвовал монастырю клад в количестве одного литра истамена, а следом – 500 драхм истамена. Мария в свою очередь для этой же поминальной записи пожертвовала после смерти Сумбата парчу златотканную, серебряную утварь, литр истамена и златотканную одежду. Когда же у монастыря конфисковали земли и монастырь оказался в беде, Мария дополнительно передала монастырю семь литров хината. За заботу и щедрые преподношения игумен монастыря учредил для супругов обычный для пожертвователей агап с трапезой, при этом никак не отметив особую заслугу супругов перед монастырем.

В этом агапе особое внимание заслуживает последнее пожертвование Марии–7 литров хината, которые, по сведениям агапа, были предназначены для оказания помощи монастырю в связи с конфискацией земель. Полагаем, что на самом деле эту сумму Мария передала монастырю для перезахоронения Сумбата в Ивирон. В завещании Марии записано: Сумбат в своем завещании выразил желание быть погребенным в Ивироне и обязал свою супругу оплатить все расходы, связанные с его перезахоронением. Далее сказано, что Мария передала монастырю для гробницы и перезахоронения Сумбата в Ивирон семь литров хината. Совершенно очевидно, что речь идет об одной и той же

сумме денег, переданных Марией монастырю, но использованных монастырем не по назначению. Позже монастырь выполнил свои обязательства и соорудил гробницу для Сумбата, о чем мы узнаем уже из следующего агапа* (№ 121). В агапе написано, что братия выполнила устно высказанное желание Сумбата и соорудила мраморную гробницу в церкви св. Архангелов с тем расчетом, чтобы после смерти Марии останки супругов вместе перезахоронить в Ивирон. Видимо, служители монастыря так и намеревались поступить, поскольку ко времени составления агапа № 121 гробница была сооружена, но была пустой. По завещанию же Марии, которое было составлено в 1098 году, Сумбат был уже перезахоронен в Ивирон**.

За первой устной информацией в агапе следует вторая устная информация: братии Ивирона стало известно, что все, что останется после смерти Марии, должно перейти к монастырю. Не имея завещания Сумбата, не зная его содержания, братия монастыря, на основании слухов, сочла нужным включить в агап свои претензии и надежду на получение своей доли из наследства Сумбата.

Видимо, завещание Сумбата монастырь заимел только после смерти Марии (1103 г.). Копия завещания Сумбата, хранящаяся в библиотеке Ивирона, датирована 1112 годом.

Перспективу на будущее благосостояние монастыря определил характер устава агапа № 121. Возможно, эти надежды были подкреплены устными заверениями и самой Марии, которая, судя по четырем агапам, учрежденным для четы Бакуриани, была хорошо осведомлена в сложных перипетиях жизни Ивирона и всячески старалась оказать ему своевременную помощь. Появившаяся надежда на получение наследства в будущем, видимо, окрылила братию, которая свою благодар-

---

* Надо отметить, что в агапе № 121 ничего не сказано о том, что Мария передала монастырю семь литров хината для сооружения могилы Сумбату. Складывается впечатление, что монастырь соорудил мраморную гробницу для Сумбата по собственной инициативе и на свои деньги.

** В этом же завещании сказано, что Мария просит после своей смерти похоронить ее там, где она умрет, в своей усадьбе или в Константинополе, не желая, чтобы ее кости теребили после смерти. Таким образом, она отказывается от своего захоронения вместе с супругом в Ивироне. В Ивироне был похоронен только Сумбат.

ность к чете Бакуриани выразила в уставах последующих агапов [121, 103, 60]. Уже во втором агапе, в отличие от первого [120], учрежден самый почетный и торжественный устав – "как строителям", который монастырь обычно учреждал самым заслуженным благотворителям.

Следующим является агап № 103. Агап составлен за новые пожертвования Марии, которыми монастырь покрыл судебные расходы, связанные с многолетней тяжбой за конфискованные земли монастыря. В хронологическом ряде последним является агап № 60, учрежденный уже после смерти Марии (1103 г.), когда по легализованному завещанию монастырь наконец-то получил долгожданное наследство – большое и богатое село Радоливо, на доходы которого монастырь возлагал большие надежды.

В знак большой благодарности монастырь учредил агап в честь Марии с особо торжественным уставом, где сказано, что в день поминания Марии на службу должны приглашаться игумены, священники, монахи всех афонских монастырей. Этим последним поминальным агапом завершается серия агапов в честь Сумбата и Марии.

В результате изучения этих агапов во взаимосвязи и в свете экономического положения Ивирона в эти годы (1085–1103 гг.) высвечиваются разные спектры неровных отношений между Марией и Ивироном, в частности, в первом агапе выражены обида и озабоченность по поводу того, что Сумбат в своем завещании ничего не выделил для Ивирона, в последующих агапах (№ 121 и 103) – нарастающее чувство благодарности за постоянную помощь монастырю со стороны Марии, и, наконец, в последнем агапе (№ 60) преобладает чувство огромной благодарности и признательности и желание, как можно пышнее отметить поминальный день Марии после ее смерти.

В связи с этим заслуживает внимание один любопытный факт: как было отмечено выше, в первом агапе (№ 120), в отличие от остальных, учрежден незначительный, скудный устав, несмотря на то, что монастырь получил за него внушительную сумму и большое количество драгоценностей. В последующих агапах картина совершенно меняется: для супругов учреждены самые почетные уставы в формулировке – "как для строителей". Разница между уставами особенно стала ощутимой после

учреждения последнего агапа (№60) за завещенное Марией Радоливо. Видимо, этот факт стал причиной для внесения позже для ослабления контраста некоторых дополнений в текст первого агапа. Приведем тексты из первого агапа с дополнениями*.

1. Агап учрежден для Сумбата (именуемого в монашестве Саввой)* и Марией (которая пожертвовала Радоливо).

2. Исполнить устав агапа с усердием (как для строителей)**.

Первое дополнение в монашестве Сумбата имело особое значение для монастыря, так как оно определяло взаимоотношения и взаимообязанности между Сумбатом и Ивироном.

Не менее важно было для монастыря и второе дополнение к тексту первого агапа, по которому обычный устав заменяется самым почетным, чем снимаются обиды и претензии братии в отношении к чете Бакуриани.

Итак, на протяжении десяти лет (1093–1103 гг.) для Сумбата и Марии было учреждено четыре агапа. Первый агап – сразу же после смерти Сумбата (1093 г.), как первая поминальная запись для супругов Бакуриани. Из агапа следует, что к моменту его составления монастырь находился в бедственном положении вследствие конфискации монастырских земель. Речь идет о первой конфискации при Алексее Комнине, которая имела место до 1095 года. В агапе ничего не сказано о принятии монашества Сумбатом перед смертью. Супруга же Сумбата, Кале, которая приняла монашество сразу после смерти Сумбата, во всех агапах именуется только монашеским именем – Марией.

Второй агап (№ 121) составлен до 1098 года, до перезахоронения Сумбата в Ивирон. Агап учрежден для обоих супругов. В агапе уже имеется полученная устным путем информация о том, что супруги были монашествующими. Духовное имя Сумбата не упоминается.

Третий агап (№ 103) учрежден только для Марии за новые денежные пожертвования для покрытия расходов, связанных судебной тяжбой для возвращения конфискованных монастырских земель монастыря. Надо думать, что в данном случае речь идет о второй конфискации земель, имевшей место до 1101

* В скобках приводятся дополнения.

** Устав "как для строителя" фигурирует в агапах Синодикона со 2-ой половины XII столетия.

года. В таком случае агап № 103 можно датировать 1098–1101 годами.

Последний агап также учрежден только для Марии после ее смерти (1103 г.) за село Радоливо, пожертвованное ею монастырю по завещанию.

Духовное имя Сумбата (Савва) впервые появляется в поздних дополнениях к агапу № 120, видимо, после того, как монастырь из константинопольской канцелярии получил копию завещания для хранения в монастырской библиотеке.

После анализа четырех поминальных записей для четы Бакуриани, попытаемся найти объяснения игнорирования интересов Ивирона в завещании Сумбата при очевидных симпатиях Сумбата к Ивирону, его постоянной заботе о нем, а также при его желании быть похороненным в монастыре.

Согласно поминальным записям можно предположить, что между супругами Бакуриани существовала договоренность относительно оказания постоянной помощи Ивирону после смерти Сумбата из унаследованного Марией его состояния. Не случайно и то, что Мария сразу же после смерти Сумбата приняла монашество. Надо думать, что эта акция тоже была заранее запрограммирована супругами. Этим Мария получала моральное и юридическое право при жизни свободно расходовать унаследованное состояние на нужды Ивирона, после же смерти завещать монастырю большую часть оставшегося состояния, так как у монашествующих супругов не было наследников.

В пользу этого предположения можно привести еще один любопытный факт. На автентичной копии завещания Сумбата, которая хранится в архиве Ивирона (№ 44), имеются две грузинские приписки (XII–XIII вв.), раскрывающие грузинским монахам Ивирона содержание документа. В первой записи написано: "Это есть завещание Сумбата своей супруге". Во второй же записи читаем: "Завещание Саввы, который пожертвовал Радоливо". Из этой записи следует, что несмотря на то, что в завещании Сумбата Ивирон вообще не фигурирует, а Радоливо Ивирон получил по завещанию Марии, грузинская братия монастыря считала, что пожертвование Радоливо монастырю было решением Сумбата, осуществленное впоследствие в завещании Марии.

В основе совместного решения супругов Бакуриани, видимо, лежал прямой расчет, который мог принести максимальную

помощь и пользу монастырю при жизни и после смерти Марии. Дело касалось реализации завещаний монашествующих супругов. Сумбат, видимо, считался добровольным мирским покровителем-эпитропом монастыря и имел определенные обязательства по отношению к монастырю. О намерениях супругов Бакуриани братия монастыря узнала не сразу (агап № 120), но узнав о них и оценив должным образом, полностью изменила свое отношение к чете Бакуриани. Изменения в отношениях Ивирона к чете Бакуриани (от недоверия и обиды до глубокой признательности) полностью раскрылись в уставах агапов (№ 120, 121, 103, 60).

Описанный случай патронажа Ивирона со стороны проживающих в Византии высокопоставленных представителей грузинской феодальной аристократии (Бакуриани) в Синодиконе является не единственным. Еще одну аналогичную историю можно вычитать в поминальных записях для Георгия магистра (№ 56, 73,96). Учреждены эти агапы игуменом Ивирона Николаем синкелом в 1080–1085 годах (годы игуменства Николая) после смерти Георгия магистра. Из первого агапа мы узнаем, что блаженный Георгий магистр был благотворителем Ивирона. При жизни и после смерти он передал монастырю большой клад: златотканную парчу, серебряную посуду и коней на общую сумму в 40 литров золотых монет. В знак благодарности монастырь учредил для него три поминальных записей. Из них последний агап учрежден в день его погребения в Ивироне, где он сам при жизни соорудил себе могилу. Нам кажется, что Георгий магистр был таким же мирским добровольным эпитропом Ивирона, как Сумбат.

Из вышесказанного следует, что наряду с официальными эпитропами, которые с конца X века назначались византийскими императорами в больших лаврах и монастырях, в Ивироне существовали и добровольные мирские эпитропы из числа проживающих в Византии грузинских сановников. Прекрасно понимая политическое и культурное значение Ивирона для Грузии, они старались всячески поддерживать братию Ивирона морально и экономически. Такими были куропалат Сумбат и Георгий магистр. За большие заслуги перед монастырем оба по собственному желанию были похоронены в Ивироне. Видимо, это право принадлежало особо заслуженным мирским эпитропам монастыря из числа высокопоставленных лиц грузинского

происхождения, проживающих в Византии. О Георгие магистре до последнего времени нам мало что было известно. Не было достоверных документальных сведений об его грузинском происхождении, хотя предположения на этот счет высказывались. Поэтому весьма ценными для нас оказались те материалы, которые обнародовал В. Зайпт в тезисах международного симпозиума по грузинскому искусству. В статье автор касается нескольких греческих булл, мало известных и мало изученных, принадлежащих должностным лицам грузинского происхождения, проживающих в Византии. Среди других, автор касается также и одной двуязычной (греко-грузинской) печати, принадлежавшей грузину Георгию патрикию и стратегу. Автор датирует буллу третьей четвертью XI века (до 1071 года). Нам кажется, что личность Георгия стратига смело можно идентифицировать с Георгием магистром из Афонского Синодикона, для которого поминальные записи были учреждены после его смерти в 1080–1085 годах*. Хронология вполне подходящая. В таком случае сомнение в национальной принадлежности Георгия магистра отпадает, так как на булле Георгия стратега имеется и грузинская надпись.

H. MÉTRÉVÉLI

## DONNÉES DU SYNODIKON DE L'ATHOS SUR LES BAKOURIANI ET LES HIGOUMÈNES DE BATCHKOVO

Résumé

Le Synodikon géorgien de l' Athos est une source importante pour l'histoire d 'Iviron, de l'Athos et même pour l'histoire de Byzance. Le Synodikon est conservé dans le manuscrit connu sous le nom de "Codex Athonite", redigé à l'Athos en 1074 (il est conservé, à l'Institut des manuscrits de l'Académie des Sciences de Géorgie).

La première version du synodikon contenait environ 50 commémoraisons. Après 1074 le Synodikon fut complété des nouvelles commémoraisons et vers la fin du XII[e] s. il contenait 167 commémoraisons.

La richesse des données historiques du Synodikon attirait toujours l'attention des savants, mais leur utilisation était reduite à cause de la difficulté

[9] К концу своей жизни Георгий патрикий и стратег мог бытъ уже и магистром.

de leur datation. En préparant l'édition du Synodikon nous l'avons étudié d'un point de vue codicologique et historico-philologique. Nous avons pu établir les différentes couches chronologiques et dans chaque couche - les groupes chronologiques des commémoraisons qui nous ont permis leur datation.

Dans notre exposé nous présentons les commémoraisons suivantes: deux commémoraisons pour les fréres Abbas et Grégoire Bakouriani (nn. 38, III), les commémoraisons pour les higoumènes du monastère de Batchkovo Theophane de Petritson (n. 84) et Nicolas de Petritson (n. 141). A la fin il y a quatre commémoraisons pour le curopalate Soumbate Bakouriani et sa femme Kalè-Maria (nn. 120, 121, 103, 60).

L'analyse de certaines commémoraisons pour le curopalate Soumbate Bakouriani et sa femme Kalè-Maria (nn. 120, 121, 103, 60) et de certains actes grecs d'Iviron ont démontré, que Soumbate (payant l'impôt à Iviron) ètait son protecteur civil (avec les fonctions d'èpitrope) et avait des devoirs envers lui.

Au moment de rendre son âme Soumbate et avec lui sa femme ont revêtu l'habit monastique. Comme ce couple religieux n'avait pas d'enfant, ce fait les obligeait à de nouveaux devoirs envers le monastère; cela devait se refléter dans le testament de Soumbate. Les frères d'Iviron y comptaient beaucoup, mais dans son testament Soumbate ne prèvit rien pour le monastère. Comme il semble, les Bakouriani ont élaboré ensemble le projet d'une aide économique à Iviron. Leur soutien continuel, à intervalles éloignés devait être réalisé par Maria après la mort de Soumbate. Ce projet se voit dans la commémoraison du couple Bakouriani,écrite après la mort de Soumbate et dans le testament de Marie.

ე. მეტრეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ათონის ერთი აღაპის გაგებისათვის

ათონის ივირონის მონასტრის ისტორიის ქართულ წყაროთა შორის „ათონის კრებულს“, რომელიც შეიქმნა ივირონის მონასტერში როგორც ამ მონასტრის დიდებულ მოღვაწეთა სამახსოვრო წიგნი და პირველი ისტორია, განსაკუთრებული ადგილი უკავია. კრებული ძირითადად შეიცავს ნარატიულ წყაროებს (იოანე და ექვთიმეს და ილარიონის ცხოვრებებს) და ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნს. ეს უკანასკნელი მოიცავს უმდიდრეს მასალას ივირონის ეკონომიკური მდგომარეობის, მეურნეობის წარმოების ფორმების, მისი ეკონომიკური და უფლებრივი მიმართების შესახებ ათონის სხვა, არაქართულ მონასტრებთან, მონასტრის ცხოვრების ორგანიზაციის, მისი ტიპიკონის, მისი ურთიერთობის შესახებ ბიზანტიის კეისრებთან და დიდ სახელმწიფო მოღვაწეებთან, და ბოლოს, იმ ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერის შესახებ, რომელიც ჰქონდა ივირონს საუკუნეების მანძილზე საქართველოდან. აღაპები, ამავე დროს, ერთ-ერთი ძირითადი წყაროა მონასტრის წინამძღვართა რიგის დასადგენად. ერთი სიტყვით, ამ ძეგლით, თუ ის კარგად იქნა შესწავლილი, შეიძლება საკმაოდ სრულად წარმოვიდგინოთ ივირონის ხანგრძლივი მღელვარე და შინაარსიანი ცხოვრება.

ეს ძეგლი, დიდიდან მისი ათონიდან საქართველოში ჩამოტანისა, იზიდავდა მკვლევართა ყურადღებას. სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს მას კ. კეკელიძემ, ნ. ბერძენიშვილმა და რ. ბლეიკმა. ამ ბოლო წლებში, ნ. ბერძენიშვილის არქივის დამუშავების პროცესში გაირკვა, რომ ნ. ბერძენიშვილს აღაპებისადმი ინტერესი მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შენელებია. მას განზრახული ჰქონდა ათონის აღაპთა ახალი გამოცემის მომზადება იმ პრინციპების მიხედვით, რაც მან თავის გამოკვლევაში ჩამოაყალიბა. ნ. ბერძენიშვილის ხელით დაწერილი აღაპთა სრული ტექსტი გამოკვლევითა და კომენტარებით დაცულია მის პირად არქივში (ხელნაწერთა ინსტიტუტში), ბუნებრივია, ნ. ბერძენიშვილს ვერ დააკმაყოფილებდა „ათონის კრებულის“ 1901 წლის საკლესიო მუზეუმის გამოცემა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ გამზადებული ტექსტის გამოქვეყნება მან მაინც არ მოისურვა. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ აღაპებში რჩებოდა მრავალი საკითხი, რომელთა გასაგებად არ კმაროდა მის ხელთ არსებული მასალა. ამისდა მიუხედავად, ვფიქრობთ, ამ სახითაც ეს საინტერესო ნაშრომი უთუოდ უნდა გამოქვეყნდეს.

ალაპთა ტექსტების ახალ გამოცემაზე მუშაობა დიდი ხნის წინ დაიწყო აგრეთვე თამარ ხაჟომიამ, სხვათა შორის, ნ. ბერძენიშვილის რჩევითა და წაქეზებით. მის მიერ ხელახლა წაკითხულ ტექსტებში ბევრი რამ გასწორდა და გაიმართა. ამ მუშაობას ბოლო წლებში მეც შევუერთდი, რათა, პირველ რიგში, კომენტარები დამეწერა, სადაც გაიხსნებოდა ალაპის შინაარსი, დადგინდებოდა ტერმინები, ტოპონიმები თუ პირთა ვინაობა და ალაპის თარიღი. როდესაც შევუდექი მუშაობას, გაირკვა, რომ ჩემთვის ცნობილი ქართული წყაროებით ამ საქმეს ვერ მოვევლებოდა. ივირონი, რომელიც ათონის სამონასტრო ცენტრის ერთ-ერთი მდიდარი და გავლენიანი მონასტერი იყო, ცხოვრობდა იმ წესებისა და ადათ-ჩვეულებების მიხედვით, რომელიც ათონის მთაზე საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა და ასე კარგად აისახა ათონის ისტორიის ბერძნულ წყაროებში, ბერძნულ სამონასტრო აქტებსა და ტიპიკონებში.

თუ რამდენად გვეხმარება ათონის სამონატრო ცხოვრების ბერძნული წყაროები ივირონის ალაპთა გაგებაში, ამის ერთი ფაქტის ილუსტრაციას ეძღვნება წინამდებარე წერილი.

შევეხებით ათონის ქართველთა მონასტრის ალაპთა კრებულის 112-ე ალაპს, რომლის შინაარსი ჩვენთვის ბოლო დრომდე გაუგებარი იყო. ალაპში ვკითხულობთ: „თუესა სეკდემბერსა კგ. ალაპი არს ფანტინესი, ბასილწმიდელისაჲ. აელო ბასილწმიდაჲ ორსა პირსა ზედა და ერთი პირი გაუტევა. ვიდრე ცოცხალ იყო, ააშენა. ხუთასისა მოდისა ყანაჲ შეჰმატა სყიდით, და იყიდა ვენაკი ათისა მოდისაჲ, სახლი და ეკლესიაჲ ჰურჰლითა მოაშენა, და მოგუცა ორასი დრაჰკანი. ამის ყოვლისათჳს გარდაიკდებოდის ალაპი მისი ძალისაებრ ყოვლითა მოსწრაფებითა[1].

ალაპიდან ნათელია შემდეგი:

1. ვინმე ფანტინეს ქართველთა მონასტრისაგან საკუთარ მფლობელობაში მიუღია ბასილწმინდის მონასტერი.

ეს მონასტერი რომ ივირონის საკუთრება ყოფილა, ამას ადასტურებს 1104 წლის ბერძნული პრაქტიკონი, რომელიც ივირონის მამულების აღწერას შეიცავს[2]. აქ ვკითხულობთ: „თესალონიკეში... კამფსალის მხარეს არის მონასტერი წმიდა ბასილი მაკრონარიებით და სახლებით".

---

[1] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით. თბ. 1901, გვ. 244.

[2] გეორგიკა, ტ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1970, გვ. 247-248; Actes d'Iviron, II, N 52, p. 217; 238.

2. ფანტინესათვის ბასილწმინდის გადაცემა გარკვეულ შეთანხმებას ემყარებოდა, რომელიც ასეა ჩამოყალიბებული ალაპში: „აელო ბასილწმიდაჲ ორსა პირსა ზედა და ერთი პირი გაუტევა".

ფანტინეს, ამავე შეთანხმების საფუძველზე, გაუღია ივირონის სასარგებლოდ ორასი დრაჰკანი.

3. ალაპის დაწერის დროისათვის ბასილწმინდა კვლავ ივირონის კუთვნილებაა. ალაპი დაიწერა ფანტინეს გარდაცვალების შემდეგ იმის გამო, რომ მან ბევრი შესძინა თავის სიცოცხლეში ბასილწმინდას (ყანა, ვენახი, ჭურჭლით მოამარაგა სახლი და ეკლესია). აქედან აშკარაა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მონასტრის სხვისთვის დროებით (იჯარით) გადაცემის გარკვეულ სახესთან.

თუ რას გულისხმობდა ფანტინესთვის ბასილწმინდის დროებითი გადაცემის პირობა, ამის ახსნას ვპოულობთ ათონის სამონასტრო პრაქტიკაში.

X საუკუნის II ნახევრამდე ათონის მთა წარმოადგენდა ასკეტთა (კელიოტთა) და კენობიტთა თავშესაფარს. მხოლოდ აქა-იქ იყო პატარ-პატარა მონასტრები. ამ პერიოდში ათონის ბერები წინააღმდეგნი იყვნენ ყოველგვარი საკუთრებისა, წინააღმდეგნი იყვნენ მიწის დამუშავებისაც და იკვებებოდნენ გარეული მცენარეულობითა და ხილით.

X საუკუნის მეორე ნახევრიდან სურათი არსებითად იცვლება. იქმნება დიდი სამონასტრო კოლექტივები უძრავი ქონებითა და მეურნეობით. პირველი ასეთი მონასტერი იყო ათანასეს ლავრა (964 წ.). ლავრა, რომლის ქტიტორად ნიკიფორე ფოკა ითვლებოდა, სწრაფად იზრდებოდა, მდიდრდებოდა, ძლიერდებოდა, იძენდა მიწებს, იერთებდა პატარა მონასტრებს, აფართოებდა მეურნეობას. მიწის ყიდვა-გაყიდვა თუ იჯარით გაცემა ამ დროიდან ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო ათონის სამონასტრო ცხოვრებაში, რისთვისაც შემუშავდა სამონასტრო მიწების მუდმივ თუ დროებით გაცემისა თუ გაყიდვის წესები. ეს წესები აისახა ათონის პირველ ტიპიკონებში და სამონასტრო აქტებში.

როგორც წესი, მონასტერს თავისი მიწა თუ სხვა სახის უძრავი ქონება არ უნდა გაეყიდა, რათა ამით არ შეემცირებინა სამონასტრო ძმობის საერთო ქონება. გაყიდვა დასაშვები იყო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ამიტომ ათონზე უფრო გავრცელებული იყო მიწის, სენაკთა, პატარა მონასტრებისა თუ სახლების დროებით იჯა-

რით გაცემა. მეორე მხრივ, ათონის კანონების ძალით, თუ იჯარით გაცემული მიწა 29 წელზე მეტხანს ექნებოდა მფლობელობაში მოიჯარეს, მაშინ ის მოიჯარის მუდმივ საკუთრებაში გადადიოდა. ამიტომ მიწისა, თუ სხვა უძრავი ქონების გაცემის ერთი სახეობა იყო 29 წლის ვადით მისი გაცემა.

ამ ვადით მიწის გაცემის ფაქტები დასტურდება ათონის მონასტერთა ბერძნულ აქტებში. ამის ნიმუშად გამოდგება 982 წლის ცნობილი შეთანხმების აქტი კოლობუს მონასტრის ბერებსა და იერისოს მცხოვრებლებს შორის: ეს აქტი განხილული აქვს პ. უსპენსკის[3]. პატარა ნაწყვეტი ამ დოკუმენტის ტექსტისა დაცულია მის მიერ გამოსაცემად მომზადებული ათონის აქტების ფოტოპირთა კრებულში, რომელიც ინახება მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში სანქტ-პეტერბურგში, ხოლო მისი პირი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-1345). ამ მასალას მიაკვლია, შეისწავლა და გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა[4]. ამ შესანიშნავი დოკუმენტის სრული ტექსტი კი გამოქვეყნდა ივირონის ბერძნული აქტების ოთხტომეული გამოცემის 1 ტომში[5]. ამ დოკუმენტში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ კოლობუს მონასტრის წინამძღვარმა თავის დროზე გადასცა იერისოს მცხოვრებლებს იჯარით, 29 წლის ვადით, 2 000 მოდის მიწის ნაკვეთი, და რომ 29 წლის შემდეგ ეს მიწა კვლავ კოლობუს უნდა დაუბრუნდეს.

მაგრამ მიწის იჯარით გაცემის ამ წესს თავისი უხერხულობაც ახლდა და საფრთხეც იმისა, რომ მიწა სამუდამოდ გადავიდოდა დროებით მფლობელის ხელში. ამიტომ ამ წესის გვერდით არსებობდა მიწის თუ სხვა უძრავი ქონების იჯარით გაცემის კიდევ ერთი სახეობა, რომლის მიხედვით ქონების გაცემა ხდებოდა არა 29 წლის ვადით, არამედ მოიჯარის სიკვდილამდე, ე. ი. გაურკვეველი დროით. დროის ეს მონაკვეთი შეიძლება ყოფილიყო 29 წელზე მეტიც და ნაკლებიც. ამ გზით გამორიცხებოდა საფრთხე იმისა, რომ 29 წლის შემდეგ მონასტრის ქონება მოიჯარეს დარჩებოდა.

თუ მონასტერს სურვილი ჰქონდა დიდი ხნით გაეცა იჯარით სამონასტრო ქონება, ის იჯარის პირობაში წერდა, რომ მიწაზე უფ-

---

[3] Первое путешествие в Афонские монастыри и скиты архимандрита, ныне епископа Порфирия Успенского, в 1846 г. Часть I, отд. II. Киев 1877. с.312.

[4] გეორგიკა, ტ. VIII, გვ. 179-184.

[5] Actes d'Iviron, I, N 5, p. 129-134.

ლება ეძლევა ერთ კაცზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს 7 ან 8 კაცისა. ეს იმას ნიშნავდა, რომ პირველ მოიჯარეს სიკვდილის წინ შეეძლო იჯარის უფლება გადაეცა თავისი მემკვიდრისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს თავის მხრივ თავისი მემკვიდრისთვის და ასე შემდეგ იმდენჯერ, რამდენი კაციც ივარაუდებოდა იჯარის პირობაში (აქტში). მიწის იჯარით გაცემის ეს წესი ათონზე გავრცელებული ყოფილა XV საუკუნემდე. ამის მაგალითები გვხვდება ათონის დიონისეს მონასტრის აქტებში. ამ ფაქტებზე საგანგებოდ ჩერდება ამ მონასტრის ბერძნული აქტების გამომცემელი და მკვლევარი ნიკოლას იკონომიდისი[6]. ის წერს: „ქონების გაცემა სიკვდილამდე, პირების განსაზღვრულ რაოდენობაზე მითითებით, ხშირად იყო გამოყენებული სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ათონზე საეკლესიო ქონების დროებით (სიკვდილამდე) სხვისთვის გაცემის პრაქტიკა 1164 წელს პატრიარქ ლუკა ხრიზობერქეს მიერ დაგმობილ იყო, ამან მაინც ვერ შეაჩერა ამავე პრაქტიკით საეკლესიო ქონების გაცემა XIV–XV საუკუნეებშიც“[7].

სამონასტრო მიწისა და ქონების გაცემის ეს წესი ასახულია ათანასე ლავრელის ცნობილ ტიპიკონში, სადაც ათანასე საგანგებოდ აღნიშნავს იმ პირობებს, რომლითაც ათონზე პირველად ჩასულ იოანე იბერს მიეცა თავშესაფარი ათანასეს ლავრაში და გამოეყო სენაკები. ტიპიკონში წერია, რომ სენაკები დარჩება იოანესა და მის მემკვიდრეთა მფლობელობაში იქამდე, სანამ მისი (იოანეს) მემკვიდრენი იცხოვრებენ ათანასეს მემკვიდრეთა გვერდით, მაგრამ მათი რიცხვი 8-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამავე დროს ლავრის სენაკები არ შეიძლება იქნეს გაყიდული, არც სხვისთვის მიცემული, ან რაიმე სხვა გზით ჩამოშორებული ათანასეს ლავრას.

ამავე წესით, 1012 წელს ექვთიმე ათონელმა თავის სულიერ შვილს, იოანე ბერს, ადგილი მისცა სენაკისათვის. ბერძნული აქტი ამ ბოძების წიგნისა ქართული თარგმანითურთ გამოქვეყნებულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ[8]. იგივე ბერძნული აქტი № 17 შეტანილია ივირონის მონასტრის ბერძნული აქტების I ტომში[9]. დოკუმენტის შინაარსია:

---

[6] Acte de Dionysíou. Édition diplomatique par Nicolas O'ιconomidès. 1968, p. 68-71.

[7] იქვე, გვ. 70.

[8] გეორგიკა, ტ. VIII, გვ. 197-201.

[9] აქტი გამოქვეყნებულია: Actes d'Iviron, I, p. 193.

ექვთიმემ მისცა ბოძების წიგნი თავის სულიერ შვილს იოანეს[10], რომელმაც ყრმობიდანვე მიატოვა თავისი მშობლების სახლი, რათა სულიერი ცხოვრებისათვის მიეყო ხელი. ის ჯერ მონაზვნის სქემით შეიმოსა, ხოლო შემდეგ მღვდლად ეკურთხა. მამის გარდაცვალების შემდეგ იოანემ მშობლების ქონება გადასცა მონასტერს, როგორც ეს შეჰფერის ჭეშმარიტ მონაზონს. შემდეგ მან მოსთხოვა ექვთიმეს, რათა მისთვის მიეცათ ადგილი სენაკის ასაშენებლად. თანხმობა მიიღო ექვთიმესაგან. ადგილი (მიწა) იოანემ თვითონ შეარჩია – აწიკიანის მიწა, სადაც ადრე მიქაელ ტყვედწოდებული ცხოვრობდა. ეს მიწის ნაკვეთი ექვთიმემ შეიძინა მიქაელის მოწაფისაგან სამ ნომისმად და უწყალობა იოანეს გარკვეული პირობით სენაკებისა და ეგვტერის ასაშენებლად. პირობა კი ასეთი იყო: ამ ადგილით იოანეს შეუძლია ისარგებლოს სიცოცხლის მანძილზე. მას აქვს უფლება იქ დაემკვიდროს ძმებთან ერთად, რომლებიც ისურვებენ მოემსახურონ იოანეს, იქნება ეს ორი თუ სამი, მაგრამ არა უმეტეს შვიდი ძმისა, ვინაიდან არ არის სასურველი, რომ ივირონის მახლობლად შეიქმნას ბერების ახალი დიდი სამყოფელი. იოანეს გარდაცვალების შემდეგ ადგილი გადაეცემა მის ძმებს მონაცვლეობით, მაგრამ რაოდენობა მათი შვიდს არ უნდა აჭარბებდეს. ამასთანავე ექვთიმე დასძენს: „შენ არ გქონდეს უფლება, არც იმათ, ვინც შენს შემდეგ იქნებიან, ეს ადგილი მიჰყიდოთ ვინმე უცხოელს და სხვა პირებს, ან სხვა მონასტერს გადასცეთ. მაგრამ თუ გადაწყვეტთ ამის გაყიდვას, მაშინ ივირონი გადაიხდის საფასურს და გახდება ამ ნაკვეთის მფლობელი".

ამ ბერძნულ აქტს აქვს ქართული მინაწერი, სადაც შემდეგნაირად არის გადმოცემული დოკუმენტის დედააზრი: „ქ. აწიკიანთა ზღვრისა კელი მამისა ეფთჳმესი, მიცემული პირსა ზედა ჵ, და მერმე ეკლესი-ასავე შეექცეს. არა კელ-ეწიფების გასასყიდად და გაცემად"[11].

როგორც ვხედავთ, ივირონი კერძო პირისათვის სამონასტრო მიწის დროებით მფლობელობაში გაცემას იმავე წესით ახდენს, როგორც ეს ათონის № 112 აღაპშია დადასტურებული: „პირსა ზედა ჵ", რის შედეგადაც მონასტერს უბრუნდება დროებით გაცემული მამული.

---

[10] ექვთიმეს სულიერი შვილის, იოანეს, შესახებ იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, გვ. 387, სქ. 109.

[11] Actes d'Iviron, I, N17, p. 193.

დოკუმენტში მშვენივრად არის ახსნილი მიწის დროებით სარგებლობაში გადაცემის სისტემა, რომელიც დროის აღრიცხვის ამ თავისებურ, ათონურ წესზეა დამყარებული. ეს წესი, როგორც ჩანს, ზოგჯერ ირღვეოდა, მაგრამ ყოველთვის მონასტრის სასარგებლოდ. ეს კარგად ჩანს 1264–1265 წლების ბერძნულ აქტში[12]. დოკუმენტი ეხება კლიმწმინდის გადაცემას ნიკოლოზ კომუდისათვის „ოთხსა პირსა ზედა". კლიმწმინდა იყო ივირონის მეტოქი, რომელიც თესალონიკეში მდებარეობდა და დოკუმენტის შედგენის დროისათვის მოუვლელი და უპატრონო იყო. ამ დოკუმენტის მიხედვით, მონასტრის მეტოქს გამოუჩნდა პატრონი და მომვლელ-გამშენებელი ნიკოლოზ კომუდის სახით. დაიწერა ნიკოლოზ კომუდისათვის კლიმწმინდის დროებით გადაცემის აქტი.

იმის გამო, რომ დოკუმენტი ეხება სამონასტრო ქონების გადაცემას სხვისთვის, დოკუმენტს ხელს აწერენ არა მარტო მონასტრის (ივირონის) წინამძღვარი, როგორც ეს სხვა ხასიათის დოკუმენტებშია, არამედ მონასტრის სხვა თანამდებობის პირები და უბრალო ბერებიც, რითაც ამ გარიგებაზე მთელი ძმობის თანხმობა დასტურდება.

ეს აქტი დასახელებულია პ. უსპენსკის ათონის ბერძნული აქტების საძიებელშიც. აქ ვკითხულობთ: "Дело о передаче метоха св. Климента в Солуне Николаю Камудыву Неофитом, проигумном монастыря Иверского"[13].

ამ დოკუმენტის გამცემად პ. უსპენსკი ნეოფიტე პროიგუმენს იმიტომ ასახელებს, რომ ბერძენ ნეოფიტეს ბერძნულად აქვს ხელი მოწერილი ამ დოკუმენტზე. ნეოფიტეს შემდეგ ასევე ბერძნულად აწერს ხელს ვინმე ბასილეიოს იეროდიაკონი. თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ 1264 წელს ივირონის პროიგუმენი ბერძენია და რომ ივირონის მონასტრის მიერ გაცემულ აქტს ორი ბერძენი აწერს ხელს. ანალოგიური შემთხვევები ივირონის უფრო ადრეულ ბერძნულ აქტებში არ უნდა იყოს ცნობილი.

პ. უსპენსკიმ ვერ წაიკითხა ამავე დოკუმენტის სხვა მრავალრიცხოვანი ქართული ხელრთვები და მათ შორის ივირონის წინამძღვრის, იოანეს ხელრთვა. ეს დოკუმენტი საინტერესოა იმითაც, რომ ივირონის წინამძღვრების ხელრთვებს ახლავს ქართულ ენაზე

---

[12] Actes d'Iviron, III, N60, p. 103.

[13] П. Успенский. Каталог разных актов, хранящихся в монастырях, скитах и келлиях св. Горы Афонской. ЖМНП, 1847, июль, отд. II, с. 59.

შესრულებული ვრცელი განმარტებითი ტექსტებიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ კლიმწმინდის გაცემა-დაბრუნების მთელი ისტორია გავითვალისწინოთ.

მოგვყავს ამ მინაწერების სრული ტექსტები:

I. „მე, მამამან იოანე, მივეც კლიმწმიდაჲ ნიკოლოზ კამუდის ოთხსა პირსა ზედა, რათა აღაშენოს ეკლესიაჲ და კელიები და მისცემდეს (ივირონს – ე. მ.) ყოველთა წელთა ოთხ-ოთხსა პერპერასა, თუესა ოკდომბერსა, ინდიქტიონსა რვასა“ (1264-1265)[14].

ამ ცნობას მოსდევს სამი ხელწერა, ეტყობა, შემდეგ გაკეთებული:

1. „მე, პაპა გიორგი, მოწამე ვარ“ (ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით).

2. „მე, მამაყოფილი ი/ოან/ე, მოწამე ვარ“ (ეს მინაწერი უნდა მიუთითებდეს, რომ ამ დოკუმენტის გამცემი მამა იოანე თავისსავე ხელწერას შემდგომშიც ადასტურებს უკვე როგორც მამაყოფილი, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ეს სხვა იოანე იყოს[15].

3. „მე მოძღვრისა დამინიშნავს“ (ე. ი. ივირონის რომელიღაც ბერს ჯვრით თავის მოძღვრის ხელწერა დაუნიშნავს).

ამ ქართულ ხელრთვებს, როგორც უკვე ითქვა, მოსდევს ივირონის პროიგუმენის ბერძენი ნეოფიტისა და ბერძენი ბასილეიოსის ხელმოწერები[16].

II. ბერძნული ხელმოწერების ქვემოთ ახალ სტრიქონზე კვლავ ქართული სამსტრიქონიანი, სხვა ხელით შესრულებული მინაწერია:

„მე, მამამან ნიკოლოზ, დაუწერე ნიკოლოს კამუდის კლიმწმიდაჲ ოთხსა პირსა ზედა, რათა აღაშენოს ეკლესიაჲ და კელინები და მოსცემდეს ყოველთა წელთა ოთხ-ოთხსა პერპერასა თუესა ოკდომ-ბერსა თჳნიერ ყოვლისა სიტყჳსა“[17].

ამ დოკუმენტით ნიკოლოზ ივირონის წინამძღვარი, იოანე წი-ნამძღვრის მომდევნო, აახლებს იოანეს დაწერილს და დასძენს, რომ

---

[14] Actes d'Iviron, III, N60, pp. 106,108.

[15] მართალია, ხელი პირველი ტექსტისა და ამ ხელრთვა-მინაწერისა ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ განსხვავებაც არის. იოანე პირველ შემთხვევაში დაქარაგმებულია – „ი͠ნე“, ხოლო მეორე შემთხვევაში – ი͠ე. სხვადასხვანაირად არის გამოყვანილი ქანწილებიც.

[16] Actes d'Iviron, III, N60, p. 104, 106.

[17] Actes d'Iviron, III, N60, p. 108.

კლიმწმინდამ ყოველი წლის ოქტომბრის თვეში უნდა გადაუხადოს ივირონს, შეთანხმების თანახმად, ოთხ-ოთხი პერპერა შეხსენების გარეშე („თჳნიერ ყოვლისა სიტყჳსა“).

ნიკოლოზ წინამძღვრის ამ დაწერილის მოწმეა საბა დიდი იკონომოსი. „მე, საბა დიდი კონომი, მოწამე ვარ და თანადავხუდი“[18].

ამგვარად, ამ ორ დაწერილში გამოჩნდა ივირონის XIII საუკუნის II ნახევრის ორი წინამძღვარი: იოანე და ნიკოლოზი, საფიქრებელია, ერთმანეთის მომდევნო, რომლებიც აყალიბებენ ამ ბერძნული აქტის ყველა პირობას. და ბოლოს, ბერძნული დოკუმენტის ქვემო კიდეზე მიწერილია მესამე „დაწერილი“ მესამე წინამძღვრის მიერ (სხვათა შორის, ამ მესამე მინაწერის ხელი გვხვდება ათონის აღაპებშიც):

III. „ესე დაწერილი კლიმწმიდისაჲ არის თესალონიკეს კამუდისა და ქალაქს ნუღარავინ წაიღებს, ნუცა ვინ ვის მისცემს სადა ვის. ზეგარდასრულა ჩუენთა მამათა დ პირსა ზედა მიეცა[19] და მე ორი პირი მოვჰკუეთე. და იგი ბერი რაჲ ზეგარდაიცვალოს, მერმე მონასტერი იგი ჩუენი იქნების მოკაზმული. სერაპიონ იტყჳს და კეთილად მოვიჭირვეთ“[20].

ეს არის მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს, რომ შეთანხმება ნიკოლოზ კამუდისთვის უკვე დასრულდა („ზეგარდასრულა“), ვინაიდან მამებს კლიმწმინდა ნიკოლოზ კამუდისათვის მიუციათ „ოთხსა პირსა ზედა“, ხოლო მას, სერაპიონს, ორი პირი მოუკვეთავს, ე. ი. შეთანხმება ორი კაცით შეუმცირებია. ამ ცნობის დაწერის დროისათვის, ეტყობა, მეორე პირი – ბერი ცოცხალი იყო, მაგრამ, ალბათ, უკვე ხნიერი. ამიტომ სერაპიონი ბრძანებს: „იგი ბერი რაჲ ზეგარდაიცვალოს, მერმე მონასტერი იგი ჩუენი იქნების მოკაზმული“. თან დასძენს: „კეთილად მოვიჭირვეთ“, ე. ი. კარგად ვიღვაწეთ და მოვაგვარეთ საქმეო. ყველა ამის გამო სერაპიონი ბრძანებს, რომ ამ დოკუმენტს ქალაქში (კონსტანტინოპოლში) ნუღარავინ წაიღებს (იგულისხმება, ალბათ, განახლებისათვის, გასაჩივრებისათვის) და ნურც ნურავის მისცემს სადმე, ვინაიდან იგი გარდასრულია, ე. ი. ხელშეკრულების ვადა ილევა, ვინაიდან, ალბათ,

---

[18] Actes d'Iviron, III, N60, p. 106.

[19] იგულისხმება წინა მინაწერში („დაწერილებში“) მოხსენიებული ქართველთა მონასტრის ორი წინამძღვარი – იოანე და ნიკოლოზი.

[20] Actes d'Iviron, III, N60, p. 108.

დღე-დღეზე ელოდებოდნენ ამ ბერის გარდაცვალებას. საფიქრებელია, ამ სიტუაციამ განაპირობა მესამე „დაწერილის" შექმნის აუცილებლობაც: ბერის გარდაცვალებასთან ერთად გაუქმდებოდა პირობის წიგნი, ვინაიდან ის იურიდიულ ძალას კარგავდა და მონასტერს ის აღარ დასჭირდებოდა. ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ ამ ტიპის დოკუმენტები ძალიან ცოტაა შემორჩენილი.

მინაწერში მოხსენიებული სერაპიონი უნდა იყოს ივირონის წინამძღვარი, რომელიც იხსენიება 1295 წლის ბერძნულ აქტში (Iviron 68)[21]. თუ ეს ასეა, მაშინ ზემოთ განხილული სამი ქართული „დაწერილი" წარმოაჩენს ივირონის მონასტრის 3 წინამძღვარს და ივირონის საკუთრების, თესალონიკის კლიმის მონასტრის, დროებით გადაცემის ისტორიას 30 წლის მანძილზე.

მთელი ეს ვრცელი ისტორია იმისათვის დაგვჭირდა, რომ გაგვეხსნა № 112 აღაპის შინაარსი. დავუბრუნდეთ ამ აღაპის შინაარსს: ფანტინეს ივირონის მონასტრისაგან მიუღია ბასილწმინდის მონასტერი (თესალონიკეში) დროებით სარგებლობაში „ორსა პირსა ზედა", ე. ი. ფანტინეს უფლება ჰქონდა, შეთანხმების საფუძველზე, სიკვდილის წინ უფლება ამ მონასტერზე თავის მემკვიდრისათვის გადაეცა, მაგრამ მას არ გამოუყენებია ეს უფლება და „ერთი პირი გაუტევა". ამდენად, შეამცირა ამ მონასტრის სხვაზე გაცემის დრო. ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ ბასილწმინდა, გაშენებული და გამდიდრებული ფანტინეს ცდითა და ღვაწლით, კვლავ უბრუნდება ივირონის მონასტერს.

ივირონის მონასტრის ძმობამ ფანტინესათვის მისი გარდაცვალების შემდეგ განაწესა აღაპი იმ ქონებისათვის, რომელიც ფანტინემ სიცოცხლეში შემატა ბასილწმინდას (და ამდენად ივირონს) ყანის, ვენახის თუ საეკლესიო ინვენტარის (ჭურჭლის) სახით.

როგორც ვხედავთ, № 112 აღაპის შინაარსის გახსნისათვის საჭირო გახდა ათონური სამართლისა და ტრადიციების გათვალისწინება, რაც ასე კარგად არის ასახული ათონის ბერძნულ აქტებსა და პრაქტიკონებში.

— ლიტერატურული ძიებანი (ეძღვნება ალექსანდრე ბარამიძის დაბადების 80 წლისთავს). თბ., 1983. გვ. 182–191.

[21] Actes d'Iviron, III, N68, p. 140.

ელენე მეტრეველი

## ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის

სიტყვა „ხანბაშური“ რამდენიმე წერილობით წყაროშია დამოწმებული. ერთ-ერთი ადრეული წყარო, რომლის დათარიღებაც ხერხდება, არის ათონის ქართველთა მონასტრის „სააღაპე წიგნი“. ორწევრა აღაპის (28/148) მეორე წევრის ტექსტში დასახელებულია არსენ მარდეზის ძე თბილელი ხანბაშური“; „თუესა იანვარსა ზ. აღაპი განუწესეთ არსენი მარდეზის ძესა, თფილელსა ხანბაშურსა. ამისთჳს აღესრულებოდენ ყოვლითა გულსმოდგინებითა, ლოცვითა, პანაშჳდითა, ანაფორაჲთა და ყოვლითა ნუგეშინისცემითა ძმათაჲთა“...[1].

აღაპი დაწერილია ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვრის, პავლეს, ხელით, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი დაწერის დრო (1170–1184 წწ.). აღაპი განწესებული ჩანს არსენ ხანბაშურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რადგან მასში განგების სხვა კომპონენტებთან ერთად პანაშვიდის გადახდაც არის შეტანილი, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სააღაპე წიგნში პანაშვიდის განწესება წინასწარ ხდება შემომწირველის სიცოცხლეში საპანაშვიდო ევლოგიის საფუძველზე.

განგება აღაპისა საკმაოდ მდიდრული და საპატიოა, რაც მიუთითებს, რომ არსენ მარდეზის ძე თბილელი ხანბაშური დიდად პატივცემული და დაფასებული პიროვნება ყოფილა.

აღაპში თბილელი ხანბაშური წარმოდგენილია საკუთარი სახელით (არსენ), გვარსახელით (მარდეზის ძე, მარდეზ // მარდას სპარსული სახელი; „შაჰნამეს“ მიხედვით, მარდასი ზოჰაქის მამას ერქვა) და ზედწოდებით — „თბილელი“.

რას უნდა ნიშნავდეს „თბილელი ხანბაშური“? დავიწყოთ „თბილელით იგი შეიძლება იყოს ან სადაურობის მიმანიშნებელი—წარმოშობით „თბილისელი“. ანდა, რაც უფრო სავარაუდოა, თბილელი (თბილისის) მთავარეპისკოპოსის ზედწოდების აღმნიშვნელი. თუ ამ უკანასკნელ ვარიანტს დავუჭერთ მხარს, მაშინ არსენ მარდეზის ძე ყოფილა თბილელი მთავარეპისკოპოსი და „ხანბაშურიც“ — გარკვეული თანამდებობის მქონე პირი. ამ გვარსახელის თბილელი მთავარეპისკოპოსი ჩვენთვის ხელმისაწვდომ წერილობით წყაროებში ჯერჯერობით არ ჩანს.

---

[1] იხ. აქვე, ათონის სააღაპე წიგნი და მისი კომენტარი № 148.

რაც შეეხება „ხანბაშურს“, აქ გამოიყოფა „ხანბაშ“ – ფუძე (აშკარად აღმოსავლური) და მასზე დართული ქართული სუფიქსი „ური“, იმავე ფუნქციით, რაც „ოთხმიზდურ“-ში (შდრ. „ოთხმიზდი“ – „ოთხმიზდური“)[2].

ვიდრე „ხანბაშ“-ის მნიშვნელობის გარკვევაზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ამ სიტყვის ქართულ წერილობით წყაროებში დამოწმების სხვა შემთხვევები:

მეორე წყარო, რომელშიც სიტყვა „ხანბაშურია“ დადასტურებული, არის ქუთაისის ოთხთავის (ქუთ. № 74) ხელნაწერი, შემოსული ხონჭიორის ეკლესიიდან (რაჭა). ნუსხურით შესრულებულ ანდერძში ვკითხულობთ: „... მე, უნდომან და ყოველთა ქრისტიანეთა უნარჩევესმან, ფრიად ცოდვილმან ცუდსახედელმან მწირმან ნიკოლოზ, ძმისა დანიელ ხანბაშურის გაზრდილმან, მოვიგე ჩემითა ნამუშაკევითა ხატი მაცხოვრისა მინაჲსგან, ყოვლად შემკული თუალ-მარგალიტითა და მას შინა ძელი ჭეშმარიტი, და მევე დავწერე ჟამსა სიბერისა ჩემისასა ოთხთავი კამარითა და ხატითა და ზანდუკითა, ყოვლითურთ სრული, და მოვჭედე მინაჲთა და თუალითა. და რაჲცა სიგლახაკისა ჩემისაგან შესაძლებელი იყო, შევამკე და არავისი რაჲ საკმარი ჰრთავს თანა... შევწირე და მოვაკსენე ყოვლად (წმიდისა) ღმრთისმშობელისა მონასტერსა ჭელიშს, საკსრად ყოველთა ცოდვათა და ბრალთა ჩემთა“[3].

ქუთ. № 74 ხელნაწერის ტექსტში დამოწმების გარდა, დანიელ ხანბაშური იხსენიება აგრეთვე ამავე ხელნაწერის ყდის მირქმის ხატის მინაწერშიც. წარწერა შესრულებულია ასომთავრულით: „უფალო ღმერთო, მოიკსენე წყალობით ნიკოლოზ სოხასტ [რ] ელი, დანიელის ხამბაშურისა გაზრდილი“. როგორც მკვლევარმა გ. ბოჭორიძემ გაარკვია, ნიკოლოზ სოხასტერელი იგივე ნიკოლოზ მწირია, ქუთაისის ოთხთავის (№ 74) გადამწერი[4], XI საუკუნის მოღვაწე. თ. ჟორდანიას აზრით, ეს ნიკოლოზი მოხსენიებულია გელათის სახარების თარგმანის

---

[2] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, სამოხელეო ტერმინები „ჩოროროდი“ და „ოთხმიზდური“. – ნარკვევები ..., გვ. 67.

[3] ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობა, ოთხთავი № 74 (XV–XVI სს.), I, გვ. 212.

[4] გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბილისი, 1994, გვ. 87.

(1047–1053 წწ.) მინაწერში, რომელშიც ვკითხულობთ: „მეორედ შეიმოსა კელითა ფრიად ცოდვილის ნიკოლოზ სოხასტრისაითა“[5].

ოთხთავიც და მისი ყდაც საგანგებოდ შეისწავლეს მკვლევარებმა გ. ბოჭორიძემ და მ. ნიკოლეიშვილმა. მათი აზრით, ხელნაწერის ანდერძი და ყდა XI საუკუნეს ეკუთვნის, თვით ხელნაწერი კი XV–XVI საუკუნეებში განახლებულად მიაჩნიათ.

მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ „ხანბაშური“ დამოწმებულია XI საუკუნის მატერიალური კულტურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლებში (მირქმის ხატი, ხელნაწერი). ამავე დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დანიელ ხანბაშური, თვით მწიგნობარი, მწიგნობართა აღმზრდელიც ყოფილა. ეს გვაფიქრებინებს, რომ „ხანბაშური“ თავისი პროფესიით მონასტრებისა თუ ეკლესიების სამწერლობო კერებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

აქ უნდა გავიხსენოთ ცნობა, რომელიც დაუცავს ერთი ბერძნული ხელნაწერის ქართულ მინაწერს. ათონის ათანასეს ლავრის ბერძნული ხელნაწერების კოლექცია, ისევე როგორც ათონის სხვა მონასტრების ხელნაწერთა კოლექციები, ამჟამად დაცულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის Coislin-ის კოლექციაში. ამ კოლექციის № 90 ბერძნული ხელნაწერი XII საუკუნისაა და შეიცავს მაქსიმე აღმსარებლის თხზულებებს. ხელნაწერს ახლავს ქართული მინაწერი. ცნობა ქართული მინაწერის შესახებ მოგვაწოდეს ნინო საყვარელიძემ და ლელა ხოფერიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

მოგვაქვს ქართული მინაწერის ტექსტი: „ათრვამეტი რვეული მე, დანიელ, წავიტანე და ათორმეტი აქა არს“[6] (145, ზედა მარცხენა კუთხეში). წარწერა შესრულებულია ასომთავრულით.

ამრიგად, მინაწერიდან ვგებულობთ, რომ ბერძნული ხელნაწერის დიდი ნაწილი (18 რვეული) ვინმე ქართველ დანიელს გაუტანია ათანასეს ლავრიდან ივირონში; როგორც ჩანს, ხელნაწერი გატანილი ყოფილა ნაწილ-ნაწილ, ორჯერადად, ჯერ 18 რვეული, შემდეგ კი, ლოგიკურია, ვიფიქროთ, დანარჩენი 12 რვეულიც. ხელნაწერი გამოყენების შემდეგ დაუბრუნებიათ ისევ ათანასეს ლავრის ბიბლიოთეკაში, რაც იმით დასტურდება, რომ ხელნაწერი Coislin № 90

---

[5] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 192.

[6] Catalogue des manuscrits grecs, II, Le Fond Coislin, Coislin 90, p.p. 78-79, par Rob. Devreese.

სრული სახით შეტანილია Coislin კოლექციაში და დაცულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ბერძნულ ხელნაწერთა ფონდში.

ცხადია, დანიელი, რომელსაც დაევალა ძვირფასი ბერძნული ხელნაწერის გატანა მონასტრის საჭიროებისათვის ივირონის მწიგნობართა დავალებით, თვით მწიგნობარი და განსწავლული პიროვნება უნდა ყოფილიყო და მას ხელნაწერის გატანის უფლებაც უნდა ჰქონოდა. ჯერჯერობით მასალის სიმცირის გამო ვერ ხერხდება იმის მტკიცება, რომ ეს დანიელიც ხანბაშური იყო.

როგორც უკვე ითქვა, „ხანბაშურის“ პროფესიის ადამიანი უნდა ვეძიოთ ძველი ქართული სკრიპტორიუმების სტრუქტურაში. საინტერესოა, რა ცნობები გვაქვს ჩვენ ამ ძველი სკრიპტორიუმებისა და საგანძურთსაცავების შესახებ X–XI საუკუნეებში.

ცნობები ათონის ქართულ მონასტერში არსებული წიგნთსაცავებისა და საგანძურთსაცავების შესახებ დაუცავს ტ. გაბაშვილს. „მიმოსლვაში“ ვკითხულობთ: „წიგნის საცავსა მონასტრისასა არს ძველი ქართული წიგნი მრავალი“ (და ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი)[7]. და კიდევ: „მონასტრისა მის საგანძურსა ძეს მრავალნი ქართველთაგან შემოწირულნი საყდრისა სამკაულნი თუ შესამოსელნი და კვალად ძეს თორნიკეს საჭურველნი: ზუჩი, ჯაჭვი, აბჯარი და კრმალი“[8].

როგორც ჩანს, ყოველ დიდ მონასტერსა და ეკლესიაში ორი ტიპის საცავი ყოფილა — ხელნაწერთა ბიბლიოთეკა და რელიქვიათა, განძეულობათა, ძვირფას შეწირულობათა შესანახი ადგილი ანუ „საგანძურთ საცავი“, რომელთაც საგანგებო მცველი ჰყავდათ მიჩენილი. ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი საცავის მცველი უნდა ყოფილიყო „ხანბაშური“. რიგ შემთხვევაში ამ ფუნქციებს ითავსებდა მონასტრის წინამძღვარი (შდრ. დოშიარი, მეჭურჭლე).

ანალოგიური თანამდებობა არსებობდა დიდ ფეოდალურ სახლებშიც. მაგ.: ჯოჯიკთა საგვარეულოში. ამასთან დაკავშირებით „იოანესა და ეფთვიმეს ცხორებაში“ ვკითხულობთ: „კუალად მოვიდოდა [ივირონის მონასტერში — ე. მ.] გჳრპელი, ჯოჯიკის მეგანხურთა უხუცესი და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო, და არსენი უწოდეს“[9].

---

[7] ტ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსლვა, თბ., 1956, გვ., 21.
[8] ი ქ ვ ე. გვ. 22.
[9] „ცხორება“, § 85, 1.

და ბოლოს, ტერმინი „ხანბაშური“ დამოწმებულია მოქვის გულანში (A-743), სულთა მოსახსენებელში, რომელიც ერთვის მოქვის გულანში შემავალი „მცირე სჯულისკანონის“[10] ერთ-ერთ ნაწილს – „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლეს შეკრებულთა წმიდათა ხატთა თაყუანის-ცემისათჳს, რომელი-ესე წარიკითხვის სოფიაწმიდას პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა“[11].

ძეგლისწერა მთავრდება მართლმადიდებელ მეფეთა და პატრიარქთა მოსახსენებლით: [თეო] ფილაქტესი, პოლიევქტოსი, ანტონისი და ნიკოლოზისი, მართლმადიდებელთა პატრიარქთა, საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ მათი“. მოქვის გულანში ამ ტექსტს უშუალოდ აგრძელებს ჩვენთვის საინტერესო ტექსტი: „დავით გარეჯელისა, იოანე, შიო მღვიმელისა, ევაგრესი, არსენისი და არსენისივე ხამშაბურისი (= ხამბაშურისი – ე. მ.) და არსენი კალიპოსელისა, საუკუნომცა არს კსენებაჲ მათი. დანიელ ხამბაშურისა, ახლისა მის აღმსარებელისა, კჳრიკესი, ეფრემისი და ყოველთა მამათა ჩუენთა, რომელთა იღუაწეს მართლმადიდებლობისათჳს და სჯულთა საღმრთოთათჳს, საუკუნომცა არს კსენებაჲ და კურთხევაჲ მათი. გრიგოლ მოქუცლი მთავარეპისკოპოსისა, მწყემსისა მის კეთილისა, საუკუნომცა არს კსენებაჲ ყოველთა მათ ღმერთშემოსილთა მამათა და მართლმადიდებლობისა ქადაგთა“.

ეს ტექსტი მოსახსენებლისა, ბუნებრივია, არ შეიძლება ყოფილიყო „მცირე სჯულისკანონის“ ეფთჳმესეულ თარგმანში, ვინაიდან ამ მოსახსენებელში იხსენიებიან XI ს. ბოლო მეოთხედისა და გვიანდელი მოღვაწეებიც. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დოკუმენტში ის არის, რომ მართლმადიდებელ მამათა შორის, ბერძენი პატრიარქების შემდეგ, დასახელებულია 13 ასურელ მამათა ერთი ნაწილი – ძირითადად მესვეურთა ჯგუფი: დავით გარეჯელი, იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი და მისი მოწაფე ევაგრე. მათ მოსდევს

[10] შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ათონის ქართველთა..., გვ. 319. ხელნაწერის ხარვეზიანობის გამო მოქვის გულანში „მცირე სჯულისკანონი“ სრულად არ არის წარმოდგენილი.

[11] ეს ძეგლისწერა მიუღია კონსტანტინოპოლის ადგილობრივ კრებას, რომელიც მოწვეული იყო 843 წ. – მცირე სჯულისკანონი. ელ. გიუნაშვილის გამოცემა. თბ., 1972, გვ. 11.

არსენი, საფიქრებელია, არსენ II კათალიკოსი, ამ ჯგუფში შემავალ ასურელ მამათა კიმენური „ცხორებების" ავტორი. ცნობა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ XI საუკ. ქართველის ცნობიერებაში დასახელებული ასურელი მამები და მათი ცხოვრების აღმწერი არსენ კათალიკოსი მიჩნეული არიან მართლმადიდებლობის დამცველ და მქადაგებელ მამებად.

მოსახსენებელი დაყოფილია რამდენიმე ნაკვეთად და თითოეული ნაკვეთი მთავრდება ფორმულით: „საუკუნომცა არს კსენებაჲ და კურთხევაჲ მათი". ჩვენთვის საინტერესო ხამბაშურები (არსენ და დანიელ) იხსენიებიან მეორე და მესამე ნაკვეთებში.

ზემოთქმული საფუძველს აცლის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს ასურელი მამების მონოფიზიტობის შესახებ[12]. მოსახსენებელს აგრძელებენ შემდეგი მამები: არსენ ხანბაშური, არსენ კალიპოსელი, დანიელ ხანბაშური, კვირიკე და ეფრემი: ამ ჩამონათვალში, როგორც ვხედავთ, ასურელ მამათა გარდა მოხსენიებული არიან XI საუკუნის შავი მთის სკოლის მოღვაწენი — მართლმადიდებლობის დამცველნი: „სჯულიერი მოღვაწე" არსენ კალიპოსელი (იგივე არსენ იყალთოელი)[13], ეფრემ მცირე და მისი მოძღვარი, დიდი ბერი კვირიკე. მოსახსენებელში დასახელებულია ორი ხანბაშურიც: არსენი და დანიელი. ვფიქრობთ, არსენ ხანბაშური უნდა იყოს ათონის № 28/148 ალაპში მოხსენიებული არსენ მარდეზის ძე თბილელი ხანბაშური, ხოლო დანიელი კი ქუთ. № 74 — ოთხთავისა და მისგან მოცილებული ყდის მირქმის ხატის მინაწერში დასახელებული დანიელ ხანბაშური — ნიკოლოზ სოხასტერელის აღმზრდელი. ესენიც XI საუკუნის მოღვაწენი არიან.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმადიდებელ წმ. მამათა ამ სიაში დასახელებულია შავი მთისა და პალესტინის ქართველთა კოლონიის ორი უდიდესი მოღვაწე: კვირიკე, ეფრემის მოძღვარი, დიდი ბერი, და თვით ეფრემ მცირე.

თანამედროვეთა ანდერძებში კვირიკე მოიხსენიება ხან იოანეკვრიკედ, ხან კვრიკე ალექსანდრიელად, ხან კიდევ აღდგომის ეკლესიის დიაკვნად. მოქვის გულანში იგი მოხსენიებულია მხოლოდ

---

[12] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ., 1980, გვ. 157 (სქოლიო).

[13] ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ., 1978, გვ. 63, 65, 69, 71.

სახელით. აქ კვირიკე და მასთან ერთად ეფრემი მართლმადიდებლობის დამცველ და მქადაგებელ წმინდა მამებად იწოდებიან. ვფიქრობთ, ეს არის კვირიკეს ყველაზე საპატიო წოდება, ხოლო სხვა ზედწოდებები კვირიკეს მოღვაწეობის ამა თუ იმ პერიოდის თანამდებობრივი მდგომარეობის ამსახველი უნდა იყოს.

ზემოთ მოტანილი მასალა კვლავ სვამს საკითხს ამ ტერმინის მნიშვნელობის შესახებ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ტერმინ „ხანბაშურის" ორი ძირითადი ნიშანი გამოიკვეთა: თანამდებობრივად (პროფესიით) იგი საგანძურთა მცველია, ხოლო იდეოლოგიურად მართლმადიდებლობის დამცველი და მქადაგებელი.

იმ ფაქტმა, რომ ყველა ზემოთ დასახელებული პირი შავი მთისა და პალესტინის ქართველ მოღვაწეებთან არის დაკავშირებული, გვაფიქრებინა, რომ ტერმინი „ხანბაშურის" ეტიმოლოგია პირველ რიგში სირიულ გარემოშია საძიებელი. ცხადია, ამაზე პასუხი სპეციალისტს უნდა გაეცა და ჩვენც მივმართავთ აკად. კ. წერეთელს. მოგვაქვს ტერმინ „ხანბაშურის" ეტიმოლოგიის შესახებ მის მიერ მოწოდებული ნაკვლევი:

### ხ ა ნ ბ ა შ უ რ ი

ხანბაშური<ხანბაშ-ური. ხანბაშ უნდა უკავშირდებოდეს სემიტურ hbš-ძირს, რომელიც ჩრდ. სემიტურში hbs (ხბშ) სახითაა დაცული, ხოლო არაბულში hbs -ს სახითაა წარმოდგენილი.

**სირიული**: hbš – „დაპატიმრება; ჩაკეტვა; შ ე ნ ა ხ ვ ა, დ ა ც ვ ა" (Payne Smith, A Compendious Syriac Dictionary, Oxford, 1976, გვ. 125).

**მანდეური**: HBŠ– იგივე. (E. S. D rower- R. Macuch, A Mandaic Dictionary, Oxford, 1963, გვ. 130).

**არაბული**: hbs (კანონზომიერი შესატყვისი ჩრდ. სემიტური ძირისა) – „ჩაკეტვა, დაცვა". აქედან maḥbis „დაცვის ადგილი, საცავი".

(Х. К. Баранов, Арабско-русский словарь. Москва, 1977, გვ. 153).

სირიულში ცნობილია პროფესიის აღმნიშვნელი სახელების წარმოება qattāl ტიპისა (<qtl ძირიდან): ṭbḥ „დაკვლა" > ṭabbāḥā „ყასაბი", ḥyṭ „კერვა" > ḥayyāṭā „მკერავი". ამრიგად, ḥbš (ხბშ)

ძირიდან („დაცვა") პროფესიის აღმნიშვნელი სახელი იქნებოდა ḥabbāš-a (ხაბბაშ-ა) „მცველი". იმავე სირიულში გემინირებული თანხმოვანი b (bb) დისიმილაციის შედეგად > nb:gabbārā „გმირი" > ganbārā (C. Brockelmann, Syrische Grammatik, Leipzig, 1962, გვ. 41, შენ. 2). ამდენადვე სრულიად დასაშვებია, რომ სირიულში „მცველის" მნიშვნელობით habbāšā-ს ნაცვლად (ან გვერდით) იხმარებოდა ḥanbāšā (ხანბაშ-ა), საიდანაც მოდის ქართულში დადასტურებული **ხანბაშ-ური.**

**კ. წერეთელი**
**1996. 27. XI**

P.S. შესაძლებელია, **ხანბაშ**-იდან გვაქვს გვარსახელი **ღამბაშიძე,** სადაც ბ-ს წინ ნ>მ (რაც ჩვეულებრივი მოვლენაა) (=„მცველის ძე").

შდრ. სირ. gabbār-a>ganbar-a „გმირი", აქედან **ღამბარ** (<ganbar) **ღამბარაშვილი** („გმირის შვილი").

როგორც ვხედავთ, ტერმინი „ხანბაშური" გვხვდება როგორც ათონის აღაპებში, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს (რაჭა) მასალებში.

სამოხელეო ტერმინი „ხანბაშური" დროთა განმავლობაში საკუთარ სახელად იქცა, შემდეგ კი – გვარსახელად. ამას ადასტურებს ექვთიმე თაყაიშვილის მოწოდებული ცნობები მთავარეპისკოპოს დავით ხამბაშიძის (ხემბაშიძის) შესახებ[14]. დავით ხამბაშიძე იხსენიება ბეჩოს თემის ღვთისმშობლის სვანური ჩჩულედი, კარედი ხატის წარწერაში: „ქალწულო, გიხაროდენ (ან გვიოხენ!), მომიპოვე მადლი წინაშე ჩემ და ყოველთა ღმრთისა, დედოფალო ზესკნელთა და ქუეყანისაო, უღირსი ბერი მიოხე, დავით მთავარეპისკოპოსი ხამბაშიძე (ანუ ხემბაშიძე), ძმით ქავთარითურთ, შ სუანთა სასოო!"

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, „მთავარეპისკოპოსი დავით ხამბაშიძე ანუ ხემბაშიძე ცნობილი არ არის". მისი აზრით, აქედან უნდა მომდინარეობდეს ახლანდელი გვარი ღამბაშიძე, „რომელთა შორის მღვდლობა, როგორც ეტყობა, ძველთაგან ყოფილა"[15].

---

[14] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში – 1910 წ., პარიზი, 1937, გვ. 381.

[15] იქვე, გვ. 382.

ეროვნული
ბიბლიოთეკა






ათონის ცენტრალურ ნაწილში ქართველთა კუთვნილი მიწებისა და ნაგებობათა რუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ათონის ნახევარკუნძულის ყელის ნაწილში ქართველთა კუთვნილი მიწებისა და ნაგებობათა რუკა



Fig. 7. — Biens d'Iviron en Macédoine (première moitié du XIe siècle).

მაკედონიაში (XIს. I ნახ.) ქართველთა მონასტრის კუთვნილი მიწების რუკა




ეზობას რეგიონში (XIს. I ნახ.) ქართველთა
მონასტრის კუთვნილი მიწების რუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




Fig. 1. – Les biens d'Iviron à Kaména en 1100.

კამენაში ქართველთა მონასტრის კუთვნილი მიწების რუკა




მაკედონიაში (XIIს.) ქართველთა მონასტრის კუთვნილი მიწების რუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ა რ ჩ ე ვ ი


წინათქმა 3
შემოკლებათა სია 7
გამოკვლევა
„ათონის კრებულის“ ხელნაწერის აღწერილობა 13
„ათონის კრებულის“ შედგენილობა 20
„ათონის კრებულის“ რედაქციები 29
„ათონის კრებულის“ ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიული მასალა 49
საალაპე წიგნის თავდაპირველი რედაქცია 57
თაფლაისძის რედაქციის საალაპე წიგნი 65
საალაპე წიგნის პირველი რედაქციის პლასტები 71
თაფლაისძის საალაპე წიგნის შემდგომი შევსება 84
თაფლაისძის „მიმბაძველის“ ალაპთა დათარიღების ცდა 85
თაფლაისძის საალაპე წიგნის გამგრძელებლები 91
მამა პავლეს და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობა 93
მონასტრის მამები: მიქაელი და იოანე 107
ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვართა რიგი 112
ბოლოსიტყვა 128
ალაპთა ტექსტები 131
კომენტარები 192
ლექსიკონი 268
საძიებლები 285
ალაპთა ნუსხა ტაბულებზე მითითებით 303
პალეოგრაფიული ტაბულების შედგენილობა 309
ტაბულები 319

Addenda 377

1) თ. ხ ა ჭ ო ლ ი ა. „ათონის კრებულის“ ალაპთა ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის 378
2) ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგენის წესები (X–XII სს.). 397
3) Е. П. М е т р е в е л и. Сведения Афонского синодикона об игуменах Бачковского монастыря и о Бакурианах. 409

4) ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ათონის ერთი ალაპის გაგებისათვის 421
5) ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ტერმინ ხანბაშურის გაგებისათვის 431

1. ათონის ქართველთა მონასტრის ტიმოთე გაბაშვილისეული გეგმა-ნახატი „მიმოსლვის“ ავტოგრაფიდან 439
2. ათონის ცენტრალურ ნაწილში ქართველთა მონასტრის (ივირონის) კუთვნილი მიწებისა და ნაგებობათა რუკა (Actes d'Iviron, I, p. 71, fig. 4) 440
3. ათონის ნახევარკუნძულის ყელის ნაწილში ქართველთა მონასტრის კუთვნილი მიწებისა და ნაგებობათა რუკა (Actes d'Iviron, I, p.77, fig.5) 441
4. მაკედონიაში (XI ს. I ნახ.) ქართველთა მონასტრის კუთვნილი მიწების რუკა (Actes d'Iviron, I, p. 84, fig. 7) 442
5. ეზობას რეგიონში (XI ს. I ნახ.) ქართველთა მონასტრის კუთვნილი მიწებისა და ნაგებობათა რუკა (Actes d'Iviron, I, p. 88, fig. 8) 443
6. კამენაში ქართველთა მონასტრის კუთვნილი მიწების რუკა (Actes d'Iviron, II, p. 45, fig. 1) 444
7. მაკედონიაში (XII ს.) ქართველთა მონასტრის კუთვნილი მიწების რუკა (Actes d'Iviron, II, p. 58, fig. 5) 445

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „სკოლა"

გამომცემლობის რედაქტორი
მანანა უკლება

ტექნიკური რედაქტორი
ციური ქამუშაძე

კორექტორები
ნინო თანანაშვილი
შორენა თუთარაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ამირან ჭანტურია
მეგი ქამუშაძე
ლია მაისურაძე
ნუნუ გვანცელაძე

რიზოგრაფული ბეჭდვა
მერაბ ნეფარიძე

ქ.თბილისი, 380012, დავით აღმაშენებლის 180 ტელ. 34-31-79, 34-11-34

K314.917
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა